გურამ
დოლიძანაშვილი

ბუნი

მოთხრობები

თბილისი „მეცნიერება" 1988

84 ГР 7–3,
ლ–795

ეურას ლიჩანაშვილის ამ წიგნში იპყრება აღრინდელი, შუა პერიოდისა და უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული მოთხრობები. ისინი ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი და ერთგვარ სურათს იძლევა მწერლის შემოქმედებაზე.

4702017200
ლ ———————— 43–88
ნ 604(08)–88

© გამომცემლობა „მერანი".

პირველი კონცერტი

დღეს საღამოთი კონცერტია. ჩემი პირველი სოლო კონცერტი.

ველელავ. ვცდილობ დავმშვიდდე — ხან ძველ ჟურნალებს ვათვალიერებ, ხან ეზოში მოთამაშე ბავშვებს ვუყურებ.

ვერ ვწყნარდები. დავდივარ ოთახში — ერთი კუთხიდან მეორემდე. რაღაცით უნდა გავირთო თავი... რა ვქნა?

ჩამქრალ პაპიროსს ვუკიდებ. ტახტზე ვწვები და ჭერს თვალებით ვბურღავ.

დღეს ალბათ ბევრი ხალხი იქნება კონცერტზე. რომ შემეშალოს?.. არა! არ შემეშლება. არ უნდა შემეშალოს, მაგრამ... რა ვქნა, როგორ დავწყნარდე?

ვდგები და დავდივარ ერთი კუთხიდან მეორემდე.

რა ვქნა?..

კედელზე ჩამოკიდებულ სურათს შევაცქერდი.

სურათიდან პატარა ბიჭუნა მიყურებს და ეშმაკურად მიღიმის. მოკლე შარვალი ჩაუცვამს. ყელზე დიდი ბაფთა გაუკეთებია. ხელში სათვალე უჭირავს. მისი ღიმილი ჩემზეც გადმოდის და ვუღიმი.

ეს ხომ მე ვარ, მე...

მე მაშინ პატარა, ძალიან პატარა ბიჭი ვიყავი.

მამაჩემი სხვა ქალაქში გაგზავნეს სამუშაოდ, დედაც მას გაჰყვა. დამტოვეს ბებიასთან.

ყოველი ბავშვივით თამაში, ცელქობა და განსაკუთრებით შეკითხვები მიყვარდა.

ცოტათი... ცოტათი კი არა, საკმაოდ ასირებულიც გახლდით.

როგორ მიყვარდა ეზო!..

ბებია და სასლი მაშინ მაგონდებოდა, როცა თამაშით დაქანცულს არაქათი აღარ მქონდა.

ავდიოდი კიბეებზე, კარზე ბრახაბრუხს ავტესდი და ლოყებ-

დაწითლებული და ოფლიანი სავარძელზე მოვიკალათებდი ხოლმე.

— უუჰ, შე ყაჩაღო, — მეუბნებოდა ბებია და ტანსაცმელს მიცელიდა, — სათვალიანი და ასეთი ცელქი!

სათვალეს მაშინვე ვიხსნიდი განაწყენებული, მაგრამ ისევ ვიკეთებდი. ბავშვობიდანვე სუსტი მხედველობა მქონდა.

ბებიას ჩემი სათვალეების გამოულეველი მარაგი ჰქონდა, რადგან თითქმის ყოველდღე ვტეხდი მათ — სან ველოსიპედით მოვისურვებდი კიბეებზე ჩასვლას, ხან ბურთი მხვდებოდა სახეში, ხან სირბილის დროს წავიქცეოდი ხოლმე.

ეზოდან ამოსული ცოტა სანს ვისვენებდი.

— ბებო, რამე წამიკითხე, — ვეტყოდი ხოლმე შემდეგ.

ბებიაც მიკითხავდა გრიმების ზღაპრებს, მიამბობდა ამირანის ამბავს...

ერთხელ „მუმუ" წამიკითხა.

— ბებო! — შევშფოთდი — დაიღრჩო?

— დაიღრჩო...

— მოკვდა?

— მოკვდა...

— რატომ დაიღრჩო, ცოდვა არ არი? — შევაცქერდი ბებიას და ტირილი დავაპირე.

ტირილი ხმამაღალი მიყვარდა. ისეთ ღრიალს ამოვუშვებდი ხოლმე, რომ...

— დაიცა, დაიცა, — დაფაცურდა ბებია, — ჯერ არ დამიმთავრებია. მუმუმ იცოდა კარგი ცურვა, — განაგრძო „კითხვა" ბებიამ, — გასცურა მდინარე, მივიდა გერასიმესთან და ახლაც იქ ცხოვრობენ კარგად და ბედნიერად... ფქვილი აქა, ქატო იქა, — დაუმატა დამაჯერებლობისათვის.

მეც დავუჯერე და ცრემლიანი თვალებით გავუღიმე.

როცა გავუღიმებდი, ბებია ყოველთვის მეფერებოდა, თმას თითებით მივარცხნიდა და გულზე მიკრავდა.

— ჩემი პატარა ბიჭი, — იტყოდა ხოლმე.

„ჩემის" ბებია ყოველთვის აგრძელებდა და მოფერებით „ჩემის" ამბობდა. მე კიდევ უფრო ვპატარავდებოდი მის მკლავებში.

— ჩემი სათვალიანი ბიჭი, — ამბობდა ბებია და ოვალებში მკოცნიდა.

ჩვენს სახლში მოსულ სტუმრებს მოვალეობად მიაჩნდათ ჩემზე რაიმე აზრი გამოეთქვათ და, რა თქმა უნდა, ყოველივის მაქებდნენ.

ბებია ცდილობდა არ შეემჩნია ჩემი ქება, მაგრამ ვერ ასერსებდა, იღიმებოდა.

— რამდენი წლისა ხარ, ნუგზარ? — მეკითხებოდნენ სტუმრები.

მე საჩვენებელ თითს ცერით ვიჭერდი და სტუმრებს სამ თითს ვუჩვენებდი ხოლმე.

— უჰ! უკვე დიდი ბიჭი ყოფილა, — ამბობდნენ ისინი.

მე ვიცოდი, რომ არ ვიყავი დიდი.

— ბებო! შენ ხომ დიდი ხარ?

— კი, — მოგვიანებით მპასუხობდა ბებია, სტუმრებს უსერხულად გაეღიმებოდათ და ლაპარაკს იწყებდნენ, მაგრამ მე არ ვაცლიდი.

— ბებო, მე რატომ ვარ პატარა და შენ დიდი?

ბებია ბრაზდებოდა.

— ი-მი-ტომ! — მეუბნებოდა ნერვიულად.

მე და სტუმრები უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით. ასეთი კითხვების შემდეგ, ცხადია, ვერ შემაქებდნენ.

გამოსავალს ისევ ბებია პოულობდა.

— ნუგზარ, აბა უთხარი ბიძია გიორგის — ვინ დაწერა „თორნიკე ერისთავი".

— აკაკი წერეთელმა, — ვპასუხობდი მე.

— უყურე შენ! — გაიკვირვებდა ბიძია გიორგი.

ბებია გაიბადრებოდა და განაგრძობდა:

— მუმუ?

— მუ-მუ — ტურგენევმა. მუმუმ ისეთი კარგი ცურვა...

— ნუგზარ! წადი, გენაცვალე, ეზოში ითამაშე.

ეზოში ჩავრბოდი და ომობანას ვთამაშობდი. სათვალეს ვიხსნიდი და ჯიბეში ვიდებდი — რომ არ მოეხსნა, აუცილებლად „გერმანელი" ვიქნებოდი.

გადიოდა დრო.

ჩემი წლოვანების საჩვენებლად აღარ მყოფნიდა ერთი ხელის თითები. სკოლაში შემიყვანეს.

ეზოში ცოტა ხნითღა ჩავდიოდი ხოლმე.

სკოლა კიდევ არაფერი, ბებიამ გადაწყვიტა რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრა მესწავლა.

„რომელზე?“ — ფიქრობდა.

— რომელზე? — ეკითხებოდა ნაცნობებს.

როიალისა და ვიოლინოს გაგონებაც არ სურდა — ყველა მაგაზე უკრავსო, ამბობდა, ბებიას ყოველთვის უნდოდა, რომ განსაკუთრებული ვყოფილიყავი.

ბოლოს ვიოლონჩელზე შეჩერდა.

დაიწყო ჩვენი სიარული მუსიკალურ სკოლაში! ბებია წინ ეიმიძღოდა ვიოლონჩელით ხელში, მე ნოტები მიმქონდა.

როგორ ვბრაზდებოდი, ჩემს ტოლებს ეზოში ფეხბურთი უნდა ეთამაშათ, მე კი... მე უნდა დამეკრა.

გაბრაზება სწრაფად მავიწყდებოდა, ქუჩაში მრგვალ ქვას ამოვარჩევდი, ფეხს ვურტყამდი და თავს ფეხბურთელად ვთვლიდი. მივრბოდი თამაშით, ხტუნვა-ხტუნვით. ბებიას მივდევდი, ხან ვუსწრებდი ხოლმე. ხანდახან ზედმეტად გართული ბებიას ვეჯასებოდი.

— უუჰ, შე ყაჩაღო, — ამბობდა მაშინ ბებია, — სათვალიანი და ასე ცელქი!

სათვალის მოსახსნელად ხელი სახესთან მიმქონდა, — მაგრამ ისევ ვუშვებდი.

გზად ბებიას ნაცნობი ქალი ცხოვრობდა. დღენიადაგ ფანჯარაში იყო გადმომდგარი და ქუჩას ათვალიერებდა.

— ნუგზარი როგორა გყავს? — ეკითხებოდა ბებიას.

— ცელქობს, — პასუხობდა ბებია, — კვირაში ორ სათვალეს ამტვრევს.

გაკვეთილის შემდეგ წინ მე მოვდიოდი ისევ თამაშით, ბებია უკან მომყვებოდა ვიოლონჩელით ხელში.

ნაცნობი ქალი იდგა ისევ და ქუჩას ათვალიერებდა.

— ბებო, ეს ქალი „შპიონია“? — ვეკითხებოდი ბებიას.

— არ არის შენი საქმე!

სახლში მისვლისას ცოტახნით ბებია ეზოში სათამაშოდ მიშვებდა. რას არ ვთამაშობდით — ლახტს, დამალობანას, და-

ჭერობანას, ოთხ ინს, ყველაზე ხშირად კი ფეხბურთს. შე ყველაზე პატარა ვიყავი და ამიტომ მეკარედ მაყენებდნენ. თავდამსხმელად თამაში მერჩია, მაგრამ.. მაინც გატაცებით ვთამაშობდი. ნეესი ეზოს საკრების მეკარე ვიყავი.

— ნუგზარ, — დამიძახებდა უცებ ბებია, — ამოდი, გაკვეთილები მოამზადე.

— მოიცა რა, მოიცა რა, ბებო...

ბებია არ მიცდიდა.

— ნუგზარ! ამოდი.

ზანტად ავდიოდი სახლში.

მეცადინეობის შემდეგ ეზოში სტვენით ჩავრბოდი და დამალობანას ვთამაშობდი. კარგ ადგილს ვიპოვნიდი, დავიმალებოდი და ამ დროს...

— ნუგზარ, — დამიძახებდა ბებია, — ამოდი, გენაცვალე, და დაუკარი.

„დაუკარის" ბებია ხაზგასმით ამბობდა.

მე არ ვპასუხობდი. ბებია, როგორც ყოველთვის, არ მიცდიდა.

— ნუგზარ! ეხლავე ამოდი!

ოხვრით ავდიოდი კიბეებზე. ბებია ვიოლონჩელით მელოდებოდა.

— დაუკარი...

იმ წუთში ალბათ ძალიან შეწუხებული და დაღვრემილი გამომეტყველება მქონდა.

— დაუკარი, ჩეემო კარგო ბიჭო...

ბებია მაგიდასთან სკამს მიდგამდა და სურაზე ნოტებს მიაყუდებდა.

მე ყოველშემთხვევისათვის უარის თქმას დავაპირებდი, მაგრამ...

— ნუგზარ! ჩქარა! დაჯექი და დაუკარი.

რაღა გზა მქონდა. ვჯდებოდი და ვუკრავდი.

ვიოლონჩელი კაცი იყო ჩემთვის, ბოროტი კაცი. ეს კაცი მუხლებშუა უნდა დამეყენებინა, მისი თავი მარცხენა მხარზე უნდა მიმესვენებინა, მარცხენა ხელის თითები ყელზე უნდა შემომეჭდო მისთვის, ხოლო მარჯვენათი უნდა ამემღერებინა.

ვიოლონჩელს მაშინ ბოხი, ჩახრინწული ხმა ჰქონდა და მთვრალი კაცივით უსმენოდ მღეროდა.

ბებია გვერდით მეჯდა და მიყურებდა, რომ მარჯვენა ხელის მოძრაობა არ შემეჩერებინა.

რა ნელა გადიოდა დრო!

ჩემზე მეტად მეზობლები იტანჯებოდნენ.

— ველარ გაათავა? — კითხულობდა ერთი.

— არ იქნა ჩემი მოსვენება, — ამბობდა სამსახურიდან დაბრუნებული ბუღალტერი.

ჩემი ბოროტი კაცი არავის ერიდებოდა და ჩახრინწული ხმით სიმღერას განაგრძობდა.

— ვა! ველარ გადახერხა? — ამბობდა მანამდე მოწყენილი მეწაღე სეროჟა და თავისი სუმრობით კმაყოფილი კარგ ხასიათზე დგებოდა.

დაკვრის შემდეგ ისევ ეზოში ჩავრბოდი სტვენით.

— ნუგზარ, — მითხრა ერთხელ ბებიამ, — მე ცოტა ავად ვარ. წახვალ მარტო?

— როგორ ვერ წავალ, — გავიკვირვე.

— ვიოლონჩელი ფრთხილად ატარე. სადმე არ დაამტვრიო. აბა, შენ იცი, ჩემი ჭკვიანი ბიჭი.

კიბეებზე მართლაც ფრთხილად ჩამოვიტანე ვიოლონჩელი. ეზოში ფეხბურთის თამაშს აპირებდნენ ბიჭები.

— თამაში გინდა? — მკითხა ეზოს გუნდის კაპიტანმა.

— კი...

— დადექი გოლში...

ჩემი კაცი მიწაზე დავაწვინე და დავდექი. ერთი ძნელი ბურთიც ავიღე და ნამდვილ მეკარედ წარმოვიდგინე თავი. „აი, ნამდვილ კარში რომ ვიდგე, რა იქნებოდა, — გავიფიქრე, — ძელებიან კარში". უცებ ისეთი გადაწყვეტილება მივიღე, რომ ყველას გაეხარდა. ერთი ძელის მაგიერ ხემი ჩავარჭე მიწაში, ხოლო მეორის ნაცვლად ვიოლონჩელი. ასეთ კარში მდგარი დამინახა ბებიამ... ერთი კვირის მანძილზე უმეკარეოდ იყო ჩვენი ეზოს ნაკრები...

გადიოდა დრო.

ჩვენ ისევ ერთად დავდიოდით მუსიკაზე.

— ნუგზარი როგორ არის? — ეკითხებოდა ფანჯარაზე გა-დმომღგარი ქალი ბებიას.

— ცოტათი დაჭკვიანდა, ერთი კვირაა სათვალე არ გაუტე-ხია, — ამაყად პასუხობდა ბებია.

ბებიასთვის ის დღე დღესასწაული იყო, როდესაც მე კონ-ცერტზე ვუკრავდი.

ბებო, რომ შემეშალოს, რა მეშველება? ვეკითხებოდი ში-შით ბებიას.

— არ შეგეშლება, — მაიმედებდა ბებია და მეფერებოდა, არ შეგეშლება, ჩეემი ჭკვიანი ბიჭი. როდის იქნება, სოლო კონცერტი რომ გექნება?

ღრო არავის და არაფერს უყურებდა. მიდიოდა თავისთვის.

მე უკვე მეჩოთირებოდა მოკლე შარვლის ჩაცმა.

ვიოლონჩელი ისევ კაცი იყო ჩემთვის, ბოროტი კაცი, ოღონდ ისეთი ჩახრინწული ხმა აღარ ჰქონდა.

ერთხელ ბებია ავად გახდა. დიდხანს იწვა.

ფრთხილად დამქონდა ვიოლონჩელი.

— თამაში გინდა? — მეკითხებოდნენ ბიჭები.

— არა...

მე ღრმად განვიცდიდი ბებიას ავადმყოფობას.

— ბებო, რამე ხომ არ გინდა? — ვკითხე ერთხელ.

— ის დაუკარი.

— რა?

— მე რომ მიყვარს.

ბებიას სენ-სანსის „მომაკვდავი გედი" უყვარდა.

ვიოლონჩელი მუხლებშუა დავიყენე, თავი მსარზე მივა-დებინე, კისერზე თითები შემოვაჭდე და დავუკარი.

არასოდეს დამიკრავს ისე კარგად...

— ჩეემი ჭკვიანი ბიჭი. მოდი, მოგეფერო, — მითხრა ბებიამ და ცრემლები მოიწმინდა.

ისე მომეფერა, როგორც ყოველთვის მეფერებოდა — თითე-ბით დამივარცხნა თმები, გულში ჩამიკრა, თვალებზე მაკოცა.

კარი გაიღო და ჩვენი მეზობელი ბულალტერი შემოვიდა.

— კიდევ დაუკარი რა, ნუგზარ, — მთხოვა მან, — მუსიკა ისე მასვენებს...

მე რა თქმა უნდა, კიდევ დავუკარი.

იმ დღის შემდეგ შევიყვარე ვიოლონჩელი... ის ისევ კაცი იყო ჩემთვის, ოღონდ ისეთი, რასაც მოსთხოვ, რომ აგისრულებს. მინდოდა და ბედნიერებაზე, სისარულზე ავამღერებდი, მომინდებოდა და სევდიან პანგებს გადმოვაღვრევინებდი.

აღარ მჭირდებოდა დაძალება. აღარც მეზობლებს ვაწუხებდი. პირიქით.

— დამწვრისა დაუკარი რა... — მთხოვდა ხოლმე მეწაღე სეროჟა.

ბებია ამაყობდა ჩემით. ხანდახან დაფიქრდებოდა და იტყოდა:

„ჩეემი ბიჭი, როდის გექნება ნეტავ სოლო კონცერტი?"

დრო გადიოდა — ხან მდორე მდინარესავით მიიზლაზნებოდა, ხან მთის ნაკადივით მიისწრაფოდა. დრო შეუმჩნევლად მაშინ გადიოდა, როდესაც ვუკრავდი. აღარ ვიყავი პატარა ბიჭი — ბებია მხრებამდე ძლივს მწვდებოდა. კონსერვატორიის სტუდენტი გავხდი.

ბებია ერთხელ საწოლზე ჩამომიჯდა და მომეფერა. მივარცხნიდა თმებს და მიყურებდა თვალებში. რაღაცის კითხვას აპირებდა.

— ჩეემი დიდი ბიჭი, — გაუბედავად მომმართა, — არავინ ყიყვარს?

კინაღამ გავწითლდი.

— არა ბებო, რა დროს ჩემი...

— რატომ რა დროს... შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ.

იმ წუთს პირველად ვიგრძენი, რომ აღარ ვიყავი ბავშვი.

— ნუგზარ, ვინმე რომ გეყოლება... ხომ გამაცნობ?

— კი, ბებო...

ბებია დაფიქრდა.

— სოლო კონცერტი რომ გექნება, მაშინ გამაცანი. კარგი?

— კარგი, ბებო...

რამდენი ვიფიქრე იმ ღამეს!

მართლაც, აღარ ვიყავი ბავშვი. ვგრძნობდი, რომ აღარ შემეფერებოდა ცელქობა, ველარ ჩავიცვამდი მოკლე შარვალს, სათვალესაც აღარ გავტეხდი.

მე მხოლოდ მაშინ ვიყავი ბავშვი, როცა ბებია მეფერებოდა. მე ისე ხშირად მერატრეოდა მისი ალერსი...

— ბებო, — ვეუბნებოდი, — ჩემო ბებო, მომეფერე, რა!

ბებიაც მეფერებოდა. მეალერსებოდა და მეუბნებოდა:

— ხომ გამაცნობ იმას... შენ სოლო კონცერტზე?

მე ტახტზე ვწევარ და ჭერს ვუყურებ.

დღეს საღამოს კონცერტია. ჩემი პირველი სოლო კონცერტი.

ვღელავ. ჩამქრალ პაპიროსს ვუკიდებ. ბოლო ბოლქვებად მიიწევს ზევით. მერე იშლება და იფანტება.

რომ შემეშალოს?!

დღეს ალბათ ბევრი ხალხი იქნება კონცერტზე. ვიცი, მეზობლები გვირგვინს მიმზადებენ ჩუმად. ბევრი ხალხი იქნება. ისიც იქნება...

„იმას ხომ გამაცნობ?" — მახსენდება ბებიას თხოვნა.

ის კი იქნება იქ, მაგრამ...

ცრემლი ნაოჭში ყოვნდება, მერე ჩარბის ქვევით ტუჩის კუთხესთან, მერე ნიკაპთან ჩერდება და მკერდზე მეცემა.

მეორე წვეთი პირველის ნაკვალევზე უფრო სწრაფად მოგორავს და ისიც მკერდზე მეცემა.

ბებო, ჩემო ბებო, როგორ გინდოდა ჩემი სოლო კონცერტის მოსმენა!

თვალებს ვიმშრალებ. საოცრად აწყნარებს ადამიანს თურმე ტირილი...

დღეს საღამოს ჩემს კეთილ, მგრძნობიარე კაცს მუხლებშუა დავიყენებ, თავს მხარზე მივადებინებ, მარცხენა ხელის თითებს კისერზე შემოვაჭდობ და ავამღერებ. ავამღერებ სუფთა, ხავერდოვანი ხმით.

ოთახში დავდივარ ერთი კუთხიდან მეორემდე.

შემეშლება?

არა, არ შემეშლება!

ბებო, შენს ხსოვნას მიუძღვნის ჩემი სათნო კაცი თავის სევდიან სიმღერას.

1960 წ.

ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ

პატარა მატარებელი ბაკურიანიდან ბორჯომში მიდის. ერთ-ერთ ვაგონში სამი კაცია მხოლოდ. ერთმანეთის პირისპირ სხედან. ორი მათვანი ახალგაზრდაა. ბიჭებს სათხილამურო ფეხსაცმელები, ვიწრო შარვლები და ჯემპრები აცვიათ — ერთს — წითელი, მეორეს — ცისფერი. მესამე ხანშიშესული კაცია. მუნდშტუკს მუხლის თავზე თითებით ათამაშებს და ფანჯარაში იყურება. კაცი ზურგშექცეული ზის ორთქლმავლისკენ და მისი მზერა თითქოს რაღაცას მიჰყვება, ბიჭების თვალებს კი, როცა ისინი ფანჯარაში იხედებიან, თითქოს რაღაც ეგებება. კაცი უფრო ხშირად იხედება ფანჯარაში. ბიჭებს მობეზრდათ ბაკურიანი. პირველად კარგი იყო — თხილამურებით სრიალებდნენ, გუნდებს ესროდნენ ერთმანეთს, გორაკიდან ციგით ეშვებოდნენ. ღამ-ღამობით სეირნობდნენ: მძიმე სათხილამურო ფეხსაცმელების ქვეშ ჭრიალებდა თოვლი, სადღაც ვალისმოსახდელად აყეფდებოდა ძაღლი, ფანჯრებში ჰქრებოდა სინათლე — ბაკურიანი ხუჭავდა თვალებს. სამაგიეროდ ცაში ინთებოდნენ ვარსკვლავები... ბიჭებს მოსწონდათ ყველაფერი, დიღხანს დადიოდნენ თოვლზე, განსაკუთრებით გაუკვალავ თოვლში სიამოვნებდათ სიარული. ცისფერჯემპრიანმა ფეხი იტკინა ერთხელ, ლოგინში ჩაწვა. სწრაფად გაიარა არდადეგებმა, დაცარიელდა ბაკურიანი. ცისფერჯემპრიანი ფანჯარასთან იწვა. წითელჯემპრიანიც სულ სახლში იჯდა, საჭმლის მოსატანად თუ გავიდოდა გარეთ. იყვნენ ასე — ერთი იწვა, მეორე იჯდა და იყურებოდნენ ფანჯარაში. გარეთ ყველაფერი დაეფარა თოვლს... ხანდახან რაიმეს უყვებოდნენ ერთმანეთს — ჯერ უხალისოდ ლაპარაკობდნენ, მერე გაახსენდებოდათ რაღაც, უფრო მნიშვნელოვანი. გატაცებით ამტკიცებდნენ რაღაცას. იწურებოდა კამათის თემა, ისევ ფანჯარაში იყურებოდნენ. გარეთ ყველაფერი დაეფარა თოვლს. თოვლი მობეზრებოდათ უკვე ბიჭებს, თავს მეორე მხარეს ატრიალებდნენ და კედელს უყურებდნენ. კედელზე ლაქები იყო. ზოგი ლაქა წვერებიან კაცს ჰგავდა, ზოგი დათვს, ზოგი ვინ იცის რას. ბიჭები ლაქებს უყურებდნენ და ერთობოდნენ.

ახლა ვაგონში სხედან ვიღაც კაცის პირდაპირ.

კაცი ხშირად იყურება ფანჯარაში. ფანჯარაში თოვლი და ხეები ჩანს, მეტი არაფერი. ხეები ეეებებიან ბიჭებს — ხან თითო-თითოდ, ხან ორ-ორად, ხან ბევრნი ერთად. კაცის მზერა მიჰყვება ხეებს, ხან თითო თითოს, ხან ორ-ორს, ხან ბევრს ერთად. ბიჭებს ჩქარა ბეზრდებათ ფანჯარაში ყურება. ხან ვაგონის ჭერს შეხედავენ, ხან იატაკს, რაიმე გასართობის პოვნის იმედით. ჭერი ახლახან შეულებიათ თეთრად, მოდი და გაერთე — ლაქა რომ ლაქაა ისიც არა აქვს. იატაკის ფიცრები ერთმანეთს მიჰყვებიან და ხაზებს ჰქმნიან, კარეი გასართობია.

„ნეტა თხილამურები მაინც გადმოვარდეს, რომ, ეავასწორო", ფიქრობს ცისფერჯემპრიანი.

წითელჯემპრიანს ძალიან უნდა რომელიმე სიმღერა წაიღიღინოს, მაგრამ კაცის ერიდება. რითი გაირთოს თავი? კაცი რომ არ იყოს, თემურის უამბობდა მაიაზე. უამბობდა, როგორი კარგი გოგოა მაია, როგორი მოსიყვარულე გული აქვს. იმდენად მოსიყვარულე, რომ ბაზარში ნაყიდი და თავქვე დაკიდებული ქათამიც ეცოდება — დაკლავენო. ამ კაცთან რა უნდა თქვას...

„გააჭირა საქმე," — ფიქრობს წითელჯემპრიანი და კაცის ჩექმებს უყურებს, — „ამოვიდა და დაგვიჯდა ცხვირწინ. ხომ ვერ გადავჯდებოდით. ვერაფერი მომიყოლია. გააჭირა საქმე".

კაცი არაფერს აშავებს. ზის თავისთვის და იყურება ფანჯარაში. მზერა აცილებს ხეებს — ხან თითო-თითოს, ხან ორ-ორს, ხან ბევრს...

თოვლი თანდათანობით, შეუმჩნევლად ჰკარგავს სითეთრეს, ნაცრისფერი ხდება. ვაგონში ნათურები ინთება.

წითელჯემპრიანს კაცის სახის დათვალიერება უნდა, უცებ რომ შეხედოს, იცის, შეამჩნევს კაცი... ნელა აპარებს სახისკენ მზერას — ჯერ მუხლის თავზე მოთამაშე მუნდშტუკზე აჩერებს, შემდეგ გულისჯიბის ღილზე. ცოტაც და...

„რა დიდი ცხვირი აქვს", ფიქრობს წითელჯემპრიანი.

კაცი ისევ ფანჯარაში იყურება.

„რა უაზრო გამომეტყველება აქვს", ფიქრობს წითელჯემპრიანი. პატარა მატარებელი საკოჭაოში ჩერდება. ბიჭები

უფრო ინტერესით ისედებიან — იქნებ აქ მაინც დაინახონ რაიმე გასართობი.

ბაქანი განათებულია. კედელზე ზარი ჰკიდია. ზართან კაცი დგას, ისეა შეფუთვნილი, ვერც გაიგებ, გამხდარია თუ მსუქანი. ბიჭები ხარბად იყურებიან ფანჯარაში, აქამდე იყო მხოლოდ ხეები და თოვლი და უცებ გაჩნდა ბაქანი, ზარი და კაცი. ეს რაღაც ახალია, რაღაცით დამაინტერესებელი.

შეფუთვნილი კაცი ბიჭების ისეთ დაჟინებულ მზერას გრძნობს, რომ ცოტათი იბნევა. არ უნდა, რომ ბიჭებმა დაბნევა შეამჩნიონ და, აქაო და ვითომ არაფერიო, გვერდზე იფურთხება.

„ერთი ლაქა მაინც იყოს ამ ჭერზე".

თოვლი უკვე რუხი ფერისაა. იმ ადგილზე, სადაც ვაგონის სინათლე ეცემა, თოვლი ბზინავს.

ბიჭებამდე ზარის ხმა აღწევს. შეფუთვნილმა კაცმა შეასრულა თავისი მოვალეობა და სადღაც მიდის. იცის, რომ ბიჭების დაჟინებული მზერა კვალდაკვალ მიჰყვება და ცდილობს კოსტა ნაბიჯებით იაროს. სელებს ზომიერად იქნევს, მუხლებს ჩვეულებრივზე მაღლა სწევს, სასაცილო დაჭიმულობა იგრძნობა მის სიარულში. წითელჯემპრიანს ეღიმება და თავს თანამგზავრებისაკენ ატრიალებს. თემურიც იღიმება. კაცი მუნდშტუკს აღარ ათამაშებს, მუხლზე აქვს დაბჯენილი.

„რა უაზრო გამომეტყველება აქვს... რამხელა ცხვირი..."

კაცი სადღაც იყურება.

„რა ნახა ნეტავ, ამ ფანჯარაში?"

კაცი არაფერს არ უყურებს, უბრალოდ იყურება.

პატარა მატარებელი განაგრძობს გზას.

კაცის მუხლზე მუნდშტუკი თამაშს იწყებს — ხან იმ ბოლოთი ეხება მუხლს სიგარეტს რომ სდებენ, ხან იმით, კაცის კბილები რომ იკავებს.

— გიყვართ? — ეკითხება უცებ კაცს თემური.

— რა? — ვერ იგებს შეკითხვას კაცი და ულიმის.

— თოვლი... გიყვართ-მეთქი თოვლი?

— კი. კარგია თოვლი.

— თქვენ ალბათ ძალიან გიყვართ თოვლი, — ამბობს წითელჯემპრიანი, — თვალი არ მოგიცილებიათ ფანჯრისათვის.

— ხო... ძალიან მიყვარს.

— რატომ გიყვართ? — ეკითხება წითელჯემპრიანი, ოღონდ ისეთი გულუბრყვილო ტონით, რომ კითხვის ახირებულება არ იგრძნობა.

— რა ვიცი... — ამბობს კაცი, — როცა დათოვლილ მიწას და ხეებს ვუყურებ, სიმშვიდეს ვგრძნობ. დიდი სიმშვიდეა თოვლში, უზარმაზარი... შეიძლება, სიმშვიდეზე ითქვას უზარმაზარი?

— კი, რიგორ არა... ყველაფერი შეიძლება იყოს უზარმაზარი.

— ხო... ამიტომ მიყვარს თოვლი.

— სიმშვიდე რომ იგრძნობა? — ეკითხება თემური.

— ხო. მე მიყვარს სიმშვიდე. დიდსანს, დიდხანს ვუყურებ ხოლმე თოვლს... მერე შევაცქერდები რომელიმე ნაძვს. ნაძვის ტოტებზე თოვლი დევს, არც მოსრილია და არც ირხევა. მაინც შემეშინდება ხოლმე, რომ ნაძვი არ გაინძრეს და თოვლი არ ჩამოყაროს მხრებიდან... ეგრე რომ მოხდეს, სიმშვიდე დაირღვევა.

— მე არ მიყვარს სიმშვიდე, — ამბობს წითელჯემპრიანი.

— ხო, შენ ახალგაზრდა ხარ, არც უნდა გიყვარდეს. შენ თოვლი ალბათ იმიტომ გიყვარს, რომ ზედ თხილამურებით სრიალებ. — და აგუნდაევებ.

წითელჯემპრიანს არ მოსწონს კაცის პასუხი. ბრაზდება და ისეთ შეკითხვას ეძებს კაცისთვის, რომ დასცინოს, მაგრამ არ აგრძნობინოს.

— ბოდიში, თქვენ ლექსებს ხომ არ წერთ?

— არა, — იღიმება კაცი — რატომ მკითხეთ?

— წელან ისე ღრმად აღწერეთ ზამთრის პეიზაჟი...

— ეჰ, ეგ რა აღწერაა, — ამბობს კაცი — პოეტი რომ ვიყო, მეცოდინებოდა, ითქმებოდა თუ არა სიმშვიდეზე უზარმაზარი.

კაცი ხიბარეტს აბოლებს.

— უზარმაზარი, დაფიქრებით ამბობს — რა კარგი სიტყვაა...

— როგორ კარგი?

— როგორ და... იცით, მე მეჩვენება, რომ ზოგიერთი სიტყვა საოცრად ლამაზად ესმიება თავის მნიშვნელობას. ესე იგი სიტ-

ყვის ულერადობა, ხმოვანება ეთანხმება. მაგალითად „ზარ-ბაზანი“... რაღაც ძლიერი, ბრისხანე ისმის ამ სიტყვის წარ-მოთქმის დროს. თუნდაც სიტყვა „ჩიტი“. ამ სიტყვაში თითქო ჩანს პატარა, ნაზი არსება, სუსტი და უმწეო... სიტყვა „უზარ-მაზარიც“, მგონი შეეფერება თავის მნიშვნელობას. მგონი ვერ გამიგეთ...

— მთლიანად ვერა...

— აბა თქვით „უზარმაზარი“.

— უზარმაზარი.

— ვერ გრძნობთ რაღაც დიდს, ძალიან დიდს?

— ვერა...

— მე ვგრძნობ, — ამბობს თემური — მე მგონი „ვეფხვიც“ კარგია.

— კი, კარგია, — მაშინვე ეთანხმება კაცი — „ლომი“?

— ლომი? „ლომი“, მე მგონი ცუდია. როგორღაც ნაზად ულერს.

— ხო. სად ის მრისხანე ცხოველი და სად, — კაცი ხმას იწვრილებს, — ლომი.

— „მთვარე“ კარგია, — იგონებს სიტყვებს თემური — „მზე“ ...არა. მზეს რაღაც უფრო დიდი, უფრო მეულერადი სახელი უნდა ერქვას.

— ხო, აბა რა, — ამბობს კაცი და უხარია, თემურმა რომ გაუგო.

ჩუმდებიან, წითელჯემპრიანი დგება.

— საით, დათო?

— ცოტათი გავხურდები, თორემ შემციედა.

— რამ შეგაცივა, ბიჭო...

— რა ვიცი...

დათო ხელებს ჯერ აქეთ-იქით იქნევს, მერე წრეებს სა-ზავს ჰაერში. სწრაფად ჯდება და სწრაფადვე იმართება, თემუ-რის თავისი ნატკენი ფეხი ახსენდება.

— კარგია ახალგაზრდობა, — ეუბნება თემურის კაცი.

დათო რატომღაც უხერხულ მდგომარეობაში ვარდება და თავის ადგილს უბრუნდება.

მატარებელი ჩერდება.

— რა სადგურია, ნეტავ? — ამბობს თემური და ფანჯარაში იყურება.

თოვლი უკვე ლურჯია. მხოლოდ იქ ბზინავს, სადაც სინათლე ეცემა.

— პატარა ცემია, — ამბობს კაცი და ფანჯარაში ისედება — ხო, პატარა ცემია.

დათო კაცს უყურებს და ბრაზდება. რატომ მიანება ვარჯიშს თავი? რატომ ერიდება ამ კაცის?

„რამხელა ცხვირი აქვს... რა სულელური გამომეტყველება“...

ისევ ისმის ზარის ხმა. ისევ წინ მიდის პატარა მატარებელი.

— მართლა აცივდა ცოტათი... ალბათ საიდანღაც უბერავს, — ამბობს თემური.

— გახსოვს თემურ, ზღვაზე რომ ვიყავით, ღამით რომ სიცხით ვიხუთებოდით ღია ფანჯარას რომ შევყურებდით და ვნატრობდით, ნეტავ საიდანმე დაუბეროსო. გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს, ამბობს თემური.

— რა კარგი იყო, გახსოვს, ზღვა, — ამბობს დათო და კარგ ხასიათზე დგება — არაფერი ჯობია ზღვას.

— ზღვაც მოგბეზრდა ბოლოს, მახსოვს.

— არაფერიც, სრულებითაც არ მომბეზრებია.

— როგორ არა...

— რას ამბობ, ზღვას რა მომაბეზრებდა... ეჰ, რა კარგია ზღვა. ჯერ მარტო ის რად ღირს, სილაზე რომ დაწვები, არა, დაწვები კი არა, დაეგდები და მზეს მიანდობ სხეულს. მზე დაგწვავს, დაგთენთავს, დაგეუფლება, ვერაფერზე ფიქრობ, აღარ გახსოვს არაფერი, მზეს გრძნობ მხოლოდ. ბოლოს წამოდგები, ხარ... შეიძლება ითქვას „მზით გაჟღენთილი“?

— რა ვიცი...

— შეიძლება, ალბათ... ხარ გაჟღენთილი მზით და შეღიხარ გრილ, სასიამოვნო ზღვაში. ისეთ ლამაზ ზღვაში. აი, ზღვა მართლაც უზარმაზარია. უზარმაზარი ზღვა... ზღვას მართლა უხდება სიტყვა „უზარმაზარი“, — ამბობს დათო და კაცს უყურებს.

კაცი ფანჯარაში იყურება. მუქი ლურჯი ფერისაა უკვე ცოვლი.

„რა უაზრო გამომეტყველება აქვს", — ფიქრობს დათო და კაცთან ლაპარაკის ხასიათზე დგება — თქვენ გიყვართ ზღვა?

— რა ვიცი, აბა...

— როგორ! ალბათ არ გინასავთ, არა?

— კი, მინახავს...

— მერე, როგორ შეიძლება არ გიყვარდეთ ზღვა. ზღვა ისეთი ლამაზია, ისეთი ღიდებული... ხომ გინახავთ მზის სასვლა ზღვაში?

— კი, როგორ არა, მინახავს... — უსალისოდ ამბობს კაცი და ფანჯარას თვალს არ აშორებს.

„როგორ ვიყავი დარწმუნებული, რომ ბუნება უყვარდა", — ფიქრობს თემური. — მერე, არ მოგწონებიათ? რა ლამაზია მზის ნასვლა ზღვაში... — ამბობს დათო და ჭერს უყურებს. ჭერი ხდება მოლურჯო-მომწვანო და ლურჯი. ლურჯ ფერში ჩნდება ოქროსფერი, მოწითალო დისკი. დისკი ნელა, აუჩქარებლად ტოვებს ლურჯ სივრცეს და მოლურჯო-მომწვანოში იმალება.

— ეჰ, რა კარგია ზღვა, — ამბობს დათო — განა შეიძლება ზღვა არ გიყვარდეს?

ალბათ შეიძლება, — ამბობს კაცი.

— ნუთუ მარტო სიმშვიდე გიყვართ? თუმცა, ზღვაზე ისეთი სიმშვიდეა მზის ჩასვლის დროს... იცით, მე დაკვირვებული ვარ, როდესაც მზე ზღვაში ჩადის, მზის და ზღვის სანახავად მისული ადამიანები, რომლებიც ნაპირზე დგანან, ჩუმად ლაპარაკობენ. მათ ეშინიათ სიმშვიდის დარღვევა.

— მე ისეთი სიმშვიდე მიყვარს, თავდავიწყება რომ მოაქვს.

— მერე? განა ზღვა არ იძლევა თავდავიწყების მიზეზს? განა მხოლოდ სიმშვიდეს მოაქვს თავდავიწყება? ვერაფერი მაგრძნობინებს ისეთ ღრმა თავდავიწყებას, როგორც ალელვებული ზღვა. უხ, რა კარგია ზღვა, როცა ღელავს...

კაცის ხელი ნერვიულად აკაკუნებს მუხლზე მუნდშტუკს.

— რა კარგია ღელვის ყურება, — ამბობს დათო და სადღაც იყურება — ზღვა შორიდანვე ამშადებს ტალღას — ჯერ ოდნავ

ატოკებს, მერე ატორტმესებს, მერე სხვა ტალღებს უერთდების ბღუჯა-ბღუჯად, მერე მოიქნევს და... ისმის ხმაური, ტალღა მოდის ნაპირისაკენ, ჯერ დიდ ქვებს მოაგორებს, მერე კენჭებს, მერე, სულ ბოლოს სილას ებღაუჭება და მე მეჩვენება, რომ ტალღას აქვს თითები... ნუთუ არ გიყვართ ზღვა?

კაცის სახეზე ყვრიმალები თამამობენ.

— ნუთუ არ გიყვართ მღელვარე, ძლიერი ზღვა?

— დამანებე თავი!!! რა გინდა ჩემგან, რა?

კაცი წამომხტარა ადგილიდან. ანთებული თვალებით უყურებს დათოს, თვალებში სიძულვილი დაუგუბებია, მზადაა მივარდეს.

— რა დაგიშავეთ? — გაკვირვებით ეკითხება დათო.

კაცი ხედავს მათ გაკვირვებულ სახეებს. ჯდება. მშვიდდება თითქოს.

— მაპატიეთ, — ამბობს კაცი და თავს ხრის.

დათო მხოლოდ ესლა გრძნობს გაბრაზებას. „რატომ მიყვირა? რატომ, როგორ გამიბედა უმიზეზოდ ყვირილი?"

— იცით რა, — ამბობს დათო — ჩემ ტოლს არ მოვუთმენდი... თქვენ კი... თქვენ რა უნდა გითხრათ... მამაჩემის ხნის კაცი ხართ...

— მაპატიეთ, — იატაკს ეუბნება კაცი — ამ ერთი წლის უკან... ზაფხულში შვილი დამეხრჩო ზღვაში... ერთადერთი შვილი... მღელვარე ზღვაში...

ასეთ დროს სიჩუმე საჭიროა და აუცილებელი.

იატაკის ფიცრები ერთმანეთს მიჰყვებიან და ხაზებს ჰქმნიან.

დათოს უნდა, რომ შესედოს კაცს, მაგრამ უცებ შესედვის ეშინია, იცის, რომ კაციც შესედავს.

მატარებელი განაგრძობს გზას. მატარებელი თურმე რომელიღაც სადგურზე გაჩერებულა, ცოტა ხანს მდგარა, მერე ზარიც დაურეკიათ და დაძრულა მატარებელი.

დათო ჯერ კაცის ჩექმებს უყურებს, მერე მის მუხლს, მერე გულისჯიბის ღილს...

დათო უყურებს კაცს.

კაცს სულაც არა აქვს დიდი ცსვირი.

კაცს აქვს სევდიანი გამომეტყველება.

— მაპატიეთ, — ამბობს დათო.

— რა გაქვს, შვილო, საპატიებელი, შენ ხომ არ იცოდი... პირიქით, — მე მაპატიეთ, რომ ავყვირდი. მე შენ კი არ გიყვიროდი... ზღვას ვუყვიროდი, ზღვას...

ისევ სიჩუმე... კაცის მუხლზე თამაშს იწყებს მუნდშტუკი. ხან იმ ბოლოთი ეხება მუხლს, კაცი რომ კბილებით იჭერს, ხან იმით სიგარეტს რომ სდებენ.

დათოს უნდა, რომ ანუგეშოს კაცი, ან ისეთი რამ თქვას, რომ კაცს ესიამოვნოს. ვერ პოულობს სიტყვებს...

ისევ ფანჯარაში იყურება კაცი. მთლად გაშავებულა თოვლი, შავად ჩანს, მაინც თეთრია ალბათ...

— ხო... ძალიან მიყვარს. სულ ის ზღვა მიდგას თვალწინ, მღელვარე ზღვა... თოვლს რომ ვუყურებ მავიწყდება ყველაფერი, სიმშვიდეს ვგრძნობ მხოლოდ. ხანდახან შევაცქერდები რომელიმე ნაძვს. ნაძვს ტოტებზე ბევრი თოვლი ადევს, მაგრამ არ არის მოხრილი, არც ირხევა. მაინც შემეშინდება ხოლმე, რომ ნაძვი არ გაინძრეს და თოვლი არ ჩამოიყაროს მხრებიდან... ეგრე თუ მოხდა, დაირღვევა სიჩუმე, თვალწინ დამიდგება ზღვა და გამახსენდება... მეტკინება გული... მე მიყვარს სიმშვიდე...

კაცი ნაღვლიანად იღიმება და ამბობს: — უზარმაზარი სიმშვიდე.

ისევ ფანჯარაში იყურება კაცი. ისევ წინ მიდის პატარა ბატარებელი.

„უზარმაზარი"... ფიქრობს დათო — „მართლა კარგი სიტყვაა ეს „უზარმაზარი".

1960 წ.

მუსიკოსი

საღამო სწორედ ისეთი იყო, ჩვენ რომ გვიყვარდა.

ჩვენ დავდიოდით ლამაზ ქუჩებში — ვაბიჯებდით ხეების და ფოთლების ჩრდილებს. ფეხს ვურტყამდით პაპიროსის

ნამწვავებს, ჩვენდაუნებურად მზერას ვაპარებდით განათებული ფანჯრებისაკენ. იყო სასიამოვნო სიჩუმე, და გვესმოდა მხოლოდ ჩვენი ნაბიჯების ხმა. ეს ხმა გვსიამოვნებდა, არ ვიცი, რატომ... შეიძლება იმიტომ, რომ ეს იყო ჩ ვ ე ნ ი ნაბიჯების ხმა.

ხმისამოუღებლად მივდიოდით. ალბათ იმიტომ, რომ გვსიამოვნებდა სიჩუმე, შეიძლება იმიტომ, რომ ლაპარაკს არ დაეფარა ნაბიჯების ხმა. ჩვენ გვსიამოვნებდა რაღაც. ეს „რაღაც" იყო ლამაზი ქუჩა და სწორედ ისეთი საღამო, როგორიც გვიყვარდა.

ჩვენ ჩავუარეთ სახლს, საიდანაც ისმოდა როიალის ხმა. ბგერები ჯარისკაცებივით მწყობრად და რითმულად მიდიოდნენ ზევით და ქვევით.

ჩვენ გავცდით სახლს.

— იცი, რა? — მითხრა ნუგზარმა. — როდესაც ოდესმე კიდევ ჩავუვლი ამ სახლს, მექნება მოლოდინი, რომ გავიგონებ გამებს...

მე არაფერი ვთქვი — ვერ შევარჩიე პასუხი.

— შენც? — მკითხა ნუგზარმა.

— ჰო, მეც... — ვთქვი მე.

— იცი, მე ზოგიერთ ქუჩაზე უფრო ხშირად დავდივარ. ასეთ ქუჩაზე მე ვცხოვრობ, ვსწავლობ, ან უბრალოდ მომწონს ქუჩა... და დავდივარ. იმ ქუჩაზეც ხშირად ვარ...

— რომელზე?

— ის რომ ცხოვრობს...

„ის" ერთი კარგი გოგოა, სიცილი და წითელი კაბა უხდება.

— იმ ქუჩებს კარგად ვიცნობ, — თქვა ნუგზარმა. — მივდივარ და ყოველი ფანჯრიდან მოველი იმის მოსმენას, რასაც მივეჩვიე. რომელიმე ფანჯრიდან ხშირად გამოდის სიმღერების ხმა, სხვა ფანჯარაში ჩანს რომელიმე ნახატი, ზოგიერთი ფანჯრიდან მოისმის მაგნიტოფონზე ჩაწერილი მსუბუქი მუსიკა, ზოგიერთიდან გამების დაკვრა ისმის. მივდივარ ნაცნობ ქუჩებში და ყოველი ფანჯრიდან მოველი იმის მოსმენას და დანახვას, რასაც მივეჩვიე. ხანდახან მიკვირს, რატომ არ ისმის სიმღერა... ჩემი სახლის წინაც დადიან, ალბათ, სხვები და ესმით... ზოგს მსუბუქი მუსიკა ურჩევნია გამების

მოსმენას, ზოგს პირიქით... ის ხმა კი, ჩემი სახლიდან რომ მოისმის, არავის არ სიამოვნებს. არავის, გარდა იმისა, ვინც უკრავს და კიდევ იმისა, ვინც იცის, რაშია საქმე.

— რაა ეგეთი? — ვკითხე მე.

— მოგიყვე?

— მომიყევი.

— ჩამოვჯდეთ და მოგიყვები.

ჩვენ რომელიღაც სახლის კიბეზე ჩამოვჯექით.

— ის ჩემი მეზობელია, — თქვა ნუგზარმა. — მაშინ ყველანი მუსიკოსს ვეძახდით. ამ დაძახებაში არ იგრძნობოდა ის პატივისცემა, რომელსაც რატომღაც იწვევენ მუსიკოსები. ალბათ იმიტომ იწვევენ, რომ არის მათში რაღაც ისეთი, რაც აიძულებთ იყვნენ მუსიკოსები და არა ვთქვათ... რა ვიცი, რამდენი სხვა პროფესიაა... პო, ამ დაძახებაში პატივისცემა კი არა, დაცინვა იგრძნობოდა. ალბათ, იმიტომ, რომ იმ ინსტრუმენტზე უკრავდა.

— რომელ ინსტრუმენტზე? — ვკითხე მე.

— ტუჩის გარმონზე უკრავდა... ჩვენ ყოველთვის ვბრაზდებოდით, როდესაც ის უკრავდა... რაღა რატომღაც — წარმოიდგინე ტუჩის გარმონზე გაუთავებელი დაკვრის მოსმენა... ამ ინსტრუმენტის ხმას მეზობლები სხვადასხვანაირად ვეძახდით — ზოგი წრიბინს, ზოგი ჩხავილს, ზოგიც წრუპუნს... უფრო ეს სიტყვა მიგვაჩნდა შესაფერისად — წრუპუნი. მას შეეძლო დაუსრულებლად დაეკრა თავის ინსტრუმენტზე. ეტყობოდა, რომ ძალიან სიამოვნებდა ეს. ის რაღაც სხვანაირად უკრავდა. რატომღაც ყოველთვის ირჩევდა სევდიან მელოდიას. უკრავდა ხანგრძლივი ჩაბერვით. ყოველი შესუნთქვის დროს ქრებოდა დიდი ძარღვი მის კისერზე. მკრთალი ძარღვი შუბლზე... მერე ისევ ჩაბერავდა და ისევ იბერებოდა კისერზე დიდი ძარღვი, ისევ ჩნდებოდა მკრთალი ძარღვი შუბლზე. და ასე გაუთავებლად...

ეზოში მეორე მუსიკოსიც გვყავდა, ნამდვილი მუსიკოსი. ის ვიოლინოზე უკრავდა. ის უფრო ხშირად უკრავდა, მაგრამ არავინ ბრაზდებოდა — ის ნამდვილი მუსიკოსი იყო. მეზობლებიდან ზოგს მართლა უყვარდა ვიოლინო, ზოგს არა, მაგრამ ხმამაღლა მაინც ვერ გამოხატავდა საყვედურს — იცოდა,

რომ ვიოლინო აღიარებული ინსტრუმენტი იყო. სამაგიეროდ, ისიც ყველამ იცოდა, რომ ტუჩის გარმონი არ იყო ასეთი ინსტრუმენტი და ყველა იძახდა, რომ ყურისწამღები იყო ეს „გაუთავებელი წრუპუნი". სიმართლე რომ ითქვას, ის არ უკრავდა ძალიან ბევრს, არ უკრავდა გაუთავებლად: დაკვრა მაშინვე წყდებოდა, როდესაც გაისმოდა ვიოლინოს ხმა. ტუჩის გარმონის ხმა მაშინვე იკარგებოდა ვიოლინოს გაგრძელებაზე, თითქოს იმალებაო. მევიოლინე უკრავდა გამებს, როულ პასაჟებს, მერე ეტიუდებს და მთელ კონცერტებს. ჩვენ ვიყურებოდათ იქით, საიდანაც მოდიოდა ბგერები და გვეჩვენებოდა, რომ ფანჯარა უკრავდა. როდესაც მევიოლინე აბთავრებდა დაკვრას, ეზოში ათიოდე წუთით სიჩუმე იყო. მერე შემპარავად იწყებდა დაკვრას მუსიკოსი. ისმოდა ლამაზი, სევდიანი მელოდია, მაგრამ ჩვენ მაინც გვეჩვენებოდა, რომ მისი ფანჯარა „წრუპუნებდა". ყველა იწყებდა ლაპარაკს: იძახდნენ, რომ მუსიკოსმა გააჭირა საქმე, რომ წაიღო ყურები, რომ აღარაა მისგან საშველი... ერთ დღეს ჩვენი ერთერთი მეზობელი შემოვიდა ეზოში და გაიგონა ტუჩის გარმონის ხმა. მეზობელს ვიოლინოც სძულდა. ის საერთოდ უკმეხი იყო და იმ დროს, მგონი, ცოტათი მთვრალიც. „შენ ეი, მუსიკოსო!" — დაიღრიალა მან. ფანჯარაში მუსიკოსი გამოჩნდა. „რა გნებავთ?" „გააჩერე რა, თუ ღმერთი გწამს, ნუ წაიღე ყურები". ეს პირველად ხდებოდა, როდესაც მუსიკოსს პირში ეუბნებოდნენ საყვედურს. „რას გიშლით?" — ჰკითხა მუსიკოსმა. „როგორ თუ რასს.. აღარაა მოსვენება". მეზობელი ცოტათი მთვრალი იყო. "კიდევ კარგი, რომ მეორე ხელი არა გაქვს, თორემ ორ გარმონზე ერთად დაუკრავდი", — თქვა მეზობელმა და მიმოისედა — უნდოდა ჩვენს სახეებზე ამოეკითხა როგორ მივიღებდით მის ენამოსწრებულობას. „ერთი ხელითაც შემიძლია ორი გარმონის დაჭერა", — სცადა ხუმრობა მუსიკოსმაც. „კიდევ კარგი, რომ მეორე ხელი არა გაქვს, თორემ ოთხი გარმონით დაუკრავდი!" — დაიყვირა მეზობელმა, მოეწონა ნათქვამი და აღფრთოვანებით გამოიხედა ჩვენსკენ. პირველად ზოგს მოეწონა ხუმრობა, ზოგს არა. ცოტა ხნის შემდეგ აღარავის მოსწონდა ხუმრობა, მთქმელსაც კი. მუსიკოსი ნაწყენი ჩანდა და ცდილობდა ეთქვა რაიმე. ვერაფერი თქვა და შებრუნდა ოთახში.

იმ დღეს ყველანი ველოდით, როდის გავიგონებდით მისი ინსტრუმენტის ხმას, მაგრამ ფანჯარა დუმდა. მე ავედი მასთან და მორიდებულად დავაკაკუნე კარებზე. კარები მუსიკოსმა გააღო. მე შევედი ოთახში და ჩამოვჯექი სკამზე. ცოტა ხანს ჩუმად ვიყავით. „დაუკარით რამე, რა...“ — ვუთხარი მე. „მე არ მეგონა“, — თქვა მუსიკოსმა, — „რომ გაწუხებდით თქვენ... ალბათ იმიტომ, რომ ყველა ინსტრუმენტი მიყვარს“. „დაუკარით, რა,“ — გავუმეორე მე. „ორივე ხელი რომ მქონდეს, ვიოლინოზე დავუკრავდი“, — თქვა მუსიკოსმა.

ჩვენ დიდხანს ვისხედით ჩუმად.

„მე არ შემიძლია არ დავუკრა“, — თქვა მუსიკოსმა. — „მე ძალიან მიყვარს მუსიკა. ისეთი კი არა, რომელსაც უსმენ... ისეთი, რომელსაც თვითონ ჰქმნი“... მან დასვა ინსტრუმენტს: „ეს ერთადერთი ინსტრუმენტია, რომელზედაც შეუძლია დაუკრას ცალხელა კაცმა“.

„დაუკარით, რა“, — კიდევ ვთქვი მე.

მუსიკოსმა აიღო გარმონი, მიიტანა ტუჩებთან და ჩაჰბერა. მუსიკოსი უკრავდა ნაღვლიან მელოდიას. უკრავდა გრძელი ჩაბერვებით. შესუნთქვის დროს ქრებოდა დიდი ძარღვი კისერზე, მკრთალი ძარღვი შუბლზე. მერე ისევ ჩაბერავდა და... ისევ იბერებოდა კისერზე დიდი ძარღვი, ისევ ჩნდებოდა წვრილი ძარღვი შუბლზე... ეს არ იყო „წრუპუნი“, არც „ჩხავილი“ და „წრიპინი“. ეს იყო ლამაზი, ნაღვლიანი მელოდია და მე მომეჩვენა, რომ ეს იყო მელოდია მეორე ხელზე.

ნუგზარი გაჩუმდა.

— ახლა, როდესაც ვბრუნდები სახლში, შორიდანვე ვამახვილებ სმენას. მერე გავიგონებ, რასაც მოველი და მსიამოვნებს — ეს არის ტუჩის გარმონის ხმა.

— ახლაც უკრავს, ნეტავ? — ვკითხე მე.

— ალბათ...

ჩვენ წამოვდექით. მივდიოდით ლამაზ ქუჩაზე — ვაბიჯებდით ხეების და ფოთლების ჩრდილებს. იყო სასიამოვნო სიჩუმე და გვესმოდა მხოლოდ ნაბიჯების ხმა. გვსიამოვნებდა ხმა, რომელიც იყო ჩ ვ ე ნ ი.

მე გამახსენდა მუსიკოსი და რატომღაც შემშურდა მისი, ალბათ, იმიტომ, რომ არ ვუკრავ არცერთ ინსტრუმენტზე...

იმ ღამეს, როდესაც მარტო ვბრუნდებოდი სახლში, მე ვსტვენდი... ეს იყო ნაღვლიანი მელოდია რომელიღაც კინოფილმიდან. მე მომეჩვენა, რომ ეს იყო მელოდია ჩემს ორ ჯანსაღ ხელზე, რომლებსაც არ შეეძლო დაკვრა...

მე მაინც მსიამოვნებდა სტვენა.

1961 წ.

ბაქანი

ბაქანს თეთრად შეღებილი კედლები ჰქონდა და წარწერა ეკეთა. კედლებზე ვიღაცეების სახელები იყო დაჩხაპნილი. ბაქანთან მოხუცი მეისრე იდგა, ყვითელი ბაირაღით ხელში. მოხუცს უყვარდა ბაქანი. შენობა იყო ძალიან პატარა, იყო ძალიან მშვიდი და ელოდებოდა მატარებლებს. მატარებლები მოდიოდნენ, ჩერდებოდნენ, ხალხი ჩამოდიოდა და ადიოდა კიბეებზე. მოხუცის თვალში ბაქანი ცოცხლდებოდა და თითქოს შესაციცინებდა მატარებელს. ბაქანი იყო ერთგული გამცილებელი და მას ისე კარგად შეეძლო დახვედრა, თუ გაუჩერდებოდნენ... მოხუცს ძალიან უყვარდა პატარა, თეთრი შენობა.

ხანდახან მოდიოდნენ ჩქარი მატარებლები. მათ დიდი ქალაქების სახელები ეწერათ ვაგონებზე. ბაქანი თითქოს შორიდანვე უყურებდა მატარებლებს, ელოდებოდა მათ გაჩერებას.

ჩქარი მატარებლები არ ჩერდებოდნენ პატარა ბაქანზე. მოხუცს ეჩვენებოდა, რომ ბაქანი იყო გულდაწყვეტილი და სადღაც, გვერდზე იყურებოდა.

მოხუც მეისრეს არ უყვარდა ჩქარი მატარებლები.

1961 წ.

ჩვენს ეზოში წვიმა მოდის

...და შარტარიანი მამაკაცი

ძალიან ცხელოდა. გაკარვარებულ ასფალტს ბუღი ასდიოდა. ისეთი სიცხე-პაპანაქება იდგა, გარეთ არ გამოისვლებოდა. ყვავილას ეგონა, ნაშუადღევს აგრილდებაო, მაგრამ შეცდნენ — მზე ისევ იკბინებოდა. ეზოში არავინ გამოსულა, კვირა დღე იყო და ყველანი შინ იყვნენ ჩაკეტილნი. სიცხით გაბრუებულნი დროდადრო ამოიოსრებდნენ ხოლმე და სველი ცხვირსახოცებით ოფლს იწმენდნენ. ჰაერი მძიმე, დასუთული იყო. სუნთქვა გაჭირდა.

რკინის ხვეულ კიბეზე მსუქანი კაცი ჩამოვიდა, ონკანზე რეზინის მილი მიამაგრა და ეზოს მორწყვას შეუდგა. შესამჩნევად აგრილდა. ფანჯარას ჯერ ერთი კაცი მოადგა, მერე მეორე.

— შენ გიშველა ღმერთმა, სარდიონ.

— რა კარგად მოიფიქრე, კაცო!

სარდიონს ესიამოვნა და სიამაყეც კი დაეტყო. — ასეა, ასეაო, — სთქვა.

— მოფიქრება არ უნდოდა? — გაიკვირვა დიდულვაშიანმა კაცმა, — მთელი დღე რაღაც მაწუხებდა და ვერ მივხვდი, რა იყო.

— თქვენ ნუ იცით ყველაფრის გაბუქება, — შენიშნა მაისურიანმა მამაკაცმა მეორე სართულიდან. — რა მოხდა? კაცმა ეზო მორწყა, რა დიდი ამბავია, არ ვიცი?

— რას ამბობ, ანდრიკო, — ფანჯრის რაფაზე წითელლოყება ქალი გადმოიხარა, — კაცი პატივს გცემს, უნდა დააფასო.

— ჰო, ჩემი გულისთვის შეწუხდა სწორედ, როგორ არა! — ჩაიცინა ანდრიკომ. — კაცს დაცხა და ეზო მორწყა, რა მოხდა?

— მერე, ადამიანმა რომ თავის თავსაც ასიამოვნოს და შენც, რა მოხდაო უნდა სთქვა?

— არ ვიცი სწორედ! — დაემოწმა ულვაშა.

— საკვირველია, ანდრიკო, შენი საქმე.

— რას ერჩოდა, ნეტავი, ამ კაცს?

— მიდი, სარდიონ, მიდი, გენაცვალე, ყველას კი სუ დაუგდებ ყურს, — ურჩია ვიღაცამ.

ანდრიკოს გული მოუვიდა და ოთახში შებრუნდა. იქვე, აივნის კართან შეჩერდა — იქნება ჩემზე რამე სთქვანო.

მოწინააღმდეგის გაქცევამ სარდიონი გაახარა; წელში გაიმართა. რეზინის მილი ისე ამაყად ეჭირა, რომ წყლის ჭავლი საგულდაგულოდ გალესილ დაშნას დაემსგავსა. ნელა, ნაზად ამოძრავებდა ხელს, თითქოს საყვარელი ქალის სასელს ნხაპნიდა სილაზე.

მეზობლები სიგრილეს გრძნობდნენ, ალერსიანად დასცქეროდნენ სარდიონს.

— სხვა რომ არაფერი, — სთქვა მიხეილმა, — ფიზკულტურაცაა ეზოს მორწყვა.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ულვაშა და მაშინვე დაეჭვდა. — საღაური ფიზკულტურაა?

— აბა, ვლასოვი ნაღდად მეხანძრე იქნებოდა, — გაისმა აივანზე შეუმჩნევლად გამოსული ანდრიკოს ხმა, — ჩვენი კარტოზიაც.

სარდიონმა ონკანი დაკეტა და ზევით აიხედა.

— რა გინდა, ჰა! აღარ მომეშვები, ბიძია?

„ბიძია" ისე იყო ნათქვამი, უცენზურო სიტყვას უდრიდა. ანდრიკო პასუხის გასაცემად მოემზადა და დაფიქრდა. აშკარად ეტყობოდა, უწმაწური პასუხის თქმას აპირებდა. ლოყებლაჟლაჟა ქალმა, ელიკომ გადასწყვიტა ყურები დაეცო, მაგრამ უეცრად „ოჰო, ვინ ჩამოსულაო", მოესმა და ჭიშკრისაკენ გაიხედა. ეზოში ტანმორჩილი, გამხდარი მამაკაცი იდგა. იმ გაგანია სიცხეში შავი კოსტუმი ეცვა. კისერზე გაბზეკილი პეპელა-ჰალსტუხი ეკეთა, ხელში ორი დიდი ჩემოდანი ეჭირა. ეზო შრებოდა, მზე აცხუნებდა, ასფალტს ორთქლი ასდიოდა და გამხდარი მამაკაცი თითქოს ნისლში იდგა. მეზობლებს პატარა, სევდიანი თვალები მოავლო, თავი მდაბლად დაუკრა და უთხრა: „ეამარჯობათ, ხალხო"!

— ოჰ! — გაიკრიჭა ანდრიკო. — „ფოკუსნიკს" გაუმარჯოს. როგორ მოიარე რუსეთი, კარო?

— დიდი მადლობა, კარგად.

— რამდენი ხანია, აქ აღარ ყოფილხარ, შენი ბოქლომი დაჟანგდებოდა.

— არა უშავს, — ნაღვლიანად გაიღიმა კარომ, — თქვენი ნებართვით როგორმე გავაღებ.

მისი ოთახის კარზე, თითქმის ყოველთვის, პატარა ბოქლომი ეკიდა; კარო მსოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდა თბილისში. სხვა დროს გასტროლებზე დადიოდა სხვადასხვა ქალაქებში. მეზობლები დიდად არ აფასებდნენ. „გამარჯობის" მეტს არაფერს ეუბნებოდნენ ხოლმე. ხანდახან მაინც აუცილებელი იყო კაროსთან გამოლაპარაკება და ყველა ეჭვით ისმენდა მის მაღალფარდოვან სიტყვებს. ერთადერთი, ვინც ხშირად ელაპარაკებოდა, ანდრიკო იყო, მაგრამ კაროს არ უყვარდა ეს კაცი. არავინ იცოდა კაროს ასავალ-დასავალი, ნამდვილი სახელიც კი არ იცოდნენ მისი. „კარო" ამ პატარა კაცის ფსევდონიმი იყო. ეს გამხდარი მამაკაცი ჩვეულებრივად იქცეოდა, მაგრამ ყველა მაინც ეჭვის თვალით შესცქეროდა — კარო ილუზიონისტი იყო.

სარდიონმა კაროს ახედ-დახედა, რეზინის მილი დაახვია და შინ აიტანა. ანდრიკო მეორე სართულიდან დამცინავად დასცქეროდა კაროს, ის კი ეზოში იდგა, ხელში უზარმაზარი ჩემოდნები ეჭირა და ამაოდ უცდიდა, როდის გასცემდნენ ხმას. თვითონაც არ იცოდა, რუსეთის ქალაქებში ყოფნისას რატომ ენატრებოდა ხოლმე მეზობლები — ხალხი, ვის გვერდითაც წელიწადში სამიოდე თვე თუ ცხოვრობდა.

ხმას არავინ იღებდა და კარომ მისდაუნებურად რამდენიმე ზედმეტი მოძრაობა გააკეთა: ერთი ჩემოდანი სველ ასფალტზე დადგა, ხელი გულის ჯიბეში ჩაიყო, მერე ისევ ჩემოდანს დასწვდა და თავის ოთახისაკენ გასწია.

–

ბუხუტი სანიკიძე მეორე სართულზე ცხოვრობდა. სამსახურიდან შვიდის ნახევარზე ბრუნდებოდა, საშინაო ტანსაცმელს იცვამდა, ხელებს იბანდა და სადილობდა. მერე მეორე ოთახში გადიოდა, ტასტზე წამოწვებოდა და კედელზე ჩაშოკიდებულ დიდ საათს შეხედავდა. ამ დროს ყოველთვის რვის აოი წუთი იყო ხოლმე.

ბუხუტის ფიქრი უყვარდა. ნასადილევს დაძინება არ შეეძლო, რადგან ათას რამეზე ფიქრობდა. ტახტზე გულაღმა წამოწვებოდა და ძალაუნებურად განსჯა-მოსაზრებებში იძირებოდა. „ნეტავი ვინ უფრო მიყვარს, ჩემი სიძე სამა, თუ ჩემი რძალი ნაზიკო?" ეს მეტად ძნელი გადასაწყვეტი იყო, რადგან ბუხუტის ძალიან უყვარდა სიძეც და რძალიც. პასუხის გასაცემად აუცილებელი იყო ფანტაზიის მოშველიება. ბუხუტი ჯერ წარმოიდგენდა, თითქოს საშამ ხელი მოიტეხა. სიძის შეწუხებულ სახეს რომ წარმოიდგენდა, გული ეტკინებოდა. მერე იმავე მდგომარეობაში ნაზიკოს წარმოიდგენდა, ისევ ეტკინებოდა გული. არაფერი გამოდიოდა — ორივე ძალიან უყვარდა ბუხუტის. მაგრამ მან იცოდა, ცხოვრებაში ზუსტად ერთნაირი რომ არაფერი იყო და ისევ ფიქრობდა, მაინც რომელი უფრო მიყვარსო?

ბუხუტი გარინდებული იწვა და ათას რამეზე ფიქრობდა. მერე სიამაყით იხსენებდა, სამსახურში ძალიან ჭკვიანი კაცის სახელი რომ ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ ამ დროს სინდისის ქენჯნასაც განიცდიდა: იმათ რა იციან, ასეთ რამეებზე რომ ვფიქრობო.

მიხეილსაც ჭკვიან კაცად იცნობდა ხალხი. თავი ამაყად ეჭირა, თავშეკავებული კაცი იყო. რჩევა-დარიგების მიცემა უყვარდა, რაიმე კამათის დროს თანამოსაუბრეებს ჯერ ყურადღებით უსმენდა და თავის აზრს ყოველთვის ბოლოს გამოთქვამდა ხოლმე. ყველა აფასებდა მიხეილს. ელიკო ხომ აღმერთებდა — ქალების ჭკუა რა ვთქვი, თორემ ასეთი ადამიანი უცოლშვილო უნდა იყოსო? ამას ელიკო ისე ხშირად იმეორებდა, რომ ერთხელ თავშეკავებული სარდიონიც კი მოთმინებიდან გამოიყვანა — „ქალებისაგან რა

გინდა, შე ქალო, იქნებ მისეილს არ უნდოდა ცოლი?“ ამაზე ელიკომ უპასუხა, არა, სარდიონ, გინდაც არ სდომებოდა, იმ ქალების აღგილზე მაინც არ მოვუსვენებდიო.

ელიკო გაჭირვების დროს ყოველთვის მიხეილს მიაშურებდა ხოლმე. ერთხელ მასთან ძალიან აღელვებული მივიდა და თვალცრემლიანმა სთხოვა, შენი ჭირიმე, მიხეილ, ჩემი ბიჭი დაარიგე, ვილაცა გოგო და ეგ თურმე ერთმანეთს გადაჰკიდებიანო. მიხეილმა დინჯად მოუკიდა პაპიროსს, თავი გაიქნია და შეწუხებულ ქალს თვალი თვალში გაუყარა. მერე ჰკითხა, დღეს რა დღეაო. შაბათიაო, უპასუხა ელიკომ. მიხეილი დაფიქრდა, გუნებაში რაღაცა აწონ-დაწონა და, კარგი, სამშაბათს ყველაფერი რიგზე იქნებაო, უთხრა. ელიკოს გული მოუბრუნდა. იმავე საღამოს მიხეილი ეზოში იჯდა. ჭიდართან ერთი მერხი იდგა, იქ უყვარდა მისეილს ჯდომა. კარგახნის შელამებული იყო, ჭიშკარი რომ გაიღო და ელიკოს ვაჟი შემოვიდა.

— ბიძიკო, მოდი აქ!

ბიჭი მორცხვად მიუახლოვდა.

— ბამოჯექი აქ. რამდენი წლისა ხარ?

— ჩვიდმეტის.

— ეჰ! — ამოიოხრა მიხეილმა.

ერთ ხანს ჩუმად ისხდნენ. ბიჭი ცოტა გაკვირვებული იყო, მაგრამ არ იმჩნევდა.

— მე ახლა შენ რომ დაგარიგო, — დაარღვია სიჩუმე მიხეილმა, — როგორ გგონია, კარგი მენდომება შენთვის თუ ცუდი?

— კარგი.

— აბა, ყური დამიგდე, ორიოდე სიტყვა უნდა გითხრა: ახლა უკვე ჭკუა გმართებს. დღეიდან მარტო კი აღარა ხარ, ორნი ხართ, ორნი, — თვალთან ორი თითი მიუტანა მიხეილმა. ბიჭს შერცხვა და თავი ჩაღუნა. — ახლა ძალიან უნდა ერიდო უსიამოვნო შემთხვევებს, — განაგრძო მიხეილმა, — ქუჩაში ერთად რომ მოდიოდეთ და მთვრალი შეგხვდეთ, გვერდი უნდა აუქციო; თუ ამას ვერ შეძლებ, რასაც გეტყვის, ყველაფერზე დაეთანხმე. რომ გიოხრას, მუხას მსხალი აბიაო, აბიათქო, უთხარი, რა გენაღვლება. ხომ სწორი ვარ?

— დიახ, ძია მიხეილ.

— და საერთოდ... — მიხეილმა კარგასანს უყურა, — გესმის ჩემი?

— კი.

— მე რომ ახლა დაგარიგე, როგორ გგონია, კარგი მინდოდა შენთვის თუ ცუდი?

— კარგი.

— აბა, შენ იცი. უფროსებს დაუჯერე და კაცი გამოხვალ.

მაგრამ მიხეილი ყველასთან როდი იყო ასეთი ალერსიანი. დიტოს, მაგალითად, სულ სხვანაირად ელაპარაკებოდა. დიტო ოცდათხუთმეტი წლის კაცი იყო. საკმაოდ უზრდელი, ბრიყვი და ზარმაცი ადამიანი გახლდათ. დიტოს კაცად არავინ აგდებდა. ერთადერთი, ვისთანაც მას ხშირი ურთიერთობა ჰქონდა, მიხეილი იყო. მიხეილს ძალიან უყვარდა მერხზე ჯდომა, დიტოც ყოველთვის გვერდით მოუსკუპდებოდა ხოლმე. იცოდა, დაფასებული კაცი რომ იყო და ეტმასნებოდა.

ანდრიკოსი არ იყოს, მეზობლებს გულზე არც დიტო ეხატებოდათ. მას ყველაზე მეტად სარდიონი ვერ იტანდა. სარდიონი ოჯახის ერთგული, შრომისმოყვარე კაცი იყო. სამსახურიდან შინ ისე არ დაბრუნდებოდა, იღლიაში ამოჩრილი დიდი საზამთრო არ მოეტანა. იმ დღის შემდეგ, როდესაც ჩვენ პირველად მოვავლეთ ეზოს თვალი, გახურებულ ასფალტს აღარ რწყავდა — ვის უნდა ვემსახურო, ანდრიკოს თუ დიტოსო? სხვებიც აღარ რწყავდნენ ეზოს; რატომღაც ყველას ეგონა, სარდიონს ეწყინებაო. ისევ საშინელი სიცხეები იდგა. ყველას სული ეხუთებოდა, ასფალტს ბუღი ასდიოდა. არაქათგამოცლილნი ბრუნდებოდნენ სამსახურიდან, საღამოსანს გამოდიოდნენ გარეთ (ბუხუტი ოთახში რჩებოდა და ფიქრობდა), ზოგს სკამი გამოჰქონდა ეზოში, ზოგი მერხზე ჯდებოდა და ლაპარაკობდნენ, ანდა ჩუმად ისხდნენ. ცას უყურებდნენ და მსჯელობდნენ, გაწვიმდებოდა თუ არა.

კარო ფანჯრიდან შესცქეროდა მეზობლებს, კამათში ჩარევა უნდოდა, მაგრამ თავს იკავებდა. იცოდა, ყველა ეჭვით რომ შეათვალიერებდა, მის დანახვაზე ზოვიერთი აიმრიზებო-

და კიდეც. კაროს ძალიან უნდოდა მერსზე დამჯდარიყო და ყველასათვის ეამბნა, რა ლამაზი ქალაქია ლვოვი, მაგრამ თავმოყვარეობა ამის უფლებას არ აძლევდა და მოწყენილი კარო ისსესებდა ხოლმე, რომ „ლვოვში პატარა, კოსტა სახლებია: ორ-სამსართულიანი სახლები სჭარბობს. ტრამვაიც პატარაა და ვიწრო ლიანდაგზე დადის. ლვოვში დიდი თოვლი იცის. ქალაქის დიდ პარკში ტევა არ არის, ხალხი ციგურებით დასრიალებს, გორაკებიდან ციგით ეშვებიან. იქ თოვლი ისეთი ჩვეულებრივი ამბავია, რომ გუნდასაც კი ბშვიათად ესვრიან ერთმანეთს. ლვოვში სუფთა ქუჩებია. დნეპროპეტროვსკიც კარგი ქალაქია. როსტოვისა არ იყოს, ისიც ფერდობზეა გაშენებული..."

კაროს ეზოში ერთადერთი მეგობარი ჰყავდა — ნინიკო, ოთხი წლის გოგონა. კაროს ძალიან მოსწონდა ეს ბავშვი. ნინიკოს ქერა თმა და დიდი, ლურჯი თვალები ჰქონდა. მათი დამეგობრება ასე მოხდა: ერთხელ კარომ ეზოში დაინახა ნინიკო, დაბლა ჩამოვიდა, ხელი გაიქნია და მის თითებში ქაღალდის ყვავილი გაჩნდა. გოგონამ გაკვირვებით შეხედა კაროს და ხელი გაუშვირა. მერე ყვავილი შეათვალიერა და მადლობა გადაუხადა. გოგონას ბოხი, სასაცილო ხმა ჰქონდა. კარომ გაიღიმა და გამოლაპარაკება გადასწყვიტა:

— რა გქვია?

— ნინიკო, — ჩაიდუდუნა ეოგონამ.

— ვისი გოგო ხარ?

— დედიკოსი.

— მე კარო მქვია.

იმ დღის შემდეგ კაროს ყოველთვის გამზადებული ჰქონდა ქაღალდის ყვავილი. დაინახავდა თუ არა გოგონას, ხელს გაიქნევდა, ყვავილს გაუწვდიდა და პატარაც ბოხი ხმით მადლობას უხდიდა.

კარო და ნინიკოს დედა არც ესალმებოდნენ ერთმანეთს — მარიამი ძალიან გულჩათხრობილი გახდა მას შემდეგ, რაც ქმარი გარდაეცვალა. მანამდე მხიარული, ხალისიანი ქალი იყო, მაგრამ ამ მოულოდნელი უბედურების შემდეგ სულ განმარტოვდა.

ქალს მხოლოდ პატარა ნინიკო დარჩა ნუგეშად, ქერათმიანი, ლურჯთვალება ბავშვი.

ჟაუჩუკის ხე

ერთხელ კარომ სტუმარი მოიყვანა. საღამოვდებოდა, მიხეილი და დიტო მერხზე ისხდნენ. ანდრიკო აივანზე იჯდა და გაზეთს კითხულობდა, მარიამი ეზოში სარეცხს ჰფენდა.

მხრებგანიერ, მოქნილ ქალს ყველამ ინტერესით შეხედა. კაროს სტუმარს სევდიანი და მაინც ოდნავ თავხედური გამომეტყველება ჰქონდა. ამ ქალმა მეზობლების დაჟინებული ზზერის მიუხედავად, ძალიან თავისუფლად აიარა ხვეული კიბე და სანამ კარო ბოქლომს აწვალებდა, რაღაც გესლიანად ჩაილაპარაკა მეზობლებზე. მასპინძელს სახეზე არაფერი დასტყობია, პასუხისაგან თავი შეიკავა, კარი გააღო და ქალი თავაზიანად შეიპატიჟა. მეზობლები დაფიქრდნენ, მერე ერთმანეთს გადახედეს, ცდილობდნენ გამოეცნოთ, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდათ კაროს და იმ ქალს.

კარომ ყავა აადუღა და ფინჯნებში დაასხა. ქალმა ოდნავ მოსვა და ტუჩი ენის წვერით აილოკა.

— მოგწონს, როზეტა?

— რა უშავს. შენ უშაქროდ სვამ?

— კი.

ეს იყო და ეს. მერე კარგა ხანს ხმა არ ამოუღიათ. კაროს საყვარელი ფირფიტა მოძებნა და ყველამ გაიგონა „არაბული ტანგოს“ ნაღვლიანი მელოდია. კარო ქალთან მივიდა, შეხედა და წელზე ხელი მოხვია. ნელა, მძიმედ ეკეკავდნენ. ქალი ოდნავ მაღალი იყო, მაგრამ კაროს ისე ღირსეულად ეჭირა თავი, რომ მისი სიდაბლე არც იგრძნობოდა.

— რას აკეთებენ ნეტავ? — იკითხა მიხეილმა. დიტომ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. თავში ეშმაკური აზრი მოუვიდა და მიხეილს გაუღიმა.

— რავა წიწილაჭამია ლეკვივით იკრიჭები, ბიჭო.

დიტომ ისე უცბად მოიწყინა, რომ მიხეილს მაშინვე გული მოუღლია, — ეჰ, სთქვი, სთქვი!

დიტომ მიმოიხედა და ტუჩები ყურთან მიუტანა.

— ვითომ? — ჩაილაპარაკა მიხეილმა, ყური გამოიწმინდა და კაროს ფანჯარას ახედა.

ანდრიკო ოთახში შებრუნდა და უფროს შვილს — ათიოდე წლის ბიჭუსას — უთხრა, კაროსთან მიდი, მამამ მანეთი მასესხეო, ასე უთხარი.

მარიამი ეზოში სარეცხს ჰფენდა, ძალაუნებურად ყურს უგდებდა ტანგოს. მერხზე ჩამოჯდა, მაგრამ ეზოში მაშინვე დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა.

— კიდევ ვიცეკვოთ? — ჰკითხა ქალს კარომ.

— ვიცეკვოთ.

მარიამი წამოდგა, ვარდისფერი პირსახოცი დაბერტყა და თოკზე გადაჰკიდა.

კაროს ძალიან გაუკვირდა, კარზე რომ მიუკაკუნეს.

— მამამ მანეთი მასესხეთო.

— კი, ბიჭიკო, — ჯიბეში ხელი ჩაიყო კარომ და საფულე ამოიღო, — იქნებ მეტი გჭირდებათ, ჰა?

— რა ვიცი, მანეთი მასესხეთო.

— გესმის, ალაპარაკდნენ, — აცმუკდა დიტო.

ბიჭი ისე გავიდა ოთახიდან, კარი არ მიუხურავს. კარომ ხელი მსუბუქად ჰკრა სახელურს და სანამ ჯახუნი გაისმოდა, ქალს მიუბრუნდა:

— ვიცეკვოთ, როზეტა?

— ვიცეკვოთ, კარო.

— რას აკეთებდნენ, ბიჭო? — ანდრიკომ ჩაიმუხლა და შვილს თვალი თვალში გაუყარა.

— არაფერს. აი, მანეთი.

— იჰ...

— რამ აგაცუნდრუკა, კაცო? — დაინტერესდა მიხეილი.

— კიდევ უკრავენ.

— მერე შენ რა?

— მე? არაფერი.

— ჰოდა, იჯექი ჩუმად და ნუ იკრიჭები.

კარო და მისი სტუმარი ნელა, მძიმედ ცეკვავდნენ, კარიე ქალს მხარზე ჩამოადო თავი. იგი ცეკვავდა, ფიქრობდა და თვალწინ ედგა შაბლონური, მაგრამ მაინც სასიამოვნო სურათი — ზღვის ნაპირი, ზღვა, კლდე, ტალღები და ძალიან შორს, ცის კიდურზე, თეთრი იალქანი.

ბუხუტი სანიკიძე ტახტზე იწვა და „არაბულ ტანგოს" უსმენდა.

მარიამი ისევ ჩამოჯდა მერხზე. როცა სიმღერას ისმენდა, ეგონა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, უფრო მეტიც — მას ამ დროს სასწაულისა სჯეროდა. სიმღერის დამთავრების შემდეგ კი ძალიან წყდებოდა გული.

ანდრიკომ აღარ იცოდა, რა ექნა. ძალიან აღიზიანებდა „არაბული ტანგო". მაგიდის უჯრა გამოაღო და ელექტროსამართებელი მოიმარჯვა. ძველი ელექტროსამართებელი სრიგინებდა და ანდრიკოს სიმღერა აღარ ესმოდა.

ტანგო დამთავრდა და გულნატკენი მარიამი ისევ სარეცხს მიუბრუნდა: სველი პირსახოცი გაწურა, დაბერტყა და თოკზე გადაკიდებას აპირებდა, როცა კარო და მისი სტუმარი გამოჩნდნენ. მარიამმა ქალს შეხედა და ძალაუნებურად დააკვირდა. მოქნილი, თამამი ქალი იყო როზეტა. მიხეილს შესედა და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, დიტოს შესედა — გააწითლა კაცი.

ანდრიკოს ძალიან მოეწონა ქალის ტან-ფეხი, მისი სახის დანახვაც მოუნდა. აღარ იცოდა, რა ექნა. ბოლოს მოიფიქრა — ასანთის კოლოფი აიღო და ეზოში გადაადგა. კოლოფი ქალის დაბალქუსლიან ფეხსაცმელთან დაეცა. კარომ და მისმა სტუმარმა მაშინვე ზევით აიხედეს, მიხეილმა და დიტომაც აიხედეს ზევით.

— ბოდიში, ქალბატონო, — ანდრიკომ თავაზიანად დაუკრა თავი.

— არა უშავს, — უთხრა კარომ, — ხდება ხოლმე.

ქალი აიმრიზა, გაბრაზებულმა შეათვალიერა ანდრიკო და ჭიშკრისაკენ გაემართა. კაროც უკან მიჰყვა, მაგრამ მაშინვე შემოესმა ანდრიკოს თხოვნა — „თუ შეიძლება, ასანთი ამომიგდეთ."

— ვის ეუბნებით? — დაინტერესდა კარო.

— ჰა? — დაიბნა ანდრიკო, — თქვენ ვეუბნებით, აბა, თქვენს ეშვენიერ სტუმარს ხომ ვერ ვეტყოდი?

— რატომ არ მეტყოდით? — დაინტერესდა ქალი.

— ჯერ ერთი, უხერხული იქნებოდა, — მორცხვად სთქვა ანდრიკომ, მერე ხმაში ისევ თაკხედობა შეეპარა, — მეორეც ის, რომ თქვენისთანა სუსტ არსებას ვერ შევაწუხებდი.

„ძლიერმა არსებამ" — დიტომ ხმამაღლა გაიცინა. მიხეილმაც ჩაიცინა და ქალს ამაყად დააცქერდა. ქალი ძალიან გაბრაზდა და მიმოიხედა. უკან ღაბრუნდა, ფეხები განზე გადგა, პატარა ჩანთა კაროს ხელში შეაჩეჩა, უკან გადაიზნიქა, თავი მიწას მიუახლოვა, გაშეშებული მეზობლების თვალწინ ასანთის კოლოფი პირით აიღო და კვლავ წელში გაიმართა, კოლოფი მარჯვენა ხელში მოიქცია, მარცხენათი ტუჩი მოიწმინდა, მერე ხელი მოიქნია და ასანთი აივანზე მარჯვედ შეაგდო, — ინებეთო. შემდეგ კაროს ხელი გამოსდო, ჭიშკართან ცოტა ხნით შეჩერდა, პირდაღებულ მეზობლებს თვალი მოავლო, გაუცინა და ანდრიკოს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა — ისედაც ეაოგნებულ და დამარცხებულ კაცს აშკარად დასცინა.

ორიოდე წუთი გავიდა, ხმა არავის ამოუღია. გაკვირვებით შესცქეროდნენ ჭიშკარს, საიდანაც ქალი და კარო გავიდნენ.

სხვებზე ადრე მიხეილი გამოერკვა. სახე დამანჭა და სიქვა, მე რომ მაგისთანა ქალიშვილი მყავდეს, ყელს ფრჩხილით გამოვჭრიდიო.

ჩვენს ეზოში სასწაული ხდება

ისეთი საშინელი სიცხეები არავის ასსოვდა. ასფალტი დნებოდა, ფეხსაცმლის ანაბეჭდი მიწაზე გარკვევით ჩანდა. სიცხით გაბრუებული, არაქათგამოცლილი მეზობლები უაზროდ შესცქეროდნენ ერთმანეთს, უიმედოდ ათვალიერებდნენ ცას და ნაღვლიანად ჩაიქნევდნენ ხელს — არა, არ გაწვიმდებაო.

საქმეს ეზოს მორწყვაც არ შველოდა — ორთქლს ღია ფანჯრებში ასფალტის ბუღი შეჰქონდა და ამაზეც ხელი ჩაიქნიეს.

საერთოდ ყველაფერზე ჩაიქნიეს ხელი, მოიწყინეს, დანაღვლიანდნენ, მოეშვნენ. ერთხელ სამსახურიდან დაბრუნებულ სარდიონს საშაშთრო კიბეზე დაუვარდა და გასკდა. მერე თითქოს შეეგუენ სიცხეს — რაუდენმა სთქვა, ზაფხულში უნდა ცხელოდეს, აბა როგორ გინდათო. ეს მშვენიერი აღმოჩენა იყო, ამ აზრმა საუცხოოდ იმოქმედა მეზობლებზე, აუტანელი სიცხე მათთვის უცებ ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. არ ნოულაპარაკებიათ, მაგრამ თითქოს დააკანონეს, რომ სიცხეზე კრინტი არავის დაეძრა. ძველებურად ესალმებოდნენ ერთმანეთს, ათას რამეს ჰყვებოდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ, მაგრამ ხანდახან მაინც მოიწყენდნენ, ჩუმად ისხდნენ და ფიქრობდნენ ზაფხულის შხაპუნა, მხიარულ, თავაწყვეტილ წვიმაზე. ფიქრიც კი ერთგვარ ღალატად ითვლებოდა, რადგან ყველა გრძნობდა, რაზე ფიქრობდა უეცრად მოწყენილი თანამოსაუბრე და ამიტომ, თავი რომ შეეკვიათ, გასართობ ამბებს იგონებდნენ.

მარიამს ბავშვი აგარაკზე ჰყავდა გაგზავნილი. კარომ რამდენჯერმე დააპირა გამოლაპარაკებოდა ქალს, ბავშვის ამბავი გამოეკითხა, მაგრამ თავს იკავებდა. ერთხელ მარიამმა მოზრდილი ყუთი — ბავშვისთვის გასაგზავნი ამანათი — ეზოში გამოიტანა და სარდიონს სთხოვა, დამიჭედეო. კარო მათთან მივიდა, ხელი გაიქნია და მარიამს ქაღალდის ყვავილი გაუწოდა, ესეც გაუგზავნეთ თქვენს პატარა ნინიკოს, იგი მიხვდება, ესოდენ მცირე საჩუქარს ვინც უგზავნისო.

გაკვირვებულმა მარიამმა ყვავილი ყუთში ჩადო და კაროს მადლობა გადაუხადა.

ამ შემთხვევამ დაინტერესა მეზობლები — მოდით, კაროს ვთხოვოთ, იქნებ თავისი ნომრები გვაჩვენოსო.

ერთხელ, როცა კარო შინ ბრუნდებოდა, დიტო ფრთხილად მიუახლოვდა და უთხრა: — პატივცემულო, მეზობლები ვთხოვენ, გვაჩვენო შენი ნომრები, ძალიან გთხოვთ...

კარო დათანხმდა:

— რომელ საათზე გნებავთ?

— დღეს შეიძლება?

— რა თქმა უნდა...

— აბა, შვიდ საათზე გვიჩვენე.

— შვიდზე იყოს, — სთქვა კარომ, — კეთილი და პატიოსანი.

საღამოს შვიდ საათამდე კარომ საგულდაგულოდ გაიუთოვა თეთრი პერანგი და ფრაკი, საყელოზე პეპელა-ჰალსტუხი შეიბაგრა, დანიშნულ დროზე გამოცხადდა ეზოში და მეზობლებს თავი ადაბლად დაუკრა.

მეზობლებს ეზოში სკამები ჩაეტანათ, ერთრიგად ისხდნენ და უნდობლად შესცქეროდნენ კაროს.

კარომ ყველანი შეათვალიერა, აშკარად ეტყობოდა, რომ ღელავდა, შემდეგ ჩვეულებრივი გაზეთი გაშალა, ყველას აჩვენა ორივე მხრიდან და მეზობლების ცხვირწინ ნაკუწ-ნაკუწად აქცია, ხელში მოჭმუჭნა, ბოლოს ხელი გაშალა და... მეზობლების თვალწინ გაზეთის ნახევები აფრიალდა. არ გამოუვიდა კაროს ჩანაფიქრი.

მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს, კარო წამოწითლდა, ერთ ხანს დაბნეული იდგა. მერე გამბედაობა მოიკრიფა და სთქვა: — არა ვარ შეჩვეული ეზოებში გამოსვლას...

დიტომ ჩაიფრუტუნა, ყველა დამცინავად შეაცქერდა კაროს. იგი ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს. ოთახისაკენ გასწია, გზაში შემოტრიალდა და თავის გამართლებას შეეცადა — ჩემი სტიქია ესტრადაა.

მარიამს ძალიან შეეცოდა კარო, თვალი გააყოლა.

ბუხუტი სანიკიძე იმ საღამოს „გრაფიკიდან ამოვარდა", ეზოდან რომ ამობრუნდა და ტახტზე წამოწვა, უკვე რვა საათი სრულდებოდა. იგი მხნედ გრძნობდა თავს და წარმოიდგინა, თითქოს წვიმა მოვიდა. ფანჯრის რაფაზე დაცემული წვეთების ხმაური მისმა სიძემ — საშამ გაიგონა. ნაზიკოსაც ძალიან გაესარდა ეს ამბავი, ძლივს არ წამოწვიმაო? გრილი ჰაერით ტკბებოდნენ, გახარებულნი ისხდნენ ოთახში და წვიმის ხმაურს ყურს უგდებდნენ.

ვიღაცამ დაკაკუნა. კარო შეკრთა, თვალმოჭუტულმა გაიხედა კარისაკენ. ზღურბლზე მარიამი იდგა. კარო ფეხზე წამოდგა და სტუმარს შეეგება.

— დაბრძანდით.

— გმადლობთ, ერთი წუთით შემოვიარე, — უთხრა მარიამმა და სკამზე ჩამოჯდა.

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ.

— გუშინწინ ჩემი ნინიკო ვინახულე.

— მართლა? — გაიღიმა კარომ, — ხომ კარგადაა?

— კარგად არის, გმადლობთ.

— წაღვერში ისვენებს, არა?

— დიახ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. კარო ყოყმანობდა, გამოეტანა თუ არა სტუმრისათვის ორიოდე დღის წინათ ნაყიდი ლეღვის მურაბა, მაგრამ გადაიფიქრა, ვაითუ არ მოეწონოსო.

— ჩემს გოგონას ძალიან მოენატრეთ.

— მართლა? — ეაეხარდა კაროს.

— სულ თქვენ გახსენებდათ ყვავილისათვის დიდი მადლობა დამაბარა.

— ეჰ, ის რა ყვავილია...

— რატომ, მე მომწონს.

— მართლა? — ეაეხარდა კაროს, — ერთი წუთით მიტრიალდით, თუ შეიძლება.

მარიამმა ზურგი შეაქცია და სმენად გადაიქცა. უჯრის ხმაური შემოესმა.

— შეგიძლიათ მოტრიალდეთ.

მარიამი ყურადღებით შეაცქერდა კარომ ხელით სწრაფი მოძრაობა გააკეთა — ინებეთ!

ქაღალდის სიფრიფანა ყვავილი იყო. მარიამმა გაიღიმა.

— გინდათ სხვა ნომრებიც გიჩვენოთ?

— რა თქმა უნდა.

კარო ეშხში შევიდა. საწოლის ქვემოდან დიდი ყუთი გამოათრია, მერე ფრაკის სახელოები დაიკაპიწა, ყუთიდან ჩვეულებრივი გაზეთი ამოიღო. ორივე მხრიდან აჩვენა, შემდეგ მარიამის თვალწინ ნაკუწ-ნაკუწად აქცია, ხელში მოჭმუჭნა, მერე ხელი გაშალა და...მარიამის თვალწინ ისევ მთელი გაზეთი აფრიალდა.

გაოცებული მარიამი კაროს გამხდარ ხელებს დააკვირდა.

საოცარი იყო, კაროს ხელში არაფერი ეჭირა — მარიამთან ახლოს მივიდა და ხელები დაანახვა. უცებ მის თითებში პაპიროსი გაჩნდა, კარომ პაპიროსი პირთან მიიტანა და გააბოლა! მერე კარომ პირდაპირ იატაკზე დააგდო პაპიროსი, ფეხიც და-

ადგა, ისევ სწრაფი მოძრაობა გააკეთა ხელით და... მის თი-თებში ახალი პაპიროსი გაჩნდა, არხეინად გააბოლა.

მარიამმა ლოყაზე ჩამოისვა ხელი.

ჯერ სად იყო... კარომ ქაღალდისაგან პარკი გააკეთა, მერე ჭიქიდან წყალი ჩაასხა, პარკი გადმოატრილა და... იატაკზე ერთი წვეთიც კი არ დაცემულა. კარომ პარკი გახსნა, მარიამს მშრალი ქაღალდი აჩვენა, ისევ გააკეთა პარკი, გადმოატრიალა და წყალი იატაკზე გადააქცია.

ნუთუ მართლა არსებობდა სასწაული?

როგორ არ არსებობდა — კარომ მარიამს ჩვეულებრივი ჯოხი აჩვენა, მაგიდაზე დააკაკუნა, დაიქნია და... ჯოხი ყვავი-ლების თაიგულად გადაიქცა. თაიგული მოჭმუჭნა, მუჭში ჩა-მალა, მერე თითები ნელა გაშალა და... რის ყვავილები, რა ყვავილები — მარიამს ჩვეულებრივი კვერცხი დაანახვა. მაგი-დიდან ყუთი აიღო, თავი ახადა და გადმოატრიალა. ყუთში არაფერი იყო. კარომ ყუთი ისევ მაგიდაზე დადო, შიგ კვერც-ხი ჩადო და თავსახური დაახურა. მერე ყუთს შავი ნაჭერიც გადააფარა, მარიამს შეხედა, შავი ნაჭერი შორს მოისროლა, ყუთს თავი ახადა და... ჰოი, საკვირველებავ — ყუთიდან ყავის-ფერი მტრედი ამოფრინდა!

კარომ მარიამს შეხედა, გამოცვლილი ეჩვენა ქალი. დიდ-სანს უყურა მას და მიხვდა, რომ ქალი სადაც იყო, ატირდებო-და, მხრები აუცახცახდებოდა, თავს ხელებში ჩარგავდა და ნაწ-ყვეტ-ნაწყვეტად იტყოდა: „კარო, კარო, ძვირფასო!..“

მარიამს თვალი მართლაც ცრემლით აევსო. კარო მიუახ-ლოვდა ქალს და ხმადაბლა უთხრა — „მე დიდი ხანია, ოჯახ-ზე ვოცნებობ“.

რამდენიმე დღის შემდეგ წვიმაც მოვიდა. გათენებისას წა-მოწვიმა — ჯერ რამდენიმე წვეთი დაეცა ეზოში, მერე სახურავ-ზე ასტუნავებული წვეთების ჩუმი გუგუნი გაისმა და...

წვიმს, სასიამოვნო სიგრილეა, ახლად გამოღვიძებული მე-ზობლები ყურს უგდებენ წვიმას, გაუნძრევლად წვანან და ბუ-რანში მყოფთ ძალიან უხარიათ, რომ წვიმა მოდის. სახურავ-ზე მსხვილი წვეთები ეცემა, მილში წყალი მოჩხრიალებს. ეზო-ში პატარა გუბეები დადგა. გუბეში მოჩანს პატარა, ორსარ-

თულიანი სახლი და ცახცახებს. ფანჯრის რაფებზე გაუთავებელი რაკარუკია, მეზობლები კი ბურანში არიან, ყველას ეზარება ადგომა. ოთახი სავსეა წვიმის წვეთების ხმაურით და ყველას ასე ჰგონია, თუ საბნიდან ფეხს გამოჰყოფენ, მაშინვე დაუსველდებათ. წვანან ასე ბურანში და ყურს უგდებენ წვიმას. გარეთ კი მართლა წვიმს — ჩვენს ეზოში ზაფხულის შხაპუნა, მსიარული, თავაწყვეტილი წვიმა მოდის.

1964 წ.

ეიხეილი და ალექსანდრე

1

ალექსანდრე ჯერ ხუთი წლისაც კი არ იყო, ყველა ნიჭიერს რომ ეძახდა. ბავშვმა არ იცოდა, რაში გამოიხატებოდა მისი ნიჭი. რატომღაც არ სიამოვნებდა, მოურიდებლად რომ აქებდნენ და სტუმრებს ემალებოდა. მხრებზე ტვირთად აწვა მახლობელთა ქება და იმედები.

ეს კი იყო, ალექსანდრეს ხატვა უყვარდა — ხეს ყავისფერი ტოტები ჰქონდა, ტოტებზე მწვანე ფოთლები ხარობდა. ზღვა ლურჯი იყო, წითელი გემიდან შავი ბოლი ამოდიოდა და ცაში იკარგებოდა. შავი თევზები გაბრტყელებულიყვნენ ზღვის ზედაპირზე. სახლს კედელი, ფანჯარა და კარი ჰქონდა, სახურავიდანაც დაკლაკნილი ბოლი ამოდიოდა. მზე ყვითელი იყო, ანდა წითელი, მოკლე სხივები ჰქონდა. ცაში გამჭვირვალე თეთრფრინავი ეკიდა.

ზამთრობით ალექსანდრეს გასასეირნებლად რომ გამოიყვანდნენ, პირდაპირ საცოდაობა იყო ბავშვის ყურება — ალექსანდრეს მძიმე, ყურებიანი ქუდი ეხურა, პალტოს ქვეშ ორი ჯემპრი ეცვა და კაშნე ისე მაგრად ჰქონდა მოჭერილი, სულს ძლივს ითქვამდა. თავს გვერდზე ველარ ატრიალებდა; ვინმე გამვლელი თვალში რომ მოუვიდოდა, მთელი ტანით შემოტ-

რიალდებოდა, ამნაირად თუ გააყოლებდა მზერას. ისე იყო გაკოჭილი, ტირილსაც ვეღარ ბედავდა.

ალექსანდრე შვიდი წლისა რომ შესრულდა, სკოლაში შეიყვანეს. მუსიკალურ სკოლაშიც ამეცადინებდნენ, ვიოლინოს გაინცრით. თუმცა ალექსანდრეს კარგი სმენა ჰქონდა, ვიოლინოზე დაკვრა მაინც არ ეპიტნავებოდა. ძალიან ცოტას მეცადინეობდა და მაინც ხუთები ჰქონდა. იქნება მართლა ნიჭიერი იყო ალექსანდრე?

თუ მოეწყინებოდა, ხატავდა. ახლა მის ზღვაზე გემებთან ერთად ნავებიც ტივტივებდნენ, თვითმფრინავიდან პარაშუტით ხტებოდნენ მამაცები, სწორუპოვარი კაპიტანი გემის საჭესთან იდგა. ხატვა დიდად არ სიამოვნებდა, უბრალოდ, დრო გაჰყავდა.

ვიოლინოზე მეცადინეობასაც ძალაუნებურად შეეჩვია. იცოდა, დღეში ორი საათი აუცილებლად რომ უნდა გაეწირა და უხალისოდ, მაგრამ მაინც ყოველდღე უკრავდა, სკოლაშიც ხუთები ჰქონდა, თავისუფალი დრო მაინც რჩებოდა და მხატვრული კითხვის წრეში შეიყვანეს. იქაც უხალისოდ კითხულობდა მხიარულ მოთხრობებსა და ლექსებს.

მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდებოდა, ველოსიპედზე რომ შეჯდებოდა ხოლმე. იმ დროს რომ დაგენახათ, ვეღარც იცნობდით. ველოსიპედს ალმა-დალმა დააქროლებდა, მანქანებს ეჯიბრებოდა, ბევრჯერ იტკინა ხელ-ფეხი, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა. სხვა დროს რომ შეგეხედათ, ვერც დაიჯერებდით, ალექსანდრე ასეთი გადარეული თუ იყო.

საერთოდ კი ჩუმი ბავშვი გახლდათ, სმას იშვიათად თუ ამოიღებდა, რადგან მხატვრული კითხვის წყალობით ყოველი სიტყვის წარმოთქმისას დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა. ვიოლინოზე დაკვრა ისევ ეზარებოდა და ცოტათი სინდისიც აწუხებდა — საბოლოოდ მასწავლებელს იმედებს ვერ გავუმართლებო. მაინცდამაინც არც ტოლებთან თამაში ეხალისებოდა. კიდევ კარგი, ველოსიპედი ეგულებოდა.

შვიდწლედი რომ დაამთავრა, მუსიკალურ ტექნიკუმში შეიყვანეს; აქ ალექსანდრე ორკესტრში მეცადინეობასაც გადიოდა. ძალიან მკაცრი დირიჟორი ჰყავდათ, ბავშვებს არ უყვარდათ ის კაცი. ალექსანდრესათვის ორკესტრში დაკვრა წამება

იყო, მაგრამ ერთხელ ძველი დირიჟორის ნაცვლად სარეპეტიციო დარბაზში სწრაფი და მსნე ნაბიჯით შემოვიდა გამართული კაცი, უეცრად შეჩერდა, მოსწავლეები შეათვალიერა, გაიღიმა და თქვა:

-- გამარჯობათ, გვრიტებო, მე თქვენი ახალი დირიჟორი ვარ.

ბავშვები პირდაღებულნი შეაცქერდნენ, კაცმა გაიცინა, უეცრად ძალიან სერიოზული სახე მიიღო და თავი დახარა:

— მიხეილ სანაძე! ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით...

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს, ახლადშემოსულმა კი საქმიანად გამოაცხადა:

— გთხოვთ დაიკავოთ ადგილები, რომელია კონცერტმეისტერი? ძალიან კარგი, რას უკრავთ? ო, ფრანც შუბერტი დიდებულია, აბა, ავაწყოთ ინსტრუმენტები... არა, სწორი არ არის, — სახე მოჭმუხნა და წაიღიღინა: — ლა-ა...

ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ახალ დირიჟორს აბსოლუტური სმენა ჰქონდა — მის მიერ აღებული ნოტი როიალზე შემოწმდა.

— ბოდიში, როგორ მოგმართოთ ხოლმე? — ჰკითხა პირველმა ვიოლინომ.

— მამის სახელს გეტყოდით, მაგრამ რა საჭიროა ასეთი ფორმალობა, მაესტრო დამიძახეთ.

მშვენივრად ამბობდა ამ სიტყვას — „მაესტრო". „მაეს"-ს ისე იძასდა, თითქოს ზევით, ცისკენ მიფრინავდა; ოდნავ მოლუნულიც რომ ყოფილიყო, მაშინვე გასწორდებოდა და ისე იტყოდა — „მაეს"...შემდეგ კი „ტრო"-ს ისეთი ნაზი თრთოლვით წარმოთქვამდა, თითქოს ამ მარცვალს წვრილი თოკი ჰქონდა გამობმული და ისე არხევდა. მოკლედ, მაშინვე შეაყვარა ბავშვებს ეს სიტყვა.

— აბა, ვახსენოთ ღმერთი და დავიწყოთ, — მსნედ წარმოთქვა და ხელები მაღლა ასწია. — ვუკრავთ შუბერტს!

დაიწყეს თუ არა, მაშინვე ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა:

— საწყალი ფრანცი თქვენს ხელში. აბა, მიპასუხეთ, ყურები რომ ჩამოგიყრიათ, რა სწერია, როგორ დაუკარითო?

— ფორტისიმო.

— მერე, ეგ სიტყვა რას ნიშნავს?

— „ძალიან ხმამაღლას" ნიშნავს, მაესტრო, — უთხრა პირველმა ვიოლინომ.

— მერედა, დღეს არაფერი გიჭამიათ? ქალაჩუნებო...

მერვეკლასელი ბიჭებისათვის ეს დიდი შეურაცხყოფაა. მათ ვიოლინოები, ალტები და ჩელოები მოიმარჯვეს და მოემზადნენ, მაგრამ მაესტრო მიხეილმა თქვა: მისმინეთ, ჭაბუკებო და ეოგონებო. მე თქვენ გასწავლით, როგორ უნდა დაუკრათ ფორტისიმო, — იგი ჩაფიქრდა. საოცარი სახე ჰქონდა ამ კაცს — თუმცა ხშირად იღიმებოდა და თვალები უციმციმებდა, მაინც დანაღვლიანებული გეგონებოდათ.

— დიდი ხნის წინათ, — დაიწყო მაესტრომ, — ცხოვრობდა ერთი კაცი — სამსონი. იგი ძალიან ღონიერი და ამასთანავე სამართლიანიც იყო. მისი ძალა მისივე თმაში იმყოფებოდა, — მაესტრომ თავზე გადაისვა ხელი. — და აი, ერთხელ, მას მიეპარა ბოროტების მოციქული და თმა მაკრატლით შესჭრა, გამოეღვიძა თუ არა კეთილ სამსონს, მაშინვე დიდი ხის გადატეხვა მოუნდა, ხელი წაჰკრა, მაგრამ თვითონვე წაიქცა. შემდეგ წამოდგომაც კი გაუჭირდა.

მიხეილი ბავშვების ასაკს ითვალისწინებდა და დარწმუნებული იყო, მის ნაამბობს სასურველი შედეგი რომ მოჰყვებოდა. ამიტომაც ძალზე ხალისიანად ლაპარაკობდა.

— ძლივს დაიარებოდა ჩვენი ბეჩავი სამსონი, — განაგრძობდა მაესტრო, — ასლა მასავით უძლური აღარავინ იყო დედედამიწის ზურგზე. ბარბაცებდა, დალასლასებდა იგი. ერთხელ გულმა ვეღარ მოუთმინა და ზეცას შესთხოვა — ღმერთო, ღმერთო, დამიბრუნე ძალაო. ღმერთს შეეცოდა სამსონი და დაუბრუნა ძალა. გახარებული სამსონი დიდ მთას დაეძგერა, ხელები შემოხვია და სულ დაფშვნა. გესმით, — ფეხზე წამოდგა მაესტრო, — მთა დაფშვნა, უშველებელი მთა, გესმით, როგორ მოხშუის მიწა, მძიმე ლოდები ენარცსებიან, აი, ესაა ფორტისიმო! აბა, ვითომ სამსონები ხართ, დასცსეთ, აბა! — მაესტრომ ხელი დაიქნია თუ არა, მოსწავლეების სემებიც გამეტებით ეძგერა სიმებს. რაღაც გასაოცარი ხმები გაისმა, ორ მოსწავლეს სიმებიც კი გაუწყდა, მგრძნობიარე მაესტროს კანი აებურძგლა, მაგრამ...

— ბრავო, ბრავისიმო, — შეაქო მან მოსწავლეები, — თქვენია მომავალი.

პატარა ხნით ჩაფიქრდა, შემდეგ თავაზიანად გამოაცხადა:

— ცოტა ნელა დაუკარით, ყმაწვილებო, სამსონი მსოლოდ ერთი კაცი იყო.

ალექსანდრე მხატვრული კითხვის წრეში ისევ დადიოდა. იქ მთელი წლის განმავლობაში სწავლობდა, თუ როგორ უნდა წაეკითხა მხატვრულად ოვანეს თუმანიანის პოემა „ერთი წვეთი თაფლი". ვიოლინოზე დაკვრას განაგრძობდა, სხვა მუსიკალურ საკნებსაც ასწავლიდნენ. ერთი სიტყვით, ალექსანდრეს ხელოვნებასთან გარკვეული კავშირი ჰქონდა, მაგრამ ეგრეთწოდებული აღმაფრენა აკლდა. ერთადერთი მასწავლებელი, ვისი დანახვაც ამხიარულებდა, მაესტრო მიხეილი იყო, მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ ორკესტრში ახალი დირიჟორი მოვიდა. მას ძალიან ამაყად ეჭირა თავი, თანაც ტრაბახი უყვარდა — თურმე ერთხელ ბორჯომის პარკში დირიჟორობდა და მოულოდნელად სინათლე გადაიწვა. არ დავიბენიო, უამბობდა ბავშვებს ახალი დირიჟორი, ხელზე ცხვირსახოცი შემოვიხვიე, ორკესტრანტებმა თეთრი ნაჭრის მოძრაობა დაინახეს და რიტმი არ დაიკარგაო. მუსიკოსები სიბნელეში ნოტებს როგორ არჩევდნენ, ამაზე არაფერი უთქვამს. ალბათ, ზეპირად თუ იცოდნენ. მოკლედ, კაცი ვერ გაიგებდა, ტყუილს ამბობდა თუ მართალს, ალექსანდრე კი ეჭვით შესცქეროდა მას და ძველი მაესტრო ახსენდებოდა.

მეთერთმეტე კლასში ალექსანდრე საბოლოოდ დარწმუნდა, მისგან პროფესიონალი მუსიკოსი რომ არ გამოვიდოდა. მეცადინეობაზე ხელი აიღო და თავს დამნაშავესავით გრძნობდა, როცა თავის ვიოლინოს უყურებდა — ტყუილად ნაწვალებ ვიოლინოს. მხატვრულ კითხვასაც თავი მიანება. რამდენჯერმე მაესტრო მიხეილი დაინახა ქუჩაში. მაესტრომ არსეინად სიარული იცოდა, გუნებაში რომელიმე ნაწარმოებს ღიღინებდა და ამ ნაწარმოების ტემპის შესაბამისად დადიოდა — ხან სწრაფად, ხან ნელა. მარჯვენა ხელის თითებს მკერდზე ათამაშებდა, იღიმებოდა და გაკვირვებულ გამვლელებს მოხერხებულად უქცევდა გვერდს.

2

ალექსანდრეს სკოლა დაამთავრა და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. პირველ ხანებში ლექციებს არ აცდენდა, აუდიტორიაში გრძელ მერხზე ჯდებოდა და ლექტორს უსმენდა. ხანდახან ფიქრებში გაერთობოდა, ანდა თანაკურსელებს ათვალიერებდა.

ალექსანდრეს კურსზე ოცდასამი გოგო სწავლობდა, ერთ-ერთ მათგანს კი... თამუნა ერქვა. ლექციების დროს თამუნა თავის ამხანაგს ეჩურჩულებოდა, რაც კარლოს არ სიამოვნებდა. იგი მკაცრად შეხედავდა ხოლმე თამუნას და გოგონა ჩუმდებოდა. კარლო ოცდათხუთმეტი წლის მამაკაცი იყო, ჯარი და ფლოტი მოვლილი ჰქონდა, უკვე ჭკუადამჯდარი კაცი გახლდათ და ჩვიდმეტი წლის გოგონას ასეთი საქციელი აღელვებდა ხოლმე. ერთხელ, როცა მისმა მზერამ ველარ გასჭრა, პირდაპირ იერიშზე გადავიდა:

— ქალიშვილო, თუ შეიძლება, ნუ ჩურჩულებთ.

— კი მაგრამ, რას გიშლით მაგის ჩურჩული? — გაიკვირვა თამუნას ამხანაგმა.

— რას და მიშლის! სწავლა მინდა მე!

— რაშია საქმე? — იკითხა ლექტორმა.

ხმას არავინ იღებდა.

— რაშია-მეთქი საქმე?

— ამ კაცს სწავლა უნდა, — გამოაცხადა უცებ თამუნამ.

— რომელს?

— მე, პატივცემულო, — ფეხზე წამოდგა კარლო.

— ძალიან კარგი, ძალიან, — მოუწონა ლექტორმა, — დაბრძანდით.

სწავლის დაწყებიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, ალექსანდრე უნივერსიტეტის სიმფონიურ ორკესტრში რომ ჩარიცხეს. დარბაზში შევიდა თუ არა, მაესტრო მიხეილი დაინახა. იგი რაღაც ამბავს ჰყვებოდა:

— ...ჰოდა, თავისი სიტყვა რომ შეესრულებინა, ბევრს შრომობდა, თანაც ზეციდან ნიჭით იყო დაჯილდოებული. მართალია, წონაში დაიკლო და გაძვალტყავდა, თავის გადაწყვეტი-

ლებას მაინც ხორცი შეასხა. ასეა, ბევრი უნდა იმუშაოთ. თქვენ რა გსებავთ? — ალექსანდრე ვერ იცნო.

— მე თქვენთან გამომგზავნეს.

— ო! — გაეხარდა მაესტროს. — რაზე უკრავთ?

— ვიოლინოზე.

— რა დაამთავრეთ?

— მუსიკალური ტექნიკუმი.

— დიდებულია, ღმერთმანი, თქვენი სახელი მაჩუქეთ.

— ალექსანდრე.

— ოო, კარგი სახელია, მაკედონელი... ინსტრუმენტი გაქვთ?

— დიახ.

— რომ ვერა ვხედავთ? — თვალები მოჭუტა.

— მომავალ რეპეტიციაზე მოვიტან.

— ძალიან კარგი, ყოჩაღ, — ეაამხნევა მაესტრომ. — ახლა კი დაჯექი და გვიყურე.

ცოტა ხანს ფიქრობდა, მერე გამოერკვა და ომახიანად გამოაცხადა:

— ვუკრავთ ბიზეს!

ზედმეტი არ იქნება, ორკესტრს თვალი რომ გადავავლოთ. ძირითადში იგი შედგებოდა ხელმოცარული მუსიკოსებისაგან, მეექვსე-მეშვიდე კლასში სწავლას თავი რომ დაანებეს. იყვნენ ისეთებიც, მუსიკალური ტექნიკუმი რომ ჰქონდათ დამთავრებული, ხოლო რამდენიმეს უმაღლესი მუსიკალური განათლება ჰქონდა, მოკლედ, ასეთი განსხვავებული სალსი სტადიონზე თუ შეიკრიბება. რამდენიმე ინსტრუმენტი სულაც არ იყო — პირველი საყვირი მხოლოდ კონცერტებზე მოდიოდა, ოპერიდან იწვევდნენ. არ იყო ფლეიტა და ჰობოიც. პირველ ვიოლინოებს არა უშავდათ, ასე თუ ისე უკრავდნენ, მეორე ვიოლინოებში კი ბევრი „უცოდინარი“ იჯდა, ძნელდასაკრავი ადგილების დროს მხოლოდ ხემის ქნევა ევალებოდათ, ოღონდ ისე, რომ ვიოლინო არ უნდა აეხმაურებინათ.

— აბა, დავიწყოთ!

დაიწყეს. რადგან ჰობოი არ იყო, მის პარტიას მაესტრო ღიღინებდა და თან დირიჟორობდა. დროდადრო შეიძლებოდა

ეისვედრა, რას უკრავდნენ. უეცრად მაესტრომ ხელების ქნევა შესწყვიტა და საშინლად გაბრაზდა:

— კლარნეტ! რატომ არ შეხვედი დროზე?

„კლარნეტმა" თავი ჩაღუნა.

— ვის ვეკითხები?

— ჩავფიქრდი... უნებურად.

— აჰა! ჩაფიქრდი, არა? ოო, მოაზროვნე ხარ? შენი ჭირიმე... რა დროს ფიქრია, თავხედო!

„კლარნეტი" ოცი წლის ჯეელი იყო. ფესზე წამოდგა და საკმაოდ უკმეხად უთხრა:

— თქვენ ცოტა ენას მოუარეთ!

— ღმერთო დიდებულო, — გაიოცა მაესტრომ, — ვის უბედავ, თავზეხელაღებულო? დასტოვე დარბაზი! მე ნუ გამაბრაზებ, თორემ შემდეგ გვიანლა იქნება თითზე კბენანი.

— ბოდიში, მაესტრო.

— მიპატიებია, ჯანდაბას, უნდა დავწყნარდე... შესვენება!

უცნაური კაცი იყო მაესტრო მიხეილი.

ტრამვაი დაიძრა.

— ბოდიში, თუ შეიძლება, გადააწოდეთ, ერთი ბილეთი ეისდა... ოჰ, თქვენა ხართ?

— დიახ, გამარჯობათ, ერთი ბილეთიც მომეცით, — ალექსანდრემ სამკაპიკიანი გაუწოდა კონდუქტორს.

— რატომ წუხდებით, — დაიმორცხვა თამუნამ.

— რას ბრძანებთ, რა შეწუხებაა...

ტრამვაი მოსახვევს მიუახლოვდა და გოგონა უეცრად გვერდზე გადაიხარა; სკამს ხელი ჩასჭიდა და თავი ძლივს შეიმაგრა, მერე მორცხვად გაუღიმა ალექსანდრეს.

— თქვენ წელს დაამთავრეთ, არა?

— დიახ.

— მეც.

— მოგწონთ ჩვენი კურსი?

— რა ვიცი, ჯერ თითქმის არავის ვიცნობ.

— რა თქმა უნდა, ათ დღეში ძნელია ადამიანის გაცნობ

— დიახ.

ტრამვაი მიდის, მიდის, რახრახებს.

— თქვენ რა გქვიათ?
— მე? ალექსანდრე.
— სანდრო?
— არა, ალექსანდრე.
ტრამვაი გაჩერდა.
— მე ეხლა ჩავდივარ, გმადლობთ, ნახვამდის.
— ნახვამდის, რისი მადლობა...

3

— აბა, დაიწყოთ! ვუკრავთ „დაისის" შესავალს. ჰობოი არ არის, არა? არა უშავს, მეორე ციფრიდან დაიწყოთ. ააწყეთ ინსტრუმენტები? ძალიან კარგი, აბა, ყურადღება... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ერთი, ორი, სამი... კლარნეტ! რიელი ნოტები წერია მეორე ციფრის მეორე ტაქტში?
— მაპატიეთ, მაესტრო.
— თავიდან დავიწყოთ, არა, თავიდან კი არა, მეორე ციფრიდან. ყურადღება... ერთი, ორი...
უეცრად სინათლე ჩაქრა.
— რაშია საქმე? — გაისმა მაესტროს ხმა.
— სინათლე გადაიწვა, — წამოიძახა ალექსანდრემ.
— მართლა? აბა გარეთ გაიხედე — მთელ შენობაში გადაიწვა თუ მხოლოდ აქ?
— მთელი შენობა ჩაბნელებულია, მაესტრო.
— სამწუსაროა; ალბათ, ცოტა ხნით გამორთეს. რაღა დაგვრჩენია, გულ-ხელი დავიკრიფოთ და დავიცადოთ.
ხმას არავინ იღებდა.
— ცუდია, ცუდი, სინათლე რომ გადაიწვა, — თქვა მაესტრომ და იკითხა: — არა?
არც ახლა ამოუღია არავის ხმა. ალექსანდრემ ვიოლინო მუხლებზე დაიდო, შემდეგ თითი ფრთხილად გამოჰკრა სიმებს.
— ბნელა, — სმამაღლა გამოაცხადა ვიღაცამ.
— არა უშავს, — გაისმა მიხეილის ხმა, — თუ გინდათ, მე

უფრო სწორად, ეს ამბავი კი არა, ერთი გენიოსის დახასიათებაა, გისდათ?

— დიას.

— საშინ, დავიწყებ... ესე იგი, ასე — მისი სახელია ჯოაკინო, გვარი როსინი. იგი დაიბადა 1792 წლის 29 თებერვალს; მაინცდამაინც 29 თებერვალს, წარმოგიდგენიათ? იგი დაიბადა აპენინის ნახევარკუნძულზე, მშვენიერ იტალიაში. ბავშვობა და ყრმობა გაატარა თვალწარმტაც ქალაქში, რომლის სახელია პეზარო. დიდი როსინი პატარაობაში ცელქი და მოუსვენარი ბიჭუნა იყო. იგი ფეხშიშველი დარბოდა მწვანე ბალახზე, ზეთისხილის ხეებზე ასვრებოდა ხოლმე და ალბათ აღტაცებით შესცქეროდა იტალიის კრიალა ცას. მშვენიერი სმენა მემკვიდრეობით მიიღო, დედისაგან — ანნა გვიდარინი მეტად მუსიკალური ქალი იყო. პატარა როსინი ყურს უგდებდა ადრიატიკის ზღვის ფშვინვას, ყინულოვანი ჩანჩქერების ხმაურს, ფოთლების შრიალს, წისქვილის საამო გუგუნს და ყოველივე ამისა და ვინ იცის, კიდევ რის გამო, მშვენიერ ხასიათზე დგებოდა და ლაღად, თავისუფლად სუნთქავდა. ეს ის სუნთქვაა — გენიოსის სუნთქვა. ასეთი იყო იგი ბავშვობაში და შემდეგაც, მთელი სიცოცხლის მანძილზე. მან ყოველთვის იცოდა, როგორ უნდა ესუნთქა. რამდენიმე წლის შემდეგ კი მუსიკა მისთვის ჰაერი გახდა, ყველა ხვდებოდა ამას, დიდი მაესტროც ასე ამბობდა თავის თავზე: „მუსიკა ჩემთვის ჰაერია, რომლითაც ვსუნთქავ". ასე ამბობდა იგი. ხომ არ მოგწყინდათ ჩემი ლაპარაკი?

— რას ბრძანებთ, მაესტრო, — უთხრა პირველმა ვიოლინომ.

— აღარ იკითხავთ, რა ხდებოდა ამ დროს იტალიაში? საწყალი იტალიელები ამ დროს ავსტრიელთა უღელქვეშ იმყოფებოდნენ. საბრალოებს არ გაუმართლა საფრანგეთის რევოლუციამ, რომელსაც იმედით შესცქეროდნენ, არც ნაპოლეონმა, არც ვენის კონგრესმა. ისინი კიდევ უფრო თავისუფლებასმოკლებულნი აღმოჩნდნენ, გაწამებულნი და იმედგაცრუებულნი, რეაქციის ქვეშ მოჰყვნენ, თითქოს იმედიც გადაიწყვიტეს... ზანტად, მძიმედ ცადიოდა უსალისო დღეები, საბრალო იტალიელებმა აღარ იცოდნენ, რა ელონათ... თითქოს არსაი-

დან არ იყო საშველი... და როგორ გგონიათ, აღმოჩნდა თუ არა გამოსავალი?.. აღმოჩნდა! აღმოჩნდა, რადგან სწორედ ამ დროს მთელ იტალიაში გაისმა როსინის უშფოთველი, დიდებული, ღვთაებრივი სუნთქვა. მთელი ხალხი — ეს გატანჯული, იმედდაკარგული ადამიანები მიაწყდნენ იტალიის საოპერო თეატრებს, სადაც დასი აღმაფრენით ასრულებდა ისეთ შედევრებს, როგორიცაა „ტანკრედი", „იტალიელი ქალი ალჟირში", „სევილიელი დალაქი", „ვილჰელმ ტელი", „ქურდი კაჭკაჭი" და ასე შემდეგ. ხალხში ეპიდემიასავით გავრცელდა როსინის დიდებული სუნთქვა, იტალიელებმა შვებით ამოისუნთქეს. თითქოს დაავიწყდათ კიდეც ყველა ის უბედურება, იმ ხანებში რომ გამოიარეს. აი, რა შეუძლია მუსიკას, მე დიდებულ მუსიკას ვგულისხმობ, რა თქმა უნდა. სუნთქვა მთავარია, თუ მუსიკის საშუალებით ლაღად სუნთქვას ისწავლი, მაშინ აღარაფერი დაგადარდიანებს, აღარაფერი გინდა, პურიც კი. თუმცა, — მაესტრო დაფიქრდა, — სიმართლე რომ ითქვას, პური მაინც საჭიროა. ცხოვრებაში კი... ო, სინათლეც მოვიდა. ცხოვრებაში კი მსიარული, ენამოსწრებული კაცი იყო დიდი ჯოაკინო. იუმორის შესანიშნავი გრძნობა ჰქონდა, ქალები უყვარდა და უეცარი გაბრაზებაც იცოდა — თუმცა იმ ხანებში ასანთი არ არსებობდა, ასანთივით აფეთქდებოდა სოლმე. ასეთია მისი მოკლე, მეტად მოკლე დახასიათება, ახლა კი რეპეტიცია განვაგრძოთ. მართლა, მე სახლში მაქვს როსინის ოპერების მშვენიერი ჩანაწერები; ვინც ამ ფირფიტების მოსმენას მოისურვებს, ჩემი სახლის კარი მუდამ ღია იქნება. ახლა კი განვაგრძოთ, ეუკრავთ „დაისის" შესავალს. ჰობოი არ არის, არა? რა უშავს მეორე ციფრიდან დავიწყოთ. ყურადღება... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ერთი, ორი, სამი... კლარნეტ!!

— გამარჯობათ, ალექსანდრე

— გამარჯობათ, არ შეეიშვათ ლექტორმა, თამუნა?

— მე თვითონ არ შევსულვარ. უხერხულია, დამაგვიანდა და...

— მეც დამაგვიანდა, როგორც ხედავთ. საათი ვაჩერებულა და... რა ვქნათ?

— რა ვიცი, აბა, — თავი გვერდზე გადასწია გოგონამ და უეცრად შეეშინდა. — დეკანი რომ გაგვიბრაზდეს?

— რას ამბობთ... თამუნა, — გაიღიმა ალექსანდრემ, — ვერც გაიგებს. რა მოხდა, პირველად დავაგვიანეთ. მართლა, აქ შეიძლება ჩვენმა დეკანმა გამოიაროს, სადმე სხვაგან მოვიცადოთ და მეორე საათზე შევიდეთ.

— კი მაგრამ, სად წავიდეთ?

— ბაღში მოვიცადოთ, გინდა?

ბაღში გრილოდა. დაბალი კაცი ხეებს რწყავდა და სასიამოვნო სიგრილე იდგა. სკამზე დასხდნენ, გოგონამ თმა შეისწორა, მერე ხელი მუხლზე დაიდო და ფეხსაცმლის წვერით წითელ მიწაზე რაღაცა გაჩხაპნა.

— ხატვა იცი? — ჰკითხა ალექსანდრემ.

— არა, რატომ მკითხეთ?

— ისე.

— ისე არაფერი არ ხდება.

— როგორ არა.

— მაინც?

— რა ვიცი აბა? — მხრები აიჩეჩა ალექსანდრემ.

— ეს რა ხეა?

— ეს, მგონი ცაცხვია... შეიძლება ცაცხვი არ იყოს, მაგრამ არც მუხაა. მუხას უფრო სხვანაირი ფოთლები აქვს და საერთოდაც სხვანაირია.

— რკოცა აქვს.

— დიახ, რკოც.

— ალექსანდრე, გინდა, კევი ვიყიდოთ?

— როგორც გნებავთ.

— არ გიყვარს კევი?

ალექსანდრეს არ მოსწონდა, როცა ვინმე კამეჩივით იცოხნებოდა.

— რა ვიცი...

— წამოდი ვიყიდოთ.

ბაღის შესასვლელთან მზემოკიდებული კაცი იჯდა და ემმაკურად იძახდა: — აბა კევი, კევიი, სიყვარულის წამალი!

ალექსანდრეს ესიამოვნა ამ სიტყვების გაგონება, თამუნა ოდნავ წამოწითლდა.

— მოგვეცით კევი, — ალექსანდრემ იმ კაცს აბაზიანი გაუწოდა.

— ა, ჭირიმე.

— ორი არ გვინდა, ერთი.

— ორი აიღე, შე კეთილო კაცო, წამალი კი არ არი...

— ერთი გვინდა, ერთი, ხურდა არ მინდა.

— იცოცხლე, გენაცვალე, იბედნიერეთ...

ახლა კი თამუნა აშკარად წამოწითლდა და შადრევანისაკენ გაემართა. ალექსანდრე უკან გაჰყვა. შადრევანს ვიღაც მსუქანი კაციც სიუახლოვდა და ნაბიჯს აუჩქარა; ორიოდე წამით დაასწრო თამუნას და წყალს დაეწაფა. ძალიან დიდხანს სვამდა; ალექსანდრე შადრევანთან მივიდა, დადგა, მიმოიხედა, მერე საათს შეხედა, კაცი ისევ სვამდა წყალს და თამუნა გაბრაზებით დასცქეროდა სქელ კისერზე. როგორც იქნა, კაცი წელში გაიმართა და მთელის გრძნობით ამოისვნეშა. თამუნამ ათვალისწუნებით შეხედა და კაცმა თვალი აარიდა. მერე თამუნამ კევი წყალში გაავლო და სკამისაკენ გაემართა.

— გავიყოთ, გინდა?

— კი.

თამუნა გემრიელად ამოძრავებდა ყბებს და თავს აქანავებდა. ალექსანდრემ უყურა, უყურა და გაიღიმა.

— რატომ იცინი?

— კევი.... გყვარებია.

4

მისეილი და ალექსანდრე ერთმანეთს ტროლეიბუსის გაჩერებასთან შეხვდნენ.

— ოჰ, შენ ვიოლინო არა ხარ?

— დიახ.

— რატომ გააცდინე ბოლო რეპეტიცია?

— არ გამიცდენია, მაესტრო.

— მართლა? ყოჩაღი ბიჭი ხარ... შენი სახელი მაჩუქე.

— ალექსანდრე.

ამასობაში ტროლეიბუსიც მოვიდა. ჯერ მისეილი შევიდა, კონდუქტორს მაშინვე მანეთიანი გაუწოდა და გაეხუმრა:

— ორი ბილეთი მომეცით პარტერში, თუ შეიძლება.

კონდუქტორი სქელი, წითელლოყება ქალი იყო. ჯერ ვერ შეხვდა, რა უთხრეს, შემდეგ მიხვდა და გაიღიმა.

— გაიღიმეთ, ეიღიმეთ, უფრო გაბედულად, — შეაგულიანა მაესტრომ. — სიცილი ჯანმრთელობაა.

— მე შავი ფული მაქვს, — მორცხვად ჩაურთო ალექსანდრემ.

— შავი? ვერ დავიჯერებ.

ალექსანდრე დაიბნა, კონდუქტორი აღტაცებით შესცქეროდა მიხეილს.

— აი, მაესტრო.

— არ აიღოთ, — უთხრა მიხეილმა კონდუქტორს, — ეს თუ შავია, მე მტრედისფერი ვყოფილვარ.

კონდუქტორმა ჩაიკისკისა.

— აბა რა არი?

— ოქროსფერია, ყმაწვილო.

ალექსანდრემ დაიმორცხვა.

— თან მანეთიანის დასურდავებაც მინდა. ხომ დამიხურდავებთ?

— სიამოვნებით, პატივცემულო, — გაუღიმა კონდუქტორმა.

— მშვენიერი ქალი ბრძანდებით. მე რომ დიქტორი ვიყო, ღღესვე რადიოში გამოვაცხადებდი: თბილისის დროით 17 საათი და 18 წუთია. ვიწყებთ გადაცემას ბავშვებისათვის. გაბარჯობათ, ბავშვებო. იცით თუ არა თქვენ, ბავშვებო, რომ აფრიკაში ბინადრობს ორსართულიანი სახლის ოდენა მწერი და რომ (მაესტრომ ტროლეიბუსს თვალი მოავლო) მერვე პარშრუტის №31 ტროლეიბუსში მუშაობს გულისხმიერი და ღირსშესანიშნავი კონდუქტორი?

კონდუქტორმა გულიანად გადაიხარხარა. სქელი ქალი იყო, სიცილის დროს თვალები ეხუჭებოდა.

ტროლეიბუსიდან რომ ჩამოვიდნენ, მაესტრომ ცოტათი მოიწყინა. შემდეგ ალექსანდრეს მიუტრიალდა:

სადმე ხომ არ გეჩქარება?

არა, არსად.

— მაშინ უნივერსიტეტის ბაღში ჩამოვსხდეთ და ვილაპარაკოთ, კარგი?

სკამზე როგორც კი დასხდნენ, მიხეილმა ჰკითხა:

— შენ გიყვარს მუსიკა?

— დიახ.

— ძალიან კარგი, ძალიან. მუსიკა, ჩემო ალექსანდრე, საერთაშორისო ენაა. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ გეგონოს, საყოველთაოდ ცნობილი აზრია. ასეა თუ ისე, მუსიკა ყველასათვის ხელმისაწვდომია, უფრო სწორად — ყურმისაწვდომი. არ არსებობს ისეთი ადამიანი, მუსიკა რომ არ უყვარდეს — უკანასკნელ რეგვენსაც კი უყვარს მუსიკა. ერთხელ, როცა დიდებული როსინი ვენეციაში თავის რომელიღაც ოპერას დირიჟორობდა, მტრებმა დარბაზში მოსყიდული სალახანები შეუგზავნეს. ამ ბნელ პირებს უნდა ჩაეშალათ ოპერა — უნდა დაესტვინათ, ეღრიალად და ასე შემდეგ. ისინი შლეგიანებივით შეიჭრნენ დარბაზში, იქ კი... იქ ისმოდა დიდი მაესტრო როსინის დიდებული, უდრტვინველი, ღვთაებრივი სუნთქვა, დარბაზში დაფარფატებდა ოცნება ჯერ არნახულ, მომხიბვლელ ქვეყანაზე, სადაც ადამიანები მშვიდად, ბედნიერად და უდარდელად ცხოვრობდნენ. დარბაზში შეცვენილნი შეკრთნენ, დაიბნენ, შემდეგ კი გაინაბნენ და როცა უვერტიურა დამთავრდა, ტაშისცემისაგან კინაღამ არ ჩამოინგრა ვენეციის მშვენიერი თეატრი. ისინი ტაშს უკრავდნენ და თან ღრიალებდნენ — ბრავო, მაესტრო, ბრავისიმოIII ოპერა ტრიუმფით დამთავრდა, ბანკეტზე მაესტრო როსინი ლამაზი ქალების შუაში იჯდა და არც იცოდა, რას გადაურჩა... თავს არხეინად გრძნობდა მომხიბვლელი ქალების საზოგადოებაში და ნელ-ნელა წრუპავდა იტალიურ ღვინოს.

მიხეილმა სული მოითქვა და პატარა ხანს ჩაფიქრდა.

— ეეჰ, მაინც რა უცნაური დარგია ჩვენი დარგი, — განაგრძო მაესტრომ, — კუნთმაგარ ძალოსნებსაც კი არა სჭირდებათ იმდენი ვარჯიში, რამდენიც ჩვენ. თუ მუსიკოსობას დააპირებ, ყოველდღე რვა საათი მაინც უნდა დაუკრა, სოლო დარჩენილი დრო ფირფიტების მოსმენას და მუსიკაზე ფიქრს უნდა მოანდომო. სიზარმაცე და მუსიკა ისევე ვერ შეეთვისებიან ერთმანეთს, როგორც... ცეცხლი და ყინული. მთავარია მუყაითობა და სიბეჯითე, უმთავრესი კი მაინც ნიჭია. თუ მუსიკოსს ნიჭი არა აქვს, ტყუილია, წასულია იმისი საქმე. უნიჭო კაცი შეიძლება ფილოსოფიისა და ფილოლოგიის დოქტო-

რი გახდეს, მუსიკოსობას კი ვერ მივართმევთ, ჩემო კარგო. ეს ხელოვნების კანონია, ჩემო. ხოლო ნიჭი, ალექსანდრე, დაიკარგება, კატორღული შრომა თუ არ გასწიე. სამაგიეროდ, რა უნდა იყოს უფრო დიდი ჯილდო, კარგ მუსიკოსობას რომ აღემატებოდეს? არაფერი. ჩემი შეკითხვა სულელურია, რადგან აშკარად ცხადია, მაგრამ მაინც ჭეშმარიტებაა. თანაც, თუ ნიჭით არა ხარ დაჯილდოებული, დღეში რვა საათს ვერ დაუკრავ. თუმცა, როგორც ყველგან, გამონაკლისი აქაც გვხვდება. ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში ერთი პორტუგალიელი პიანისტი ჩამოვიდა — სეკეირო კოსტა. შესანიშნავი პროგრამა ჰქონდა, კონცერტზე უყოყმანოდ წავედი. და აი, ეს კაცი სცენაზე გამოვიდა, როიალს მიუჯდა და ყველაფერი უშეცდომოდ დაუკრა თავიდან ბოლომდე, მაგრამ ვაი იმ დაკვრას — ეს იყო მოვალეობის შესრულება. ის ნაწარმოებები დიდ შინაგან ღელვას მოითხოვენ, მის დაკვრაში კი განცდის ნატამალიც არა ჩანდა. ისე, გაგიხარია, კარგი ტექნიკა ჰქონდა. ასე რომ, მხოლოდ შრომა არა სწყვეტს საკითხს, მაგრამ დიდი მუშაობის გაწევა მაინც აუცილებელია, აუცილებელი, ალექსანდრე.

მაესტრომ მიმოიხედა, ალექსანდრესაკენ გადაიხარა და ჩუმად უთხრა:

— არ გეგონოს, ასე რომ ვლაპარაკობ, თითქოს ბევრს ვმუშაობდე. არა, ჩემო კარგო, ჩემდა საუბედუროდ, ზარმაცი ვარ. აქაშია ჩემი უბედურება. ნიჭი კი არ მაკლია, მაგრამ... ეეჰ, ალექსანდრე, ალბათ, ისედაც იცოდი, ზარმაცი რომ ვარ, შენ საბრიანი გამომეტყველება გაქვს.

— თამუნა, თურმე ახალი ფილმი გამოსულა.

— მართლა?

— კი. და ძალიან აქებენ.

— ეჰ, ხანდახან აქებენ და მაინც არ ვარგა.

— არა, ახლა ისეთმა კარგმა ადამიანებმა აქეს, რომ ნამდვილად კარგი იქნება.

— მაშინ მარდალა კარგი იქნება. მე ძალიან მიყვარს კარგი ფილმები.

— მეც.

— მართლა?

— კი. იცი, თამუნა, ამ ახალ სურათს ძალიან აქებენ.

— მაშინ ღირს ნახვა.

— რა თქმა უნდა, თანაც... შენ რომელი ფილმები მოგწონს?

— მე მომწონს... „ლილი" და „ჩრდილი და სინათლე". შენ?

— მე — „წეროები მიფრინავენ". ამას წინათ ერთი იტალიური სურათი ვნახე — „ვაკანტური ადგილი". ძალიან მომეწონა.

— ჰო? მე არ მინახავს. რვა დღე იქნება, კინოში არა ვყოფილვარ. დიდი სიამოვნებით ვნახავდი რომელიმე კარგ ფილმს...

— მეც...

— იცი, ალექსანდრე, შენ რომ ჯარისკაცი იყო და უცებ ტყვე მოგიყვანონ და გითხრან, დახვრიტეო, რას იზამ?

— რა ვიცი, თამუნა... არ ვიცი.

— იქნება ისიც გითხრან, რომ იმ ტყვეს საზარელი ამბები აქვს ჩადენილი?

— მაშინ მოვკლავ.

— და თუ სულ არაფერი იცი იმის შესახებ?

— მაშინ შემეცოდება. რა ვიცი, ვინ არის, ვინ ელოდება.

— სწორი ხარ. შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ, ალექსანდრე.

— თამუნა, დღეს ერთი ახალი ფილმი გამოსულა, ძალიან აქებენ.

— მართლა?

— არა გჯერა?

— კი მჯერა.

— თამუნა, მართლა გინდა, რომ ახლა კარგი ფილმი ნახო?

— კი.

— მაშინ... წავიდეთ, გინდა?

— წავიდეთ, ალექსანდრე.

5

— ოო, ამას ვის ხედავს ჩემი თვალები, მობრძანდი, მობრძანდი, ჩემო ალექსანდრე, მოგწონს ჩემი ოთახი?

— დიახ, ძალიან კარგია..

საწვიმარი აქ ჩამოკიდე, აი, ამ სავარძელში დაბრძანდი, სედავ, როგორ გამესარდა შენი მოსვლა?

— დიახ, მაესტრო.

— მე ვიცი, რისთვისაც მოსვედი, მაგრამ ჯერ მიმოიხედე, ჩემო კარგო, მარტოხელა კაცის პირობაზე ოთახი დამაკმაყოფილებლადა მაქვს მოწყობილი, არა? თუმცა, მე, მგონი, ქალის ხელი აქაურობას მაინც აკლია.

— არა, რატომ...

— როგორ არა, ალექსანდრე. მე რომ ცოლი მყავდეს, აქაურობა აქაურობას არ დაემსგავსებოდა. ბუნდოვნად ხომ არ ვლაპარაკობ?

— არა, რასა ბრძანებთ.

— ხათრიანი ხარ, ალექსანდრე, — გაუღიმა მაესტრომ. — ისე, კარგი ცოლი კარგია.

— დიახ.

— შენ ასლა „დიახ"-ს მეუბნები და თან, ალბათ, ფიქრობ — მერედა თუ კარგია, მაესტროს რატომ არ ჰყავს ცოლი?

— არა, ეგ არ მიფიქრია.

— როგორ არა, მაგას გაიფიქრებდი.

— არა, მაესტრო...

— ცოტათი მაინც არ გაგკრა გულში მაგ აზრმა?

— ცოტათი კი.

— ჰოდა, მეც მანდა ვარ... ალექსანდრე, მე შენ აგიხსნი, რატომ არა მყავს ცოლი. ხომ ხარ უკვე თვრამეტი წლისა?

— დიახ.

— ჰოდა, თვრამეტი წლის ადამიანთან ამ თემაზე ლაპარაკი უკვე შეიძლება. კარგად მისმინე, ალექსანდრე. თუმცა მე ჩემს თავისებურებას ვერა ვგრძნობ, ყველა ნაცნობი თავისებურ ადამიანს მეძახის. ალბათ, მართლაც, ასეთი ვარ. ეს კი ამ შემთხვევაში კარგია, ქალებს მოსწონთ თავისებური ადამიანები. აი, მაგალითად, დიდი როსინი მეტად თავისებური პიროვნება იყო. როსინის ქალები დასდევდნენ, ჩემო ალექსანდრე, არ ასვენებდნენ, იმასაც ეს უნდოდა, მეც ეს მინდა, მაგრამ... — მაესტრო უცებ შეჩერდა და შიშით შეხედა, — აუჰ, ალექსანდრე, არ იფიქრო, რომ რაიმე მსგავსებას ვგრძნობ როსინისთან. ეს ჩემგან თავხედობა იქნებოდა.

— რას ბრძანებთ, მაესტრო.

— სწორად ვბრძანებ, ჩემო. გაინტერესებს, როგორი დამოკიდებულება ვითარდება ჩემსა და ქალებს შორის?

— დიახ, ბატონო მიხეილ.

— მაშინ, დიდი როსინიდან პირდაპირ ჩემზე რომ არ გადმოვიდეთ, ცოტა ხანს სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— სიამოვნებით, მაესტრო.

მიხეილი ფანჯარასთან მივიდა, ქუჩაში გაიხედა: — ვიღაცა კაცი თავისთვის მიდის, — უთხრა ალექსანდრეს, — ღმერთმა ხელი მოუმართოს.

— დიახ.

— წარმოგიდგენია? ის მიდის და ვერც გრძნობს, რომ მე ვუყურებ და წარმატებას ვუსურვებ. მე კი ასე არ შეშიძლია, მე თუ ვინმე მიყურებს, მაშინვე გული მიგრძნობს. ეს კი... ეეჰ, შე სქელკანიანო... — მიხეილი უეცრად უკან გადმოხტა.

— რა იყო... მაესტრო?! — შეშფოთდა ალექსანდრე.

— ამოიხედა! იმან...

— იმ კაცმა?

— ხო.

— მართლა?

— არა, ტყვილა. რა ვქნა, რას ვხტებოდი უკან, რამე არ იფიქროს, ვინმეში არ ამრიოს. არა, მაინც რა მომივიდა, რატომ გადმოვხტი?

ალექსანდრე ჩუმად იყო.

— მითხარი რამე!

— არა უშავს, მაესტრო.

— ვითომ?

— რა თქმა უნდა, რა მოხდა ისეთი?

— რა ვიცი, ჩასაფრებული ყაჩაღი არ ვეგონო, — გაიხუმრა მაესტრომ და ისევ გაბრაზდა, — თბილისში რამდენი ქუჩაა, რამდენი პროსპექტი და ზიხი, რაღა აქ მოუნდა გავლა?!.

— ხომ არ იცნობდით?

— ვისა, იმ კაცს? რას ამბობ, ალექსანდრე, რომ ვიცნობდე, ეამარჯობას ვეტყოდი.

— მაესტრო, მაპატიეთ, მაგრამ... ისეთი რა მოხდა?

— არაფერი, ჩემო; უბრალოდ, ყველაფრის გაზვიადება

მიყვარს. შეიძლება ამიტომაც არ მოვწონვარ ქალებს. ასლა კი შეგვიძლია, ქალებზე ვისაუბროთ, არა?

— დიახ.

იცი, რას გეტყვი, ალექსანდრე? თუმცა ქალი და კაცი თანასწორია, კაცი მაინც უფრო ძლიერია, ქალი კი სუსტი. როცა ქალი კაცს მიანდობს თავს, ამას კიდევ არა უშავს, ხოლო თუ პირიქით მოხდა, ეს უკვე... ეს უხერხული იქნება, არა? ქალს უყვარს, როცა მამაკაცში ჭკუას, გონებასა და თვითდაჯერებულებას ხედავს. იბადება კითხვა — როგორ უნდა მოიქცეს კაცი, რომ ქალმა მასში დაინახოს სწორედ ეს ჭკუა, ეს გონება და თვითდაჯერებულება? პასუხი ასეთია — უპირველეს ყოვლისა, კაცს არ შეშვენის ბევრი ლაპარაკი. მისი სიტყვა მოკლე უნდა იყოს, მაგრამ ქვასავით მაგარი და დამაჯერებელი. ქალთან ბევრს თუ ილაპარაკებ, წასულია შენი საქმე. თავი ამაყად უნდა დაიჭირო, უნდა თქვა მსოლოდ: ხო, არა, შესაძლებელია. ათასი სიჭკვიანისა და სისულელის გაფიქრება შეგიძლია, მაგრამ ზედმეტი სიტყვა არ უნდა დაგცდეს. მე კი, ალექსანდრე, რაც პირზე მომადგება, ყველაფერს ვამბობ. ეი, ასლაც გულახდილი ვარ, გულგადახსნილი, როგორც იტყვიან... ჰო. ჩემდა საუბედუროდ, თავდაპირველად ზედმეტად ეფექტური ვარ — არ ვიბნევი, საინტერესოდ ვლაპარაკობ, ენამოსწრებულიცა ვარ. ქალს აშკარად ეტყობა, რომ სიამოვნებს ჩემთან ყოფნა. შემდეგ გადის დრო, ჩემი ეფექტურობა არ მატულობს და მოსაწყენი ხდება. თანაც... აქ პატარა გადახვევა უნდა გავაკეთო, ალექსანდრე. ყველას ჰყავს თავისი კერპი, ადრე თუ გვიან, ყველას ეყოლება. ჩემი კერპი როსინია, დიდი მაესტრო. როცა ქალს გვერდით მივყვები, მისი დიდებული სუნთქვა მასსენდება, მეც მინდა, რომ ისე ვსუნთქავდე, მაგრამ კარგად ვიცი, რომ ეს არ შემიძლია და გულში ნაღველი მეპარება, მაგრამ არ ვიმჩნევ. პირიქით, ამის დასამალავად ვლაპარაკობ ყველაფერს, რაც კი ენაზე მომადგება. ბუნებრივია, სისულელეებს ვიძახი და ერთ მშვენიერ დღეს მივიღებ წერილს, სადაც ნაჩქარევი ხელით წერია: „ჩვენი შეხვედრა შეცდომა იყო. ლ.ვ.“. ანდა ხელს აწერს თ.მ., ან ზ.ნ., ან ჯ.ლ. ეჰ, ასეთები ბევრნი იყვნენ. ერთხელ ერთ ქალს შევხვდი, გავიცანი, დავუახლოვდი და კინოში წავედით. გადაწყვეტილი მქონ-

და, სიყვარული ამეხსნა მისთვის. ამისათვის საჭირო ვახდა, მაესტრო როსინზე არ მეფიქრა. როგორც იყო, ზეამ თავს დავ-ძალიე. იმ ქალის სახელს არ გეტყვი, ცოტათი უხერხული სა-ხელი აქვს, თუმცა ამას არა აქვს მნიშვნელობა, კინოდან რომ გამოვედით, გარეთ წვიმდა. გავიფიქრე, ტრამვაიში ვეტყვი-მეთქი, მაგრამ ვაგონში ერთი მოხუცი კაცი ისე მომჩერებოდა პირში, რომ ვერაფერი ვუთხარი. რაღაცა მნიშვნელოვანის თქმა რომ მინდოდა, ამას, მე მგონი, ფისოც გრძნობდა. უჰ, მაინც წამომცდა მისი სახელი. არავის არ უთხრა, კარგი?

— ვის უნდა ვუთხრა, მაესტრო?

— არავის, ვეხუმრე. ჰოდა, მშვენიერ ხასიათზე ვიყავი და უცებ ტრამვაიში ათიოდე წლის ბიჭუნა ამოვიდა. თაკიდან ფე-ხებამდე სველი იყო, თმიდან წურწურით ჩამოსდიოდა წყა-ლი, პერანგი ტანზე მიჰკროდა და სველი კედები ეცვა; მხრები უცასცასებდა, ძალიან მეტყველი თვალები ჰქონდა. ჩვენ მალე ჩამოვედით ტრამვაიდან, მე კი იმ ბავშვმა დამადარდიანა, მო-ვიწყინე. ფისომ კარგა ხანს იცადა თავის სადარბაზოსთან, ეგო-ნა, ძალიან მნიშვნელოვან ამბავს ვეტყოდი, მაგრამ მე ის ბავ-შვი მედგა თვალწინ და ხმა ვერ ამოვიღე. ფისომ იცადა, იცა-და, მერე გაბრაზდა, ფეხი დაჰკრა და წავიდა. მეც სახლში წა-მოვედი, პაპიროსიც მოვწიე, ის ბავშვი ხშირად მახსენდებო-და. მე ძალიან სწრაფად მეცვლება ხასიათი, მაგრამ მეორე დღესაც ცუდ ხასიათზე ვიყავი და სულ სახლში ვიჯექი, მესამე დღეს კი დაზღვეული წერილი მივიღე ფისოსაგან: „ჩვენი შეხ-ვედრა შეცდომა იყო. დარეჯანი".

საერთოდ, ძალიან არაპრაქტიკული ვარ — რა იქნებოდა, ჯერ ფისოსათვის სიყვარული ამეხსნა, შემდეგ კი იმ ბავშვზე მეფიქრა? მაგრამ მე ასე არ შემიძლია, მე გრძნობებს ავყვე-ბი ხოლმე, იმ წუთში ვერაფერს ვიტყოდი, რადგან ის ბავშვი თვალწინ მედგა. თუმცა ზედმიწევნით ვიცი, პრაქტიკული კა-ცი როგორ უნდა მოიქცეს, მაინც არაპრაქტიკული ვარ. მაგა-ლითად, ვიცი რომ პალტო ზაფხულში უნდა შეიძინო, ხოლო ჩალის ქუდი ზამთარში; ასე უფრო ადვილია, მაგრამ ასე არ ვიქცევი. ეს წვრილმანია, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც...ახ-ლა კი, ალექსანდრე, ამეებს რომ გიყვები, ზემი მარტოხელო-პის ბრალია, ისე კი კარგად ვიცი, როსინის მოსასმენად რომ მოხვედი. სწორი ვარ?

— დიახ.

— აი, ამ ყუთში დევს ყოვლისშემძლე ფირფიტა — „ქერდი კაჭკაჭის" უვერტიურა. მას შეუძლია ადამიანის გარდაქმნა უკეთესისაკენ. და თუ ნებას მომცემ...

ვიღაცამ დააკაკუნა.

— მოპრძანდით! ოო, არჩილ, მობრძანდით, დაბრძანდით, გაიცანით — ჩემი ორკესტრის ნამდვილი წევრი — ალექსანდრე, ჩემი მეზობელი არჩილი. ალექსანდრე წყნარი, ზრდილობიანი ჭაბუკია, არჩილი კი უპატიოსნესი და მორიდებული ადამიანია. დაბრძანდით, ვიწყებთ!

არჩილი უხალისოდ ჩამოჯდა სკამზე. მაესტრომ ფირფიტა რადიოლაზე დადო.

— მუსიკა გიყვართ, არჩილ?

— რა ვიცი, კი.

— აბა, სმენად გადაიქეცით, ვიწყებთ.

არჩილი ისმენდა. ცალი ყურით ისმენდა, რადგან ძალიან ეჩქარებოდა. გული ვერ დაუდო მუსიკას, მხოლოდ ერთხელ მოეჩვენა, რომ მოხდენილი ჭაბუკი და ლამაზი ქალიშვილი მაღალ ბალასში დარბოდნენ და ცაც კრიალებდა. მეტი არაფერი.

მუსიკა შეწყდა. მაესტრო გაოგნებული იჯდა სავარძელში, ალექსანდრეც. სიჩუმე გაგრძელდა, მერე არჩილმა თქვა:

— თუ შეიძლება, სკამები მათხოვეთ. სტუმრები მიცდიან და...

— ო, წაიღეთ, წაიღეთ, სიამოვნებით, — გამოფხიზლდა მისეილი.

— მე წავალ, მაესტრო.

— რატომ?

— რა ვიცი.

— მითხარი, რა...

— რა ვიცი, გავლა მომინდა.

— აა, — გაიღიმა მაესტრომ. — ასეა, როცა როსინის მოისმენ, შეუძლებელია კედლებით შემოფარგლულ ადგილას გაჩერება. ყოჩაღ, მე შენ ტყუილად არ მოგასმენინე ეს ფირფიტა, წადი, ძვირფასო...

— რომელი საათია, ალექსანდრე?

— ცხრა. ხომ არ გეჩქარება?

— არა, ისე გკითხე.

„ნეტავი რატომ მკითხა?" — გაიფიქრა ალექსანდრემ და ჩუმად შეხედა. თამუნა ჩაფიქრებული იყო, ნელა მიაბიჯებდა. უკვე ბნელოდა, ამ წყნარ ქუჩაზე აღარ იყო ხალხი. ალექსანდრეს ძალიან უნდოდა, რომ თამუნას მხარზე ჩამოედო ხელი და ასე ევლოთ. გუშინაც ასე უნდოდა, მაგრამ ვერ ვაბედა. რატომღაც ეგონა, რომ თამუნა გაბრაზდებოდა და საერთოდ აღარ გაეკარებოდა.

— შენ უკრავ, ალექსანდრე?

— კი, ვიოლინოზე ვუკრავ.

— რა დაამთავრე?

— ტექნიკუმი.

— მე კი მეექვსე კლასიდან გამოვედი.

— კარგი გიქნია.

— რას ამბობ, ალექსანდრე? მაშინ პატარა ვიყავი, არ მესმოდა.

— სწორს ვამბობ, თამუნა. ასეა — თუ მუსიკოსობა გინდა, მთელი ცხოვრება უნდა გასწირო, თუ არადა სულერთია, ორ კლასს დაამთავრებ თუ კონსერვატორიას. ჩვენი დირიჟორიც ასე ამბობს, თუ მუსიკოსობას აპირებ, მთელი ცხოვრება უნდა გასწიროო.

— მართლა, თქვენი დირიჟორი როგორი კაცია?

— იცი, რა კარგი კაცია? — ალექსანდრე ლაპარაკის გუნებაზე დადგა. — ეგეთი ნიჭიერი ადამიანი არ მინახავს, აბსოლუტური სმენა აქვს, მაგრამ, საწყალი, მე მეონი, ხეიმოცარული კაცია. სიმართლე რომ ითქვას, ჩვენი ორკესტრი არ ვარგა, თამუნა. ის კი დირიჟორობს და თითქოს ვერ ამჩნევს, შეცდომებს რომ ვუშვებთ. ხანდახან, ათასში ერთხელ, არ ვიცი, რა დაემართება ხოლმე და არც ერთ მცდარ ნოტს არ აგვაღებინებს. მაგრამ ასეთ დროს მთელი რეპეტიციის განმავლობაში ათიოდე ტაქტს თუ დავუკრავთ. ისიც აიღებს და ჩვეულებრივად განაგრძობს ხოლმე. კონცერტებზე ხანდახან არც თუ ისე მომზადებულნი გამოვდივართ, ის კი ისე მხნედ შემოდის სცენაზე, გეგონება, პირველხარისხოვანი ორკესტრი

აბარია. სცენაზე გამოსვლის საკუთარი მეთოდი აქვს — ზოგს თვალს ჩაუკრავს, ზოგს მსარზე მოუთათუნებს ხელს, მერე სცენის შუაგულში დადგება, ყველას გაავიღიმებს და ასე გიწყებთ დაკვრას. რაც უნდა დაკუკრათ, ბოლოს მაინც შეგვაქებს სოლმე.

— კი მაგრამ, ვის ატყუებს?

— რა ვიცი. იცი, რაშია საქმე, — თქვა ალექსანდრემ და... მხარზე ჩამოადო ხელი; რაღაც საშინელის მოლოდინში გაისაბა, მაგრამ თამუნას ხმა არ ამოუღია და შვებით ამოისუნთქა. საოცარი სისარული მოაწვა და ანგარიშმიუცემლად ალაპარაკდა: — შეიძლება არც გვატყუებს, შეიძლება ჩვენი გამხნევება უნდა. ისეთი კარგი კაცია, რომ ვულს არ გაგვიტეხს. იმას ძალიან უყვარს როს სი, დიდი მაესტრო. როსინი სისი კარპია, ყველას ჰყავს კარპი...

ალექსანდრეს თამუნას მხარზე ედო ხელი და სსაპასუპით ლაპარაკობდა.

6

მეორე დღეს, ლექციების დამთავრების შემდეგ, ალექსანდრეს ჯგუფელებმა კამათი ასტესეს. — ნაწილი იძახდა, რომ N დიდი მწერალია, სხვები კი ამბობდნენ, რომ არც ისე დიდია, სალსს რომ ჰგონია. ისინი ჯერ ოცი წლისაც კი არ იყვნენ და ძალიან ხმამაღლა კამათობდნენ.

— რას ამბობთ, — ცხარობდა ერთი ვაჟი, — ჯერ მხოლოდ მისი დიალოგები რადა ღირს, რა შეედრება მის მოკლე ფრაზებს, მის ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

— ჰოდა, მას სწორედ ისეთი ბედიდარი გამოცდილება ჰქონდა, რომ თავისუფლად შეეძლო უფრო დიდი მწერალი გამოსულიყო.

ალექსანდრე ხედავდა, რომ თამუნას ძალიან აინტერესებდა კამათი N-ის შესახებ. ძალიან მოუნდა, რომ გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა.

— რას ამბობ? — წამოიძახა იმ ვაჟმა. — განა შეიძლება, რომ ადამიანი უფრო დიდი მწერალი გამოვიდეს, ვიდრე N? მას არც ერთი სიტყვა არა აქვს ზედმეტი, ყოველ წინადადე-

ბაში ისეთი ქვეტექსტები აქვს, რომლებიც თავისთავად რომანს უდრიან.

N-ის ნაწარმოებები უმრავლესობას წაკითხული ჰქონდა, მისი მოთხრობები თბილისში რამდენიმე წლის წინათ წაიკითხეს. პირველ ხანებში ყველას მოსწონდა N, ყველა აღფრთოვანებული იყო, ყველგან გაისმოდა მისი ქება, იგი ერთგვარ ეტალონად გადაიქცა. სხვა მწერლების ნაწარმოებებში დაკინებით ეძებდნენ მის გავლენას და ხასდახან პოულობდნენ კიდევაც. ზოგიერთს კი ისე გაუწყალა გული ამ გაუთავებელმა ქება-დიდებამ, რომ გაბრაზებულ გულზე თვალი გადაავლეს N-ის ნაწარმოებებს და ცდილობდნენ, რაიმე ნაკლი აღმოეჩინათ. გარკვეული ძიების შემდეგ მათ „აღმოაჩინეს" N-ის რამდენიმე ნაკლი, რომელთა შორის უმთავრესი იყო...

— არ არის საჭირო ეგეთი ქვეტექსტები, — ხმამაღლა თქვა ალექსანდრემ და იგრძნო, თამუნა ინტერესით რომ შეაცქერდა. ამან გაამხნევა და გაბედულად განაგრძო ლაპარაკი: — ადამიანს გადაჭრილი პასუხი უნდა ჰქონდეს ყველაფერზე. N-ს კი არ უყვარს გადაჭრილი პასუხის გაცემა.

— ასეთი იყო მისი თაობა! — ამაყად წარმოთქვა ვილაცამ.

— მით უმეტეს — პასუხი უნდა გამოეძებნა. სწორი ვარ თუ არა? გვჭირდება თუ არა ჩვენ პასუხი?

— რა ვიცი...

— მე კი ვიცი — გვჭირდება!

ასე დამთავრდა კამათი, თამუნა აღტაცებით შესცქეროდა ალექსანდრეს. სხვა საიდუმლოებების გაგებაც მოუნდა და უთხრა:

— ალექსანდრე, შენ მოხერხებული ბიჭი ხარ. მე ძალიან მაინტერესებს, რატომაა შენი მაესტრო ასეთი უცნაური კაცი? იქნებ გამიგო...

— მაგაზე ადვილი რა არის, — დამაჯერებლად უთხრა ალექსანდრემ. — ის ძალიან გულახდილი კაცია. ყველაფერი რიგზე იქნება, ამ დღეებში გამოველაპარაკები.

— ჩემო ალექსანდრე, — დაიწყო მაესტრომ, — ხელოვანთა ერთ ნაწილს აქვს საერთო მიზანი — ესაა უკვდავება. უფრო სწორად, ეს მიზანი კი არა, საოცრად ძლიერი ყინია. ამ ყი-

ნით შეპყრობილნი, ისინი თეთრად ათენებენ ღამეებს, პოულობენ საუკეთესო ჟღერადობის რითმებს, ერთმანეთში აზავებენ სხვადასხვა ფერსა და ხაზს, სულს უმერგავენ ცივ მარმარილოს, ეძებენ მანამდე არგაგონილ მელოდიებს და დაძაბული მუშაობის შემდეგ დაღლილნი დაეცემიან საწოლზე და გრძნობენ, რომ რამდენიმე მილიმეტრით კიდევ უფრო მიუახლოვდნენ მიზანს. მიზნამდე კი კილომეტრებია, ჩემო. ხელოვანთა მეორე ნაწილი სულ სხვაგვარი ხალხია, ალექსანდრე. მათ არც უფიქრიათ, თუ რაა უკვდავება. ისინი უკვდავებად იბადებიან, თუ შემდეგ ყალიბდებიან, ეს კაცმა არ იცის. ფაქტი ისაა, რომ ისინი თავიდანვე შეჩვეული არიან უკვდავებას, ისინი აღარ ფიქრობენ ამის შესახებ. რაც არ უნდა შორი გზა გაიარონ, ანდა შორი გზა ჰქონდეთ გასავლელი, ისინი არაფრად ჩააგდებენ ამას, რადგან მათ ახასიათებთ ყველაზე ძვირფასი თვისება — მათ შეუძლიათ ფრენა... და არა მილიმეტრობით გადაადგილება. ალექსანდრე, თუმცა მე ვერ დაგისახელებ ვერც ერთ ასეთ მხატვარს, ვერც ერთ ასეთ პოეტსა და მოქანდაკეს, რადგან ნაკლებად ვართ გათვითცნობიერებული ხელოვნების ამ დარგებში, მე მაინც შემიძლია დაგისახელო ასეთი კომპოზიტორი — ესაა როსინი. აი, ვისში ფეთქავდა უკვდავება, აი, ვინ იყო თავისი შედევრების ავტორი! ალექსანდრე, რაც მე გიამბე, ეს მხოლოდ ჩემი აზრია. მეც ვიცი, რომ დამაჯერებლად ჟღერს შემდეგი ფრაზა — „თუ ბევრს არ იმუშავებ, მიზანს ვერ მიაღწევ". მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ როსინის არასოდეს ჰქონია არავითარი მიზანი. უბრალოდ, იგი ისეთი იყო, როგორიც იყო. და ეს სავსებით კმაროდა იმისათვის რომ დღეს, ესე იგი საუკუნენახევრის შემდეგ, მე ასე აღტაცებით ვლაპარაკობ მის ქმნილებებზე. არ გეგონოს, რომ მხოლოდ მე ვარ მისი თაყვანისმცემელი. ჩვენ ბევრნი ვართ, მაგრამ მე იმით გამოვირჩევი, რომ როსინის ერთი რამით ვგეგვარ კიდევაც. ეს მსგავსებაა... სიზარმაცე. მე, რა თქმა უნდა, არა მაქვს სიზარმაცის უფლება, მას კი... მას ჰქონდა. მან იცოდა თავისი საქმე! როცა ოპერას შეუკვეთავდნენ, საოცრად ხანმოკლე ვადას თხოულობდა როსინი — თვენახევარს. შენ ალბათ გგონია, ჩემო ალექსანდრე, რომ იგი ამ თვენახევარს ათენებდა და აღამებდა, არა? ცდები. როსინი

მთელი თვე უდარდელად დასეირნობდა იტალიის ცის ქვეშ, ეშმაკურად ათვალიერებდა ქალებს და არხეინად თვლემდა რბილ სავარძელში. ასე გადიოდა მთელი თვე, ხოლო მომდევნო ორი კვირის განმავლობაში იგი გემრიელად მოკალათდებოდა რბილ ტახტზე, ხელში ბატის ფრთა ჰქონდა მომარჯვებული და ასე იქმნებოდა ისეთი ოპერები, როგორიცაა „ტანკრედი" და „სევილიელი დალაქი". პირადად მე მგონია, რომ როსინი — ეს სიჭაბუკეა, მომხიბლავი, უდარდელი, მუდამ სანატრელი. და სიჭაბუკითვე ვსსნი იმ გარემოებას, რომ როსინის ორმოცი წლის ასაკის შემდეგ ოპერა აღარ დაუწერია. იგი ისმენდა თავის ნაწარმოებებს, საკმაოდ კარჩაკეტილად ცხოვრობდა, გასუქდა, ექიმების დაჟინებული რჩევის შემდეგ ხანდახან გასასეირნებლად გამოდიოდა. იგი მიდიოდა წელა, მძიმედ, ჯოხის კაკუნით და თაყვანისმცემელთა ბრბო უკან მისდევდა. ისინი აღტაცებით შეჰყურებდნენ მას და ერთმანეთს უჩურჩულებდნენ: ხედავ, როსინი, დიდი მაესტრო...

ალექსანდრე, მე მგონი, შევცდი, ხელოვანნი ორ ჯგუფად რომ დავყავი. ალბათ, არავინაა როსინისავით ადვილად რომ მიეღწიოს დიდებისათვის... თუმცა, შეიძლება პოეტებშიც გამოერიოს ასეთი ვინმე, არა?

— ალბათ, მაესტრო.

— ეეჰ, მე ძალიან პატარა მაესტრო ვარ, ჩემო... დირიჟორისაგან ძალიან შორსაა უკვდავება, მაგრამ მაინც გამორიცხული არ არის. დირიჟორის უპირატესობა ისაა, რომ მას ისე შეუძლია ორკესტრის ამეტყველება, როგორც მოესურვება. მე პირველხარისხოვან ორკესტრს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა. რა სჯობია დირიჟორობას — გამოდიხარ სცენის შუაგულში, თავს ზრდილობიანად დაუკრავ ხალხს, შემდეგ ორკესტრისაკენ შეტრიალდები, ჯოხს დააკაკუნებ და მთელი ორკესტრი სულგანაბული შემოგვაცქერდება. ხელებს შემართავ, მერე დაიქნევ და ყველაფერი დაგემორჩილება, ყოველი ინსტრუმენტი — ემოციური ვიოლინოები, ნაღვლიანი ჩელოები, მშრალი და უდარდელი კლარნეტები, რომანტიული ჰობოი, ზედაპირული, ჰაეროვანი ფლეიტა, მრისხანე საყვირები და ტრომბონები, ჩუმი და მორიდებული ვალტორნები, ეშმაკური ტემბრის ფაგოტები, მგრგვინავი დოლები და თეფშები, მე-

ოცნებე არფები, დინჯი და დარბაისელი კონტრაბასები, იდუმალი ინგლისური საყვირი... მე მიყვარს ჩემი საქმე, ალექსანდრე, ძალიან მიყვარს, მაგრამ მე ძალიან პატარა მაესტრო ვარ მე რომ დიდი მაესტრო ვიყო, სიკვდილის შემდეგ არ დავიკარგებოდი — რომელიმე ქუჩას ჩემს სახელს დაარქმევდნენ, უფრო სწორად -- გვარს. რა უნდა იყოს ამაზე კარგი, ვთქვათ, ბიჭი ეუბნება გოგოს: „სვალ სად შევხვდეთ?" — „სადაც გინდა". — „მაესტრო სანაძის ქუჩის კუთხეში მოდი, 8 საათზე, კარგი?" — „დიას", — უპასუხებს მორიდებული გოგონა, რა უნდა იყოს ამაზე კარგი, ჰა? ხომ არ შევტოპე, ალექსანდრე?

— არა, რასა ბრძანებთ.

— ეეჰ, ჩემო ალექსანდრე, — განაგრძო მაესტრომ, — ტრაბახში ნუ ჩამომართმევ, გეთაყვა, და ძალიან ნიჭიერი ვიყავი. ჰე-ე, როგორი ნიჭიერი, — მიხეილმა მოიწყინა, — მაგრამ ეს წყეული სიზარმაცე ხელს მიშლიდა. შენ გგონია, მუსიკა არ მიყვარდა? არც ერთი წამით არ გაიფიქრო! მუსიკით ვცოცხლობდი და ვიცოცხლებ. იცი, რატომ გაგზარმაცდი? ახლავე მოგახსენებ. ჯერ როიალზე ვუკრავდი, შემდეგ ჰობოიზე... ო, მშვენიერი ინსტრუმენტია ჰობოი, კლარნეტი არ მიყვარს... ფლეიტაც მაინცდამაინც გულზე არ მეხატება. დირიჟორი ამას არ უნდა ამბობდეს, მაგრამ მაინც... ჰოდა, ყველაფერს ძალიან ადვილად ვითვისებდი და ბევრი თავისუფალი დრო მრჩებოდა, ჩემო... იმანო... ჰო, ალექსანდრე! მაპატიე, როცა ბავშვობას ვიხსენებ, ქვეყანაზე ყველაფერი მავიწყდება. აღარ ვიცოდი, თავისუფალი დრო როგორ მომეკლა და იცი, რა დავიწყე? ფიქრი, ოცნება დავიწყე, ჩემო ძვირფასო. ჰეი, რა მარტივი და გულუბრყვილო ოცნება მიყვარდა მაშინ, თუმცა მხოლოდ ერთი შეხედვით იყო გულუბრყვილო, რადგან კარიერისტული მისწრაფებანიც ერია — მინდოდა, დიდი ადამიანი გამოვსულიყავი. მე, როგორც საოცრად არაპრაქტიკული კაცი, ისე გამიტაცა ოცნებამ, ისე შემეჩვია, რომ... დამიჯერებ, ალექსანდრე? დიდი განსხვავება არც ბრის ახლა ჩემთვის, ოცნებაში გამეხარდება რაიმე თუ სინამდვილეში.

თუმცა ალექსანდრეს ხმა არ ამოუღია, მაესტრომ მაინც საჭიროდ სცნო შემდეგის თქმა:

— შენ, ალბათ, არა გჯერა, ალექსანდრე, ახლავე აგიხსნი.

ოცნებასაც გააჩნია. ერთ-ერთ მათგანს დაწვრილებით მოგიყვები და მერე შენ განსაჯე, სწორი ვარ თუ არა. დღეს გულახდილი ვარ, გულგადახსნილი, როგორც იტყვიან. მე ისე ნათლად წარმოვიდგენ ხოლმე ყველაფერს, რომ... ახლავე მოგიყვები — აი, ვთქვათ, მივდივარ სასლში, ვარ დიდი დირიჟორი და მორიგი რეპეტიციის შემდეგ შინ ვბრუნდები. ჩემი კარის წინ დიდი თაიგული დევს, შიგნით პატარა ბარათია, სადაც ლამაზი ხელით წერია: „მაესტროს — თაყვანისმცემლებისაგან". მე თუმცა მობეზრებული მაქვს ამგვარი ამბები, მაგრამ მაინც მიხარია. სახლში ბიჭუნა მეგებება, ჩემი სისხლი და ხორცი. იგი თუმცა ექვსი წლისაა, უკვე მშვენივრად უკრავს ვიოლინოზე ვივალდის კონცერტს. და აი, ბიჭუნა დეპეშას მაძლევს. მე ვკითხულობ: „საქართველო, მაესტრო სანაძეს. იტალია მოუთმენლად გელოდებათ. იტალიელი მუსიკოსები". და აი, თვითმფრინავი ლაღად მიაპობს სივრცეს, თვითმფრინავში მგზავრები, მე, ჩემი ბიჭუნა, მფრინავი და ჰაეროვანი სტიუარდესაა. აგერ, მილანიც. აეროდრომზე გამოჩენილი იტალიელი მაესტრო მხვდება. იტალიაში ზაფხულია, იმ მაესტროს მსუბუქად აცვია, მეც. ჩვენ ვზივართ რომელიღაც ბაღში. ჩემი ბიჭუნა და იმ მაესტროს შვილიშვილი დაჭერობანას თამაშობენ. ჩვენ ღრმად ვისუნთქავთ დიდებულ ჰაერს და თან ჩუმი ხმით ვსაუბრობთ უდრტვინველ მაესტრო როსინიზე, რომელმაც იცოდა თავისი საქმე. საღამოთი ლა-სკალა გაჭედილია, ნემსის ნამსხვრევიც კი ვერ ჩავარდება. მე სცენაზე ჩემებურად გამოვდივარ და დარბაზი ტაშისაგან ზანზარებს. შემდეგ ხელებს მაღლა ავწევ და სამარისებური სიჩუმეა. და აი, ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით ორკესტრი ასრულებს მარშს ვაგნერის ოპერიდან „ტანჰეიზერი". შენ იცი ეს მარში, ალექსანდრე?

— დიახ.

— მამინ საჭირო აღარ არის მისი აღწერა. მერე ვუკრავთ ბეთჰოვენის მესამე სიმფონიას, შემდეგ სიმებიანი ორკესტრი ასრულებს ჰენდელის მეთორმეტე კონცერტს. შენ მოგისმენია ეს კონცერტი, ალექსანდრე?

— არა.

— ო, დიდებული კონცერტია, მშვენიერი და თანაც თუ შე-

იძლება ასე ითქვას, მორიდებული. ამ კონცერტში გენიოსის თავდაჭერილობა იგრძნობა, ჩემო. შემდეგ ბისზე ვასრულებთ უვერტიურას მოცარტის ოპერიდან „სერალიდან გატაცება“, შემდეგ კი... როსინის „ქურდი კაჭკაჭის“ შესავალს. წარმოგიდგენია, როგორი აღფრთოვანებულები დამრჩებოდნენ ტემპერამენტიანი იტალიელები? ისინი კვლავ მეევედრებიან- რაიმეს შესრულებას, მე კი ღონე აღარ შემწევს, დავიღალე, და უეცრად ორკესტრანტებს სცენაზე გამოაქვთ როიალი, როიალთან ხანშიშესული, გამოცდილი პიანისტი ჯდება, ხოლო სცენაზე გამოდის ჩემი ბიჭი, ჩემი ჭკუის კოლოფი და ისინი უკრავენ ვივალდის კონცერტს. და აი ახლა, ალექსანდრე, იტალიელ მაესტროს და საერთოდ ყველას თვალები სიხარულის ცრემლითა აქვთ სავსე. გარდა დიდებული აწმყოსი, ისინი ბრწყინვალე მომავალსაც ხედავენ. ახლა კი კეთილი ინებე და მიპასუხე, ალექსანდრე — უნდა იოცნებოს თუ არა იმ კაცმა, ვისაც გონებაში ასეთი მშვენიერი სურათები ეხატება?

— დიახ.

— სრული პასუხი!

— აუცილებლად უნდა იოცნებოს, მაესტრო.

— ჰოდა, მეც მანდა ვარ.

ქუჩაში ტროლეიბუსმა ჩაიარა, ეს ჩვეულებრივი ტრანსპორტი იყო, გრძელი, ყვითლად შეღებილი, ალექსანდრეს ყურადღება არ მიუქცევია ამ ამბისათვის, მაესტრომ კი ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— ოცნებაში ყველაფერი ადვილად ხდება, სინამდვილეში კი ყოველივე ეს გაცილებით ძნელად მისაღწევია, ალექსანდრე.

თამუნა ძალიან მხიარული გოგონა იყო, მაგრამ საოცრად სიამოვნებდა, ხანდახან სერიოზულად რომ ეჭირა თავი. მითუმეტეს ისეთი ნათელი გონების ადამიანთან, როგორიც იყო ალექსანდრე.

— ესე იგი, გული გადაგიშალა, არა?

— კი. მე არ ვიცოდი, მაგრამ თურმე არსებობს ისეთი ადამიანების კატეგორია, ვისთვისაც სულერთია, ოცნებაში გაეხარდება რაიმე თუ სინამდვილეში.

თამუნას უეცრად ძალიან მოეწონა სიტყვა „კატეგორია“.

— კატეგორიაო, შენ ამბობ? იქნებ ასეთები ერთეულები არიან...

— რა ვიცი, შეიძლება. მომავალი დაგვიდასტურებს, ჩემო თამუნა. მთავარი დაკვირვებაა. თუ ადამიანი ფხიზლად იქნება, ყველაფერს გაიგებს.

— რა თქმა უნდა. მერედა შენ რა აზრისა ხარ მაესტრისთანა ადამიანებზე?

— ეს ცოტათი რთული საკითხია, თუმცა არა, არ არის რთული. მე მგონი, ასეთმა ადამიანებმა შეიძლება სხვასაც გადასდონ ეს უდარდელობა, ეს ოცნება და არაპრაქტიკულობა. რა თქმა უნდა, ზედმეტად პრაქტიკულობა არ ვარგა, რადგან ამ შემთხვევაში ადამიანი ძალიან მშრალი ხდება. მაგრამ ყველა უნდა იყოს იმდენად პრაქტიკული, რამდენადაც საჭიროა.

— სწორი ხარ, ალექსანდრე. ესე იგი, ამ ადამიანმა შეიძლება სხვა ადამიანზე უარყოფითად იმოქმედოს, არა?

— სავსებით შესაძლებელია.

— მერედა, რას უყურებ?

— ა? — ალექსანდრეს უცებ შეეშინდა, — რა მითხარი?

— რა და ასეთ ადამიანს უნდა აუხსნა, რომ მისი საქციელი გასაკიცხია.

— დამიჯერებს კი?

— უნდა დააჯერო. მე მგონი, შენ ეს შეგიძლია, ალექსანდრე.

— იცი რა, თამუნა? შენ მართალს ამბობ, ხვალ, რეპეტიციის შემდეგ, შეიძლება მოველაპარაკო. მე მგონი, ყველაფერი რიგზე იქნება.

7

ნათურა მკრთალად ანათებდა ეზოს, ფოთლებდაცვენილი ხეები ძლივს მოჩანდნენ სიბნელეში. ფანჯარასთან კაცი იდგა და შეორთქლილი მინის მიღმა უყურებდა ფიფქებს. ყველაფერს ფარავდა პირველი თოვლი. ფიფქები ტრიალით ეშვებოდნენ მიწაზე, სიბნელეში გაუჩინარებულ მავთულებზეც ეცემოდა ფიფქები, სახურავებზე თხლად იდო თოვლი.

მინაზე შუბლშიბჯენილი კაცი გარეთ იყურებოდა. გარეთ

ბარდნიდა, ფიფქები ბეუტაგდა წათურის მკრთალ შუქზე, გაუთავებლად, ხვავიანად თოგდა. კაცმა თითით გაწმინდა შეორთქლილი მინა. მას ძალიან უყვარდა თოვლი. იგი გარეთ იყურებოდა და ხან ეგონა, რომ ფიფქები მხიარულად მოსდევდნენ ერთმანეთს, ხანაც ეგონა, რომ ისინი სევდიანად ცვიოდნენ ციდან.

კაცი დიდხანს იდგა ფანჯარასთან. იდგა, სანამ თოვლმა ყველგან არ დაიბუდა:

ეზოში მდგარ სკამზე ჩამოჯდა,

მავთულებზე წამოწვა ჯამბაზივით,

სქლად დათოვლილი სახურავები უზარმაზარი ფრინველის ფრთებს დაამგვანა და კაცმა სინათლე ჩააქრო და დაწვა.

სანამ დაიძინებდა, მას უხაროდა, რომ მეორე დილით ქალაქი იქნებოდა ძალიან თეთრი, სუფთა, ქათქათა.

— მობრძანდით! ოო, ალექსანდრე, რა კარგია, რომ მოხვედი. იცოდი, ავად რომ ვარ?

— რეპეტიციაზე რომ არ მობრძანდით, მაშინვე გავიფიქრე...

— მაესტრო ავად ხომ არ გახდაო, ბრა?

— დიახ.

— ჯერ პალტოს ნუ გაიხდი, ბბა, ახლოს მოდი.

მაესტრომ პალტოზე ხელისგული მიადო.

— ზამთრის სურნელება აქვს შენს პალტოს, სუსხი შემოგყვა ოთახში, ალექსანდრე.

— მაპატიეთ, ახლავე გავიხდი, მაესტრო.

— მაპატიეთო? რას ამბობ, ალექსანდრე, მე ისე მიყვარს თოვლი, ძლივს ვიგრძენი მისი სუნთქვა შენი ტანსაცმლის წყალობით. ეეჰ, უკვე გათბა პალტო, შეგიძლია გაიხადო... ახლა კი დაბრძანდი.

ალექსანდრე სკამზე ჩამოჯდა.

— ძალიან მიყვარს თოვლი, — დაიწყო მაესტრომ — მარტოოდენ სიტყვა „თოვლიც" კი წარმოუდგენელ სიამოვნებას მანიჭებს. როცა ამ სიტყვას იტყვიან, მაშინვე წარმოსიდგება ნახშირისთვალება თოვლის ბაბუა, მოუსვენარი ბავშვები ცი-

გებზე და გუნდით ხელში, თხილამურებზე შემდგარი ახოვანი ქალ-ვაჟები, სახურავებზე ჩამოკიდებული ყინულის ლოლუები და კიდევ ბევრი ამდაგვარი რამ. ახლა ნამდვილი თოვლი იკითხე, მარტოოდენ სიტყვა რას გვეყოფა. თოვლი იმითაც არის კარგი, რომ თუ მოვა, ყველგან მოვა, სადაც კი გიხილავ, ყველაფერი თოვლითაა დაფარული. შენ მიდიხარ და რომელი ნოხი და ხალიჩა შეედრება თოვლზე სიარულს. მიდიხარ, თოვლი ჭრიალებს შენს ფეხქვეშ, უყურებ ლოყებაწითლებულ, ბედნიერ ბავშვებს, შენს ფეხქვეშ კი: „ჭრაჭ!". მიდიხარ, გორაკებიდან ციგით ეშვებიან, ციგა სწრაფად მიჰქრის ქვემოთ, ქარი სახეს უწიწკნის ბაშვებს, ციგა გვერდზე ყირავდება, ყველა იცინის, გაყინულ ჰაერში ზარის წკრიალივით გაისმის ბავშვების სიცილი, შენს ფეხქვეშ კი: „ჭრუჭ!.." მიდიხარ, ბიჭები გუნდებს ესვრიან გოგონებს, ხან ააცილებენ, ხან შიგ ბეჭებში მოარტყამენ, ყველაფერი ეს ხალისითა და სისარულითაა აღსავსე, მიდიხარ და, რაც მთავარია, საოცრებავ, როგორი მსუბუქი ჰაერია გარეთ, როცა თოვს — ისე ადვილად სუნთქავ, ისე ძალდაუტანებლად... თოვლი გაიძულებს, რომ ისუნთქო ისე, როგორც სუნთქავდა... როსინი, დიდი მაესტრო. ხედავ, ალექსანდრე, მე კი ავად გავხდი, მაინცდამაინც ახლა, როცა გარეთ თოვს.

— ფანჯარა ხომ არ გამოვაღო, მაესტრო?

— გამოაღე, ჩემო კარგო. მე მაგრად შევიფუთნები, შენ კი ფანჯარა გამოაღე.

— ვერ უთხარი, ალექსანდრე?

— ვერა.

— რატომ?

— რა ვიცი, — ალექსანდრეს შერცხვა, — მართლა, ავად იყო და შემეცოდა.

— კარგად მოქცეულხარ. ავად თუ იყო, არ უნდა გეთქვა.

— ჰო, სწორედ მაგიტომ არ ვუთხარი.

ისინი ხმადაბლა საუბრობდნენ, რადგან მათ გვერდით ქალი იჯდა. ქალს ბავშვი მოეყვანა ბაღში და თვალყურს ადევნებდა. ბიჭუნა დარბოდა, დახტოდა და მიწით ხელებს ისვრიდა.

— როგორ შეიცვალა ამინდი, არა?

— აბა, ვინ იფიქრებს, გუშინ რომ თოვლი იყო. წამდვილი გაზაფხულის დღეა.

ბავშვმა დედასთან მიირბინა, მაგრამ რაღაცას წამოპკრა ფეხი და წაიქცა. ქალი სწრაფად წამოდგა და ბავშვს მივარდა, ალექსანდრეც წამოდგა.

— რამე ხომ არ იტკინა? — ჰკითხა ქალს თამუნამ.

— არა, ასე ხშირად ეცემა.

ბავშვი ჯერ დაბნეული იყო, მერე თამუნას შეშფოთებული სახე დაინახა და ტირილის გუნებაზე დადგა.

— არ იტირო, არ იტირო, — ეუბნებოდა ქალი.

ბავშვმა ღრმად შეისუნთქა ჰაერი, სახე მოეღრიცა და ყველა მისვდა, რომ ჩქარა ღრიალს ამოუშვებდა.

— მიწამ გატკინა ფეხი, — არა? — უთხრა ალექსანდრემ. — აბა შენც ატკინე მიწას, აბა, დაარტყი; დაარტყი.

ბავშვი ყოყმანობდა — აღარ იცოდა, ეტირა თუ მიწისათვის სამაგიერო გადაეხადა.

— აბა, დაარტყი, ესე დაარტყი, ესე, — თამუნამ ფეხი დაპკრა მიწაზე.

ბიჭუნამაც გულიანად დაარტყა ფეხი მიწაზე და აშკარად დაეტყო, რომ აღარ იტირებდა.

— მოდი, შვილო, ახლა ნამცხვარი ვჭამოთ, — ალერსიანად უთხრა ქალმა, — აბა, პირი გააღე.

ბავშვმა თავი გააქნია.

— ჭამე, შვილო, აბა პირი გააღე.

ბავშვი გაჯიუტდა.

— ჩაყლაპე, თორემ ბიძია შეჭამს (ალექსანდრეს პირველად უწოდეს „ბიძია"), აი, აი, ჩაყლაპა, ჩაყლაპა, — ქალმა ალექსანდრეს პირთან მიუტანა ნამცხვარი.

— მეც შევჭამ, მეც შევჭამ, — თქვა თამუნამ და ნამცხვრისაკენ მიიწია. ბავშვმა საჩქაროდ გააღო პირი.

ალექსანდრე წამოდგა, ზევიდან დააცქერდა ბიჭუნას.

— ჭამე, შვილო, და ამსიმაღლე გაიზრდები, გენაცვალე! — მოეფერა ქალი. ბავშვმა დაკვირვებით შეათვალიერა ალექსანდრე.

8

კონცერტის დაწყებას ხუთიოდე წუთი აკლდა. ორკესტრის წევრები საკრავებს აწყობდნენ.

— სალამი, მაესტრო.

— ო, ალექსანდრეს გაუმარჯოს, როგორა ხარ?

— დღეს ვერ დავუკრავ, ხელი ვიტკინე.

— რას მეუბნები, ძალიან გტკივა?

— ისე, საშუალოდ.

— ნუ დაუკრავ, ჩემო ალექსანდრე. ოღონდ პირობა მომეცი, რომ ექიმთან აუცილებლად წახვალ.

— წავალ, კი.

— აბა, შენ იცი.

— მაესტრო, ერთი რამ უნდა გკითხოთ.

— მიბრძანე, ჩემო ალექსანდრე.

— მაესტრო, ჩვენს ორკესტრზე რა აზრის ბრძანდებით?

— ეეჰ... თუმცა, მოყვარულების პირობაზე მშვენივრად უკრავთ.

— მართლა? კი მაგრამ მოყვარული კომპოზიტორების ნაწარმოებებს რომ არ ვუკრავთ?

— მერე რა... ცდა ბედის მონახევრეაო, სომ გაგიგია.

— თუ „ვერა შეჯდა მწყერი ხესა", ა, მაესტრო?

— იცი რა, ალექსანდრე? მე არ მომწონს შენი ლაპარაკი. გულახდილი კაცი ვარ და გულახდილადვე გეუბნები.

ალექსანდრემ ძალა მოიკრიბა და უთხრა:

— მაესტრო, მაპატიეთ, მაგრამ... თქვენ ერთი ახირებული ჩვევა გაქვთ. რაც არ უნდა სამწუხარო ამბავი შეგხვდეთ, მაინც ისე შეალამაზებთ, რომ ბოლოს კმაყოფილი რჩებით. ეს „შელამაზება" პრაქტიკულად რომ ხორციელდებოდეს, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ სინამდვილეში საქმეს ვერ შველით.

— ეს შენი სიტყვებია, ალექსანდრე?

— დიახ, ჩემია. თქვენ ასე იქცევით და ვერცა გრძნობთ, რომ შეიძლება სხვასაც გადასდოთ ეს მავნე ჩვევა. ვინ იცის, რამდენი ადამიანი გააუბედურეთ.

— შენ ამას მეუბნები, ალექსანდრე? მე მეუბნები, თუ ვინმე სხვას? — მიხეილმა უკან ხიიხედა.

— თქვენ გეუბნებით, დიახ! თქვენ კინაღამ არ ამიყოლიეთ, კინაღამ არ შემაჩვიეთ ეგრეთწოდებულ „ოცნებას, რომელიც ისე დამაჯერებელია, რომ სინამდვილეს უდრის". კიდევ კარგი, რომ... — ალექსანდრე შეჩერდა.

— რა — კიდევ კარგი?

— რა და...

— მიდი, დაამთავრე, ნუ გეშინია.

— კიდევ კარგი, საკმარისი გონება გამაჩნია, — ჩუმად თქვა ალექსანდრემ.

მიხეილმა გადაიხარხარა. ნერვიულად, ძალით იცინოდა. უეცრად სიცილი შესწყვიტა, შეაცქერდა და უთხრა:

— იცი, რას გეტყვი? წადი აქედან, ალექსანდრე.

ალექსანდრემ ნერწყვი გადაყლაპა:

— მე კი წავალ, მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრათ: თქვენ ცხოვრებაში ხელმოცარული კაცი ბრძანდებით, — და დაცინვით დაუმატა: — მაესტრო.

— გაეთრიე აქედან! — უთხრა მიხეილმა. — სადაც გიწდა, წადი, ოღონდ შენი „საკმარისი გონება" სადმე არ დაგრჩეს!

ალექსანდრე შეტრიალდა, დარბაზში შევიდა. თამუნას გვერდით დაჯდა და ფარდას შეაცქერდა.

— უთხარი?

— კი, — მიუგო ალექსანდრემ და ამაყად გაიფიქრა: „მე ვიყავი თამამი, გაბედული, მტკიცე".

დარბაზში სინათლე ჩააქრეს, ფარდა გაიხსნა. ორკესტრის წევრები ცდილობდნენ, დარბაზისაკენ არ გაეხედათ. სცენის შუაგულში გამოვიდა მსუქანი კონფერანსიე და გამოაცხადა:

— კომპოზიტორი აზმაიფარაშვილი, ბაღდადური, შეასრულებს ორკესტი, დირიჟორი მიხეილ სანაძე!

კანტიკუნტად ტაში დაუკრეს, მიხეილი გამოსვლას აგვიანებდა.

„ეჰე, — გაიფიქრა ალექსანდრემ, — შეიძლება ვეღარც გაბედოს დირიჟორობა ჩემი სიტყვების შემდეგ".

დარბაზი ჯერ მშვიდად იცდიდა, შემდეგ ოდნავ ახმაურდა. მაესტროს საკუთარი მეთოდი ჰქონდა — იგი სცენაზე გამოდი-

ოდა მსნედ, გაბედულად, დამაჯერებლობა და იმედი შეჰქონდა ორკესტრში — ერთს მხარზე მოუთათუნებდა ხელს, მეორეს საალერსო სიტყვას ეტყოდა, მესამეს თვალს ჩაუკრავდა, შემდეგ მთელ ორკესტრს ღიმილით მოავლებდა თვალს და...

ახლაც ასე გამოვიდა სცენაზე. ხალხს თავი დაუკრა, შემდეგ ორკესტრისაკენ შეტრიალდა და ხელები მაღლა ასწია.

ორკესტრმა შეასრულა ბეელებური საცეკვაო, რომელსაც ადრე კინტოები ცეკვავდნენ. ამ მივიწყებულ მელოდიაში იყო რაღაც სითბო და ხალხი კარგა ხანს ტაშს უკრავდა. გახარებულმა მაესტრომ მადლობა გადაუხადა ხალხს და ორკესტრს შესძახა — „ყოჩაღ, არწივებო!". ტაშისცემამ მაესტრო აიძულა, რომ „ბაღდადური" ისევ დაეკრათ. ეს უკვე პატარა, ძალიან პატარა გამარჯვებას უდრიდა, მაესტროს ნამდვილი ტრიუმფი კი შედგა იმავე ღამეს, ორ საათზე.

9

მეორე დღეს მაესტრომ თავის ორკესტრის ერთ-ერთი წევრი დაიმარტოხელა და უთხრა:

— იცი, რას გეტყვი, კონსტანტინე? მე გუშინ ერთმა ადამიანმა ძალიან მაწყენინა. ისეთი რამ მომახალა, რომ... მე იმ ადამიანს ვენდობოდი, ისევე, როგორც ახლა, შენ გენდობი. უცნაური რამ უნდა მოგიყვე, დღეს გულახდილი ვარ, გულგადასსნილი, როგორც იტყვიან. გუშინ, მისი სიტყვების შემდეგ, საოცრად მომინდა ისეთი რამ, რაც დამამშვიდებდა და გამახარებდა, გესმის, კონსტანტინე? გუშინ ძილი არ მომეკარა, თვალი კი მოვსუჭე, მაგრამ მაინც დამიფრთხა ძილი. ღამის ორ საათამდე ასე ვიწექი, და... იცი, რას გეტყვი, კონსტანტინე? ყოველთვის არსებობს გამოსავალი, ოღონდ მიგნება უნდა. უეცრად ბრწყინვალე აზრმა გამინათა ვონება — ავდექი, ფრაკი ჩავიცვი, თმა დავივარცხნე, ერთი სიტყვით ყოველნაირად მოვემზადე. შემდეგ კარადიდან საყვარელი ფირფიტა გამოვიღე და რადიოლაზე დავდე. სინათლე ჩავაქრე, მარცხენა ხელით რადიოლა ავამუშავე, მარჯვენა ხელი კი დავიქნიე და მაშინვე „ქურდი კაჭკაჭის" დიდებული უვერტიურა გაისმა. ჩემს წინ, სიბნელეში იყო მშვენიერი და ნანატრი ორკესტრი, თვა-

ლები მაინც დახუჭული მქონდა და ისე ვამოძრავებდი ხელებს. ყველა ინსტრუმენტი ისე მემორჩილებოდა, როგორც მე მინდოდა, ყოველივე ჩემს განკარგულებაში იყო — ემოციური ვიოლინოები, ნაღვლიანი ჩელოები, მშრალი და უდარღელი კლარნეტები, რომანტიული ჰობოი, ზედაპირული, ჰაეროვანი ფლეიტა, მრისხანე საყვირები და ტრომბონები, ზუმი და მორიდებული ვალტორნები, ეშმაკური ტემბრის ფაგოტები, მგრგვინავი დოლები და თეფშები, მეოცნებე არფები, დინჯი და დარაბაისელი კონტრაბასები, იდუმალი ინგლისური საყვირი. მე ზუსტად და მკაფიოდ ვდირიჟორობდი, როგორც ეს გამოჩენილ მაესტროებს შეჰფერით, ჩემი ოთახი სავსე იყო საოცნებო სმებით და ალბათ ჩემს მეზობლებსაც ძილში ჩაესმათ ეს უცნაური, საუცხოო ჰანგები. ეს ტრიუმფს ჰგავდა, კონსტანტინე—მე ვდირიჟორობდი და ჩემს პატარა ოთახში გაისმოდა დიდი როსინის უდარდელი, ღვთაებრივი სუნთქვა.

— კი მაგრამ მუსიკა რომ დამთავრდა, ალბათ, ძალიან დაგწყდათ გული, — უთხრა კონსტანტინემ.

— რატომ, ჩემო?

— ტაში რომ არავინ დაუკრა.

მაესტრომ საყვედურით შეავლო თვალი და გაკვირვებით ჩაილაპარაკა:

— განა ჩვენ მხოლოდ ტაშისათვის ვიღვწით, კონსტანტინე?

1965 წ.

ნაბიჯი

1

გოგია კიზირია მოწაფეობისას ძალიან ერიდებოდა თეატრში სიარულს. არადა, უყვარდა.

თეატრში აბონემენტით დაიარებოდა მთელი კლასი, გოგია მაშინ ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა. იმხანად ბიჭებში რატომღაც დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა, არაფერი არ გაკვირ-

ვებოდათ, არაფრით არ აღტაცებულიყვნენ და ასე. გოგია კი, სულელი, წარმოდგენას რომ მიჩერებოდა, რომელიმე ისეთი სცენის ყურებისას, სერიოზული ხალხი „მძიმეს“ რომ ეძახდა, უნებურად აცრემლდებოდა ხოლმე. ძალიან ბრაზდებოდა საკუთარ თავზე, იცოდა, ქალაჩუნად რომ ჩათვლიდნენ ბიჭები, მასხარად რომ აიგდებდნენ, მაგრამ რა ექნა, ცრემლს ვერ იკავებდა და... მალულად შეიმშრალებდა თვალს და ცდილობდა სხვა რაღაცეებზე ეფიქრა, მაგრამ მუშტებშეკრული, საგანგებოდ განათებული კაცი სცენაზე ხალხის გასაგონად ყვიროდა: „ის უნდა სასტიკად დაისაჯოს!“ და გოგიას ისევ აუჩუყდებოდა ხოლმე გული. თეატრიდან რომ გამოვიდოდა, სულ სხვა გოგია იყო — მიდიოდა თავისთვის ქუჩაში, საკუთარ თავზე განაწყენებული და მაინც ერთგვარად თანამგრძნობი, მიდიოდა და ვინ იცის, მერამდენედ იმეორებდა, რომ ის ნამდვილი ამბავი კი არ იყო, არამედ პიესა, რომ მართლა კი არ მოჰკლავდნენ ვინმეს, უბრალოდ, მსახიობები იყვნენ. გოგია უფრო რომ დაშორებოდა მოქმედ პირს, პროგრამას ამოიღებდა ჯიბიდან, დახედავდა და წაიკითხავდა: გრაფი — კ. ზუმპიაშვილი.“ სიმართლე რომ ითქვას, ეს ზედმეტიც იყო, თეატრიდან გამოსულ გოგიას აღარაფერი სჯეროდა იმ პიესისა; სამაგიეროდ, ამით მომავალი სპექტაკლისათვის იმხნევებდა თავს. მაგრამ შემდეგ წარმოდგენაზე რაც არ უნდა გულგრილი განწყობით წასულიყო, თეატრს მაინც რაღაცა უხილავი ძალა ჰქონდა — შესასვლელთან რაღაცნაირი უცხო სინათლე ციაგებდა, მრავლად გაკრულ აფიშებზე რამდენიმე პიესის სათაური მსხვილად დაებეჭდათ, თავისი ავტორითა და დაწყების დროით, მერე კონტროლიორი აბონემენტს მოხევდა, გოგია კიბეს ნელა ჩაივლიდა, პალტოს გაიხდიდა, კაშნეს სახელოში ჩაკუჭავდა და მეგარდერობეს ფრთხილად ართმევდა გრილ, ბრტყელ ნომერს. მერე დარბაზში შედიოდა, სანახევროდ გავსებულ პარტერში; სანამ თავის ადგილს იპოვიდა, ძალაუნებურად შეაწუხებდა ვინმეს — თუ შეიძლება, გამატარეთო... მერე კიდევ შემოდიოდნენ მაყურებლები, სავარძლის ზურგს გადაწვებოდნენ, დახედავდნენ ნომერს და სხდებოდნენ... ჭაღები თანდათან, ზომიერად ქრებოდა, ხმადაბლა ალაპარაკებული მაყურებლები ჩუმდებოდნენ, ერთი-ორგან თუ მოისმო-

და დაგუდული ჩოჩქოლი, მერე დაუკრავდა ორკესტრი და ხავერდის მძიმედ დანაოჭებული ფარდა იხსნებოდა, დეკორაციების სუნი გადმოდიოდა პარტერში და გოგია აშკარად გრძნობდა, რომ აღარ იყო გულგრილი... მერე კი, მესამე მოქმედებისას, როცა ცნობილი მსახიობი ქალი მისთვის ჩვეული ათრთოლებული სმით იკითხავდა: „ცოცხლივ? როგორ, ნუთუ მშვენიერი ანტუანა ცოცხლად უნდა დასწვან?" გოგიას ბურთი გაეჩრებოდა ყელში და თუმცა თავს მაღლა სწევდა და თვალებს ნაძალადევად ასამსამებდა მაინც ვეღარ იკავებდა ცრემლს.

ეს ყველაფერი გოგიას ჩვიდმეტი წლისას მოსდიოდა, მერე, რომ დაკაცდა, თანდათან გადაუარა. კლასის ამხანაგები ჩამოშორდნენ, ზოგი სად მოეწყო, ზოგი სად; გოგია კი თანამშრომლებთან რაღაც უსერხულად იყო — ბავშვობის ამხანაგი მაინც სულ სხვაა. ხანდასან თუ შემოხვდებოდა რომელიმე, გაჯგიმული, ცსვირაწეული, ამაყი, შეხვდებოდა და ეუბნებოდა:

— რავა ხარ, გოგია?

— გმადლობთ.

— შენი მადლობა რად მინდა, რავა სარ ისე?

— კარგად.

— ბიჭებს თუ ხვდები?

— ხანდახან, ათასში ერთხელ.

— ბიჭები თუ შეგხვდნენ, გადაეცი, რომ კარგად ვარ, ჯანზე ვარ, კარგად არის-თქო. —

— კარგი.

— წადი ახლა შენ, გოგია, და ვინმემ რამე თუ გითხრა, მე აქედან გიყურებ და თუ გაგიჭირდა, ხელად გამოგეჭანდები. სხვა რა გიყო?

— არაფერი, — ამბობდა გოგია.

ისე, სიმართლე რომ ითქვას, გოგიას ბავშვობიდან უნდა დაგვეწყო ამბავი, თანამიმდევრულად. მისი მშობლები წესიერი ხალხი იყო, ოღოწდ ცოტაძი ფოციბნი დედა ჰყავდა — გოგიას სკოლიდან ხუთი წუთი რომ დააგვიანდებოდა, გამოვიდოდა გარეთ, დადგებოდა ხესთან, გაყურებდა ქუჩას. გამოჩნდებოდა გოგია, გაემართებოდა დედამისი, გაბრაზებული, მაგ-

რამ რომ მიუასლოვდებოდა, გაუვლიდა ბრაზი, გადახვევდა ხელს, შეიყვანდა ეზოში... გოგია პატარა უხერხულად გრძნობდა თავს, მეზობლების თვალწინ ასე ბავშვივით რომ ჩაატარებდა დედა, მაგრამ თან უხაროდა კიდეც.

— ა, ხო მოვიდა, არ გამიგია მასე გადარევა, — ამბობდა მამა.

— რა ვიცი, რეები არ ხდება.

— სად იყავი, სკოლაში, ხომ? აქამე ასლა ბავშვს და მანამდე გაიქე, გოგია, პური მოარბენინე.

წვალებით გახსნიდა დედა კვანძს, გაშლიდა ცხვირსახოცში გამოხვეულ ფულს და მიდიოდა პურზე გოგია. აღმართს აივლიდა, იყიდდა პურს, ჩამოდიოდა დაღმართში. თითებს სწვავდა ახლად გამომცხვარი, თხელი ქართული ლავაში, ცხელი იყო ძალიან. თუ მაგრად შიოდა, თუმცა ხანდახან არც შიოდა, ჩამოაგლეჯდა გოგია პატარა, უფორმო ნაჭერს, მადიანად ილუკმებოდა ქუჩაში. მერე პურს ნაკლულ ადგილას ჩასჭიდებდა თითებს და ეზოში ისე შედიოდა. გაემზადებინა დედას სალათა, ერბო-კვერცხი, წყალში გავლებული მწვანილი, ისაუზმებდა გოგია და ჯდებოდა ხის ტახტზე. ხელებს მუხლებზე დაიწყობდა, იჯდა ასე, ოდნავ მოხრილი. მამას ძალიან უყვარდა გაზეთები, გადაშლიდა მთელ სიგრძე-სიგანეზე, კითხულობდა. სამზარეულოში დედას ხანდახან წყნარად აუხმიანდებოდა ჭურჭელი, კერძის სუნი დგებოდა ოთახში, იჯდა გოგია ტახტზე.

ზამთრობით ციოდა ოთახში, დილა-საღამოს მამა ღუმელს ანთებდა. შეაწყობდა კოხტად შეშას, შეუკეთებდა ძველ გაზეთს, გაჰკრავდა ასანთს, აანთებდა. აციაგდებოდა ღუმელის წინ, იატაკზე, სინათლე; მიუშვერდა მამა დამზრალ თითებს, იფშვნეტდა ხელებს, სიამოვნებდა, მოდი, გოგიაო, აქ, გასძახებდა. მიდიოდა გოგია ღუმელთან, თბებოდა ისიც...

ხანდახან წვიმდა. ატყდებოდა ეზოში პატარა ალიაქოთი, ჩამოხსნიდნენ სარეცხს, ფანჯრებს ხურავდნენ, სველდებოდა გარეთ ყველაფერი, მავთულზე ოდნავ ჩამოიბურცებოდნენ წვეთები, გადაიღებდა წვიმა, — კლებულობდა სმაური; გამოვიდოდა მზე, ორთქლი ტივტივებდა ღობლა, ასფალტზე, გაიღებდნენ ფანჯრებს, მშვენიერი კარგი ჰაერი იყო...

დედა და მამა ხანდახან კინოში დაიარებოდნენ, ქართულ ფილმს მაინც ხომ არ გამოტოვებდნენ არაფრით. რჩებოდა გოგია შინ, ჩართავდა რადიოს, მუსიკა უყვარდა. „ჰაი-ი, მუხრანბატონის ყმობითა-ა, ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა-ა", წამოიწყებდა პირველი და წარმოუდგებოდა გოგიას ღარიბი კაცი, ჩამოკონკილი, მშიერი, მწყურვალი, აუჩუყდებოდა გული. ხანდახან უცხოურ სიმღერებსაც ისმენდა, დიდი უცნაური სიტყვებით: „ტუ-უ, სალა ტუუ..." მაინც მოსწონდა, მუსიკას ააყოლებდა ხოლმე თავს, კარგი იყო კარგი სიმღერის მოსმენა. იმღერეს ერთხელ რადიოში რაღაც უცხოური, ყველაზე ხშირად ორი სიტყვა ისმოდა და ის სიტყვები დაამახსოვრდა მსოლოდ: „სანტა ლუჩია". ისიც კარგი სიმღერა იყო, ტალღა-ტალღად ადიოდა და ჩამოდიოდა. ჯერ ლოგინში იწვა გოგია და ისე უსმენდა, შეფუთვნილი; იმოქმედა მერე რაღაცამ, ძალიან იმოქმედა, აღელდა გოგია, წამოდგა ზეზე, სიმღერას აყოლილმა გაიარ-გამოიარა საწოლზე, კიდევ მოუნდა რაღაც, რაღაც უფრო მეტი, დაიხედა ძირს... აიღო ზეწარი, შემოიხვია ტანზე, ცალ ხელში ვითომ კალათი ეჭირა, მეორე ხელს კალათში ჰყოფდა, მიმოდიოდა ლოგინზე და, სიმღერას აყოლილი, კალათიდან ნელ-ნელა ურიგებდა ზღვა ხალხს რაღაც საჩუქარს, ყვავილები იყო ეს თუ კარალიოკი, რაღაც ამდაგვარი, ზუსტად არ იცოდა... გათავდა მერე სიმღერა, გაიხედ-გამოიხედა გოგიამ, შერცხვა, გაიფინა ისევ ზეწარი, დაწვა, უფრო შერცხვა, წაისურა თავზე საბანი...

მერე ის იყო, აბონემენტები რომ დაურიგეს კლასში და თეატრში დაიარებოდა, მაგრამ აუჩვილდებოდა ხოლმე გული და ვერ იკავებდა თავს. დაბრუნდებოდა შინ, გადაიკითხავდა დავალებებს, წერდა რვეულში სუფთად. სწავლობდა გოგია ოთხებზე, სამებზე, ორიანი თავის დღეში არ მიუღია. ძალიან უყვარდათ მასწავლებლებს, ეჰ, ნეტაი ამასაც ჰქონოდა ნიჭიო, ამბობდნენ. ვის აწყენინებდა, ან როგორ დაილაპარაკებდა გაკვეთილზე; იჯდა თავისთვის, წყნარად. ზოგმა ბოლო კლასში აურია ძალიან, ასეა, გენაცვალეო, აშშვიდებდნენ მშობლები ერთმანეთს, ბიჭი რისი ბიჭია, ცხოვრებაში ერთხელ თუ არ აურიაო. გოგია კი ისევ ისეთი იყო, ნამეტანი ჩუმი, წყნარი... გადადიოდა კლასიდან კლასში, დაამთავრა სკოლა, უმაღლესში

ჩაბარებით კი ჩააბარა გამოცდები, მაგრამ პირველ წელს სამი ქულა დააკლდა, მეორე წელს — ხუთი, არ გამოუვიდა არაფერი, მოეწყო გოგია სამუშაოდ — ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში, ლაბორანტად. ხალათები ეცვათ ყველას, გოგიასაც შეუკერა დედამ ხალათი, ფართო ჯიბეები ჰქონდა. მეცნიერ-ძუშაკები კი იყვნენ, მაგრამ ზოგიერთი სამი-ოთხი წლით უფროსი თუ იქნებოდა გოგიაზე, იყურებოდნენ მიკროსკოპში. გოგიასაც ავალებდნენ წვრილმან სამუშაოებს, როგორ დაიზარებდა რამეს. ნაშუადღევს საათიანი შესვენება ჰქონდათ, დადებდნენ პატარა ფულს და პურით, ყველით, ძეხვით და ამისთანებით საუზმობდნენ, ხანდახან სასყიდლებზე გასვლა ეზარებოდა ზოგიერთს და გოგია ხალისით მიდიოდა იმის მაგივრად, როგორ დაალაპარაკებდა ვინმეს. გახარებულს მოჰქონდა საჭმელი, სიამოვნებდა, კარგ საქმეს რომ აკეთებდა. შინ რომ დაბრუნდებოდა, რადიოს უსმენდა, კარგი გადაცემა თუ იყო, წიგნსაც კითხულობდა ხანდახან. დედა ავად გახდა ერთხელ, ლოგინად ჩავარდა ქალი. იმის ნაცვლად გოგია დაიარებოდა ბაზარში, ერთი-ორჯერ არ ეყო ფული — რასაც ეუბნებოდნენ, იმას იხდიდა. დაარიგა მერე დედამ და ბაზარში რომ შევიდა, ამოუდგა ვიღაც ქალს უკან, იმას ექვს შაურად დაუფასეს კარტოფილი, მაგრამ ქალი შეევაჭრა და ოთხ შაურზე დააყვანინა. სანამ ქალი ჩანთაში ჰყრიდა კარტოფილს, გაუწოდა გოგიამ გამყიდველს ოთხი შაური... აუწონა იმ კაცმა ერთი კილო, გადაზოგა ასე გოგიამ ორი შაური, ამოუდგა მერე უკან ვიღაც წუნია კაცს, სდია აქეთ-იქით, მერე, როგორც იქნა, ააწონინა იმ კაცმა ერთგან სახვი და იყიდა გოგიამაც იმ ფასად ხახვი... ერთ კვირაში უკვე თვითონ ევაჭრებოდა გამყიდველებს, გაიგო გოგიამ ფულის ფასი, მოიზოგავდა ხოლმე ცოტას, გაზეთებს ყიდულობდა. მიუჯდებოდა მაგიდას, გადაშლიდა, მიაჩერდებოდა ხოლმე დედა, ატირდებოდა — მამაშენსაც უყვარდა მაგ...

გადადებდა გოგია გაზეთს გვერდზე, მიაჩერდებოდა კედელს... რა ყოფილა მაინც სიკვდილი — დიდი უცნაური, გამოუცნობი, აუხსნელი, საიდუმლო — იმ დღეს სკოლიდან რომ დაბრუნდა, დედა მეზობლებთან იყო გასული სალაპარაკოდ, ტახტზე კი მამა გულალმა იწვა და ისე იწვა, თითქოს ეძინა,

მაგრამ გახელილი, დაბინდული, ჩამორეცხილი ფრესკისფერი თვალები ჰქონდა... გამრა გოგია, ფეხისწვერებზე შედგა და ისე დააჩერდა...

დედა რომ მომჯობინდა, მერეც კი დაიარებოდა ბაზარში, სამსახურში ხომ დადიოდა და დადიოდა. ტრანვაი ერჩია ყველაფერს — იაფი ღირდა. დაზოგა გოგიამ ბაზარში სიარულით თოთხმეტი მანეთი ფული, ჩაიდო ჯიბეში. ცოტათი გამოიცვალა, სულ ცოტათი — აქამდე თუ ყველაფერი სჯეროდა, ახლა რაც დასაჯერებელი იყო, იჯერებდა და რაც არა... მაგრამ ერთხელ ერთმა ნათესავმა ქალმა ისეთი ამბავი მოპყვა, მტრისას — ორი რუსის ქალი ცხოვრობდა თურმე იტალიაში, დეები ყოფილან, მილიონერის შვილები; რომ გარდაცვლიათ დედამამა, დარჩენიათ ზღვა ფული და ამტყდარა პირველი მსოფლიო ომი და მაინცდამაინც მაშინ მონატრებიათ სამშობლო, წამოსულან, ნამეტანი უცნაური ქალები ყოფილან... თვალ-მარგალიტი წამოუღიათ მარტო და ისე წამოსულან, მაგრამ გზაში ვიღაცას აუფეთქებია რაღაცნაირად რელსები და გაჩერებულა კაისანს მატარებელი ერთ პატარა სოფელთან, ერთ თვეს მდგარა თურმე — ომი იყო... იქ მაგარი შიმშილობა ყოფილა თურმე, რა ექნათ იმ ქალებს, ცხოვრებაში გამოუცდელები ყოფილან ძალიან — თითო პურში თითო მარგალიტს აძლევდნენ თურმე და რომ მოუღწევიათ საქართველომდე, ორი თუ სამი საგვარეულო ბეჭედი შერჩენიათ ხელზე... ამ დროს, მოგეხსენებათ, რა ამბავიც იყო საქართველოში, მენშევიკები, აქეთ შოტლანდიელი ჯარისკაცები, კაბები ეცვათ თურმე, იქით გერმანელები, ავსტრიელები, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა... დაუქირავებიათ იმ ქალებს ერთი პატარა სარდაფი, ბნელი, ნესტიანი, მაგრამ სულაც არ წუსდნენ, ადრეც არ ყოფილან ნამეტანი ფუფუნების მოყვარულნი... ჰოდა, ინ სარდაფში ვირთსა იყო ერთი თურმე... ჯერ კი დააფრთხო ქალები, მაგრამ მერე ისე ძალიან აღარ ეშინოდათ. თავი რომ ერჩინათ, მოწაფეები დადიოდნენ იმ ქალებთან, სამეცადინოდ — ერთს ექვსი ენა სცოდნია კარგად, მეორეს — ათი, უცნაურები ყოფილანო... ამდენ ენას რომ დაიმახსოვრებ კაცი, დაბნეული იქნები, აბა რა იქნები?! ჰოდა, მოსულა ერთსელ ვიღაც ბავშვის მშობელი და გადარეულა, რაა ეს, არ

გრცხვენიათ, ვირთხა რომ გყავთ ოჯახშიო? მაგია ავადმყოფობის გადამტანი, ყელში კბენა უყვარსო ღა ასე... აგერ, მოგიტანთ დარიშხანს და აჭამეთო... გაჩუმებულან ის ქალები, სირცხვილით ვეღარ თქვეს, იყოს, რას გვიმლისო და რომ მოუტანია იმ მშობელს საწამლავი, გადაუგდიათ ვირთხისთვის და იმას უჭამია. ისხდნენ თურმე და ვერ იძინებდნენ — ნეტაი რა მოსდებაო... რომ მოუტანებია ღამეს, გამხდარა ვირთხა ცუდად, დაწრიალებს თურმე ოთახში, რას დაწრიალებს, წყალი უნდება თურმე მაგ დროს, სხედან ეს ქალები, ხმას ვეღარ იღებენ... მერე, რომ შექმნილა ძალიან გლახად ვირთხა, ააცოცა თურმე ერთ ქალს მუსლებზე, დაუბჯენია თათები, ძლივს აუწევია თავი და უყურებს, უყურებს თვალებში... ეს ქალები ერთდროულად წამომდგარან, არაფრის უნო და მარიფათი არ ჰქონიათ მანამდე, მაგრამ იმ დღეს გადაუდიათ თავი — უკაცრავი ჰასუხია, მაგრამ სხვადასხვა ხერხით გადაურჩენიათ ვირთხა, მოწამლულ ადამიანს რომ უვლიან, ისე. არაა გადასარევი?

კი იყო გოგია გამოუცდელი, მაგრამ ასეთ სისულელეს დაიჯერებდა ვითომ? რომ ყოფილიყო ის ცხოველი ან ძაღლი (ადამიანის მეგობარია), ან ცხენი (ტრანსპორტის საშუალებაა), ან ძროხა (რძეს და ხორცს გვაძლევს), ან ბულბული (სტვენს კარგად), კიდევ შეიძლებოდა დაჯერება, მაგრამ... დედამ კი თქვა, მაინც რა არის ცხოველიო, მაგრამ ალბათ ისე თქვა, ზრდილობისათვის. ჩართო გოგიამ რადიო, გადაშალა გაზეთიც, ის ქალი კი ლაპარაკობდა, — არა, მე იმას კი არ ვამბობ, ვირთხა რა გადასარჩენი ცხოველიაო, მაგრამ ისაა მთავარი, რანაირი უცნაური ქალები ყოფილან ის ქალებიო... გოგია აღარ უგდებდა ყურს, მაგრამ სტუმარი რომ წაგიდა, ძალიან დაინტერესდა, ეს ამბავი ნამდვილად მოხდა თუ არაო, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერი დაადგინა — ერთის მხრივ, ვირთხის გადარჩენა როგორ შეიძლებოდა, მაგრამ მეორეს მხრივ, ძალიან უცნაური ქალები ყოფილან და ვერ დაასკვნა გოგიამ მაინც ვერაფერი... მიუბრუნდა ისევ გაზეთს — გადატრიალება ჩილეში. პარიზი, 22 ნოემბერი. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება...

დაიარებოდა გოგია სამსახურში, მიდიოდა, მოდიოდა.

კვლევით ინსტიტუტში ბუფეტი გახსნეს, შესვენებაზე იქ ჩავიდნენ თანამშრომლები — ორ-ორი, თითო-თითოდ... გადაზოგა იმ დღეს გოგიამ კიდევ ათი შაური, არ უსაუზმია, მოშივდა ძალიან, ეჩქარებოდა შინ და ხალხით გატენილ ტრამვაის შეახტა. საფეხური არც ჩანდა, ისე იყო დახუნძლული; სხვები გულგრილად იდგნენ. იქ, ეტყობა, შეჩვეულნი იყვნენ ასე მგზავრობას, გოგიას კი რცხვენოდა, თანამშრომლებმა ანდა ვინმემ არ დამინახოსო. ტრამვაი ზრიალით მიდიოდა, კარგიაო, ფიქრობდა გოგია, ჩქარა მივალ სახლშიო. იდგა ასე თავჩაქინდრული, მერე გახედა გზას, ტრამვაის რელსებს, ქარი სიოდა ყურებში, გამოცოცხლდა გოგია, გვერდით მდგარ ბიჭს გახედა. ეცნაურა ცოტათი და უცებ გაუკვირდა — ბიჭს თვალები გაუფართოვდა და ტრამვაის მიეხუტა, გაოცებული გოგია ორიოდე წამს ვერაფერს მიხვდა, მერე კი, ტრამვაიმ მკვეთრად რომ შეანელა სვლა და რელსებზე აღრჭიალდა, რაღაცა ძლიერი, მოურიდებელი ტკივილი ეტაკა ბეჭებში. სანამ გამოერკვეოდა, ფეხზე წამოდგა და უზარმაზარი თეთრი შვიდიანი ეცა თვალში. დაიბნა, თითქოს პირველად ხედავდა საბარგო მანქანას. გაფითრებულმა კაცმა ხელი წაავლო, კაბინაში გვერდით მოისვა. გოგიას ეგონა, გაუბრაზდებოდა, მაგრამ მძღოლმა უთხრა, არ დამღუპოო, კინაღამ ბავშვი გავიტანე და იმიტომ შევაჩერე ისე უცებ მანქანაო, კიდევ კარგი, ტრამვაიმაც დროზე რომ დაამუხრუჭა, თორემ არ დაგყვებოდა მიწაზე სულიო, ძალიან ხომ არა გტკივაო... არაო, გოგიამ. მძღოლმა შინ მიიყვანა, ნაძალადევად გაულიმა და თავის გზაზე წავიდა. გოგიამ შარვალი დაიფერთხა, ეზოში შეეიღა, ჩვეულებრივად აიარა კიბე, პირი არ დაუკარებია საშმლისათვის, წამოწვა. რა იყო, ბიჭო, რატომ არ სადილობ, ჰკითხა დედამ... რა ვიცი, არ მინდაო... ბევრს ხომ არ გამუშავებენ, შვილო, სამსახურშიო... არაო, ბუფეტი გაგვიხსნესო და... მართლაო? რეები აქვთ მაინცო. დედა, დავისვენებ, რა, ცოტასო... დაწვა გოგია ტახტზე, თვალები დახუჭა, ასლაღა შეეშინდა... რა, როგორ, ეს ორი სიტყვა ამოიჩემა — რა, როგორ... მერე გაახსენდა, რომ უნდა ესადილა, რომ ასე იყო საჭირო. ძალისძალათი წაიხემსა, პატარა ხანს მობუზული იჯდა და დაწვა. ღამით ორჯერ გაეღვიძა, ზურგი სტკიოდა... დილით სამ-

სახურში წავიდა, ავტობუსით, მოტორის გუგუნმა გული გაუწვრილა, გააღიზიანა... სამსახურში რომ მივიდა, გაუთაკებლად გრძელი მოეჩვენა კიბე; თანამშრომლებმა ვერაფერი შეამჩნიეს, მიკროსკოპში იყურებოდნენ. ჩამოჯდა სკამზე, იჯდა, იჯდა... არაფერი გაუკეთებია, ძალიან დაღლილი დაბრუნდა შინ... ითმინა, ითმინა, მესამე დღეს საავადმყოფოში დააწვინეს.

რატომ არ მითხარი დროზეო, ლოყებს იხოკავდა დედა, რატომ არ მითხარი დროზეო... გოგია იწვა და სუსტად იღიმებოდა... დიდი სიცხე ჰქონდა, ოცდაცხრამეტი და ექვსი ხაზი. ექიმები რომ მოვიდნენ, დედამ ტუჩებზე მაგრად მიიკრა მომუჭული თითები, თვალებად გადაიქცა... წამოჯექი აბაო, უთხრეს... წამოჯდა საწოლზე, ააწევინეს პერანგი, შერცხვა გოგიას, ძალიან გამხდარი იყო... ზურგზე რაღაცა მიადეს თუ არა, მაშინვე მიხვდნენ ყველაფერს. ჰიდროტორაქსი, უთხრა ერთმა ექიმმა მეორეს, პუნქცია უნდა გავუკეთოთ ხვალვე... მითხარით, რაა ჩემს თავსო, გამოედევნა ექიმებს დედა. ნუ ღელავთო, თქვეს ექიმებმა, ტრავმის შედეგად პატარა სითხე წარმოქმნილაო და ხვალვე გამოვუღებთო... როგორო... ნემსითო... უიმე, ჩემს თავსო, შეიცხადა დედამ... დაწყნარდით, დაწყნარდით, ნამდვილად არააო საშიში... თქვენი ჭირიმე, არ მომატყუოთო, ეგ ერთი მყავსო, ეგ ერთი. ღამით ცუდად ეძინა გოგიას, ას ოცდაათი ჰქონდა პულსი. ჰაერი არ ჰყოფნიდა, წამდაუწუმ ეღვიძებოდა, ოფლი სდიოდა, ხშირ-ხშირად და ღრმად სუნთქავდა; ნემსები დაუნიშნეს, დილამდე ძლივს მიატანა, გული უხურდა... ექიმები მოვიდნენ თუ არა, სანიტრებმა ურიკაზე დააწვინეს გოგია და გაქთქათებულ, ბრჭყვიალა ოთახში შეიყვანეს. ექიმი რეზინის მოყვითალო, გამჭვირვალე ხელთათმანებს იცვამდა, მხიარულად უთხრა, ხომ ხარ გაუკაციო... გოგიამ უხერხულად გაიღიმა — ძალიან გამხდარი იყო. აბა, დაჯექიო; ექთანმა იღლიებში მკლავები შეუყო, დაამაგრა გოგია... ჯერ გამაყუჩებელ ნემსს გაგიკეთებთო, თქვა ექიმმა და გოგიამ პატარა ჩსვლეტა იგრძნო, არც ეტკინა მაინცდამაინც... დაიცა აბა ცოტა ხანსო, დრო უნდა გავიდესო, უთხრა ექიმმა, ფანჯარასთან მივიდა და ეზოში იყურებოდა. მერე პირი და ცხვირი თეთრი ნიღაბით აიკრა, თეთრი ქუდიც წარბე-

ბამდე ჰქონდა ჩამოფხატული, მხოლოდ ღია ნაცრისფერი თვალები უჩანდა. რაღაც ცუდის მოლოდინში გოგია სულ მოიმჩვარა, ასე იყო ერთსანს და მოღონიერდა თითქოს... გონს მოეგო და შეკრთა — ექთანის მკერდს გრძნობდა გამხდარ, დალეულ მკერდზე, ასე ახლოს არასოდეს ყოფილა ქალთან... უკან დაიხია, ძლივს ასწია თავი, შიშნარევი ვედრებით მიაჩერდა სიცხისაგან მზერაარეული, ტუჩებგამშრალი... ექთანმა მშვიდად გაულიმა, რაღაც საოცრად თბილად, კარგად გაულიმა ექთანმა და გოგია ისე დამშვიდდა, რომ ბურანი ჩამოაწვა და მკლავში ისევ უჩხვლიტეს. გამოფხიზლდა თუ არა, აბა, გამაგრდიო, დაუყვავა ექიმმა და უეცრად ზურგში მძლეთამძლე, ძლევამოსილი ტკივილი ეძგერა. თვალთ დაუბნელდა გოგიას, არა, კი არ დაუბნელდა, რაღაცა მონაცრისფრო, მზისგულზე შემთბარ ბამბის ზვინში იძირებოდა თითქოს, ეფლობოდა, ყოველი კუნთი სასიამოვნოდ დაშორდა ერთმანეთს, ეს ნამდვილი ნეტარება იყო, არაფრით არ უნდოდა გონზე მოსვლა, არადა, მკლავში კიდევ უჩხვლიტეს, ცხვირში მჭასე სუნი ეტაკა, ლოყაზე ურტყამდნენ თითებს, საფეთქლებს უსრესდნენ, ის საშინელი სუნი აღარ აძლევდა საშველს, თავი გადასწია გოგიამ, შეკრთა, თვალი გაახილა, არა, შეიხვეწა გოგია, არა, არა... ნუ გეშინია, ცოტაღა დარჩა, ნუ გეშინია, ეუბნებოდა ექიმი. გოგიას ყბა ჩამოუვარდა, პირი დააღო, ქუთუთოები დაუმძიმდა, მთელი სხეულით მინდობოდა ექთანს, ნიკაპი ჩამოადო მხარზე, ლოყით მიეხუტა. იჯდა ასე, ვერაფერზე ფიქრობდა, უმწეოდ იცდიდა, მერე მიხვდა, ნემსი რომ გამოუღეს ნეკნებიდან, ღრმად შეისუნთქა, უკეთ გახდა მაშინვე, შერცხვა — ექთანს სახე მოაცილა და ხელებით მაგიდას დაეყრდნო... შენ რა გითხარი, უთხრა ექიმმა და თეთრი ნიღაბი შეიხსნა, როგორ შეგვაშინე... მაინცდამაინც არც ეტყობოდა, თუ შეშინდა, ნაღდად ეხუმრებოდა, ძალიან კარგი კაცი ჩანდა... გოგიას მადლიერებისაგან გული აუჩუყდა, არადა, ლაპარაკი უჭირდა, ისე იყო ღონემიხდილი, მაინც მოახერხა ხმის ამოღება: — მადლობა, დიდი მადლობა, ბოდიში... რის ბოდიში? — სუსტად გაიკვირვა ექიმმა... შეგაწუხეთ და... ექიმმა მხარზე მოუთათუნა ხელი და უთხრა: ეგ არაფერი... რა გქვია? გიორგი... ეგ არაფერი, გიორგი, უთხრა ექიმმა.

სანიტრებმა ისევ ურიკაზე დააწვინეს, გოგიამ თვალი მოავლო ოთახს და ის ნემსი რომ იპოვა, გააჟრჟოლა, — წვრილი ფანქრის სიმსხო იყო. დერეფანში გამოიყვანეს თუ არა, დედა მივიდა, ლოყაზე მოუფათურა ხელი, მერე მხარზე, ნიკაპზე, შუბლზე... როგორა ხარ, რატომ არ ყვიროდი, როგორა ხარ, როგორ? გოგიამ გაუღიმა — კარგად... მართლა უკეთ იყო — თავისუფლად სუნთქავდა, ისეთ მხურვალებასაც აღარ გრძნობდა, გულიც საგულეს ჩაუდგა. სანიტრებმა ლოგინში ჩააწვინეს, დედამ კოხტად ამოუკეცა საბანი, ატირდა და გავიდა გარეთ... გოგია მშვიდად იწვა, ხელები მუცელზე ელაგა, ფანჯარას მისჩერებოდა... კარგა ხანს იყო ასე, სუსტად იღიმებოდა.

სამიოდე დღეს უკეთ გრძნობდა თავს, დილით ოცდაჩვიდმეტამდე ჰქონდა სიცხე, საღამოს ოცდათვრამეტამდე აცოცდებოდა ვერცხლისწყლის სვეტი, მაგრამ რა უჭირდა ამას, იმ ამბების შემდეგ... პალატაში ერთი ავადმყოფი იწვა, გოგიას კბილა ბიჭი იქნებოდა. ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაეკეთებინა და აშკარად ეამაყებოდა, იმისმა ოპერაციამ ჩვეულებრივზე დიდხანს რომ გასტანა. „რო ამოჭრეს და მაჩვენეს, არა? გავგიჟდი"... ყვებოდა ბიჭი, „რვა სანტიმეტრი ყოფილა სიგრძით, პრინციპში"... იმ ბიჭთან ძალიან ბევრი მნახველი მოდიოდა და ავადმყოფს ყველასთან სხვადასხვანაირად ეჭირა . თავი — ზოგთან ამპარტავნულად, უინტერესოდ, მნახველი სხაპასხუბით უყვებოდა რაღაცას, ავადმყოფი კი ჭერს შესცქეროდა, დროდადრო უილაჯოდ გაიკვირვებდა და იკითხავდა: „ჰო?" მერე კი სხვა მოვიდა და იმის დანახვაზე სულ გამოიცვალა, დაიძაბა, აშკარად დაეტყო, ძალიან რომ მოუნდა რაღაცა ჭკვიანურის თქმა. ზნახველი საშუალო ტანის ბიჭი იყო, წითელი პერანგი ეცვა. ავადმყოფისაკენ დაიხარა და აკოცა, საერთოდ, ვინც კი მოდიოდა უბრმანაწლავოსთან, ყველა კოცნიდა. „მაშ, მაგრად იჩხუბეს?" — ენერგიულად იკითხა ავადმყოფმა. „ისე რა... — თქვა წითელპერანგამ, — არა უშავს". „როგორ მოერია მაინც, ა?" „ყველაფერი ხდება — ჩხუბია... ბალეტი ხომ არ არი". „თანაც, იმან გაარტყა არა, პირველად?" „კი, მაგრამ კარგად ვერ მოაჯდა"... „ალბათ, მაგას კარგი დარტყმა აქვს პრინციპში..." „არა უშავს, — დაეთანხმა წითელპერანგა, მაგრამ იქვე გადაიფიქრა, — კარგი დარტყმა თუ აქვს, უნდა მოეს-

ვა". „აბა რა", — თქვა ავადმყოფმა. ერთხანს ჩუმად ისხდნენ, წითელპერანგამ მხარზე რატომღაც ამაყად დაიხვედა, მერე ოთახს მოავლო თვალი: „რადიო არა გაქვთ?" „არა... აი, ამას ხელს რომ დააჭერ, გარეთ სინათლე ინთება და ექთანი მოდის". „ვა..." ისევ ჩუმად ისხდნენ, რაღაცნაირად, ვერ ააწყვეს საუბარი და ავადმყოფი ძალიან განიცდიდა ამას. უცებ გოგიას შეავლო თვალი და ძალიან ხმამაღლა თქვა: „აი, ეს გუშინწინ მოიყვანეს, წყალი გამოუღეს ფილტვებიდან". „მართლა"? — გოგიას შესედა წითელპერანგამ, — ეს როგორ"... „ნემსი ყოფილა, გაგიყდები, — თქვა უბრმანაწლავომ, — კოკტეილის ჩხირივით". „ვა, — გაიკვირვა წითელპერანგამ და გოგიას მიუბრუნდა: — ეს რატომ?" „მანქანა დაეჯახა". „ვოლგა?" „არა, საბარგო, — თქვა გოგიამ, — საბარგო დამეჯახა". „ხომ არ დააჭერინე, ჰა, ბიჭო?" „არა", — დაიმორცხვა გოგიამ. „ყოჩაღ, რამდენი შეაწერე?" „რა?" „რამდენი შეაწერე?" — გოგიას ეუხერხულა, სიტყვა რომ გაამეორებინა, არადა, ვერ მიუსვდა და დაბნეულმა თვალი მოარიდა. „მალავს, — ეწყინა წითელპერანგას, — შენ იცი შენი საქმე, ყველამ თავისი საქმე იცის". მნახველი შეურაცხყოფილი გამოიყურებოდა და უბრმანაწლავომ თქვა: „ალბათ, ნომერი ვერ დაიმახსოვრა, პრინციპში, წაქცეულა"... „მართლა? — წყენამ გაუარა წითელპერანგას. — გაიქცა?"... „არა, იმან მიმიყვანა სახლში"... „მერე, ისე გაუშვი?" „არა, მე თვითონ ვიყავი დამნაშავე"... „ეს როგორ?!" — წარბები აზიდა მნახველმა. „ტრამვაიზე ვიყავი ჩამოკიდებული"... „მერე რა?!" — გაუკვირდა წითელპერანგას, შეაცქერდა. აგდებული ღიმილი მოერია სახეზე და ისევ შეათვალიერა გოგია: — „შენ რომელ უბანში ცხოვრობ?" „ვერაზე". „შუშუტას იცნობ?" „არა" — შეწუხდა გოგია. „არც გაგიგია, არა?" „არა". „ეე," გაიღიმა. წითელპერანგამ და ზურგი შეაქცია — ახლა მისთვის ნათელი იყო, რას წარმოადგენდა გოგია.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, მნახველს რაღაცა გაახსენდა და იკითხა: „რომელი საათია?" „არ ვიცი, — შეწუხდა უბრმანაწლავო და მაჯაზე ხელი დაირტყა, — არ მიყვარს საათის ტარება". „ამას ხომ არა აქვს, — მხარუკულმა გაიშვირა ცერი წითელპერანგამ, — ეგ ისეთი ტიპია, ნაღდად ექნება"... „საათი ხომ არა გაქვს, ბიჭო?" „არა". „ვა, რა ვქნათ?" — დაინტერესდა მნა-

ხველი. „ვახ... ჰო!—გამოცოცხლდა ავადმყოფი და ღილაკს თითი დააჭირა, — ახლავე იქნება ყველაფერი", ეს როგორ?" „აი, ნახავ..."

პალატაში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, მორიგე ექთანი — „რომელი მეძახდით?" „მე,—გაუღიმა ავადმყოფმა,—ვენერა, გენაცვალე, ჯერ გაიცანი, ეს ჩემი ამხანაგია", „აა," — თქვა ვენერამ და შეწითლდა, წითელპერანგაც სანახევროდ წამოდგა, ერთხანს მოხრილი იდგა და თავს კარგა ხანს აკანტურებდა, გაცნობის ნიშნად, ბოლოს მაინც ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. „ვენერა, საყვარელო, ხომ არ იცი, საათის რომელია? არა, მე დიდი ბოდიში, საქმეები გაქვს, რამე, შეგაწუხეთ, მაგრამ აქ არავის არა აქვს საათი და თუ და ხარ, ძმურად, გამიგე რა?" „ეგ ადვილი სამსახურია", — თქვა ვენერამ და გავიდა. „რა ქაჯია არა, პრინციპში?" — იკითხა ავადმყოფმა. „ჰო, რა... გუშინ, ღამე, ლევანას ბორია სუფრიდან გაუგდია". „არ გამაგიჟო, — აღელდა ავადმყოფი, — ლევანას ბორია?" „ჰო, რა..." „როგორ იყო? ვაჰ, მითხარი რა..." „შვიდის ოცი წუთია", თავი შემოჰყო ვენერამ. „გმადლობთ, გეწაცვალე, დიდი მადლობა... როგორ იყო?" „ვა, რა დრო გასულა, მე წავალ, — წამოდგა მწახველი, — ძალიან მეჩქარება, ხვალ მოვალ, მოვიყვები"...„ნაღდად გააგდო?" „იქ ვიჯექი — როგორ"... „ხვალ მოდი, რა"... „მოვალ, აბა რა, — თქვა წითელპერანგამ, დაიხარა და ერთმანეთს აკოცეს, — კარგად"... წითელპერანგა რომ წავიდა, კმაყოფილმა ავადმყოფმა გოგიას შეხედა და უთხრა: „იცი, ეგ რა სამართლიანი ბიჭია, ყველანი პატივს სცემენ..."

იწვა გოგია თავისთვის, ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი, ჩამოჯდა იქვე, თავთით, დედა. იყვნენ ასე — დედა გოგიაზე ფიქრობდა, გოგია... იმ წითელპერანგა ბიჭზე: „სამართლიანია... როგორია მაიწც? რაშია სამართლიანი?"

საჭმელი ხომ არ მოგენატრა რამეო, ჰკითხა დედამ. დაფიქრდა გოგია — პირი უშრებოდა, ლაღიძის წყალი გაახსენდა — ტკბილი, ცივი, შუშხუნა... იმას მაინც ძალიან კარგი გემო ჰქონდა, პიტნას... სწრაფად დაბრუნდა დედა, ვაშლები ამოალაგა ჩანთიდან, ბულიონი, ხაჭაპური, თერმოსი — დალია გოგიამ ლაღიძის წყალი.

ღამღამობით უფრო ცუდად იყო, ყოველ ნახევარ საათში

ეღვიძებოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა, მოკეცავდა ფეხებს, ეგება ასე უფრო კარგიაო. ოდნავ შეიცვლიდა გვერდს, აუძგერდებოდა გული, გაშლიდა ისევ მუხლს, იწვა ასე, ჩაეძინებოდა, ეღვიძებოდა ისევ, შუბლი დაცვაროდა...

მეექვსე დღეს ისევ გამოუღეს სითხე. ბრჭყვიალა ოთახში რომ შეაგორეს, იმ ნემსს მოჰკრა თვალი და გააურეულა. ამჯერადაც წაუვიდა გული, მაგრამ სულ სხვანაირად — ორიოდე წამით ჰკარგავდა გონებას, მაშინვე ფხიზლდებოდა, ისევ დაუვარდებოდა თავი, ისევ ფხიზლდებოდა და ასე, ნემსი უჩხვლიტეს მკლავში. ურიკაზე რომ გადააწვინეს, რაღაცის გახსენება დააპირა ერთხანს, მაგრამ ტკივილმა გადაავიწყა და რა დავაშავე ასე, რა დავაშავეო, გუნებაში ჩურჩულებდა. დედა მჯიღს ირტყამდა გულზე, როდემდის, როდემდის უნდა იყოს ასეო... დაამშვიდეს, დააწყნარეს, ამჯერად ნაკლები იყო სითხეო, ვითომ? ცოტათი მოეშვა დედას.

საღამომდე წყნარად იწვა გოგია, აღარაფერი აწუხებდა და ნეტარებდა. სიამოვნებით ახამხამებდა თვალებს, ერთი-ორჯერ თითებიც აითამაშა მკერდზე, მერე იყო და იმ ბიჭთან მნახველები მოვიდნენ — ორი გოგო. ერთი შეუხედავი იყო, მაგრამ ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, მეორე კი, ლამაზი, ჩუმად იჯდა, გულმოდგინედ ცოხნიდა საღეჭ რეზინას და დროდადრო თავისთვის იღიმებოდა. გოგიას საბანი ეფარა ტანზე და ახლა უფრო თამამად გრძნობდა თავს, სიგამხდრის აღარ რცხვენოდა, თანაც გოგოები ზედაც არ უყურებდნენ და ძალიან თავისუფლად იწვა. მაგრამ უეცრად მდგომარეობა დაიძაბა!

— დღეს, რომ გამოვდიოდით სკოლიდან, ბაღის წინ ორი ბიჭი იდგა და... — სული მოითქვა მოლაპარაკე გოგომ, — ერთმა შეხედა ინგას და სმამაღლა თქვა, რა გოგოა, ბიჭოო?

ლამაზმა უფრო გაიღიმა.

— რა-ა? — შუბლი შეიკრა უბრმანაწლავომ, — როგორა თქვა?

— რა გოგოა, ბიჭოო?!

— ჰმ! — მუხლზე ხელი დაირტყა მწოლიარემ და მოლაპარაკე გოგო დაფაცურდა, — კარგი რა, ანზორ, იმიტომ კი არ გითხარი, რომ ინერვიულო, კარგი რა, შენ თუ არ გაუფრთხილდი შენს ნერვებს სხვა კი ვერ მოუვლის, ჯერ ერთი, გული-

დან წამოსცდა ეს, მეორეც, რა არის აქ ცუდი და მესამეც, ეგება ამხანაგურად თქვა და...

— ამხანაგი, ბიძაშვილი და ყვავი-ბხიკვის მამიდა არ ვიცი მე! — უბრმანაწლავო განრისხებული ბანდა. — რა ქქვია?!

— რა ვიცი, ანზორ, მე რა ვიცი, ვიღაცა ოხერია, პირველად დავინახე და, საერთოდ, არაფერი არ უნდა მეთქვა, ხომ ვიცი შენი ამბავი და არაფერი არ უნდა მეთქვა, რა ვიცი მე იმისი სახელი!

— არ იცი, არა? — თვალები მოჭუტა ავადმყოფმა.

— არა, მამას გეფიცები!

— რა ეცვა?

ლამაზი გოგო ისევ იღიმებოდა, ოღონდ ახლა იატაკს დასჩერებოდა.

— რაღაცა მომწვანო ჯემპრი ეცვა.

— ნაღდად?

— ბემს მამას გეფიცები, მწვანე ჯემპრი ეცვა.

— მართლა? — მიუბრუნდა ანზორი ლამაზ გოგოს.

— მმ? — იკითხა იმან. ახლა კბილებით ღეჭავდა რეზინას.

— მწვანე ჯემპრი ეცვა?

— მე არ ვიცი, არ შემიხედავს.

— ჰმ, — თავი გააქნია ავადმყოფმა, — მაგათ ჰგონიათ, ოპერაციას გადავყვებოდი, არა? დაიცადოს... ვნახოთ, აბა ვნახოთ, რა ბიჭია, ჰაა — ჰაა-ჰა!.. — სული შეეხუთა. — ვნახოთ, რა ბიჭია, ხვალ ნაკერებს მომხსნიან და ვნახოთ!..

— აი, შენ ისევ ანერვიულდი, ანზორ, ისევ ანერვიულდი...

— ავნერვიულდი კი არა, დაიცა... ახლა ტყუილი ლაპარაკი რა საჭიროა, მე მაგაზე მეტს არ ვილაპარაკებ, მაგრამ რომ გამოვალ, მე იმას ვნახავ... როგორმე გავარჩევთ მწვანე ფერს ლურჯისაგან და არც ის ბაღი წავა სადმე... ჰაი-ი, არაფერია, არაფერი... ჰმ!

ორიოდე დღეს არა უშავდა გოგიას, პატარა მადაც გაეხსნა, შემწვარი ხორცი ინატრა, მჟავე კომბოსტო, ლიმონიანი ჩაი. ლამლამობით ერთი-ორჯერ მაინც გაიფაჩუნებდა ზურგში გატრუნული ტკივილი და მხარს აცვლევინებდა. გათენებისას, როცა საავადმყოფო ჭრაჭუნითა და ხველებით იღვიძებდა და ექთნები ჭერში დამიზნებული ნემსებით შემოდიოდნენ პალა-

ტაში, მაინც უსაროდა, და, ოდნავ სახეალეწილი, პირქვე წვებოდა — დილანდელი ჩხვლეტა სრულებითაც არ იყო მტკივნეული. სამ სკამ'ზე მოკალათებული დედაც იღვიძებდა, სელისგულით ისწორებდა დაჭმუჭნულ ტანსაცმელს. „წადი, დაიძინე," — ეუბნებოდა გოგია. „აგერ არ მეძინა?!" — უკვირდა დედას. „კარგად ვარ ახლა, წადი დაიძინე". „აგერ არ მეძინა?!" — უფრო უკვირდა დედას.

ანზორი რომ გაეწერა, მეორე დღეს ისევ წაიყვანეს ურიკით. მაღალი სიცხე ჰქონდა, მაჯა ახლა ძალიან სუსტად, ცაგრამ სწრაფად უცემდა — ას ორმოცი წუთში. იმ ოთახში რომ შეაგორეს, რენხი უკო გულმა — ახალგაზრდები დაინახა, სულ გოგოები იყვნენ, ექთანთა მოსამზადებელი კურსებიდან, პრაქტიკაზე. ექიმიც სხვა დახვდა, დაბალი, ამაყად მოლაპარაკე კაცი. „თქვენს წინაშეა, — თქვა ექიმმა და ხელთათმანები მოირგო, — ავადმყოფი, მკვეთრად გამოვლენილი ჰიდროტორაქსით, ჰიდრო — წყალი, ტორაქსი — გულ-მკერდი. აბა პერანგი ბიწიე, გენაცვალე..." გოგიას ხელები დაუმძიმდა, ჯერ ერთ გოგოს შესედა, მერე — მეორეს, სხვებს ვეღარ გაუსწორა თვალი, შერცხვა — ძალიან გამხდარი იყო. კიდევ კარგი, ის ძველი ექთანი მაინც რომ იყო და იმას მიენდო, ნიკაპი ჩამოადო მხარზე, თვალები დახუჭა. „ჩხვლეტა კეთდება მეექვსე და მეშვიდე ნეკნებს შუა, აი აქ, სადაც ახლა გამაყუჩებელ საშუალებას, ნოვოკაინს ვაკეთებთ", — თქვა ექიმმა და გოგიამ ის უწყინარი ჩხვლეტა იგრძნო, პირველი ჩხვლეტა. „ნემსი გაივლის მთელ კუნთის ქსოვილს, პლევრასაც, შეჩერდება პლევრასა და ფილტვს შორის და იქიდან გამოვიღებთ სიოხეს". — თქვა ექიმმა და გოგია დაძაბული დაელოდა მთავარ, ძლევამოსილ ტკივილს.

იმდღევანდელი გულისწასვლა ყველაზე ღრმა, თბილი და რბილი იყო, მანამდე არასოდეს წოლილა შემთბარ ღრუბელზე, საოცრად დაშმეებული სხეული მაინც მსუბუქად ტივტივებდა ჰაერში და მთელ ტანზე რაღაც უჩვეულო, მათრობელა ნეტარება ელამუნებოდა. აღარსად იყო უმწეობის მტანჯველი გრძნობა, სულერთი იყო ახლა ეს ყველაფერი მისთვის, მაგრამ როცა ვიღაცა სხვას უჩხვლიტეს მკლავში ნემსი და გოგია იძულებული გახდა, მისი სათრით ბრჭყვიალა ოთახში

დაბრუნებულიყო, ამ მერყევ, გარდამავალ შუალედში თვალი მოჰკრა ვიღაცის შიშველ, ძალიან გამხდარ სხეულს, რომელიც... უყვარდათ! ვის, როდის, როგორ, ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, მთავარი ის იყო, რომ უყვარდათ. ვისი იყო ეს სხეული, თავისი, სხვისი, ვერ გაარჩია, მხოლოდ ის იყო მთავარი რომ სიყვარულს გააჩნია... რომ მართლა უყვარდათ!

და როცა გოგია გონზე მოვიდა, ვისაც კი შესწვდა თვალით, ყველას მშვიდად შეაცქერდა და იმ სიყვარულის რაღაც ერთი უმნიშვნელო, პაწაწინა წვეთი ყველას თვალებში დაინახა; იქამდე შესცქეროდა თითოეულს, სანამ ამ სიყვარულს არ შეამჩნევდა და მერე სხვაზე გადაჰქონდა დაღლილი, მომლოდინე მზერა. იქაც, პალატაში რომ დაბრუნდა, დედას უყურა, უყურა და ცდილობდა წამით განეშორებინა ის უზარმაზარი, განსხვავებული სიყვარული, რომელიც ყოველ მოყვარულ დედას აქვს და სამაგიეროდ უფრო კარგი, უფრო საერთო სიყვარული შეემჩნია, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო, ყველაზე ძნელი დედის თვალებში იყო ამის დანახვა და კედელზე გადაიტანა მზერა, რაღაცა ოკრობოკრო ლაქას უყურა, უყურა და გაბრუვდა.

სანამ საავადმყოფოდან გამოეწერებოდა, კიდევ სამჯერ გამოუღეს სითხე.

II

მომჯობინდა გოგია როგორც იქნა, ძლივს წამოდგა, გაიარგამოიარა. დადიოდა დერეფანში, უყურებდა, როგორ თამაშობდნენ ავადმყოფები დომინოს, ხანდახან, ყველა რომ გაიცინებდა, იცინოდა ისიც. სულ დერეფანში იყო, ძალიან თუ დაიღლებოდა, ჩამოჯდებოდა სკამზე, ზამთრის მიკნავებულ, გემრიელ მზეს შეუშვერდა ზურგს და იჯდა ასე. გაძლიერებული კვება დაუნიშნეს ექიმებმა და დედა სოფელში წავიდა, დასთან. სანამ ჩამოვიდოდა, ის ორი დღე მეზობელი დაიარებოდა გოგიასთან. ჩამოიტანა დედამ იქიდან სულგუნი, ჭყინტი ყველი, წმინდად გაცრილი ფქვილი, ქათმები, ბურვაკი, კაი ადესა ღვინო, შებოლილი კუპატი და კიდევ რაღაც-რაღაცეები, მიიტანა შინ და იქიდან მაშინვე საავადმყოფოში გაიქცა. გა-

მოწერეს გოგია, ტაქსი დაიჭირა დედამ, დასხდნენ უკანა საკარძელზე, გაჩერდა მერე ჭიშკართან მანქანა, გადმოვიდნენ, დედამ ფართოდ გააღო კარი, მოდი, მოდი, გოგიაო, უთხრა. შევიდა გოგია ოთახში, გაიხედ-გამოიხედა, გაუხარდა შეჩვეული, მონატრებული ნივთების დანახვა, ახლავე დაწექიო, უთხრა დედამ, დაიღლებოდი გზაშიო. შემოვიდნენ მეზობლები, მოიკითხეს, დაანთო დედამ ღუმელი, დათბა, დაღალა გოგია იმ დღეს მანქანით მგზავრობამ, ტანსაცმლის ჩაცმა-გახდამ, ნაცნობი ნივთების თვალიერებამ, ლაპარაკმა, დაეძინა მოღლილს; დილით ადრე გაეღვიძა, დედისაკენ გაიხედა, იმას ისევ ეძინა. კარგა ხანს იწვა გოგია თავისთვის, ახედა მერე კარადაზე წამოსკუპებულ, გაფარჩხულ ფეხებზე შემდგარ მაღვიძარას; ცოტათი შეცვლილი მოეჩვენა, რანაირად — ვერ მიხვდა. უყურა, უყურა, გაუკვირდა — ხან სწორედ ისეთი იყო მაღვიძარა, უკანასკნელად რომ დაინახა, ხან — ბავშვობისდროინდელი საათივით კრიალა, ხელში ჩასაგდები, ხან — სულ სხვანაირი, გაერთო გოგია მაღვიძარას თვალიერებით, გაუკვირდა ცოტათი — ხანდახან გარკვევით ესმოდა წიკწიკი, მერე არაფერი ესმოდა, თავისას ფიქრობდა — თოთხმეტი მანეთი გაასსენდა, დედას ხომ არ მივცეო, ა? ასე იყო ყოველთვის — საათი სულ თანაბრად მუშაობდა, რაც გოგიას ახსოვდა, მაგრამ ხანდახან ესმოდა ეს წიკწიკი, ხან — არა, შეხედა მერე-გოგიამ ღუმელს, ერთმანეთში ჩამჯდარ მილებს, კუთხეში მიწყობილ, კოსტად დალაგებულ შეშას, იწვა ასე, ერთობოდა.

სანამ ქუჩაში გავიდოდა, ერთი კვირა შინ ტრიალებდა: დადიოდა ფანჯარასთან, იყურებოდა გარეთ, გამვლელებს, გამომვლელებს, ბავშვებს, კაცებს, ქალებს, ვისაც კი დაინახავდა, ყველას აკვირდებოდა, გააყოლებდა ხოლმე თვალს... აი, ვუყურებო, ფიქრობდა, ნაბიჯებს ვუთვლიო, იმათ კი არაფერი იციან, მიდიან თავისთვისო... დაიღლებოდა ფანჯარასთან დგომით, მიდიოდა მაგიდასთან, სკამს გამოსწევდა, მოსერხებულად ჯდებოდა. აქამდე არც იცოდა გოგიამ, რა მშვენივრად შეიძლებოდა სკამის გამოყენება — საზურგეს მიეყრდნობოდა, გაშლიდა ფეხებს, თავს გადასწევდა, ხელებს ჩამოყრიდა. მიდიოდა ისე ფანჯარასთან, შეიფუთნებოდა, გამოაღებდა სიამოვნებით შეისუნთქავდა ოთახში შემოჭრილ ჰაერს, წამოწვე-

ბოდა ტახტზე, ორ მუთაქას კედელთან მიაწყობდა ერთმანეთზე, მიეყრდნობოდა და გაზეთებს კითხულობდა: „გადატრიალება ბილეში. პარიზი, 18 დეკემბერი. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება...".

სალამოხანს, დაძინებამდე, ასე ნახევარ-ერთ საათს ფიქრობდა. ხან რა გაახსენდებოდა, ხან რა, თითქოს ამოწშებდა, რაზე ღირდა შეჩერება. ამდაგვარი ამბები კი მაინცდამაინც ბევრი არ ეგულებოდა. მაინც იყო თითო-ოროლა: „რომ უყვარდათ!.. რომ მართლა უყვარდათ!.." აფორიაქდებოდა გოგია, მერე მშვიდდებოდა, ახსენდებოდა სკოლა, თავისი მერხი, თანაკლასელების ოინები, ფიზმომზადების გაკვეთილები, ქიმიის ლაბორატორია, კვლევითი ინსტიტუტი, ბაგრამ ბოლოს მაინც იმ მტანჯველ, ეჭვიან კითხვებზე შეჩერდებოდა: იმ ქალების, უცნაური ქალების ამბავი — მართალი იყო თუ არა; ა, მართალია თუ არა? არა, არ იქნებოდა მართალი, მაგრამ იქნებ... ანდა... ვინ იცის... აჰ, არა, არა.. სამაგიეროდ, ის ქალები ჩვეულებრივი ქალები რომ არ ყოფილან? რაღაც ნამეტანი უცნაურები იყვნენო, არა, ხომ შეიძლებოდა, ძალიან უცნაურ ქალებს რომ ჩაედინათ ასეთი დაუჯერებელი რამ?.. ვითომ?! ეს წააგავდა იმ უსიამოვნო, საძულველ მელოდიას, დაუკითხავად რომ აგეკვიატება და მთელი დღე იმას ღიღინებ, ათასჯერ შესწყვეტ ღიღინს გაბრაზებული, მაგრამ მერე ისევ წაუმღერებ გუნებაში და, განრისხებულმა, აღარ იცი, რა იღონო. ასე ფიქრობდა გოგია იმ ქალებზე, იმ ვირთხაზე, გაუწვრილდებოდა გული, ჩაიქნევდა ხელს, მაინც ახსენდებოდა ის ამბავი და, კიდევ კარგი, ერთ მშვენიერ დღეს, ქუჩაში გასვლის წინ, ნაღდად გადაავიწყდა. კარგი დღე შეარჩია გოგიამ, თბილოდა; ერთხანს გაუბედავად მიაბიჯებდა, მთავარ ქუჩაზე რომ გავიდა, უფრო გათამამდა—იქ მეტი იყო გამვლელი. დაჯდა ტროლეიბუსში, პლეხანოვის პროსპექტზე ამოჰყო თავი. კინოთეატრ „ამირანთან" ჩამოვიდა, შეხედა აფიშას — „ფანტომასი" გადიოდა. დიდძალი ხალხი ირეოდა სალაროსთან, კი მოუნდა ამ ფილმის ნახვა, მაგრამ გაყიდული იყო ბილეთები. რა ექნა, მერე ვნახავო, გაიფიქრა. იქვე, გვერდით, ქრონიკაში ბატარა აფიშას მოჰკრა თვალი.

რაღაცა უცხოური გვარი თუ სახელი, ანდა სულაც ორივე ერთად ეწერა — მიქელანჯელო. მივიდა მოლარესთან, გადაიხადა ფული, აბაზი ღირდა ბილეთი, მეტი კი არა. გაუწოდა ბილეთი კონტროლიორს, როგორც წესი და რიგია, დახედა მერე ზედ — არც რიგი ეწერა, არც სკამის ნომერი, მაინც ჩაიდო ჯიბეში. კედლის საათს ახედა და გაუკვირდა — ძალიან ადრე შესულიყო, ჯერ წინა სეანსიც არ იყო დამთავრებული და პატარა ნახერხმოყრილ ოთახში მოუწია ცდა. ვიღაცა მეორე კაციც იყო იქ, წამოდგებოდა, გაივლ-გამოივლიდა, დარბაზის კართან შეჩერდებოდა, ყურს მიუგდებდა და ისევ ჯდებოდა; დარბაზიდან მოგუდული ლაპარაკი და რაღაც უცნაური მუსიკა ისმოდა, სამიოდე კაცი შემოემატათ. წინა სეანსი რომ დამთავრდა, როგორც იქნა, კარი გააღეს. დარბაზი კი არა, ერთი ბეწო ოთახი აღმოჩნდა; ვოგია სულ ბოლო რიგში დაჯდა, იცადა, იცადა, მერე რიგები გადათვალა — სულ ათი რიგი იყო, ცხრა-ცხრა სკამიანი. ის კაცი აშკარად ღელავდა, წრიალებდა — ერთხანს არ ჯდებოდა, კედელს ძალიან არაბუნებრივად აეკრა და იმ ხუთიოდე კაცს, ცალ-ცალკე რომ ისხდნენ, სათითაოდ მოავლო თვალი; მერე დაჯდა, მაგრამ მაშინვე გამოიცვალა ადგილი, სხვა სკამი ააჭრაჭუნა — ძალიან ღელავდა. კიდევ შემოვიდნენ ვიღაცეები და ვოგიამ სწრაფად დათვალა ისინი: თერთმეტი მაყურებელი იყო სულ, ვოგიანად — თორმეტი. სინათლე ჩაქრა და რაღაცა ისედაც უცხო წარწერები აცახცახდა ეკრანზე, ხმაც მონჯღრეულად ისმოდა, მაგრამ ჩქარა ყველაფერი გამოკეთდა და უცხო ქალაქი დაინახა ვოგიამ, კრამიტით მოფენილი სახლებით. ეს ფლორენცია იყო, აფიშაზე გამოკრული კაცის მშობლიური ქალაქი.

ეს კაცი, თურმე, ლექსებსაც კი წერდა, მაგრამ იმაზე უკეთესი პოეტი იტალიაშიც იყო თურმე, სხვა ქვეყნებს თავი რომ გავანებოთ; სამაგიეროდ, ხუროთმოძღვარი ყოფილა ძალიან კარგი, მაგრამ ალბათ მასზე დიდი არქიტექტორებიც ყოფილან იტალიაში; სამაგიეროდ, იმისთანა მხატვარი შეიძლება ვერც მოეძებნათ მსოფლიოში და მოქანდაკე? — როგორიც არავინ, არასოდეს, ეს ნაღდად იგრძნობოდა დიქტორის ლაპარაკში, კი იცოდა ვოგიამ იმდენი რუსული.

ჯერ, როგორც წესი და რიგია, იმისი პირველი ნამუშევრები აჩვენეს — ქვიდან გამობურცული ქალი და კიბეზე ჩამომავალი ბავშვი, და ვიღაცეების ჩხუბი; ეს ბარელიეფები თხუთმეტი-ჩვიდმეტი წლისას გაუკეთებია, მერე შეუსწავლია ადრინდელი ქანდაკებები კარგად, გადასულა საცხოვრებლად რომში და გამოუქანდაკებია სიმთვრალის ღმერთი, რომელიც ისე იდგა, თითქოს ქანაობსო და კულულების ნაცვლად ყურძნის მტევნები ეკიდა, ხელში თასი ეჭირა კოხტად; არა, მართლა გადასარევი იყო, გაუკვირდა გოგიას — ეს ქვის მძიმე კაცი ისე მსუბუქად ტორტმანებდა თითქოს... გამხიარულდა გოგია და გაახსენდა — მთვრალი კაცი, კაი კაცი... გაუღიმა ეკრანს შორიდან, მაგრამ მერე უზომოდ ჩაფიქრებული, ამაყად თავჩაქინდრული ქალი აჩვენეს, მუხლებზე მკვდარი შვილით. პირზე შეამრა გოგიას ღიმილი, ახლალა შეამჩნია, რაღაცა დიდი უცნაური მუსიკაც ისმოდა, საოცრად გაწელილი ხმებით... მოაცილა გოგიამ სკამს ზურგი, დაძაბული იჯდა, ეკრანისკენ გადახრილი, მაგრამ ახლა სხვა ქანდაკება აჩვენეს...

ოსტატმა, ვის ნამუშევრებსაც ახლა ეკრანზე უჩვენებდნენ, მიუხედავად ახირებული და ღვარძლიანი ხასიათისა, ხანდახან მოსისხლე მტრების დაფასებაც იცოდა: „დიდი, შესანიშნავი ბრამანტე", ასე ამბობდა იგი. სამაგიეროდ, უნიჭო მხატვრად მიაჩნდა რაფაელი და ზომიერად სძულდა, რადგან მასში ვერ ხედავდა ტოლფასოვან მოწინააღმდეგეს, პერუჯინოს, მაგალითად, უბრალოდ „უტვინოს" ეძახდა; ერთი მხატვარი კი პირდაპირ აცოფებდა — რანაირი ხალხი არ ტრიალებდა მის გარშემო: ათასი უვიცი, გაიძვერა, მოშურნე, უნიჭო, ცილისმწამებელი, უფლებამოსილი მოძალადეები, მაგრამ მას ყველაზე მეტად გონიერი ფერმწერი — ლეონარდო და ვინჩი სძულდა, ვისაც მისთვის არაფერი დაუშავებია. საოცრად სულმდაბლად ექცეოდა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ სიძულვილმა იგი დიდი ოსტატი გასადა. მისი ნამუშევრებით აფორიაქებულმა, დროებით გვერდზე გადადო საჭრეთელი და იქამდე ჯიუტად ხატა, სანამ საკუთარ გზას, ისეთსავე დიდს, მაგრამ განსხვავებულს, არ მიაგნო.

მის გარდა არავინ იცოდა და ვერც ერთი მონდომებული ხელოვნებათმცოდნეც ვერ გაიგებს, როგორი ტანჯვისა და სი-

ხარულის ფასად გახდა ეს ოსტატი „კაშინის ბრძოლის“ ავტორი, იმ უზარმაზარი კარტონისა, რომელიც მის სიცოცხლეშივე უცნობმა პირებმა ნაჭერ-ნაჭერ დახერხეს და გააქრეს. მაგრამ საქმე მაინც შესრულებული იყო და საჭრეთელსმოწყურებულმა ოსტატმა მარმარილოს საბადოებს მიაშურა კარარაში. ეს იყო მისი ტანჯული სიცოცხლის საუკეთესო წუთები — ეს სწრაფმავალი რვა თვე. ზღვის პირას მარმარილოს მთებს შესცქეროდა ოსტატი და ყოველ უზარმაზარ, უფორმო ლოდში შეეძლო ამოეცნო „დავითი“, „მოსე“ ან „მომაკვდავი ტყვე“ და, გაავებული, საჭრეთელითა და ჩაქუჩით მიადგებოდა, მოთმინებადაკარგული იქნევდა მარჯვენას და ნედლი მარმარილოს ნაკუწები შხეფებად ცვივოდა ირგვლივ. როგორც დაკვირვებულმა ხელოვნებათმცოდნეებმა მისი დაუმთავრებელი ნაწარმოებებიდან შეამჩნიეს, ოსტატს ყველასაგან განსხვავებული მუშაობის მეთოდი ჰქონდა, სხვებივით თანდათანობით კი არ ამუშავებდა ქვას, — ამორჩეულ ადგილს მიადგებოდა, დამჯერი საჭრეთლით გამოღრღნიდა, უპოვიდა სხეულის რომელიმე ნაწილს, ვთქვათ, მუხლს, მერე სხვაგან გადაინაცვლებდა, გამოუჩენდა მხარს... მისი გონებისა და მზერის წყალობით, ყოველ ლოდში მზამზარეული შედევრი იჯდა, რომელსაც მხოლოდ ნაქურჩალის შემოცლა ესაჭიროებოდა, ეს კი მან მშვენივრად იცოდა. მაგრამ მარმარილოსთან ჭიდილს მონატრებულ ოსტატს იმდროინდელმა უმაღლესმა პირმა ისევ ფერწერის განგრძობა დაუჟინა და დიდი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა, ოსტატი დათანხმდა სიქსტეს პლაფონის მოხატვაზე. რადგან საჭრეთელზე დროებით ხელი ბაიქნია, მთელი თავისი უნარი და ოთხი წლის სიცოცხლე ამ ექვსასი კვადრატული მეტრის მოხატვას შეალია და თავი რომ დავანებოთ ისეთ წვრილმანებს, როგორიცაა კონტრაპოსტის, რაკურსის, პერსპექტივის, შუქ-ჩრდილის, ხაზისა და ფერის ურთულესი ხელოვნება, აქ გაჩნდა აზრი, მანამდე არნახული, გაუგონარი, უკიდეგანო...

მაგრამ სწორედ იმსანად დიდი უცნაური ამბავი დატრიალდა; მშობლიურ, ბრავალტანჯულ იტალიას სხვა დროს იშვიათად რგებია ასეთი მძიმე ხვედრი: რომელიღაც კარლოსი, მერამდენიმეღაც ლუდოვიკო, შინაური ომები; ათასი ჯუ-

რის კარიერისტი, უფლებამოსილი ხეპრე, დაქირავებული მკვლელები, ალაპლაპებული ხანჯლები და კამკამა საწამლავი, ზარბაზნების გრიალი, ეპიდემია, შიმშილობა, ხოცვა-ჟლეტა, ის კი, ოსტატი, გულაღმა იწვა ხარაჩოზე და, ფუნჯმომარჯვებული, კირსა და საღებავებში ამოთხვრილი, „თავად წაგავდა უზარმაზარ პალიტრას". იშვიათად კი, დაბუჟებული მკლავის დასვენებისას, წამოავლებდა ხელს ბატის ფრთას და, ნათესაური გრძნობებით აფორიაქებული, მამა-ძმებს ასე და ამგვარად არიგებდა: „როცა გავიგე, მანდ რაც ხდება, გადავწყვიტე ჩემი აზრი შეგატყობინოთ, იგი ასეთია — რადგან ქალაქი განსაცდელშია, უნდა გაიქცეთ და ქონება და ყველაფერი მიატოვოთ, რადგან სიცოცხლე ქონებასა და ყველაფერზე უფრო კარგია. ფული თუ არა გაქვთ, მიდით სანტა მარია ნოვას ჰოსპიტალში და იქ აიღეთ, ჩემს სახელზე. თქვენს ადგილას რომ ვიყო, გავიქცეოდი სადმე შორს, ვთქვათ, სიენაში, დავიქირავებდი სახლს და მშვიდად ვიცხოვრებდი. სახელმწიფო საქმეებში ნუ ჩაერევით. იმოქმედეთ ისე, როგორც შავი ჭირის გაჩენისას: იყავით პირველნი გაქცევაში... უშფოთველად იცხოვრეთ და არავისთან არ გაბათ არც მეგობრობანა, არც ნაცნობობანა, ღვთის გარდა. ნურავისზე იტყვით ნურც ცუდს, ნურც კარგს, რადგან კაცმა არ იცის, რითი დამთავრდება ყოველივე ეს. იჯექით შინ, თქვენთვის — და მორჩა". „მანდ ჩემზე ჭორები დაუყრიათ, თითქოს მედიჩებზე ცუდი რამ მეთქვას. ღმერთმანი, არაფერი დამცდენია იმის გარდა, რასაც ყველა ლაპარაკობს, ქვას რომ ენა ჩაუდგა, ისიც ჩემსავით ილაპარაკებდა. ბევრი ყბედობა მოვისმინე და მხოლოდ ისა ვთქვი: თუ ნამდვილად მართალია, რომ მედიჩები ნამდვილად ცუდად იქცეოდნენ, მაშინ ისინი ცუდად მოქცეულან. ღმერთმა ქნას, ყოველივე ეს სიცრუე აღმოჩნდეს..."

ზოგიერთმა მომთხოვნმა ხელოვნებათმცოდნემ სამარცხვინო ლაქად ჩასთვალა მისი ბიოგრაფიისათვის ეს წერილები — რატომ არ აღსდგა სმლით ხელში მტრების წინააღმდეგო, რა გულმა გაუძლოო, სამარცხვინოა, რომ ასეთი წერილები ეკუთვნოდეს დიდი მხატვრის ბატის ფრთასო, აღნიშნავდნენ. მაგრამ ოსტატს, ჯერ ერთი, თავისი საქმე ჰქონდა და მეორეც, მაშინ ვერ გაიგებდა კაცი, ვინ ვის წინააღმდეგ იბრძოდა, ვინ

იყო მართალი — ეს მხოლოდ შემდგომ გამოარკვიეს ისტორიკოსებმა. მაგრამ, როცა მისი მშობლიური ქალაქი, ფლორენცია, ტირანიას აუჯანყდა, ხალხსაყოლილი ოსტატიც სხვების გვერდით იდგა, საომარ საჭურველში გამოწყობილი და თავდაცვით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა, მერე კი, „თეთრი ტერორის“ დღეებში, დიდხანს იმალებოდა რომელიღაც ეკლესიის სამრეკლოზე. ბოლოს მაინც ყველაფერი აპატიეს—ოსტატი იყო, მერე რრგორი...

ბრძოლითა და დაუსრულებელი იერიშებით მოქანცული უმაღლესი პირი დროდადრო შემოივლიდა ხოლმე კაპელაში და ჭერს მოუთმენლად ახედავდა: „როდის დაამთავრებ?“ „როდესაც შევძლებ“, იყო პასუხი. ეს ორად ორი სიტყვა პირდაპირ აცოფებდა უმაღლეს პირს, განრისხებული აყვირდებოდა, წავიდოდა მერე, იომებდა, იომებდა, დაიღლებოდა, ჩამოვიდოდა ისევ რომში, მაშინვე სიქსტეს კაპელას მიაშურებდა და ჯერ ალერსიანად შეაქებდა ნაწილობრივ შესრულებულ სამუშაოს, მერე ფრთხილად შეაპარებდა: „მაინც, დაახლოებით როდის დაამთავრებ?“ „როდესაც შევძლებ...“

რამდენჯერ გვსმენია კეთილი გულით ნათქვამი: „ეეჰ, იმას პატრონი რომ ჰყოლოდა... რამდენს მიაღწევდა?!“ ეს ზოგიერთისათვის შეიძლება მართლაც კარგი ყოფილიყო, მაგრამ ისეთ ოსტატს, ვის ნამუშევრებსაც ახლა ეკრანზე აჩვენებდნენ, რად უნდოდა პატრონი? პატარა ბიჭობაში, როცა გრამატიკის რვეულების ნაცვლად ამოღლიავებული ნახატებით ბრუნდებოდა შინ, მამა-ბიძები უმოწყალოდ სცემდნენ — იმათ სამარცხვინოდ მიაჩნდათ მხატვრის ხელობა. და განა მხოლოდ ეს უშლიდა ხელს? საერთოდ, ცხოვრებაში, დიდი უცნაური კაცი იყო: ხან — თავდავიწყებამდე გაბედული, ხან — აცახცახებული ლაჩარი, მოულოდნელად თავსდატეხილი პანიკური შიშით გონებაარეული; ხანდახან — ძუნწი და უფრო ხშირად — მეფურად ხელგაშლილი; ფული ყოველთვის თავსაყრელად ჰქონდა, მაგრამ მუშაობისას ცარიელა პურსა და წყალზე იჯდა; შრომობდა, როგორც კატორღელი და ცხოვრობდა, როგორც უკანასკნელი გლახა. მთელი ცხოვრება უძილობა სტანჯავდა, თვეობით არ იხდიდა ჩექმებსა და სამოსს; ჩაეძინებოდა თუ არა, მაშინვე ზეზე წამოაგდებდა მუშაობის სურვილი.

დედა ადრე გარდაეცვალა, მამაზე უკვე მოგახსენეთ; არა ჰყოლია ცოლი და შვილები, და თუმცა თაყვანისმცემლებით იყო გარშემორტყმული, არად მიაჩნდა ყოველგვარი ქება; მტრებიც ულევი ჰყავდა და, თავგაბეზრებული, ჩიოდა — მუშაობაში ხელს მიშლიანო; ბევრჯერ ჩავარდნილა ლოგინად, ხანდახან იმედიც კი გადაუწყვეტიათ ახლობლებს, მაგრამ ის გასაოცარი ენერგია, ოთხმოცდაცხრა წლის მანძილზე რომ გასწვდა, ფეხზე წამოაყენებდა ხოლმე. მარტოობა თავად სწყუროდა, არც მტერს ნატრობდა, არც მოყვარეს — მუშაობაში ყველანი ხელს მიშლიანო. ათასი გეგმა ჩაეფუშა, ყოველთვის სხვების გამო — თვითონ არასოდეს, არაფერში ყოფილა დამნაშავე; გული ჰქონდა გაწვრილებული ათასი ქურდისა და მაბეზღარასაგან, მსაჯულებამდეც კი მისულა საქმე; იმ ქალსაც, რომელიც უყვარდა, მარტოდმარტოს არასოდეს შეხვედრია. ერთი უზარმაზარი ბრინჯაოს ქანდაკება ოზიანობისას ზარბაზნად გადაადნეს, „დავითს“ ხელი მოსტეხეს; დაიკარგა პროექტი, რომელზედაც ოსტატმა ერთადერთხელ იხმარა სიტყვა „გენიალური“; და როცა სიქსტეს საკურთხევლის დიდ კედელზე საკუთარი ნება-სურვილით დახატა „განკითხვის დღე“, ზემდგომმა პირებმა სხვა მხატვრის ხელით შიშველ ფიგურებს ტანსაცმელი „ჩააცვეს“... ზოგიერთი მისი ქანდაკება მოგვიანებით სამიზნედ გამოუყენებიათ და სროლაში ვარჯიშობდნენ; საუკეთესო ნაწარმოები დაუხერხეს, მაგრამ ოსტატი...

„ეს გასაოცრად მთლიანი ბუნების ადამიანი ყველაზე მეტად იმით გვაკვირვებს, რომ მასში გაერთიანებულია მტრული სამყაროები: მატერიალური სიტლანქე და იდეალიზმი; წარმართული ძალითა და სილამაზით თრობა და ქრისტიანული მისტიციზმი; ფიზიკური ძალისა და ინტელექტური აბსტრაქციის შერწყმა; პლატონიკური სული ათლეტის სხეულში. ამ საწინააღმდეგო ძალთა ეს ურღვევი კავშირი, რომელიც ნაწილობრივ უეჭველია მისი ტანჯვის მიზეზიც იყო, იმავე დროს მის განსაკუთრებულ სიდიადეს ქმნის“.

„ეს უზენაესი მხატვრობა ნიმუშად უნდა იქცეს ჩვენი ხელოვნებისათვის. ღვთიურმა განგებამ ეს საჩუქარი ქვეყანას იმისათვის მოუვლინა, რომ ეჩვენებინა, რა დიდი გონებით

შეუძლია მას დააჯილდოვოს ზოგიერთი ადამიანი, რომელსაც ქვეყნად გზავნის".

უცნაურია, მაგრამ სიქსტეს კაპელამ მხატვრობა ჩაჰკლა იტალიაში, კარგა ხანს აღარ გამოჩენილა ნამდვილი ფერმწერი, ვიღას ახსოვდა თავისი საქმე — კაპელაში ისხდნენ და ასლებს აკეთებდნენ, ოსტატის მოხატულობით გაოგნებულნი. ერთმა ცნობილმა მწერალმა ისიც კი თქვა, რომ ასეთი გენია მომაკვდინებელია სხვა ხელოვანთათვის, რომ ასეთ ნამუშევარს მხოლოდ წამით უნდა გაუსწორო თვალი, თორემ თვალს მოგჭრის. მაგრამ მწერალს, ეტყობა, გადაავიწყდა, გონიერი ფერმწერის გენია რა უცნაურად დაეხმარა თავის დროზე ოსტატს. „ეს შესანიშნავი"... „ეს ზეადამიანური"... „ეს კოლოსალური"... „ეს გენიალური"... — ამბობენ მკაცრი ხელოვნებათმცოდნენი, თავად ოსტატი კი სიქსტეს პლაფონზე მუშაობისას ტიროდა თურმე — „დროს უბრალოდ ვკარგავო..." .ისე, ზოგიერთმა მომთხოვნმა ხელოვნებათმცოდნემ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა ოსტატის ნამუშევრებზე. შენიშვნა, როგორც ასეთი, რამდენიმეა — ერთი, რომ სიქსტეს პლაფონის ფიგურები რამდენადმე მომცროა, თორემ სხვაფრივ კარგია; მეორე — რომ „დავითს" შედარებით დიდი ხელები და თავი აქვს (ისე, ოსტატი ამბობდა ხოლმე, რომ დიადი საქმის შესრულება ძალუძს მხოლოდ იმ ხელებს, რომლებიც თავს ემორჩილებიან) და მესამე, უკანასკნელი, რომ წმინდა პეტრეს ჯვარცმა „ზედმეტად ვირტუოზულადაა შესრულებული"... ესაა და ეს.

თავად ოსტატი კი ხანდახან გამწარებული დაიყვირებდა: „ფერმწერი არ ვარ! არა ვარ ფერმწერი!", და ბარათებს სახელთან ერთად აუცილებლად მიაწერდა ხოლმე — მოქანდაკე. და ახლა ეკრანისაკენ გადახრილი მაყურებელი გაოცებული მისჩერებოდა მის ქანდაკებებს — ოთხმეტრიან დავითს, მოსეს, დედას — ნაწამები შვილით მუხლებზე, გაბაწრულ ტყვეს, მედიჩთა აკლდამის საღამოს, დილას, ღამეს, დღეს, ბრუტოსს, რონდანინის პიეტას... მის გასაოცარ არქიტექტურულ ნამუშევრებს — სან ლორენცოს საჯარო ბიბლიოთეკას, წმინდა პეტრეს ტაძრის გუმბათს... სიცოცხლის უკანასკნელი წლები, თურმე, მთლიანად არქიტექტურას შესწირა, მაგრამ საჭრე-

თელს მაინც არ ეშვებოდა. ღრმად მოხუცებული, ღარიბ ქალიშვილებს მზითევს უგზავნიდა, მაგრამ ცდილობდა, კეთილის მყოფელის ვინაობა არ გამოაშკარავებულიყო. ქანდაკებებზე ღამღამობით მუშაობდა, ძილგატეხილი, თავატკივებული, ხელები თავისუფალი რომ ჰქონოდა, თავზე მუყაოს ქუდს იხურავდა და სანთელს ამაგრებდა ზედ... ეს თავისთავად შედევრი იყო, ოთხმოცდაცხრა წლის ოსტატი, გაავებულად მომუშაკე, თავზე მოლიცლიცე სინათლით... სიკვდილამდე ექვსი დღით ადრე ცხენით მოსულა წმინდა პეტრეს ტაძართან... ოთხი დღით ადრე, სიცხიანი, წვიმაში დამდგარა... მერე კი, ერთგული თაყვანისმცემლების თანდასწრებით გარდაცვლილა მიქელანჯელო, ეს შესანიშნავი პოეტი, უდიდესი არქიტექტორი, გენიალური მხატვარი და... და მოქანდაკე.

„ო, საოცარო და ამაღლებულო ადამიანის დანიშნულებავ! — წამოუძახია ერთ ადამიანს, — ჰოი, საოცარო და ზეაღლებულო ადამიანის დანიშნულებავ, რომელსაც ძალგიძს მიაღწიო იმას, რასაც ესწრაფვი და იყო სწორედ ისეთი, როგორც შენ გინდა“... მაგრამ თავად ოსტატს სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე უთქვამს: ძალიან მენანება სიცოცხლესთან განშორება, რადგან ახლახან ავიდგი ფეხი ჩემს პროფესიაშიო.

ეს იყო საოცარი, საზარელი სიტყვები და სინათლეც აინთო. ეკრანზე აღარაფერი ჩანდა, მაგრამ ეს სიტყვები... „ახლახან ავიდგი ფეხი“... მერე ვინ თქვა! კი. მიხვდა გოგია გუმანით ყველაფერს, გოგია გახსოვთ ალბათ, აი, სწორედ ის, პურზე რომ გზავნიდნენ, ღუმელთან რომ თბებოდა... ყელში რაღაც ამოებურცა, ცრემლები მოაწვა და უცებ, თავის პატარა სიცოცხლეში პირველად, მუშტებად შეეკრა თითები — დავითი დაუდგა თვალწინ, მარმარილოსი, ოთხმეტრიანი; მაგრამ მთელი თავისი სიმძიმით დააწვა გოგიას ქვის ბოლიათი, სული შეეხუთა, ჰაერზე გავიდა, ამანაც არ უშველა; გვერდით რომ კინოდარბაზი იყო, აქაც დამთავრებულიყო ფილმი, გამოდიოდნენ მაყურებლები, ძლივს მიიკვლევდა გოგია გზას ზღვა ხალხში... რატომღაც მხოლოდ დავითი ედგა თვალწინ, დიდთავა, გრძელმკლავა, ნესტოებდაბერილი, ერთიანად დაძაბული... მთელი თავისი სიმძიმით დააწვა თითქოს საწყალ გო-

გიას, რაღაცა უნდა მოეფიქრებინა, რაღაცა უნდა ეღონა, ცუ-
დად იყო საქმე... რაიმე უნდა ეღონა! მოიკუნტა გოგია, ორად
მოკეცა თავსდატეხილმა სიმძიმემ, თითები გაშალა, მობუზუ-
ლი მიაბიჯებდა, თავის ქუჩას აუყვა, ჭიშკარს რომ მიუახლოვ-
და, ნაბიჯს აუჩქარა, ხელი ჰკრა კარს, დაკეტილი დახვდა, ჯი-
ბეზე გაიკრა ხელი, გასაღები ამოაძვრინა; კარი შეაღო, ოთახ-
ში შეაბიჯა, ბნელოდა, ხელი ასწია სინათლის ასანთებად, მაგ-
რამ გადაიფიქრა — რატომღაც სიბნელე მოუნდა. კარი მიხურა,
კუნაპეტში იდგა და იცოდა, გრძნობდა, რაღაცა რომ იყო სა-
ჭირო, რაღაც აუცილებელი... რა, მაინც რა — რას მივარდნო-
და, რა გაეხსენებინა ისეთი, თეატრში რომ აბონემენტით და-
ალარებოდა? შესასვლელი უცნაურად რომ იყო განათებული?
რომელიმე კლასელი... არა, არა. ცხელი პური რომ მოჰქონ-
და, წყალა რომ მოდიოდა, ღუმელთან რომ იდგა... არა, არა,
რაღაცა სხვა იყო... ფიზმომზადების გაკვეთილები, გაზეთის
კითხვა, მამა რომ მოუკვდა? დედა რომ ავად გაუხდა, ბაზარ-
ში რომ... პალტო შეიხსნა გოგიამ, ამოიღო ჯიბიდან თოთხმე-
ტი მანეთი ფული, მაგიდაზე დააგდო, მერე კაშნე შემოიძრო
და საწოლისაკენ ისროლა, პალტო არ გაუხდია, ისე იდგა, მან-
ქანა რომ დაეჯახა, თანამშრომლები მიკროსკოპში იყურებოდ-
ნენ, არა, არც ეს, არც ეს... ვერაფერი მოიფიქრა ისეთი, არა-
და, რაღაცა ნაღდად იყო საჭირო, რაღაცა აუცილებელი, გამა-
მხნევებელი, რაღაცა იყო... იყო... იყო, ნამდვილად იყო! კი,
კი, ნამდვილად! — დიდი ვირთხა, უმწეოდ გაჭიმული თათე-
ბით, თვალებში ვედრებითა და სევდით... კი, კი, ნამდვილად
იყო! ის ქალებიც, უცნაური ქალები, ნამდვილად იყვნენ! ეს
მოხდა, მოხდა, იმეორებდა გოგია, ეს ხომ მართლა მოხდა; ეს
მართალია, ნამდვილია... მუშტებშეკრული ცოტახანს ასე იდგა,
აფორიაქებული, გახარებული, და უცებ თითქოს ხელიდან
ნელ-ნელა გამოეცალა ყველაფერი, მოხდა, მოხდა, ისევ იძახ-
და, მაგრამ რატომღაც სიძლიერეს ჰკარგავდა ეს სიტყვები და
უიმედოდ ებღაუჭებოდა ამ „მოხდა, მოხდას". და უეცრად, სიბ-
ნელეში, გოგიამ საოცრად ცხადად წარმოიდგინა უზარმაზარი
ვირთხა, ისეთი კი არა, მომაკვდავი და დახმარების მომლო-
დინე, არა, ნამდვილი — ისე აშკარად გაარჩია მისი უსიამოვ-
ნო, მოწითალო თვალები, გლუვი, ლაპლაპა, საზარელი ბეწ-

ვი; გოგია ხედავდა დაჭიმულ, გველის წიწილასავით კუდს, წაწვეტებულ ყურებს, მის ცივ, გაყინულ ცხვირსაც გრძნობდა... და იმ სიბნელეში, გასაოცარი სიჯიუტითა და ძალ-ღონის მოკრებით, შიშით აღვსილმა, მუშტადშეკრული თითები წვალებით გაშალა და იმ საზარელ სხეულს დინჯად, აუჩქარებლად გადაუსვა; მაშინვე ყველაფერი გაქრა. გოგია გრძნობდა მხოლოდ საკუთარ ხელს, ხედავდა სიბნელეში გაფარჩხულ თითებს — ეს იყო უკანონებო გონებას დამორჩილებული, ხუთი აცახცახებული თითი და გონიერი ხელი, საკუთარ მოძრაობაში დარწმუნებული და მაინც აცახცახებული, როგორც უკანასკნელი სტრიქონით აფეთქებული, გაბრწყინებული ლექსი და გონიერი, როგორც ზღვასმიახლოვებული მდინარის სიმშვიდით დამთავრებული პროზა...

და, თუმცა გოგიას სამიოდე დღის შემდეგ ისე ცხადად ალარ ახსოვდა ყოველივე ეს, მეხსიერების ფსკერზე მაინც სამუდამოდ დაელექა იმდღევანდელი ამბავი, როცა საკუთარ თავს შეეჭიდა, დაეჯაჯგურა და წამით მოერია...

ესეც საქმე იყო.

1968 წ.

ყველაზე ქარგი პაპა

(ზღაპარი)

იმ ჭრელ ქვეყანას ერთი გაუმაძღარი, მდიდარი, ბოროტი მეფე განაგებდა. გადახედავდა თავის ავლა-დიდებას და ვეზირებს უბრძანებდა:

— აბა, წადით, წამოდით და ქონება მოშიტანეთო.

ვეზირებიც ქუჩა-ქუჩა, კარდაკარ დაძრწოდნენ და საცა რაიმეს მოიხელთებდნენ, ტომარაში თავს უკრავდნენ ხოლმე. მეფე ჯერ ხარბად გადახედავდა შემურულ ქვაბებს, დაგრეხილ კოვზებს, გაბზარულ ჯამებს, აათვალიერებდა, ჩაათვალიერებდა და აიმრიზებოდა:

— ეს რაა, ეს რად მინდაო.

— სხვა არაფერი არა აქვთ რა, დიდო მეფეო, — მდაბლად დაუკრავდა თავს მთავარი ვეზირი.

— წაიღეთ, წაიღეთ, გადაყარეთო! — ამბობდა მეფე. მერე იტყოდა:

— ვინმეს ხომ არ გაულანძღივარ, რამე ცუდი ხომ არ უთქვამთ ჩემზეო?

— არა, არა, დიდო მეფეო!

— მაშ, ხალხს ვყვარებივარო?

— შენით უდგათ სული, მეფეო!

„რა საყვარელი მე ვარო", — გაიფიქრებდა მეფე და ვეზირებს დაუცაცხანებდა:

— აბა, ერთი არ მოგიყვაწიათ ჩემი გამლანძღავი, სულ თავებს დაგაყრევინებთო.

დაძრწოდნენ ვეზირები ქვეყნად.

ქალაქგარეთ ერთი პატიოსანი, გამრჯე კაცი ცხოვრობდა, ხნავდა, თესავდა, რწყავდა, მკიდა, საქონელს ზრდიდა, ვაზს ახარებდა. ხალხი უყვარდა, ხალხში დაიარებოდა; რანაირი გამოთქმა გინდა, იმას რომ არ სცოდნოდა.

იჯდა, ერთხელ, თავისი ქოხის წინ, ბარს ქლიბავდა. ჩამოიარა დიდმა ვეზირმა, გაიფიქრა, ეგებ ამას დასცდეს მეფეზე რამეო და ჰკითხა:

— ჩვენი მეფე ხომ კარგიაო?

მიხვდა, რატომაც გაემასლაათა ვეზირი და მიუგო:

— დიდი გერგილიანი მეფეაო.

— რაო? ეს რა თქვიო! — შეუტია ვეზირმა.

გათოკილი მიჰგვარეს მეფეს. თორმეტ კარში გაატარეს, ცსრაკლიტული შეაღეს, მიწისქვეშა გვირაბებით იარეს, ფარდა გადასწიეს და გამოჩნდა კიდეც ის ჩვენი მეფე.

— მეფევ, შენზე თქვა გერგილიანიაო!

— თავი მოჰკვეთეთო! — ბრძანა მეფემ.

— რატომ, მეფევ, — მშვიდად მიუგო გამრჯე კაცმა, — ცუდი ხომ არაფერი მიკადრებიაო.

— მიკადრებია რა არიო.

ბევრი სიტყვა არ იცოდა მეფემ. ანდა, საიდან უნდა სცოდნოდა, ქუჩაში ის არ გადიოდა, ხალხს არ ეწახვებოდა, ბეხორციელს არ ესაუბრებოდა იმ თავისი ვეზირების გარდა.

— რა და, ცუდი არაფერი მითქვამსო, მეფევ, — აუხსნა კაცმა.

— მართლაო? — ვეზირებს მიუბრუნდა. იმათ მხრები აიჩეჩეს.

— წადით და სიტყვის პაპა მომგვარეთო.

სიტყვის პაპა ერთი თმაწვერდათოვლილი ბრძენი მოხუცი იყო. რომელი სიტყვა გინდა, იმას არ სცოდნოდა. მოიყვანეს თავისი ქოხიდან, მეფეს წარუდგინეს. ასე და ასეო, უთხრეს, ამ კაცმა მეფეზე თქვა გერგილიანიაო.

— მერე რაღას ერჩით? — გაიკვირვა სიტყვის პაპამ.

— გერგილიანი მოხერხებულ, საზრიან ადამიანს ნიშნავსო.

— ტყუილად შემაწუხეო? — თვალები დაუბრიალა ვეზირს მეფემ.

— მეც მომაცდინაო, — თქვა კაცმა, — სახნავ-სათესი მქონდაო.

— ჰოდა, — ვეზირს უბრძანა მეფემ, — წაიძრე შენი ბეჭედი და მაგას... არა, არა, მე მომეციო.

რაღას იტყოდა ვეზირი, ბეჭედი სულ ხვნეშა-ხვნეშით წაიძრო თითიდან.

ის დღე იყო და, გადაეკიდა გამრჯე კაცს ვეზირი.

ერთხელაც, უტრიალა, უტრიალა, და დაღლილი, მისავათებული კაცი ხის ძირას დასასვენებლად რომ ჩამოჯდა, მივიდა და უთხრა:

— მაშ, ჩვენი მეფე გერგილიანიაო?

— დიდი ქველმოქმედიაო, — მიუგო კაცმა.

— რაო? ახლა კი გიჩვენებ სეირსო, — დაექადნა ვეზირი, ისევ მიჰგვარეს მეფეს.

— დიდო მეფევ, ამან თქვენზე თქვა... როგორა თქვი?

— ქველმოქმედია-მეთქი!

— ჰო, ქველმოქმედიაო!

— თავი მოსჭერითო.

— რატომ მეფევ, — მშვიდად მიუგო კაცმა, — ცუდი არაფერი მიკადრებიაო.

მოაცდინეს ისევ სიტყვის პაპა, მეფესთან მიიყვანეს.

— ქველმოქმედს კარგ კაცზე იტყვიან, — აუხსნა სიტყვის

პაპამ მეფეს, — ქველმოქმედი სიკეთის ჩადენასა და გულკეთილს ნიშნავსო.

— ისევ ტყუილად შემაწუხეო?! — დაუცაცხანა ვეზირს მეფემ, — ახლავე შეისხენი ქამარი და მაგას... არა, არა, მე მოგეცი.

სულ კვნესა-კვნესით გაუწოდა ვეზირმა ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ქამარი. გულში ბოღმა ჩაიხვია. გამრჯე კაცს უფრო გადაემტერა.

ერთ მშვენიერ დღესაც უტრიალა, უტრიალა და, საღამო ხანს დაღლილმა კაცმა რომ ჩაიძინა, გააღვიძა და დაუყვირა.

— ჩვენი მეფე ხომ ქველმოქმედიაო!

— გაღი თავი გამანებეო! — გაბრაზდა კაცი, — შენცა და შენს მეფესაც თავში მტრედები გიფრენენო.

მაშინ კი გაიხარა ვეზირმა. დასტაცეს მეომრებმა გამრჯე კაცს ხელი და სულ კინწისკვრით მიუყვანეს მეფეს.

— ასე და ასე თქვა შენზე; თავში მტრედები უფრენენო.

მოკურცხლა მაშინვე შიკრიკმა, სიტყვის პაპას ყოველივე ამცნო, ისიც მეფის კარზე გაწნდა. ახედ-დახედა გამრჯე კაცს. შეუთვალიერა ნაჯაფი ხელები, ნათელი შუბლი; თვალში მოუვიდა — სიტყვის პაპას გამრჯე ხალხი უყვარდა. ეს კაცი როგორმე უნდა ღავიხსნაო, გაიფიქრა და მეფეს უთხრა:

— ასეთი გამოთქმა თუ გაგიგია, მეფეო, თავში ბზე გიყრიაო?

— არაო.

— როგორ გგონია, ცუდია თუ კარგიაო?

— ,ალბათ ცუდიაო!

— ჰოდა, ვის თავშიაც მტრედები დაფრინავენ, იმას თავში ბზე აღარ ეყრება, გაჰკრავენ, გამოჰკრავენ მტრედები ფრთებს და გამოანიავებენო.

— მაშ ამ კაცს ჩემზე კარგი უთქვამსო?

— დიახ, მეფეო. ამ კაცს უთქვამს, მეფეს თავში ბზე არ უყრიაო.

ესიამოვნა მეფეს სიტყვის პაპის ახსნა-განმარტება. უცებ ვეზირი გაახსენდა და გაბრაზდა:

— წადი, წადი აქედან, შე... შე ცუდო, შენაო! — სხვა სიტ-

ყვა ალარ იცოდა. აიკრა იმანაც თავისი გუდა-ნაბადი და გადაიკარგა.

სიტყვის პაპა და ის გამრჯე კაცი კი მეფემ სასახლეში დატოვა. იმათ დიდად არ ეპიტნავებოდათ სასახლეში ყოფნა.

მეფეს ზღვათა ხელმწიფის ასულის ქება გაეგო და იმისი სიყვარული გულში ჩავარდნოდა. ზღვათა ხელმწიფეს კი ეთქვა, მხოლოდ და მხოლოდ ჭკვიან კაცს გავატან ჩემს ქალს, სხვას არავისო. ჰოდა, ამ ჩვენმა მეფემაც სიტყვის პაპასა და გამრჯე კაცს უბრძანა, კარგი სიტყვა-პასუხი უნდა მასწავლოთო.

სიტყვის პაპა ბრძენია და განსწავლული. ქვეყნად ისეთი არაფერია იმან რომ არ იცოდეს, მაგრამ ხანდახან ამ მეფესთანა სულელს რომ გადაეყრება, თანაც ის სულელი რაიმეს მკვახედ რომ უბრძანებს, სიტყვის პაპას ჩუმ-ჩუმად ჩაცინებაც უყვარს. ჰოდა, ეგრე არ უნდა ბრძანებაო, გაიფიქრა სიტყვის პაპამ და გამრჯე კაცს თვალი უყო. ისიც მაშინვე მიუხვდა და მეფეს ბევრნაირი გამოთქმა შეასწავლეს, ოღონდ სუყველაფერი პირიქით აუხსნეს. თეთრზე ამბობდნენ, შავიაო, კარგზე ცუდს ეუბნებოდნენ და ცუდზე — კარგს. მეფემაც თუთიყუშივით დაიზეპირა ეს სიტყვები და გამოთქმები, ძვირფას ეტლში გაიჯგიმა და ზღვის ნაპირს მიადგა.

ზღვათა ხელმწიფე წყლიდან ამოვიდა, მზეზე თვალები მოჭუტა, ხავსის მოსასხამი შეისწორა და მეფე აათვალიერ-ჩაათვალიერა. მაშინვე მიხვდა ვისთანაც ჰქონდა საქმე და ჰკითხა:

— რა იყო, რად დამიძახეო.

— ჭკვიანი ვარ და შენი ქალი უნდა გამატანოო.

— საიდან იცი, ჭკვიანი რომ ხარო.

— საიდან ვიცი და იქიდან, რომ ჰოტროველა ვარო.

— რაო? — ყურებს არ დაუჯერა ზღვათა ხელმწიფემ. — ვინა ვარო?

— ვინა ვარ და, ჰოტროველა და გაგრია ვაარო.

ზღვათა ხელმწიფესაც უყვარდა ხანდახან განზე ჩაცინება:

— ყოჩაღ, შენაო! — უთხრა.

— მაშ, მაშო! — გული მოეცა მეფეს.

— ჩემი ასულის წაყვანა თუ გსურს, კარგ ჭკუაზე უნდა იყოო.

— ჰოო, — გაიბღინძა მეფე, — ჭკუაზე აფრაკად ვარო.

— როგორ გამოხვედი ასეთი ჭკვიანიო, — ჩაიფხუკუნა ზღვათა ხელმწიფემ.

— როგორ და, თავში სულ მტრედები მიფრენენო.

— ოფოფებიც ხომ არ გიფრენენო?

— მყავს ერთი ორი ეგეთიცაო, — იხტიბარი არ გაიტეხა მეფემ.

— მაშ, თავქარიანი ყოფილხარო.

— ვარ და მერე ეგრეო?! თავში სულ ქარბორბალა მიტრიალებსო.

— ეგ მშვენიერი გამოთქმები ვინ გასწავლაო.

— სიტყვის პაპამ და ერთმა გამრჯე კაცმაო.

ჩაეცინა ზღვათა ხელმწიფეს, მერე ჩაფიქრდა და უთხრა:

— ახლა სასახლეში წადი, ის გამრჯე კაცი აქ გამოგზავნე და შენთან იმას გამოვატან ქალსაო.

ამაყად დაბრუნდა მეფე სასახლეში. მიავლინა გამრჯე კაცი ზღვათა ხელმწიფესთან. უცადა, უცადა, პატარძალს, მაგრამ არავინ ჩანდა. ის დღე ღამედ რომ გადაიქცა, ასე ეგონა, მთელი წელი გავიდაო, და, გინდაც წელიწადი გასულიყო, რომელი ჭკუათმყოფელი მოუვიდოდა.

— გამრჯე კაცი ზღვათა ხელმწიფის ასულთან ქორწილობდა, სიტყვის პაპა კი...

სიტყვის პაპას დიდი, უზარმაზარი, ქვეყნისტოლა ხურჯინი აქვს ფერად-ფერადი სიტყვებით სავსე. დადის, დაიარება დედამიწის ზურგზე და, ვინც ყურს კარგად დაუგდებს, მარგალიტივით სიტყვებს უბოძებს ხოლმე. სიტყვას კი რა არ შეუძლია! — ადამიანთა გაბედნიერება, ნუგეში, ალერსი, სიყვარული, გამხნევება. მთათა დანგრევა და ქალაქების გაშენებაც შეუძლია. სიტყვის პაპას ბუნება და ფიქრი უყვარს, წიგნების კითხვა და ტკბილმოუბართა სმენა.

და, თუკი ყურს დაუგდებთ, სიტყვის პაპა თქვენს საყვარელ პაპასავით უამრავ საჩუქარს გიბოძებთ და, განა მხოლოდ ახალ წელს? არა, არა, ყოველ დღე, ყოველ წუთს, მთელი თქვენი ლამაზი სიცოცხლის მანძილზე.

1975 წ.

ცალ-ცალკე და ერთად

(თანამედროვე ზღაპარი)

არის და არა არის რა, არიან სამნი ძმანი კეკერაძეები.

ერთი ერთგან იწევდა, მეორე—მეორეგან, მესამე სულ სხვა საითკენღაც... მაგრამ ერთმანეთს რადგან მაინცა ჰგავდნენ, ერთხელაც, შეიკრიბნენ. დათქმულ ადგილას, მთაზე მდგარ ფუნიკულიორის ზედა სადგურთან ერთდროულად ავიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ გრიშა საბაგირო გზით ამაღლდა ლეგენდარული ზღვის დონიდან, ვასიკო — ტრამვაით, შალვა კი ფეხით. მათგან უფროსმა, შალვამ, თქვა:

— ისრების ამბავი ხომ გაგიგონიათ?

— რომელი ისრების?

— აი, ცალ-ცალკე რომ გადატეხეს და ერთად კი ვერა. გამარჯობათ.

— გაგიმარჯოს.

— გაუმარჯოს.

— ხოდა, ჩვენც ერთად უნდა ვიყვნეთ.

პატარა ხნით დადუმდნენ, რადგან ლამაზმა ქალმა, ანუ როგორც გრიშა უწოდებდა, „კარგმა ადამიანმა" ჩაიარა.

თვალსაჩინო ქალი მხედველობის არეს რომ გასცდა, ვასიკომ იკითხა:

— ერთად არა ვართ?

— ახლა, იცოცხლე, კი, მაგრამ მაინც ვერა ვართ ერთად.

— ეს როგორ... — იკითხა ვასიკომ და გაკვირვების ჩიტი ქვედა ტუჩზე დაასკუპდა.

— სამივენი, ცალ-ცალკე დავბოდიალობთ და ბევრად აჯობებს...

— მე არსაღაც არ დავბოდიალობ, — შეაწყვეტინა ვასიკომ — სულ ატელიეში ვზივარ.

— ბიჭოს, — ხელი მხარზე დაირტყა შალვამ, — შენ დაბოდიალობ თუ დაბოდიალობ.

— სწორი ხარ, — აღიარა ვასიკომ, რადგან მას ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ისე კი მხატვრული ფოტოგრაფი იყო.

— იმას ვამბობდი... — თქვა შალვამ და შეჩერდა. თუმცა

ძმები იყვნენ, ერთმანეთში უჭირდათ ლაპარაკი. და აი, რატომ:

ცალ-ცალკე, გაგიხარიათ, იმათ შეეძლოთ სიტყვების ფრქვევა — სხვადასხვანაირ ადამიანებსა თუ საზოგადოებაში. მაგრამ ახლა, რადგან მშვენივრად მოეხსენებოდათ ერთიმეორის ვრცელი შესაძლებლობანი, თან, ამმხრივი პროფესიული თვალსაზრისით პატივსაც სცემდნენ ერთურთს, უნებურად ფრთხილობდნენ რაიმე უმნიშვნელო არ დასცდენოდათ; ეს ეგრეთ წოდებულ საწყის დაზვერვასა ჰგავდა, გამოჩენილ მოკრივეთა თუ ფეხბურთელთა გუნდების არ იყოს. მათგან ყველაზე მეტად სიტყვათმფრქვეველი, გრიშა, განსაკუთრებით დაძაბული იყო, ნებისმიერმა ძმამ კარგად იცოდა ძმათა ფასი. მაგრამ ჰაერში, როგორც იტყვიან, დენთის სუნი ტრიალებდა. გეკამათებინა კეჟერაძეები და, ჰეიჰო, რას არ გადასწვდებოდნენ. მაგრამაც ახლა, მათთვის შეუსაბამო სიჩუმე იდგა, და, კიდევ კარგი, იმ თვალით შესანიშნავმა ქალმა ისევ ჩამოიარა, შორიახლოს შეჩერდა, გულდასმით აათვალიერა სამივე და, მიეფარა ისევ სადგურის ფრთას.

— კაცო, ეს ქალი მოგზავნილი ხომ არაა? — იკითხა შალვამ.

— არა, აჰ, — უარყო ძმის თვალსაზრისი გრიშამ.

— რატომ, მაინც.

— ასეთი ლამაზი და, მოგზავნილი? რა ძალა ადგა...

— რა, მატა ხარი ნაკლები იყო? — ჩაერთო ვასილი.

— სად გინახავს მაინც... — გაღიზიანდა გრიშა.

— გადმოცემით ვიცი.

— ვინ გადმოგცა მაინც...

— ჯაბუშებზეა წიგნი.

— მხატვრული, ჩიტო?

— კმარა, გეყოფათ, — გაშველების მანდილივით ჩაერიათ შალვა, — თუკი მომისმენთ, ერთ ღირებულ რამეს შემოგთავაზებთ.

ორი ძმა ადგილზე სდუმდა, მესამე, შალვა, მოკლე ბოლთასა სცემდა, ორ-სამ ნაბიჯით მიმოდიოდა და, სდუმდა ასე.

ივნისი იდგა, ასადუღებელი ზაფხულის მეწინავე თვე.

შეჩერდა, შალვა:

— აი რაშია, მეგობრებო, საქმე. ჩვენ აქამდე თუმც შეჩვეულნი ვიყავით ცალ-ცალკე წანწალს, ახლა, კეთილი უნდა ვინებოთ და, შევერთდეთ უნდა. შენ არ გეწყინოს, ჩვენო გრიშა და, შენი დიდი დამსახურების მიუხედავად, რომ ძალიან გსურს შენი ხელშეწყობით ადამიანები გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან, ზოგიერთი ქარაფშუტად გთვლის... — არ გამაწყვეტინო! — აკი მეც ხომ მშვენივრად ვიცი, არაა ეს სწორი. შენ, ვასიკო-სხვარამისავ, რადგან ძირითადად წარმოდგენებით ცხოვრობ, უტოპისტადაც კი მიაჩნიხარ ზოგს, მაგრამ არ დაიჯერო, კაცმა არ იცის, ვინ-ვინაა და სად, შემოგვიერთდე უნდა, რადგან საქმე საქმეზე თუ მიდგა, გამოცდილება გაქვს დაგროვილი ისეთი, მტერ-მოყვარესაც შეშურდება. რაც შემეხება თქვენს შალვას, მე, ისეთი რამის გაღვივებასა და დანთებას ვცდილობ, დაფარვა რომ სჭირდება, და აი, მოდით, ჩავჭიდით ერთმანეთს ძმურ-ძმური ხელი და რომელიმე სოფელს მივადგეთ, ოღონდ ასეთი შეუნიღბავები კი არა, არამედ ხელოვნების ერთ-ერთი კუთხით, ერთ-ერთი სახეობით უნდა აღვიჭურვოთ, დიდხანს ვიფიქრე და, ხელოვნებათაგან, ამოვირჩიე უმწიკვლოესი.

— რაა ასეთი... — იკითხა სუნთქვაშეკრულმა გრიშამ, ვასიკოს ძლიერ გადაჰკრა ფერმა. ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო და, რაღაც გამჭვირვალე, თხელმა, სათუთად ვარდისფერმა ქსოვილმა — ზედ მამაც თავზე გადაუფრინათ.

— ნუ მაწყვეტინებ. შემოინახე, გრიშიკო, თავი, შენი ძალა და სიმამაცე ახლო მომავალში დიახაც რომ გამოგვადგება. ჩვენ, ძმანნი სამმნი, — აღზევდა შალვა, — საქართველოს ერთ-ერთ სოფელში წავალთ, და ეს იქნება გამოკვეთილად ნამდვილი ქართული სოფელი, ჩვენი — ოდესღაც კოლხთა და იბერთა. მომცრო სოფელი იქნება ეს, მაგრამ სხვადასხვანაირ მკვიდრთა წყალობით, იქაურთა წვრილ-დიდ-პატარა, ჭრელა-ჭრელა მიზანსწრაფვებისა და მოსაზრებების აღსავსეობისა გამო, და განსხვავებულ აზრ-მსჯელობათა გამოისობით. მრავალმხრივად აბურდული და დაბურდული სოფელი იქნება ეს ქართველების, — ჩვენი, და როგორც ყველგან, იქნებიან იქ კეთილნი სულნი და სულნიც ბოროტნი, სხვადასხვანაირტეკადობიანი მატყუარები თუ პირში მთქმელები, კენტთავია-

ნი დეევბიცა და მიწყივ მუშაკნიც ეყოლებათ, აგრეთვე ანგელოსებივით ბავშვები და გაჭინკებული ჯეილები, ეგებ მინდვრად გარუჯული მზეთუნახავებიც ერიოთ, და ერთადერთის, ჩვენი სალხური ზღაპრებიდან, მზეჭაბუკისა მეეჭვება, მაგრამ რადგან მეცნიერულადაც კია დამტკიცებული, რომ ფეხმძიმე ქალბატონების დაუბადებელ ბავშვებს თურმე უკვე ესმით მუსიკისა და, საერთოდ, ხმები, ჩვენ, სამთავე ძმამ, ფეხმძიმე ქალებს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ...

— ვაჟ-სამანიშვილისაგან განსხვავებით?

— ნუ მაწყვეტინებ, ვასილ. ჩვენ, სამთავე ძმამ, ვაჟ-სამანიშვილისაგან განსხვავებით, ფეხმძიმე ქალებს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, — ჩვენის მონდომებითა და რუდუნებით, მზეჭაბუკი ჩამოყალიბდეს და ღაიბადოს ეეებ, — იქეხა, ცაზე, ღრუბლის ნაფლეთიც კი არსად ჩანდა, — რომელ ერს აწყენს და არ სჭირდება მზეჭაბუკი, გეთაყვანეთ, ჩვენ, ქართველებს რომ გვაწყინოს და არ გვჭირდებოდეს, მაგრამ ისე არ გამიგოთ, რომ მხოლოდ ფეხმძიმე ქალებს მივადგეთ და გამოეუჭედოთ ყურები — არა, გენაცვათ, მთელი სოფელი უნდა ავიყოლიოთ ჩვენ-ჩვენი თემობრივი ნედლეულით, ხოლო ხალხმა რომ მოგვისმინოს და აგვყვეს, როგორც აღვნიშნე, ხელოვნების ერთ-ერთი კუთხით უნდა მივუდგეთ და, ბევრი ვიფიქრე ხან დღით, ხან ღამით, ხანდახან — წვიმდა, ამას არა აქვს მნიშვნელობა, და მოვიფიქრე! — ხელოვნებათგან, შეეარჩიე უმწიკვლოესი, აუ, ეს რამდენი ვილაპარაკე.

კვლავაც მოახლოებულ-შეჩერებულმა თვალსაჩინო ქალმა კი ჰკითხათ:

— ბოდიშით, რაიმე ხომ არ მოგეძევებათ?

არაბერძნულად იკითხა ესა, რადგან კეუერაძეები ქართველები იყვნენ.

ჯერ დაბნეულები შესცქეროდნენ, მერე გრიშამ იყოჩაღა, არაბერძნულადვე მიუგო:

— რაიმეს მეტი რა მოგვეძევება.

— მართლა? — გაეხარდა საიმისო ქალს; აშკარად მოეწონა გრიშა და იმისი პასუხი, — აი, ვთქვათ, მაგალითად, თუ მოგეძევებათ... მაინც რა და რა მოგეძევებათ?

— რა და, გენაცვალე, — ერთგვარი გულცივობით ჩაერია შალვა, — აუარება რამ გაგვაჩნია — სულო და გულო, იმდენი რამ მოგვეძევება: ვაზი და ჩაი, სასარგებლო წიაღისეული, თქვენ ციტრუსები უფრო გიყვართ, მინერალური წყლები, დაფნის ფოთოლი იმდენი რომ, ყველას გვეყოფოდა გვირგვინისათვის, აგრეთვე დათოვლილი ქედები და იმისთანა ზღვაა...

— ჩვენთანაც კია ზღვა, — დარდიანად აღნუსხა ქალმა, — ოღონდ ბრრ...

— რა, ძლიერ ცივია? — დეკოლტისაკენ დაეკითხა გრიშა.

— ცივი წყალია განსაკუთრებით ძალიან.

— კლიტემნესტრას ჰგავს, შეჩვენებული, — ქართულად აღნიშნა ვასილმა.

— ჰოდა თქვენც აიღეთ და თბილად ჩაიცვით, გენაცვალე, — ალალად ურჩია გრიშამ.

— და იაპონური ქოლგებიც ხომ არ გექნებათ?

ავი სიჩუმე ჩამოწვა.

— თქვენ მისამართი შეგეშალათ, — მკაცრად წარმოსთქვა მერე შალვამ.

— მართლა? — სულაც არ შემცბარა ქალი, — რა ვიცი, ასე დამარიგეს, თუკი უსაქმოდ დგანანო...

ძმებმა ერთმანეთს გადახედეს.

— თქვენ დარწმუნებული ხართ რომ, უსაქმოდ ვდგავართ? — სუსხიანად იკითხა შალვამ.

— აბა რა ვიცი, — და გაჭირვებით დააყოლა, — გენაც-ვალე... მართლა, გენაცვალე არაქართულად როგორ იქნება?

— სულიქო. — გესლიანად მიახალა გრიშამ.

— მშვიდობით. — გადაჭრით უთხრა შალვამ, ხოლო როდესაც ქალი გაეცალათ, ვასიკომ კვლავაც აღნიშნა: — კლიტემნესტრას ჰგავდა, შეჩვენებული.

— ჩვენ ვისლა მიგვამგვანა? — ნაღვლიანად იკითხა გრიშამ.

— გადამყიდველებს? ჰაიი, გიდი... — ხმა გაბზარვოდა მედგარ შალვას.

„ახლა თათბირი არა გვქონდეს, მე ვიცი შენთვის ერთი ისეთი ქოლგაა..." — ქალს მიადევნა ფიქრი გრიშამ.

პატარა ხანს გულდათუთქულნი იდგნენ, მერმე გრიშამ ფხა გამოიჩინა:

— მერედა, თქვე კარგი დედმამიშვილებო, რომ დავმდგარვართ აქ და დაგვიღია პირი, აქვე არაა რესტორანი? შევიდეთ, დავსხდეთ ადამიანურად და, ვილაპარაკოთ. ჰა, ვასიკო?

— მართლაცდა, არ აღგვენიშნა ჩვენი შეხვედრა ორიოდ ჭიქით?

— კარგი კი იქნებოდა, — შეფიქრიანდა შალვა და ერთბაშად გამოერკვა, — მაგრამ არა, არა, არავითარ შემთხვევაში! რესტორნის ფული სადა გვაქვს...

— როგორ არა მაქვს, სარესტორნო თანხა, — თავი გამოიდო გრიშამ.

— მაქვს მეც, — ჯიბეზე ხელი გაიკრა ვასილმა.

— არაფერი შეეშალოთ, — გამკაცრდა შალვა, — თქვენ რომ ფული გაქვთ, ის სამომავლო ფულია, რადგან ჩემი ღონისძიებისათვის ძალიან დაგვჭირდება.

— მართლა?

— დიახ. მანამდე კი, სისულელეებში რომ არ დაგვეხარჯოს, უნდა ვიყოთ ძუნწები, ისეთები, ისეთები რომ... აი როგორც... აი...

— ჰობსეკი, პორთოსის საყვარლის ქმარი, პოშეხონელი დედაკაცი, ჭაბუკობისდროინდელი მეჯღანუაშვილი... — შეაშველა ვასიკომ.

— დიახ. მაგრამ გამოსავალი მუდამ არსებობს, შეგვიძლია იაფად გადარჩენა.

— როგორ?

— როგორ და, აქვე, ანუ ცოტათი მოშორებით, კარგი ბუჩქები შევარჩიოთ და გასტრონომში ნაყიდი პურმარილიანა ჩავჯდეთ.

— მერედა, სადაა აქ გასტრონომი?

— მე ჩავფრინდები და ამოვფრინდები ხელად, მფრინავი საკნით! — წამოიძახა გრიშამ, ზღაპარ იყო... — არც რიგია და არც არაფერი.

— ძალიან კარგი. დრო რომ არ დავკარგოთ, მე წავალ და ბუჩქებს შევარჩევ. ვასიკო აქ დარჩება, შტაბივით, — სხარტად, საქმიანად ალაპარაკდა შალვა, — მერე ვასიკოსთან შევიკრიბოთ. ორმოცი წუთი გეყოფა?

— კი კაცო.

— კონსერვის გასახსნელი ჯაყვა ზედ მაქვს. რესტორნის ფული დაგვეზოგება. პურ-მარილში ღვინო არ დაგავიწყდეს.

— რა დამავიწყებს, — გაიბადრა გრიშა, — ღვინო პურ-მარილში მთავარია.

— ჰო, — აღნიშნა ვასიკომაც, — პურმარილი მარტო პური და მარილი კი არაა. გადატანითი მნიშვნელობის გამონათქვამია, რადგან...

— ღვინო რომელი ამოვიტანო.

— ერთი ნაგავია ყველა. მაგრამ ტიბაანი ამოიტანე.

— თუ იქნა. აბა, წავედი, აქა ვარ დროზე, ზუსტად ორმოც წუთში გრინვიჩის დროით.

როგორც დათქვეს, ისე მოიქცნენ. გრიშა მფრინავი საკნით დროზე ამოფრინდა კარგა გაძიძგინებულ ხურჯინიანა, შალვამ ისეთი ბუჩქები შეარჩია, ავ თვალს არ დაენახვებოდა, ვასიკომ თვალის დახამხამებაში იქაურობა მიაწკრიალა, ისეთი გაზეთ-სუფრა გაიშალა, ჩიტის რძეც კი არ აკლდათ — ძეხვი, კონსერვი, ვაფლი და რამე... ღმერთს ჩვენთვის კარგი ბედი ურგუნებიაო, გაიფიქრეს, დახსნეს ბოთლები, დახვდათ შიგ ღვინო, დაგლიჯეს პური, ხელმწიფის ქალის გამომცხვარსა ჰგავდა, გრიშას მარილი დავიწყნოდა, „შენ კი რა გითხარიო", მოსჭრა ვასიკომ თავი, მაგრამ შალვამ რაღაც ბალახ-ბულახი იპოვა, მიუსვ-მოუსვა და გააცოცხლა: „რა მოხდა მერე, მარილმა აკი დავიწყება იცისო", მადიანად შეექცნენ ნატვრის სუფრას, ისეთი კონსერვები იყო, რომ ზღვასა და ხმელეთზე იმგვარი არსად იქნებოდა, მზე მაღლა იდგა, ისე მძლავრი და ისეთი ლამაზი, რომ კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა, ქართულ ბუჩქებში ჩამსხდარიყვნენ, მააშ. თამადად შალვა დააყენეს, თუ დასჭირდებოდა, იმას სმა შეეძლო? — სხვა რომ ჭიქობით თვრებოდა, ის ორჭიქობით ვერა თვრებოდა, კარქა გაუძღვათ: უმძრახი პურიჭამა ჩვენში აბა სად გაგონილა, და რაც ამ ძმებმა ილაპარაკეს? აიმდენ სიტყვებს ზღვაში ქვიშად ვერ იპოვნიდი, ქართული სიტყვები ჰხარჯეს, ჰხარჯეს და ვერ დახარჯეს, ილაპარაკეს, სვეს, სვეს, ილაპარაკეს, იბაასეს, უმცროსი ძმა, გრიშა, მდელვარებისაგან, შარვალს მუხლთან ხელისგულით ცრეცდა, დაალაგეს გეგმა, მოდით და, ძმებო, ასე და ასეო, ძირითად საკითხებში შეთანხმდნენ, მხოლოდ ერთ სა-

კითხს ძვრა ვერ უყვეს, მაინც კარგ ხასიათზე დადგნენ, გულზე მოეშვათ, და ერთხელაც რომ ასწიეს ხუთკაპიკიანი წყლის ავტომატიდან უბოროტოდ აწაპნილი ჭიქა, და ესრეთ ყოფაში რომ იყვნენ, ძრიალ უხაროდათ, მაგრამ ორი ცალთავა დევი ზეწამოადგათ და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის იქაურ მაღლივ სადევოში წააბრძანეს, ცოტათი უფროს ორვარსკვლავიან დევს მიჰგვარეს იქა. გზად, გაქცევა არც ერთს არ უცდია, წიქარა სადღაც შორს ბალახობდა, იქ კი ორვარსკვლავიანმა ისეთი რაჰეები მიახალათ?! — ჰაი იმან პირადობის მოწმობებიო, ჰაი იმან სახლთმმართველობის დევის დახასიათებებიო, ჰაი იმან ვინ სადა ჰფლანგავთ დროსაო, ჰაი იმან ბუჩქებში ჰლოთობთ და რესპუბლიკას არცხვენთო, ჰაი იმან თხუთმეტი სუტკა უკან დაგრჩებათო და, მოკლედ, იმან იმდენი ჰაი, და სამნი ძმანი იქამდე აყურყუტეს, სანამ ორ რესტორნობანას რომ ეყოფოდა, იმდენი ვერცხლი არ დააყრევინეს.

„ჩვენ-ჩვენი ბედი რა ვთქვი... — ყველას სახელით გაიფიქრა გრიშამ. მანამდე კი, გაშლილ პურ-მარილზე, აი, რა როგორ იყო:

2

— ხელოვნება ერთმხრივ სახიფათო რამაცაა, — მეოთხე სადღეგრძელოს შემდეგ წამოიწყო ძირითადი სათქმელი შალვამ. — დიდად უცნაურია, მაგრამ კარგ გერმანელებს ხელოვნებაში ის ძალიან დიდი მიღწევები რომ არ ჰქონოდათ, ცუდი გერმანელები ვერც წამოიწყებდნენ ყველაზე საშინელ ომს. ისიცაა გასაკვირი, და თან არც არის, რომ გერმანელებში სწორედ ყველაზე უღირსებმა სხვებზე მაღლა წარმოიდგინეს ოხერი თავი, დიდ წინაპართა დამსახურებებით გაიბღინძნენ, როგორია, ჰა, ბახისა და ბეთჰოვენის მემკვიდრეებად, გებელსი და ხიტლერი? შობელძაღლები, ვაგნერის მარშებზე ვითომ საზეიმოდ დაატარებდნენ ყეყეჩ ჯარისკაცთ, ხოლო ეს რომ თავის დროზე სცოდნოდა, ბატის ფრთა ეგებ არც აეღო საბრალო რიხარდს. კაციშამიები!

— აბა?! — თქვა გრიშამ და ძეხვი ხელიდან გააგდო.

— დიახ. პრესტიჟისათვის, შეუამხანაგდნენ ხელოვნებაში საერთოდ დიდად წარმოჩინებულ იტალიელებს, მაგრამ იქაურ

მხოლოდ ცუდებს, თორემ ჩვენი ფორე მოსულიშვილი, ყვითელკანიანთა გვერდით კი არ იბრძოდა, იმას ვამბობდი, დიდმა ხელოვნებამ სწორედ ულირსები გააყოყოჩა-მეთქი, დისციპლინაც არ აკლდათ, ნაგვებს, და ის კი არ იცოდნენ, ხელოვნება და სამხედროული დისციპლინა რომ შეუთავსებელია, რადგან...

— მე მხოლოდ თვითდისციპლინა მწამს, აი, თუნდაც ისეთი, ფლობერს გამოკვეთილად რომ ჰქონდა...

— აბა რა, სხვისგან თავსმოხვეული დისციპლინა შენს მტერს, მთავარია, საკუთარი ინტონაცია...

— დიახ. იმას ვამბობდი, დიდ ხელოვანთა ნაწარმოებნი თავიანთ კუთვნილება-დამსახურებად მიიჩნიეს, და, ამის გამოც მსოფლიოს კანონიერ მფლობელებად შეირაცხეს ოხრული ჭკუით გამოტენილი თავი — ადამიანის მხრების გარდა, სხვაგან საიდან ამოვა ასეთი რეგვენული კვახი, და თუმც დიდ პატივსა ვცემთ — აბა, ვის!

— ბახს და გოეთეს, ბეთჰოვენსა და კრანახს, შილერს, დიურერს... შუბერტი, ბატონო, მოცარტიც გერმანულად ლაპარაკობდა, კანტი...

— საკმარისია. ოღონდ ფილოსოფოსები არ გამაგონო. ჩასხდებიან ხოლმე თავ-თავისთვის, სადმე ბნელში და, აკვარახჭინებენ — ეს ასე უნდა იყოს, ის ისე უნდა იყოს, ან — ეს ასე არ უნდა იყოს, ის ისე არ უნდა იყოს, არამედ უნდა იყოს ასთე და ისთე, არ მომკლა ამდენმა უნდა-მ?, გამანებე, ვილაცა ხარ, თავი...

— ჰო, წადი რა, შენ გზაზე გაიარე...

— ხორცთშესხმა აკლიათ... ცუდი საკითხავები არიან...

— ისე, ეგენიც ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობისათვის ცდილობენ.

— მოაზროვნე ხალხია.

— მაინც ნულარ გამაგონებთ, მე საქმის ხალხი მირჩევნია. ზაპოასხი ერთიც.

ბოთლის ჭინკებმა ჯერ ჭიქაში გადაინაცვლეს, მერე ძმათა სხეულში, და წინ კიდევ გრძელი, ადვილი და გამოსაფიტი გზა ედოთ.

— აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ მე წინაპართა დამ-

სასურველის ოსრულად გამოყენებაზე მოგახსენებთ მხოლოდ, თორემ იგივე ბეთჰოვენი დაპყრობილ ქვეყანაში მოღვაწეობდა...

— მეც არ გამიკვირდა? — ხელისგული ამოატრიალა ვასილმა, — თორემ თურქებს აბა რომელი გენიოსები ჰყავდათ. მაგრამ... სულ მაინც ხმალზე ედოთ უანბანო ხელი...

— ერთი პოეტი გვყავდაო, მაგრამ ისიც სხვა ენაზე წერდა...

— აბა მაშინ იმათ რაღა ძალა ადგათ...

— კარგია, კმარა, — გააწყვეტინათ მალვამ, რადგან თემას არასასურველად გადაუხვიეს, — იმას მოგახსენებდით — ადამიანის სული რომ შესძრა, ხელოვნების ერთ-ერთი კუთხით უნდა მიუდგე, და ძალიან მაწვალებდა არჩევანი — მაინც რომელი კუთხით? აკი გითხარით, მუსიკა, პოეზია და ამისთანანი, დალოცვილები, საშიშია, რაიმეთი ცუდად რომ არ დაგვირგვინდეს... ბევრი ვიფიქრე, თანაც, ცოტათი მრცხვენოდა, სხვას რა ჭკუა უნდა ასწავლო, უცოდველი ხომ არავინა ვართ-მეთქი.

— ცოტათი მე ვარ, — წამოსცდა ვასიკოს.

— ცოტათი რა...

— უცოდველი, — თქვა ვასიკომ და იქვე გაწითლდა.

— კი, კი, აბა, — დაემანჭა გრიშა, — ღამღამობით შენი ატელიეა თუ რაღაცაა იმის გასაღებს რომ მაძლევ, არაა დარღვევა ეს?

— აქეთ მამადლი? — ჯერ გაოცდა და გაბრაზდა მერე ვასილი. — აქეთ მამადლი ანგარებას? უ[illegible]ისო შენ!

— უსვინდისო ვარ, ამ შემთხვევაში, — ადვილად აღიარა გრიშამ და გაუღიმა, — მოდი, გაკოცო.

— წვრილ-წვრილი ცოდვა ყველასა გვაქვს, — შეაჯამა მშვიდობიანად დამთავრებული მცირე შეხლა-შემოხლა კეჟერაძე შალვამ, — მაგრამ ბოროტები ნამდვილად არ ვართ.

— ეგლა გვაკლია...

— აჰ, აჰ, ღმერთმა დაგვიფაროს.

— ჰოდა, ხელოვნებათაგან, მეც ავიღე და, ავირჩიე უმწიკვლოესი.

— მაინც... რომელი... — მღელვარედ იკითხა გრიშამ.

— რომელი... მაინც... — კიდევ მეტად აღელდა ვასიკო.

— არ გადანცვიფრდეთ, ნელ-ნელა გეტყვით, — თქვა შალ-

ვამ და ზეზე წამოდგა, — ეერთი... ორი დაა... რა და საცირკო ხელოვნება!

ერთი ცოლ-ქმარი იყო, ღარიბად ცხოვრობდნენ. ეს ცოლი ზუდამ იმას უჩიჩინებდა, წადი, კაცო, მიდექ-მოდექი და რაღაცა გასამრჯელო მოიტანეო... წავიდა კიკოლი, მიდგა, მოდგა და გასამრჯელო მოიტანა. ცოლს თვალში ისე ეცოტავა, ქოში უკუღმა ჰყარა, მიჰყო იმ თავის ქმარსა პირი და მთელი ქვეყნის ტალახი თავზე ჩამოასხა. რაღა ქნას ამ კიკოლიმ, ცუდადაა საქმე. ერთი ნატვრის თვალი კი ჰქონდა, მაგრამ მსხვილმანი — იმის ნატვრისთვალს მეფური საჭმელების მოგვრისა არა გაეგებოდა რა. საშაგიეროდ, ცაზედ მზე ამოჰყავდა და მიწიდან წყალი. გაუდგა გზას კიკოლი და, აკი იმ ნატვრისთვალმაც არ უმტყუნა? აი, ხომ კარგი დარი ინატრა, მაგრამ გააკდრდა, გაავდრდა რომ — ხონთქარის ქალის კაპასობასა ჰგავდა. მიდის კიკოლი, ღამეა, წვიმს, სწყურია, ჰშია, სცივა. შემოხვდა გზად ერთი უპატრონო საფლავი და ჩამოჯდა იქვე, აწვიმს, აწვიმს რომ, აეს კიკოლიც ღრუბელივითაა, ჭირსაც წაულია ჩემი თავი, რაც მომივა, მომივიდესო, გაიფიქრა, აღარა დგება, წვიიმს. მაგრამ ქვემოდან ამოუძახეს — ეეჰ, კიკოლი, მანდ რაგინდ დიდი ავდარი იდგეს, იცოდე, მაინც კარგიაო. გამხნევდა ეს ჩვენი კიკოლი, გაუდგა ისევ თავის ბნელ გზას, ეგებ ჩემს ბედს მეც ვეწიოო, აღარა სცივა, არა ჰშია, არცა სწყურია. გაიხედა და — რაღაცა ბჟუტავს.

— გაგიკვირდათ, ხომ? — დიდად აღფრთოვანდა შალვა, ბედნიერების წათელი ადგა, — ასეა, ასე, ყოველი ღირებული საქმე გაკვირვებით უნდა დაიწყოს და, პირველმა ნაბიჯმა რომ გამიმართლა, აეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

აღმაფრენისაგან თავრეტდასხმულსა ჰგავდა, მაგრამ გრიშამ თქვა:

— ის ბოლო ჭიქა არ უნდა დაგელია.

შალვამ გულიანად გაიცინა:

— შენ რა გითხარი... — და უცებ გისოსივით გამკაცრდა: — ეგრევე იჯექით! გაისუსეთ! თქვენი შერხევა არ ვნახო! — და მაინც, მერე, რაღაც გაეხახუნა გისოსურ სიმტკიცეზე, ქლიბი ისდამაგვარი, რადგანაცა თქვა: — დამიჯერეთ და არ წავაგებთ, ძმებო.

წავიდა, წავიდა კიკოლი, მიუახლოვდა, დააცქერდა და, რაა ხედავს: ერთი კიკოლიზედ პატარა, იმაზედ საცოდავი, იმაზედ უბედური, რაღაცა ერთი ბეწო ციცინათელა წაქცეული ხის ფუღუროში შეყუჟულა და იქიდან კვნესასავით დროდადრო ბჟუტავს. რა იყო, შე ბეჩავო, რა დაგმართნიაო, კიკოლიმ. იმანაც, რაო და, მცივა, მშიან და მწყურია, ეგება რამე მიშველო და მერე მეც იქნებ გამოგადგეო. აბა, ჩემნაირ გაჭირვებულს რა შეუძლიანო, კიკოლიმ. იმაწ კი, სული ხომ მაინც გიდგიაო. სულიო, კიო. ჰოდა, შთამბერეო. მერედა, სულიც რომ შენ შთაგბერო, მე რაღა დამრჩესო. სულს რომ შთამბერავ, შენც უფრო შეივსებიო. ეგ როგორღაო, კიკოლიმ. როგორ და, მეც გავთბები და შენც გაგათბობო, იმან.

— სიტყვა ცირკი ლათინური წარმოშობისაა და წრესა ნიშნავს, — როგორც წესი და რიგია, ძირფესვიანად წამოიწყო ახსნა-განმარტება შალვამ, — დიდი მრავალმხრივი დარგი კია, რაც მართალია, მართალია. რაღას არ შეიცავს — ეს აკრობატიკაო, პანტომიმაო, კლოუნადაო, გიმნასტიკა, ცხენზედ თამაში, ეკვილიბრისტიკაო, ჟონგლიორობაო, მუსიკალური ექსცენტრიკა, ილუზიონიზმი და, ვინ მოთვლის, კიდევ რა. ეს — ახლა. მაგრამ ჯერ კიდევ უძველეს კრეტა-მიკენშიც, გამოქანებულ ხარს რქებში სტაცებდნენ ხელს და მალაყით გადაევლებოდნენ თურმე, მერე, ძველ რომში, მოგეხსენებათ, გლადიატორთა ბრძოლებსა და ავ ნადირთან შეჭიდებასაც ცირკი რომ ერქვა. თანდათანობით კი, როგორც სდება, ძველი სახეობა-სანახაობანი მოიშალა და ახლებურები დამკვიდრდა, რომლებიც უკვე ჩამოვთვალე, მაგრამ ჩვენ, ძმებმა, ცირკისეული განშტოებებიდან ურთულესი, უმწიკვლოესი და ამამაღლებელი უნდა ამოვირჩიოთ, თორემ მიდი და ახტუნავე აქეთ-იქით რაღაც მაიმუნი ძაღლი, აბა, ამაში რა ყრია?

— არაფერი, აჰ.

— ნუ მაწყვეტინებ, გრიგოლ. საცირ...

— შენ თვითონ არ დასვი შეკითხვა? ვერ გამიგია ამ...

— კარგი, გაჩერდი. იმას ვამბობდი, საცირკო ხელოვნების განშტოებათაგან კი, მეც ავიღე და, პირადად ჩვენთვის, შევარჩიე უპირველესი..., უპირველესი..., უპირ.. გამაწყვეტინეთ!

— რა!

— რა და, ვასიკო — არ შეგეშინდეთ — რა და, ძმებოჯან,— ერსად გამექცეთ! — რა-ა? — კლოუნადა!!

სასტად დარჩენილი ორივე ძმა პირგაკვირვება-კატანაცემი ასცქეროდა მესამეს, იმან კი, უცებ არ გამოფხიზლდნენ, და მასხრად არ ამიგდონო, კვლავაც აკადემიურ ახსნა-საუბარს მიმართა:

— სიტყვა კლოუნი თურმე ინგლისური წარმოშობისაა და ინგლისურ ხალხურ თეატრში, ძველად, ერთ-ერთ კომიკურ მოქმედ პირს ეწოდებოდა. მოგვიანებით, ასე, მეთოთხმეტე საუკუნეში, იმ პიესებშიც შეიპარა დარგობრივად მორალიტე რომ ერქვა. გსიამოვნებს ეს სახელწოდება, გრიგოლ?

— კი. იტალიურია?

— მაგრამ ფრანგული. — აუხსნა შალვამ. — მერწმუნეთ, ძმებო, ბედნიერებას მოგანიჭებთ აი ეს დარგი.

— ბედნიერება სადღა არის...

— როგორ არ არის, გრიგოლ!

— არა, კი არის, როგორ არ არის, მაგრამ ქუჩაში კი არ ყრია.

— ეგ კი, ეგ კი. მაგრამ საერთოდ ხომ მაინც არის, მაგრამ სადღაცას მაინც ხომ ხდება...

ერთი საწყალი გლეხი იყო, ისე ღარიბად ცხოვრობდა, შემწვარ-მოხრაკულის სუნი რა არი, ისიც არ იცოდა. აბა იმისი ცოლი და პატარა ქალი რანიღა იქნებოდნენ — ღარიბებივე ოყვნენ, წელებზე იდგამდნენ ფეხს. ის პატარა ქალი ისე ჩამოკონკილი დაიარებოდა, მეტსახელად კონკიაჟღარუნა დაარქვეს. გავიდა რამდენიმე ხანი, მოუკვდა იმ გლეხს ცოლი, ეხლა უფრო გაჭირვებაში ჩავარდა, ადგა და მეორე ცოლი მოიყვანა. იმას გერი დაჰხვდა, ძალიან ეწყინა. ის იყო და ის, დედინაცვალი კონკიაჟღარუნას მტრად გადაეკიდა. სულ იმას ცდილობდა, როგორმე იმისი გული მოეკლა. გამოუხვევდა ყოველდღე კალთაში კუტს, გააყოლებდა სხვის ძროხას და თან ასე დააბარებდა: აი ეს ერთი კუტი გქონდეს — ამვლელსაც აჭამე, ჩამვლელსაც აჭამე, შენცა ჭამე და შინაც მთელი მოიტანეო. წავიდოდა კონკიაჟღარუნაც და იყო ერთ დაღონებაში. ერთხელაც ესე გულმოკლული იჯდა მინდორში და მწარედ სტიროდა. ჩამოიარა ხელმწიფის შვილმა, მოუვიდა თვალში, წაუვარ-

და გულში, შემოისვა ცხენზე, წაიყვანა სრა-სასახლეში და ისეთი ქორწილი ჰქნეს, ისეთი ქორწილი, რომ ქუდები სულ ჭერსა ჰკრეს.

— ერთი რამ კარგად უნდა გამიგოთ, — განაგრძო შალვამ, — კლოუნადა, ეს, თავიდათავი — თავისუფლებაა, ლექსიკონშიც წერია რომ, ჭეშმარიტი კლოუნის გამონათქვამები სწორედ იმპროვიზებულად უნდა ფეთქდებოდეს, ხოლო ეს სიტყვა, გრიშა-ჩემო, მოგილოცავ და ისე გეტყვი, იტალიურია — იმპროვვიზარე — და გაუთვალისწინებელს, სახელდახელოს, უეცარს ნიშნავს, ამა სიტყვაში ისე იქნები, როგორც თევზი წყალში, ასეა, აბა, გრიშა, რა უნდა იყოს ამაზე კარგი?! — როდესაც ჭრელი ხალხის წინ მხოლოდ საკუთარი ნიჭის ანაბარა რჩები...

„მე რაღაც ჩრდილში გამოვდივარ... — გულდაწყვეტით გაიფიქრა ვასიკომ, — ეგებ მართლა გარიყული და უტოპისტი ვარ...“

— ჩამოვასხათ თითოც, ვასიკო-ჩემო, ჩემო ძვირფასო, — თითქოს მიუხვდა შალვა, — შენი ცოდნით და გამოცდილებით, დარწმუნებული ვარ ორივეს მშვენივრად გვაჯობებ, ეს ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენ-ჩვენს ბუნდოვან მომავალს, ხომ არ გგონიათ, ამ ცნობებს რომ გაწვდით, დიდადა ვარ ამ საკითხებში განსწავლული? არა, უბრალოდ, ორიოდ ლექსიკონი გადავათვალიერე, მომაწოდე ეგ პური, და გულმა მიგრძნო, რომ ამ საქმისათვის გამოვდეებით, მაგრამ იმ პირობით, თუკი ერთად ვიქნებით, ერთობაშია ჩვენი ძალა, ისრების ამბიდან ტყუილად კი არ წამოვიწყე ჩვენი შეხვედრა, ჩვენ სოფელ-სოფელ ვიაროთ უნდა, და არემარეს უნდა მოვედოთ, რადგან რომელი ცამეტი მეტრი, ანუ თანამედროვე ცირკის კლასიკური დიამეტრი გვეყოფა საასპარეზოდ ჩვენ, სამ ძმა კეუერაძეთ, გავიფართოვოთ უნდა წრესაზი, წრე, და აღვიჭურვოთ ისეთ-ისეთი დამხმარე იარაღითაც კი, როგორიცაა ბუფონადა, ფარსი, და კომედია დელ არტეს — იტალიურია ესეც, გრიშა! — მოქმედ პირებად გადავიქცეთ უნდა, და სხვადასხვაგვარი კლოუნობის საფარველქვეშ, ჩვენ-ჩვენი მისწრაფებები კომედია დელ არტეს ხერხებითა და საშუალებებით მოვახვიოთ ხალხს! ცუდს ვუზამთ ამით, თუ რა...

— კი მაგრამ, ვინ დაგვიჯერებს...

— რატომ... მაინც ზღაპრისათვის გაგვამწესეს და... — ჩაილაპარაკა გულდათუთქულმა ვასიკომ.

— დაგვიჯერებენ, მთელ ჩვენს ძალ-ღონეს თუ ამა საქმეში ჩავდებთ... რა, არა გჯერათ? გინდაც არ გჯეროდეთ, ძმა არ ვარ თქვენი? — აიღეთ და დამითმეთ ერთი ღერი თვე, დიდი ამბავი... მე ის უფრო მადარდებს, სიტყვა კლოუნს ქართული შესატყვისი რომ ვერ მოვუძებნე, რაზე არ შევჩერდი — მასხარა, ჯამბაზი, ოინბაზი, ბერიკა — მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი მივუსადაგე, დროებით ისევ საერთაშორისო ტერმინი — კლოუნი ვიხმაროთ. სიტყვა ძალიან გამიგრძელდა და, მთავარ რაღაცეებს ორიოდ სიტყვით გეტყვით, ალფაბეტურად გადმოგილაგებთ, ანი! — კლოუნი ძირითადად ოთხნაირია, მაგრამ მუსიკალურ კლოუნებად ვერ გამოვდგებით, ეეჰ, დედაჩვენო და მამაჩვენო, რად არ გვატარეთ მუსიკაზე ყურით, თუმცა სად გქონდათ ამის შესაძლებლობა და თავი... მომთვინიერებლობას ვერ ვიტანთ ვერაფერში, რაღა დროს ჩვენი აკრობატიკაა და ნუგეშად გვრჩება მეოთხეგვარი, ანუ პირველი და მთავარი — მოლაპარაკე კლოუნობა, სწორედ ამ დარგისა ვიქნებით დიახაც და ფრიად, ბანი! — მხოლოდ ჩვენი ლაყაფისათვის არ შეგვიგროვდებიან და, გრიშა, ხომ გეგულება ვინმე ცირკის მსახიობი მეგობარი ქალი?

— რამდენიც გინდა, ესლა სწორედ შვებულება აქვთ.

— ძალიან კარგი. და მათგან თოკზე მოსიარულეც ხომ არ გყავს?

— კი, კაცო.

— ოო, შესანიშნავია, შესანიშნავი. ხომ წამოგყვება?

— სახალინზედაც.

— არა, შე კაცო, აქვე ავიყვანთ, სადმე, ზემო იმერეთში, ჩემო ბატონო. და ერთი ჟონგლიორი და-ქალიც წამოაყვანინე.

— არის.

— კარგი ხარ, გრიშა, შილიფად გამოწყობილი ქალები ხალხს მოგვიზიდაენ და ჩვენც ვისარგებლებთ ამით, განი! — მოსამზადებლად მთელი თვე გვაქვს და, რამდენსაც კი შევძლებთ, იმდენი თანხა დავაგროვოთ უნდა.

— რაც თბილისსა და იმის შემოგარენში ამლილი და დანჯღრეული როიალ-პიანინოებია, ყველას საათივით ავაწყობ.

— აუარება სკოლა-უმაღლესდამთავრებულთა ჯგუფურ და სოლო-ფოტოებს დავბეჭდავ.

— ძალიან კარგი. მეც, სადმე კერძო მუშად ვიმუშავებ და ვიმშრომებ, დონი!..

და აი სწორედ აქ, ამ ყოფაში რომ იყვნენ, წამოადგათ თავთ ორი მოულოდნელი დევი და, სამთავე, ბოთლებდამამტკიცებელ-საბუთიანა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვეეისათვის, სადაც ჯერ არს, ესე იგი, იქაურ მაღლივ სადევოში მიაბრძანეს. ეჰ...

3.

საშუალო ბუხჰალტერ-ინტელიგენტი გაიოზ ჯაში, წელიწადი-თერთმეტი თვე საქართველოს დედაქალაქ თბილისში ცხოვრობდა, ხოლო შვებულებას ატარებდა სოფლად.

აი, ხომ თითქოს ჩვეულებრივად უნდა მიდენილიყო მისი ცხოვრება — ზომიერი სმა-ჭამა, ძილი, გაღვიძება, ავტობუსი, ანგარიში, ოჯახი, დაძინება, რამე, მაგრამ გაიოზ ჯაშს ერთი უცნაური რამ ფრინველი სჭირდა. არავინ იცოდა იმა ფრთოსნის ასავალ-დასავალი, როდის რა მოეგუნებებოდა, ამისა ვერავინ უწყოდა რა. დაუბარებლად გამოგიცხადდებოდა; აი, ზის, ვთქვათ, მთელი დღის ანგარიშით თვალებაჭრელებული გაიოზ ჯაში ტელევიზორთან და სასარგებლო გადაცემას უყურებს; ან, ვთქვათ, არანაკლებ სასარგებლო გაზეთს კითხულობს, არა? — უეცრად, დააფრინდებოდა ზედ ქეჩოზე ის წყეული, აღარც კითხვას ანებებდა, აღარც ცქერას, თავიდან ნელინელ, ჩუმჩუმელურად ჰკორტნიდა, აღარ და აღარ მოეშვებოდა, ხან ტაშიტუშს დასძახოდა, ხანაც ვაიმე-ვუიმეს, თავის ოთახში შეიპარებოდა გაიოზ ჯაში, მორცხვად ლუღლუღებდა დამეხსენ, დამეხსენ, ქალალდის მადლმა, აბა რომელი ჩემი საქმე შენა ხარო, იხვეწებოდა. აბაა... გაგიგონია?.. ხვეწნა კი არა, ხმლით და მუგუზლით ვერ მოიშორებდი — უხილავი და აბეზარი იყო. თანაც, თვალთმაქცი — ბასჩიჩინებდა: აი, აი დამიჯერე და აი ნახავ, თუ არ მოიგებ,

მიჯექ, მიჯექ მაგ მაგიდასთან, ეგრე, მიდი-მიდი მოიმარჯკე ეე ბატის ფრთა, ჩააწე, ბიჭო, სამელნეში, რა გეშინია, კი არ გიკბენს, მიდი ჰა, ეგრე, და აი ნახავ, თუ არ მოიგებ, და თუ არ მოიგებ, მაინც ხომ არას წააგებო... ვაჰ, წაგება არ იყო განა ის მიგდებული გაზეთი? ანდა, წაგება არ იყო, სხვებს რომ ტასტრეევანზე არხეინად უნდა ეკოტრიალნათ, გაიოზ ჯაში მაგიდასთან უნდა მჯდარიყო და სულ გიუმაყური სიტყვები ეძებნა... წაგება იყო, მა რა ჯანდაბა, სხვები რომ დომინოს ატყაპუნებდნენ და კარტაობდნენ, იმას იმ ანც-მანც სიტყვების ძებნაში სულ თავ-პირი უნდა ემტვრია... ისე, ეს, ცოტათი თვითონაც უნდოდა... შემოიჩვია, რაღა.

ლექსი იყო, ჰო. — :

ქორს შეუყვარდა ქოროდი,
უთხრა, ზემი სარ, ტოროდი...

აი, ხო ვითომ ვერაფერია, არა? აი, ხომ ვითომ დიდი ვერაფერიშვილია, არა? ვნახოთ.

ერთხელაც, აბა;

ქორს შეუყვარდა ქოროდი,
უთხრა, ზენი სარ, ტოროდი...

აი, ხო ისევ ვერაფერია, არა? რაღაცა მაინც არი. რა და, ცოტათი შორიდან მოვუაროთ, კარგი დედ-მამის შვილებო:

აგერ, ქვეყანა ხომ დიდია, ქვეყანაზედ კი ადამიანები დადიან — ერთი, ორი, ერთი, ორი, ჰაიდაა, მიდიი... მაგრამ ვის საით გაუწევია, ან რას აპირებს, ერთიმეორისა ნაკლებად უწყიან. ზით უმეტეს რომ, ზოგმა თავადაც არ იცის, საით მიჩქინდრიკობს. მაგრამ სუყველას რაღაცა გვინდა... აი, ზოგზოგებს რომ რაღაცები გვინდა, აის ცუდია, ზოგიერთებს რომ გვსურს — ის კიდე, კარგი. მაგრამ რა რაა და ვინ როგორი, მიდი, გაიგე... ლამის ძნელია. რაღაც-რუღაცებს რადგან ძლიერ ესწრაფვიან, კარგი ჰგონიათ და შიგადაშიგ ისე არიან ფუჰკუდიანის ხელით დაქოქილ-გაფაციცებულნი, ქვეყნის საცქერლად დრო აღარ რჩებათ, მააშ. ქვეყანა კი სავსეა, კარგი. სულ შენთვინა დგას, სხვები არას გიშლიან, ყველამ უცქირეო რამდენიც გინდათ, ვერ აიტანს თუ რა.

აბა, საქმეა — უშენოდ თენდება, უშენოდ ბინდდება, არაფერ შუაში ხარ; სულაც არ იცი და მამალი ჰყივის, წვიმა სველია, სხვა არაფერი, აეს, საქმეა? ზოგნი არიან, არც დაიჯერებთ, სხვისა კარგი ჰშურთ და, სულ იმისი დარდი არ ექნებათ, როგორ ამოდის მარიხ-ვარსკვლავი? ან, მე რომ ვქაქანებ, განა მე ვიცი... ეგეთები ვაართ. ისე კი, გვეკუთვნის თუ არ?, მაინც რო სუ ხვავი და ბარაქა გვინდა? ვნატრობთ, ვნატრობთ და ვისურვილებთ კიდეც: ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა — ნეტავი სად იქა — ფქვილი აქა, მთას ურემი ავაგორე, წამოვიდა გორებითა, აქ სიცოცხლით გამოძეხით, საიქიოს — ცხონებითა, ვიშ! ტაშიი!! ფანდური!!! რამე... მერედა, ამას რით ვიმსახურებთ — წავიდა, მოვიდა, მოიტანა-თი? მაშინ მეც წავალ, მოვალ და მეც მოვიტან, თხა თხაზე ნაკლები რა ვთქვი, ის თუ წავიდა, მობრუნდა და მოიტანა, მე ველარ წავალ და ვერ მოვიტან? მაგრამ რას... აეგ ხანდახან არ ვიცით ხოლმე.

ჰოდა, მივდივართ, და სად მივდივართ, მოგვაქვს, მაგრამ რა, გვინდა, გვაქვს კიდეც და აბა სად არი; ერთი თაგვი იყო, ბევრი ოქრო ჰქონდა, ძლიერ მალავდა, ათასში ერთხელ ზუმ-ზუმად თუ ამოამზეურებდა, ბრჭყვიალზედ შიშიანა სტკბებოდა, მიწაში ღრმად, შიგნი-შიგან დამალავდა ისევ, ბოლოს სსვასავით მოკვდა და ოხრად დარჩა, მე თუკი მკითხავთ, სიცოცხლეში სულ ტყუილ-უბრალოდ ღელავდა ისა, ვწვალობთ, ვჯახირობთ, ნეტა, სწორნი ვართ? ეგებ თავს სულ მეტ-მეტობით ვიტკიებთ და, არ დაგვალონოს ამდენმა ფიქრმა; გამოსავალი? — საბრალო დედაბრისასაც კი, დიპლიპიტო. ადგილობრივები ვაართ. სხვა რაღა უნდა გვისდოდეს ნეტავი, ჰა?: თრახ! — ირგელივ კედლები, ჭიშკარზედ შიგნიდან მსუყე ბოქლომი, მოხერხებულ თავზედ ჭერი, მუცელზედ ღიპი და თრახ! — ჯიბეზედ თანხა, კაცოვ, კაცოვ, ეს ბაინც რამდენს გადავახტით ნაკლულ თავზე, მაგრამ ერთი ეჭვი მაინც, მაინცა გვაქვს — რაგინდ გავდიდდეთ, გავიბეროთ და გავიბღინძით, ეგებ ზემოდან ცოტათი უფრო პატარები მოვჩანვართ, ჰაა? რა იცი, აბა, ქვეყნად რაები აღარა ხდება...

მაგრამ ხანდახან ისეთი სუსხი შეგვიპყრობს ხოლმე, განსაკუთრებით, სხვების მიმართ — რას დაწალიჩობთ, აბა რას მიედ-მოედებით, ანდა რაში ჰფლანგავთ სულ სხვა რამისთვის

ბოძებულ გონებასა და დროს, ღირებულს რასმეს — სულაც არ უფრთხილდებით, სისულელეებს — დაჰკანკალებთ, არც სიზმრისა გწამთ და არც ცსადის, და რაგინდ არ უნდა ელოლიაოთ და გამოიკვებოთ ამტანმუცლიანი სხეული, ბოლოს, იცოდეთ, მაინც გვიმტყუნებს, რადგან ვცვეთთ და ვცვეთთ... ეთქვი მეც ახალი რამე, რაღა... მაგრამ რა ვუყოთ, ეს შეხსენება ყველას გეჭირდება და, ბარაქალა შენ არცა-ეუ ძალიან იშვიათო, მაგრამ მაინც გამონაკლისო, გაიოზ ჯაშო!

აგიხსნი, რატომც ბარაქალა შენ. —

გაიოზ ჯაშო,

სხვა რომ ოხრობას ჩაიფიქრებს და იყინება, შენ იმ დროს უცსაური შუქით გითბება კუმშვადი გული, თქვენ ლექსებსა ჰსწერთ. თანაც, მალვით,

პატივცემულო გაიოზ,

ვგონებ, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თქვენი ლექსები ძლიერ კარგია, ნამეტურ სუსტი თუ მეტისმეტად საშუალო. მთავარი მაინც ისაა, ადამიანი სამელნეს რომ შეავსებს, ახლოს მიიჩოჩებს და მოძიებულ ბატის ფრთასაც წამოავლებს ოდნავ, ცოტათი ათრთოლებულ ხელს, უკვე კარგია. რაღაცა ხდება! არცთუ ისე ჩვეულებრივი,

გაიოზ ბატონო,

ეგ არაფერი, ბატის ფრთებით ჯუჯა დიდკაცებს ათასნაირ დადგენილება-ოხრულ-წესდებაზედ რომ მოუწერნიათ რეგვენი ხელი, ეგ თქვენი საქმე და ბატის ფრთა ძალიან სხვაა, თქვენ სხვანაირი ფრთოსანი გიწიწკნით ლტოლვით შეძრულ სულს,

დიდად პატივცემულო გაიოზ,

თქვენივე სული გაჯანჯღარებთ და არ გასვენებთ, თქვენ სულის ქლიბით იცრეცთ და ებრძვით გისოსურ ნაღველს, საშველს დაეძებთ. ლექსის კაცი ხართ, მაგრამ ეგებ სულაც არ იცით, თავისუფლება რომ ძლიერ გიყვართ, მაგრამ სადაა ასეთი ლექსი, თქვენ კიკოლივით ღამე-ბნელში დაბოდიალობთ, და ცადაწვდილი კოცონის ნაცვლად მისუსტებულ ციცინათელას თუ წააწყდებით სადმე, ხომ მაინც კარგი,

ღრმად პატივსაცემო გაიოზ.

იმ ძიებაში თქვენი სულიდან ვიღაცა თითქოს ხის კოვზით

ხაპავს ყოველნაირ უწმინდურებას, ნათლით ივსებით; კაცი რომ ლექსებს წერს: რაღაცა უყვარს, ანდა ვიღაცა, ორთავ — კარგია,

ბატონო გაიოზ,

თქვენ სხვებსეფ ეშმაკისაკენ ვერ გაგექცევათ შეყვარებული თვალი, რადგან კეთილი ტარტაროზი დაგუფლებიათ, იმ თქვენს საქმეში ტარტაროზიც კი შეიძლება კეთილი იყოს, ლექსების წერისას რაღა არ ხდება, და, სიყვარულის გამოისობით, თავად ბრძანდებით —

მცირე უფალი გაიოზ,

რა მოხდა მერე, სუსტ ლექსებს რომ წერთ, მთავარი მაინც ისაა, უცხო ნაკვერჩხლები რომ გიღვივით გულში, სულშთასაბერი; ისიც არაფერი, ხანდახან ჩუმად თავი რომ მოგაქვთ, დიდი ამბავი, ცოტ-ცოტას ყველანი ვიპრანჭებით, ეს პოეზიის და-ქალია — შიგადაშიგა არტისტიზმი, სამაგიეროდ ეჭვებიც ხომ გღრღნით, ეჭვებზე — შემდგომ, საქართველოში ძალზედ ძნელია ლექსების წერა, და მაინც, მაგრამ, რა უჭირს მერე, ხანდისხანობით,

ქორს შეუყვარდა ქოროდი,
უთხრა, ნეტი ხარ ტოროდი... — ს.

გაიოზ ჯაში ფარულ ლექსებს ქურდულად წერდა.

4

გათენდა მშვიდობის დილა.

საქართველოს ერთ-ერთ რაიცენტრ საჩხერეში ჩამოდგა მატარებელი, გულის გამხარებელი და, სხვათა შორის, ჩამოიყვანა სამი ძმა კეჟერაძე — შალვა, ვასილი და გრიგოლ.

სხვათა შორის ცუდად არ დახვედრილან; ჩაჰბერეს გაზირებმა ღოროტოტოებს და გამოიფინნენ ძმათა საპატივცემულოდ შირაზის ვარდებით მორთულ ბაქანზედ და შეეგებნენ ბვირფას სტუმრებს დიდი ხონთქარი თავისი ქალით და ჩრდილოთ ხელმწიფე, ზღვათა მეუფე თავისი სამთითათი და პლატიწის თევზი, საგანგებოდ გაკრეჭილ-გაპარსული ცხრათავიანი ბაყბაყდევი მუხლთაწ დაკრული ლეიკოპლასტირით, მოთ-

ვინიერებული თოვლის ადამიანებიც რიდით წარუდგენენ, იქ-ვე გასუსულიყვნენ ნახევარქათამა და ხანდასანუმაშვილი ოლეგ კოწიას ძე, ბოთლიდან პატიოსანი სიტყვით ხანმოკლედ გამოშვებული კვამლ-დევობიძა და ქონდრისკაცების ზორბათ-ბელადი, ერთი კუდიანი და ერთიც უკუდო დედაკაცი ფერხთით სულ ოქრო-ოქროებს უყრიდნენ, ვასიკოს გამორჩეულად მი-ართვეს დიდი ვერცხლის ლანგრით თვით სტენდალისაგან (ანრი ბეილი) გამოგზავნილი წითელი და შავი ხიზილალა, დამხვდურთა შორის გაფანტულიყვნენ თვით ფადიშაჰი და იმისი მზეთუნახავები, მუქი სათვალე ეკეთათ, ჩუღურეთელი დიპლიპიტო და იმისი დასტა, გუნდი და გუნდი კინოვარსკვ-ლავთა, ძველ რომაელთა საპატიო ყარაულ-კოპორტები და... და... აბა რას მივედ-მოვედებით, იმათ არავინაც არ დაპხვედ-რიათ, ისე ჩავიდნენ; აბა ვინ უნდა დახვედროდათ აიმძმებს იქა? ერთი ყმაწვილი წაკუზულიყო და ფეხსაცმელზე თასმას იკრავდა, და ვიღაც ქალი ოხრახუშს ჰყიდდა, ეს იყო და ეს; მაგრამ არც უწვიმნია, არც უქუხნია და მზე მაღლა იდგა — როგორცა ჩანდა, იქაურობამ მიიღო ძმები.

და თითქოს ამის სამადლობლად, მათგან საშუალომ თუმც უნებურად, მაგრამ მაინც მსხვერპლი შესწირა — დაიხედა ვა-სიკომ და, ერთ-ერთი ღილი აღარა ჰქონდა. ოღონდ პიჯაკზე.

მაგრამ არ იყო ვასილ ჯაბანი, „ერთი ღილის ოხერი ფო-ლაქის დედაც ვატირეო," გაიფიქრა.

კარ-გია საქართველო, რა თქმა უნდა, საჩხერეც. მიმოი-ხედ-აიხედეს და დაინახეს მთები, მთის დანახვას რა უნდა საქართველოში, არაფერი, თვალი, თუმც თვალი როგორ თუ არაფერი, თან მთები აქ რაღაცნაირად სხვა იყო, ზემოიმერუ-ლი სითბოთი გამსჭვალული, აქ რბილი იყო თითქოს ყოველი-ვე, დამყოლი თავაზით გაჟღენთილი, ადამიანები, ცაც, და ერ-თი სული კი ჰქონდათ, დამდგარიყვნენ და ეცქირნათ, მაგრამ ურჩი სხეული რადგან თავისას ითხოვდა, გაიკითხეს და პირ-ველსავე „კაფე-თესე"-ში შევიდნენ და ისაუზმეს და გადარჩნენ, არც დაწამლულან და არაფერი, მართლა ისე კი არაა საქმე, ძიძის რძესა და მამის ჩაივით შეერგოთ გულიაში და ქაბაბი.

მაგრამ ხელოვნება თუ რაღაც ამგვარიც რომ თავისას ით-ხოვს? იმათაც, სხვა რომ ვერაფერი შეირჩიეს, აიღეს და კულ-

ტურისა და დასვენების პარკში შეეიდნენ, ვეება ზურგჩანთები ახლალა მოიხსნეს, წინ დაილაგეს, მერხზე ჩამოსხდნენ, და თავიდან კეთილგანწყობით კი ათვალიერებდნენ მოცემული ბაღის ფლორას, მაგრამ გრიშამ ბოლოს მაინც ვეღარ მოითმინა:

— გამაეებინა ერთი, რატომ ქვია ამ პარკია თუ რაღაცას კულტურულიც, გამაგებინა და მომკლა შავი ხმლით მერე.

— აბა? — მსწრაფლ დაეთანხმა შალვა, — დასვენების რომაა, კი ბატონო, ვზივართ, მაგრამ კულტურა რა შუაშია...

— კულტურა სულ სხვა რამე არის, — მოიწყინა ვასიკომ.

— ჭადრაკს ვთამაშობთ, ბატონო, აქ, ისე კი არაა ის... მიმოისედეს, არავინ ჩანდა.

— პარკის ადგილის დედა იყო, — მეყსეულად მიხვდა შალვა.

— რამ გამადედავა, ბატონო — თქვა ციდან ჩამოვარდნილმა იქაურრკინიგზელმა. იმავე მერხზე იჯდა და უკიდურესობამდე გადაშლილ გაზეთს დაკვირვებით ჩაჩერებოდა, არც აუწევია თავი, — აგერას, გაზეთსაც კი ვკითხულობთ. მშვენიერი და კარგად.

— რომელი კულტურა ჭადრაკის თამაშია, რაში გაგყავთ, თუ იცით, ძვირფასი დრო? — ზომიერად აღელდა ვასიკო.

— აბა, არ ვარგანა ჭადრაკი? — კვლავაც თავაუღებლად იკითხა რკინიგზელმა, და თავადვე იპასუხა: — მოშაშეებმაც კი შემოიარეს მსოფლიო და იჯექით აგერ ამ ბაღში თქვენ... — და ძმებს შიგ კაკალ გულში მოარტყა. — მაინც უფასოდაა და...

„ამისი წარმოსახვა რა ვთქვი... — მწარედ გაიფიქრა ვასიკომ, — ასეთებია, ლიტერატურას თავისი ჭკუით წყალს რომ უყენებენ... ნაღდი ურჩევნიათ, გენაცვალე, ნაღდი...“

— თუ შეიძლებოდეს, თავაზიანად ილაპარაკეთ, — გაუმკაცრდა რკინიგზელს გრიშა.

— რა ვთქვი ახლა მე მაინცდამაინც ისეთი, — არ დაიხია კაცმა. ანდა სად უნდა დაეხია, ზურგიან მერხზე იჯდა, — კულტურაზე ჩამოვარდა ლაპარაკი და, მოგახსენეთ მეც ჩემი აზრი. კრიტიკა ადვილია, ბატონო, რას ჩაციევდით ამ ოხერ ძვირფას ჭადრაკს... აბა და თუ კაი და მაგარი ბიჭები ხართ, გაზეთი რატომ ვერ ახსენეთ აუგად? — შეიცადა, — გეტყვით, — მაღ-

ლა ასწია თითი, — კულტურული ცხოვრების ქორნიკებიცა შით, და იმიტომ.

— განვედ. ო, განვედ, — ჩაილაპარაკა შალვამ, მაგრამ კაცი არა ჰსცხრებოდა: — ჭიდრაკი არ ვარეაო, უიმე, უიმე, სულელი ყოფილა აბა ფედერაცია, ფიდემ რომ გაიგოს ეს, გადაირევა მთლად, ჩემთან კიდევ არა უშავს და, უცხოსთან არ წამოგცდეთ ეს თორემ მოგვეჭრება და ისაა ქართველებს მსოფლიოში თავი, კულტურა არ ვარვებულაო, რა გაიგონა ჩემმა ყურებმა, რა ეავიგონე, რა გავიგონე ეს, — და გაქრა.

ზღაპარ იყო...

ამოისუნთქეს და რაღგან შეცბუნების ნალექი არ უნელდებოდათ, სისალისის მოპოვეპა სცადეს:

— როდის ჩამოვლენ ის ქალები?

— ზეგ, ზეგ ჩემო შალვა, — გამოცოცხლდა გრიშა, — მანამდე ალბათ დავბანაკდებით, მივისეედოთ ამ სოფლად, მოვისეედოთ, მოვეწყოთ კოსტად, აბა რანამდე ტყუილად რატომ უნდა გავაწვალოთ ქალები.

— აჰ, ქალების ტყუილად წვალება არ შეიძლება, — თქვა რკინიგზელმა, ისევ იქ არ იჯდა, ოხერი?! -- ქალი რომ ტყვილა გააწვალო, ისეთს გაწვალდები აქეთ...

— კაცო, შენ მოგზავნილი ხომ არ ხარ? — სუსხიანად დაეკითხა შალვა.

— აბა რა ეარ, — გაიკვირვა კაცმა, — თქვენ მარტო თქვენი თავი გეონიათ საჭირო? — და, შეაპარა: — როგორ, ბატონო, თქვენი ამბისათვის სულ არ გჭირდებათ გაკვრითი პერსონალი?

„უყურე ამას, რაღაცები ამასაც სცოდნია," — კმაყოფილადაც კი გაიფიქრა ვასიკომ. მაგრამ რკინიგზელი ისევ ზედმეტად გაუშინაურდათ — მერე რა, რომ ზღაპარ იყო, ნამეტანი არც იქ ვარგა არაფერი:

— კაი ქალებია ის თქვენი ქალები?

აღშფოთებული გრიშა სანამ რაიმეს შეუძახებდა, მერხის მეორე კიდიდან შემოესმათ:

— კაი იქნებიან, აბა რატომ არ იქნებიან ვითომ კაი ქალები ამათი ქალები, ტანი ამათ არ აკლიათ და ფეხი.

გაკვირვებულებმა მიიხედეს: მერხის იქითურა კიდეზე ად-

ვილობრივი ძალებიდან ვიღაც მეორე იჯდა, საყელოში ცხვირსასოცი ჩაეფინა, ფეხი არხეინად გადაეკვანტილებინა ფეხზე, გვარიან მუცელზე ითამაშებდა ცალი ხელის თითებს, მეორე — კეფაზე შემოედო, იყურებოდა წინ.

„გარემოცვაში ვართ," — გაიფიქრა გრიშამ.

— ნუ იცი შენ მასე ყველაფრის გადაჭრით თქმა, კოლია, — არ შეეპუა რკინიგზელი და ძმებმა ახლა იმისკენ იქციეს პირი, — ვითომ ჯერ არ მომხდარიყოს ისეც, მშვენიერი კარგი დელმამიშვილს გლახა ქალებთან რომ დაეჭიროს საქმე?

— სად გაგიგია მაინც...

— კიკოლამ რომ ქალი მოიყვანა — მოგწონს?

— რა უჭირს ვითომ...

— არაფერი უჭირს, არა? — დაანამუსა რკინიგზელმა, — შემოსმხედე თვალში.

ძმები ისე მალიმალ აბრუნებდნენ თავს, გეგონებოდათ, ის მერხი თანამედროვე ზოგბურთის კორტებზე იდგა.

— მიდი მერე და უთხარი პირში.

— მამასხარავებ, კოლია?

— რა გამასხარავება შენ გინდა, მასხარა ხარ ისეც...

— რაო, რაიო...

— რაო და რომ დაყვები ქვეყნის რკინიგზას ზემოთ, ქვემოთ და იქით...

და გრიშამ უცებ იაზრა — დააძრო ჯიბიდან საკარცხელი, გადატეხა შუაზე, ერთი ნახევარი ერთისკენ მიაგდო და მეორე — ეგრეთ წოდებულ კოლიასაკენ; ამოიზარდა მაგრამ რას ამოიზარდა მშვენიერი მთები... ჩამოეფარნენ ადგილობრივ ძალებს.

ახლა, ყოველთვის ნუ მათქმევინებთ, რომ ზღაპარ იყო.„

— ბარაქალა, გრიშა, — მოუწონა საქციელი უფროსმა იმამ, შალვამ, — ძალიან კარგი ვქენით, რომ მოვითმინეთ და არ ავყევით.

— ხომ მოვილაპარაკეთ და, — ისე თქვა გრიშამ, ვითომც დიდი სიტყვის კაცი იყო, — აკი დავთქვით რომ, მთელ ღონეს იმ სოფლისათვის შემოვინახავდით და რატომ უნდა ავყოლოდით ვიღაც...

— ვიგინდარებს?! — სადღაც შორიდან მოისმა რკინიგზელის ხმა.

— ძნელი ხალხია, ძალიან ძნელი, — აღნიშნა შალვამ, — მაგრამ ვენაცვალე.

ძალიან პატარა სახედარმა კარგა მოზრდილი, სურსათის ტომრებით სავსე ურიკა ჩამოატარა. საკვირველი ის იყო, არავინ მიერეკებოდა, ალბათ უპატრონოდაც მოეხსენებოდა თავისი საქმე და გზა-კვალი. ისეთი პატარა იყო, ერთის შეხედვით ჩოჩორი გეგონებოდათ, მაგრამ თვალებში ისეთი სევდა ედგა, მკაფიოდ ეტყობოდა, ცხოვრების აქამდეც გრძელი და მოსაწყენი ბილიკები რომ ჰქონდა განვლილი. მოსასვევი კი აბა რისი მოსახვევია, მიეფარა თვალს.

— ჯამბაზებს შეშოვეველე და ვენაცვალე, უხს, — მთელის ეშხით აღნიშნა შალვამ, — ეგენი იყვნენ ჩვენთვის სანუკვარი კომედია დელ არტეს წინამორბედნი და საძირკველის ჩამყრელნი, და ახლა ჩვენც კი გვიდგას და გვათბობს იმათი შორეული სულის ნაწილი, ხოლო ერთი რამ ყოველთვის, მუდამ უნდა გვახსოვდეს!

— რა...

— რომ ჯამბაზები თავისუფლები იყვნენ.

— ნამდვილად იცი? — მორიდებით დაეკვლა გრიშა, — თავისუფლება არცთუ ისე ხშირი ჩიტია...

— როგორ თუ ნამდვილად, — გაიკვირვა შალვამ, — აბა ტყუილად ვიკითხე ინოღენა დამხმარე ლიტერატურა? სუყველაფერი წარმომიდგა და, მოდით, აბა თქვენც, შეძლებისამებრ დაიძაბეთ და მეთერთმეტე საუკუნის იტალია წარმოიდგინეთ... ცხოვრება მხოლოდ ასლა კი არა, მაშინაც დუღდა, ხოლო ქალაქის ფერადი გული მთავარ მოედანზე ღონივრად ფეთქავდა, ფეთქდა, რადგან სწორედ იქ ტარდებოდა დიდი ბაზრობა, და იქაე იყო ათასნაირი ქარვასლა-სახელოსნო, საიდანაც რომ კაკუნის, ქლიბვა-ხერხვისა და შრიალის ხმა მრავალფეროვნად გამოდიოდა, იდეა ზანზალაკების ერთი წკარუნი, დიდი ზარებიც — ჟღერდნენ, მაღალშადრევნიანი აუზის ირგვლივ დაიარებოდნენ ბოქალაქენი, სოფლელები და სასულიერო პირნი, გლეხები თავიანთ ჩარდახიან ურმებთან იდგნენ და ცინცხალ ჭირნახულს სთავაზობდნენ გამვლელ-გამომ-

ვლელთ, ჯერჯერობით სხვის, ჯერაც გაუყიდავ პირუტყეს-მოჩვენებითი გულგრილობით უტრიალებდნენ მამაკაცები, ქალებიცა და ქალწულებიც ერთნაირად სახეანთეებულნი ჭვრეტდნენ ზღვისიქითიდან ჩამოზიდულ სამკაულსა და ტანსაცმელს, კოხტა, მსუბუქი თასები პირთამდე ივსებოდა და მძიმდებოდა ყოვლად უშაქრო ღვინით, სატკაცუნებლები იქაურობას იკლებდნენ, სახეს ცივი წყლით იამებდა გალახული დამწყები ჯიბგირი, ვერ იყო კარგ გუნებაზე, დიდგვაროვანის მორიგ მითითებას სულ ტყუილ-უბრალოდ გაჰყვიროდა გულგრილად აღგზნებული ხელფასიანი მაცნე, აჰ, რია-რია და ორომტრიალი იდგა ისეთი, გადასარევი, მაგრამ ერთგან, სადმე ჩრდილიანში, ყველაზე მეტი ხალხი ქუჩდებოდა, და სწორედ იქიდან მოისმოდა გულიანი სიცილი და ბედნიერი შეძახილები, იქ, მოყვარული ხალხის წინაშე, თავისუფალი მაწანწალა — თვით ჯამბაზი, გამოდიოდა.

შემაღლებულზე უყვარდა დგომა... ჯერ ეს ერთი რომ, უკეთ მოჩანდა, დაა, მეორეც, ხელოვანთაგან გულის სიღრმეში ალბათ ყველამ იცის ღირსია ამაღლებისა თუ არა, ჩვენი ჯამბაზიც კასრს, ან ცარიელა ყუთს რასმე შეირჩევდა და, კოხტად შედგებოდა ზედ; ხალხის წინაშე ლაღი სიტყვისა და ქცევის კაცი — შვებად მოარული ჯამბაზი იდგა, მოხდენილ სსეულზე მჭიდროდ შემოტმასნოდა ჭყეტელა სამოსი, ქუდში უცხო ფრინველთა მბზინავი ფრთები გაერჭო, ზურგზე გიტარა ირიბად ჩამოეკიდნა, მხარზედ კი პაწია მაიმუნი ეჯდა, რომელიც დიდის მონდომებით ემანჭებოდა ხალხს. ჭეშმარიტ ჯამბაზს რთული მალაყებისა და ხტუნვა-თამაშის გარდა, სიმღერა, ცეკვა და დაკვრაც აუცილებლად უნდა სცოდნოდა — მაშინ ჯერ კიდევ სრულიად მარტოკინა იყო — და, რაც მთავარია — სიტყვა-პასუხი. იდგა იქ, კასრზე და ყოველნაირ მოულოდნელობას სხარტად, მახვილგონივრულად პასუხობდა, გაუჭირდებოდა თუ რა — თავისით ნიჭიერი იყო. სევდაც იცოდა: ბოლოს გიტარას გადმოიღებდა, მაიმუნს ფეხზე მიიბამდა — მხარზე რაღა ეშაიმუნებოდა, რადგან გიტარის თანხლებით დამწუხრებული მღეროდა, თუ როგორ მოკვდა გმირი პექტორი.

— ვიინ? ჰექტორი?! — ძლიერ გამოცოცხლდა ვასიკო.

— აბა?! დამსმარე ლიტერატურაში წავიკითხე, რომ ერთი ჯამბაზი სიმღერით როგორც კი მიადგებოდა იმ ადგილს, სადაც ჰექტორი იმქუსლიანმა უნდა მოჰკლას, თურმე ერთი ვენეციელი თითო ოქროს უხდიდა ჯამბაზს მხოლოდ იმისთვის, რომ შეეწყვიტა სიმღერა.

— ეს ვითომ, რატომ?

— რატომ და, გრიშა, ერთი დღით კიდევ რომ გაეხანგრძლივებინა ჰექტორის სიცოცხლე... აი, ასე მძაფრად სჯეროდათ ჯამბაზის მონათხრობისა.

— შენ ხედავ, კაცო? მერე...

— მერედა, იქამდე იხადა თურმე ფული, სანამ მთლად ჯიბეგამოფხეკილი არ დარჩა. აბაა, ჩემო ვასიკო...

— და ჰექტორიც... მოკვდა?

— კიდევ იტყვით, თანხა საჭირო არააო? — წამოიძახა გრიშამ.

— მაგას ვინ ამბობს... — უთხრა შალვამ და ისევ ვასილს მიუბრუნდა, — რაღაცა მკითხე?

— და ჰექტორიც-მეთქი... მოკვდა?

— იმ ვენეციელისთვის, კი.

— ვენაცვალე, ვენაცვალე! — ძლივს თავისებურად არ აღფრთოვანდა ვასიკო? — მკითხველი, აი მესმის! — ბედნიერებას ველარ მალავდა: — სულ ჩემი გემოვნებისა არ ყოფილა, კაცო? მთელ ჰომეროსში ჰექტორი ჩემი ყველაზე მეტად საყვარელი გმირია, რადგან ოდისევსი კარგა გაქნილი და ცბიერი იყო, თავის დამცირებაც კოხტად შეეძლო საჭიროების შემთხვევაში... აქილევსის გმირობებითაც არ ვარ მაინცდამაინც გადარეული — შე კაი კაცო, თუ მშვენივრად იცი, რომ ქუსლის გარდა სხვაგან არსად არაფერი წაგეკარება, გადაეშვები გულადურად, აბა რა იქნება, შუაგულ ომში... ახლა, მე რომ მითხრან, გადახტი, ვასიკო, გენაცვალე, თერთმეტსართულიანიდან და ნამდვილად არაფერი დაგიშავდება, საღსალამათი, ნარნარად დაეშვებიო, და თუ ის მოქმელი ნაღდი სიტყვის კაცია, გადავხტები აბა რას ვიზამ და ხოხო, რა ვაქკაცი ვიქნები, ბიჭო?!. მერედა, იმ ცალ ქუსლსაც რომ ვერ მოუარა, ეს იყო საქმე? მაგრამ ჰექტორის ცოდვამ უწია... თანაც გაქანებულ ომში ვიღაც ქალის გულისთვის აიღო და გაიბუტა, წამო-

წვა სადღაც მსართეძოზე არხეინად, განზე. მაინცდამაინც პატროკლე უნდა მოეკლათ, რომ განრისხებულიყო? იფ... პატროკლესათვის წავიდა თავიდან ომში? არა, აჰ... თუ იბრძვი, გენაცვალე, იბრძოლე, რას მიჩერებიხარ და ინაწილებ არჩევან-არადანზე სხვადასხვანაირი მონაცემების ქალებს... აი, ჰექტორი კი, ჰექტორი, — სიამაყით გაიბადრა კიდეც ვასიკო, — კანონიერი მეუღლის სანახავადაც კი ვერ იცლიდა, ნამდვილი ემირი თუკი ვინმე იყო მთელ ტროას ომში, ვინ და, ვენაცვალე, ჰექტორი! ქარაფშუტა ძმის ვნებიანობისა გამო მუდამ პატროკლეს, აქილევსის, ოდისევსის, აგამემნონის კოტიკას სამართებელივით ალესილი ხმლის ქვეშ...

— კოტიკა ვიღაა... — დუნედ იკითხა გრიშამ.

— პარიკმახერია ჩემს გვერდით ერთი. იმას ვამბობდი, იმ ვეშაპების ხმლის ქვეშ ჰქონდა ნიადაგ თავი, და ერთსელ, როგორც იქნა და მოიცალა და ცოლ-შვილს დახედა, ისე იყო გადაღლილი, გატანჯული, სისხლსა და ტალახში ამოთხვრილი, ეს მოხდენილი ვაჟკაცი ადამიანს აღარა ჰგავდა, და შვილი ხელში რომ აიტაცა, იმისმა შემხედვარემ, შეძრწუნებისაგან იტირა ბავშვმა! რა ხასიათზე დადგებოდა?.. და ყველაფერი ეს — სხვისი გულისთვის!

— სხვა არის ბიჭო, ძმა? — გაიკვირვა გრიშამ და მერე სიცელქემ დარია ხელი, — ახლა, მე რომ ქალი მოვიტაცო და დიდი შეხლა-შემოხლა ატყდეს, ჩემთვის არ გამოიღებ ხელს?

— შენ ქალს არასოდეს მოიტაცებ, — ცივად წარმოსთქვა ვასიკომ; ნაწყენი იყო, აღფრთოვანება რომ გააწყვეტინეს, — ქალი ისეთი სულელია, შენისთანას თავისით გამოყვება.

ახლა გრიშა გაბრაზდა:

— როგორ თუ ჩემისთანას! როგორ გავიგოთ ეს...

— როგორც გენებოს, ისე გაიგე.

გრიშა აღელვებისაგან სულს ძლივს ითქვამდა:

— რა ძალიან მოგაქვს რომ მოგაქვს თავი! დიდი ამბავი, მკითხველი თუ ხარ... შენ რომ ასე ძალიან იპრანჭები, მწერალმა რაღა ქნას! ის თუ ვეფხვია, შენ კატა, კატა!

— ჯერ ეს ეგ ერთი, არ ვიპრანჭები, — მოულოდნელად დინჯად მიუგო ვასილმა, — მეორეც ის რომ, მწერალი ძალიან ბევრნაირად სხვადასხვანაირია, და, მესამეც რომ, მკითხველ-

თა წრიდანაა მუდამ გამოსული კარგი მწერალი, და რაგინდ დიდი ვეფხვი დადგეს, ვეფხვზე მაინც ამბობენ, კატის ოჯახიდანაო, დიახ. — შეიცადა, — ხოლო ტროას ყველაზე ცნობილი გმირებიდან, აგამემნონიც, რბილად რომ ვთქვათ, ვერ იყო უბიწო კაცი.

გრიშა დაიბნა, და მერე ისიც შორეული აქილევსივით გაიბუტა ქალის გულისთვის.

— შენი ჭირიმე, ვასიკო, — გაბადრულიყო შალვა, — სწორედ შენთვისაა ზედგამოჭრილი კომედია დელ არტეს ოთხი მთავარი როლიდან ერთ-ერთი ყველაზე ძნელი. რომელი და, — სწავლული, ანუ დოქტორი. მართალია, შენც იმასავით სასაცილოდ უნდა აურიო ერიმანეთში ძირითადად ჰუმანიტარული ცოდნის ნაფლეთები, და ათასგვარი სიშტერეებიც უნდა იძახო, მაგრამ ამას მაინც კარგი ვანათლება უნდა, სწორედ ისეთი, შენ რომ თაეისუფლად მოგეძევება. თამამად ვამბობ: გამოდეგები, კი, და შენიც დიდადა მჯერა, ჩემო გრიგოლ, მაგრამ გამაჩერეთ, გამაჩერეთ, ისედაც ძალიან შევტოპე ახლა, კარგია, კმარა, აკი დაგპირდიო რომ, იმ სოფლამდე ჩვენს მომავალ საქმიანობაზე კრინტს არ დავძრავდი, დღევანდელი დღე აქ გავატაროთ როგორმე. ხვალ კი უთენია დავადგებით გზას, გათენებისას უნდა შევიდეთ იმ სოფლად, რომელიც მოგვეწონება და იქ დავბანაკდეთ, ხოლო წარმოდგენები მეზობელ სოფლად უნდა გავმართოთ, რადგან — მაყურებელთა გვერდით თუ დაიძინეს, გაიღვიძებ და სმა-ჭამას მოჰყვები, შეგიშინაურდება და შენსას აღარაფერს, განსაკუთრებით კი ხელოვნებას აღარ დაგიჯერებენ, რა ვქნა, ასეა ხალხი მოწყობილი, გენაცვალე. ჯერჯერობით კი ნებისყოფიანად ჩავიკმინდოთ ხმა, ვისხდეთ წყნარად აქ და ამ საწყისი მიდამოთი დავტკბეთ და აკლიმატიზაცია რა ქართულია, შეგუება გავიაროთ.

...ავიღოთ საქართველო, კერძოდ, მისი საჩხერე, მოდივნასოთ იქაური ბაღი, ჩავდგათ მერსი შიგ, დავსვათ ზედ სასიეე ძმა კეკერაძე და ვიყოთ პატარა ხანს ასე.

აი, ხომ წყნარად ყოფნა დათქვეს, არა? მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთს ეღიმებოდაო... დაუდგრომელი გრიშას გამოისობით, შემდეგნაირი ამბავი ჩატარდა და მოხდა:

ხომ არც ერთი არ იყო დიდი დალაგებული, მაგრამ გრიშა

მაინც, უფრო კვიმატი გახლდათ. თან, ვითარებაცა და შემოსვევითობაც რომ უნებლიე დანაშაულისკენ უბიძგებდა და ხელს უწყობდა? დაისედა და, რას ხედავს — შურდული, კაცო. ეეერ ე, იქვე, ფეხებთან არ გდია? გაესარდა გრიშას, ბალღობა გააასსენდა, აუჩქროლდა გული, დასწვდა შურდულს, შეათვალიერა — წესრიგზე იყო. მიმოიხედა, კონსერვის ცარიელა ქილას რა გამოლევს კულტურის პარკში, ხელად მოიძია გრიშამ ერთ-ერთი, კერძოდ — ნაშპროტალი და დადო კიდეც სამიზნედ ღობეზე. ძევს გაღმით ცარიელა ქილა, დგას გამოღმით გრიშა, შუაში არც მდინარე წაუდით და არც არაფერი, ცარიელად სუფთა ჰაერია, გაჰკრა გრიშამ შურდული, მოარტყა კოხტად მიზანს, აისრულა საწადელი, ღობის იქით გაადენინა ცარიელა ქილას ბლუმპ-ი. გაეხარდა გრიშას წარმატება, გაიმამადა, მოიძია ასლა უფრო რთული სამიზნე — პენიცილინის პაწაწკინტელა ბოთლი, დადგა ისიც ღობეზე, გაჰკრა შურდული მეორედ და, არ ააცილა? ეწყინა გრიშას წარუმატებლობა, მაგრამ რისი გრიშა იყო, ისტიბარი არ გაიტეხა, კენჭის მცირეწონიანობას გადააბრალა ყველაფერი, შეირჩია თავისი მოსაწონი ქვა, მოათავსა კუთვნილ ალაგას, ძმებიც გაფაცებით შესცქეროდნენ, გაჰკრა ღონივრად გრიშამ მესამედაც შურდული და, აცდენას ვიღა დაეძებდა — არ ჩაამტვრია რომელიღაც დაწინაურებული დევის ორსართულიანი სახლის ბროლის შუშა?

აი, ხო ერთმა ძმამ დააშავა, არა? მაგრამ სამივენი ისე ეარბოდნენ როო? — ქუსლებს სულ ზურგზანთაზე იბრაგუნებდნენ. მსწრაფლ გადაირბინეს საჩსერის მიმზიდველი სანახები, გადაასწრეს ჭიათურისკენ კუსავით მფრინავ სარაიცენტრთაშორისა ტროლეიბუსს, დროდადრო შიშით ისედებოდნენ, ვაითუ დევი მოეკვლევსო; დევიც ემზადებოდა, რაღა: ჩაიცვა კარგი სპორტული ფეხსაცმელები, ჩაისხა შიგ ბენზინი ერთში ცოტათი მეტი, რადგან იმ ფეხით ცოტათი ჰკოჭლობდა; დახვეტა, რაც კი რამ ჯარიმის ქვითრები და სასტიკი გამათრახების ორდერები ჰქონდა; ახალი ნასაუზმევი გახლდათ და ბარე ეზარებოდა კიდეც დევნა, მაგრამ დევი აბა რიღასი დევია, რა შვილი იყო ვინმესთვის რამე შეერჩინა? თანაც იურიდიულად მართალი გახლდათ, შეისუნთქა ღიპი, ძლივას მოიკაკვა და

გამოაჩოჩა ტახტქვეშ საიდუმლოდ შენახული მფრინავი ხალიჩა, წვალებით გაიმართა და სიზარმაცემ ყარია ხელი, მაგრამ დამსხვრეული შუშა რომ დაინახა დეკურად გაბრაზდ. ისევე, გაიწია ღონივრად, გამოაღო წითელი როიალის თავსახურავებით აწყობილი ჭერამდე კარი, მაგრამ შემოეელო. თავთ ძმების მფარველი ანგელოზი, აბა რომელი მოსაფერებელი ის დევი გეყვანდა მაგრამ მოეფერა, დაუყვავა: აბა რაი გინდა, გენაცვალე, რო დაედევნო, გაუშვი, გენაცვალე, წავიდნენ თავიანთ გზაზე, ამ რაღაცა ერთი შუშის გულისთვის უნდა შეჰსწუხდეო? ხომ დამიჯერებ, ჩემი ბიჭი, დაეხსენ მაგ საქმეს, ბენზინის ფული უფრო მეტი დაგიჯდებაო. ის მე ვიცი, რაც დამიჯდებაო, გაიფიქრა დევმა, იმათ ყველაფერს ერთი-ათად ვაზღვევინებო, თქმით კი ასე თქვა: მაშ რად დამჩაგრეს, რათა, უსამართლობას ვერ ვიტან, მაურიალებს, სამართლიანი ვაარო. სამართლიანი კი არა, ქოფაკზედ ავი და ძუნწზე წუწკი იყო, დაავლო კეტს ხელი, დასვავდა იმ თავის ხალიჩაზე და აბაა, ჰაო — კინაღამ დასძახა კიდეც და ვაი და ვუი პატარა ხანში იმ ჩვენი ძმების ბრალი, მაგრამ, ბედად, ცა მოიღრუბლა, წარბი შეიკრა, შავი ღრუბლების ზეწარი გადაიფარა, დაიქუხა, დაიგრიალა, გაიგრიალ-გამოაგრიალა თავისი რკინის ბურთები ცაზე და, კოკისპირულად დაუშვა წვიმაა. მოიქექა კინკრიხო დევმა, დაეზარა ფრენა იმ თავსხმაში, ვერ იყო მაინცდამაინც საფრენოსნო ამინდი, მთქნარებაც მოუვიდა, დაუზარელი კი ვაარ, მაგრამ ერთ შუშას ხომ ვერ გადავყვები, ერთი შუშის ოხერი პატრონი ჩემი მტრის სუყველაფერიცაო, აბდაუბდად გაიფიქრა, თქმით კი ასე თქვა: კეთილი ვაარო, შებრუნდა უცსოდ ძვირფას, მაგრამ თავისი გემოვნებით მორთულ კაბინეტში, გაგორდა ეს ქართული დევი რუმინულ ტახტზე და მაშინვე ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ თავთით დადებული საამაყო წიგნი — ცრეარაინდ ვაშალომიას მეოთხე ტომი პირველსაეე მიხვრინვით №439 გვერდზე გადაშალა.

ძმებმა კი ამეეპისა არა უწყოდნენ რა, კისრისტეხით დაეშვნენ დაღმართში, ეს შედარებით ადვილი იყო — დიდი ზურგჩანთა ბეჭებზე აწვებოდათ და მიარბენინებდათ, გაივაკეს მერე, გადაუსწრეს ოავსხმაში ჩაფიქრებულად მიმავალ ბეჩავ

კიკოლის, გადასერეს მეორე რაიცენტრი — მრეწველობისათვის სასარგებლო წიაღისეულით ცნობილი ჭიათურა და გააკვირვეს ქეჩა-ქუჩად აივნებქვეშ წვიმას თავშეფარებული რამდენიმე ათეული ჭიათურელი, აედევნენ მერე ნავარძეთისკენ ამავალ მტრისას იმისთანა აღმართს, ქოშინ-ქოშინით ააღწიეს მაღლა, მაგრამ აღმართი არა ცხრებოდა, კაცხისკენ ისევ გამძაფრდა, თანაც ტალახში უწიათ სრბოლამ, რადგან დიდი გაბრაზებული ბრონტოზავრი სულ ხრიალ-ხრიალით თხრიდა მიწას და გზაზე აპნევდა, მაგრამ რა შეაჩერებდა ძმებს, ექსკავატორის სათვალიერებლად კი არა, კაცხის სვეტის ხილვისთვისაც არ ეცალათ, თვით შალვამაც კი მხოლოდ გაკვრით ააყოლა თვალი, გადაუხვიეს მერე მარჯვნივ, სწორზე სირბილით პატარათი მოითქვეს სული, და, ისევ აღმართი არ წამოიწყო? მაგრამ შეუპოვარი იყო შალვა და პირადი მაგალითით ძალას მატებდა სვითოსავით ძმებს, შეისუნთქეს ერთიც და ჩამოიტოვეს აღმართში სულ ცახ-ცახ-ხროტინით ამავალი სველი ავტობუსი, კვლავაც და კვლავაც აიჭრნენ მაღლა და უბრალო, განბანილი, წვიმაში მორჩილად მდგარი მშობლიურივით სოფლის დანასვაზე მოეცათ გული, და რატომღაც პირველსავე არა და, მეორე მოსახლის ჭიშკარში შეცვივდნენ, სწრაფი ნაკვალევი დატოვეს პაწია მოლზე, კიბეზე აცვივდნენ და აუტეხეს წიფლის კარს ერთი რახარუხი.

გამოიხედა მასპინძელმა, კარგა დაბნეული ჩანდა, ბატის ფრთა შერჩენოდა მარჯვენა ხელში. სალამ-გამარჯობის თქმაც კი დაავიწყდა ორსავე მხარეს, რა იყო, რა მოხდაო, იმან, ჰარიქა, დევი მოგვდევს და ვერ შეგვიფარებო? — ამათ. ვინაო? — იმან. დევი, დევიო, ამათ. კი ბატონო, მობრძანდით, მაგრამ დევს რა უნდა ჩვენს დროში, მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედშიო, გაკვირვებულმა, იმან. ოო, ეგრე ვიძახოთ და რომ ამოგვეჭამენ მთლად, მერე დავრწმუნდებით ყველანიო, შალვამ. მობრძანდით ბატონო, მოითქვით სულრო, იმან. ამ ჩვენმა ძმებმაც აიღეს და შევიდნენ, დადგნენ ოთახის შუაგულში, შემოივლეს ირგვლივ გუბეები, შეათვალიერეს კარ-ფანჯარა, კედლები, ჭერი, სწორედ საიმათო ჩანდა სახლი — ხისა, უბრალო, დალოცვილი, ძველი. ამასობაში მასპინძელმაც თავისი ქნა — მაგიდაზე გაშლილი რალაც ნაწერები შეაქუჩა, გაზეთი სწრაფად გადააფარა და ბატის ფრთაც ქვეშით მოაყოლა.

მერელა გაასსენდა წესი და ადათი:

— გამარჯობათ, ჩემო ბატონო, — წარმოსთქვა შალვამ. — ხომ ვერ გაგვათეკინებდით აქ?

— გაგიმარჯოთ, მაგრამ მარტო ვარ მე აქ და...

— ძალიანაც კარგი. რამდენოთახიანია, პატივცემულო, ეს თქვენი ბინა?

— ორიანია.

— მთლად უკეთესი. მაშინ, მოგვაქირავეთ ერთი ოთახი, ძალიანა გთხოვთ, რა იქნება?!.

— ქირა რად მინდა, პატივცემულო, მაგრამ ერთი ხელი ლოგინი მაქვს ჩემთვის მარტო, დროებითა ვარ.

— მაგისი დარდი ნუ გექნებათ, ზეწრებიანი საძილე ტომრებით ვართ წამოსული.

— მობრძანდით, ბატონო.

შალვამ ზურგჩანთა მძიმედ ჩამოდო და თქვა:

— კეთილი იყოს ჩვენი ფეხი.

— იასშიოლ... ეე, — მადლობით.

— ახლა, ნაპეტანი კი მოგვდის, მაგრამ, ჩვენც ჩვენდათავად ორ სტუმარს ველით, და იმათ დავაბინავებთ თქვენგან ასე კეთილად ბოძებულ ოთახში და, ჩვენ აივანზეც კი მოვთავსდებით.

— რა საკადრისია, ყველანი მოვთავსდებით როგორმე.

— არა, გენაცვალე, ქალები არიან, რადგან თვალის სეირისათვის კომედია დელ არტეს მიმზიდველობაც უნდა ახლდეს და თანაც ერთი მანდილოსანი კარგად დადის თოკზე.

მასპინძელმა თუმცა ვერაფერი გაიგო, ზრდილობისათვის მაინც თქვა:

— აა.

გაეცნენ მერე ერთურთს, ჩამოყაჭეს თავ-თავიანთი მონაცემები.

ქოსს შეუყვარდა ქოროდი,.
უთხრა, ჩემი ხან ტოროდი... —

გახსოვთ?

იმათი მასპინძელი გვარად თურმე ჯაში. იყო და გაიოზ ერქვა.

მოუვიდა დასვენების რიგი, სწორედ იმხანად შვებულებიბდა იგი.

5

ზეციზედ გათენდა კიდენ სამი მშვიდობის დილა.

რაღაცები მოსდა:

ჯერ ის იყო და, მსოლოდ ერთი ქალი ჩამოუყიდაა: გრიშა ადრე ადგომასთან თუმც ძალიან უკაცრავად იყო, სხვა რა გზა ჰქონდა — კეთილინება და უთენია დასცდა რაიცენტრ ჭალათურის ქებულ სადგურზე, იმან კი დაქალისგან ერაბერძნულად აი ასეთი ცუდი უსტარი გადასცა: „სიმაღლის შიში გამიჩნდა, თოკზე ველარ ვიმუშავებ, არტისტობის მერე ვერც გამყიდველად და დამლაგებლად ვიმუშავებ, შენ მაინც არ იყავი ჩემი შემრთველი, არამედ ავიღე და ფულიანს გავყევი, სიყვარული არ არის, კ-----ა." თავმოყვარეობაშელახულმა გრიშამ მეორე ქალიც გაუშვა — მარტოს აქ რა გინდა, ცოდო სარო; ერთ-ერთ მიჯნურდაკარგულს, ჯერ ისე ეგონა, ცას და ქვეყანას მიმოდალეწდა, მაგრამ ავტობუსში, ნავარძეთთან, უკვე „მოსევის ქალო თინაო"-ს ღიღინებდა. ცოტათი შალვას რიდი ჰქონდა, დანაპირები რომ ვერ შეუსრულა, მაგრამ შალვამ — ძალიანაც კარგი, ქალებით შეღავათი სულაც არ გვჭირდებაო. ასე ტყუილ-უბრალოდ და დაუნანებლად აწოწიალეს მატარებლით დედაქალაქიდან რაიცენტრამდე ის ერთი-ერთგული ქალი.

ეეეს — ერთი.

მეორეც ის რომ, იმ ორღობეში ხშირად აივლ-ჩაივლიდა კიკოლი, ოღონდ იერს ძლიერ იცვლიდა. სხედან, ვთქვათ, ეს ჩვენი ძმები აივანზე გაიოზ ჯაშიანა, და შალვა თან ჰყვება და თან მოძრაობით ანსახიერებს, თუ როგორი იყო კომედია დელ არტეს ერთ-ერთი მთავარი გმირის — პანტალონეს იერსახე და ნიშანდობლიობანი — თურმე ქვრივი პანტალონე მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელია, ხანშიშესული ძუნწი ვაჭარი, ვენეციურ კილოკაკზე საუბრობს; წყალშეყენებულია: კოჭლობს, ხვნეშის, სურდოიანია, ახველებს, აცემინებს, ბუზღუნაა, წუწუნაა, წელკავიანი, მაგრამ ქალების მუსუსი გახლავთ, იზაბელლებს, კოლომბინებსა და ჯერალდინებს სულ კუდში დასდევს, და საქორწინოდ ემზადე-

ბა. დიდად ყოფილა თავდაჯერებული, მაგრამ ყოველთვის ბი-
თურდებოდა. ძირითადად, ქალებისა გამო, რადგან იმას ძა-
ლიან კი მოსწონდა ქალები, მაგრამ ქალებს არ მოსწონდათ
იგი, მაგრამ პანტალონე თავისას არ იშლიდა, მაგრამ ბოლოს
გაქნილი მსასურები მშრალზე დასვამდნენ ხოლმე, მაგრამ
პანტალონე მაინც ვითომ დარდიმანდობდა — წითელი პერან-
გი ეცვა, ჩაჩიც წითელი ეხურა, წითელივე პანტალონებიანი,
დაგრეხილი ფეხები ყვითელ დიდბალთიან ფისტლებში წაე-
ყო, და შავი მოსასხამი ვითომ ყოჩაღად მოეგდო მხარზე...
ჰყვება ამას შალვა და, გაისედავენ, რასა სედავენ:

მოდის ორღობეში ჩვენი კიკოლი, ძლიერ დაღვრემილია,
ძლიერ. გადაუდგებოდნენ კეთილ-ყაჩაღებივით ეს ჩვენი ძმე-
ბი გზაზედ, რა იყო, კიკოლი, რად დაღონებულხარო, ამათ. ის
დრო სჯობდაო, კიკოლიმ, მიწაში იცქირებოდა, რომელი
დროო, ამათ. რომელი და ერთხელ ჩვენს სოფელში დიდი შიმში-
ლობა ჩამოვარდა, არც პური მოვიდა, არც ვაზმა მოიბა მარცვა-
ლი და არც ხეს გამოუღია ყვავილიო, იმან. მერედა, ის დრო
რითა სჯობდაო, ამათ. რითა და, მაშინ ერთმანეთი გვეცოდებო-
დაო. იმან. ხოლო ასლაო? — ამათ. ახლაო, კიკოლიმ, ერთიმეო-
რისა გვშუურსო. თქვა ასე კიკოლიმ და განაგრძო ორღობეში
თავისი ნაღვლიანი სვლა, ჩაფიქრებულნი დასტოვა ძმები.

მაგრამ შალვას რა შეაჩერებდა. იგი ჰყვებოდა, თუ როგო-
რი იყო კომედია დელ არტეს კიდევ ერთ-ერთი გმირი, სწავ-
ლულ-იურისტი დოქტორი გრაციანო.

რაღა თქმა უნდა, ბოლონიელი გახლდათ, რადგან ბოლო-
ნიური უნივერსიტეტი უძველესი იყო ევროპაში, ხოლო იქა-
ურ იურისტებს საქვეყნოდ გაუგდიათ სახელი იმით, რომ ძვე-
ლი რომაული კანონმდებლობანი მოხერხებულად გადაუკეთე-
ბიათ და შეუხამებიათ შუა საუკუნეებისათვის. მაგრამ მერე,
როგორც სდება ხოლმე, დრო და ვითარება შეცვლილა და ამ
იურისტებს თანდათან დაუკარგავთ ცხოვრებასთან კავშირი,
გასწყვეტიათ სასიცოცხლო ძაფი, გამოუსადეგარნი გამხდარან
და მეთექვსმეტე საუკუნეში ძველი დიდების მკრთალი ნატა-
მალიღა შერჩენიათ, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ
და ბოაზროვნეებად დააბიჯებდნენ ხალხში. ხალხიც, იტანდათ,
ხალხი რაღას არ იტანს, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ეცინებოდათ, რად-

ვან სელმოცარული დოქტორები წამდაუწუმ სისულელეებს აფრქვევდნენ თავზე, ყლურწვაც ჰყვარებიათ და თუმცა რაღაცები ბლომად იცოდნენ, ყოვლად უთავბოლოდ აკაკანებდნენ მოუწესრიგებელ ცნებებსა და სიბრძნეებს. მოდის, ვთქვათ ბოლონიელი დოქტორი ვენეციაში და მჭახე, ბოლონიური კილოკავით ამდაგვარ ცოდნას ამყღავნებს: „ფლორენცია დედაქალაქია ტოსკანისა, ტოსკანაში შეიქმნა მჭევრმეტყველება, ხოლო მჭევრმეტყველების მეფე ციცერონი იყო, ციცერონი რომში სენატორობდა, რომს თორმეტი კეისარი ჰყავდა, თორმეტივე თვეა წელიწადში, წელიწადი კი, თავის მხრივ, ოთხად იყოფა, ოთხია აგრეთვე ბუნების სტიქია: ჰაერი, წყალი, ცეცხლი და მიწა, რომელსაც ხარების მეშვეობით ხნავენ, ხარებს აქვთ აგრეთვე ტყავი, ტყავისაგან კი ფეხსაცმელები იკერება, რომელთაც ფეხზე ვიცვამთ, ფეხები სიარულისთვისაა საჭირო, სიარულისას წავფორხილდი და მოვედი აქ, რათა მოგესალმოთ, — გამარჯობათ."

ჰეი-ჰეე, გრაციანო... დოქტორი თურმე მხოლოდ ერთ კაცთან ამხანაგობდა, თუკი ამას ამხანაგობა ერქვა: ისა და პანტალონე ერთიმეორეს ვითომ ქალების შოვნაში ეხმარებოდნენ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ერთმანეთს ატყუებდნენ და ბოლოს სხვათა, ძირითადად საკუთარი მსახურების წყალობით, ორთავენი მშრალზე, ანუ პუპლუცზე რჩებოდნენ. მაგრამ დოქტორი გრაციანო იხტიბარს მაინც არ იტეხდა, ისევ დაიარებოდა მოკირწყლულ ქუჩა-ქუჩად, შავად სჩვეოდა ჩაცმა: შავი კურტაკი ეცვა, შავივე მაღალყელიანი წინდები, შავივ პანტალონები, იმდროინდელი უზარმაზარი, ჭვარტლისფერი ქუდი ჩამოეკოსებინა და, რაც მთავარია, სწავლულის კუპრისფერი მანტიით მოჰქონდა თავი; ახლახან გაბითურებული, მაინც მხნედ გამოვიდოდა ქუჩაში, ამაყად შეივლიდა სადმე, გადაჰკრავდა ერთ-ორ შუმას და, ცხვირაწიოლებული ჰყვებოდა: „ჰერკულესი რომ არა, ტყუილია, ისე ვერაფრით აიღებდნენ ტროას, ტროაში ხეოფსის პირამიდებს აგებდნენ ხისცხენიანი მაჰარაჯები, ხოლო იმათ კი ფადიშაჰად კეისარი ეჯდათ, ხოლო როდესაც კეისარი დაუნდობლად განგმირეს, მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: შენც, თეზევს?" უამბობს ძმებს და გაიოზ ჯაშს ამაებს შალვა და, გაიხედავენ, რასა სედავენ:

მოდის ბეჩავი კიკოლი ორღობეში, საბრალოს, გული ამოსჯდომია და ტირის, ტირის, ისეა გულამოსკვნილ-ცრემლთაღვრით დაოსებული, შიგადაშიგ დუნედ თუ წაიშენს თავპირში ხელს... გადაუდგნენ ეს ჩვენი ძმები გზაზედ, რა იყო, შე ბეჩავო, რა მოგსვლიაო, ამათ. მეტი რაღა უნდა მომსვლოდა, თავი დავკარგეო, იმან. აბა, შე კარეი დედ-მამის შვილო, მსრებზე რომ გადევს, ის რაღაცაო, ამათ. ესაო, მარტო ჩარჩოაო, იმან. შეებრალათ ძმებს, გადაუსვეს ჩარჩოზე ხელი, იტირე შე ბეჩავო, ეგება გულზედ მოგეშვასო. დგას ესრერიგად კიკოლი და ტირის. აუჩუყდათ ამ ჩვენ ძმებსაც კეთილი გული, მოაწვათ იმათაც მარგალიტივით ცრემლი, გაუდექ, გაუდექ ისევ გზას, კიკოლი, ეგებ შენს ბედს შენც ეწიოო. ვითომ? — იმან, მოიწმინდა მჯიღით ცრემლები, დაადგა თავქვეს.

ამასობაში დროგამოჩხრეკილი გაიოზ ჯაში აივანზედ ძალიან თავაწეული იდგა და ბულბულა სიტყვებს ერთიმეორეს უტოლებდა. ჩამოჯდებოდა საწყლად მერე, რადგანაც შალვა აღფრთოვანებული განაგრძობდა, რომ მსახურები — ეს კომედია დელ არტეს სული და გულია. ორივენი სოფლიდან იყვნენ, კერძოდ, პროვინცია ბერგამოდან და, საშოვარზე ჩამოსულებს, ვენეციელები დიდის ათვალწუნებით უყურებდნენ, რადგან, ქალაქელის აზრით, სოფლელი თუ სულელია, ხომ მთლად ყეყეჩია და თუ ჭკვიანი, მაშინ — ქურდი, თაღლითი და გაიძვერა. „ჩვენში დარჩეს და, — ხმას დაუწია და ისე გაანყვეტინა კეთილმა გრიშამ, — ცოტათი ალბათ მართლა ასე... მაშინაც იყო", შალვა კი განაგრძობდა, რომ, თურმე, საკვირველია, მაგრამ მთიდან ჩამოსული ბერგამოელები საზრიანები ყოფილან, ბარელები კი — მთლად ჩურჩუტები, მაშინ, როდესაც მთელ რიგ ქვეყნებში აშკარად პირიქითაა, ხმ. და უეცრად ღიმილმოფენილმა განაცხადა, რომ მთიელ ბერგამოელს თურმე სახელად ბრიგელა ერქვა. დიდი მსხვილმანი ონავარი და ფრიად გაქნილი ყოფილა დიდად — ბრიგელა თავს მუდამ ისე მიიჩნევს, თითქოს საბრპოლო ავანპოსტზე მთავარსარდლად იმყოფებოდეს, მიაჩნია რომ, უიმისოდ არაფერი არ უნდა მოხდეს — ყველგან ცხვირსა ჰყოფს, ძალიან გრძელი ენა აბია, თავის გატლეკილობას იმით ხსნის, ვითომ მამამისი მუნჯი იყო და მას უანდერძა თავისი გამოუყენებელი შესაძლებლო-

ბანი; დიდის დამსაშავეობის გრძნობით და ვითომც გულწრფელი მონანიებით აიტანს გაწკეპვლას, მაგრამ ამას სამუდამოდ ჩაიმარხავს გულში, და არ შეიძლება, სამაკიეროს გადახდა რამენაირად არ მოახერხოს; თუკი ჭორების დაყრა, ან არეულ-დარეულობისა და რია-რიას ატეხაა საჭირო, ამას ბრიგელაზე უკეთ ვერავინ ახერხებს; პატრონს ფცქვნის, ქალებთან — არხეინი ყბედია, მოხუცებთან — თავხედი, მშიშარას თუ წააწყდება, არავინაა ბრიგელასავით გულადი, მამაცს კი ფეხქვეშ ეგება და თავის სამსახურს სთავაზობს. თავი ყოველნაირი სიანცია აქვს გამოტენილი, არც ღმერთისა სწამს და არც სატანის, რაღა თქმა უნდა, უყვარს ოქრო, ღვინო, ქალები და, ოხერს, გიტარაზე დაკვრაც ემარჯვება. განსაკუთრებით ბაზრობაზე უყვარს წანწალი, ხამი ტილოს თეთრ შარვალ-პერანგში გამოეწყობა, ქამარზე ქისა ჰკიდია, და ნებისმიერ გამყიდველს სულერთია-რა საქონელზე ყოვლად უმიზნოდ ევაჭრება, ემასლაათება, ნელინელ უფრო და უფრო ამასხარავებს და გულში ხითხითებს — ებაზრება, რაღა, და მეორენაირ მსახურს, ბრიყვ არლეკინსაც თან დააპროწიალებს, რადგან სადმე კოვზი ნაცარში თუ ჩაუვარდება, თუ გაამჟღავნებენ და მის ირგვლივ მრისხანე აურზაური ატყდება, მაშინვე თავის ნაცვლად საბრალო არლეკინს ჩაჩურთავს აყალმაყალსა და დაკა-დაკაში, თვითონ კი განზე გადგება და შორიდან იცინის, იცინის, კვდება სიცილით ის ფინთი. მოწყენილობას ვერ იტანს, თუ სხვა საქმე და თავშესაქცევი არა აქვს რა, იპოვის სადმე დოქტორს და, თვალთმაქცურად აღელვებული ეკითხება ქვეყნისა თუ ბუნების იდუმალების არსზე, ალაფრთოვანებს, აამჭევრმეტყველებს და თვითონ კი წამოწვება მხარ-თეძოზე და თავისთვის კისკისებს. თუ პანტალონეს მსახურია, ხან ჩაწს დაუმალავს, ხანაც სათვალეს, ხან ლოგინს უსველებს, ხანაც ნამცსვარში წიწაკას შეუპარებს და, მოკლედ, მტრისას და მაწყევარისას ასეთი მსახური. გაკვირვებული გაიოზ ჯაში, რომელსაც რომ სულ სხვა სფეროებში აქვს საქმე, პირდაღებული მისჩერებია ღიმილმორეულ ძმეს, ვერაფერს ხედავს აქ სასაცილოს, და თავისი დაბნეულობა რომ დაამარცხოს, ხალიბის რვალივით შეკრულ სიტყვებს ისესენებს და, შიგ გულში ჩუმად, მაგრამ მტკიცედ იმეორებს:

ქორს შეუყვარდა ქორიდი,
უთხრა, ჩემი ხარ ტორიდი...

და გამარჯვებული გადახედავს ძმებს, მაგრამ ამჯერად ისინი დაბნეულან, ახლა ისინი იყურებიან პირდაბჩენილნი სადღაც; თვალდაჭყეტილთა მზერას დაბინდულ თვალს გააყოლებს გაიოზ ჯაში, შეკრთება და, ოთხიენი, რასა ჰხედავენ: მოდის ეს ჩვენი ყოფილი ბეჩავი კიკოლ ზედ სოფლის შუა გზაზედა, წოდება აზის მხარზედა, გაზულუქებულია, გაზულუქებული რომ, აე თვალსაც კი დაენახვება, ძრიალ უცნაურად აცვია: ჩოხა-ახალუხზედ ევროპული ფრაკი თუ რაღაცა ჰქვია, ის წამოუსხამს, თავზედ მბზინავი ცილინდრი ადევს, თითებზედ ბეჭდები წამოუცვამს ისეთი, შუადღის მარსკვლავები გეგონება, ყოველი ამაყი საბიჯის გადმოდგმისას ჯიბეში ოქროები უყლარუნებენ, მარგალიტებით მოოჭვილი ხელჯოხი სულ ტყუილად უჭირავს, არცა ჰკოჭლობს და არც არაფერი; ფესებზედ აზიაცკები ულაპლაპებს, მუცელზედ ღიპი უთიმთიმებს, ყელზედ — ღაბაბი, ეოსდევენ მარდი ჭსახურები, მოაქვთ ავეჯი, ვერცხლეული, ნატვრის სუფრა, აგარაკი, ბროლი, რამე, საქონელს მოდენიან; გადმოხედა კიკოლმა ამ ჩვენს ძმებს, და ცნობით ალბათ იცნო, რადგან ოდნავ ასწივ-დასწია ჯმუხი წარბები, ნაგრამ ეს ეგება რაღაც სხვა ნიშანიც იყო — საიდანღაც მამინვე მოურბენინეს ცქვიტმა მსახურებმა ოქროს ბარძიმით რაღაცა თეთრი, აეგ, რაად, კიკოლმა. ეგაო, დიდო ბატონო, ჩიტის რძეაო, იმათ. მოსვა კიკოლმა; აიხედა, გაიხედა, გამოიხედა, დიდი ვერაფერიშვილი ყოფილა, სულ ტყუილად უქიათო. მერე — დავიღალეო, კიკოლმა. ეოართვეს რახსი, ხიზილალებისფერი ცხენი, ასწიეს ეს დამძიმებული კიკოლ და დაუპირეს უნაგირზედ შესმა ისე ყოჩაღად, ისე-ისე ყოჩაღად, ცოტათი მეტიც მოუვიდათ და ცხენის იქითა სხარეს გაადინა კიკოლმა ზღართანი. ავარდა მტვერი... აღარაფერი სჩანს. მტვერი ისევ რო ჩამომიწდა აიღო კიკოლმა ცილინდრგადავარღნილი თავი, აი თქვე ასეთებო და ისეთებოო, სულ უწმაწური სიტყვები იძახა, ასეთ-ისეთებო ღა კიღევ უფრო, უფროო, კიდევ კარგი რომ, ხეა ჩახლეჩილი ჰქონდა, მაგრამ თვალებს აბრიალებდა როო? —

ცის და ორღობის ელვასა ჰგვანდა. დაუფაცურდნენ მსახურები, წამოაყენეს, ამოგანგლულ ზურგ-საჯდომზე სულ ფარშავანგის ფრთები უსვეს, გაუწმინდეს ფრაკი, წელანდებურად აულაპლაპეს ცილინდრი, სუნთქვაშეკრულებმა შესვეს ისევ იმ რახს ცსენზე, დაუყვნენ თავქვეიბს.

მხოლოდ ერთი მსახური დარჩა, გამოთიშულიყოსავით, ჯდა მოწყენით ორღობისა პირსა; ხელმათრახიანი, ნამეტურ დაღვრემილი იყო.

მიუახლოვდნენ ძმები.

— რატომ ხარ მაინც ასე მოწყენილი?!—დაინტერესდა ცნობისწადილიანი გრიშა.

— მიყვარს. — თქვა იმან, მათრახი არ გახსენებია.

— ვინ გიყვარს.

— მოხევის ქალი თინა.

ახედეს, დახედეს.

— ძალიან გიყვარს?

— კი, — ჰ!

— იმას უყვარხარ?

— რავი.

ალალი გრიშა დაეჭვდა:

— ქალი ძალიან როცა უყვართ, მარტო დაღვრემილობით ვერ იოხებენ გულს, ტირიან კიდეც.

— ვიტირო რა, — აგდებულად ამოხედა იმან, — ტარიელი კი არა მქვია.

— აბა რა გქვია.

— ავთო.

უფრო ახედ-დახედეს.

„ეგება მართლა უტოპისტი ვარ, — გაიფიქრა ჯიგარჩამწვარმა ვასიკომ, ოთხი კედლიდან გამოსული, საუბარშიაც კი ვერ ვერევი.

— ეჰ, სიყვარული აღარ არის, — სიტყვიერად დანაღვლიანდა მერე გრიშაც, — ეჰ, სიყვარულზედ აღარ სტირიან.

— როგორ თუ არ არის, — გამოცოცხლდა მოწყენით მჯდარი და გული მოიღეღა, — მაშ აბა ეს რა არის.

გულზედ გარედან ეწერა — თინა.

— ეგ სულ ტყუილად გიქნია, სულ, — შეიჭმუხნა გრიშა, —

რადგან ისე გატყობ რომ, მაინცდამაინც არ გიყვარს ეგ ქალი და სხვა ვინმე რომ დაისვა ცოლად, ვთქვათ, ახმეტური პატარ-ძალი, ანდა წყაროს გზის ზედმიწევნით მცოდნე თებრონე, ანდა კარკუჩით თუ გადმოიყვან ქალსა მაიკოს ლამაზთმიანსა, ველარ მაიშლის მაიკო შავი თვალების ბრიალსა, რადგან ეგ სვირინგი წამდაუწუმ ცუდ მოსაზრებებს აღუძრავს და სიცოცხლეს გაგიმწარებს.

— თქვენ თქვენ საქმეს მიხედეთ, კაცო, — თქვა საეჭვოდ შეყვარებულმა და ღილები შეიბნია.

— უი-ჰო, მართლა ჩვენი საქმე, — დაიცინა შალვა, — აივნისაკე-ენ... იართ!

აივანზედ კი გაიოზ ჯაში დახვდათ; გაიოზ ჯაში ხუმად იყო, ხმას არ იღებდა, მოგვიცდინეს, კი, ხოლო შალვა ჰყვებოდა რომ, რომ არლეკინი სულელი კი არა, ბრიყვი კი არა, არც ხეპრე, არც რეგვენი, არცა ბოთე და ტუტრუცანა, არც შტერი და დოყლაპია, არც ეამოთაყვანებული, არცა ბენტერა და ცეტი, არც აბდალი და ბითური, წარმოიდგინეთ, ჩერჩეტიც კი არ, — არამედ ყველაფერი ეს ერთად — ჩურჩუტი იყო. რაღა თქმა უნდა, ბრიგელასხელა არც ჭკუა ჰქონდა, არც საზრიანობა და სიმარჯვე, მაგრამ მაყურებლებს მაინც ძლიერ ეჯვარდათ იგი, რადგან მხიარული და გულუბრყვილო გახლდათ. და როგორც ჭეშმარიტ ბავშვს, ყოველთვის რომელიმე კოლომბინა უყვარდა. ამა ქვეყანას თითქოს არც ეკუთვნოდა, მუდამ ღრუბლებში ჰქონდა აყოფილი თავი. ბრიგელასაგან განსხვავებით, არასოდეს დაგეგმავდა, როგორ უნდა ეადაედგა პირველი ნაბიჯი, ეგრეევე მეორეს ნაბიჯს გადადგამდა ხოლმე და, რასაკვირველია, თამამ განზრახვებში ჩაფლავდებოდა ხოლმე. არადა, უკვირდა — წინა ნაბიჯები ხომ ისე მშვენივრად წარსდგა ოცნებაში... სინამდვილე — ეს თავი და თავი მტერი იყო არლეკინისა, როდი შეეძლო რაიმესი აწონ-დაწონა, არამედ პირდაპირ, თრახ, მიდი, — და დღეენიადაგ აქოთაქებდნენ. მაგრამ იმისი უმწეობაც, რაღაცნაირად, მომსიბვლელი იყო. ძალიან ცუდი მსმენელი გახლდათ, მუდამ თავისას ფიქრობდა; და იმ სასარგებლო რაღაც-რაღაცეებიდან, ბრიგელას რომ არაფრისდიდებით გამოეპარებოდა, ეს

არლეკინი ვერაფერს იღებდა, სარგებლიანობისა ვერა უწყოდა, მოგებას ვერსად ნახულობდა, ეამორჩენაო, გამოტყუებაო — ამაებისა არა იცოდა რა. მაგრამ ყოველივესი ერთგული იყო: ერთი ბატონი სურდა; ოცნებებში თითო ცოლი დედოფლად ესვა, თუმც სადედოფლოებს იმათივე უარყოფისა გამო სწორად იცვლიდა — რა უნდა ამას ოცნებაში; არავის მოტყუებას განიზრახავდა, კეთილი იყო, მიმნდობი, და ცულლუტ ბრიგელას წაბმული ჰყავდა, იმისა გამო წუხელ გალასულ არლეკინს, მარტივ სიცრუეთა წყალობით ისევ კეთილგანაწყობდა, მერე ბრიგელა ბაზრობისკენ დაადებდა თავს და არლეკინსაც კუდში აიდევნებდა, სალამოობით კი სხვადასხვა გზით ბრუნდებოდნენ, ბრიგელა — ქისადამბიბეული, არლეკინი კი — უპეებამოლურჯებული, დაღვრემილი ჩამოჯდებოდა პანტალონესა თუ დოქტორის სასლის კიბეზე და, უცებ, მთლად ბავშვს, მთლად ბედნიერს, თავის თავზე გულიანი სიცილი აუტყდებოდა და, როგორ უყვარდა მაყურებელს... არლეკინისთვის მთელი ქვეყანა ცისფერებითა და ვარდისფერებით იყო შემობურვილი, გამოსვეული, სიკეთისა და სიმართლის თუმცა მარტივად, მაგრამ ძალიან ღრმადა სწამდა, მაგრამ ბნელ ღამეობით ძილგამტყდარი, არ შეიძლებოდა სადმე ცივ ქვაზე არ ჩამომჯდარიყო და, თუ იმ დღეს განსაკუთრებით მძიმე ხელი მოხვდებოდა, დანაღვლიანებული, ალბათ ფიქრობდა რომ, რომ რატომაა ესე ქვეყანა ასე მოწყობილი, სხვებისათვის ხომ მუდამ მხოლოდ კარგი უნდოდა, ისინი — სცემდნენ, ქალი უყვარდა ისე ძლიერ რომ, იმისთვის არაფერი ეშურებოდა, მაგრამ დასცინოდა ის, ნეტავ რადაა ძალიან ასე... ანდა, სხეულზე წამოსკუპებული აეს თავი ადამიანის ნეტა რა ისეთი განსხვავებული ნაწილია, რომ იმის წყალობით ზოგიერთნი ფუფუსებაში ცხოვრობენ, მას კი, არლეკინს, ძალიან ხშირად ხმელა პური და ხასვი ენატრება... ანდა, რატომაა რომ...

ჰყვება ამას შალვა და, გაიხედავენ, რასა ჰხედავენ:

მოღის ეს ჩვენი ბეჩავი კიკოლი, ძველი ღიდების ნიშანწყალიც არ შერჩენია, ამალის ნაცვლად ძაღლების ყეფაღა მოსდევს, ტიტლიკანა სხეულზე პირდაპირ ჯვალოს ტომარა შე-

მოუხვევია, ოქრო და ვერცხლი და თალმარგალიტი კი არა, ეახერეტილი გროშიც აღარ მოეძევება ალბათ, რადგან ტომარას აბა სადა აქვს ჯიბეები; დიდი საცოდავი შესახედი კია: საბრალოს, სიცივე აკანკალებს, მოკუნტულა, შეტრუსულია, ცალ ფეხზე ბათინკა აცვია, მეორეზე — კალოში, თავზე ქუდად ჩიტის ბუდე ადევს; რა იყო, კიკოლი, შე ბეჩავო, რა მოგსვლია ამათ. ეეჰო, იმან. რა იყო, რა ვერ გამოზომეო, ამათ. ეეეპ, ეჰო, ვერც გამოვზომე და დეკმაც წამართვაო, იმან. ახედეს, დახედეს, ხომ არა გშიანო? — ამათ. მშიან და, ეგრეო? — იმან. ეამოუტანეს პური, ღვინო, კვერცხი, მარილი, დიდი მადლობაო, კიკოლიმ, ჰოდა, წავიდა.

გააყოლეს ნაღვლიანი მზერა, მაგრამ კიკოლი გადაავიწყდათ, როდესაც შალვამ კვლავ განაგრძო კომედია დელ არტეს ამჯერად მეორეხარისხოვან გმირთა დახასიათება. ესენი იყვნენ: კოლომბინა — მხიარული და პატიოსანი შინამოსამსახურე ქალი, ვისი სახელიც მტრედიდან იყო წარმომდგარი, კოვიელო, პულჩინელა, ტრუფალდინო — მსახურთა ნაირსახეობანი, დიდად სასაცილო კაპიტანი სპავენტო, რაც თავზარდამცემ, შებრწუნებათა კაპიტანს ნიშნავს. მეორენაირადაც იწოდებოდა — მატამოროსი — მავრთა მჭელტავი, თავის თავს „ცეცხლსა და სისხლს" ეძახდა, ხოლო მშობლებად მიწისძვრასა და ელვას მიიჩნევდა; ტარტარენ ტარასკონელის ეს შორეული წინაპარი, ცალი ხელით დოინჯშემოყრილი, მეორეთი კი ულვაშის მსწორებელი, დაბოხებული ხმით ჰყვებოდა, რომ დედამიწის ზურგზე რაკი არ მოიძებნებოდა ისეთი დათვი, რომელთანაც შებმას იკადრებდა იგი — დიდად მძვინვარე კაპიტანი სპავენტო, ამიტომ ადიოდა ხოლმე მეშვიდე ცაზე, და იქ შვიდი ვარსკვლავისაგან შედგენილ დიდ დათვზე წარმატებით ნადირობდა, შემდეგ კი დედამიწაზე, თვით შუა კონსტანტინეპოლში დატყორცნილი, დიდ სულთანს თავის სახელგაკარდნილ პიროვნებას როცა ამაყად გაუმეღავნებდა, დიადი სულთანი კარგი ცხენიდან მსწრაფლ ჩამოქვეითდებოდა და კაპიტანს სულ ფეხებს უკოცნიდა, ამასვე სჩადიოდა ავკარგიან მთავარ ვაზირთა დასტა, და თავმოყვარე იანიჩართა საწაქებო მხედრიონი, კონსტანტინეპოლში სამუდამოდ დარჩენას სულ ყელის გამოწიწკვნით ევედრებოდნენ, მაგრამ კაპიტანი

მსოლოდ იქამდე რჩებოდა, სანამ დიდი სულთანის ოთხასივე თავაზიანი ცოლის სიყვარულს აბრეშუმებითა და დიბაატლასით გაწყობილ ტასტრევანზე არ იგემებდა, და მერელა ბრუნდებოდა ვენეციაში; მუდამ შესვდებოდით კომედიაში შეყვარებულებს — პანტალონეს ვაჟს, ორაციოსა და დოქტორის ქალიშვილს, იზაბელლას, მაგრამ ძუნწ პანტალონეს რძლად უფრო მდიდარი, უფრო მზითვიანი ქალი ნებავდა, ყოველსაირად სელს უშლიდა ვაჟიშვილს, ათასგვარ დაბრკოლებას უქმნიდა, საბრალო შეყვარებულები, მაგრამ ბრიგელა იქვე არ იყო?.. თავად პანტალონეს კი ახალგაზრდა ფლამინია მოსწონდა, რომელსაც, ადრე დაობლებულს, ვითომც ალალად მეურვეობდა და სინამდვილეში კი იმისი ცოლად შერთვა ძალიან სწადდა, არავის აჭაჭანებდა მის სიახლოვეს, ფლამინიას კი ვიწრო სარკმლიდან კაპიტან სპავენტოსაკენ მიუთრთოდა აჩქროლებული გული, რადგან მაკრთამელეტის გმირობებისა უყოყმანოდ სწამდა, და პანტალონეს რაგინდ ფსიზლად სჭეროდა თვალი, იგივ ბრიგელა იქავ არ იყო?... ამასობაში, არლეკინი დიდად ოხრავდა ოლივეტაზე, და ღამღამობით მთვარეს კი უმზერდა, მაგრამ თითქოს მზეს აპყურებდა, ცრემლები ისე სწვეთდა თვალთაგან...

ჰყვება ამაებს შალვა და, მოესმათ უცებ სახლის უკნიდან რაღაცა კვნესა, ოხვრა, ტყაპანი, მიწას სულ ბაგაბუგი გააქვს... ჩადიან ფრთხილად კიბეზე, შემკრთალან ოთხივენი, სუნთქვაშეკრულნი აისუსებიან კედელთან, გაიხედავენ, რასა ჰხედავენ; დაუჭერია სამთავიან დევს ეს ჩვენი კიკოლი და, რაღაცისთვის, რაღაცდარატომ, ბუბნის და ჭბუბნის, სულ ტკაცატკუცი გააქვთ ბეჩავი კიკოლის ძვლებსა. მობეზრდება მერე დევს ამაო გარჯა, რადგან კიკოლი ვეღარაფერსა გრძნობს, ხაშხაშნაჭამივით გდია, შეშურდება დევს იმისი ყოფა, წამოწვება არსეინაც, სვრინავს, ეს კიკოლი კი ჯერ ისეთია, მკვდარი გეგონება, მაგრამ მოუვა მერე ცოტაოდენი ფერი, წაისვამს თურმანიძეების მალამოს, დაიდებს კარსანიძეებისა და გიორგაძეების არტაშანებს, ჩაიწვეთებს ცოტა ღვინოს პირში, მოღონიერდება თითქოს, მიუახლოვდება იმ ახვრინებულ დევს და, არ სტკიცავს უცებ კარგა ჭახუნა სილას შიგ შუა ყბაში? გამოეღვიძება დევსა, გაბრაზდება ძრიალ, დაიჭერს ისევ ამ ჩვენს

კიკოლის, დაუწყებს ბუბნვას, ხან ისე აუწევს ყურებს, ზედ კინკრიხოზე შეუტყუპებს, ხან ისეთ წკიპურტს დაჰკრავს, იმ ადგილიდან კიკოლის სულ წაპერწკლები სცვივა, აადგებს მაღლა, აღარ დაიჭერს, დასწვდება ისევ, ჩააგდებს მერე ხაროში, მიწას დააყრის აბურდულ თმაზე, წამოწვება მერე, დაიძინებს, ახვრინდება. როდის-როდის, მოეგება ისევ გონს კიკოლი, წაისვამს მალამოს, დაიდებს არტაშანებს, ცოტათი მოჩიტდება, მიივლ-მოივლის ხაროს, იპოვის რაღაც ღვინიან დოქს, მიიყუდებს, ხასიათზე მოვა, სულ ჰარიარალეს დასძახის, მიმოიხედავს, ხაროს პირობაზე კარგა მოზრდილი ალაგი ჩანს, მიდგება, მოდგება კიკოლი, მივა ღორთან, ყვავთან, კრუხთან, თაგვთან, კატასთან, ძროხასთან, იცოდვილებს, იცოდვილებს და გამოართმევს ბოლოს ღორსა ჯაგარსა, დაგრეხს თოკსა ბაწარსა, მოაბამს კაუჭს, აისვრის ზევით, დამაგრდება კაუჭი, აჰყვება ცოცვა-ცოცვით კიკოლი თოკსა, ხედავს, დევს სძინავს, და არ მიუახლოვდება ისევ? ისევ არ შემართავს ხელსა? ისევ არ მოუქნევს და იმ ჩვენს დევსა, აკი ისევ — ტყლაშ? გამოეღვიძება დევს, შალვა კი ჰყვებოდა, რომ კომედია დელ არტემ თავის მხრივ მშვენიერი როლი შეასრულა ისეთ დიდ შემოქმედთა ნაწარმოებებში, როგორებიც იყვნენ... და სახეგაბრწყინებულმა ჩამოთვალა ჯერ მხატვრები — კალლო და ვატო, მერე — ჩიმაროზა, მოცარტი, როსინი, მაგრამ აქ აღფრთოვანებულმა გრიშამ, პიანინოების ამწყობმა, წაართვა სიტყვა, ლამის დასჭექა, რომ ჩვენს წყალობად არსებობენ ისეთი დიდი ოპერები, როგორიცაა „ფიგაროს ქორწინება," „სევილიელი დალაქი," და რომ იქ ასახული ბრიგელის მსგავსი მსახურები და პანტალონეს კოპიო მეურვეები ნაღდად, ნამდვილად კომედია დელ არტედანაა... აქ კი ვასიკომ, ლიტერატურისმოყვარე და მცოდნე კაცმა, გააწყვეტინა, თავის მხრივ იმანაც სახეგაბადრულმა ჩამოთვალა შექსპირისეული ლაღად და ორაზროვნად ალაპარაკებული მსახურები, ახსენა გოლდონი, ლოპე დე ვეგა, მოლიერი, დოდე, რასპე, და კიდევ ბევრს ვისმე ჩამოთვლიდა, მაგრამ ახლა ისევ შალვამ დაიბრუნა სიტყვა და, ჰოიი, რა თქვა: რომ იტალიურ კომედიას მოვლილი ჰქონდა ევროპის ბევრი ქვეყანა, და რომ კაპიტან სპავენტოს ისეთი მსახური ჰყავდა, ჯერაც დაუბადებელ სანჩო პანსასა-

ვით მორჩილად რომ იტანდა პატრონის მთელ რიგ დაუჯერებელ გამონათქვამებს, და ეგებ სანჩოსაც კი შეპხებოდა ოდნავი სიო კომედია დელ არტეს მსახურთა მოუხეშავ-ეშმაკური სიბრძნეებისა; და ასეთი თამამი აზრის გამგონენი, შეშინებულები მიყუჩდნენ, მერე კი უცებ ერთხმად დაასკვნეს, რომ ამ ორიოდ დღის განმავლობაში აუცილებელია გონებისა და სხეულის განუწყვეტელი დაძაბვა და ვარჯიში, რათა აქ, ზემო იბერეთშიც როგორმე დამაჯერებლად დაიდგას კომედია დელ არტეს ნაირსახეობა, და რომ ეს უნდა მოხდეს სულ რაღაც სამი კაკალი დღის შემდეგ, როდესაც მათთვის, ძმებკეკერაძეებისათვის, მოვა და გათენდება მშვიდობის მთავარი დილაა...

6

გათენდა მშვიდობის მთავარი დილაა...

ოთხიდან, სამნი, ძალიან ღელავდნენ, ერთადერთი შალვა იჯდა დაფიქრებული და ხანდახან ნაღვლიან მზერას გააპარებდა იმ სოფლისაკენ, საღამოხანს რომ უნდა ასულიყვნენ და იქაურ მღვიმე ხერგულა-კლდეში დაედგათ თავიანთი კომედია. გაიოზ ჯაში მერე ვეღარც კი ღელავდა, გაოგნებული იყო — მაინც როგორ უნდა წარმსდგარიყო ხალხის წინაშე სმამალალი სიტყვებით იგი, შენიღბული პოეტი, და, გამოუცდელობით, აბა ნეტა რის თქმას მოასერსებდა... დიდად ღელავდა ვასილიც, რაღგან, მისი ღრმა რწმენით, ღღეს, სწორედ ღღეს უნდა დამტკიცებულიყო, გახლდათ თუ არა უტოპისტი... განსაკუთრებით კი, ღელავდა და შფოთავდა გრიშა, ადგილს ვერ პოულობდა, წრიალებდა, მაგრამ თურმე კომედიაში მონაწილეობა კი არ ადარღებდა, არამედ სულ სხვა რამ, რადგან ნასადილევს ვეღარ მოიიმინა და, თქვა:

— იმ შეჩვენებულმა, აქაც არ მოგვაგნოს.

— ვინ შეჩვენებულმა... — შეკრთა გაიოზ ჯაში.

— შენ ჯერ არ იცნობ... ერთი ტიპია, ჩვენზე დაწერა.

— რა...

— რა და, რაღაცა სისულელეები...

— პოემად?

— პოემა არაა... პოემას, გენაცვალე, ოსტატობა უნდა, ისე კი არაა ის. აბა, თუნდაც ჯონ-გრეის შემთხზველია ეეგ? უპასუხისმგებლო!

გაიოზ ჯაში ისევ გაირიყა, ისევ დაეჭვდა გრიშა:

— აქაც რომ მოგვაგნოს, ნამდვილად გადავირევი. დავხევ!

— ნუ გეშინია, გრიშა-ჩემო, — დააიმედა შალვამ, — ზღაპარში აბა როგორ მოგვაგნებს...

— ზღაპარიც პროზის არაა?! — დუნედ გაიკვირვა ვასიკომ.

— შენ რა გენაღვლება, რა! — გაცხარდა გრიშა, — შენ დიდ განათლებულად და ენამოსწრებულად გამოგიყვანა, მე რას მერჩოდა, შტერივით რომ დამაბზრიალა რაღაც სულელურ ხალხში! გააცინა მოცლილები, ხომ? რომელი სასაცილოები ჩვენა გვნახა!

— არა, უბრალოდ, ეგ ერთ-ერთი ხერხია ლიტერატურაში, — სცადა გრიშას დამშვიდება ვასიკომ. — თანაც, ძალიან ძველი — დიდი ხნის წინათაც კი, საბერძნეთში, კინიკოსი მწერლები მხიარულ, ზღაპრულ სამოსელში ასვევდნენ თავიანთ არცთუ მხიარულ ნააზრევს, რათა მკითხველებისთვის ამ გზით უფრო ადვილად მიეწოდებინათ ნაწარმოები.

— რაარ? ზღაპრულ სამოსშიო?! ისე გამოდის, აქაც უნდა მოგვაგნოს, ხომ!

— დაწყნარდი, კარგი...

— შენ შენი თავი დაიწყნარე! — აქ უფროს ძმასაც შეუწყრა გრიშა, — და, მეორეც რომ, ხომ არ გგონია, შენი საქმე კარგადაა — შენც კაი აცუნდრუკებული გამოგიყვანა, ნუ გეშინია შენ! გამოექომაგე, გამოექომაგე! ეგრე გინდა შენ, ვენაცვალე ხელებში!

— ხელებში რა — შეშას კი არ აპობს, ცალი ხელით წერს, ცალი ხელი უნდა გეთქვა, — ვეღარ მოითმინა ვასიკომ.

— ჯანდაბა იმის ხელსაც და თავსაც, რას აგვეკიდა, რას აგვეპროწიალა, ვეპატიჟებოდით თუ?

— ჩვენ გვეპატიჟებოდა ეს კაცი? — გაიოზ ჯაშისკენ გადაქნია თავი შალვამ, — მაგრამ მიგვიღო.

გრიშა გაჩუმდა, ხოლო გაიოზ ჯაშს არაფერი გაუგია, გათიშული იჯდა.

მერე გრიშამ მაინც იძალა:

— ნეენ ამ კაცს ჩვენით მივადექით და, იმას რაღა ესაქმებოდა?

— ეგებ იმასაც მივადექით, რა ქნას იმანაც, გრიშა-ჩემო...

აქ გრიშა კინაღამ გადაირია, ყოვლად დაუკავშირებელ წინადადებებს იძახდა:

— მივადექი რა, ბიანინო აეშალა თუ რა?... უპასუხისმგებლო ეგ!.. ერთხელ სოლოლაკში ანტიფსიზელი ვნახე!.. გამომივიდა სიტყვის ოსტატი!.. ხომ ამოვიდნენ იმის ოსტში!.. რა იცის მაგან მატარებელში საღ გავიღვიძე!.. კანდიდატებზე ზემოთ ეგ ვეღარ ავა... სიმაღლეში რა ჭკუა ყრია!.. მე ვენაცვალე პატარ-პატარა პროფესორებს...

პარასკევი დღე იყო.

— კარგია, კმარა, — ხმას აუწია მედგარმა შალვამ, — დღეს მხოლოდ ჩვენი საქმით უნდა ვიყოთ...

— კი მაგრამ, ნამდვილად მოვა თუ იცი ხალხი? — იკითხა ერთბაშად გადასხვაფერებულმა გრიშამ.

— აბა რა... ნაცნობი მყავს ერთი იმ სოფლად, სეევერიონე, კარგი კაცია სხვათა შორის ძალიან, ის შეგვიგროვებს ხალხს.

მართლაც, მოგროვდნენ, მაგრამ რას მოგროვდნენ... ჩამოდიოდნენ დამრეც ფერდობზე ხერგულა-კლდისკენ დავითები, ბესარიონები, შალიკოები, გიორგ-ყორები, საშიაები, სიმონიკები, კონსტანტინეები, მიშა, ვახტანგები, გივები, ფირუზები და მარგალიტები, ქეთევანები, რუსუდანები, ვერიკოები, თინათინები, ვალია, დარეჯანები, მაყვალები და ეკალბარდებში მიიკვლევდნენ მღვიმისაკენ გზას, პატარათი გაივაკებდნენ, მერე კი აღმართს ამოუყვებოდნენ და, ამოდიოდნენ ორპაქნიან ხერგულა-კლდეში... მაგრამ მეორე ზედა ბაქანი — ნურას უკაცრავად, აღარა ჩანდა, ლურჯად მბზინავი ფარდა რამ იყო გაჭიმული მღვიმის შუაში კიდით კიდემდე, ფარდის წინ კი იდგა მეთაური ძმა — შალვა, და ხალხს თავაზიანად ეგებებოდა სულ „მობრძანდით"-ით, სულ „გეთაყვა"-თი, ხერგულა-კლდეში იქაურთაგან ვინ არ ყოფილა, მაგრამ ახლა, შებინდებისას, ჩირაღდნების სათუთ შუქზე, რაღაც სხვანაირად, ახლებურად აღიქვამდნენ მღვიმეს, და თუ იმასაც ჩავთვლით, რომ დიდი ხნის წინათ, ძალიან ადრე, ხერგულა-კლდე-

ში პირველყოფილი ადამიანი ბინადრობდა და იმდროინდელი ტაეის მასალა და ნანადირევთა ძვლები არქეოლოგების მიერ აქ უხვად იყო აღმოჩენილი, იდუმალების მორუსო სიბლი ემატებოდა იქაურობას, და ყოველივეს აძლიერებდა ჩვენთვის ყველასთვის ნეტარი — „აპ, წარმოდგენა უნდა ვნახოთ," ქართველებიდან, რომელს არ გვიყვარს წარმოდგენა, წარმოსადგენის მეტი რა გვაქვს, კი; და, ვგროვდებოდით, გაივსო მღვიმის ქვედა ბაქანი, ერთი პირდაპირ ყანიდანაც კი ამოვიდა, დაგვიანების შიშით კალოშების გამოცვლაც კი ვერ მოესწრო, და იმის გვერდით უცნაური სანახავი იყო მაღალ ქუსლებზე შემდგარი მსუბუქი ბუხჰალტერი ქალი, პამიდაშვილ-ბიბაშვილები იყვნენ.

ჯერ კარგა მორიდებულად იდგნენ, მაგრამ მერე და მერე, ცდაში, ამოძრავდნენ და ალაპარაკდნენ, ერთმა მეორეს თამბაქო სთხოვა, რატომ არ ამოხვედი წუხელიო, გასძახა მესამემ მეშვიდეს, აქეთ — მიიკითხ-მოიკითხეს ერთმანეთი, ჩემი ჭუკები გარეკა ნეტა ბიჭმაო? — მეთვრამეტემ და, ყურეში რომ არ გადაზრდილიყო იმათი მომლოდინე ყოფა, — ალბათ შეგროვდნენ უკვე ყველანი, ვინც მოსასვლელი იყო, უკვე მოვიდოდა და, ხელისგული შემართა შალვამ:

— ძლიერ პატივცემულო ზემოიმერლებო!

დიდი მღვიმური სიჩუმე ჩამოვარდა, მეტი ფასი დაედოთ ჩირაღდნებს.

— თქვენ გაგიმარჯოთ, — აღსიშნა შალვამ.

— გაგიმარჯოთ, ჩემო ბატონო... სალამი და გამარჯვება... სალამი და გამარჯვება მოგვისსენებია...

— და ჩვენ სწორედ იმიტომ ამოვედით აქ, რადგან ზემო იმერეთი, ჩემის ღრმა რწმენით, ყველაზე მეტად საქართველოა, ჩვენი, — თავი ამაყად შემართა შალვამ, — რადგან აქ, ქართლის ამოყოლებაზე, მშვენივრად ერწყმის ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი აღმოსავლური და დასავლური... იმას ვამბობდი, ჩვენ, სამია ძმათა და პატივცემულმა ვაიოზ ჯაშმა, გადავწყვიტეთ რომ, სწორედ თქვენთვის გვეჩვენებინა ის კომედია, რომელიც ჯერ კიდევ თქვენი პაპის პაპათა პაპეპის და კიდევ უფრო, დაბადებამდე, იდგმებოდა და ახლაც იდგმება მთელ რიგ

შორეულ ქვეყნებში და, რა დავაშავეთ ჩვენ, ასლომასლო ქარაფაველებმა — ჩვენც კი უნდა ვიგემოთ, თუ რა ხილია...

— აკაშენა ღმერთმა, — გულით წამოიძახა ერთ-ერთმა ბესარიონმა.

— ნუ აწყვეტინებ...

— პირიქით, პირიქით, ჩემო სევერიონ, — გაიბადრა შალვა, — როცა კი მოისურვებთ, მაშინვე შეგიძლიათ ჩაერთოთ კომედიაში, ან შეგვისწოროთ ის, რაც ჭკუაში არ დაგიჯდებათ, ყოველად თავისუფალი წარმოდგენა იქნება ეს... გულიან სიცილსაც აბა ვინ აგიკრძალავთ, დუშმანები კი არ ვართ, მაგრამ ერთი რამ უნდა გვაპატიოთ — რადგან ამ წარმოდგენაში ათამდე მოქმედი გმირია, ხოლო ჩვენ კი მხოლოდ ოთხნი ვართ, ხანდასან ერთ კაცს სამი როლის შესრულება მოგვიწევს და...

— რა უჭირს მერე!..

— ხომ ნებასა გვრთავთ? — გაიხარა შალვამ, — ძალიან კარგი. მით უმეტეს რომ, ნიღბებსა და ტანსაცმელს შევიცვლით ხოლმე და, და გაგიადვილდებათ მისვედრა, ვინ რომელი ვართ. მსასიობები სულ კაცები გახლავართ, მაგრამ ზოგიერთები, ბატონო, — გაუღიმა ხალხს შალვამ, — ქალებსაც კი განვასახიერებთ. ხომ დაგვიჯერებთ?

— კი დაგიჯერებთ, ბატონო, მაგრამ, — შეეპასუხა პატარა ღუმილის შემდეგ ერთ-ერთი დათიკო, — გესიამოვნებათ მერე მაგი თქვენ?

შალვამ გულიანად გაიცინა და:

— ძალიან კარგი! — დიდად კმაყოფილმა წამოიძახა, — აი, სწორედ ასე მშვენივრად უნდა ჩავერთოთ ხოლმე, — და მაღლა შეპარია მარჯვენა ხელი, — ააბა, ვიწყებთ!

ოჰო, ზეპოიმერულ კოსტა მღვიმეში წარმოსადგენი კომედია დელ არტე... გაიხსნა ფარდა!

...ზემო ბაქანზე ვასილ კეკერაძე იდგა, წითელცხვირიანი ნიღბით სახედაფარული, შავი მოსასხამით შემობურვილი; სხვები ჯერ არ ჩანდნენ, რადგან ბოლომდე გაუხსნელ ფარდას ამოსდგომოდნენ და შალვასაც იქით მიეშურებინა; ფერხთით განელაგებინათ სხვადასხვანაირი ნივთები და ტანსაცმელი.

გამოჩენილი ვასიკო კი იდგა, დუმდა, ღელავდა.

— მიდი, ვასიკო, მიდი შენ გენაცვალე, — ხმადაბალი მღელვარებით შეუძახა შალვამ, — მიდი დაიწყე, ძმო ვასილ! ერთი, ორი და სამი...

და ვასიკომაც, წამოიწყო:

— მე ვარ ბოლონიელი დოქტორი გრაციანი, ხოლო ფლორენცია დედაქალაქია ტოსკანისა, ტოსკანაში შეიქმნა მეჩვრმეტყველება, ხოლო მეჩვრმეტყველების მეფე ციცერონი იყო, ციცერონი რომში სენატორობდა, რომს თორმეტი კეისარი ჰყავდა, თორმეტივე თვეა წელიწადში, წელიწადი კი, თავის მხრივ, ოთხად იყოფა, ოთხია აგრეთვე ბუნების სტიქია: ჰაერი, წყალი, ცეცხლი და მიწა, რომელსაც ხარების მეშვეობით ხნავენ, ხარებს აქვთ აგრეთვე ტყავი, ტყავისგან კი ფეხსაცმელები იკერება, რომელთაც ფეხებზე ვიცვამთ, ფეხები სიარულისთვისაა საჭირო, სიარულისას წავფორხილდი და მოვედი აქ, რათა მოგესალმოთ, — გამარჯობათ.

სამარისებური სიჩუმე იდგა.

„რას ბოდიალობს აგი კაცი," — გაიფიქრა ერთ-ერთმა საშიამ, მაგრამ ხმამაღლა არ უთქვამს ეს — იმერელები ხომ, ძირითადად ზრდილობიანი ხალხია.

„ცუდადაა საქმე, — გაიფიქრა შალვამ, რომელიც ნატყვიარი ფარდიდან თან გაფაციცებით უჭვრიტინებდა სალხს და თან პანტალონეს სამოსს ალალბედზე ირგებდა, მაგრამ მაინც არ შედრკა, ისევ ხმადაბლა გასძახა: — არ დაიხიო, ვასილ, არ გავიტყდეს ვული, შეუტიე, მიდი!..

— ჰერკულესი რომ არა, — განაგრძო ხალხის მდუმარებით შეშინებულმა ვასიკომ, — ტყუილია, ისე ვერასდიდებით ვერ აიღებდნენ შვიდკარიან ტროას, ტროაში ხეოფსის პირამიდებს აგებდნენ ხისცხენიანი მაჰარაჯები, ხოლო იმათ კი ფადიშაჰად კეისარი ეჯდათ, ხოლო როცა კეისარი დაუნდობლად განგმირეს, იმისი უკანასკნელი სიტყვები იყო — შენც, თეზევს?

„რეებს ბჟუტურობს აგი კაცი," — გაიფიქრა ერთ-ერთმა ჟორიამ, მაგრამ არც იმას უთქვამს ხმამაღლა ეს — იმერლები ხომ, სტუმრისადმი ძირითადად მომთმენი ხალხია.

მაგრამ წინდასედულმა სევერიონემ, რომელიც ძმათა მას-

პისპლად თელიდა ამ სოფელში თავს, ყოველი შემთხვევისათვის ხალხს მოკლედ შეუძახა:

— სსუთ!

„უტოპისტი, ვაარ?“ — მწარედ გაიფიქრა ვასილმა, ამ რაღაც ქვური სიჩუმისგან ძლიერ დაიბნა, აღარ იცოდა რაღა ეთქვა, რაღა ექნა, და მაინც იპოვა გამოსავალი: — ოოო, ჩემი ძვირფასი მეგობარი, პანტალონეც, აგერ არ მოდის?

„ვაიმე!“ — ერთი კი გაიფიქრა შალვამ და, ორად მოხრილი, კოჭლობა-კოჭლობით გამოვიდა ავანბაქანზე.

„რამ დააკოჭლა ამ ორ წუთში,“ — გაიფიქრა ერთ-ერთმა კონსტანტინემ, უკვე მტრულად განწყობილიყო.

შალვამ ავანბაქანზე ახველა, აცემინა, აცემინა, ახველა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ხველებისა გამო ვითომც ვერ ახერხებდა, და ბოლოს მაინც თქვა:

— მე ვარ ვაჭარი პანტალონე, და ფლამინია მიყვარს, გამარჯობათ. ااا-ფჩსიჰ!

მღვიმური კი არა და, აკლდამური სიჩუმე იდგა.

„უტოპისტი ვარ! — შეძრწუნებით გაიფიქრა ვასიკომ, — უტოპისტები ვართ ჩემი ძმებიც, მეც!“

— კაპიტანზე გადადი... — უჩურჩულა შალვამ.

მაგრამ ვასიკო ვეღარ იყო იმ ძველ გუნებაზე, და ესღა მოახერხა:

— მოდი, ბრიგელა!

პატარა ხანს არაფერი ისმოდა, მერე გრიშამ გამოსძახათ:

— ახლავე მოვალ, სენიორ, ჯერ პირს დავიბან და...,

ცუდად იყო საქმე... გარეთ ბნელოდა.

— კაპიტანზე გადი-მეთქი, — ისევ უჩურჩულა შალვამ, — კაპიტანი ნამდვილად გასჭრის...

სხვა რა გზა იყო; ვასიკომ მოსასხამი დააგდო, ნიღაბიც მოიცილა, სქელი ულვაში დაიკრა, პლასტმასის ხმალი იშიშვლა და:

— მე ვარ კაპიტანი სპავენტო! — რამდენადაც შეეძლო, ომახიანად წამოიწყო ვასიკომ, — მიწისძვრისა და ელვის პირმშო, მავრთამჟლეტელი, მაგრამ რადგანაც არ მოიძევება დედამიწის ზურგზე ისეთი დათვი, რომელთანაც შებმას ვიკადრებ თვით მე, შეძრწუნებათა კაპიტანი, კაპიტანი სპავენტო —

ცეცხლი და სისხლი, ამიტომ სანადირიროდ ავდივარ მეშვიდე ცაზე, რათა იქ მოვკლა ვარსკვლავებისგან შედგენილი დიდი დათვი და წარმატებით ვნადირობ იქ, ახლა კი მოვედი თქვენთან, გამარჯობათ.

— გავიგეთ, ბატონო, გავიგეთ, გაგიმარჯოთ, გამარჯობათ, გაგიმარჯოთ, სალამი, გამარჯობათ, — ველარ მოითმინა ერთ-ერთმა დათიკომ, — გამარჯობათ! მერე?..

და იმსოფლელთაგან ყველაზე მეტად გულფიცხს, ვახტანგიას ის-ის იყო უნდა წამოეძახა: „თქვენ-თქვენი თავი აიგდეთ მასხრად, ბატონო," რომ...

— მე ვარ მაიორი გრატიაშვილი, — თქვა უცებ ვასიკომ და შალვას უცნაური რეჩხი უყო გულმა, — ვარ არტილერისტთა ქვეგანყოფილების სიამაყე, და ზარბაზნით მძალუძს გაფრენილი ბელურის ჩამოგდება, იქნება ეს ბელურა დელალი თუ მამალი, ჩემთვის სულ ერთია, და ამიტომაც, — ულვაშზე ამაყად გადაისვა ხელი. — და ამიტომაც მოვწონვარ ქალებს.

— დეიღუპე შენ, — უბოროტოდ წამოსცდა კალოშებიან მაყურებელს.

— მე, სრულიადმა მაიორმა გრატიაშვილმა, ჩემში შეყვარებულ მრავალ ქალთაგან ამოვარჩიე ერთი, ვისი მშვენიერების და სიტურფის დიდი ამბავიც გავარდნილია ჭიათურიდან კაცხ-ზესტაფონის გავლით ადვილღვინიან სოფელ სვირამდე, და ამის გამო უამრავ ქალს დავწყვიტე უმანკო გული, დავწყვიტე კი არა, იმათ გულებში რომ დაუნთო, ფეროს ქარხანაში არ დანთებულა იმდენი ცეცხლი.

— აუიფ! — კმაყოფილად შეუძახა ერთ-ერთმა დათიკომ.

— მაგრამ ერთი ოსერი ძალიან მიშლის ხელს, — და შალვას მიუბრუნდა, — ხოლო იმ ქალწულს რადგან თქვენ მეურვეობთ, მასზედ ქორწინების ნებართვას ვითხოვ თქვენგან, ჩემო... პანტელეიმონ!

— ვინ არი შენი ჩემი პანტელეიმონ! — ვითომც განრისხდა გასარებული შალვა, — როგორ მიბედავ... აზნაურიშვილი ვარ მე და, ვილანა სარ შენ!

— მე კიდე — თავადი ვარ, — გაიჯგიმა ვასიკო.

— გრატიაშვილი და თავადი, არ გამიგია მე.

— ვერც გაიგებდი, — არ დაიხია ვასიკომ, — რადგან გრატი-

აშკილი ჩვენი ნათესაობის ფსევდონიმია, ფსევდონიმი კი იმიტომ აკილეთ, რომ პაპაჩემის ბიძამ, ალმასხან ორბელიანმა, ბატონი მოკლა ჭრელი ლორიკით და ფსევდონიმი შევირქვით, რათა ვერავის ვეცნეთ.

აქ პანტელეიმონი დაფიქრდა, მერე გაუნათდა სახე:

— თქვენი ბატონი რა გვარის კაცი იყო, ბოდიში? ორბელიანებმა ბატონი თუ მოკალით, თქვენი ბატონი თვით მეფეპაკრატიონი უნდა ყოფილიყო და რაღაც არ მახსოვს ისტორიიდან ეგ მე.

ატყდა სიცილი, ატყდა „სწორია, სწორია..."

მაგრამ ვასიკომ არ დაიხია:

— ალმასხან ორბელიანი მაშინ პრაქტიკაზე იყო შორეულ ასლ ზელანდიაში.

— და იქაური მეფე მოკლა?

— აბა?! — დაეთანხმა გრატიაშვილი, — ცალი ტეტეთი.

პანტელეიმონი დაფიქრდა და:

— სად იყო, ბიჭო, მაშინ ტეტე?

— სად იქნებოდა, — ხელში.

ხალხმა რატომღაც მატყუარა ვასიკოს მხარე დაიჭირა: — კარგი ხარ, კარგი... ხოლო შალვასკენ ზედიზედ გაისმა: — ბაჯინება არ იყოს... ბაჯინება არ იყოს...

— არაფერი არ ვიცი მე! — გაგულისდა პანტელეიმონი, — ფლამინიას... ეე, მარგალიტას აღზრდა-ვანათლება ოცი ათასი დამიჯდა მე ახალი ფულით და, თუ გადამიხდი, წაიყვანე და შენი იყოს. მშვიდობით.

— საიდან ვიშოვნო ოცი ათასი? — მწუხარედ წარმოსთქვა ვასიკომ.

— დაუხატე, დაუხატე! — ურჩია რომელიღაც სიმონმა და ატყდა ისევ სიცილი.

— როგორ დავუხატო, — დანაღვლიანდა ვასილ გრატიაშვილი — ფანქრის ფულიც რომ აღარა მაქვს... სულ დამეხარჯა...

— რატომ, ჭირიმე... — დაინტერესდა კენტი მიშა.

— შემომეხარჯა გლახა ქალებში.

— ვერ დაჯდებოდი შენთვის მერე? — შემოუძახა კალომეიანმა.

— ვერ დაჯდებოდი, — სევდიანად აღნიშნა ვასიკომ.

— რატომ, შე კაცო...

— ძიყვარს ქალები და, რა ვქნა.

— ღეიღუპე შენ! — წამოიძახა მსუქანმა ბუხპალტერ-ქალმა და ჩაბეირდა, დიდი ფოსოები ჩაეკეცა წითელ ლოყებზე.

„ჩვენი არა ვარ უტოპისტი! — ეაიფიქრა ბედნიერმა ვასილმა, — ჩვენი, არა ვარ..."

ამ დროს, სად იყო და სად არა, გამოეიდა ეს ჩვენი გრიშა, და, ისერმა, მაშინვე მოიგო ხალხის გული — ვითომ უცაბედად წაიქცა და სულ ყირამალაზე გადაკოტრიალდა. ატყდა სიცილი, ჩაგრამ რას ატყდა, რადგანაც, ისე, საერთოდ, კეთილები კი ვაართ, მაგრამ რა ვქნათ, მაინც ეგვიხარია კაცის წაქცევა, — ქარიველები ვაართა, ქართვე-ლები ვაარ-თააააა, ტაშ!..

და, დატრიალდა კომედია დელ-არტეს ეს მოქართულო ვარიანტი: მსახურმა გრიშამ ხმალი დასტყუა გრატიაშვილს, რადგან სამაგიეროდ მარგალიტას გულსა და ხელს შეეპირდა; მერე ვასილი იქვე გადაიქცა დოქტორის ტურფა ასულად — ხალხის წინაშეეე გადაიცვა კაბა, ვარდისფერი თავსაფარი შემოისვია და თუმც იმ იზაბელასავით ნაზად სუფაედა და ასელდა თვალებს, ხალხი ძალიან იცინოდა, რადგან ვასიკოს ის სქელი ულვაში განგებ თუ უნებურად, შერჩენოდა. აქ კი აიღო და გამოვიდა ფარული პოეტი ჯაში, ხალხისკენ პირით დადგა და, იმ ჩირაღდნების წრიალა შუქზე, პირველად გამოამზეურა: „ქორს შეუყვარდა ქოროლი, უთხრა... — აქ ორსაე მუსლზე დაიჩოქა და ვასიკოსკენ აღაპყრო ხელები: — ჩემი ხარ, ტოროლი...", და, ესიამოვნა ხალხს, ხალხს ძირითადად გვიყვარს პოეზია, და იმაო მხარეზე დადგა მაყურებელი, ხოლო საიდუმლო თავშესაფრიდან გამოღწეულმა ვაიოზ ჯაშმა აიწყვიტა და პოეზიური თრთოლვით ამბობდა რომ „შენ ლურჯ წყალში დგაფუნებდი, თეთრი როგორი, გიყურებდი, ფარად მქონდა ლეღვის ფოთოლი," და ვასიკოც ნაზად ანსახიერებდა დგაფუნსა და სიტურფეს, სახელოებაკაპიწებულ ხელებს ნაზად არხევდა და მაჯებში ნამეტურ სტეხდა, და, ერთდროულად, თან ვასიკოზე იცინოდა ხალხი და თანაც პოეზიაზედ — ღელავდა; არ ოღელვებდი? — „რაც შენ გიხილე, შეგრაცხე მშვენიერების ღმერთად, მოდი, ვათიოთ ბევრი ღამე შენ და მე ერთად,"

იქით კი პანტელეიმონი დიდი მეცადინეობის მიუხედავად, ვერ იმართებოდა წელში და თან იძახდა: „ძნელი ყოფილა, ძალიან ძნელი...“ „წელკავი, ბატონო?“ — მხიარულად შეუძახა მთლად გაშინაურებულმა კალოშებიანმა. „არა, სიყვარული...“ — აღიარა პანტელეიმონმა, გამოგვიტყდა და, ეიცინოდით ჩვენ. გრიშამ კი, ვერაფრით რომ ვეღარ გააჩერა ამეტყველებული პოეტი-ყარდისფრად შეხამებულ სიტყვათა კონის მონა გაიოზ ჯაში, აიღო და უაწკინა, ესეც ძალიან ეაგვეხარდა ყველას, სოლო პანტელეიმონმა ხელები მაღლა აღაპყრო, და ეაიოზ ჯაშის ათრთოლებულ ტალღაზე დადგა, ასე შესძახა: „ისეთი ტანჯვის შესძელ მოეთმინა რომ სულ ცრემლსა ვღვრი, ჩემო გოგონა,“ და ამჯერად მისმა დაცემინებამაც მშვენივრად გასჭრა — თხის კუდი, შე შეჩვენებულოო, დაუძახეს. მერე გამოვიდა ჩურჩუტი მსახური, გრიშა, სამკუთხა ნაკუწებით აჭრელებული არლეკინის სამოსი ეცვა, მიადგა ფარდას და, ჯერ წესიერად ბერტყავდა, მაგრამ როდესაც ნარნარად ჩაიარა კაბაგადაცმულმა შალვამ ზურგზე ცარცისმიერი წარწერით — „ტასია,“ გრიშამ თვალი გააყოლა და, აღელვებულად შეფიქრიანებულმა, იქვე მდგარ ოთავის სენიორს, ისევ წამოსასხამში გამოხვეულ დოქტორ ვასიკოს უთავაზა ჯოხი. ეგრე არ უნდაო, ვასილმა და, დასცხო და დასცხო უსულგულო კეტი, სულ ბდღვირი ადინა. გაედევნა მერე ტასიას, დარჩა არლეკინი მარტო, ძლივს აითრია წელი, შეეშმუსვნილიყო, ფრთხილად მოისვა თითები ბეჭებზე, თავზე, გატრუსულიყო ხალხი, აკი ეითხარით, კეთილებიც რომ ვაართა, მერე კი ზედ ავანბაქანის კიდეზე ჩამოჯდა, ფეხები სპარსულად ძლივს მოირთხა, ნაღვლიანად შეაცქერდა ხალხს და, აუტყდა უცებ თავის თავზე ლაღი სიცილი!.. აჰყვა ხალხი და, მაგრამ რას აჰყვა, მაგრამ ეს რაღაც სხვაგვარი შვება იყო, უფრო კეთილი, უფრო ალალი, და რომ გეკითხათ, შეიძლება ვერც ეპასუხათ თუ რა იყო იმათი მხიარულების მიზეზი, მაგრამ რა ვუყოთ, კარგიცაა ალბათ, ხანდახან ისე ძალიან რომ მოგვინდება ხოლმე სიცილი... და ხარხარი კი მაშინ უნდა ეენახათ, როცა გაქნილ მსახურად გადაქცეული შალვა დოქტორ ვასიკოსაც და იმის გრიშასაც ცალ-ცალკე რომ დაპირდა ტასიას შოვნას, ოღონდ იმ პირობით, თუ დოქტორი ქალად გამოეწყობოდა, რადგან ტასია მო-

ერიდებოდა საპაემნო სახლში მამაკაცის კვალდაკვალ შესვლას, გრიშა კი დაარწმუნა, რომ იმ სახლში მხოლოდ ქალად გადაცმულს შეუშვებდნენ, იქ კი ტასია დახვდებოდა ტახტზე წამოწოლილ-გამზადებული, დასცინცქლა ორთავ ბატონ-მსახურს ფული, და აი, ავან-ბაქანზე თავის თავთან აღგზნებული ლაპარაკ-ლაპარაკით გამოვიდა და წამოწვა დოქტორი ვასილ, მერე კი ფრთხილად შემოიძურწა ასევ-კაბიანი მსასური გრიშა, ხერგულა-კლდეში ბინდბუნდი გახლდათ, მიუახლოვდა აჩქროლებული მსასური აჩქროლებულსავე ბატონს, და ძლიერ გაინაზეს ერთურთისაკენ გაწვდილი ხელები და, ის-ის იყო, ერთიმეორეს უნდა ჩახვეოდნენ, და არ შერჩათ უცებ ერთმანეთი? და ვხარხარებდით ჩვენ, ნეტარი მაყურებლები, გვიცახცასებდა უკან გადაგდებული თავი და ბედნიერებისგან მოგვმუშტვოდა თითები, ცრემლებს დაოსებულნი ვიწმენდდით და მუცელზე ვიტაცეთ ზოგ-ზოგებმა ხელი — „ვაიმე, დედა," ჩვენი ხარხარით ზანზარებდა გამოქვაბული, და ჩირაღდნებიც თითქოს ხტუნავდნენ, მაგრამ უეცრად ყველაფერი გადაფარა რაღაც სასტიკმა, საშინელმა, თავზარდამცემმა ,,ღაღრიალებამ:

— თქვე ქართველებოოოო!!!

გაბრუებულნი, გაოგნებულნი ასცქეროდნენ ზედა ბაქანზე გადმომდგარ შალვას, და აღარავინ ხარხარებდა კი არა, არც იღიმებოდნენ კი არა, — თავრეტდასხმულნი, პირდაღებულნი მისჩერებოდნენ მრისხანე შალვას, და თუმც გაქვავებულები იდგნენ, შალვამ ისეთივე შემაძრწუნებელი სიძლიერით დასძახა:

— ქართველებოოო, სდექ!!!

სად წავიღოდნენ, გახევებულნი იდგნენ, ოღონდ ძალიან მიჰკვროდნენ ერთურთს; ამ პირველყოფილ მღვიმეში, ჩირაღდნების მაცდურსა და წრიალა შუქზე, განრისხებული შალვათი დაშინებულებს, ძლიერ მოუნდათ ერთმანეთი და ის ორი დამდურებულიც კი, აგერ უკვე ათი წელი ერთმანეთს ხმას რომ არ სცემდა, ისე შემჭიდროებულიყვნენ, თუმც ზღაპარ იყო, ნაგრამ მაინც, საკვირველებავ, ერთ კაცად იქცნენ...

— სასაცილოდ გაქეთ, არა, საქმე? — გრგვინავდა შალვა, — ჩვენ, სამმა ღვიძლმა ძმამ, და კიდევ ერთმა, მომსიარულო წვითა და დაგვით ამოგიტანეთ აქ, ამ სოფელში, შორს ამო-

სული თავისუფლების უცხო ყვავილი, თავად სილაღე, იტალიური კომედია დელ არტე, და რომ გაგეგოთ იმისი მადლი, სახელდასელოდ გადმოგიქართულეთ კიდეც და, მაგრამ, ბოდიში! — სიცილ-კისკისის მეტს ვერაფერს მიგაღწევინეთ, იმ სილაღეში, სასარხაროს გარდა, სხვა ვერაფერი შენიშნეთ, არა? — შეგირცხვათ თავი!!

ზღაპარ იყო, კი, და ერთიმეორეს ეჟღინოებოდნენ ვითომც სასეიროდ ამოსული მაყურებლები, ასლა — შემცბარი და გასაპარავად აძურწული ხალხი, მაგრამ ვინ გაუშვებდა, ვინ მოაცელევინებდათ ფეხს, და ერთმანეთს უნებურად ძლიერ რომ ეკვროდნენ, ალბათ არც ეს იყო სწორი — ისედაც მცირერიცხოვანნი, ცოტავდებოდნენ, სულ რამდენიმე კაცილა დარჩა, ისინიც ერთმანეთისკენ ჯერ ბიჯოჩდნენ და შეხუტდნენ მერე.

— ვინ აგიკრძალავთ ღიმილს და სიცილს! — დაპღრიალებდა იმ რამდენიმეთ აღელვებული შალვა, — მაგრამ, უნდა იცოდეთ, რაზე იცინოთ და რაზედ — არა, ნუთუ ვერ შეგენიშნეთ ის სილაღე და თავისუფლება, ყოველი ოქვენგანისათვის საიცნებო რომ უნდა იყოს... არა, ცალყა სილაღე როგორ არა გაქვთ, მაგრამ ეგიჟდები — საიდან, როგორ!!

ორი კაცილა დარჩენილიყო, და იქათაც მიაშურეს ერთურთს.

— კოლხ-იბერეთო! — დასჭექა შალვამ, — აბა, დაძაბეთ სმენა, თვალები...

ერთი კაცილა დარჩენილიყო, ისიც მობუზული, თავჩაქინღრული; ისე საცოდავად იდგა, შალვა ცოტათი მოლბა, ეკეღა ბაქანზე ჩასტა, ამფსონებიც ჩაჰყვნენ, მივიდა შალვა აიმ კაცთან, ამოსდო ნიკაპში ორი თითი, აწევინა თავი, კარგა შესედეს და, რასა ჰსედავენ: ჩვენი კიკოლია.

კიკოსავით დგას, ირგვლივ სხვა აღარავინ მოჩანს, მხოლოდ ცალი კალოშიღა გდია.

რა იყო, კიკოლი, რამ დაგაღონაო, შალვამ. რავიო, იმან. არა, არა, მაინც რამ დაგაღონაო, შალვამ. კომედიაზედ, ვიცინოდი და აი ამან დამაღონაო, იმან. ბიჭოო, შალვამ, არ გირჩევნია, სხვებს რომ არ მოგვაჩერდე, შენით იპოვო გამოსავალიო, შალვამ. ჩემით როგორღა ვიპოვოო, კიკოლიმ. როგორ

და, წადი და მიიარე, მოიარე, ეგებ შენს ბედს შენც ეწიოო, შალვამ.

დააპირა შებრუნება კიკოლიმ, მაგრამ ჯერ დაიცაო, შალვამ. გახედა მერე იმ თავის კომედიელებს, აათვალიერა, ჩაათვალიერა, სულ ერთი წუთით მოაცილა კიკოლის თვალი, მაგრამ რომ მიუბრუნდა, რასა ჰხედავს: გადაჟღლართულა არხეინად ეს ჩვენი კიკოლი მხარ-თეძოზე და, მოსვენებაშია.

გაბრაზდაა, შალვა: ადექ, ადექ შე მცონარაო, უთხრა, რამ წამოგაწვინა ასე უცბადაო, უთხრა, ასე რამ გაგაზარმაცაო, უთხრა, როგორ არა გრცხვენიაო, უთხრა, რად წამოწექიო, ბოლოს ჰკითხა.

ესეა და ესე ჩემი საქმე, ზარმაცი ვაარო, იმან.

დაფიქრდა შალვა, კარგა დაფიქრდა, და, აიღო უცებ და, დაავლო ამ ჩვენს გრიშასა სელი და, გამეტებით მიანარცხა კიკოლის. ეს ჩვენი გრიშა — ფაფუუ, მაგრამ სხვანაირად დაეჭყიტა კიკოლიმ თვალები, ძალი და ღონე მიეცა, დაიწყო უცებ ცეკვა-თამაში, ისე ცეკვავს და ისე თამაშობს, სულ ფეხის წვერზე დგებაო... იმის ცეკვაზედ უკეთესს, რასა ნახავდა თვალი, მაგრამ გრიშას აკი სმენაც ხომ კარგი ჰქონდა და, დაალო კიკოლიმ პირი, ამოსდის და ამოსდის ცალი ხახიდან სულ ორ, სამ, და კიდევ უფრო მეტსმიანი სიმღერები, „ზამთარია" გინდა, „ოდოია," „კრიმანჭული," „ბერი კაცი ვარ," „ლილე," რა გინდა, მოკლედ, სულო და გულო... მღერის და მღერის ჩვენი კიკოლი, საიდან, როგორ ამ კიკოლისა ამდენის თავი და ხახა...

კარგი ყოფილაო? — შალვამ. კიკოლი კი მღერას ველარა სწყვეტდა, თავიღა დაუქნია.

ეგრე არ უნდა თავის კანტურიო, შალვამ, და აიღო ეს ჩვენი... რა გვარი იყო, სულ დამავიწყდა, აი, ტვიშივით გვარი რომ ჰქონდა... ჰო, აიღო შალვამ ეს ჩვენი გაიოზ ჯაში და შესტყორცნ-შეჰყლინთა კიკოლის, მოკუმა იმანაც პირი, გაელმებული მზერა სადღაც შორს მიაპყრო, რაღაცას ეძებს, წვალებაშია, იცდის.

მიდი-მიდიო, შალვამ.

— ზღაპარ-იყო, ზღაპარ იყო, — სევდიანად წამოიწყო კიკოლიმ, — ჭალას ჩიტი მომკვდარიყო, დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა, პატარაში კარგად იყო...

— შესწავა, აი, — უთხრა შალვამ.

მაგრამ კიკოლი ველარ უსმენდა:

— ლექსო, ამოგთქომ, ოხერო, თორე იქნება ვკვდებოდე... — და შეაცქერდა: — კიდევ ვიტყვი, რაა?

— მიდი.

და კიკოლიც მივიდა:

— ბინდის ფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება...

ველარ აგრძელებს, დადარდიანებულა, მხრები ჩამოუყრია...

ცოტა ამაყი რამეც კი შეგიძლია თქვაო, შალვამ.

მართლაო? — გაიხარა კიკოლიმ, ვიტყვი, რატო არ ვიტყვიო... და, თქვა:

შენ, ჩემო დიდო ინდო,
კოშკო, ნაგებო კირითა,
ნეტარ ცეცხლ და ნამგალო,
აშენებულნო დიდითა,
ტყეში მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნალებო ინითა,
ციხეერო მოვის პერანგო,
შეიდგან შეკრულო ღიდითა,
უკვდავებისა წყაროო,
ნიჭესო ოქროს მიდიოა,
თქვენიანამც ყოფნით გამაძლო,
სიფსიზღითა და ძიდითა...

გაამაყდა, წელში ეაიმართა კიკოლი, ბეჭები გამალა, დაისედა მერე თითებზე, ეაახსენდა:

— ტაძრის შენება და იმისი კედლების მოხატვაც ‘ემიძლია. გაჩვენო, გინდა?

— მჯერა, კიკოლი.

ისევ სიტყვებმა წამოუარეს ამ ჩვენ კიკოლის, კიდევ უნდა რალაც-რალაცების თქმა, დაეძებს რალაცებსა, ერთხელ სელმწიფის შვილი სანადირიოდ გამობრძანდა, ნახა ერთ უდაბურ ტყეში ერთი მშვენიერი სასახლე, და იმ სრა-სასახლეში ერთი მზეთუნახავი ქალი, ხელმწიფის შვილს ერთის ნახვითვე გული შეპვარდა ამ ქალზე, უყურა, უყურა და ბოლოს შორით ყურებაც ველარ მოითმინა, ჰკრა ფრთებიან ცხენს დეზი, ახლო მივიდა, ახლოდან უფრო მეტად მოეწონა და უფრო მეტად გუ-

ლში ჩაეჭრა. გადმოხტა ცხენიდან... იქით კი ერთი ობოლი დედა მწარედ სტიროდა: ხელმწიფესთან რო მიეშურებოდნენ, დიმ უღალატა — ეს რა კარვი ვაშლიაო, უთხრა, მე გიზურგულებ, ადი ამ ვაშლზე, დაკრიფეო... აიღო ობოლმაც და, შვილი დას მისცა, იმან უზურგულა, ავიდა ობოლი დედა ვაშლზე და, არ მიატოვეს? ველარ ჩამოდის... დედა ვაშლზე რომ დარჩა, იმდენი იტირა, იმდენი იტირა, სულ ცრემლად და სისხლად ჩამოიღვარა მიწაზე. სადაც იმისი სისხლი და ცრემლი მოხვდა, ისეთი ლერწამი ამოვიდა, როგორც ტყე. ათასნაირი ყვავილი და ბალახი გაიშალა. დაფიქრებულა ჩვენი კიკოლი, რამდენი ძნელი რამა აქვს მოსაკრეფი... თქვა:

იარებოდა დედაი
ტირიდით თვაღცხენელიანი:
„ჩემს შვილს გზად ვეუხვი შეპყრია
გაჯავრებული..."

მოაწვა კიკოლის თვალებზედ ცრემლი, დალაგებულად ველარ აკრძალებს, სულ ნაწყვეტ-ნაწყვეტ იძახის: არც ვეფხვი იყო ჯაბანი... არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი... შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავ, დაქანცული ხარ ჯაფითა... ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარია... ხან იფიქრებდა, უდედოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა, იქნება ვეფხვის დედაი ჩემებრ დღედაღამ სტირისა...

დასჩუმდა კიკოლი, ცრემლები მოსდის... შალვასაც, სულ დაბურძგლა, მაგრამ:

— მაგრამ სხვაც რომ უნდა იცოდე?

— რა... — შეკრთა კიკოლი.

— რა და, — ვასილს ჩასჭიდა ხელი შალვამ, — აიი, ესა... და ისიც შესტყორცნა.

კიკოლიმ ჩაახველა და, თქვა:

— შესაძლოა კი არა, ალბათ უფრო დიდი მწერლები არიან სერვანტესი და ტოლსტოი, გეთაყვათ, მაგრამ ფლობერი ერთადერთი კაცია, ვინც ორი ჭეშმარიტად დიდი, უნაკლო რომანი დაწერა. თანაც, ერთი — თავის თანამედროვეებზე, მეორე კი — კართაგენში დაატრიალა. არა, მაინც რა ღვთის წყალობაა, ხალხნო, — აღფრთოვანდა კიკოლი, — ერთხელ და სამუ-

ლ.ინ.ე.ი რომ დაიბადნენ დანტე, სტენდალი, მერიმე, პუშკინი, ფ.ლკნერი...

და აქ შალვამ მაგიაში ჩასჭიდა სელი...

— მაგრამ ჩემი შოთა, ჩემი ილია, ბარათაშვილი და გურამიშვილი, აკაკი და ვაჟა, ვაჟა, — თავს მირჩევნია! — წამოიძახა აღელვებულმა კიკოლიმ, — ეს იმიტომ რომ, ძლიერ ჩემია... ძლიერ ჩემია! და ერთი რამის სიყვარულიც სომ... — და შალვას მიუბრუნდა, მაგრამ, გაიხედა და, რასა ჰხედავს — სულმთლად მარტოა, აკი ის შალვაც არ შეჰყლენთია?

რა ვუყო ახლა, ახლა რაღა ვქნაო, კიკოლიმ, გაიხედა გარეთ — ბნელაა, რას ბნელაა... თავიდან კი შეკრთა, მაგრამ რაღაც-რაღაცები შემატებოდა, არ გაიტეხა გული, გაიტეხა კი არა და, გამსნევდა, ეგეთ ჩემს ბედს მეც ვეწიოო, დაიღგა ეზასა, წამოვიდა და დასცსო წვიმამ, მიდის კიკოლი მაინც, სწყურია, ჰშია, სცივა, მაგრამ გაიხედა და, რაღაცა ბჟუტამს...

და, შემოგვეხარჯა აგერ ამბავი, მაგრამ თუ ზღაპარია, ზღაპარი იყოს, ზღაპრისებურად დავამთავროთ, კი:

ღხინიც აქა, ჭირიც აქა,
ფქვილიც აქა, ქაჩოც აქა... —

ტამ?!

1983-84 წ.

ბახვას გულმა რეჩხი უყო

(ციკლიდან „ქართული ხასიათები")

მოთხრობა

1.

რეჩხი-მეჩხი ბახვამ საერთოდ არ იცოდა, თუ მშვიდად იყო, მშვიდად იყო, თუ გაბრაზდებოდა და, მტრისას — ორ ბაზარ ხალხს ისე გალახავდა, როგორც არაფერი, ოღონდ ქალების გამოკლებით — ქალებს პატივსა სცემდა.

აღგზნებადი იყო. ვიწრო-ადამიანური გაგებით, სამართლიანად — უსამართლობას ვერ იტანდა კი არა, თავფეხიანა აჟრიალებდა. თავად ბახვა ვიცმეს რომ ვაებრაზებინა, კიდევ ჰო, მაგრამ სხვაია საქმეებში სჩვეოდა ცსვირის ჩაყოფა. უფრო სწორად, მუშტის ჩარევა — ასე მაგალითად, ერთხელ ბახვა ტროლეიბუსის მოლოდინში თავისთვის იდგა და იქვე ტაქსის გრძელი რიგი ოხრავდა, ძალიან დიდი სიცხე იყო; მივიდა იმ მისავათებულ რიგთან ვიღაც ჯანმრთელი ახვარი და იკითხა: „ვინაა პირველი!“ „მე“. — უპასუხა რიგის პირველმა. „ჩემ შემდეგ იქნები“, თქვა ახვარმა და ძალიან ამაყად, ზურგით დაუდგა რიგს, ხოლო ამის გამგონე ბახვა სწრაფად მიეჭრა ახვარს და გაუქანა და ხია შიგ შუა ყბაში. ოთხი თვის მერე (ცოტათი ადრე ვამოუშვეს), ცოლს რომ ეგონა ჭკუის ისწავლიდაო, ბახვა მონატრებულ ბნელ ქუსებში სასეირნოდ გავიდა და, რასა ხედავს: წაუქცევია ვიღაც კაცს ვიღაცა ქალი და სულ ფეხებით ურტყამს. ასე არ უნდაო, ბახვამ, და თავისი ქნა, მაგრამ შემდგომ გაირკვა, მოინციდენტენი ცემა-ტყეპაში გამოწრთობილი სტაჟიანი ცოლ-ქმარი ყოფილიყვნენ და ქალმა სასამართლოზე ქმარს მსარი (ქმარს მხარი ისევ თაბაშირში ჰქონდა) დაუჭირა, ბასვაზე, უსამართლოდ ლაგვესხაო, წინა ნასამართლობაც გაუხსენეს და სად ბახვა და სად ბნელი რეციდივისტი (იგი აკი სამართლიანობისა და სუსტთა დაუჩაგვრელობისთვის იბრძოლა), მაგრამ ორი წლის შემდეგ, ანკეტურად, რეციდივისტად გამოიყურებოდა. წარმოიდგინეთ, იმ ამბის შემდეგ ქალებს მაინც პატივსა სცემდა — ქალია დედა და ყველაფრის თავი და თავიო, ტყუილად კი არ გვაქვს ქართულში „დედამიწა“, „დედაენა“, „დედაბოძი“; თანაც ნაზია, სუსტი ქალის დაჩაგვრას ვერ ავიტანო და ცოლი რომ აუჭაჭყანდა, რა შენი საქმე იყო, ვერ დაეტეოდი შენთვისო, ვინ გეკითხებოდაო და ამისთანები — ბახვამ მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა:

— ქალლო.

მაგრამ ისე თქვა, მაშინვე დაჩუმდა ცოლი.

ახლა, არ გეგონოთ, რომ ძალ-ღონით დიდი ყარამანი და ამირანი იყო. დაწყნარებულზე, ამმხრივ საშუალო მონაცემები ჰქონდა, მაგრამ თუ აღეგზნებოდა, უჰუჰუ, მტრისას და მა-

წყევრისას — სამი ბაზარი ხალხის ძალა ჩაუდგებოდა ჯანში. ბაზარს რაღაცა ხშირად ვახსენებთ, ალბათ იმიტომ, ბახვას თბილისის გარეუბანში დედმამისერთა ცოლის მზითვად მოყოლილ ადგილზე დარჩენილი სათბურები ჰქონდა, კიტრი და პამიდორი მოჰყავდა და სხვას აყიდინებდა ბაზარში—ვაჭრობა რა ჩემი საქმეაო. ანგარებიანი მოხალისე ფულს შუაზე უყოფდა, საერთოდ კი ბახვა ერთ-ერთ ღია აუზში დარაჯ-მეხანძრედ მუშაობდა, თუმცა, რატომღაც, გეოგრაფიული ჰქონდა დამთავრებული; არ იყო თანამდებობებით უკმაყოფილო და, ხახვივით შემრჩა გეოგრაფიულიო, ამბობდა.

რა სჯობდა დარაჯობანას — სძინავს ღამით მზიურ დედაქალაქს, ხანდახან თუ ჩაივლის შეგვიანებული ფარდებიანი მანქანა, ძირითადად სიჩუმეა მშვენიერი კარგი, ხოლო ბახვა ლაღად ფართქუნობს და მიმოდაცურავს, საითაც უნდა. ბედნიერია ამ დროს, ხალისიანი, სულაც ვერ ხვდება, რომ ეს, რომელიღაც მუხლით, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაა, მაგრამ ერთხელ მაინც დაისაჯა — ტანსაცმლის დიდი ნაწილი მოჰპარეს. ვის რად უნდოდა იმისი შარვალ-ხალათი და ცალი ფესსაცმელი, ვერაფრით გაერკვა, ალბათ ხუმრობისა ან სანაძლეოს გამო დაზარალდა. კიდევ კარგი, რომ, იქვე, ცსოვრობდა და ნამეტანი უშუალოდ რომ მიადგა ცოლს, იმან, ახლავე სახელიო! რა სახელიო, ბახვამ, თავიდან ვერც იაზრა, რომ იეჭვიანა ცოლმა. არ გაბრაზებულა, მერე და მერე ესიამოვნა კიდეც — ყვავარებივარო. კელავაც ხალისით განაგრძობდა თავის შეთავსებულ საქმიანობას, მაგრამ ბახვა ხან ძველ და ხან ახალ და ხან საშუალო წყალს აქეთ რომ დარაჯობდა, იქით, სათბურიდან, კიტრს და პამიდორს ჰპარავდნენ უარყოფითი ადამიანები და ბახვამ თავის კარგ ამსანაგს, ხნიერ ანდრადეს, თეორით წითელზე, ასეთი პლაკატ-გაფრთხილება რამ გაამზადებინა: „თუკი მთხოვთ, ჩემი თავი გენაცვალოთ, ხოლო თუ მომპარავთ, გეტირებათ ყოფა“. თვითონ კი ძალიან მსხვილად მიაწერა: „ბახვა!!“ წარწერის თავზე მძლავრვოლტიანი ნათურა დაჰკიდა, აბა, ვილა შებედავდა იქ, რომელი სულელი, ოხერი... გამოსწორდა საქმე, წინ წავიდა, წინ.

ხოლო ანდრადე ინტელიგენტი იყო, ბალტო არ ჰქონდა სამთარში. ცხენზე ჯდომა და ლასსოს ხმარება სულ არ იცოდა,

მაგრამ კოვბოიკით გადადიოდა იოლს. ბასვას უყვარდა მარ-
ტოსელა მეზობელი, იმისი უმწეობა ეცოდებოდა. ანდრადე კი
თავისთვის, ჩუმად აფასებდა ბასვას; საერთოდ მოდუნებულს,
იმისი უანგარობაც დუნედ სიბლავდა, ხანდასან კი ბასვასთან ს
შუა ომში გაშმაგებულად ხმალდატრიალებულს რომ წარმოიდ-
გენდა, ალბათ, ასეთებმა შეგვინარჩუნეს ასე თუ ისე სამშობ-
ლოო, კვლავაც დუნედ ფიქრობდა. რეციდივისტად სახელდ-
ვარდნილი ბასვას შიშით ანდრადეს ვინ გაუბედავდა რამეს,
მაგრამ სიმთვრალე რისი სიმთვრალეა? — რატო არ გაქვს
კაი სიგარეტი, შენ ჩემ ჯინზე ეწევი მაგ სიმყრალესო, აუხირ-
და ერთხელ შუაღამისას მთვრალი მეზობელი და ანდრადეს
სულ გვარში გასათსოვარი აგინა. გვარში გასათხოვარი ანდ-
რადეს თუმცა სულ არ ჰყავდა, ბასვამ მაინც დიდ შეურაცხყო-
ფად მიიჩნია ეს, ორმაგი სამუშაოდან დილაადრიან მობრუ-
ნებულმა, ერთი კვიმატი მეზობლისგან ჩურჩულით შეიტყო
მომსდარი ამბავი და რადგან მეზობელ-დამნაშავე მოკეთეე-
ბის მიერ სადღაც, კასპთან უკვე საიდუმლოდ იყო გადამალუ-
ლი, ბასვამ აღარ იცოდა ვისზე, ან რაზე ეყარა ჯავრი, ტრი-
ალებდა, წრიალებდა, ტანსაცმელს უმიზეზოდ იცვლიდა, ანდ-
რადეს კი შურისძიებისდამაგვარი რამ არც მოსვლია აზრად:
ისეთი კაცი იყო, ერთ ყბაში რომ გაგერტყათ, მეორეს არ მო-
გიშვერდათ — ხელ-მეორედ რატომ შევაწუსოო, და — კარგი,
გაჩერდი, დაწყნარდი, გაჩერდი, მერე რა, რა მოსდაო, დუნედ
ამშვიდებდა ანდრადე და ბასვა ამაზე უფრო ცოფდებოდა და, გა-
დაჰყვებოდა კიდეც ჯავრს, მაგრამ მისდა სასიხარულოდ იმ
მეზობლის ჭირისუფლებმა ორკაციანი დელეგაცია აწვიეს: ერ-
თი ტანმომცრო ტკბილმოუბარი, კარგი საპალტოვეთი იღლია-
ში და ერთიც გოლიათური აღნაგობის ქორებრ მზირალი კა-
პელი ექსსამბისტ-ფალავანი, რომელიც, გადავუსწროთ მოვ-
ლენებს და, უიღბლო დესპანობის შემდეგ სამსასურიდან კი-
ნაღამ დაითხოვეს — ექვს თვეზე მეტი ბიულეტენი არ შეიძლე-
ბაო. რა იყო, შე კაი ადამიანო, რას ერჩოდიო, ანდრადემ, ადა-
მიანის გალახვა როგორ შეიძლებაო, ადამიანს ტკივილით
რომ შეაგნებინო რაიმე, რა წესიაო, დუნედ საყვედურობდა, მე-
რე კი ფთლად მოფამფალებული იჯდა და იმ თავის ყველაზე
იაფფასიან სიგარეტს თავისთვის აბოლებდა.

ასეთი გახლდათ ანდრადე, ასეთი გახლდათ ბახვა.
მაგრამ ბახვა ბეკრად უფრო ქართველი იყო.

2

მაგრამ სისუსტე რომელს არა გვქონია — ბახვას ერთი გამ-ხდარი, სიფრიფანა, წითური ბიჭი ჰყავდა.

იმას სასეზე რომ ჭორფლი ეყარა, ბახვას მთელ ვარსკვ-ლავეთს ერჩია.

უცნაურია, არა, სიყვარული? — შვილისა განსაკუთრებით... აი, ხომ ვითომც არაფერია, არა? — ზის თავისთვის ბიჭი და სა-წისაო დავალებას ამზადებს, მაგრამ სუნთქვაშეკრული ბახ-ვა ფრთხილად, მზერითაც კი რომ არაფერი ატკინოს, ძალიან ფრთხილად მიხერებია ზურგზე და ეკუმშება ტევადი გული. ანდა, ბავშვია და დიდი ამბავი, გაუკაჭრია სადღაც ფეხი, მაგ-რამ აბა ბახვასთვისაც გეკითხათ — ბაცი ნაიარევის დანახვა-ზე, სულ ჯიგარი ეწვოდა. არადა, სანდასან ისეთი ფერმკრთა-ლი ჰყავდა, ბახვას სულ გულ-მუცელი ეფლითებოდა და, გინ-დაც ფერმკრთალად არა ჰყოლოდა, ის სიყვარული გაუნე-ლებლად, მუდამ, ყოველთვის, ღონიერად ენთო შიგანში ბახ-ვას, აი, ეს მძლავრი, მოკრძალებული და გიზგიზა სისუსტე სჭირდა.

3

გაიხედა ერთხელაც ბახვამ და, რასა ჰხედავს: დგას, მაგრამ რა დგას, ქალის უნახავს გაგხდის, ყელიც მოუღერე-ბია.

თუმც უნებური, თანდაყოლილი, ბუნებისმიერი, მაგრამ ესგავსი თავხედობა ჯერ არ ერილა ბახვას: კაი ბატონო, ლა-ბაზი ხარ, კარგი, ნაჭეტანი მშვენიერი, კი ბატონო, მაგრამ ასე დაუნდობლად? აჰ, არა, არა... როგორ შეიძლება.

არცა ჰქუხს, არცა წვიმს, მაგრამ კოკისპირულ შთაბეჭდი-ლებებშია ბახვა, რა იყო საინც, ვინ ქალი იყო, ტანი მშვენიე-რი, ფეხი მშვენიერი, მხრები წმვენიერი, მკერდი — მთლად უარესი, მიჩერებია მთელი აუზის საზოგადოება, განზე გაჩო-ნებულა ფიზკულტურა და სპორტი, ვეღარავინ ცურავს, ბახვა

მშრალზე დგას, მშრალზეევე დგას იქით წყეულსავით ქალი, ყელიც — მოულერებია, და, თვალებმოჭუტულს, თუმც მზისთვის მიუშვერია სახე, მზეთუნაცავია მაინც, გიზიდავს, გიზიდავს რომ... აი, როგორც... აი, ისე გიზიდავს როგორც... აი, როგორც რაღაცა. — შედარებისა და მეტაფორების თავი ჰქონდა ბახვას? არა; წარსდგა ბახვამ ერთი ხვაღური ნაბიჯი, ორე, მესამე, „სახე მაინც ექნებოდეს ამ ოხერს გლახა", ამასღა ებღაუჭებოდა, მაგრამ რომ მიაშტერდა სახეში ქალს და, იმანაც, ზომიერად გაკვირვებულმა, ფართოდ რომ გაახილა ავოეეე, ისეთი თვალი, თვალ-სახე აღმოაჩნდა ოხერს იმგვარი, იმგვარი რომ, ბახვას სულ მიავიწყდა იმისი ფეხ-თეძო და იმისი სხეულის შვიდივე მთავარი ბორცვი, თუმც არა, არა, ტყეილი რა საჭიროა? — სულ კი არ მიავიწყდა, უბრალოდ, პატარა ხნით ჩრდილში აღმოჩნდა ქალის სხეულის სხვა ღირსშესანიშნაობანი, სხვა რამე, თუმც, რამე ეძახე და, კი არივდარია კაცი, არა, კი არ არია, პირიქით, შეკრა, არა, კი არ შეკრა, ნაბიჯები გადმოადგმევინა და მგონი, ავირიეთ ჩვენც და, მოკლედ რომ დავსძინოთ, ქალი იყო რაღაც მეტისმეტი.

დგანან ა, ასე:

ადამიანთა დაბნევას მიჩვეული ქალი მკრთალად აბჟუტებული ღიმილით შესცქერის, ცალთვალმოჭუტულია, ბახვა კი პირდაღებული მიჩერებია ბრიყვივით და ქალს რა, ვითომ არაფერი, მაგრამ მაინც ქათინაურს ელის, აკი რამდენგზის აღვნიშნეთ რომ, ქალია და მეუოვალავჯერაც ესიამოვნება პირშიმთქმელური შექება, თანაც მზის გულზე დგას, აუზიდან ახლახან ამოსული, ნედლი, სითბოთი ნელინელ იფურჩქნება და კარგ განწყობაზეა, ყელიც — მოულერებია და აღფრთოვანებული მამაკაციდანაც სიტყვიერ სითბოს მოელის, მაგრამ ბახვა თავისებურად აღეგზნო და ისეთი რამ წარმოსთქვა, ნამდვილად გაგვიკვირდება.

აი, წარმოსთქვა ასე:

— შენ, ვიღაცა ხარ, ქალო, სულმთლად დაკარგე სვინდისნამუსი?

და თუმც ბახვასმიერ გამონათქვამში რაღაცა კარგიც ბუნდოვნად იგრძნობოდა, ქალი ჯერ შეკრთა, მერე, ფართოდ თვალებდახელილი, ძლიერ დაიბნა და მაგრა განრისხდა ბოლოს:

— როგორ თუ დავკარგე! როგორ თუ მიბედავთ!!

ბახვამ აქ თავი ჩაღუნა და ხმადაბლა იკითხა:

— აბა, შეიძლება ასეთი სილამაზე?

ისე უმწეოდ იკითხა ესა, ქალებს თუმც ძლიერები მოსწონთ, იმ თავდაპირველი უტიფრობის შემდეგ ბახვას ასეთმა გაუმწეოებამ ქალს იმდენად აუჩუყა გული, მოუნდა რომ, ბავშვივით თავჩაქინდრულისათვის კეფაზე გადაესვა ხელი, მაგრამ ბაშინვე გადაიფიქრა — იყო ბახვაში კიდევ რაღაცა, რაღაც აშკარად მამაკაცური, ნამეტანს ვერ გაუშინაურდებოდი. ამან, თითქოსდა, ცოტათი დააფრთხო, მაგრამ საკმაოდ შეუთამამდა:

— ძალიან მოგეწონე?

— აბა, არ მომეწონე?-თ, — პატარა ხნით თვალი შეავლო ბახვამ.

დასჯილივით იდგა.

— მერედა, რა გიყო? — შეათვალიერა ქალმა, ბახვას თითქოს არა უშავდა რა, — ვერაფრით გიშველი.

— როგორ ვერ მიშველით, — თქვა ბახვამ, შეხედა და ქალის განსარისხებლად მომზადებულ თვალებს რომ წააწყდა, საჩქაროდ დაამატა, — დედის სულს გეფიცებით, რაიმე გლახა თუ მედოს გულში, უბრალოდ, პატარა ხნით მაყურებინეთ თქვენთვის, შეგხედავთ კარგად, როგორც სილამაზეს, დაგიმახსოვრებთ სამუდამოდ და სხვა არაფერი არ მინდა მეტი.

აქ აის ქალიც დაგვიინტერესდა—არ ჰგავდა ბახვა ჩვეულებრივ მამაკაცს. აწონა, დაწონა...

— კი მაგრამ, ამ შუაგულ ხალხში უნდა მათვალიეროთ?

— თქვენი ნებართვა თუ იქნება, დავსხდეთ იქით, სკამზე.

— კარგი, — თქვა ქალმა, ხანდახან რომელს არ გვიყვარს ცელქი გარემოებანი.

ბახვას ჯერ ეგონა თუ, რაღაც შეუძლებელს თხოვდა, და რომ მოჩვენებითი თანხმობით ემასხრებოდნენ, მაგრამ ქალი წავიდა, წავიდა, წავიდა და დაჯდა. ბახვაც, რასაკვირველია, მივიდა, მივიდა, მივიდა და იქვე დაუდგა, ერთადერთ ნაბიჯზე და, ოხერმა, მაინც გაიფიქრა, რომ ამდენი ნაბიჯით შედარებით ადვილად მიუახლოვდა და რაღა იქნებოდა ის ბოლო ფესის წარდგმაც, მაგრამ აჰ, არა, კილომეტრებიც რომ გამოევლო, ის ბოლო, შესაერთებელი ნაბიჯი მაინც ურთუ-

ლესი, სრულიად მატერიკთა გამყოფი და მსოლოდ ოცნებით წარმოსადგენი იყო.

...დაჩერებია, დაჩერებია ბახვა და, აღარ იცის, ოიავიდან და მეტისმეტად რა შეუთვალიეროს, ქალს კი ერთი საუცხოო ფეხი... „ნეტა ვინმე მუდრეგზე ცუდად გათხოვილია?" — ერთი სა-უცხოო(!) ფესი მეორე საუცხოოზეევე გადაუდია, გაშლილი ხელები მერსის საზურგეზე რაღაც მტაცებლურად უდევს, რადგან მწვანეედ შეღებილ ხეს წვეტიანფრჩხილებიანი თითებით ჩაპბღაუჭებია და, ხელებგაშლილს, ორი ისეთი მხრისთავი ამობურცვია, ერთიმეორეზე უკეთესი, მკერდს ჯერ ვერ უთვალიერებს ბახვა, ერიდება, თუმც კარგად მოეხსენება, რომ საამო იქნება საცქერლად, „დიაცის უბესავითა", ყელი აქვს ისრერიგ ჩამოთლილიც და აჭიმულიც, ნუღარ ეკითხაეთ და, მხრისფსკერითა მიდამოები? — აიმეებსაც ერთიმეორესცა თუ შევადარებთ, ვინ მოიგონა ეს არცთუ ისე ამოდ მოსასმენი სიტყვა „იღლია", რომელიც ბახვამ გააწონასწორა ნახევრადნაცნობი სიტყვით „ფიანდაზისებრი", ხოლო თქვენ, ძალიან მოწყალეო აუზელო მკითხველო!, უნდა დაგვიჯეროთ:

„ხომ არ მეჩვენება ყოველივე ეს?" — გაივლო აჩქროლებულ გულში დაუდგრომელმა ბახვამ და საკუთარ შუბლზე მოუნდა ხელის მოსმა, მაგრამ გახევდა, სასე ჰქონდა იმ ქალს იმევარი.

.აი, ხომ ვითომ ცნობილია რომ, თეთრად გადატკლეცილი პირისკანი სუყოველნაირს სჯობია, არა? მაგრამ ქალს თალხი რამ ფერი, დანაწვიმარზე გარდასული შერუჯვის ალაგ მკრთალი და ალაგ — უფრო, ნაკვალევი დამჩნეოდა და, ეგებ თიხოვანს, მეტად უსდებოდა. არადა, ისე აშკარად ერია თიხა, რომ ასფალტმისჯილი ბახვა მხოლოდ ფეხისგულებით კი არა, მთელის არსებით ნატრობდა მიწას, და ამ თიხნარიან ქალს აჩლა თვალებში, შიგ თვალებში ჩაჩერებოდა, სადაც რომ ბუნების სუყოველგვარად უხვი — მწვანე გინდა თუ, ლურჯი თუ, და ყვითელი, და წითელი, მონაცრისფერო და ასე, მთელი ფერები ძალიან ჭრელად ირეოდა და თავის ადრე წყნარსა და ახლა კი გამკვეთრებულ სოფელსა და იმის შემოგარენს გაძაფრებით აღიქვამდა ქალის თვალებში თავადაც სრულად ჩამდგარი ბახვა, იმ თვალებში კი მთელი ნეტარი სხეუ-

ლის ლავირებენებად ჩანდა ბალახი, ტყე და მოშინაურებული ხეები, — ა, ნაყოფს რომ იძლეოდნენ და უნაყოფო ხეებიც ჩანდნენ, ეკლელჩრდილიანებს, ქალის თვალებში სისოვლედ რომ მოჰყავდათ წყალი, რა საოცრება იყო მაინც ეს, გაბრუებული, და თავს მიწადატეხილი ბახვა ვერ გრძნობდა, ზურგზე რომ ფრთხილად უკაკუნებდნენ, და დამკაკუნებელს — ანდრადესაც დიდად უკვირდა, ასე ძალიან რომ გაახევა დანაწვიმარ მიწას ჩაჩერებული კაცი, და ბახვა უცებ რომ გამოერკვა, მიხედვისთანავე შეკრთა — ანდრადეს გამომეტყველებისდამიხედვით, რაღაცა საქმე ვერ იყო კარგად.

— რა იყო, რა მოხდა... — იკითხა ბახვამ და შეკითხვასაც ვაინია — თან კოვბოიკის საყელო კისერთან ბაუბღუჯა.

— დაწყნარდი, ახლა კარგადაა, — ვითომ მხნედ უპასუხა ანდრადემ, შიშამოვლილი ჩანდა, — ახლა რა უქირს, ხასიათზეც მოვიყვანეთ, ახლა კარგადაა, შენ არ იღელვო არაფერზე, ახლა ყველაფერი უკანაა...

— რა ყველაფერია უკან... — გაშრა ბახვა.

— არ აღელდე ახლა! — ბოლო სიმხნევეც მოიკრიფა და ცოტათი გაყოჩაღდა ანდრადე, — შენ ბიჭს პატარა რაღაც ჯოხი საარტყეს თავში და ახლა მშვენიერადაა, წყალიც დალია და ყველაფერი...

ბახვას გაცოფების წარმოდგენა თქვენივის მომინდია, ღამისმარეო მკითხველო, თქვენს მოწყალებას კი მხოლოდ ისღა შეიძლება დაემატოს, რომ შინისაკენ სირბილით გაჭრილ ბახვას კარგა საგრძნობლად ჩამორჩა ანდრადე, ხოლო ბახვას ცალ მომუშტულ ხელში უნებურად შერჩენილი მეგობრის კოვბოიკის საყელო უფრიალებდა.

4.

ბახვას ლიფტით არ უსარგებლია — სულ ნასტომ-ნასტომ აიწრა მეექვსე სართულზე.

სანამ კარს შეგლიჯავდა, წამით რატომღაც თავისი უბიწო (ცოლების გამოისობით შეძენილი და სერვანტში გამოსამზეურებლად ტყვედქმნილი) ჭურჭლეული დაუდგა თვალწინ — „დავ:ესხვრევ ყველაფერს!“, მაგრამ ოთახში რომ შეგრგვინდა,

სულ ფეხისწვერებზე შედგა — ლოჯიაში, ტახტთან, ექიმი იჯდა და რაღაც სათამაშო ჩაქეჩით იმის შვილს სინჯავდა. ბავშვისთვის საბანი გადაეხადათ, ძალიან გამსდარი იყო, „აასხ!“ და დროებითი თავბრუკავება ძვირად დაუჯდა ბახვას — სულ იღაყვებზე იკბინა. მერე ყურები გაიფაციცა, მაგრამ ლოჯიის ფართო კარი დაკეტილი იყო, მთლად გადაირია, ოღონდ ისევ სულგანაბულად, ექიმს ხომ ვერ შეუშლიდა ხელს. აქ ანდრადეც შემოქლიბინდა, და ბახვამ, ადამიანი რა დაინახა, კბილებში გასცრა: „შენი ბრალია, შენისთანების ბრალია ყველაფერი ეს...“ — და ახლაღა შემჩნეული საყელო შიგ მკერდში სტყორცნა. ანდრადე დაიხარა, აიღო თავისი საყელო, ჯიბეში შეინახა. ასეა, ყოველთვის ინტელიგენტი უფრო იჩაგრება, მაგრამ ბახვას ახლა საერთოდ ადამიანი, როგორც ასეთი, ყოველნაირი, აცოფებდა და სძულდა, ოღონდაც, შვილის გამოკლებით. და, დერეფანში გამოსული ექიმის სიტყვები მოესმა: „არაფერია საშიში, რეფლექსები სრულიად ნორმალურია, მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, იწვეს ორი-სამი დღე და...“

ცოლმა ექიმი საშუალოდ რომ გაისტუმრა (№ %მანეთი), ბახვამ მეუღლეს (ამჟამად მეორე ნახევარი არა ისა) თვალები თვალებით ამოუბურღა და, იკითხა:

— ქალლო?

ენაგადაყლაპული ქალი ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდა, და აქ ანდრადემ გამოიდო თავი:

— თურმე სკოლიდან მოდიოდა და...

— შენ ხმა გაკმინდე! ქალლო?

— სკოლიდან მოდიოდა ზურიკო და რაღაც მოსახვევთან...

— შენ ჩაიგდე ენა! — და ანდრადესკენ იქცია პირი, — მერე?

— და რაღაც მოსახვევთან ერთი კაცი ყოფილა დადარაჯებული და ზურიკო სხვაში შეშლია და ჩაურტყამს თავში ჯოხი.

— ვის დადარაჯებია?

— აბრაზებდნენ თურმე ბავშვები.

— რატომ!

— რა ვიცი...

— როგორ!

— რა როგორ...

— როგორ აბრაზებდნენ-მეთქი!

— ადისაბებას ეძახდნენ თურმე.

ბახვაც კი დაიბნა:

— რასს?

— ადის-აბებას.

— ეგ რაღას ნიშნავს? — იკითხა ბახვამ და ჯიბეში ჩაიყო ხელი.

— ქალაქია აფრიკაში ერთი.

იცოდა, როგორ არ იცოდა, აკი ყოფილი გეოგრაფი იყო, მაგრამ უცებ ვერ მიხვდა.

— მერედა, — სმაღაბლა, მაგრამ რაღაც წარმოუდგენლად (მკითხველო, დამსმარეო მკითხველო) დაოკებული მრისხანებით იკითხა ბახვამ და ცხვირსახოცი ჯიბეშივე თითებით დაფცქვნითა, — იმ აფრიკაში რომ რაღაცა ქალაქი იყოს, ჩემ შვილს ჯოხი უნდა ჩაარტყან თავში?

ქალმა თავი იბრუნა და თანაც ჩაქინდრა. ასევე — ანდრადემ.

— მოვკლავ!! — დაიქუხა უცებ ბახვამ და კარისკენ გავარდა, მაგრამ სახელურის სიგრილემ იყო თუ რამ, ერთბაშად გამოაფხიზლა — „კი მაგრამ, ვინ უნდა მოვკლა ბაინც"?

შემოტრიალდა.

— ვინაა. — იკითხა მკაცრად. — იცით?

— ვიცით, — აღიარა ანდრადემ, — თვითონ მოიყვანა ბავშვი.

— ვინაა. — ისევ იკითხა ბახვამ.

„რაც არის, არის", გაიფიქრა ანდრადემ და:

— არა, ჩემო ბახვა, ჯერ ერთ რამეს გეტყვი და დანიგდო უნდა ყური. შენ რომ...

— ვინაა-მეთქი!!! — ერთი ისეთი დასჭექა ბახვამ, წესით სამთავენი უნდა წაქცეულიყვნენ, ხელიც შემართა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად არ აღმოჩნდა ანდრადე ჯაბანი:

— მიდი, დამარტყი! — წვრილი ხმით დაიძახა და ყბა შეუშვირა, — მიდი, მეტი სინდის-ნამუსი თუ არ გაქვს! მოდი, დამახიე ბარემ ბოლომდე ეს კოვბოიკაა თუ რაღაც ჯანდაბა და ეგებ ჩაგეთვალოს ვაჟკაცობაში! მაინც რა გითხარი ისეთი, რომ დამღრიალებ თავზე ამ ხნის კაცს, ბოლოსდაბოლოს, მამად გეკუთვნი! და ამსანაგი ვარ შენი!

და ბახვა უცებ მისვდა რომ, ანდრადეს ასე ბელაღებით ვერ გაიმეტებდა, და ისიც იგრძნო რომ, წავიდეს, წამოვიდეს — კეთილია.

მაგრამ არ იყო ადვილად დამთმობი და, ვერც წარმოიდგენთ, ვისზე იყარა ჯავრი:

— შენ, ბიჭო, რომ წამოპლაკულხარ მანდ! — გამოთხვრიშა ლოჯიის კარი, — რას დაეთრევი აღმა და დაღმა!

— სკოლიდან მოვდიოდი, — ხმადაბლა თქვა ბიჭმა, წითური და ძალიან გამსდარი იყო.

ბახვას თუ გული არ ჩაეფლითებოდა, რას წარმოვიდგენდით, მოწყალეო მკითხველო, მაგრამ გაუძლო ამასაც და, დაძაბუნებულმა, ანდრადეს მხარზე დაადო ხელი:

— კარგი, მითხარი.

— ადამიანი ვარ მეც, — თქვა ანდრადემ და ჩამოჯდა.

სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ორი რამ მკვეთრად შეიცვალა: ა — ანდრადეს გაბრაზება ნელინელ გაქარწყლდა და ეს ხანმოკლე გაბრაზება წამით წამამდე შიშში გადადიოდა იმის გახსენებაზე, თუ რას გადაურჩა, და ბ — ბახვა კი თანდათან ცოფდებოდა, რადგან ნამდვილად დამნაშავე კაცი ჰყავდა სასწრაფოდ შურისსაძიებელი და დრო კი ასე ფუჭად გადის და გადის.

— კარგად დამიგდე, ჩემო ბახვა, ყური, კარგი მინდა შენი ოჯახისთვის და შენთვის, — რამდენადაც შეეძლო, მხნედ წამოიწყო ანდრადემ, როცა შიში საბოლოოდ დაეუფლა, — იმ კაცის მისამართს მხოლოდ იმიტომ გეტყვი, რომ მაინც გაიგებ და არ მინდა უჩემოდ რომ მიჰვარდე, მაგრამ სანამ სამაეიეროს გადაუხდი („შუაზე გადავტეხავ", გაიფიქრა ბახვამ), ერთ რამეს გირჩევ.

— რას. — თქვა ბახვამ და განზე გაიხედა.

— რას და, ცოტათი შენს შვილზეც ხომ უნდა იფიქრო, — მტკიცედ უთხრა ანდრადემ, გაჰქრომოდა შიში, — აბა, ერთი წუთით წარმოიდგინე, ხვალიდან შენ — ციხეში და ის კაცი — საავადმყოფოში. ნუ იზამ ჯერ მაგას, ნუ...

„საავადმყოფოში? — გაუკვირდა ბახვას, — საავადმყოფოში კი არა, შავ მიწას მოვანატრებ..." — თქმით კი ასე თქვა:

— შუბლზე ვაკოცებ.

— არა, მაგას კი არ გეუბნები, არამედ წარმოიდგინე, ბავშვს ამ შემთხვევისგან რა შერჩება, რა გაჰყვება ცხოვრებაში. ხომ საბოლოოდ დაიორგუნება, ხომ ჩაეწვება უდანაშაულო გული. განა არ აკლებს, ჯერ ის კაცი მოვუყვანოთ ღა, დარწმუნებული ვარ, გულწრფელად მოუბოდიშებს, დაუყვავებს, აუსსნის თავის შეცდომას; ბავშვიც მიხვდება, რომ ცხოვრება კი არაა ასეთი დაუნდობელი, არამედ რაღაც სულელური, ბრმა შემთხვევა. დავაჯეროთ ამაში ბავშ... ამაში ბაშ... ამაში ბავშვი და, იმ კაცს რაც გინდა ის უყავი მერე.

„სწორია, კეთილსაღლი", გაიფიქრა ბახვამ.

— წავალ მე და მოვიყვან, ისეა შეწუხებული, ნამდვილად ეამომყვება, მაგრამ შენი ამბავი რომ ვიცი, იმის ბოდიშებამდე ნამდვილად ვერ მოითმენ და, რა ვქნათ? ეგებ მეზობელთან გასკიდე სადმე... ისე, რომ იცოდე, იმას უკვე თავისი დაემართა, რაც გაიგო, ვისი შვილიცაა.

— ვინ.

— ზურიკო, ვინ. არადა, თურმე იმ საწყალს ვიღაც აბეზრები წამდაუწუმ ჩაჰყვიროდნენ — ადისაბებაა, ადისაბებაა... სარდაფში ცხოვრობს.

— სადა...

— სარდაფში. და თან სულ — ადისაბებაა! — ჩაესმოდა.

— დიდი ამბავი.

„შენ მე ბახვუსიასაც არ მაძახებინებ", კინაღამ წამოსცდა ცოლს. იქ იყო. — კარგი. — თქვა ბახვამ. — აგრე იყოს.

და გაიფიქრა: „ჯერ ბავშვის წინაშე ბოდიშს მოვახდევინებ, მერე გამოვიყვან, მუხლზე დავირტყამ და შუაზე გადავტეხ".

— შენ პირს შაქარი...

— ფიჰ... — ნიკაპი ჩამოეწია ბახვას, წიწაკა და ამისთანები უყვარდა, — მაგრამ მეც წამოვალ. სახლი მინდა ვიცოდე.

— გაგიუდი, კაცო?

— არა, გზაში არ გადავტესავ. მერე.

— რა უნდა გადატეხო... მერე...

— ის კაცი.

— არა, აჰ, არა, შენ ვერ წაგიყვან.

— აბა აქ რა გამაჩერებს! უსაქმოდ!!. ხომ გადავირიე!! — მაგრამ, რაღაც მოიფიქრა, ხმას დაუწია, — პატარა ხანი მაცალე.

ბახვა აივანზე რომ გავიდა, ანდრადემ დრო იხელთა და ქალს წასჩურჩულა:

— მთავარია, რომ მაშინვე არ დაეძგერება... მერე კი, ღმერთია მოწყალე.

— ვაიმე, არა, ბიძია ანდრადე, არა, ნამდვილად გადატეხავს...

— არა.

— ვიცი მე მაგისი ხასიათი...

— მეც ვიცი. ჩუ!..

ბახვამ კი აივნიდან ორი ზომიერი თოკი გამოიტანა და თქვა:

— ა ბატონო, ისეთნაირად გაგეკოჭინები, რომ ველარც ხელს გავიქნევ და ველარც ფეხს. წამიყვანე.

5.

მსგავსი რამ ერთ ტაქსის მძღოლს ჯერ არ ეხილა: ხნიერ დამქირავებელს საყელოშემოგლეჯილი კოვბოიკა რომ ემოსა, ეს კიდევ არაფერი, თუმც ასეთი ჩაცმულობის ხალხი იშვიათად ქირაობს ტაქსს; მერე სადარბაზოდან ძალიან მოკლე-მოკლე ნაბიჯებით გამოვიდა ვიღაც გაშეშებულხელებიანი მოქუფრული კაცი, რომელსაც დამქირავებელმა წინა კარი გამოუღო და იმან კი ჯერ ზურგ-კეფა შემოჰყო მანქანაში, დაჯდა, მერე ფეხები ტყუპად ასწია და ასე შემოიტანა იგივ მანქანაში, გასწორდა, კოვბოიკიანმა კარი მიუჯასუნა და თვითონ კი უკანა სავარძელზე მოკალათდა. აშკარა იყო, წინა მგზავრს მუხლები და მკლავები შებოჭილი ჰქონდა, ოღონდ ჯრძელი ლაბადა ფარავდა ამას. მერე იყო და სულ რაღაც სამას მეტრში გააჩერებინეს ტაქსი, ბარგი რამ თუ ჰქონდათ გადმოსაზიდი, უკანა მგზავრი გადავიდა და სადღაც ეზოში ფეხაკრეფით შევიდა, წინა მგზავრმა კი კბილები ძალიან გააღრჭიალა. მერე ის ხანშიშესული გამოვიდა და ეზოსთან დადგა, იმასთან კი მეორე ეზოდან გამოსული კაცი მივიდა და რაღაც ჰკითხა, ხოლო ხნიერმა წყენით გაიქნია თავი. „ვახ?" — გაიფიქრა ტაქსის მძღოლმა.

(მცირე ასსნა: გვერდითა ეზოდან მანქანა ვერ გამოჰყავდა პატრონს, რადგან ზედ ჭიშკართან ვიღაცას უშნოდ დაეყენებინა ტრანსპორტის სხვა სახეობა; მანქანის პატრონმა მიიხედ-მოიხედა და ქუჩაში კი იყო საკმარისად ხალხი, მაგრამ ჩაცმულობისდამიხედვით კოვბოიკიანი ადამიანი გამოარჩია, მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ბოდიში, ეს მატაციკლეტი თქვენია?

— არა, — თქვა ანდრადემ. იგი ინტელიგენტი იყო.

ხოლო ბახვას ხელ-ფეხი გაკოჭილი ჰქონდა).

მერე იყო და, ეზოდან გამოვიდა ვიღაც ტანსაცმლიან-სასიანა ძალიან გაცრეცილი, ათრთოლებული ადამიანი, და იმას ფერი ედო? მტრისას... აი, იმას ფერი ედო? აი როგორც... როგორც... აი... აი, გამწვანების ტრესტის სიმბოლურ თანამშრომელსა ჰგავდა.

მაგრამ იმის გამოჩენისთანავე დამუხრუჭებისდამაგვარი ისეთი ღრჭიალი გაისმა, პროფესიონალმა მძღოლმა მაშინვე ფანჯარაში ტუცა ინტერესებმოძალებული თავი, მაგრამ ბრანაირი მანქანა შორიასლოს არ ჩანდა და, მიხვდა — ეს ისევ იმ კაცის კბილთა ღრჭიალი იყო, წინ მჯდომი მგზავრის. „ვახ?" — გაიფიქრა ისევ მძღოლმა.

ხნიერი და ახლადშემომატებული უკანა სავარძელზე რომ დასხდნენ, მძღოლს მოეჩვენა, რომ მანქანას მილიციისაკენ წააყვანინებდნენ, მაგრამ აქაც დაიბნა, რადგან წინა მგზავრმა ბრძანა: „მოაბრუნე და ისევ ამ ქუჩას გაუყევი". — კაცო, თუ მილიციაში მიდიოდნენ, ეს, გაკოჭილი უნდა ყოფილიყო მბრძანებელი და, წამყვანები კი, ასეთ ფერზე? ვახ...

ხოლო როდესაც ისევ თავდაპირველ სადარბაზოსთან გააჩერებინეს ტაქსი და წინამ პირველ უკანას თავის ჯიბეზე ანიშნა და იმან რომ ორი თითით ამოუღო ხუთმანეთიანი და მძღოლისგან გამორთმეული სამმანეთიანი წინას ისევ ჯიბეში რომ ჩაუდო, და კარი რომ გაუღეს და წინამ ისევ ტყუპად რომ ასწია ფეხები და მანქანიდან გადასდო, და თანამგზავრები მოკლე-მოკლე ნაბიჯებით სადარბაზოსკენ წინ რომ გაირეკა, — „ვახ?" — მეოთხედაც გაიფიქრა მძღოლმა და მოუსვა.

თარს ფეხზე იყო ამდგარი.

— ეს, — თქვა ბახვამ და გადასატეხისკენ მოკლედ და მკვეთრად გაიქნია თავი, ანდრადეს უყურებდა, — ფეხით ამოვიღეს.

— ფეხით ამოვყვები მეც, — ითხოვა ნებართვა ანდრადემ.

— კარგი. იცოლე, არ გაგექცეს. დააჭირე ხელი...

ანდრადემ მიადო თუ არა თითი გარეთა ღილაკს, ლიფტის კარი მშვენივრად, ნარნარად, თანაბარი სვლით გაიღო. ბახვა თავისებური ნაბიჯებით შევიღა ლიფტში, ანდრადემ წამით შეაყო ხელი და მეექვსე სართულის ღილაკს რომ დააჭირა, კარი, გაღებისა არ იყოს, ასევე თანაბარი სვლითვე დაიხურა, ლიფტიც, ასევე ნარნარად წავიდა მაღლა-მაღლა, მაგრამ სადღაც შუა გზაში უცებ გაჩერდა და სინათლეც გამოირთო, ბახვა აღმოჩნდა უძრავად და ბნელში.

არ ესიამოვნა.

ბახვას პატარა და კეხიანი ცხვირი ჰქონდა, ხელებშეკრულისათვის, სხვა რა გზა იყო, აიღო და რიგრიგობით ნიაჭირა ცხვირი ღილაკებს, მაგრამ, გაგიგონია? დგას ლიფტი ჯორივით...

— ანდრადე, ანდრადე!! — იყვირა ბახვამ.

— აქა ვარ, გენაცვალე! — ჩამოსძახა ლიფტის კარის შუაგულზე პირმიდებულმა ამხანაგმა.

— რაშია საქმე, რა მოხდა! — ასძახა ბახვამ.

— ფუჭდება ასე ხანდახან!

„ოხ, მე მაგისი," — გაიფიქრა ბახვამ და მაინც გასძახა: — რისი ბრალია ვითომ!

— ალბათ ტექნიკის, ბახვა!

ვიღას ახსოვდა სანუკვარი დედა-მიწა, დედა-ენა და დედა-ბოძი — ოხ, მე ტექნიკის დედა, ოხ მე კი ტექნიკის პალალი დედაო, სულ ასე გაიძახოდა გულში ბახვა.

— წავალ მე სახლმმართველობაში და ვინმეს მოვიყვან.

— ის კაცი არ გაგეპაროს.

— ვინ კაცი!

— გადასატეხი, ვინ!

— აქა ვარ, პატივცემულო ბახვა, — გაისმა მორიდებით, — არსად არ წავალ.

„ბოდი, ვავიქნიო და ვურტყა ამ მუდრეე ლიფტს თავი?" — სისულელე გაიფიქრა ბახვამ, რადგან ძალიან გაბრაზებული იყო.

ანდრადე მალე მობრუნდა, მაგრამ ცული აიბავი მოიტანა:

— სანამ ტოპოლკაროევი არ მოვა, ვერაფერს გიშველითო.

— ვინაა ტოპოლკაროევი...

— მთავარი ხელოსანია ლიფტების.

„ტოპოლკაროევსაც მოვკლავ", — გაიფიქრა ბახვამ.

— ბახვა, დამიცდე ყური! — გაისმა მერე, — მანდ მაინც ტუკილა ხარ და, რომ არ დავკარგოთ დრო, ავიყვან ამ ადამიანს ბავშვ... ბავ-შვ-თან და ბოდიშს მოვიხდევინებ. მერე ისე ლაწკრილებით გიამბობ ყველაფერს, განდაც იქ ყოფილიყავი.

ბახვამ აწონ-დაწონა და თქვა:

— კარგი. ოღონდ მერე არ გაგეპაროს.

იმათი ფეხის ხმა რომ მიწყდა, ბახვა ლიფტის კედელს მიეყრდნო, და პატარა ხანში დაიბნა — ისევ ის ქალი გაახსენდა, აუზში მოჩვენებული, ყველაზე ვრცელი და ლამაზი, ყველაფრისა და ყველას გამზრდელი, რა ქალი იყო? სოფელში უფრო მეტად ხარობდა...

იდგა ბახვა და იმ საოცრებას იქამდე იხსენებდა, სანამ ანდრადეს ხმა არ შემოესმა:

— კარგადაა, ბახვა, საქმე!

— რანაირად...

— ამ კაცმა ისეთი ტკბილი სიტყვები უთხრა ბავშვ... ზურიკოს, ისე კარგად აუხსნა საქმის ვითარება და თავისი შეცდომა, აქეთ ამ კაცს მოაწვა ცრემლები და იქით — ზურიკოს.

— მერე რა...

— მერე ამ კაცმა ზურიკოს მუსლზე აკოცა.

ბახვა არ მომბილა, მაგრამ... — კი მაგრამ, ზურიკომ როგორ აკოცნინა!

— მოულოდნელად მოხდა.

— მაინც გადავტეხავ. ხომ არ გაჰარულა!

— არა, აქა ვარ, პატივცემულო ბახვა.

— მოვიდა, მოვიდა! — იყვირა უცებ ანდრადემ.

— რა მოვიდა... — დუნედ იკითხა ბახვამ, რაღაც თავისას ფიქრობდა.

— ტოპოლკაროევი მოვიდა!

— გული არ გაიტეხო ჯიგარო, სალუტ! — მხნედ ჩამოსძახა ლიფტის ჭუჭრუტანიდან ახალმა ადამიანმა.

— ჯიგარს ამოგიყვან მე შენ კბილებში, სად ეგდე ამდენ ხანს!

იმ კაცმა, როგორც ჩანს, იცოდა ბახვას ამბავი, მორიდებით უთხრა:

— სხვაც იყო ლიფტში გაჭედილი, უფროსო, ორმოცდამეხუთე ნომერში.

„მაინც ყოფას გიტირებ", — გაიფიქრა ბახვამ, მაგრამ ამჯერად შედარებით უგულოდ, გული სხვაგანა ჰქონდა, ვერა და ვერ იცილებდა იმ დიადი ქალის, ხეები, ბალახი და ყვავილები რომ ამოჰყავდა, სახებას.

ლიფტი ძალიან ნელა დაიძრა, მერე რომელიღაც სართულზე აცოცდა და, კარიც გაიღო.

გადასატეხი ადისაბება კედელთან ვითომ წყნარად ატუზულიყო, მაგრამ ფერი ედო ისეთი? აჰ...

— შემიხსენი, ანდრადე, ხელ-ფესი...

ადისაბება კი ასლოკინებდა. შიშისგან იყო თუ რა, მომეტებულად ასლოკინებდა და ძალიან ეუხერხულებოდა ეს.

ანდრადე ბახვას გამკოჭავ პირველ თოკს მუხლებთან ეჩალიჩა, შემოხსნა, მერე ლაბადა გახადა, კიბის სახელურზე გადაკიდა და ახლა ბახვას ზურგსუკან, მკლავიდან მკლავამდე გადაჭიმულ მეორე თოკს დაუწყო კირკიტი.

— შენც დამიცადე, ვაჟკაც, პატარა საქმე შენთანაცა მაქვს, — მიუგდო ბახვამ ტოპოლკაროევს. იმას მეზღვაურის განივზოლებიანი მაისური ეცვა და შლაპა ეხურა.

— ეე აბა რა დამიშავებია, გენაცვალეთ, გამოძახებული ვიყავი სხვა გაჭედილთან, იმიტომ რომ...

მაგრამ ბახვა ყურს არ უგდებდა. იგი ათვალიერებდა სხვა კაცს, რომელიც უხერხულად უცდიდა მორიგ დასლოკინებას, და ვისაც სახეც გაცრეცილი ჰქონდა, გაცრეცილივე ჰქონდა პიჯაკი, შარვალი, პერანგი, რაღაც სულელურფერებიანი და გულისამაჩუყებლობამდე დაძველებული ჰალსტუხი საწყლად ეკიდა, და, რაღაცნაირად, იმ დიადი ქალის ობოლ-შვილივით იყო.

„ამ ოხერს, ოდნავ საშუალოდ მაინც ეცვას", — გაიფიქრა ბახვამ და მკაცრად ჰკითხა:

— რატომ გეძახიან მაინც ადისაბებას?

— არ ვიცი, — თქვა კაცმა და დაასლოკინა.

— რაღას ბრაზდები მაშინ!

კაცმა თავი ჩაღუნა და თქვა:

— სიხშირეშია, ბატონო, საქმე.

„და მაინცდამაინც ჩემი უდანაშაულო ბიჭისთვის უხდა დაგერტყა ჯოხი? — თავიდან გამწარდა ბახვა, მაგრამ ანდრადე ჯერ ვერა ხსნიდა ყულფს, — მაგ მუხლზე კოცნამ შენ ვერ გიშველოს, მეტი არაა ჩემი მტერი, მაინც გადაგტეხავ", — გაიფიქრა ბახვამ, მაგრამ უცებ შიშითაც კი იგრძნო, რომ გულის კუნჭულში რაღაცა უკვე გამლხვარი ჰქონდა. მაინც იფეთქა:

— კი მაგრამ, ვერავინ დაგიცვა? პატრონი არ გყავს, შე უპატრონო?..

— აქ არავინ მყავს, პატივცემულო ბახვა, — ისევ, სლოკ! — მეუღლე შარშან გარდამეცვალა, ქალიშვილი კი ნავარძეთშია გათხოვილი.

ბახვამ ისევ ახედ-დახედა; რაღაცისათვის შემზადებული ჰქონდა გული.

— ის შენი სიძე პატარა ხნით ვერ ჩამოვა და ვერ დაიფრენს იმ ბავშვებს? ასეთი რა კაცია...

მაღაროში მუშაობს მუშად. ჭიათურაში... ნავარძეთიდან, ახლოა... სადა აქვს ჩემი თავი. ანდა, სიერცხვილით როგორ ვუთხრა.

— და... ქალიშვილი?

— ქალიშვილი ბიბლიოთეკაშია... პატარა ბოსტანიც აქვენ.

ანდრადეს მეორე გაუქმებული თოკიც ხელთ ეპყრა.

კაცმა თავი ჩაღუნა, გახევებული იდგა, მაგრამ კვლავაც ერთი ისეთი დაასლოკინა, თითქოს შეხტა კიდეც, განზე კაისედა და თქვა:

— რაც გინდათ, ის მიყავით, ბატონო, დამნაშავე ვარ... გამაბოროტა, ალბათ, ცხოვრებამ, — და პირველად შეხედა თვალებში, — ოღონდ ჯერ წყალს თუ დამალევინებთ...

და აი, სწორედ აქ, ბახვას გულმა რეჩხი უყო.

მიმოიხედა. ტოპოლკაროევიც, ისევ იქ იღგა და მაზუთიან ხელებს უხერხულად იფშვნეტდა.

— ავიღეთ პატარა ხანს ჩემთან, — თქვა ბახვამ და ასლალა შენიშნა ლიფტების ხელოსნის განივზოლებიანი მაისური, — წამოდი, კონტრ-ადმირალო, შენც.

ოთხივენი ბახვას მშვენიერ, ერთნახევაროთახიან და ლოჯიიან ბინაში შევიდნენ, ცოლმა შიშით შეათვალიერა ხელფეხ განთავისუფლებული ბახვა, გადასატეხი ადისაბება, მაზუთიანი ტოპოლკაროევი და უსაყელო ანდრადეზეც რომ გადაიტანა მზერა, ბახვამ, ამჯერად უკვე გამეორენახევრებული მეუღლის მისამართით, წარმოსთქვა:

— რას მოგვჩერებიხარ რომ მოგვჩერებიხარ... გაშალე, თამარა, სუფრა.

...ბახვას სიმთვრალეც კარგი ჰქონდა და ყველაფერი.

ნეტავი მართლა მარტივი იყო?

1984 წ.

მსოლოდ ერთი კაცი

მთელ პლუტარქეში ერთი ადგილი ვგონებ ყველაზე მეტად უცნაური და საეულისსმოა. აღწერს რა თეზევსის წარმატებულ გმირობებს, ავტორი ერთს ვისმე კაცს, ვინმე სკირონს, ასე და ამგვარად ახასიათებს:

„მეგარის საზღვარზე თეზევსმა მოკლა სკირონი. მან იგი კლდიდან გადააგდო. სკირონი, საყოველთაოდ გავრცელებული გადმოცემის თანახმად, გამვლელ-გამომვლელთ ძარცვავდა; ზოგიერთის სიტყვით კი, უცხოელებს უტიფრად გაუშვერდა ხოლმე ფეხებს და, დამბანეთო, უბრძანებდა. იმ დროს, როცა უცხოელნი სკირონის ფეხების ბანას შეუდგებოდნენ, ქუსლს ჰკრავდა და შეუბრალებლად ზღვაში ჰყრიდა მათ. მეგარელი ისტორიკოსები არ ეთანხმებიან ამ გადმოცემას, სიმონიდეს

სიტყვით რომ გთქვათ, ომს უცხადებენ ძველიაძველ ამბებს და ამბობენ: სკირონი არც ავაზაკი და არც ასეთი ურცხვი ვინმე იყოო; პირიქით, იგი ყაჩაღთა დამსჯელი და კეთილშობილი ხალხის მოყვარე და მეგობარი გახლდათო. ეაკე ბერძენთა შორის უწმინდეს კაცად ითვლებოდა; სალამინელ კიქრევსს ღვთაებრივი პატივი აქვს ათენელებში; სოლო პელევსისა და ტელამონის ვაჟკაცობა ყველასათვის ცნობილია. სკირონი კი იყო კიქრევსის სიძე, ევაკეს სიმამრი და პაპა პელევსისა და ტელამონისა, რომლებიც სკირონისა და ქარიკლოს ასულ ენდეიდისაგან წარმოიშვნენ. ყოვლად შეუძლებელია, წარჩინებული ვაჟკაცები გავარდნილ არამზადას დანათესავებოდნენ და მასთან გაეზიარებინათ ის, რაც ყველაფერზე წმინდა და ძვირფასია ადამიანისთვისო. თეზევსმა, როგორც მეგარელი ისტორიკოსები დაასკვნიან, სკირონი მაშინ კი არ მოკლა, როცა პირველად მიდიოდა ათენში, არამედ უფრო გვიან, მეგარელთა ხელში მყოფი ელევსინის აღების დროს, როცა არქონტი დიოკლე მოატყუა. აი, ისეთი წინააღმდეგობებია სკირონზე გადმოცემულ ამბებში".

1.

ყოვლად მოწყალეო ქალბატონო, თანაც შვებაც და თან თავს ვაებად დატესილო, სიყვარული და დაფასება სად მოგკლებიათ, განსაკუთრებით თქვენს სამშობლოში, იტალიაში, და ერთი ქართველისაც ღრმა და მუდმივი რწმენით, მთელ დედამიწის ზურგზე არ დადიოდა თქვენისთანა ქალი, ვისი სახელიცა და გვარიც ცალ-ცალკე ვერ მოიხსენიება, რადგან საერთოდ, ყველაფერში, საოცრად მთლიანი და ერთიანი ბრძანდებოდით, დიდო სენიორა ანნა... მანიანი!

აიე ქართველმა თავდაპირველად რომ შეგიყვარათ, შვიდიოდე წლისა იქნებოდა მაშინ, და ყველაფერთან ერთად, რაღა თქმა უნდა, მოგეხსენებათ, თუ როგორია ის ყოვლად დამბნევი სიყვარული, მხოლოდ ამ ასაკისას რომ შეიძლება ჩამოგვეწიდოს, კურთხევასავით მოხდეს, და „აი ია"-ს, „თოხი"-ას და „ეს ნუში კუხეა"-სთანა სიტყვების ჩხრეკის ნაცვლად, სულ თქვენი სახე ედგა თვალწინ, დაბნეულიყო; რა მო-

სდიოდა, არ იცოდა და, არც „დედა ენა“-ში არსად ეწერა ძალიან ტევადი სიტყვა — „სიყვარული“, და სწორიც იყო ეს, რადგან ამ ყოვლად დაუკითხავად თავსდატეხილ ბედნიერებას, კეთილგანებოთ უნდა და, ჩვენ-ჩვენით მივხვდეთ.

*

მთელი ჰაერი ჭარბი მზითა და ზღვის გემოთი გაჟღენთილიყო, და მაინც ისე ლაღად ისუნთქებოდა, როგორც მხოლოდ აქ, მეგარის ასლის.

აქ, კორინთოსკენ მიმავალ გზასთან, შემაღლებულზე, ცალ მუსლმოყრილი დიდი ყაჩაღი სკირონი ფართო მშვილდივით მორკალულიყო, წელსზევით შიშველს, ქეური კუნთები ამობურცოდა და თხასა სწველიდა. მაღალი კლდიდან ძალიან ქვემოთ, ზღვა მოწანდა და ზევით კიდევ — ცა ჭახჭახებდა, რომელი იყო უფრო ლურჯი... ვერცხლისფერ კლდეზე კი ავად სასელგავარდნილი ყაჩაღი უშნოდ ჩალიჩობდა დედაკაცურს — რა ექნა იმასაც, ადამიანი იყო ისიც, საკვები უნდოდა. არადა, მთელ გრძელ სამ ცუდ დღეს მოგზაურთაგან არავის ჩაუვლია, სკირონის შიშით, ზღვით მიმოსელას ამჯობინებდნენ.

როგორც იქნა და, გაიმართა, მსრები გაშალა.

ნამდვილი ელადელი იყო — მაღალი, კუნთებდასხმული, ჩაძოქნილი. ამაყ კისერზე ყვითლად მბზინავი თმით შეშობურვილი თავი ედგა, აუარება ოქროს ბეჭედივით ეყარა სკირონს მკვიდრად ხვეული თმა და თვით ელადელთა პირობაზეც კი, უფრო მეტყველი, უფრო მბზინავი და შუქიანი, უფრო გამჭრიახი და მსნე, დიდი ცისფერი... არა, ცისფერი იქ ლურჯი იყო, თვალები ჰქონდა.

მოშიებული, პურს დანატრული, გზას გასცქეროდა.

არავინ ჩანდა.

არც ის ფრინველი, მოგზაურთა მოახლოებას რომ აუწყებდა ხოლმე.

თავშესაფრისკენ ნელა გაეპარა თვალი სკირონს — რძეს რომ დალევდა, იქ შესულიყო? იქითურა კლდეს ორი დიდი და თანაბარი, მღვიმე რამ ჰქონდა, შესასვლელები თაღოვნად გადახურვოდათ და, ორი ნესტოთი სუნთქავდა თითქოს ეს

პირქუში კლდე, სკირონი ერთში ისვენებდა, მეორეში კი საღამოობით თავის მცირერიცხოვან არვეს შედენიდა; მაგრამ ხანდახან, დასვენებულზე თუ უჩვეულო აღგზნებისას, კლდის სიღრმისაკენ სუნთქვაშეკრული მიემართებოდა, სადაც მღვიმეთა გამყოფი ჩუმი კედელი თავდებოდა და შუაგულში კი ხვრელი რამ იყო იდუმალი, სითხეგამოყონილი, ნოტიო, კლდის ნესტოებშუა ციცაბო აღმართში ამავალი, ვიწრო, და სკირონი ბნელში მიხოხავდა ზევით, ხვრელის შვერილებს კუშტფრჩხილებიანი თითებით ებღაუჭებოდა, თვალთა სინათლეწართმეული, მთლად ბრმა ფეხისგულებს აბჯენდა ხვრელის ვალიპულ კედლებს, წამებითა და უცნაური ჟინით მიიწევდა ზევით, იქ კი მომცრო რამ ღრმული ეგულებოდა, მოკუნტული თუ მოთავსდებოდა იქ, და იჯდა ასე, ნესტიან უკუნეთში, გარს კი დალბილებული და ალბათ რატომღაც თეთრი რამ, შედედებულად დანაოჭებული წებოვანება ემოსა, ბირქუში კლდის რაღაცა ტვინისდამაგვარი, მაგრამ ისე მოკუნტულიყო, დედის საშოში გატრუნულიყო თითქოს, და, კლდის ტვინიდან დასაბადებელს, ყოვლად მჭახე და უცნაური აზრები და წარმოდგენები მოსდიოდა იქ.

ფრინველთა ფრენის მეცნაური, ცას აპყურებდა ახლა, მაგრამ ის წერო — სხვა რომ იყო აქა, მიწაზე: რბილად გაჩოძერწილი ხაზებით ტან-ყელ ლამაზად დარკალული, მაგრამ მკვეთრნისკარტა და უშნოფეხება, და მაინც რაღაცნაირი ამაყი სიმსუბუქით მიმომავალი; და სულ სხვა რომ იყო იქ, მაღლა, ცაში: ერთ გრძელ და გამჭოლ ნისკარტად გადაქცეული, ისარივით რომ მიაპობდა ხოლმე ზემოთურა ჰაერს, — აი ის წერო ჯერ არსად ჩანდა და პურსდაწატრულმა სკირონმა ხელისგულები შემოაჭდო რძიან ქოთანს, ზეზე წამოდგა, მიიყუდა და ჯერაც ქაფიან რძესა სვამდა; აქ, მღვიმის გარეთ, მერამდენედ დაბადებულს უკვე, რძითა და პურით უნდა ერჩინა ჟამი-ჟამ მოშიებული სტომაქი და თავი. მაგრამ სად ჰქონდა ახლა პური, რა ხანი იყო, აღარ ეგემნა...

სვამდა, სვამდა და, უეცრად შეკრთა, ნიკაპზე ჩამოეღვარა რძე, ქოთნიანი ხელები სწრაფად ჩამოუშვა და, კვლავაც თავგადაწეული, ვერა გრძნობდა, რძის თეთრად დაკლაკნილი ნაზი როგორ ჩამოუცურდა მკერდამდე — სკირონმა მონატრული

შსუილის გაგონებისთანავე ხარბად მიადევნა თვალი ერთგულ მაცნეს და, იმანაც, ცაზე ღონივრად გარდამომავალმა, ჯერ ეს ამცნო:

„მოდიან, მოდიაან!“.

მერე კი, წრე შემოავლო თავზე და, მეტის იმედით აღავსო, სხვაგვარად შემოუქროლა:

„მოეშშურებიაან!!“

და მიატოვა, ცაში განქარდა.

სკირონმა წამით ჩაიმუხლა და ქოთანი დადგა, იმის ნაცვლად კი სულ სხვანაირ ნივთს — იქვე მიგდებულ ბასრ და მოკლე მახვილს წამოავლო მრავალნაცადი ხელი, გაიმართა და, აიწურა, აიწურა. ძალიან ქვემოთ კი, თავბრუდამხვევად ქვემოთ, ზღვაში, ვეებერთელა, უზარმაზარი კუც აწრიალდა და, ეტყობა იმასაც ენიშნა რაღაც, გველური თავი გამოიძვრინა, ძლივსღა გამოჰყო ოთხივე გაფარჩხული, უხამსი ტორი, და კლდის შორეული კენწეროსაკენ აატრიალა ბლაგვი თვალები, ასე, გარედან, ყოველივე უჭირდა თითქოს, მაგრამ ვინ იცის, ჯავშნებშუა მთელი შიგანი როგორ ეწვოდა — რა ხანი იყო აგერ უკვე, აღარ ეგემნა ადამიანის ხორცი, ენატრებოდა.

ჭაბუკი ვინმე გამოჩნდა გზაზე, ოღონდ მარტოკა.

„მოდიაანო, აკი?! — გულდაწყვეტით გაიფიქრა სკირონმა და ოდნავ მოეშვა, მოსახვევისკენ კი მაინც ეჭვით მიეპყრა მზერა, — ეგებ, ჩამორჩნენ...“

აბაა... აღარავინ ჩანდა. არადა, მძაფრი შერკინება მოსწყურებოდა სკირონს, მთელი სხეული ექავებოდა.

დამწყებ მოგზაურს კი მოსასხამს შიგნით მხარიღლიე გადაკიდებული სატევარი მოუჩანდა, აბგა არხეინად მოეგდო ზურგზე და, მოდიოდაა, ჰეხ... — რა იცოდა თუ, რა აფთარი ელოდებოდა.

მზე მაღლა იდგა, დიდი ჰელიოსი.

...ლოდი ზათქით ჩამოენარცხა ყმაწვილის ფეხებთან და, ბრმა იყო თუ რა, ეგებ ყრუც იყო, სულაც არ შემკრთალა, მაგრამ თვალებში ალბათ ედგა სინათლე: რომ ამოხედა, ხელისგულით მოიჩრდილა სახე.

ზორბა ყაჩაღი გადმომდგარიყო მაღლა, ბექობზე, კუშტად შეკრული, აკოროზებული, ხელსატევრიანი, და მშვიდი რის-

ხვით გაკღენთოდა ყოველი ნაკვთი, თავზარდამცემი ყაჩაღი იყო და, რაღა თქმა უნდა, სიტყვა-პასუხიც ყაჩაღისავე ჰქონდა. მოურიდებელი:

— ერთი აქეთ ამოდი.

მგზავრმა კი პატარა ხანს უყურა, უყურა და კელავ გზა განაგრძო, ლოდს აუარა.

„ეს ყრუ ყოფილა, ვილაცაა!" — ბრაზიანად გაიფიქრა სკირონმა და მეორე ლოდი, უფრო დიდი და უფრო გამსრესი, კელავაც მგზავრის წინ რომ ჩამონარცხდა, მძლავრი ღრიალიც დაეტეხა თავს:

— ამოეთრიე-მეთქი!!

მაგრამ იმას აღარც აუხედავს, და საკუთარი არარაობის ეშვით გულდასერილი, ავარვარებული დიდი ყაჩაღი გზისკენ დაეშვა, თავის ბექობს შემოურბინა და, მგზავრს წინ დაუდგა.

იმას კი უკვე მოემარჯვებინა მასვილი და, გამეტებით რომ მოუქნია, სკირონმა ერთი კი აუკრა თავისი სატევარი და, პატარა ხნის შემდეგ, ძალიან-ძალიან ქვემოთ, თავისთვის ყოველად უმაქნის ნივთს რასმე, ფსკერზედაც კი მბზინავ მახვილს, ირიბად, ბლაგვად დააშტერდა ვეებერთელა კუ.

იმ მასინჯ პირზე მახისჯი ტუჩიც რომ ჰქონოდა, აემრიზებოდა.

ძალიან ზემოთ კი, გაბიარაღებულ თავხედს ავი ღიმილით ათვალიერებდა ყაჩაღი, და ყაჩაღურსვე შეუდგა საქმეს:

— აბგაში რა გაქვს.

— რა შენი საქმეა.

გული შეუკრთა სკირონს, ასლა სხვაგვარად შესცქეროდა, და მაინც, მოჩვენებითმა მძვინვარებამ დარია ხელი, ყმაწვილი მისი აბგიანა იღლიაში ამოიდო, და თუმცა ის ძალიან ასხმარტალებდა ფეხებს, დინჯად გაეშურა ზედ გადასავარდნთან კლდეში ამოკვეთილი ღრმულისაკენ, თითქოს ყურადღებასაც არ აქცევდა ნადავლს, მაგრამ სახიფათო გადასაძვრომთან თავში ერთი კი ჩაფარა და, დარეტიანებული, ფრთხილად გადაახოხა აღსასრულებლისკენ, თვითონაც გაიჯაჭვა და, ზედ კლდის ქიმზე შეაყენა მგზავრი, თავად კი ქვის სავარძელში ჩოკალჯთდა, ჰკითხა:

— სიცოცხლე, გიყვარს?

— კი.

ძლივს არ უპასუხეს? მაგრამ შეიჭმუხნა სკირონი.

— მაშინ ქვემოთ გადაიხედე.

რა მოჩანდა და? — მტრისას... — ჰაერით, ზღვისკენ, ქვა გაცვდებოდა გზაში.

— ყური დამიგდე, — უთხრა სკირონმა და; შემოუბრუნდნენ, — თუ გინდა რომ, ცოცხალი დარჩე, ფეხები დამბანე და, წადი მერე საცა გინდა.

იქვე წინასწარ გამზადებული თიხის დოქი იდგა და, შეაჩეჩა.

უძრავად იდგა მგზავრი.

— არ დამბანს?

— არა.

— რატომ...

თვალები სიმწრით მოწკურვოდა ყმაწვილს და, დოქიანი ხელიც შიშისგან კი არა, რისხვით უცახცახებდა.

— რატომ... — გაუმეორა სკირონმა.

მგზავრმა ამაყად იქცია თავი, თქვა: .

— ელადელი ვარ.

— რა? შენისთანა ელადელები გადამიგდია... — ქვის სავარძელში გაიჯვიმა სკირონი, კლდეს მიაბჯინა კეფა და, გაუშვირა ფეხი, — მიდი, შეუდექ...

და უცებ მკვეთრად გადაფერდდა; ღონიერი და ქედუხრელი, დიდი ყაჩაღი მკვირცხლი რამც იყო, იმისი სახის ადგილას კი, სწორედ ნასახარზე, სულ ნაკუწ-ნაკუწ მიმოიმსხვრა როდოსული დოქი.

სკირონი მჩატედ წამოდგა და უთხრა:

— მე შენისთანებს არ ვიმეტებ. გთხოვ, რომ გამომყვე.

და კლდის შვერილზე გადმოფოფხდა.

ყმაწვილი სანამ გადაჰყვებოდა, მალულად ერთიც ჩაიხედა დაბლა.

„ნრაშია, აა, ნნენტავი, აა, ნსანქმე..." — გაიფიქრა კუმ.

სკირონი უმალ დაწინაურდა, და ახლადა შიშატანილ მგზავრს ისიც ძალიან ეუხერხულა, უცნაურ ყაჩაღს იმ დამსხვრეული დოქის წყალობით მთლად რომ დასველებოდა ზურგი. მაგრამ მზე მაღლა იდგა, მწველთითება ვრცელი ჰელიოსი

გადაშლილიყო მიწაზეც, ცაზეც, და თავის მღვიმემდე გაშრა კიდეც ბრინჯაოსფრად ნაგები დიდი ყაჩაღი, იქ კი, მღვიმეში, სტუმრის პატივისცემით თეთრი ქიტონი გადაიცვა, მერე ძალიან მუქი, მძიმედ წითელი მოსასხამი მოიგდო მხრებზე, დაბალი ტაბლა გამოიტანა, შიშგადაყრილ სტუმარს დაჯდომა ანიშნა, ნელინელ გამოზიდა თიხის თასები, გაზავებული ღვინო, თაფლი, ის ახალი რძეც, ყველეული და თხის დამარილებული სორცი — ერთი ეგ იყო, პური არა ჰქონდა.

ცოტათი რომ დანაყრდნენ.

— ძვირფასო ყრმაო, თვალსხივოსანი ათინა ყოფილიყოს შენი შემწე და მფარველი, — წამოიწყო ტკბილმოუბარმა სკირონმა და გაზავებულღვინიანი თასი მაღლა ასწია, — დაე, ყოველ დღე-ცისმარეს საამოდ გაეღვიძებინე ვარდისფერთითება ეოსს, დაე, კეთილად გევლოს დედამიწის ზურგზე და ზღვაში თუ შესცურავ განიერფერდებიანი ხომალდით, მიწისმრყეველი პოსეიდონი არ დამდგარიყოს ხაფხმოვან გუნებაზე, მუდამ ზურგქარი ებოძებინოს და მშვიდობით დაებრუნებინე შინ. სკირონი ვარ მე, ავადარსახსენებელი მეგარაა ჩემი მშობლიური ქალაქი, სადაც არავის ესმის ჩემი და, ვეჭვ, მომავალშიც მიმიხვდნენ რამეს. შორს, ეგინაში, მხოლოდშობილი ქალიშვილი მივის, და ღვთაებრივი ეაკე სიძეა ჩემი. ახლა კი, გთხოვ შენი სახელი მამცნო, რადგან კაცთა წესისამებრ, დედის ფუცლიდან შობილთ, ყველასა გვაქვს ჩვენი სახელი, რათა თვისტომთა შორის ავად თუ უკეთ გამოვირჩეთ, შენ კი, გატყობ რომ, უკვალოდ არ დაიკარგები და გთხოვ სახელი მამცნო შენი, ძვირფასო ყრმაო.

და კეთილად გაზავებული ღვინო შესვა.

ძვირფასმა ყრმამაც ასწია თავი, მიმართა:

— ჰე, ღვთისსადარო, მაღალ ოლიმპოს მკვიდრთა სწორფერო სკირონ, შორითსაჩინარო, ფიცხელკლდოვანი ითაკაა ჩემი სამშობლო, და ლაერტე ვარ მე, ითაკელი უფლისწული. უშფოთველად და სიამეში გადიოდა ჩემი წარსულად ადრეული ყრმობა, ველად გასული, ჯირითითა და ფრთამალი ისრების ტყორცნით ვირთობდი თავს, ხოლო კეთილად ნაგებ სასახლეში, უებრო ნელსაცხებლებით ტანდაზელილს, ტკბილხმოვანი ფორმინგის ბაკვრითა და მღერით მართობდა ღვთაებრივი ნი-

ჭით ცხებული, თვით ვერცხლისმშვილდოსანი აპოლონის მიერ ძიმადლებული ნიჟით აღსავსე მომღერალი; აგრეთვე ტკბილ-მოუბრობაში მავარჯიშებდნენ მე ძალიან. მაგრამ ერთხელ თვით თვალსხივოსანი ათინა გამომეცხადა მწირის იერით მე, ხშირჯოგება ითაკის მომავალ განმგებელს, და მირჩია რომ, მრავალნაცადი უნდა იყოს მეფე, და გაფრინდა, მეც, ზებევრი აღარ მიფიქრია, და, ნებართვა ავიღე ღმერთებისდარი ზამი-საგან, მრავალნიჩბება ხომალდით შევცურე წყალმრავალ ზღვაში, რჩეული მეომრები მახლდნენ, და იმის ნაცვლად, დოვლათითა და თეთრად მკერდსავსე ტყვე-ქალებით ამევსო განიერფერდება ხომალდი და ისე დავბრუნებულიყავ ფიცხელ-კლდოვან, ზემორენახსენებ ითაკში,

(ოდნავ შეიჭმუხნა სკირონი)

...ამისა ნაცვლად, ზუსტსწორედ ძესუთე დღეს გავვაფრქვია მთელი თავისი ანგარიშმიუწვდომელი რისხვა მიწისმრყეველ-მა პოსეიდონმა, გრგვინვით აღსავსემ, ავადღრიალა გრიგალი დაატეხა ჩვენს დიდადუძლეველ ხომალდს, და, ზედშუა-გადა-ტეხილს, კეთილწყლოვანი ზღვის შავმა მორევმა უყო პირი და, მხოლოდ მე გადავრჩი, ნელსაცხებლიან კასრს ჩაბღაუჭებული...

ცრემლები მოერია ყრმას, ნიკაპიანი თავი ჩაქინდრა.

— ძვირფასო ყრმაო, ერთიც შესვი ეს ამოდსურნელოვანი ღვინო და, ეგ შავადნაგები მწუხარება უხვწყლოვან ზღვაში ხელუკუღმა ნასროლი ფერფლივით განგიქარდეს ეგებ, მაგრამ ვეჭვ და ვეჭვ, უპურკეთილოდ ამოდსაცქერი ყოფილიყოს ეს ჩე-მი მცირედნაგები ტაბლა, მომიტევე რომ, არ მომეძევება ნე-ლინელ ცეცხლზე უზადოდ გამომცხვარი ახლოდსაჩინარი პუ-რი.

— აქ, ამ აბგაში, ნედლი ხორბალი მომეძევება, — თქვა ითა-კელმა და შესთავაზა, — ამოიღე და მიირთვი, აქაველთა შო-რის გამორჩეულო.

— ჯერ შენ მიირთვი...

— რა საკადრისია...

— შენ სტუმარი ხარ...

— როგორ გეკადრებათ, მიირთვით ჩემო ბატონო...

— აჰ, არა, არა, თუითონ ბატონო... სტუმარი ბრძანდები...

— ხორბლის მასპინძელი აკი მე ვარ...

— არა, მაინც ჯერ თქვენ მიირთვით...

— არა, ჯერ თქვენ, თქვენ...

— არა, ახლახან გეახელით...

— ნედლი ხორბალი?

— არა, უმი რძე...

ყმა ჩაფიქრდა და, წამოთქვა მერე:

— მაშინ, ტაბლაზე დავახვავებ და ორივემ თანავდროულად მივირთვათ, ეოკედავთა შორის გამორჩეულო.

შეექცეოდნენ, ნედლ ხორბალს.

კლდოვან თუ ფხვიერ მთელი დედამიწის ზურგზე, უპირველეს საკვებს საღი კბილებით ღეჭდნენ ყმაწვილი ლაერტე და გამობრძმედილი სკირონი.

და უცებ, ცაზე, სკირონის წერო ისრად აიჭრა, ძვირფას ყრმას არ მიუქცევია ყურადღება, სკირონს კი, ფრინველთა ფრენის მეცნაურს, მჭახედ ჩაესმა: „აკი გითხარ რომ, მოდიან, მოდიაან... მოეშშურებიაან!..“

და ერთიანად აკრეფილ სკირონს, ნაწყვეტ-ნაწყვეტადღა ჩაესმოდა ყრმის აღელვებული მონაყოლი:

— ვრცელი ატლანტოსის... ნიმფა კალიფსომ შემიკედლა... მერე თითქოს თვალში მოვუვედი... მაგრამ მერე უბრალოდ გამომიშვა... გამოშვებამდე, ხერხემალზე ცბიერად დამისვა ხელისგული... მაღლივკენწეროვანი ანძა...

— ძვირფასო ყრმაო, არ დაგილამდეს, — უთხრა სკირონმა, მოეზაურები გამოჩნდნენ შორით, — და რადგან სატევარი ჩემის წყალობით დაკარგე, ჰა, შენი იყოს,—და თავისი კეთილადმომაკვდინებელი მახვილი მხარიღლივ ჩამოჰკიდა.

— მერედა, შენ რაღას იზამ უამმახვილოდ, მსუნთქავთა შორის უმამაცესო, არ გამოგართმევ.

— მე სხვაც ბევრი მაქვს, — უთხრა სკირონმა, — მშვიდობით დაბრუნებულიყავ ფიცხელკლდოვან ითაკაში, მეფედ შერაცხილს, გათენებიდან მზის მიდრეკამდე ხალხზე გეზრუნოს, ხოლო ღამით კი... ეე... წვივებლამაზი, მშვენიერთმება და თეთრმკლავება ქალი დაგესვას ცოლად, და ღამით იმასთან ერთად გენებივროს ლამაზად მოჩუქურთმებულ საწოლზე.

ამო წარმოსახვანი აეშალა ითაკელ მეფისწულს, თვალი მილულა...

— შვილი კი გმირთაგმირი გეყოლება, დიდრონ ქალაქთა შემმუსვრელი.

ყურები სცქვიტა ყმაწვილმა მოგზაურმა:

— მართლა? რა იცი...

— სასელიც ვიცი — ოდისევსი.

— რა იცი... — უმწეოდ გაიმეორა ითაკელმა და, უცებ შეკრთა და თვალებადქცეული მიაჩერდა, — თვალსხივოსანი ათინა ხომ არა ხარ შენ?

— არა, ჭაბუკო... სკირონი ვარ მე. — თვალში შესედა, — ერთსა გთხოვ მხოლოდ — ჩემზე ნურც ავს იტყვი და ნურც კარეს. კარვი?

— აგრე ვიქმ, მოკვდავთა შო...

— კეთილად გევლოს.

რომ გაისტუმრა, მოსასხამი მხრების შერხევით იქვე მიაგდო, მახვილისათვის მღვიმეში არც შებრუნებულა, მაგრამ ორიოდ პეშვი ხორბალი ჩაიყარა ქიტონში. ზედ ღვიძლთან გრძნობდა.

თავის ბექობზე იდგა ისევ, ჩამოქნილი და აწურული.

2

ყოვლად დამპყრობელო ქალბატონო, დიდო სენიორა ანნა, მანიანი!..

აის ქართველი ცოტათი რომ მოგვიყვინჩილდა, რამდენი წლით გადაავიწყდით, წარმოგიდგენიათ? მაინც როგორ გაგიბედათ ეს, სრულიად იტალიის დედოფალსა და დამპყრობს, მფლობელს აიმ ქვეყნისა, რომელსაც რომ ისეთი პირმშოები ჰყავდაა... რომელი ას-ერთი.

ისევ შეგიდგათ, მერე.

არ გეგონოთ რომ, თავისი ქვეყნის, ანუ საქართველოს დიადი ქალები გადაავიწყეთ, არა, ბატონო იმას სხვებსავით ეამაყებოდა თამარ მეფე და ბევრზე მეტად ეთაყვანებოდა ქეთევან წამებულს, იმას სულში ძლიერ ჩაჰბეჭდვოდა ისევე როგორც მოყმის ამაღლებულზე ამაღლებული დედა, ვეფხვის დედასთან მისასამძიმრებლად მიმავალი, ასევ — კოხტად უბრალო გოგო თებრონე, მხარკოკიანი... მაგრამ სახე და, რაც მთავარია, მოძ-

რაობები არ იცოდა მათი და, უფანტაზიოს, რა ექნა, საწყალს... — თქვენ შემოგიდგათ. მაგრამ ისე ძალიან რომ, ისე ძალიან, რომ განუყოფელ, ამაღლებულ ნაწილად რასმეს გთვლიდათ თავისი თავისას, და ხანდახან კი ისე შეტოპავდა, თქვენზე თქმული რამ — პირში მისლილ საკუთარ ქებადაც კი მიაჩნდა და, აი ეს — ისე, რომ როცა ერთმა დარბაზის წინ წარმსდგარმა კინოთმცოდნემ ერთ ძალიან გამოჩენილ კინოგარსკვლავზე თქვა: „ის, რა თქმა უნდა, ვერაა ანნა მანიანი, მაგრამ უდიდესი მსახიობია“ — აიმ ქართველმა ასეთი პირშიმთქმელური შექებისათვის, ერთი ისეთი დაირცხვინა? — გაწითლდა და თავი ჩალუნა. ხოლო მაშინ კი რა დაემართებოდა, როცა თვით კოსმოსში, თავად კოსმოსში, სულ-სუ-პირველად სახელებიდან და გვარებიდან თქვენი სახელი და გვარი გაისმა, და ჩამოგვეწოდა აქ, უერთლაღკაცოდ ორიოდ საათით დარჩენილ ადამიანებს, რადგანაც თურმე იმ მართლა კაცმა, იმ უდიდესი გამოცდისა და განსაცდელისას, თავისი მომხიბვლელი ღიმილით გაიღიმა, და, შემოგვითვალა, თურმე: „დე, გაუმარჯოს მთელ კაცობრიობას, და ანნა მანიანის“. — I — როგორი იქნებოდა იმ ქართველისთვის ამის გაგება: იქით — მთელი კაცობრიობა და აქეთ — თქვენ, ყოვლის დამპყრობელო სენიორა, დიდო ქალბატონო ანნა, მანიანი, და რაღაა გასაკვირი, კაცობრიობიდან ერთი ქართველისაც შედგომილი გული რომ დაიპყარით, რომელი დიდრონი დასახლებები აღგდგომიათ წინ, სად არ შეჭრილხართ თქვენი სახითა და, კიდევ უფრო, მოძრაობებით, მაგრამ ერთგან კი განსაკუთრებით დაივანეთ თქვენ, დამპყრობელმა — აბა რომელი ბატები გადაარჩენდნენ თქვენგან თქვენს დედაქალაქს, რომს.

3

თავის ბექობზე იდგა ისევ, ჩამოქნილი და აწურული.

მოდიოდნენ და, ქვაზე ფეხი რომ არ წამოეკრათ, ვიწრო, უსწორმასწორო გზას დასცქეროდნენ თავჩაღუნული მგზავრები,

ძალიან ქვემოთ, დაბლისკენ, ზღვაში, თავი აღეღო უზარმაზარ კუს, მოშიებული, ამოიყურებოდა.

სხვებზე მოუქნელად მოაბიჯებდა ძვირფასქიტონიანი მგზავრი, ყოველი ნაბიჯის წარდგმისას, ნაზი ფეხისგულები სტკიოდა, ვერა შველოდა სქელი სანდლები. ისე კი, რაღაც ზონზრუხად ჯანიანი ჩანდა, უზარმაზარი ლოდი რომ ჩაეონარცხდა, შეკრთომისაგან, ძალიან დაებერა მსსვილი მკლავები, მსახურებივით, იმანაც შეცბუნებულმა აიხედა და, ბექობზე მდგარი რომ დაინახეს, სუყველას ენა ჩაუვარდათ, ერთი მსახურის თავზარდაცემულმა ხმამღა გაჰკვეთა საღამოსპირის უმოძრაო, ბლანტი ჰაერი:

— სკირონიი, სკირონ!!

ტვირთი კი არა და, მახვილებიც გზაზე დაჰყარეს. ზურგგრიგალ-ჩამდგარნი, ვინ ვის უსწორებდა...

ერთიღა დარჩა. შეძრწუნებისაგან, ცივი ოფლით უსველდებოდა ძვირფასი ქიტონი, და მთლად დამზრალი ასცქეროდა სკირონის ქანდაკს.

— აქეთ ამოდი.

ხმას ვერ იღებდა, ცდილობდა კია.

— ამოდი-მეთქი!

შიში ძალიან ბევრნაირია, ძლიეს ამოღერღა:

— ვერ შემიძ... — ყელი გაუშრა.

— მე მოვიდე მანდ?

და იგივ შიშმა კოსტად აამეტყველა:

— არა, ნუ მოხვალ, სასურველო! მაგრამ სკირონი წინ აღემართა; ის დამრეცი კლდე მოგზაურის მანამდე დაჭყეტილი თვალების ორიოდ დახამხამებაზე როგორ მსუბუქად ჩაირბინა მაინც...

— რა გქვია.

— ქთესიპე მქვია, ღმერთების ნებიერო.

— შენ რა იცი რომ, ღმერთების ნებიერი ვარ.

— ღვთაებრივ აღნაგობაზე გეტყობა, სათაყვანებელო.

— ეგ ნებიერი აღარ გამაგონო. ვაჭარი ხარ?

— პატივცემულო, კი.

ახედ-დახედა სკირონმა, გაქონილი სახე შეუთვალიერა. არა, არ იყო სიცოცხლის ღირსი.

მაინც დაეკითხა:

— შენ — ლაჩარი ხარ?

მოგზაური მთელი წუთით დაფიქრდა და, აწეწილი ტეინიდან სასურველი პასუხი გამოიძებნა:

— კი, როგორ არა, დიახ, დიახ, პატივცემულო, ვარ, აბა არ ვარ? მკლავებმშვენიერო.

სკირონი ზიზღით შეიჭმუხნა, უთხრა:

— რა მშვენიერი სატევარი გაქვს, ქთესიპეე. სულ არა ხმარობ?

მგზავრმა აქაც იფიქრა, იფიქრა, იწვალა და მიუგო.

— არა, არც ისე...

— დიდებულია.

— რომ არა ვხმარობ?—შექებისგან, სიხარულით ათრთოლდა მგზავრი.

— არა, ეგ შენი სატევარი. აი მე, — ოდნავ გაშალა ხელები, — არ მაქვს.

მგზავრმა მყისვე ჩამოიგლიჯა იარაღი და, ტარით გაუწოდა: — აჰა, ინებე, ოღონდ გამომართვი და, ძალიანა გთხოვ, სათაყვანებელო...

სკირონმა ვამოართვა და თქვა:

— მაინც ტყუილად დაათრევ და... სადაური ხარ?

მგზავრმა ამაყად შემართა თავი:

— შორითსაჩინარი პილოსია სამშობლო ჩემი, და მწვანედ აბიბინებულ ველებზე ფიცხელძროხებიანი ჯო...

— მუშტარს, ძლიერ ყვლეფ?

— როგორ...

— ყვლეფ-მეთქი, მუშტარს?

აქ მოგზაურმა სიტყვები ძალიან დააფაცურა: — აჰ, არა, არა, პატივცემულო, მე ისეთი ადამიანი კი არა ვარ, ზოგიერთივით, რომ ჩემი მუშტარი რატომ უნდა... — მაგრამ სკირონმა ვაიწყვეტინა:

— ყვლეფ.

ქთესიპემ ძაან დახარა თავი, თქვა:

— ვყვლეფ.

— ამოალაგე.

ვაჭარი ახლა სხვანაირი შიშით თრთოდა, მაგრამ თავს სძლია, და გონივრული მხიარულებით მიმართა ყაჩაღს:

— აჰ, როგორ არა, როგორ არა, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე, პატივცემულო...

ნზე ჩასულიყო, დიდად შუქმფენი ჰელიოსი, მაგრამ იმ ბაც ჰაერშიც კი, მბზინავი ოქროს დრაჰკანები ამეტყველდნენ სკირონის ფერხთით.

— ხომ სასიამოვნოდ შემსუბუქდი?

მგზავრმა მიუგო:

— კიჰ.

და უცებ ყოვლად წარმოუღგენელი უცნაურობა ჰკითხა ყაჩაღმა:

— ქთესიპე, გიყვარვარ?

— როგორ?

— გიყვარვარ-მეთქი, ქთესიპევ?

— ოჰ, ძლიერ, ძლიერ, ისე ძალიან მიყვარხარ რომ, — გამოცოცხლდა მგზავრი, — ბნელ ღამეობით ვითარც მაშხალა, და როგორც...

— და სიყვარული რომ არ არის? — თავისთვის, მალვით დასევდიანდა,... — როგორღა გიყვარვარ?

თავი დახარა მგზავრმა, გულაჩუყებით წარმოსთქვა:

— აბა რა ვიცი. მიყვარხარ და, მორჩა.

— და, სიყვარული, — მკაცრად შესცქეროდა, — რომ არ არის?

— როგორ არ არის, ფული იყოს და, — და თავის ყოფილ დრაჰკანთაგან ერთ-ერთს დაჩერებული, იქით დაეკითხა — აბა რატომ მიყვარხარ ასე ძალიან? — და წამოწითლდა, — როგორც ვაჟვაცი.

არა, არ იყო სიცოცხლის ღირსი.

— რაღად კანკალებ.

— ეე... აი, ეეე... სიყვარულისგან, სიყვარულისგან!

არ იყო, არა, სიცოცხლის ღირსი.

საყელოში ჩასჭიდა მარწუხებივით თითები, და ხელის ერთი მკვეთრი დაქნევით ძვირფასი ქიტონი ჩამოახია:

— ასე უფრო ძაან გიხდება. ხომ?

— რაღა თქმა უნდა, პატივცემულო, — ხომ.

— მაინც გიყვარვარ?

— უფრო ძალიან, სათაყვანებელო... და პატივსაც გცემ!

— და ყანაღი როე ვარ?

— რა უჭირს მერე... ერთი ცულის ტარზეო... ოღონდ გამიშვი, მერე.

არრა, არ იყო სიცოცხლის ღირსი. და ერთიც ჰკითხა:

— იმ სხვებთან ერთად, რად არ გაიქეცი...

მოგზაურმა დაირცხვინა, თავი ჩაღუნა:

— ძალიან მტკივა ფეხისგულები.

აქ შეცბა კიდევ სკირონი, არა სჩვეოდა უსუსურთაკვლა. ასედა, დახედა... არ იყო, არა, სასიცოცხლო, მაგრამ ასეთ უმწეოს... და ზიზღით შეაქცია ზურგი:

— გამიშვიხარ. წაღი.

იდგა, ფიქრობდა.

რაღაცა სლიპი მოედო წვივზე. დაიხედა და, მკვეთრად შემობრუნდა — მადლობის ნიშნად, შვებამოგვრილი და მუხლმოყრილი მგზავრი ფეხზე ჰკოცნიდა! გონება აემღვრა სკირონს, ქეჩოში ჩაბღუჯა, წამოაყენა:

— აქეთ წამოდი.

აიმ თავისი, ცეცხლური რისხვით ავარვარებულს, კოჭლობა-კოჭლობით ასდევნებოდა მგზავრი. გადასაძვრომთან, იღლიებში სელები ამოსდო ვაჭარს, იქით გადასვა, გადაჰყვა თვითონაც და, ქვის სავარძელში ჩაჯდა.

შეხედა.

სკირონისაკენ გადმოხრილიყო ზედ კლდის ქიმზე უნებურად შემდგარი მგზავრი, ქვემოთ ჩახედვას ვერა ბედავდა, იმან კი, ყაჩაღმა, დოქს აზიზად წამოაელო ორი თითი, და ვაჭრის ოფლიანი იღლიებით გაბინძურებული ხელები რიგრიგობით გადაიბანა. მერე მოგზაურს გაუწოდა მძიმე ჭურჭელი, უთხრა:

— თუ გინდა, ქოესიპევ, ფეხები დამბანე.

— უჰ, როგორ არა, როგორა არა, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე, — და მძიმე დოქი ფერდზე იდაყვით მიიკრა, მუხლიც შეაშველა, ძალიან ფრთხილად გადმოხარა, საქმეს შეუდგა, და მალე ისე გაიტაცა ფეხების ბანვამ, რომ აღიღინდა, აღიღინდა კიდეც!, დოქიც — თანდათან მსუბუქდებოდა და, შვებამოგვრილს, ეშხში შესულს, აღტაცებაც კი მოჰგვარა სკირონის

ფეხის თითებმა, დაჰლილინებდა, მათ: რა კარგე-ბია-ააო, რა კარ-გები-ა-ააო, ჰეე... — ახხჰ!

სკირონის ქუსლით მკერდშელეწილი, ჯერ საზარელი კი-ვილით მიჰქროდა დაბლა, და სალამოსკენ მიღრეკილ ჰაერს წივილით ჰკვეთდა მისი გაჩაჩხული ხელ-ფეხი, მერე კი, ეზა-ში, ალბათ გონება დაჰკარგა, რადგან აღარაფერი ამოისმოდა, თუმცა, რაღა ხმა ამოაღწევდა იმსიმორიდან, ზღვისკენ დიდ-დებოდა ვაჭრის სხეული, მაგრამ ზემოდან კი ისე ჩანდა, თი-თქოს ძალიან ნელა და ძალიან დინჯად პატარავდებოდა მისი ცრუტანი, მაგრამ სკირონს თვალი არ ჩაუყოლებია, ქვის სა-ვარძელში იჯდა ისევ, დაფიქრებული; მერე მძიმედ წამოდგა, მღვიმისკენ შეჭმუხნილი გაეშურა, რაღაცა სურდა, და მიაგ-ნო კიდეც: ქიტონში ჩაიყო განბანილი ხელი, იქ უმი შეება მოიძია, ნელა ისვამდა ხორბლიან პეშვს შუბლზე, თვალებზე, გულზეც მიიდო, ძალიან ქვემოთ კი, ჩასაკარგავში, ვაჭრით გამოწვეული დიდი ტალღები რომ დაშოშმინდნენ, ნელა გა-მოსცურა და, კუჭამწვარმა, მაინც მისჯილი სიზანტით ჩაკბი-ჩა უიღბლო მოგზაურის თავი ვეებერთელა, უზარმაზარმა კუმ-თანაც, ღეჭვისას, ზევითკენ, მაღლა, მადლიერებით აიხედა, — იცქირებოდა.

ელამი იყო.

4.

ყოვლად მომქანცველო ქალბატონო, დიდო სენიორა ანნა, მანიანი...

რა იყო მაინც, იმ ერთ ქართველს როგორ ძალიან აედევ-ნეთ კი არა, არამედ აიღეთ და პირდაპირ შუაგულ ოცნებებსა და წარმოსახვებში ჩაუსახლდით; ისე ძალიან რას ერჩოდით რომ, მთლად დაუპყარით — რომელი ერთი ჩამოვთვალო — თვალი, გონება, გრძნობა, და ყური... ყველაზე მეტად სიტ-ყვამფრქვევლებში, თვით იტალიელებშიც კი გამოირჩეოდით რაღაცა ზესწრაფ წინადადებათა მიფენ-მოფენით, და ამ სხა-პასხუპითი ამძლავრებისას, ცამდე მართალი ბრძანდებოდით მუდამ, რადგან სხვა თუ სიცრუედ ამოთქვამდა რამეს, თქვენ ბაგეთაგან ივივ სიტყვები — სიმართლე იყო, ალბათ იმიტომ,

მთელი სხეულით რომ გჩვეოდათ ამეტყველება, იტალიელთა სიქადულო, მათო გამრიგეო, ანნა... მანიანი. ან დონჯს რო-გორ შემოიყრიდით, ანდა — რანაირი იცოდით დგომა, არცერთმა ქალმა რომ ვერ იცოდა, სწორედ ისეთი; ანდაც, ვისმე დასაბნევს რომ მიაშვერდით ერთ ამოტრიალებულ ხელისგულს და მეორეს კი ისე უზრუნველად დაარტყამდით სხეულზე სადმე, და თან ისეთი დარდნარევად თალხი სიცელქე ჩაიდგებოდათ მაგ ტანჯულ, ლამაზ, განაწამებ... — ემაგ თვალებში, იმ უბედურსა და ცუდ ვარსკვლავზე დაბადებულს ბევრად ერჩია, ფესქვეშ რომ მიწა გასკდომოდა, მაგრამ სად იყო...

ოქვენ ვრცელ თვალებზე — ცოტალი შემდეგომ.

* *

დიდი კლდის ტვინში იჯდა სკირონი.

დიდი კლდის ტვინში იჯდა ყაჩაღი სკირონი, იმ კუნაპეტში, მოკუნტულიყო და, მუხლებზე თავდაბჯენილი, წვივებზე ხელებშემოხვეული, ზურგმორკალული, მთლად დაგორგლილი, თავისას ფიქრობდა:

რომ სიყვარული არ იყო, არა.

გამწარებულს, იმ სიგრილეშიც ალმურმოდებულს, წყვარამსა და უკუნეთში, შავად სტანჯავდა:

რატომ არ იყო.

მხოლოდ აქ ამოძვრალს, გაჭირვებით ამოფოფხეულს, სხეულდაკაწრულს, შეეძლო ამაზე ფიქრი, რადგან გარეთ ეულად დარჩენილი, ყველაფერს დალეწავდა და დაფშვნიდა აი ამ ერთად-ერთი სიტყვის, „სიყვარულის", — გახსენებაზე, აქ კი, კლდით შებოჭილს, რა დარჩენოდა სხვა — ამორიყული, თავისთვის გლოვობდა. მაგრამ ტიროს ხატება, მთელი სხეული, იმისი სახე, მაინც მოსჯილად მოტივტივებდა ზუმი ნესტიდან, და სიმწრით კუნთებდაყრილ სხეულზე განაკაწრები უფართოვდებოდა სკირონს.

ტირო ქალი იყო; ტან, ფეხ, კოჭ, სახე, თმამშვენიერი, ფეთრად მკერდსავსე, ლამაზწვივება. ოკლე ტუნიკა ეცვა.

გათენებისას, როცა ვარდისფერთითებად ნოდეული ეოსი ურუასტელს მოჰგვრიდა არეს, და მის კვალდაკვალ ძალიან ამოცურდებოდა. მაღლითმოარული ჰელიოსი, ტირო თამამად უსწორებდა მზეს ორთავე თვალს და, დილდილაობით, მონაცრისფრო თვალები ჰქონდა. თუ მზე მაღლა იდგა, მრავლისმნახველი ჰელიოსი, და თეთრად აბზინებდა კლდეთ, ტიროს თავი დაეხარა და, წამწამებით ჩრდილდაფენილი, მწვანეთვალება იყო. ხოლო თუ შებინდების ჟამს, მოსაღამოებულზე, ზღვას მიაპყროდა სევდიანსა და ნელინელ თვალებს, მოიისფროდ მეტყველებდნენ მდუმარებაში ტიროს თვალები მაშინ, და აღარ იცოდა მეტრფეე იმისმა, სკირონმა, ტიროს ცვალებად თვალებთაგან რომელი ერთი რომელ ერთს სჯობდა... თვალთმაქცი იყო.

წელანდელივით, ახსოვს:

თექვსმეტი წლისას, უკვე გმირთა-გმირის სახელი ედო, თუ ომი იყო, ომობდა და, თუ არა და, ნადირობდა ლომებზე. გამარჯვებანი... რამდენი ჰქონდა, ვეღარც მოთვლიდა, რადგან ასლა ამისთანები არად ულირდა, მაშინ კი, აჰ, მაშინ, რა აქო იყო ყმაწვილისათვის მამაკაცთა დამფასებლური და ქალებქალწულთა აღფრთოვანებული მზერის შეხება, და გამოთქმები: „აქაველების სიამაყევ და სიქადულო“, „არესის მსგავსო ვრცელმეომარო“, „დიდრონ ქალაქთა კეთილადშემუსვრელო“, „ზევსის ნეიერო“ და სხვა, და სხვა. ელადელები სიტყვის მოსაძებნად ქიტონში არ ჩაიყოფდნენ ხელს.

თავდაპირველად, თავისი დროის შვილი იყო გმირი სკირონი, და ეთაყვანებოდა უზენაეს, შორით მაცქერალ, მეხთამტყორცნელ ზევსს; ხომალდზე შემდგარს, დიდი რიდი ჰქონდა მიწათმრყეველი, შავკულულებიანი პოსეიდონისა, რომელსაც რომ ზღვათა წიაღში დიდმშვენიერი სასახლეები ჰქონდა, მაინც საპატივსაცემო იყო ზევსის უთვალავზის მოტყუებული მეუღლე ჰერა, მძლავრი ქმრის სატრფოების დევნაში რომ მთელი თვე ისე გაუვიდოდა, თმის დავარცხნასაც ვეღარ ასწრებდა, —

— ამგვარ თანამდებობიანი, ისიც დიდ დაფასებას ითხოვდა, გადაგეკიდებოდა სხვაფრივ; და გაზაფხულის ვერაგი ლმერთი, ქაოსის პირმშო ჭრელი ეროსი, ვისი აუცდენელი ისრე-

ბის წყალობითაც ძლიერ ეცვლებოდათ ადამიანებს ცხოვრება და ყოფა; რა შეედრებოდა არესის გრგვინვას შუაგულ ომში, რომელი ცეცხლი დაარღვევდა ჰეფესტოს დიდოსტატურ ნასელავს, ვინ გადაასწრებდა ხმელსა თუ ზღვაზე ფეხფრთოსას ჰერმესს, ვინ იზმორებოდა მდინარეთა მფლობელ ენიპევსივით, დიდრონ ტყეებში ლაღად დაფრენდა ქალწული არტემიდე, ვინ ჩამოთვლიდა ელადელ ღმერთებს, ანდა — ტკბილსარეცლოვან ლამაზ ნიმფებსა და ვერაგ სირინოზთ, მაგრამ, ერთხელაც, გმირმა სკირონმა აპოლონისა და აფროდიტეს, ამ თვალთმაქც ღმერთთა დაუნდობელი, ფრთხილი და ამო, სულის შემძვრელი და მატკინარი, შეხება იგრძნო.

ჯერ აპოლონმა მოახვია თავს რაღაც ბადე, სულ ოქრომკედით ნაქსოვ-ნაქსოვი, და რაღაცა რამ მწვავედ მოსურდა ჭაბუკი გმირის ატკიებულ სულს, ბევრად დიადი, ვიდრე თვით იყო, გმირთაგმირი, და იმ დიდსა და სიდიადეს უბრალო ენით რომ პოეზია და მუსიკა ერქვა, არკი იცოდა, და რა ექნა, შეძრულს, რას მივარდნოდა, გადასარჩენად, ზეცას უმზერდა უმწეო გმირი, ზღვას გაჰყურებდა, ფეხქვეშ გამოცლილ მშობლიურ მიწას დაჩერებოდა აღელვებული სკირონი, საკუთარ თითებს, ახლა უსუსურთ, დასცქეროდა და, სხვა ელადელთაგან განსხვავებით, გულის სიღრმეში ცოტათი და ბუნდოვნად მიხვდა, რომ არ შეიძლებოდა ადამიანის, თუნდაც მტრის მოკვლა, ოღონდ მკაფიოდ ჯერ ვერ იცოდა ეს, მხოლოდ გულის შორეულსა და ფაქიზ კუნჭულში გრძნობდა, მაგრამ ხმლის ქნევის ნაცვლად, უნებურად მინდორ-მინდორ და კლდე-ღრეებში ხეტიალი დასჩემდა სკირონს, რა ექნა, ბედშავს, ლირაზე დაკვრა იმან არ იცოდა, გზიანი სიტყვები ვერ მოსდიოდა, მაგრამ შორიდან და განუცდელად ძალიან ძლიერ შთაებეჭდა ეს; ყოფილი გმირი, ფერად ველებზე ფეხარეული დააბიჯებდა და გვირილებისგან თეთრ-ყვითელ გვირგვინს, ამ ორ ყველაზე მეტად საშიშ ფერთაგან დაწნულ გვირგვინს ფაქიზად თხზავდა, დაფნისას ერჩია, თავზე იდებდა, ვერა შველოდა და ეადასარჩენად რას მივარდნოდა, აღარ იცოდ › — მზეს, ზღვას, ან, მთვარეს? მაინც ვინ იყო ის გრძელთითება ბაცი ეოსი, ეათენებისას დასასმარებლად რომ გაუწვდიდა ადამიანებს ვარდისფერ თითებს, ან როგორ უხვად გროვდებოდა ბოლოს

სიშავე, რად ბნელდებოდა, და, ყოვლისმომცველ, იმ, სი, ჩუ, მეში ვარსკვლავებიდა ხმიანებდნენ დაფარულ ცაზე, სად იყვნენ ნეტავ ჰელიოსის ჟამს, — აშკარა დღისით...

მერე იყო და, თითქოს მშველელად დაადგა გაბრუებულ თავს ღმერთთაგან ყველაზე მეტად დაუნდობელი და სასურველი — აჰ, გარეგნობით, მართლაც ღმერთქალი, რა ტანიანი, რასახოვანი, როგორი მკვრივი, რბილიც — როგორი, რარიგტუჩება, მკერდიმნაირი? — ოჰ! — აფროდიტე, თანაც ზღვისქაფა, თან — დამძიმებულ ხორცებიანი, ხან რომ ისეთის ნაზის მზერით გიცქერდა სოლმე, სულს ამოგწვავდა აის ოსერი, ხან კი, ირგვარად? — განზე მზირალი გველის ცბიერი და ვერაგი და ვერმისახვდომი თვალები ჰქონდა, შეგძრავდა როგორ... ლბილი ეკლები გიკაწრავდნენ დამდულრულ სულს, მოკლედ.

სიარული კი იმან არ იცოდა — ან სარეცელზე იწვა ვინმეს ქვეშ და მბრძანებლურად თავნებობდა, ან არადა, ფრენდა. და თავის გამორჩეულ შვილს, ბასრისრება ეროსს, ჰაერ-ჰაერ დაა-პროწიალებდა ყველგან.

სხვებს კი მშვენივრად ასწავლიდა ცოდვილ მიწაზე კარდაკარ წანწალს.

მას შედგომილნი, ორ აფროდიტეს განასხვავებდნენ იმ ერთ ღმერთქალში, და აფროდიტე ურანიასთვის, წმიდათაწმიდა სიყვარულისთვის აბა სად ეცალა მოწიფულ სკირონს, და ეროსმაც აფროდიტე პანდემოსის ნერწყვმოცხებული, სკვრივიც და ფყიფე, ავი ისარი ზედ ბეჭისთავზე მწვავედ ჩაასო.

ის აფროდიტე, პანდემოსი, დიდ ცეცხლს ანთებდა, ეს ხორციელი სიყვარულის მწველი, გიზგიზა კოცონი იყო, სწრაფად ჩნდებოდა, მაგრამ სწრაფადვე იფერფლებოდა, და სანამ დაცლილი გმირი გაიფიქრებდა რომ სიყვარული არ ყოფილა, არა, აის კოცონი ისევ და ისევ მოედებოდა, კვლავ მცხუნვარებდა, ჰეე, და თავის დროზე მრავალი და ბევრგვარად უხვი სხეული ეგემნა თავადაც ხვავრიელ სკირონს, უხილავ ნაიარევად დაატარებდა ბევრი ტანადი ელადელი ტუნიკოსანი სკირონის ცხელ ნატუჩარს ყელზე, ბორცვებზე, ყველაზე მეტად ტუჩებს ახსოვდათ დამღა იმისა, ვისაც რომ ერთნაირად ეხერხებოდა ლომების კვლა და მხურვალე

კოცნა, ოღონდ ძალიან გადავიწყნოდა გვირგვინების თხზვა, რადგან პანდემოსს შეღგომილებს, ვეღარ ესმოდათ აპოლონისა, სკირონსთან ყოფნით გაამაყებულ პირაღმა ქალებს კი ყელი ეწვოდათ, და ურუანტელად ეღვრებოდათ პანღემოსისგან დაჭრილი გმირის დანაყლეთებული ხორცი და სისხლი, — იკოცსებოდა, რომ...

მერე მეორე აფროდიტემ, ძალიან დიდად იშვიათმა, ცის ურანიამ, კეთილინება და მოუყვანა სხვადასხვაფერა თვალებიანი ფაქიზი ტირო, ფეხით მოვიდნენ, მაჯაში ხელი ჩაეჭიდა ტიროსათვის ცის ურანიას და კლდოვან მიწაზე ასე მოპყავდა შეუცნობელი ტკივილის ქალი, და ლელიანში რომ დაინახა იმ სუპირველად სკირონმა ტირო, რა იყო მაინც, როგორ დაიწყო მათი შესება, მაგრამ გახსენებების დრო აღარა ჰქონდა ახლა, იმ კუნაპეტში მწარე მუშტად შეკრული, ძალიან გრძნობდა ყავისი ფრინველის უტყვ დაჟინებას: „მოდიან, მოდიაან... მოეშშურებიაან", და ძლივს გამართა სწორი ფეხები სკირონმა, ცოტათი ქვემოთ ჩააჩოჩა, სსეული უკან გადახარა, სუნთქვაშეკრული, ფეხისგულების ბრმული ცეცებით ჩაუყვა ძნელ, კლდოვან თავქვეს, და ქვის იმა მრგვალი ბილიკით შემოზღუდული, იფხაჭნებოდა, ღამეზნელიდან სინათლისაკენ, აბრჭყვინვებული დედამიწისკენ მოღოღავდა ერთი ყაჩაღი, და ვინ იცის, როგორი მგზავრი შემოსვდებოდა, როგორი შიშის მოგზაური, კლდის მუქი ტვინიდან გაჭირვებით თავგამოღწეულს, ნეტავ რანაირი ბედის მაძიებელი შეეჩეხებოდა იქ, დღის სინათლეში, სკირონის წილ ერთ პეშვ მიწაზე, — მრავლისმნახველი ჰელიოსის შორით ჩამოწვდილ თაკარა ხელისგულზე, შუქში, ვინ გადააწყდებოდა, ნეტავ...

ნ.

ყოვლად რომაელო ქალბატონო, დიდო სენიორა ანნა, მაესიანი!

რა და რა იყო მაინც, იმ ერთ ქართველს რაც მოახვიეთ, როგორ შესძელით იმსიშორიდან მისი დაპყრობა, თუმც ვთქვი მეც რაღა, სულ მეტი დარდი არა გქონდათ რომ, ვინმე დაგე-

ბყროთ და მოგეხიბლათ? — არა, უბრალოდ, თავისუფალი ბრძანდებოდით. მაგრამ როგორი... უცნაურია და მეტი არა? — რა ბუნებრივად შეიმოსეთ თქვენი სამშობლოთი, თვით იტალიით, სადაც რომ ყველაზე მეტად მრავალრიცხოვნად ირეოდნენ გენიოსები, ზენიჭიერნი კი ყოველ ნაბიჯზე ჯინჭველებივით დაფუსფუსებდნენ, და სწორედ აი იმ ქვეყნის, თქვენი ქვეყნის სახება გახდით, ოღონდ ქანდაკებასავით გოროზად უტყვი და გაქვავებული კი არა, არა, არამედ — სიტყვათმფრქვეველი, თვალნაპერწკლება და მოარული, შეიძლებოდა კია, რომ ერთ ადამიანს ეტარებინა მთელი სამშობლო, განსაკუთრებით — მარადიული ქალაქი რომი, და დედა რომას სიხარულითა და მოწიწებით გეძახოდნენ თქვენ, ქალბატონო, რომაელები, ხოლო იმ ქართველს, ვისაც სამშობლო, მთავორიანი საქართველო გლობუსს ერჩივნა, კარგად ესმოდა ამ მეტსახელის წონა და ფასი.

— არა, — მძიმედ წარმოსთქვა იფიტემ. იგი ამაყი იყო.

— ორიოდ გროშს გთხოვ მხოლოდ, — სუსტად გაუმეორა ბებერმა, — ორიოდ გროში რაა შენთვის, არაფერი, რარიგ ძვირფასად გაცვია, დიდი ქონების პატრონი ჩანხარ...

— ჩამომეცალე, შე გლახაკო, — ღირსეულად წარმოსთქვა იფიტემ. დიდად ზვიადი გახლდათ.

ბებერს ყავისფრად დალაქვოდა სახე, უშნოდ ჩამოძენძილი წვერიცა და თმაც გახუნებულზე გახუნებული, მონაცრისფროდან მომწვანოში გარდამავალი ფერისა ჰქონდა, შემჭკნარი ხავსი წამოზრდოდა თითქოს. თითქმის მიწამდე მორკალულს, დაკონკილი მოსასხამი უფარავდა ხელ-ფეხს და სხეულს, წელვერგამართულს, თვალები ხლივს ამოეპყრნა სამშვენისებით დახუნძლული მოგზაურისკენ, იხვეწებოდა: „ორიოდ გროში გამოიმეტე...", ის კი, გოროზი, მაძღარი და ძალღონით სავსე, ვიწრო ბილიკზე გადამდგარ ბებერს ერთს თავზარდამცემად კი დაუღრიალებდა, მაგრამ ცოტათი ერიდებოდა ეს — სადღაც აქ, მეგარასთან შორიახლოს, დიდი ყაჩაღი სკირონი ბუნაგობდა, თუმც, რას გაბედავდა იფიტეს თან-

მხლებ შვიდ საუკეთესო მეომართან შებმას, და თავად იფიტეც მთელს ელადაში სახელგანთქმული მუშტით მეჩრძოლი იყო.

— საჭმელი მაინც მიწყალობე, — შეევედრა ბებერი და მოდიდო აბგებს მიაბჯინა მზერა, — მესამე დღეა, ლუკმა არ ჩამსვლია...

აქ ღირსეულმა იფიტემ გახუმრებამდეც კი დაიქვეითა თავი, ოღონდ ამაყად — წარმოსთქვა ასე:

— შენ ალბათ ჩქარა ქალსაც მომთხოვ, შე მათხოვარო.

კარგია, არა, კარგი ხუმრობა? — კუშტად შეკრული მეომრები იღიმებოდნენ. მაგრამ საჩქაროდ გადაიბეს წარბები.

— ეგ მოსასხამი სად შეიძინე, ალბათ მინოსის სასახლეში, — სიცელქის იშტამ ისევ დარია მედიდურ მგზავრს ხელი, — ფრთხილად იყავი, არ გაგძარცვონ.

მეომრები კვლავ შეღიმილიანდნენ; სიამოვნებისაგან ერთმა წვერიც კი მოიქექა.

— განზე გადექი, — მძვინვარედ უთხრა უცებ იფიტემ, — ცორემ აგკუწავ. შენისთანები რაც ნაკლებად ივლიან ქვეყნად, უკეთესია.

ბებერი წვალებით გაფოფხდა განზე, მაგრამ იფიტეს თვალს არ აშორებდა.

დამშვიდობებად კი მოგზაურმა ღიდსულოვნად მიუგდო:

— ხმა რომ გაგეცი, არ გიხარია? მე იფიტე ვარ.

— რა უნდა მიხაროდეს, — ნაღვლიანად ამოხედა ბებერმა, — არაფერი რომ არ მიწყალობე?

რატომღაც თეთრი და ჯანსაღი კბილები ჰქონდა.

— არა, შენთვის სიტყვა რომ გამოვიმეტე.

— რად არ მომკალი.

საკვირველება ჰკითხეს, მაგრამ იფიტეს წარბიც არ შეუხრია:

— შენც კი გექნება ცოტაოდენი სისხლი, მატლო, და არ ღირხარ მერე მახვილის გასაწმენდად.

— რომ გაღაგეგდე?

— ხელი ხომ უნდა წამევლო მაშინ, და მაგ შენ ზინტლიან მოსასხამს ხომ ვერ ავცდებოდი.

ამაყად, ჩაუარეს, მაგრამ რვანიენი გახევდნენ მერე, რადგან ღონიერი და თავისუფალი, მჭახე რამ ხმა მოესმათ:

— შენ ან ყოვლად უფრო ძლიერი უნდა იყო, ბრიყვო, იფიტევ, ანდა ნაკლებად ქედმაღალი.

გაკვირვებულნი, შეშოუბრუნდნენ, და გაოცებით შეაჩერდნენ ბრეე და შემართულ წელანდელ გლახაკს, რომელმაც ჯერ წყალმცენარეები მოიცილა თმიდან, სახიდან, მერე ყავისფერი მიწის ნამცეცებიც ხელისგულის ორი დასმით ჩამოიშორა; მოსასხამიდან ამოყოფილი მკლავი ჰქონდა? — ყოვლადძლიერი.

აქ მოგზაურმა შიშით იკითხა:

— თვალთინათინა ათინა ხომ არა ხარ შენ?

— არა, იფიტევ, — ჩაეღიმილა უცნაურ დამხვღურს, — თვალთინათინა ამ ზღვათა ბალახს სახეზე რატომ მიიკრავდა, ისედაც მშვენიერად შეუძლია იერის შეცვლა. სკირონი ვარ მე, შენი ყაჩაღი.

მხრები ერთი კი შეარხია, და ძირს დავარდა უბადრუკი მოსასხამი, და, ძვირფას ქიტონში ელადურ მზეზე თეთრად აბრჭყვინვებული, მთელი თავისი ახოვანებით, იდგა, — სკირონი.

მახვილიც — ეპყრა.

მაგრამ მხოლოდ ერთი ადამიანი, ანუ მხოლოდღა ერთი მოკვდავი არსება რამ, შემორჩენოდათ რადგან, ყიჟინ-ყიჟინით მიესივნენ ხელფიცხი მეომრები. მერე მიწაზე შვიდი მახვილი, ბევრი აბგა და ხელის ოთხი მტევანი დარჩა, და კიდევ ორიც — გარეგნულად საღსალამათი ადამიანი. ოღონდ, იმათგან ერთი აშკარად თრთოდა.

დანარჩენები კი ისე გარბოდნენ, შორითსაჩინარ მეგარაშიაც ველარ შეჩერდებოდნენ, ალბათ.

— ახალს, რას იტყვი, — უთხრა სკირონმა.

— ყური დამიგდე, — მოულოდნელად მხნედ რომ მიმართა ყოფილმა მოგზაურმა, სკირონს სიამოვნებისგან შეუკრთა კიდეც გული — ეგებ, არ ედგა თვალწინ სიკვდილის ღირსი, — შენ თურმე მახვილს დიდმშვენიერად ხმარობ, მაგრამ უმაგმახვილოდ ალბათ ბევრი ვერაფერი შეგიძლია.

დაკვირვებით შესცქეროდა სკირონი.

— რა ვერ შემიძლია.

— აი, ვთქვათ... მუშტით ბრძოლა, ვთქვათ. მუშტით ბრძო-

ლამი ნამდვილ, უიარაღო ვაჟკაცებს ვერ გაეჯიბრები. აი, თუნდაც მე.

— რატომ.

— მასვილი აღარ გექნება მაშინ. და წამსვე დაგცემ. თუ არა გჯერა, და თუ მართლა ვაჟკაცი ხარ, მოდი, მუშტებით შემერკინე.

თეთრ და გამქრობად წრეებს მშვიდად ავლებდა ჰაერში წერო. ვერა ხედავდნენ.

— კარგი, — თქვა სკირონმა და მახვილი იქვე მიაგდო.

განზე გავიდნენ, მოსწორებული მცირე რამ ადგილი შეირჩიეს და, იფიტემ უცებ მახვილებისკენ გზა გადაუჭრა, და ახლა უკვე ავი სიხარულით ათრთოლებულმა, მსნედ შეუძახა:

— ყეყეჩო, სკირონ! ფიცხელჭურჭლოვანი როდოსია სამშობლო ჩემი, მაგრამ სხვებსავით ამფორებსა და ლარნაკებს კი არ დავფუსფუსებ, არამედ მუშტით უებრო მეომარი ვარ ეს მე, იფიტე, და წასულია შენი საქმე — თავ-მკერდ და ყბათაშემოუსვრელი, სახელოვანი იფიტე გიდგას წინ, უგუნურო!

მაგრამ სკირონმა მსუბუქად და მშვიდად მიუგო:

— ვიცი.

— ეგ რომ გცოდნოდა, უდღეურო, მახვილს ხელიდან არ გააგდებდი. იმ მახვილივით მიგაწვენ აქვე!..

და, მართლაც, ჰატარა ხანში სკირონი იქვე გაწოლილიყო და ყოფილი მოგზაურის გონზე მოსვლას მორჩილად ელოდებოდა.

კარგა დრომ განვლო, მაგრამ გულის გრძელად წასვლასაც ხომა აქვს თავისი ბოლო, და ცალი თვალიდა დაახილა იფიტემ, მეორე — ვერა, რადგან შელეწილი მხარე ძალიან ცუდად აყვავებოდა. ძლივას წამოჯდა, საღ ლოყაზე ხელი მიიდო, პირი დააღო და ცხვირივით მოიხოცა, და მიწას რა უკვირს, ბრაფერი, კბილები მრავლად შეემატა.

— ახალს, რას მეტყვი. — უთხრა სკირონმა.

გაჭირვებით მიალულლულეს:

— ძალიან ბევრ სამკაულს მოგცემ.

— ისედაც ჩემია.

— ბრა, მარტო ესენი კი არა, — იფიტეს ოქროს რვოლები შემოჭდობოდა იდაყვებთან, მაჯებზე; ოქროსავე სქელი ძეწკვი

ჩამოეკიდნა, თავთ დიადემა ედგა ოქროსი, ახლა კბილებზე მეტი ბეჭდებიც — ისევ და ისევ ოქროსი ჰქონდა და, მწვანე, ლურჯი და წითელი რაღაც-რაღაც კიაფობანიც კიდევ ამგვარი... — ესენი კი შენია, მაგრამ დიდ გამოსასყიდსაც ამოვატანინებ.

— ახლა შენ უნდა დამიგდო ყური, — უთხრა სკირონმა, მძიმედ წამოდგა, და ვედრებით ამოჰყრობილ თვალებს ახლა ზემოდან დასცქეროდა, — ორი გროში რომ გამოგემეტებინა, ამ დღეში აღარ ჩავარდებოდი. ორიოდ გროშად, ხომ კარგად მისმენ, ამპარტავანო, ორიოდ გროშად ღირდი დღეს და მეტი რა მექნა, უფრო იაფად როგორღა შემეფასებინე...

მიწას ჩააჩერდა ყოფილი გოროზი, მედიდური, ამაყი, დიდებული, ზვიადი, ამპარტავანი, ყეყეჩი, ქედმაღალი და სხვა, სინანულით გადააქნია თავი.

სკირონმა კი, ჩაფიქრებულმა, იქვე გაიარ-გამოიარა, რაღაც შეესო ფეხისგულში, დაიხედა და — კბილები იყო... „მაინც მიკბინა..."

დიდის ვედრებით ამოსცქეროდა ოქრო-იფიტე.

და აქ სკირონმა უკანასკნელად გამოსცადა:

— ფეხებს თუ დამბან?

უშარმაზარი კუს გასახარად, ისეთის შვებით წამოიძახა? — მუქი სისხლიც კი ამოაყოლა:

— აბა რას ვიზამ!..

იმა საქმეშიც, სკირონი უბრალო იყო — აიმ პასუხით, ყოფილმა ბღენძმა, თავად გადაიწყვიტა, — ბედი.

ყოვლად მფეთქებადო ქალბატონო, დიდო სენიორა ანნა, მანიანი!..

მაინც რა ძალა გედგათ და გიდუღდათ ისეთი, თვით იტალიელთათვისაც კი დიდად გასაკვირი — თქვენ, მეტსახელად, ვულკანი გერქვათ. თქვენი მოკლედ ჩაღიმებაც კი ვულკანური იყო, ხოლო სიცილი, და განრისხება? — აჰ, მტრისას, მტრისას... თუმცა არა, აჰ — ჩვენსას, კი, ჩვენსას... თქვენი

ხელების მოძრაობა, თავის შემართვა, ის სიარული — ჩავლილი გზა თან რომ მოგქონდათ, შუბლზე გრძნეული თითის გადასმა, მოქუფრულ წარბთა ჩამოზიდვა, ბაგის მოკუმვა, განრისხების წინ ამაყი, ცალფა დოინჯის შემოყრა, და ფართო კბილების თეთრზე თეთრი რამ ჯანყი, სუყველაფერი, რომელი ერთი — ვულკანისმიერი იყო, ხოლო ჩხუბი და აყალმაყალი და დაკა-დაკა შეგეძლოთ ერთი ისეთი რომ, რისი ვულკანი, თქვენი მჭახე და ნაზი სიტყვების კორიანტელთან — რაისი ლავა, მაგრამ ორი ყველაზე მეტად ღონიერი და მფრქვევადი რამ, ორი თანაბრად აბორგებული, ტყუპი ვეზუვი თვალებში გედგათ, ან რანაირად გიციმციმებდათ წყვილი ამბოსი, რა ნაპერწკლები გცვიოდათ ხოლმე, ანდა როგორი თვალთა სისოველის მდუღარება გჩვეოდათ მაინც, რას არ იტევდნენ ეგ თვალები — თქვენი სამშობლოს ფარულ სევდასა და, ცრემლებს, სიანცეს, ნაღველს, და რაკი მუდამ მართალი და ნამდვილი ბრძანდებოდით, იმ უცნაურად ამაყი განრისხებისას, მთლად გაანჩხლებულ იმ მკითხავსა ჰგავდით, რომ არ ეშლება არაფერი, მაგრამ ყოველთვის არ უჯერებენ, და თვალებით კი ყველაზე მეტად — დედა იყავით, ყოვლის ეჩხრეკელი, დამტუქსავი და მოყვარული, და რა შეედრებოდა მღრღნელ ეჭვს მაგ თქვენს თვალებში — იმ ეჭვს დედისას...

რა უცნაური იყო მაინც: ყველგან, ყოველთვის, ვინც არ უნდა განგესახიერებინათ კი არა — ვინც მარად მართალი და ჭეშმარიტი ბრძანდებოდით, თქვენს მამაკაცებს თქვენი სახით მუდამ მფარველი და მხარშემდგომი ესაჭიროებოდათ, თქვენს დედურ ძალას თუ გრძნობდნენ უნებურად... არადა, საკუთარმა დედამ სულ მთლად პატარა მიგატოვათ, და მასზე სევდამ თუ გაგსადათ თვით მარადიული ქალაქის, რომის დედადაც კი. და მაინც, ვულკანთან ერთად, მოსაფერებელ სახელს, „ნანეტტა“-საც გეძახდათ მთელი ქალაქი, მაშინაც კი, როცა თქვენს კუბოს ატირებულნი მიაცილებდნენ; და ეგებ იმიტომ, სრულიად იტალიის დედა რომ გამხდარიყავით, თქვენც მიატოვეთ უძვირფასესი ადამიანი, თქვენი ერთადერთი ვაჟი, ლუკა, და შეიძლება იმიტომაც ჩაიდინეთ ეს, რომ თქვენი შვილი ყველაზე დიდ დარდს, ბავშვობაში ცოცხალი დედის უყოლობას, მერე, მამაკაცობაში, კაცად რომ ექცია.

შორიდან კი, რაღა თქმა უნდა, სხვას არაფერს აკლებდით.

და, შესაძლოა, იმ ერთ ქართველში განსაკუთრებით იმიტომ დაივანეთ, რომ იმასაც, ბავშვობაში, ეგ თქვენი დარდი ადარდებდა, თქვენსავით, იმასაც ბებია ზრდიდა, და თავის გამორჩეულ შვილს, თქვენი საყვარელი სახელი ჯერ რომ არც იცოდა, ისე დაარქვა, და იმავ სახელის გამორჩეულ კაციდანვე ჰქონდა შეზიარებული თავისი ყველაზე მეტად ვრცელი ამბავი, და ხანდახან იმას ვულკანს არა და, დენთს კი ხუმრობით ეძახდნენ ხოლმე.

თქვენს მძიმე ბედზე — ცოტათი შემდეგომ...

6

დიდი კლდის ტვინის იმ კუნაპეტში მთლად მოკუნტული და დაკაწრული, მარადიული სიბნელის — ერებოსის წილხვედრ ამ მცირე კუნჭულშიც, იჯდა ხოლმე და ფიქრობდა სკირონი, დარდს ინათებდა.

ვიდრემდე ტირო მოუვიდოდა, დიდი სნით ადრე ის ქალი ჰყავდა, ვისი სახელის გახსენებაც აღარა სურდა. სკირონი თხუთმეტისა იყო მაშინ, ის ნათრევი ქალი — ცხრა წლით უფროსი. ჰელიოსის ჟამს, დღისით, ოღონდ ჩრდილში, მშვენიერი კარგი ლაპარაკი შეეძლო, თითქოს ლაღად და ალალ-მართლად ჭიკჭიკებდა, მაგრამ ცბიერი, ბნელი გონებით სულ დაბლა-დაბლა დაღოღავდა და, წელზამძიმებული, მერცხლისა და გველის ნაჯვარსა ჰგავდა, ისე კი, უპირველესი რამ მოვლენის, ვრცელი ქაოსის პირდაპირი ჩამომავალი იყო, ქაოსისავე ღვაწლი გახლდათ ვერაგი ეროსი, აფროდიტეს ძე, ვის წინაშეც ყრმა სკირონი კი არა, თავად ღმერთებიც უძლურები იყვნენ, და ის ქალი პირველად რომ შეეჭიკჭიკა სკირონს, ეროსმაც თავისი მშვილდი გადმოიღო და ბასრი ისარი ტვინში ჩაასო, და, თხუთმეტი წლისას, ეგონა რომ არავინ იყო მასზე ბედნიერი, რადგან ის ქალი შინ შეუღოღდა. შვილი კარგა ხანს არ ეძლეოდათ, მაგრამ სკირონი ამას არად დაგიდევდათ: იმ თავისთვის პირველი, სხვათაგან კი მრავლად ნაჯიჯგნი იმ ქალით შეძრულს, საღამოობით იმის კალთაში უყვარდა

თავის ჩადება და უცნაურ ამბებს თვალებგაფართოებული, დაძაბულად წამოწოლილი, რბილსასთუმლიანი, ისმენდა.

იმ ქალს სინათლე არ უყვარდა, მაგრამ მრავლისმნახველი ჰელიოსი მთელის არსებით სწყურდებოდა ხოლმე, რადგან განმირტოებულად პირალმა მწოლარე, მზის გულზე შავად აციმციმებული, ცივ სისხლს ითბობდა, და შორით ჩამოწვდილ ნეტარებისაგან უსმაოდ აკვნესებული, ავი ზმორებით ღვივდებოდა გრილ, მისჯილ მიწაზე.

საღამოობით კი, შებინდების ჟამს, შემთბარ, ამღვრეულ, ბევრსაფეხურებიან გონებას ისევ ცივად დაილაგებდა და თავის ადვილ ბიჭს, მიმსდობ სკირონს, ბევრგვარ კეფათამნახველ კალთაზე მორჩილად თავდადებულს, ოქროსფრად ხვეულ თმაში შეუცურებდა ხოლმე გამოცდილ თითებს, და ვიდრე ჰქონდა იმაზე უკეთესი სმით უყვებოდა, რომ...

რომ თურმე იმ ყოვლად საზიზღარი ქაოსის... აქ მოწიწებისგან ხელისგული შეუურიალდებოდა, განაბულ მსმენელს კი ეგონა, რომ თვით ის, სკირონი, უყვარდათ,

— იმ საზიზღარი ქაოსისგანაა ყოველგვარი მზაკვრობა, — ჩურჩულებდა ის ქალი, როგორ ნელინელ ბნელდებოდა გარეთ და, მოუთმენელი, ჯერ ან დაბრიყვებული სკირონისგან იკრებდა ძალას, თანაც, ვითომცდა ეფერებოდა, — იმისგან წარმოიშვნენ ცოდვილი გეა — ადამიანთა დამბადებელი...

ნეტავ რად იყო ცოდვილი გეა...

— და სამმაგად ბნელი ტარტაროსი, — კალთისმიერი თავი იმ ქალისაგან უთრთოდა სკირონს, — სპილენძის სამმაგი კედლითაა შემოზღუდული, აჰ, იქ მოხვედრა... — შეშინებული ამბობდა თითქოს, დაიხრებოდა, ყურში ჰკოცნიდა, და აქ მასავით გააჟრჟოლებდა ხოლმე სკირონს, მძლავრ ხელს კისერზე შემოხვევდა, მიწისკენ ხრიდა, შავი მოსასხამისა და შავი ტუნიკისაგან ამოფცქვნიდა, მაგრამ ბნელოდა უკვე, შავივე რჩებოდა ის ქალი, — და საზიზღარი ქაოსისგანვე, ნელა მეფერე, სად გვეჩქარება, წარმოიშვა ქალღმერთი ნიკტი, ღამის მეუფე, ახლა ჩვენია, ჩვენც — იმისნი ვართ, აქ, აქ მაკოცე, — ბნელ კერტზე ნაზად დაიდებდა შუათითს, ამოჰყურებდა, მერე იგივ თითს წარბზე ნაზად გადაუსვამდა, — ეგრე, ჰხოო, ეგრე, ზენ ხომ შვილი ხარ...—და შემკრთალ სკირონს კეფაზე თვრა-

მეტივე თითს დააჭდობდა, მრავალთითება იყო, — არ წამიხ-ვიდე, პკლავები მაგრად შემომხვიე, ნიკტი ჩვენია, როგორ მიყვარხარ, შენი ხელები ჩემი კეთილი ძიძებია, ჩვენც — ნიკტისი ვართ, ჩემი ბიჭი, ჩემო სიცოცხლე, მოდი, გაკოცო, — ხაპავდა როგორ, — უ რა კარგი ხარ... რა კარგი... კარგი...

ატლანტიდაში იზმორებოდა თავად გორგონა, ბნელის მეფუზა.

გვერდიგვერდ იყვნენ, ოღონდ ის ქალი ზურგს შეაქცევდა, გატრუნულიყო ჯერ; ნაკლულად სავსე სკირონი იწვა, მაინც კიდევ რაღაცა სურდა და, როდის-როდის გადმოუტრიალდებოდა ის ქალი, და სკირონს აამებდა — ლოყას გულზე ადებდა, მკერდზე თითებით ეფერებოდა, და მხოლოდ ახლა, ძლიერ ცირე ხნით, ეგებ უყვარდა კიდეც სკირონი, ოღონდ — თავისთვის, მაგრამ მისჯილი სიცრუე შესაფერის სიტყვებს ითხოვდა:

— მე არასოდეს არავინ მყვარებია შენზე მეტად. მხოლოდ ერთი...

— ვინ!..

— შენ, ბავშვობაში...

იბადრებოდა, სკირონი.

— როგორ, მიცნობდი?

— მე შენთან ერთად დავიბადე. შენთვის. ნეტავი როდის გათენდება, არ მიყვარს ნიკტი. შემოვევლე.

სკირონი ძაან გატრუნულიყო და,

— უწმინდურია, — ამბობდა ის ქალი.

— იგი ძალიან უწმინდურია, — ამბობდა მერე, — სხვა ვერავინ იპოვა რომ, იმ თავის ძმასთან, წყეულ ერებოსთან არ გაება ყოველად უწმინდური კავშირი? როგორ მიყვარხარ, ვრცელი ნიკტისა და ღვთაებრივი ერებოსის სწორედ იმ უკანონო... მრცხვენიან, როგორ გითხრა, ჰო — იმ უკანონო საქციელისგან წარმოიშვა ტყუილი, სიბერე, ავი სიზმრები, ბორიტება, როგორ მიყვარხარ, მწუხარება და ბევრიც სხვა უბედურება, ტყუილად კი არაა ქაოსის შვილი, ღღისით მიცვალებულთა სამეფოში დაძრწის, საღამოთი კი, ყველას მირჩევნიხარ, დასავლეთის ჭიშკრით გამოდის, უწმინდურია, აბა რაა, ნიკტი. — ბავეს აწვდიდა, — ერთიც მაკოცე.

ერთსაც ჰკოცნიდა.

— ერებოსისგან ტყუპები ჰყავს, — კვლავაც მკერდზე ფიფქოს მიუყუნდებოდა ის ქალი, — მუდამ თან დაატარებს, ხელზე უზის ორთავე, — სიბნელეში, სრულებით არ ჩანდა სკირონის გულთან ასავსავებული ენა, — პირველი — დიდი თანატოსია, ქვეყნად მოვლენილ არსებათაგან ერთადერთი, ვისზეც არა სჭრის არაკითარი საჩუქარი და ქრთამი. არც ლაპირება და სვეწნა.

— ვინაა ეგეთი...

— სიკვდილის მეუფე. რომ იცოდე, რა ლამაზია — რკინის გული აქვს თანატოსს, არავინ ებრალება, მაგრამ ძალიან ეჯავრებათ ადამიანებს. როგორ მიყვარხარ. შავ ტანსაცმელში გასვეულია, ფრთოსანია, ცალ ხელში ხმალი უპყრია, მეორეში — ასლად ჩამქრალი ჩირაღდანი.

სკირონი დუმდა. — მეც მოვკვდები? — ამბობდა მერე.

აჭიკჭიკდებოდა, ის ქალი:

— არა, რას ამბობ, აჰ, არა, არა, — ახლა ხელებსაც ასავსავებდა, — შენ არა, არა, რადგან ჩემი ხარ, მე ვის გავატან შენს ოქროსკულულებიან თავს, შენ, დიდი-დიდი, ჰიპნოსი მოგერიოს, თანატოსის ტყუპისცალი, ძილით დამპყრობი, ისიც — მცირე ხნით, რადგან გამოიღვიძებ მერე — შენ მოერევი, მანამდე კი, თვალებზე დაგადებს იისფერ ხელისგულებს, რბილად დაკარწევს, სკირონ, სუნთქვას დაგიმშვიდებს, ბურანში წახვალ, ერთი მსუბუქი გაკრეჭილებით ძილში დაგყვინთავს მერე, სიბნელით შეძრულს, თავდასასხსნელად კიდევ უფრო მძიმე სიზმრები დაგაწვება თავს, — წამოიწევდა, დასცქეროდა, კარგად სედავდა ყოველივეს ბნელში, — იძინე, ბრიყვო...

ეძინა, სკირონს, და ის ქალი ენას ყურთან უსავსავებდა:

— ერებოსისა უნდა გახდე, ერებოსისა, გამიგე, ბრიყვო? სიბნელე უნდა ჩაიდგა გულში, და ეგ ოქროს თმაც გაგიშავდება, აბა რად გინდა ოქროსფერი თმა, ქალი ხომ არ ხარ... — და თავის ავ-საცხებელს, ღამურას ტვინს უსვამდა შუბლზე, ძილში დათქმულ სკირონს კი ბუნდოვნად ეგონა რომ, ეფერებოდნენ, იშმუშნებოდა, — მიდი, იძინე, ჩემი ბიჭი, ერებოსის ხარ, დედად გყავს ნიკტი, ძმად გამიხდები, ჩვენისთანებს გშობთ, ვის გაუგია ადამიანის... აჰ, რა სიტყვაა? — უბიწოება,

ჰეპ, და შენი დაბნელებული სისხლის შესანარჩუნებლად, სხვისა სისხლს დაღვრი, თანატოსის მახვილს ჩაბღუჯავ და, იქნევ და იქნევ...

თექვსმეტი წლისა, უკვე გმირთაგმირი იყო სკირონი, და თავისთანებს, ხმლით ჩეხავდა, შუბით ხვრეტდა, ისარს ასობდა, მაგრამ ხანდახან... დაფიქრება მოუნდებოდა. რაღაც ეწვოდა, მაგრამ მცირე ხნით — შებილწული ჰქონდა იმა ქალისგან შუბლი, ფიქრსა და ვაებას, ბრძოლასა და ბრძოლას შუა ნელსაცხებლებით მკვრივი ტანის ზელა და ამო გართობანი არ ერჩია? — ქალებს მოსწონდათ გმირთაგმირი, აიმ ქალზე ბევრად უკეთესებს, ამოლტილებს, თმაუხვთ, მკერდსავსეთ, ჰელიოსის ჟამს იმათ წიაღში იძირებოდა ყმაწვილი გმირთაგმირი, მაგრამ მაინც ის ერთი ქალი უნდებოდა, იმისი ენა, მისი სიშავე — ალბათ, უყვარდა, და შვილიც ჰყავდათ უკვე, ოქროსდალალებიანი პატარა ქალი, ფეხაუდგმელი ჯერ, და სკირონი ერთხელაც რომ მობრუნდა იმ ორთაბრძოლიდან, მოწინააღმდეგე რომ პირველად დაინდო და არ მოჰკლა, მხოლოდ გააქცია, ქალმა ვერ იგრძნო მისი შესვლა იმ ბნელ ოთახში, ბავშვი რომ ეწვა, და იდუმალი სიტყვებით აჩურჩულებული, კვლავ განაგრძობდა თავის საქმეს -- ღამურას ფცქვნიდა, გაოგნებული იდგა სკირონი, და საკუთარ შვილს, საკუთარმა დედამ, ნიკტისეული სიყვარულის ამ მაინც ვარდისფერ ნაყოფს, შუბლთან რომ მიუტანა ბილწი შესათითსნი, სკირონმა უცებ დაიგრგვინა და იმ სიბნელეში ჰელიოსდატეხილი ქალი გამჟღავნდა, სიმწრით გაიკლაკნა და მორცხვად ამოხედა, ბავშვი ატირდა, ხმალშემართულ სკირონს კი შიშნარევი მძულვარეებით ამოსქეროდა ის წასწრებული ქალი, ელდანაკრავს, ენა შიგანში გადაყლაპვოდა და ვეღარ ამოისისინებდა იმ მაცდურ სიტყვებს, ცდილობდა კია, იგრიხებოდა, და მერე, გამოაშკარავებულმა, გამწარებულმა — თავად გველსაც კი არ შეეძლო ამდაგვარი რამ — კლაკვნით დაიხია და, გარეთ გაღოღდა. ბოროტ, გაყიდულ, გადამტერებულ მზერას არ აშორებდა თან.

ის იყო და ის — ქალის იერით აღარ უნახავს სკირონს ის ქალი.

ეპ, სიყვარული არ ყოფილა, არა.

და ყელად გავიდა.

გველს თუ მოკლავდა, ახსენდებოდა, მაგრამ გველები ბეკრნი იყვნენ.

7

ყოვლად ტანჯულო ქალბატონო, დიდო სენიორა ანნა, მანიანი...

თქვენ, მსახიობ ქალთაგან ალბათ ერთადერთმა, სახის შემლამაზებლებს ერთხელ ასეთი გაუგონარი რამ უთხარით: „ნუ დამიფარავთ ნაოჭებს, ისინი მე ძალიან ძვირად მიღირდნენ...“ — ეს ალბათ იმიტომაც, რომ თქვენ მსახიობი და განმასახიერებელი კი არა, თქვენ ნაღდი, ნამდვილი, ყოვლად ნამდვილი ბრძანდებოდით, დიდო სენიორა ანნა, მანიანი, ვულკანოცავ და, ნანეტტა. ვის შეეძლო რომ, თქვენსავით ერთობ ნამდვილი ყოფილიყო ვრცლად შემობურვილ სინაზესა და უსასრულო მრისხანებაში, ან ვის უდუღდა თქვენსავით ზიარ სიყვარულიცა და სიძულვილიც, და არც არავითარი შენიღბვა გჭირდებოდათ, რადგან სიმართლისა და რაღაც უცხოდ აშარი პატიოსნების თავად ბრძანდებოდით განსახიერება, და სხვა რამ უკეთესი რაღა უნდა განგესახიერებინათ, გულადო, მხნევ და, სიყალბის მიწად დამაქცეველო, პირფერობათა მტერო და მასევ, რომაელების თავნება ქალო.

სანამ ოცდათვრამეტისა გახდებოდით — რა თავისუფლად შეიძლება თქვენს ასაკზე ლაპარაკი — თურმე ჯერ იყო და — — თქვენი ქართველი ამას თუთიყუშივით იმეორებს — დიადი ელეონორა დუზეს — ვინ ელეონორა, რა დუზეა? — დრამატულ სკოლაში დაიარებოდით, მერე — პროვინციულ დასთან ერთად დაეხეტებოდით თქვენი სამშობლოს ხან შემხმარ და ხანაც ატალახებულ გზებზე, და ჭეშმარიტი გზის მოსაძებნად, დიდხანს გაწვიმდათ, გათოვდათ, ანნა, მაგრამ ჯერხნობით მკვირცხლ შინამოსამსახურეებს თამაშობდით, ხოლო ტექსტად კი მხოლოდ აი ესა გქონდათ: „სადილი მზადაა, მადამ“ — სუბრეტკობისა გამო, ფრანგულობდითაც, მაშ.

მერე — თურმე ვარიეტეში აღმოჩნდით, სადაც სიმღერებსა მღეროდით და სკეტჩებს სკეტჩაობდით. ხან აცინებდით და

ხან კი უნიჭონი მსუბუქ-სუმბუქ მაყურებლებს, დაჭიანებული სიტყვებით წვალობდით, წვალდებოდით, და თქვენს გვერდით ერთი კაციც ჯახირობდა თურმე, მეტსახელად — ტოტო.

იმასაც კარგა შორი გზა ეღო.

მერე იყო და — რაღაც ნაგავ-ნუგავი მელოდრამული ფილმები, სადაც ძვირფასად გამოწყობილ სახემიბნედილ ბანოვნებს დუნედ ასურათხატებდით, სარკმელთან მიმჯდარსა თუ ტახტზე კენტაღ წამოწოლილს, უნდა გეძახათ — „აპ", უსღა გეძახნათ — „ოპ", და ბრილიანტებთვლოვანი ძალიან გრძელი თითებით ლარნაკში ზარმაცად უნდა გაგეწყოთ სუმბულები და ოლეანდრები, და ისევ ფაფუკად დატენილ ტახტთან მისაკუთებულიყავით უნდა მერე, და ასე ნარნარად მთელ ათ წელიწადს მიმოირწეოდით სარკმელ-საჭვრეტისიდან · · მოსასვენებლამდე, ანდა, პირიქით, და უცებ ოცდაორი წლის განმავლობაში დაგუბებულო, და აშვებულო ძალავ! — ოცდათვრამეტისა, უცებ მეხივით შეგრეგვინდით გრძელრიგიან საპურეში თქვენ, შიმშილისაგან ატირებული ბავშვების გამწარებული დედა — დაუსრულებელი ზრუნვებისგან სახედაჭმუჭვნილი, უთვალავჯერ დაკერებულკაბიანი, ჯღანფეხსაცმლიანი, მამაკაცის წინღებიანი გავეჭებული დედა -- ნამდვილი მანიანი — და შვილების გადასარჩენი ლუკმა-პურისთვის ისეთი ზრიალ-ბრიალი დაათიეთ რომ, ხალხი წონაშიც დაპატარავდა, მაშ. ანდა, ვითომც გატრუნული, როგორ უცდიდით დაგვიანებულ შვილს — ვითომ მტვრისაგან სწმენდდით უბადრუკ ავეჯს, დაბზარულ ნივთებს აქეთ-იქით აადგილებდით ვითომც მშვიდი და, რომ მოიძებნა? — ჰოჰოჰ, ვულკანი! — ლანძღვის ფრქვევებით ჯერ კარგა მიტყეპვა ერთ ადგილას და, ცრემლებიც, რისსვა, სახის დაკოცვნა მერე... რამდენმა ვინმემ დაინახა თავისა თავი თქვენში — ოღონდ ნებაზედ მიშვებული, მონატრებულ ამბოხს ხედავდნენ თქვენში, ნანეტტა, მაგრამ არასდროს, არავის გულის მოგებას არ ითვალისწინებდით, თქვენ — თქვენ იყავით მხოლოდ, მაგრამ ისეთი...

აბა, თქვენსავით ვის შეეძლო მთელ ორმოც წუთს მარტოდმარტოს ელაპარაკა ისე, რომ მაყურებელს ბეზრდებოდით კი არა, თქვენით ედგა სული და მალიმალ ასე ფიქრობ-

და: „ნეტა არ წაგვიყვიდეს...", ანდა, თქვენსავით, ვის ძალუძდა ერთი კინკილა სიტყვის გარეშეც რომ გადმოეცა სუყველაფერი, განცდის შვილობილებს რაც გვაბადია, ხოლო თქვენით ბედნიერ სიტყვებსაც კაპასად თუ გაირეკავდით წინ? — უჰ... და, ამოქმედდით, მართლაცდა ფეხდაუდგამ გზებზე მუდამ გამარჯვებულო მეოცნებევ, მართლაც ყველაზე ლამაზო, ანნა, მაგრამ ერთი ქალური ახირება თქვენც გაიჩინეთ — ბოლო მისხლამდე ულამაზესმა, აიღეთ და საკუთარი ცხვირი, ფეხები და გავა ამოიჩემეთ - არ მივარგაო, განსაკუთრებით ცხვირს ჩააჯინდით და, ალბათ როგორი სანახავი ბრძანდებოდით მაშინ, ნანეტტა, სარკეს რომ აღარ ენდობოდით და ცხვირზე მოკლედ დაიცქირებოდით, თვალებგაელამებული...

თქვენს პირველ ნაღდ ფილმს კი — „რომი ღია ქალაქია" ერქვა. პირველს, აწყვეტილს — სათაურშივე მშობლიური რომი ერია... ცოტათი შემდგომ: თქვენი ლინდა და მადდალენა... მაგრამ, მერე იყო და, მაყურებელს ვაითუ. მობეზრებოდით, ვითომც გამჭრიახმა რეჟისორებმა აიღეს და შელამაზება დაიწყეს თქვენი, თქვენს სილამაზეს რაღად უნდოდა მკერდის ვაღღვა დამატებოდა, ან თქვენს მძლავრ, მრავლისმეტყველ ნაოჭებს მიფუჩეჩება რად სჭირდებოდა, და რამდენიმე წელიწადს იმათი წყალობით ისევ გაჩახჩახებულ ღამე-ბნელში დაიარებოდით, ღამე კი ისევ ბნელი სჯობია, ნამდვილია უფრო, მერე კი საერთოდ აღარ გთავაზობდნენ ვითომც საქმიანი რეჟისორები აღარაფერს ეს თქვენ, მანიჯნის, მძიმე დღეები დაგიდგათ, ანნა, და მერე კი, თითქოს საკვირველია, მაგრამ რეჟისორის ნაცვლად მწერალმა, თანაც არაიტალიელმა, მოწყურებულმა გაგიხსენათ და მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვის შექმნა ნაწარმოები; თქვენც, აიღეთ და, ოკეანეზე გადაფრინდით და პატარა ხანში უმაღლესი ჯილდო — „ოსკარი მიირთვით, ორმოცდაშვიდისა ბრძანდებოდით მაშინ, თქვენს იტალიაში დაბრუნდით მერე, და კვლავ მოსულელო რაღაც როლები და, შვიდი წლით ისევ — თქმა ადვილია — თქვენი ნამდვილი ნიჭის უმოქმედობა, მერე კი — კი, ისევ რომი — თქვენი მწვერვალი — „დეღილო რომა..."

და ისევ, ისევ ბრიყვთაგან მოსჯილი უმოქმედობა, ამჯერად, მეტხანს, და სამოცს კარგა გადაბიჯებული, ცხრა წლით

უმოქმედო კინომსახიობი, ჩამოწერილია, რაღა თქმა უნდა... — და „სამი ქალი!" სამთავეში — ისევ ნაღდი, ისევ დიადი, ნამდვილი მანიანი!, და სანამ ტელევიზიით გადასცემდნენ იმ სამ სიცოცხლეს, ფილმი დაზვერეს, და იყო აუარება რეჟისორის მუხლმოყრილი თხოვნები და ყელის გამოწიწკვნანი, რომ მხოლოდ თქვენ, თქვენ ერთადერთს შეგეძლოთ მათი სანუკვარი ოცნების განსახიერება, და ნუ ეტყოდით უარს რაა, პირველო და მოწყალეო სენიორა, მაგრამ თქვენ უკვე სწრაფი კიბო გღრღნიდათ... და იმ ფილმების გადმოცემამდე, თხუთმეტი წუთით ადრე, მისუსტებული, ტელევიზორის წინ შედარებით მოხერხებულად მოეწყვეთ ისეთ რბილ ბალიშებზე, ასალგაზრდული ხეტიალებისას ძლიერ რომ გაკლდათ, მაგრამ — რა უცნაური გამარჯვება — ფილმის დაწყება აღარ დაგცალდათ, თქვენ უნახავი დაგრჩათ თქვენი ერთ-ერთი... ერთ-ერთი რა... რომელი სიტყვა... „ნამუშევარი" იყოს, და ახლად სამქალიანი მთელი ცრემლდადენილი რომი მიგაცილებდათ სამი დღის მერე, ქვითინსარევი ხმით მოგძახოდნენ: „მშვიდობით, ჩვენო, მშვიდობით, ნანეტტა..." — რომი ტიროდა, ეს.

დიდად, მუდამ და ყოვლად ამაყო, ქალბატონო ანნა, მანიანი... როდესაც ერთხელ, თქვენი ბოლო უმოქმედობისას, თანამედროვეობის ალბათ ყველაზე დიდი რეჟისორი ნახევრად დოკუმენტურ ფილმს იღებდა რომზე, დიდსულოვნურად გაიხსენა რა თქვენი ძველი დამსახურებები, ეპიზოდიც კი შემოგთავაზათ — როგორ ბრუნდებით გვიანი ღამით შინ. და თქვენ, შორიდან ბნელით მოსილი, მართლაც გამოეშურეთ თქვენი სახლისაკენ, სადაც რომ მრავლად შეკრებილიყვნენ რეჟისორ-ოპერატორ-მხატვარ-ასისტენტები გამნათებლებიანად, და კარის სახელურს რომ ჩასჭიდეთ ხელი, იმ რეჟისორმა უცებ ასეთი იმპროვიზირებული, ანუ სახელდახელო რამ, ბრძანა: „უკვე გვიანია. აი, შინ ბრუნდება ქალი, რომელშიც ყველაზე მეტადაა გაჟღენთილი მარადიული ქალაქის სული. ეს ანნა მანიანია. ანნა, გვითხარით რომზე რაიმე". ქალმა კი მათკენ მიატრიალა ტანჯვებითა და ავადმყოფობით დაღარული სახე, უთხრა: „წად-დაიძინე, ფედერიკო, უკვე გვიანია".

და მიიხურა კარი.

ყოვლად ტანჯულო, ძლევამოსილო ქალბატონო, ანნა, მანიანი...

ველად გაქრილი იყო სკირონი.

ველად გაქრილიყო სკირონი ღა, სანამ ფრისკელთა ფრესის მეცნიური გახდებოდა, უფრო უქირდა, არვეს მომწყემსვას ბევრი არაფერი უნდოდა რა, დრო-საფიქრალი ბევრი ჰქონდა და, დაბნეული, ცასა და მიწას შესცქეროდა, რაოდენი რამ იყო გამოუცნობი ქვეყნად, ნეტავი რატომ ბნელდებოდა, ყოფილიყო რა, მუდამ სინათლე, დღე, ან რატომ იყო ზღვის წყალი მლაშე, მღვიმეში წვრილად ჩამონაჟური კი, ამო, რად ვერ ეპოვნა ქარს თავისი გზა, ანდა, ყველა გზა იმისი იყო? — ნელინელ, ფიქრობდა ამგვარად და ასე, მაგრამ მაინც ვერ წაუვიდოდა ხოლმე მთავარ სადარდებელს, თავზე ერთბაშად დაატყდებოდა და, გამწარებულს, მახვილჩაბღუჯულს, მთელი შიგანი ეწვოდა — რომ სიყვარული არ იყო, არა... რატომ არ იყო, ნეტავ! ხომ კარგი იყო და, რატომ ქრებოდა, რატომ ქრებოდა, რატომ არ იყო!.. მაგრამ დროდადრო, სატრფოები რომ ამოუვიდოდნენ ხოლმე მეტრფეს, სიახლოვისას, ხანდახან წამით გაუელვებდა: „არის, კი, არის!", მაგრამ როდესაც წაუვიდოდნენ, ისევ, მტანჯველი — „არ იყო, არა..." — თავიდან, ყმაწვილს, მხოლოდ თეთრწვიანება ელადელი შხვართი ქალების გათავისება და თვალთა ციცინი ეგონა სიყვარული და, აღარ ახსოვდა, იქ, ხეგარაში, მკერდუსვა ქალს მიბარებულ თავის შვილს, გოეოს, როგორ დაბრუნავდა შორიდან — რაღაც უცსოდ შეძრული, აფორიაქებული, ყველსა და ხორცს მგზავრების ხელით უგზავნიდა, და სკირონისთვის ეს საქციელი მოვალეობა იყო მხოლოდ, მაგრამ უცნობი, ბუნდოვანი შვებაც ამა საქციელს ბედნიერებად ემოსა, და მაინც, სიყვარულისა ვერა გაეგო რა და, თავგზააბნეულს, ისევ ცისა და მიწის ცქერა ერჩივნა, ნეტავ რად იყო ზოგი ხე მსსმოიარე, ზოგი კი — არა, ან ღამეს სად ათევდა ნეტავ ჰელიოსი, ეგებ, სულაც, ზღვაში ლღვებოდა? — იქნებ ჰელიოსი ერთი კი არა, ყოველი დილით მორიგი და ახალთახალი იყო, ვინ აგზავნიდა...

ნუთუ, ღმერთები. თავისი დროის მბრძანებლები არ უყვარდა კი არა სკირონს, იმათზე ფიქრსაც ერიდებოდა, არც ერთ

ჩათგანთან არ ჰქონია არასდროს საქმე, მიუსედავად იმისა რომ, იმათ ყველაფერში ცხვირის ჩაჩრა ძლიერ უყვარდათ. ერთი, ღრიალა პოსეიდონის შავკულულება გაავებას თუ ხედავდა და, ხანდახან კი, უნებურად ახსენდებოდა რომ... მაინც როგორ დაითრიეს საუკეთესო სუყველაფერი — მაღალ ოლიმპოზე ელოთ ბინები, მრავალრაშიანი ეტლებით დაგრიალებდნენ, სადმე პირუტყვი თუ დაიკვლებოდა, საუკეთესო ნაჭრებს თითის გაუნძრეველად ითავისებდნენ; მოწყალების თვალით რომ გადმოეხედათ, მსხვერპლსა სწირავდნენ რიგითი ადამიანები იმ ღმერთებს, რომლებშიაც რომ ვინ ვისი ქმარი და მამა იყო, რომელი რომლის დროებითი თანამეცხედრე, რას გაიგებდი, განსაკუთრებით ნერვებპარლილი იყო იმდროინდელი უცნობი „მმაჩის" ძალით გატარებული ზევსის ოფიციალური მეუღლე პატივმოყვარე ჰერა — აბა, თავმოყვარე და, დაქიჩმაჩება? ზევსი კი — მიდიი, რას დაგიდევდათ: არჩევანიც — მას, არადანიც — მას, და სიწუწკეში მაინცდამაინც კი არ ჩამორჩებოდნენ პოსეიდონი, აფროდიტე პანდემოსი, არესი, ჰერმესი და ასე...

ეჰ, სიყვარული არ იყო, არა, მაგრამ, ერთსელაც, ერთმა ხნიერმა, უიარაღო ბრძენმა ჩამოიარა.

— სკირონი ხარ შენ, ველად გაჭრილი?

— სკირონი ვარ მე. — ვერ იყო, რაღაც, ხასიათზე, — შენ ვიღანა ხარ?

თავი შემართა მოგზაურმა, თქვა:

— შორითსაჩინარი სალამინია სამშობლო ჩემი, და ფიცხელწარბებიანი კიქრევსი ვარ მე, სალამინელი მეფე, ბრძენი და გმირი.

— კიქრევს, ღვთაებრივო, კიქრევს, — გულზე ხელი მიიდო და თავი მძიმედ დახარა სკირონმა, — მთელს ელადაში სახელგანთქმულო გმირო, მეფევ და ბრძენო, — და წესისამებრ მიაყოლა, — დაე, მეხთ-ამტეხელი ყოფილიყოს შენი მფარველი შემწე.

— არის კიდევაც.

დუმდნენ.

ორთავე გრძნობდა, საღად რომ ვერ ალაპარაკდნენ. ეუხერხულათ, ეს.

— რად მოგიწყენია, ღმერთების სადარო, სკირონ.

სკირონმა წამით შეხედა, თავი ჩაღუნა, თქვა:

— ღმერთების სადარი არ ვარ.

— რატომ...

— არ მინდა, ვიყო.

— რატომ?

სკირონმა თავი შემართა, სახელგავარდნილ ბრძენს თვალი გაუყარა თვალში, უთხრა:

— ჩვენი ღმერთები კარგები რომ ყოფილიყვნენ...

— სსუ!.. — მიმოიხედა კიქრევსმა, —ცოტა ხმადაბლა ილაპარაკე, — და მიაჩურჩულა, — კარგები რომ ყოფილიყვნენ... მაშინ, რა?

— მაშინ სიყვარულიც იქნებოდა.

გაკვირვებული შესცქეროდა ბრძენი კიქრევსი.

— და რა — არ არის?

— არა.

— როგორ არ არის!

— სადაა, აბა...

იქვე მიიარ-მოიარა დაფიქრებულმა ბრძენმა, მერე შეჩერდა, შეხედა, უთხრა:

— ოქროს ზოდი მაქვს ერთგან ჩაფლული, შენ ეს იცი?

— არა.

— და, რადგან არ იცი — არ არის, არა?

რა ეპასუხნა...

— საით მივდივარ, რად არ მეკითხები.

— საით მიდიხარ...

მხრები ამაყად გაშალა კიქრევსმა:

— ფიცხელფილაქნიანი ელევსინია საბოლოო ქალაქ-მიზანი ჩემი, რადგან იქ, დემეტრას ტაძარში სამუდამოდ უნდა დავრჩე.

სკირონმა ცოტა დაიმორცხვა, ხმადაბლა იკითხა:

— დემეტრა, ვინაა?

— მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმეობია, სკირონ. არ იცოდი?

— არა. და მართლა სამუდამოდ უნდა დარჩე?

— ჰო. და არც გამოვალ ტაძრიდან არასოდეს.

— და... როგორ ვასძლებ?

კიქრევსმა მკლავი გააზმორა, თქვა:

— ადამიანად რომ დავრჩე, მარალა ვამიჭირდებოდა. მაგრამ უნდა გარდავისახო.

— რად...

— გველად.

— რადო!!

— გველად.

მახვილისაკენ გაექცა ხელი, მაგრამ კიქრევსმა დინჯად მიმართა:

— გველი მაშინაა საშიში, სკირონ, თუკი სხვა რამ სულიერი ურევია. მერცხალი, თუნდაც. ხომ?

მხრები ჩამოეყარა სკირონს, მოიკუნტა.

— უსხვარამისოდ, გველი ბრძენია.

რაღაც ჩამოებურა ასაზდად სკირონს, რაღაცადგვარი მძიმე სინათლე.

— ყური დამიგდე. შენ რომ გგონია, სიყვარული მხოლოდ ის არაა, მე რომ დემეტრას ერთგულ გველად უნდა შევუდგე, და სულ მიწაზე უნდა ვიღოღო, სიყვარულია, ისიც.

სულმთლად გაბრუვდა უცებ სკირონი რაღაც ახალი, მანამდე ფარული ცოდნით — რა იცოდა თუ, თვალთინათინას მცირე მისხალი რომ ჩაესახლა:

— სიყვარული თუ, თაყვანისცემა...

— ორთავე ერთად. მიწას დახედე, კარგად დააცქერდი, სკირონ. როგორ ამოდის ხორბალი, იცი? — დემეტრას მადლით. რა ღმერთქალია... სასაწაულთმოქმედი. და გველიც მხოლოდ იმისია.

— ხეზეც რომ ადის?

— ხეც დემეტრასია, სკირონ. და მიწის მცურავი მიზნისკენ თუ წასრიალდება, შენსავით მხოლოდ ფეხისგულებით კი არ ეხება მიწას, მთელი სხეულით — იმისია. რა ღმერთქალია... უხვი, მოწყალე. თვით მრავლადკეთილი ზეესის მკვიდრი და გახლავს.

კიქრევსსაც, იმდროინდელ ბრძენსაც, თვალთინათინას სხვა მარცვალი ამეტყველებდა.

— მაშინ ჰადესის დაც ყოფილა.

— რაღა თქმა უნდა. დიდი ქალღმერთი აქ, ზემოთ, კია, ეაგრამ სიბნელიდან ამოჰყავს შორეული კვირტიც. და რა ერთგული ქალიშვილი ჰყავს, მცირესიღრმიანი მიწის მეუფე, როდესაც...

— ვინ, პერსეფონე?

რეებს ამბობდა, უცნობ რამეებს... შუბლი უსურდა.

— აღარ დამაცლი? -- ეაწყრა კიქრევსი.

— პრძანე.

— დედა-დემეტრა უსვსსეულა პერსეფონეს არ იცილებდა, სკირონ, მაგრამ ჰადესი, მიწისქვეშეთის მბრძანებელი, რის ჰადესია, მოიტაცა და ცოლად დაისვა. ძალისძალათი ეადაყლაპა ბროწეულის ტკბილ-მომჟავო მარცვლები — ურღვევი ცოლქმრობის ნიშანი. გამწარებული დედა-დემეტრა ცხრა დღესა და ცხრა ღამეს ამაოდ დაეძებდა თავის ერთადერთას, და მხოლოდ მეათე დღეს ყოვლისმნასველი ჰელიოსისგან, ახლაც რომ დაგვნათის, შეიტყო რომ მისი ქალიშვილი მიწისქვეშეთის მბრძანებელს ჰყავდა. განრისხებულმა დედა-დემეტრამ თავის ღვთაებრივ უფლებებზე მაშინვე აიღო მსახვრელი ხელი, და მარცვლები ჩამოსცვივდა ვაზს, ჯეჯილი შედგა, არ ღვივდებოდა აღარაფერი, და შემოძარცვულ ადამიანებს ხორცის ჭამის ეარდა რაღა დარჩენოდათ, მაგრამ ბალახიც დამჭკნარიყო და სულთმობრძავი მოკვდავნი ველარ სწირავდნენ უკვდავებს მსხვერპლს და, მრავალმოწყალე ზევსის ბრძანებით ბნელმა ჰადესმა შავად მონაფერები პერსეფონე ისევ დაუბრუნა მაღალ ოლიმპოს, დემეტრაც — აღდგა, მრავალნაირი უხვი ნაყოფი ისევა გვაქვს ჩვენ, ახლოდსაჩინარ ადამიანებს, ოღონდ ჰადესის ერთი პირობა მაიწც სრულდება — წელიწადის ერთ მოწყენილ დროს იმასთან უნდა იყოს დიდად ფერადი პერსეფონე, და მთელი ბუნებაც მაშინ იძინებს, ყოვლად ყეყეჩი და უნაყოფო მარად მწვანე ზცენარეების გარდა. ზამთარი არის ესე დრო, სკირონ. ყოვლადმოწყალე მეხთა-მტეხელი ყოფილიყოს ჩვენი მფარველი.

— ახლა, მეცა ვთქვა? — მთლად დაიძაბა უცებ სკირონი, აცახცახებდა.

— თქვი.

სკირონის თავზე ირაოს ირაოზე ჰკრავდა უცხო ფრინველი.

— ეგ შენი ზეუსიცა და დედა-დემეტრაც და-ძმისაგან წარმოიშვნენ და, შენი კეკლუცი პერსეფონეც ზევსისა და დემეტრას — და-ძმის შვილია, ხოლო იმისი ბროწეულმარცვლება ,ქმარი, ჰადესი — მკვიდრი ბიძია გახლავს ცოლისა, და რა დავუჯერო ამ... — აქ, საოცრებავ, დიდად უცნობი სასწაული რამ მოხდა — ნედლი მეცნაურობით შემობურვილმა სკირონმა ელადელთათვის ყოვლად ახალი სიტყვა წარმოსთქვა: — გარყვნილებისა!, და იმათ პირმშოს, რა დავუჯერო!

და ძლიერ ჩუმად დაუმატა:

— თუკი ასეა.

და კიდევ უფრო ჩუმად დაამატა:

— ეჰ, სიყვარული არ არსებობს.

— როგორ თუ არ არსებობს, სკირონ... და მრავლისმოწყალე ზევსმა დემეტრა კვლავ რომ დაგვიბრუნა ადამიანებს, ეს სიყვარული არაა, განა?

— არა, არ არის! — ისევ იფეთქა, მეცნაურობა შეეყარა, და სჭირდა, — ჩვენზე ზრუნვით არ მოსვლია ეს, რადგან შენს ღმერთებს ადამიანები ისევ თავისთვის უნდათ, პატივისცემა რომ არ მოაკლღეთ და ზვარაკი.

დაფიქრებული შესცქეროდა ბრძენი კიქრევსი. უთხრა:

— კარგი, მე მოგცემ შენ სიყვარულს. ოღონდ, იცოდე...

— რა, შენც ღმერთი ხარ? — შეცბა სკირონი.

— აღარ დამაცლი? რა წესია წამდაუწუმ გაწყვეტინებას!.. — მაგრამ უცებ დამშვიდდა, წყნარადა თქვა: — ღმერთთაგანი არ ვარ, მაგრამ ქალიშვილი მყავს ერთი, ტირო, და იმას მოგცემ. ლამაზია რომ? — როგორც არავინ. და სათნოცაა. და სიყვარულიც ერთბაშად მოგივა, დაიჯერებ სიყვარულს, სკირონ. ოღონდ, იცოდე, წყალი იქნება შენი ყველგან ჩასაფრებული, გატრუნულად ვერაგი მტერი, რადგან მიწათმრყეველი პოსეიდონის ვაჟი ვარ თავად მე, სალამინელი ბრძენი, მეფე და გმირი, და ჩემს ქალიშვილს, შენ რომ სიტყვა თქვი, გარყვნილებაო, გარყვნილებისკენ უნებური ლტოლვა ექნება, რადგან პოსეიდონის სისხლის წვეთები იმაშიც ბრუნავს. წყლისა და მიწის ჩამომავალია ჩემი ტირო და, რადგან მიწისაცაა, წყალი ხარბად მოესატრება. თვითონ — არ იცის არაფერი. და უნებური ლტოლვა უნდა შეუნდო, სკირონ — რა

ქნას იმანაც, ჩვენს დროში ცხოვრობს... მერე კი, მაგ შენმა სიყვარულმა თუ გიმტყუნა, ეგებ სხვაგვარიც მიმოიძებნო.

— მაინც, როგორი...

— დემეტრასი, ვთქვათ.

— არა მჭირდება. მე არვე მარჩენს.

— შენი არვე კი ბალასსა სძოვს. იცოდე, სკირონ, ჩვენს ღმერთებს მაინცდამაინც ნუ შეაგინებ, ხმამაღლა მაინც — ასეა თუ ისე, რანიც არ უნდა იყვნენ, იმათ ხელში ვართ.

— არა.

— გაჩუმდი, სკირონ. — და გაახსენდა: — შენც ვერაგი ხარ.

— რატომ...

— აკი დემეტრა არ ვიციო, თავიდან თქვი და, მეც დაგიჯერე და, იმისი მთელი ასავალ-დასავალი კი მშვენიერად გცოდნია.

— არა, ეს ისე...

— როგორ თუ ისე...

— არ ვიცი, რაღაც ჩამესახლა.

— ეხლა?

— ახლახანს, კი.

კიქრევსმა მხარზე დაადო ხელი.

— კარგი, წავედი. ჭკუით იყავი. მაგრამ შენ რომ გინდა, ისეთ სიყვარულს ჭკუა განა მოეკითხება... კარგად იყავი.

— მშვიდობით გეელოს. წარმატებით გადაგელახოს ქვიშამრავალი უდაბნოები და ფერდებგანიერი უხვად სანდო ხომალდით კეთილად გემგზავროს ღვინისფერ ზღვაზე, და მამაშენიც ყოფილიყოს შენი მფარველი.

— გმადლობ.

და აქ კი სუნთქვა შეეკრა სკირონს:

— მართლა მიბოძებ?..

— ჩემს ქალიშვილს? რა ვიცი, აბა...

ჭოჭმანებდა, კი.

ეგება, მართლა გადაიფიქრა, რადგან იმსახელიანი არავინ ჩანდა. ისე კი, რანაირიღა არ გადაყრია, მაგრამ ქალები მასთან ყოფნით ოდნავ რომ მოიოხებდნენ სხეულს, პატარა ხან-

ში სხვაგან წაუვიდოდათ ხოლმე მოწადინებული გონება და ბული — გმირთაგმირებზე გმირ თეზევსს თვალმიბნედილნი აქებდნენ ხოლმე. თურმე, აჰ, თურმე იმას მარათონის ხარი ცოცხლადაც კი შეუპყრია, თურმე იმას უდანამაულო მგზავრთა რისხვა — ხელკომბლიანი ცნობილი პერიფიტე მოუკლავს, თურმე იმას მუდრეგი პიტიკამპე თავისივე დრეკადი ფიჭვებით შუა-გაუხლეჩია, თურმე იმას კრომინიონის გარეული ღორი ფეა მოუშთვია, თუმც ზოგიერთი მოგზაურის აზრით ფეა ღორი კი არა კაციჭამია დედაკაცი იყო, თურმე იმას არკადიელი ბუმბერაზი კერკიონი მიუსიკვდილებია, თურმე აიმას სახელცუდადგავარდნილი პროკრუსტე მისსავე სარეცელზე მიუბრედია, კიქრევსის ასული კი არა და არ ჩანდა.

მაგრამ თეზევსის ყველაზე წარმატებული გმირობა კრეტაზე ჩადენილა. თურმე, სადაც ჯერ თვით მძვინვარე ტავროსისთვისაც კი უჯობნია, რის გამოც ხრიკთამცოდნე არიადნეს შეჰყვარებია (მას ის, თეზევსი), მერე ყოფილა და, საშინელება რამ — ხარკაცა მინოტავრიც კი აუღელვებელის ხელით დაუკლავს, და ეგზომ შეყვარებული არიადნეს წყალობით ლაბირინთიდანაც კი გამოუღწევია, მაგრამ მერე თმა და ყველაფერმშვენიერი არიადნეც მიუგდია; და ამ უმადურობას რატომღაც განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნავდნენ სკირონისგვერდა და მაინც სადღაც შორს, თეზევსთან თამამ-თამამი ოცნებით მყოფი ქალები, და სკირონმა, დროდადრო მეცნაურმა, იცოდა რომ იმჟამად, რამე ყოფილიყო, თეზევსი დაამარცხებდა მას.

ისე კი, ხშირად იყო მარტო, და მიწას უფრო აკვირდებოდა, რადგან ჭახჭახა ელადური ცა თვალებსა სტკენდა. მიწა რა — ალაგ ფსვიერი და ალაგ ქვიანი იყო, ბზარები ჰქონდა, დანაწვიმარზე რბილდებოდა, იგლისებოდა, შრებოდა მერე — დიდი ამბავი. ხანდახან ხვლიკი თბებოდა მზეზე, მრავლისმნახველი ჰელიოსის მცხუნვარე გულზე ისიც სრუტავდა თავის არჩივს, და ამ თათებშეძენილ საოამაშო გველს სკირონი თუკი უნებურად წაადგებოდა, ღამფრთსალი ხვლიკი ყოჩაღად და წყვეტილ-წყვეტილ მისივსივებდა, საითკენ ჰქონდა ნეტავი გზა, და ერთხელაც, დიდი მოცლილობის ჟამს, სკირონმა აიღო და ხვლიკს გაედევნა. იმასაც, თითქოს ეს უნდოდა

— თუკი საკმაოდ ვაეცლებოდა, ხევდებოდა და გაჩაჩხულ თათებს დაყრდნობილი, შემართულ წვრილ თავს მკვეთრად მიიბრუნებდა და ამოტრიალებული ცალი თვალით გამოსცქეროდა სკირონს. მერე ისევ — გზა, რამდენნაირი, რადარაგვარი, და კარგა მოშორებით, ლელიანში, ტლაპო თუ წუმპე იყო რაღაც, სწორედ იქითკენ წაცასცასდა სკირონის მსვლივი, და ბავშვივით კვალდაკვალა სკირონს დაეზარა ფეხების დათხვრა, შემობრუნდა კიდეც, მაგრამ უეცრად სუსტი რამ კვნესა შემოესმა. მოეჩვენა თუ... არა, ისმოდა. იქით შებრუნდა, ხვლიკი აღარა ჩანდა, სადღაც დაინთქა, და უიმისოდ, დროდადროითი კვნესისაკენ დროდადრო, წელანდელი მეგზურივით წყვეტილ მიეშურებოდა ფეხისწვერებზე შემდგარი სკირონი, უფრო და უფრო ახლოდან ისმოდა თითქოს, და მორიგ კვნესა-ნიშანს გაფაციცებით მოელოდა. ტალახში როგორ შეაბიჯა, არც გაუგია, საკვირველებავ, არავინ ჩანდა, იდგა, იცდიდა, და ახალი კვნესა იქვე, თვალწინ რომ ამოესმა, დაიხედა და იქავ, ფერხთით, ღონემიხდილი, ძლივსგაპობილი ბაგე იხილა, და ორი თვალი, — ამოჰყურებდნენ, სხვა არაფერი არ მოჩანდა, გადაეფარნა ტალახს. სკირონი თვალებს დასცქეროდა, სუნთქვა შეკვროდა, გული შეკუმშვოდა, და ერთხელაც რომ ამოაკვნესეს, აქ. დაიხარა და ჯერ სათუო ზურგი მოუძებნა, მერე — საეგებისო ფეხები, აიყვანა და, ტალახით მთლად შემოსილი რაღაც არსება მსსნელი ზღვისაკენ წაატატა, რა, რა მიჰქონდა, ვინ იყო ნეტავ, რა სულიერი, როგორ უნდოდა იმისი ნახვა, ძლიერ ხელებზე მომაკვდავი ნიმფა ჰქონდა თუ, იქნებ, დაჭრილი ამორძალი, ეგებ — ქალღმერთი იყო სულაც და, მკერდამდე რომ შეტოპა ზღვაში, ცალი ხელისგულით მაგრად მიიკრა, მეორეთი კი ჯერ ღონივრად ბანდა, მაგრამ რაღაცა ჯილდონაკვთები უმზეურდებოდა ხელთ და, გაუნაზდა სკირონს ორთავ ხელისგული, და მერე თავი ჩააყოფინა თბილ, ნეტარ ზღვაში და იმისი სახეც რომ განბანა, ამოზიდა და, ქალი შერჩა, მაგრამ რა ქალი... როგორც არავინ, როგორც არასოდეს! ის კი ღიმილით შესცქეროდა, უღიმოდა მას, გადამრჩენელს, ეულ სკირონს, შეჰღიმოდა მას, რამდენადაც დიდად სასომიხდილს, შეეძლო ეს და, დაბნეულობაგადაყრილმა, გამხნევებულმა სკირონმა, უთხრა:

— მე სკირონი ვარ.

— ჰო. — სუსტად დაეთანხმა ქალი.

— და შენ... რა გქვია.

— მე კიდე — ტირო.

ასე ძოვიდა.

სკირონი იდგა მკერდამდე წყალში, ტიროს კი ზღვა ყელამდე სწედებოდა, ტალასშემოცლილ უეცარ განძს მოხიბლული შესცქეროდა აქამდე ყველასთან მაინც მარტოხელა, კენტი და ცალი, ძლიერ ეული, და აწ კი დიდად გამდიდრებული, ადამიანიანი სკირონი, და სიტყვები თუმც არ იცოდა, მთელს ბრგე სხეულში ბედნიერებად ერწეოდა რომ, რომ სიყვარული... არის, კი, არის, და მონაპოვრის ცალ თვალლოყაზე ჩამოშლილი მბზინავი ტევრი — განძის უხვი თმა, სადაც რომ ყოველი ღერი მაინც მკაფიოდ გამოირჩეოდა და თავისთავადობა ჰქონდა, თლილი ყელისკენ გადაუწია, მერე ისევ სველ ლოყაზე დაადო სველი, მადლიერი, ბგერებივდთ ამეტყველებული თითები, და მერე უცებ გაახსენდა! — „წყალს მოარიდე“, და ნაპირისკენ მკვეთრად უბიძგა, იქ, კი, დაბნეულს, გაკვირვებულს, დამფრთხალსაც კი, ისე გაუღიმა, გადაავიწყა წელანდელი, მერე ძლიერი ხელი ჩასჭიდა ნატიფ ხელში და, ასე, ხელისელჩაკიდებული, თავის მღვიმეში შეიყვანა და, ჯერ დაანაყრა.

ტირო ქალი იყო... ტირო ქალი იყო ტან, ფეხ, კოჭ, სასე, თმამშვენიერი, თეთრად მკერდსავსე, ლამაზწეივება.

გათენებისას, როცა ვარდისფერთითებად წოდებული ეოსი ერუანტელს მოჰგვრიდა არეს, და მის კვალდაკვალ როცა მძიმედ ამოცურდებოდა მაღლითმოარული ჰელიოსი, ტირო თამამად უსწორებდა მზეს ორთავე თვალს, და, დილდილაობით, მონაცრისფრო თვალები ჰქონდა. თუ მზე მაღლა იდგა, მრავლისმნასველი ჰელიოსი, და თეთრად აბზინებდა კლდეთ, ტიროს თავი დაეხარა და, წამწამებით ჩრდილდაფენილი, მწვანეთვალება იყო. ხოლო თუ შებინდების ჟამს, მოსაღამოებულზე, ზღვას მიაპყრობდა სევდიანსა და ნელინელ თვალებს, მოიისფერად მეტყველებდნენ მდუმარებაში ტიროს თვალები მაშინ, და აღარ იცოდა მეტრფემ იმისმა, სკირონმა, ტიროს

ცვალებად თვალებთაგან რომელი ერთი რომელ ერთს სჯობდა... თვალთმაქცი იყო?

რისი თვალთმაქცი!.. ისე იცოდა ტირომ მოლხენა, როგორც არავინ, წკრიალებდა და სკირონს, გმირთაგმირს, ბეკეკოსავით დაარბენინებდა ფერად მინდვრებზე, რადგან დაჭერობანას ლაღად თამაში ძლიერ უყვარდა, წმინდა ხვითქი გადასდიოდა. ფეხმარდი იყო, და სკირონი ძლივას იჭერდა, და ქვედა ტუჩზე, თვალებდასუჭულს, ორჯერ ჰკოცნიდა.

ტირო ტანადი ქალი იყო, თავად სკირონს ნიკაპამდეც კი სწვდებოდა. და მაინც — ანცი...

მამაკაცი და ჭაბუკი იყო სკირონი მაშინ, ნაპოვნი ტირო — ქალი და გოგო, და ერთმანეთი მუდამ უნდოდათ. მოუწველავი რჩებოდა არვე.

მოხდენილს, ტანადს, ხანდისხანობით თეთრი და მოკლე ტუნიკა ეცვა.

რაღაც უნდოდა ასლა... ზაფხული იდგა ელადაში, და მხოლოდ მრავლისმნახველი ჰელიოსი მწველად კი ჩამოპყურებდა იმის სიშიშვლეს, მაგრამ მაღლითმოარულის მზაკვრობა ვის გაეგონა, სანდო იყო, კი, მაყურებლადაც — ღირდა, მაგრამ მეზავრი-ვინმე თუ ჩამოივლიდა, ჯერ შორიდანვე მოჩანდა ხოლმე, და მღვიმისაკენ მიანიშნებდა ხოლმე ტიროს ერთბაშად გამკაცრებული სკირონი, ტირო ბნელეთში შედიოდა და, მოუსვენრად იცდიდა, წრიალებდა, ხანდახან მაინც გამოსძახებდა:

— აღარ ჩაიარა?

— სსუ...

— რა, მოტყდა ფეხი?

დიდი დაუდგრომელი ქალი კი გახლდათ, მართლაც შესაყვარებელი: არაფრის თავი და ბოლო იმან არ იცოდა — სრბოლით გადაღლილი, აქოშინებული, სადმე ხის ჩრდილში, დღისით-მზისითაც კი, მოიძებნიდა ხოლმე ღამეულ ჰიპნოსს, მაგრამ მისი სიმუქე რას დააკლებდა — სახე ვარდისფრად უღვიოდა, თბილად სუნთქავდა, ნაკოცნი ბაგე ამობურცვოდა და, ხელისგულზე ლოყადადებულს, ისე ეძინა, ისე პატიოსნად წარნარებდა, ვინ იფიქრებდა რომ პატარა ხნის აქეთ მთელ იქაურობას სულმთლად იკლებდა.

სკირონი კი იმის გაღვიძებამდე ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა, და მინდორ-ველად დაიარებოდა გაბრუებული, გახარებული, ბედნიერებით პირთამდე სავსე, — რომ სიყვარული იყო, კი, იყო, და მაღალ ღმერთებს დამორცხვებულ თაყვანსა სცემდა, ტირომდე ხომ აღარაფერი სწამდა მათი, მათ კი სცოდნიათ მწყალობლობა და მერე როგორი, და, მადლიერი, უცნაურ ძღვენს — ყვავილებსა და ბალახს სწირავდა მაღლით-მგრგვინავ ზევსს, და მართლაცდა ციურ ურანიას, და ღვთის ნაპერწკლის მომნიჭებელ მტანჯველ აპოლონს, და ჩირაღდნიან არტემიდეს — შვილიერების მფარველ ქალწულ ღმერთს... მცენარეულიც, იმისი იყო.

და იქამდეც კი ბრუვდებოდა ხოლმე სკირონი, რომ ეს ყოფილი გმირთაგმირი ფერად-ფერადი ყვავილებისგან გვირგვინსა თხზავდა, თავზე იდებდა, და დამწყები მეცნაურისა აღარაფერი ეცხო — მხოლოდდამხოლოდ, თავისი ტირო, და იმის მომვლენთა თაყვანისცემა ახსოვდა — ორთავე მუხლზე დაჩოქებულს, თვალებს აღარა სტკენდა ელადური ცა. ტირო კი, დღისით კარგა გამოძინებულ-მოსვენებული, შუაღამობით იღვიძებდა და, კუნაპეტში, მოუსვენარი, გადაბრუნდებოდა, გადმობრუნდებოდა, ხან ხელს აიშვერდა მაღლა, ფეხს ფეხზე გადაიკვანტილებდა, თითებს აითამაშებდა ღაწვზე, მაგრამ ვერაფერი შველოდა, მაინც მოიწყენდა, მოოიიწყენდა და, ოჰ — იქვე არ ჰყავდა? — ჰიპნოსის ბნელი მოსასხამით შემობურულ, რუხი მეუფით დამძიმებულ სკირონს ისუბუქად, თითისგულით უკაკუნებდა.

— რა იყო... ა... ვინ... — იშმუშნებოდა სკირონი.

— რაღაცა მინდა, სკირონ, გკითხო.

— ა... მიდი.

— ჯერ გადმობრუნდი.

გადმოუბრუნდებოდა.

— ეხლა, ჯერ ჩამიხუტე.

იხუტებდა და, ესმოდა მერე:

— შენა, რა გქვია?

ემასხრებოდა, ემასხრებოდა, მაგრამ პატარა ხანში მასხრობისათვის სად ეცალა. ავხორცი კი სულაც არ იყო.

მაგრამ ხანდახან უცნაური მოწყენაც იცოდა. სხვაგან წა-

სული, დაფიქრებული იჯდა ხოლმე, სად სხვაგან წასული — თავადაც არ იცოდა, მაგრამ ზეზემდგარ სკირონს ჯერ შიშნარევად ეკუმშებოდა მამაცი გული, მერე კი სკირონის გული რესისა შკრებოდა:

— რა იყო, ტირო.

— რაღაცა მინდა.

— მაინც რა...

— არ ვიცი.

მერე კი, ბავშვიც იყო და, თავისით იტყოდა:

— მეორი მწყურია.

არაფერს იმჩნევდა სკირონი:

— აჰა, მაუალო.

ტირო კი ერთს ამოსედავდა და, უფრო სევდიანდებოდა:

— ეგ რა წყალია.

პატარა ხანს უმძრახად იყვნენ, მერე ცოტათი კაპასდებოდა ქალი, თავს ასწევდა და შორიახლოს ადგარს, დაგუბებულ სიტყვებს ტკივილნარევი საყვედურით მიახვავებდა:

— რად არ ხასმევ წყალს, ვერ გამიგია, ა... ხე რომ ხენ, იმასაც უნდა, და მე რატომ მსჯი, რა დავაშავე რომ...

— კარგი, დალიე.

დოქით აწვდიდა...

— ტუჩს ნუ მიადებ!

— რა დაგემართა...

— არაფერი.

— აბა, ისე როგორ დავლიო...

— კარგი, — ამბობდა სკირონი, მაგრამ ტირო წყალს ისე ხარბად, ისეთის ნდომით სვამდა, გულამომწვარი შებრუნდებოდა. ესმოდა, მერე:

— ტანსაც დავიბან, კარგი?

მაგრამ ტანს არ აბანინებდა. ჭინჭებს უსველებდა, მაგრად გაუწურავდა ხოლმე და იმითი ისეებოდა ფაქიზი ტირო.

მაგრამ ერთხელ, უნებურად იყო თუ რა, დოქიდან ნიკაპზე ჩამოეღვარა წყალი. ძალიან შეკრთა და შესამშრალებლად წაიღო ხელი, მაგრამ გზაშივე შეაჩერა, ძაან გახევდა, ვიწროდ მაცდურმა ზოლმა კი მისი თლილი ყელი რომ ჩაიარა, მკერდშუა ცოტათი შეყოვნდა და მერე, ქვემოთკენ ჯიუტად რომ

ჩაუყვა, სკირონმა სასწრაფოდ წამოავლო რაღაც ჭინჭს სელი და ისე მწარედ უხახუნა, სალუქი კასი მთლად გაუწითლა.

— რა დაგემართა...

სკირონმა კი იმის თეთრ ტუნიკას ღაავლო გამწარებული ხელი და, უთხრა:

— აჰა, ჩაიცვი.

— არა მცივა.

— ჩაიცვი-მეთქი.

წყალი მღვიმეშიც მოჟონავდა და, ნესტიდან შორს, ველად გაჰყავდა ხოლმე ტირო, მაღლითსანდო ჰელიოსის თაკარა გულზე, მაგრამ, ერთხელ, ისეთ თავსხმაში მოხვდნენ... კვლავ მღვიმისაკენ გამოაქცუნა, ტირო ერთხანს კოხტად გარბოდა, მაგრამ მერე, უნებურად იყო თუ რა, წაიქცა ქალი... იჭმუსნებოდა, და კვნესოდა. ტკივილისგან თუ... ველარა დგებოდა. სკირონმა სწრაფად აიყვანა, ტიროიანა მირბოდა, და ქალს ნდობით კი შემოეხვია დაძარღვულ კისერზე ხელი, მაგრამ აწვიმდა. მღვიმეში თუ შეამშრალებდა, მაგრამ მღვიმემდე შორი იყო, კვნესოდა ქალი.

ყოველთვის ერთკენ მიჰყავდა ხოლმე, რადგან მეორე მსარეს ბორცვი იყო, იმის გადალმა კი... მაგრამ ტიროს მუდამ იქით მიუწევდა მზერა, გული და გრძლად ჩამოქნილი ფეხები; ეკითხებოდა:

— იმ ბორცვს, რა ქვია.

იმზირებოდა, კითხული.

— სკირონ, რა ქვია?

— ბორცვი ჰქვია.

— აა...

და სულ სხვა საითკენლაც მიჰყავდა, მაგრამ ტირო თავს მიიბრუნებდა ხოლმე.

— რა არის, იქით...

— სად იქით!..

— ბორცვს იქით, სკირონ.

— არაფერია!

— და... ხმა რომ მესმის რაღაც?

ვერსახსენებელი მდინარე იყო იქით, და იმაში ბინადრობდა მდინარის ვერაგი ღმერთი — გრილი, ჯიუტი ენიპევსი,

მოდიოდა და მოდიოდა, რა გამოლევდა, ერთხელაც არ ასცდენია თავის ჩვეულ გზას, ერთი ეგ იყო, პატარავდებოდა და დიდდებოდა; არადა, ბრმა იყო. და თავის დიად ძმას, შავკულულებიან პოსეიდონს, მცირე ძალად ემატებოდა. კიდევ კარგი რომ, ზღვისაკენ აღარ იწევდა ტირო — რამდენჯერაც მიუასლოვდა, მაშინვე მისკენ გამოსცურა ვეებერთელა კუმ. სკირონი კი გუნებისმიერად დაცურავდა აღელვებულსა თუ ქაფმოხდილ ზღვაში, კუ ყოველთვის ერიდებოდა, განზე მიცურავდა, ეგებ, იცოდა, რომ მერე სკირონი გახდებოდა მისი მარხენალი.

ტირო კი, მაინც ცელქი, მაინც თავნება, დროდადრო ცუდად დაღონდებოდა და, თხოვდა:

— ტანს დავიბან, რა?

ერთხელ, ამ თქმისთვის, ერთ წყეულ დღეს ნატიფ სახეში გვირგვინი ლეწა, დიდხანს ყლაპავდა ცრემლებს ქალი. ლამაზი იყო... ცელქსა და ბავშვურს, უცხო დედოფლის მბრძანებლური და მკაცრი ნაკვთები ჰქონდა. ტიროდა, ახლა... და სკირონმა ვეღარ უყურა გულამომჯდარს, თავადაც გული დაეულითა და, ველად გავიდა, იქ კი პირქვე გაიშოტა და ღორღიან მიწას სულ სახე ურტყა. მერე კი, უცნაურია, რა საამისო ღრო იყო მაგრამ, და ჩაეძინა...

...გაეღვიძა კი არა და, ძილშივე წამოხტა, შეშფოთებული დაფართქუნებდა თავს რაღაცა ავის მომასწავებელი გრძნეული წერო.

ჯერ ღორღიან და მერე კი ფერადოვან ველზე თავზარდაცემული გარბოდა სკირონი, და მისი გამალებული ფეხების ბაგაბუგი ცარიელა მღვიმეს შორიდანვე მისწვდა. შეზავთდა და — არავინ იყო. უმალ ზღვისაკენ გადაიხედა — არც იქა ჩანდა ადამიანთაგანი, ცალი მოშიებული კუღა დატივტივებდა ეხოლოდ. და ბოლოს, სულ ბოლოს, ყველაზე ბოლოს, ძლივს გაბედა და სწორედ იქითკენ გაიხედა, რისი ხილვაც რომ ძლიერ, ძალიან ეშინოდა და, აკი ზედ ბორცვის თავზე შემდგარიყო მაცნაური ფრინველი, წერო.

და ერთხელაც რომ შეიჭრა მღვიმეში, ორ ყველაზე ბასრ მახვილს დაავლო ხელი, მაგრამ ბორცვზე არ აურბენია, უბე-

დურებას თუ იზოვავდა, მძიმედ და დინჯად, რწევით ავიდა... ისე კი, თრთოდა.

...და იმ წყეულ დღეს, იქვე გატრუნულ წეროსთან ერთად, ვერაგ ენიპევსში ჩაწოლილი იხილა ტირო.

ფართრ, თხელწყალა მდინარე იყო, მოკლედ აგორავებულ ზვირთებად ჩამოდიოდა, ოლიმპოს მთაში ჰქონდა საწყისი. დღითა თუ ღამით, ნიკტისა თუ ჰელიოსის ჟამს, ჩამოდიოდა, მოდიოდა, რა გამოლევდა, მოდიოდა და მოდიოდა, ახლა კი შეჩერებას ლამობდა თითქოს, რადგან წიაღში სალუქი ტირო, თავისი ქალი, პირაღმა ეწვა და, ჯერ იმის თხემსა და შუბლზე გადმომდინარე, ქვედა ტუჩს, ნასკირონალს, ზედაზე მეტად უკოცნიდა, მერე მისთვის უმაქნის ნიკაპიდან სწრაფად ჩაიღვრებოდა და თლილ ყელს ჟრჟოლით ჩაუყვებოდა, მერე გრძელ, უხვ თმას, ზვირთებით მკერდზე ჩამოფენილს, მოურიდებლად გადაუწევდა და ნედლად მკვრივ საფერებლებს სველი შრიალით ეფერებოდა, ნატიფ მუცელზე რბილ ხელისგულს გაბმით ადებდა, მოხდენილ ფეხებს ჩაუყვებოდა და, მარადი იყო, ისევ და ისევ მოდიოდა, ისევ და ისევ, და თითებთაგან ყველაზე მეტად მგრძნობიარეებით — ბრმის თითებით უალერსებდა და, კვნესოდა ტირო, მდინარიან ხელს თავადაც წყალობად ისვამდა მკერდზე, მუცელზე იდებდა, მაგრამ ხარბ ენიპევსს ასეთი ტირო, დაღმად დამჯერი, არა ჰყოფნიდა, ტიროში მთლად ვერ აღწევდა და, ეალერსებოდა, ემუდარებოდა, ეფერებოდა, და, უფრო ჩუმად, სულ რომ არავის გაეგონა, მაგრამ უფრო მეტყველად აკვნესდა გაყიდული ქალი, და ენიპევსის ურჩ ნებას დაჰყვა — სკირონი, თავზე მესდატეხილი, უყურებდა რომ, ტკივილნარევი სახით როგორ ნელინელ ტრიალდებოდა შორეული ოლიმპოსაკენ, სათავისაკენ, თავი და თავი ენიპევსისკენ მონაფერები, დამყოლი ტირო, დინებისაკენ შეტრიალდა და, მდინარემაც, ჯერ ფეხისგულები რომ დაუკოცნა, ულონო მუხლებისაკენ ნელა, ნაზად, მუხთლად დაიძრა, და სადღა იყო ქალი და ბავშვი, დედაკაცურად აგმინდა ტირო, და უბედურმა სკირონმაც აქ ისეთის ხაფი ხმით დაჰბლაველა რომ, იქითა ნაპირისკენ სწრაფად გაცოცდა წასწრებული ქალი, სკირონი კი, მდინარეში ზვავად ჩაშლილი, ორთავ ბასრ მა-

სვილს ბრმა ენიპეუსს დაუნდობლად ურტყამდა, სცემდა, გონდაბინდულმა, მასვილები მოისროლა მერე და, დახრჩობაც კი მოუწადინა, მაგრამ სად იყო, სადა ჰქონდა ზამავალსა და თსიერ ღმერთს სისსლი და ხორცი, წყალისა იყო მხოლოდ და მხოლოდ, წყალს, დაახრჩობდა? — ისევ ისევე მოდიოდა და მოდიოდა, უსხლტებოდა და, იყოც, არ იყოც და შურისძიებავერნასულმა უბრალო სკირონმა, ადამიანმა, უსუსურმა, თავი ზაპყო და შიგ ამ მდინარეშივე ცხარედ იტირა, და გულქვა პოსეიდონს წვრილ-წვრილ ბზარებად ზაუვიდა სკირონის ბევრი და მდუღარე, აურაცხელი, მაგრამ სულ ერთი პეშვი ცრემლი. რას ეყოფოდა...

გააგდო, ტირო.

იჯდა, გლოვობდა... გლოვა და დარდი და გახრწნილება, მუხანათობა ბევრი იყო და, სიყვარული კი — არ იყო, არა!

9.

ყოვლად კეთილო ქალბატონო, დიდო სენიორა ანნა, მანიანი.

თქვენი სიკეთე, თავი და თავი, ალბათ რომ არა, ისე ძალიან ეგება არც შეყვარებოდით იმ ერთ ქართველს... თქვენი სიკეთე — ისევ და ისევ თქვენებრ თავაშვებული, აწყვეტილი... ყოველ ნაბიჯზე... რომელი ერთი... თუნდაც: თქვენ ერთხელ, გაჭირვებისას კი არა, როდესაც კარგი საქციელით ბედისგან სამაგიერო ჯილდოს გამოელიან, არა, არამედ აღზევების უამს, როდესაც გრაფ ალტიერის ყოფილ სასახლეში ცხოვრობდით, თქვენს შორიახლოს ერთი ბერიკაცი, ბებერი კაცი ბინადრობდა და მეზობლებსაც და იმასაც ერთმანეთი ძალიან სძულდათ. და შერეკილიც ეგონათ, რადგან იმას უადამიანებო სიმარტოვე და ცხოველები ამოჩემებულად უყვარდა. ექვსი კატა ჰყავდა, მათგან ერთი — ცალთვალა. ის სხვებისთვის თუ ბებერი იყო, თქვენთვის — მოხუცი გახლდათ, და მოხუცი გეციდებოდათ კი არა, გიყვარდათ, რადგან ცოტაღა დარჩენოდა. ერთხელ მოხუცი კიდევ უფრო ავად გახდა რაღაც ინფექციური — ხომ კარგად გესმით—ინფექციური დაავადებით, და ეს

რომ გაიგო, ღიდმა სენიორამ მაშინვე იმას მიაშურა. „ყური დამიგდეთ, — უთხრა, — საავადმყოფოში რად არა წვებით? კატებისა თუ გედარდებათ, მე მოვუვლი". თავიდან მომწყდით, — მიუგო მოხუცმა, — საავადმყოფოში რა ჭირი მინდა, ყველას ვიულვარ და, ამ ოთახიდან როგორც კი გავალ, მაშინვე სხვას მიაქირავებენ... თავიდან მომწყდით", ძნელი ბებერი... რა შებედა ეს, ანნამ კი, მანიანიმ, ეს ვინ — ვულკანმა, შეურაცხყოფა არ შეიმჩნია და, პირდაპირ სახლის პატრონისაკენ დაადო თავი და ბერიკაცის ოთახის ქირა რამდენით და — აბა თუ მიხვდებით — მთელი ათი წლით გადაიხადა, მერე კი, ისევ მოხუცთან შებრუნდა, ხელშეკრულება წინ დაუდო და უთხრა: „ახლა კი შეგიძლიათ საავადმყოფოში მშვიდად დაწვეთ, ვერავინ გაბედავს თქვენი ოთახის დაკავებას". თუმც მანიანისკენ თავი არ აუწევია, ალბათ მაინც გამლხვარმა მოხუცმა მუხლებზე კოხტად მოთავსებულ ცალთვალა კატას, აკრუტუნებულს, ისევ გადაუსვა ხელი და იმასვე ჰკითხა: „ტოტონნო, როგორ გგონია, დავწვე საავადმყოფოში? როგორ დაგტოვო, ჩემო საბრალო ტოტონნო, ვიღა მოგივლის". „მე მოვუვლი", — თქვა ანნა მანიანიმ. „ტოტონნო, — თავი არ აუღია მოხუცს, — მაშინ შენს ძმებს შენ გაბარებ. წესიერად მოიქეცი. მე ჩქარა დავბრუნდები". არც ერთი სიტყვა — მანიანის. მანიანიმ კი, ბერიკაცი საავადმყოფოში რომ დააწვინა, მუშები დაიქირავა და ბევრგან აყრილი იატაკი ხელახლა დააგებინა, კედლები შეაღებინა, გათბობა გაუყვანა. ახალი ქვეშაგებიც უყიდა, პირსაბანი დაუდგა. და გულმოდგინედ უვლიდა სხვისა კატებს მთელი ექვსი თვე ეს ვინ — იმჟამად აღზევებული ანნა მანიანი, მთელი ექვსი თვე — ნასევარი წელი, ასოთხმოცი დღე, ტოტონნოს კი მაინც განსაკუთრებით მზრუნველობდა, და მოხუცი საავადმყოფოდან რომ გამოიყვანა, და კიბეს აუყვნენ, მოხუცმა პირველად მხოლოდ მაშინ გასცა ხმა: „და, როგორ იქცეოდა ჩემი ტოტონნო? ვენატრებოდი?" მანიანიმ კი მღელვარედ გაულო გაკოხტავებული ოთახის კარი — მოხუცის გაკვირვებისა და ბედნიერების მომლოდინეს, გული ახლა უფრო უცემდა — „როგორ მოგწონთ, ჰა?" მოხუცი კი, კარგი ვინმე კი შეხვდა, აი, ახალ ლოგინზე დაუდევრად ჩამოჯდა და, უთხრა:

„ძველი მერჩივნა, სენიორა. ის — ჩემი იყო". და თუმც ასეთი ჯიუტი ვინმე შეხვდა, მაგრამ ანნა მანიანიც არანაკლები ზიტი იყო, და აი, ჯერ რა გაიფიქრა და მერე რითი დააბოლოვა: „შეუძლებელია ვისიმე ცხოვრების გადაკეთება, არაფრის გადაკეთება არ შეიძლება. მაგრამ უნდა შეგეძლოს, რომ იყო შენ, მხოლოდ და მხოლოდ შენ — თვითონ შენ, და ამისათვის დიდი გამბედაობაა საჭირო, და არ უნდა შეიცვალო არაფერი ..." — ასე გაიფიქრა, და მერე კი ამოჩემებულად მიაყოლა: „და მაინც, ჩემი ნება რომ იყოს, რამდენ რამეს გადავისხვაფერებდი... ჩემს ფეხებსა და ცხვირს, მაგალითად..." რას ჩაიცვამდა ამ თავის ცხვირსა და ფეხებს, ვინ დადიოდა თქვენებრ მბრძანებლურად და ლაღად, ანდა, თქვენ რომ ცხვირი გქონდათ, რომელ არწივს გააჩნდა ისეთი ნისკარტი, ხუმრობაა ეს, ნუკი იწყენთ, დიდო, ლამაზო ქალბატონო, თუმც წყენა თქვენ აბა სად შეგეძლოთ — განრისხებისკენ გარდამავალი ეს საფეხური სულაც არ გქონდათ, ძლიერ პირდაპირ მძვინვარებდით, და ერთადერთი თქვენი წყენა საკუთარ ცხვირ-ფეხს დაუკავშირეთ, თუ კარგი იყო, რატომ თქვენს თვალებსა და თმას არ ახსენებდით, ერთადერთხელლა დაგცდათ: „თმა კი — კარგი მაქვს, რაც მართალია, მართალია..." თმა კი არა და, რალაცა შავად ხასხასა კორიანტელი გქონდათ, მგრამ სხვა ჯილდოთ ამრეზილად უყურებდით, ჩუმად მაინც ყოფილიყავით, ის კი არა და, ერთხელ ცხენი რომ აჩუქეს, ახედ-დახედა და, ხმამაღლა გამოაცხადა: „კარგია, მაგრამ ჩემსავით დიდი გავა აქვს", რას გადაეკიდა ამ თავის გარეგნობას, თანაც უსამართლოდ, ძალად სულელი, უნებურად გენიოსი და, თავი და თავი მაინც ქალი და ქალი, ულამაზესო ქალბატონო, ყოვლად კეთილო სენიორა ანნა, მანიანი.

ნეტა ცალთვალა ტოტონნომ ცოტათი მაინც თუ იცოდა, ირეკლივ რაც მოხდა.

*

მორიგი მსხვერპლი მაღალი კლდიდან რომ გადააგდო, მერე თავად დაიბანა ფეხები სკირონმა, იმ ქუსლს კი, მარჯვენას, გადამგდებს, უფრო დიდხანს უხახუნა ღორღი.

ქვის სავარძელში იჯდა ყაჩაღი, ფიქრობდა. თუმცა ქვის გული ძალად ჩაედო განიერ მკერდში, დროდადრო მაინც ეჭვები ღრღნიდა.

...თუკი ღმერთები ზემოდან მართლა ყველაფერს ხედავდნენ, სად იყვნენ მაშინ, ანდა, არსეინად როგორღა იყვნენ თუ მაღალი ჯილდო, სიყვარული, არ იყო, არა, ჰეჰ, სიყვარული სულაც ფეხებზე არ ეკიდათ? — მაღალ ოლიმპოზე ედოთ ვრცელი სავანეები, ნელსაცხებლები ულევად ჰქონდათ, კეთილმოწყობილი მრავალცხენიანი ეტლებით აღმა-დაღმა დაგრიალებდნენ, ვერაგები და ხარბნი, ბოროტები, მომხვეჭელნი, გაუმაძღარნი... მაინც როგორ დაითრიეს საუკეთესო სუყველაფერი — აბჯარი გინდა, პური გინდა თუ ბასრი ხმალი და დიბა-ატლასი, წყალი გსურდა თუ, მიწა, ჰაერი, ან, სინათლე თუ ღამე გნებავდა, ოქრო-ვერცხლსა და თვალ-სამკაულს მოისურვებდი კი არა, დავარდნილი ვროში აგეღო, სუყველაფერი იმათი იყო, და ბუმბერაზი ვითომ, ზეხთამტყორცნელი გოროზი ზევსი, უდიადესი, ვრცელი მეუფე, ბოლო-ბოლო ხომ, ერთი გაქნილი, ქალების წუწკი იყო და, თვალყურ ფხიზელი ჰერას გამოისობით, იძულებული ხდებოდა თავი წამდაუწუმ და სხვადასხვაგვარად ემარილებინა — საქმეებიო, მორიგება, დაჯილდოება, შურისძიება, სამართალიო და, ისა, ესა... არადა, ერთთავად ქალების მდევართ, ქალღმერთებს — კი — კარგადშემძლე მამაკაცების მოუღალავად მჩხრეკნელთ, დიდი ღონე და ჯანი მუდამ სჭირდებოდათ და, მოკვდავებისგან დღენიადაგ, გაუთავებლად საკლავს ითხოვდნენ, დიდრონ ნაჭრებში ალმასის კბილებს ჩაასობდნენ და, ქონი ნიკაპზე მძიმედ ეღვენთებოდათ, მაღალ ოლიმპოზე ნიადაგ შემწვარ-მოხრაკულის სუნი იდგა, და ძალუმად იღეჭებოდნენ ხვავრიელ ნაჭრებს მჭრელი კბილებით ჩაფრენილი, ცხვირისწვერგაქონილი მსუნაგი, ხარბი, ამოდმოწყობილი და დიდად პატივმოყვარე ღმერთები, და აფროდიტე პანდემოსი მსუყედ ძღებოდა; იმათთვის ხარის შესაწირად ისეთი ცეცხლი უნდა დაგენთო, ცას შესწვდომოდა, სკირონს კი, ყაჩაღს, ისეთი ღმერთი ენატრებოდა, ისეთი განმგებელი მოესურვილა ძალიან და უცებ, უზარმაზარი კოცონი კი არა და, ციცქნა სანთლისთვის მოწყალებით რომ გადმოეხედაედა, და, სანთელსაც კი

არ ითსოვდა — ოღონდ მართალი ყოფილიყავი... მაგრამ სიმართლე რა იყო, რა არა, ჯერ ვერ იცოდა, დაბნეულიყო სკირონი. ის, ერთი ღმერთი, ერთადერთი, სრულიად განმგებელი, ნეტავ როგორი უნდა ყოფილიყო—ალბათ მაღალი, უხვი, მდაბალი, მოწყალეცა და მპატიებელი, ლმობიერი, მკაცრი... მაგრამ სად იყო! არა, რომ იყო, კი ხვდებოდა, რაღაცაგვარად გრძნობდა ამას სკირონი, მაგრამ ეს მზაკვარი, თანადროული ღმერთები ადამიანებსა და იმას შეა ვერაგულად მოღვაწეობდნენ, თუმც, იმათშიც კი ერივნენ შედარებით პატიოსანნი, ქალღმერთთაგან ორნი კი, გონებით ვრცელი თვალსხივოსანი ათინა და სულით ჯანსაღი ტურფა არტემიდე, საოცრებავ და — იმ ავხორცებში ქალწულები იყვნენ, ნაზად ციცქნიდნენ საკვებს, არტემიდე კი, ნადირთმფარველი, ხორცს პირს სულაც არ აკარებდა... მაინც როგორი უნდა ყოფილიყო ის განმგებელი!, ძლიერ კი ცდილობდა, მაგრამ ბუნდოვანი წარმოსახვები მაინც გაურბოდა და ეცლებოდა სკირონს, რადგან მახვილ თვალს ხან რა უტაცებდა და ხან რა, ზღვის, ხმელისა და ცის შემყურეს, უძნელდებოდა ფიქრი, და უთავბოლოდ დაბორიალებდა და, გზაკვალაბნეულს, მსსნელად ისევ თავისი წერო მოევლინა, ერთგული მაცნაური — ერთხელაც იყო და, დაღონებულს, მღვიმეში შხივილით შეუფრინდა, სიბნელეში საითკენღაც გასწია და, სკირონიც მიჰყვა.

რაღაცას აჰკვროდა ფრთებგაშლილი წერო, სიბნელეში რეს ლაქად ჩანდა, და სკირონი რომ მიუახლოვდა, ჩამოეცალა: იმ ვეება კლდეს ორი დიდი და თანაბარი, მღვიმე ხომ ჰქონდა, შესასვლელები კი თაღოვნად გადახურვოდათ და, ორი ნესტოთი სუნთქავდა თითქოს ეს პირქუში კლდე, მის შიგანში კი, სადაც მღვიმეთა გამყოფი ბუმი კედელი თავდებოდა, ხვრელი რამ ყოფილა იდუმალი, სითხეგამოჟონილი, ნოტიო, უბნელესი, კლდის ნესტოებშეა ციცაბო აღმართში ამავალი, ვიწრო, და სკირონის ძლივსდასანახად, გრძელი ნისკარტი იქ შეჰყო მაცნაურმა, და გაიტრუნა... სკირონმა იდუმალი გზიდან ფრთხილად ჩამოიცილა წერო, ბნელ ხვრელს აუყვა, იმ სივიწროვეში, ძნელად მიხოსავდა ზევით, ხვრელის შვერილებს კუშტფრჩხილებიანი ფითებით ებღაუჭებოდა, თვა-

ლთა სინათლეწარიმეული, მთლად ბრეა ფეხისგულებს აბჯენ-და ცვრელის გალიპულ კედლებს, წამებითა და უცნაური ჟი-ნით მიიწევდა მაღლა, იქ კი, დაკაწრულს, სელისგულებ და ფეხისგულებ დიდად ატკიებულს, მიმცრო ღრმული დაუხვდა რაღაც, და მოკუსტელი ძლივს მოთავსდა იქ, და იჯდა ასე, ნესტიანი უკუნეთით შემოზღუდული, გარს კი დალბილებული და ალბათ თეთრი რამ, შედედებულად დანაოჭებული წებოვა-ნება ემოსა, იმ პირქუში კლდის რაღაცაა ტვინისმაგვარი, და სისხლდადენილი განაკაწრებით უერიდებოდა რაღაცის გოსს უში სკირონი, და ბრგე სხეულიც ისე მოკუნტვოდა, დედის საშოში გატრუნულიყო თითქოს, და უცებ იმ შედეღაბებულ კუნაპეტში, დასაბადებელს, რაღაც სინათლემ ჯერ ირიბად გაჭრა და გაჭრა, და თავს დაადგა მერე — სკირონი, ბნელის მოგზაური, იმა განმგებელს, იკოწიწებდა!

იმას, ერთადერთს, უნდა ჰქონოდა დემეტრასი და პერსე-ფონეს გულუსვი ჯილდო, მაგრამ ვერავისგან შებილწული ნაყოფიერება, იმას, მწყალობელს, უნდა ჰქონოდა ათინას გო-ნი, ოღონდ უსაზომოდ განცრცობილი და მთელი სამყაროს ყოველ კუნჭულს დაფენილი და, აიმას, მზრუნველს, შვილიე-რების მფარველ ქალწულ არტემიდესავით უნდა გამოეზარდა ცსოვვლებიც და ულევად ამოეყვანა სეები, ვაზი, ხორბლისა და ქერის თავთავი, ყვავილები, თოთო ბალახი, სუყველაფერი შენი იყო, ოღონდ მოგევლო და გეცქირნა; იმისი ვრცელი მოწყალებით, სულ შენი იყო ფერადოვნებით დახუნძლული მთელი ქვეყანა, თუკი მიიღებდი, და შეუდგებოდი კიდეც; შრომით მოღლილსა თუ დასვენებულს, ვთქვათ, შეურყვნელი რომ ყოფილიყო აი ისეთი აპოლონის მაღლივ წყალობას — განმგებელ მუზას — მუსიკასა და პოეზიას, და კიდევ სხვა დარგთ, გარდმოგივლენდა, და სულით დუხჭირ ადამიანებს მიუსჯიდა უზენაეს მადლს, მართლაცდა ციურ აფროდიტეს — ცის ურანიას, და, შეყვარებულს, სულ სხვადასხვაგვარად და-გაწვიმდა და დაგათოვდა, ამაღლებულნი შეიქმნებოდით მა-სამდე ქვემოთ, ჯინჭველებივით დაბლა მღოლავი ადამიანები, სულმთლად იმისი იქნებოდა და შენც იმისიც გექნებოდა მა-რადი განძი — მიწა, ჰაერი, წყალი, სინათლე, და თვით აური-ღებელი თანატოსიც კი, იმის ხელში, მხოლოდ ქვიანსა თუ

ფრეიერ მიწაში კი არ ჩადებდა ადამიანებს, არა, მთლად უცხო მსარეთ მოგატარებდა; თუკი მანამდე, სითბომორეულ ადამიანებს, ნელინელ მოკვდავთ, ერთმანეთი ეყვარებოდათ... მაგრამ სად იყო!

ეგება, იყო... ეგება, გარეთ... და, ძლივს გამართა სწორი ფესები სკირონმა, ცოტათი ქვემოთ ჩააჩოჩა, სხეული უკან გადახარა, სუნთქვაშეკრული, ფესისგულების ბრმული ცეცებით ჩაუყვა ძნელ, კლდოვან თავქვეს, სინათლისაკენ მიცოცავდა ასალი სკირონი, მზედაფენილი სოფლის ნახვას ეშურებოდა, მაგრამ ქვის იმა მრგვალი ბილიკით შემოზღუდული, იფხაჭნებოდა, ღამებნელიდან აბრჭყვინვებული დედამიწისკენ მოღოღავდა ერთი ეული, და, ჩამოიბადა, და, ჯერ რუსი და თანდათანობით განაცრისფერებული, და გადახსნილი მერე, აელვარებული მღვიმე რომ გამოიარა, უცხოდ განახლებული, გამოვიდა და, ახალ-რაღაცა შეძენილი, მრავლისმნახველი ჰელიოსის ვრცელ გულზე შედგა.

ლამაზი იყო ყოველივე, სუყველაფერი.

იდგა, სუნთქავდა.

რა ლამაზი და მშობლიური იყო ირგვლივ სუყველაფერი, იდგა, ტკბებოდა...

მზით და ღიმილით თვალმოჭუტული, იცქირებოდა...

და, შეიჭმუხნა:

მაგრამ ვრცელ ზღვაში შავკულულება პოსეიდონი ბუნაგობდა, დაუნდობელი და მჭახე... მაგრამ ხეთა ნაყოფში უწმინდურება ერია რაღაც, სისხლის აღრევით შებილწული, და ალუბალი იყო ეს თუ ვაშლი, მეტის სიწითლით შეფერილი, მძიმედ ეკიდა... მაგრამ აპოლონს, მუზათა ღმერთს, დიდი ცოდვებიც დასდებოდა, სისხლით გათხვროდა ნატიფი ხელი... ღა აფროდიტე ურანიას მისჯილ თანამგზავრს, ავხორც დედაკაცს, საყოველთაო პანდემოსს, უხვი სხეული აწრიალებდა, არ ასვენებდა... და თუმც სხეული სრულებითაც არ აწუხებდა პატიოსნებისა და სამართლიანობის ქალღმერთს, ნიკტის ერთადერთ არაავსორც შთამომავალს, მკაცრ ნემესიდას, მაგრამ ერთხელაც ის ზევსი ძლიერ გადაეკიდა, ამოიჩემა და, იმისი ვნების განსარიდებლად ნემესიდა თუმც ბატადაც კი გარდაისახა, მაგრამ ზევსი რა შვილი იყო? — გედად იქცა და, ძაან

დააცხრა, და ნემესიდას, ნამუსასდიღს, თუმც უდანაშაულო იყო, მაგრამ რაღაცნაირად ძველებურად ბოლომდე ვეღარ დაუჯერებდი... და ომშიმყივან ომის ღმერთს, არესს, მშვიდობიანობისასაც მთელი სხეული უყიოდა... იგროვებდნენ, ქრთამს.

და, რაც ღმერთები, ადამიანებიც, — ის...

ოღონდ რაიმეთი გამოგეჩინა თავი და, იმ საქციელის ავკარგიანობაში არას დაგიდევდნენ, მთავარი იყო, თხელი ტვინები შეეეზანზარა. ვინ აგვეღო და, ძლევამოსილი ატრევსი თუნდაც — დიდადა ჰქუსდა სკირონობისას და შემდგომაც, იმისი დაფნითმოსილი სახელი, მის შთამომავალთ საამაყოდ უწოდებდნენ ატრევსიანებს, და რა დამსახურებით, აი: თურმე ატრევსმა და მისმა ღვიძლმა ძმამ თიესტემ ოავიანთი მამითა ნახევარი ძმა, უდანაშაულო ქრისიპოსი მოკლეს და იქვე იყო იმათი დედაც. ამ დებიუტის შემდეგ ხამთავენი სწრაფად გაიქცნენ, მიკენის მეფეს შეაფარეს თავი და ამ მეფის საეჭვო სიკვდილის შემდეგ ატრევსი გამეფდა, ძმა-თიესტემ კი თეთრწვივება ცოლ-აეროპე შეუცდინა და შინაურული სატრფოს დახმარებით კეთილადმოჩუქურთმებული ტახტის ჩაგდებას ლამობდა. ატრევსმა გაიგო ალალი ძმის განზრახვა და სამეფოდან განდევნა, მაგრამ თიესტე ასლა ატრევსის ვაჟს დაუძაკაცდა შორიდან, შეთქმულება აქაც დაბეზღდა და ატრევსმა სიჩქარეში თავისი ვაჟიც უყურადღებობით ჩამოახრჩობინა. ეს კი ეწყინა და შესარიგებლად მიწვეულ თიესტეს იმისი ვაჟების ხორცი შეპარვით აჭამა, ცოლ-აეროპე კი ზღვაში ჩაძირა და პოსეიდონიც დაიბნეოდა, კი — იმანაც კარგად იხეირა. მერე ატრევსი სამისნოს დავალებით თიესტეს მოსაძებნად გაეშურა, მაგრამ იმის ნაცვლად მის ქალიშვილს, პელოპეიას გადაეყარა და ცოლად შეირთო, მაგრამ პელოპეა რამდენადმე ადრე მამამის თიესტესთან ყოფილა დაკავშირებული და რვა თვეში, არ კი იცოდნენ ვისგან იყო, მაგრამ რაღაც ეგისთე ნამდვილად გაჩნდა. ნაცნობ-უცნობი ის რაღაც ეგისთე რომ წამოიზარდა და დამშვენდა, მამობრივმა ატრევსმა იკი თავის დედმამიშვილ თუ სიმამრ თუ მძახალ თუ სხვა, თიესტეს მოსაკლავად გაგზავნა, მაგრამ თიესტემ თავისი ვაჟი თუ შვილიშვილი თუ ძმისშვილი და სხვა, იცნო და წარსული რომ დაფ-

ქვა, საიდუმლოებებიანმა პელოპეიამ ფიცხლადალესილი ხმლით თავი მოიკლა, და იმავე ხმლით კი იმ რაღაც ეგისთემ თავისი მამა თუ ბიძა თუ ორმაგი ბიძა თუ ქვისლ-მაზლთაშორისი ატრევსი მოკლა, მოგვიანებით კი ბიძა იყო თუ გარე თუ ახლო ბიძაშვილი თუ ძმა და მეუღბარი, ატრევსის ძე აგამემნონი განგმირა, რადგან სანამ შორითსაჩინარ ტროაში აგამემნონი ფიცხელქარქაშიან ხმალს იქნევდა, რაღაც ეგისთე იმის ცოლს, რამეებიან კლიტემნესტრას ისე ძალიან დაუამხანაგდა, უკლიტემნესტროდ ვერ იძინებდა, და აგამემნონი ტყვე-ქალებში დროს თუ არა ჰკარგავდა იქით, აქეთ კლიტემნესტრაც ბნელ ღამეობით ისე კარგა ფხიზლად იყო, მერე მთელი დღე ამთქნარებდა და დიდებით მობრუნებულ გამარჯვებულ ძლევამოსილ ნაძარცვით დამძიმებულ აგამემნონს თავის გამორჩეულ საბრალო ქალ-კასანდრაიანა, იმან და იმ რაღაც ეგისთემ ბასრი ხმლები ურტყეს და ურტყეს, შემდგომ კი, აგამემნონის ვაჟმა ორესტემ დის დახმარებით იმ რაღაც ეგისთესა და მშობელ დედას, კლიტემნესტარას, კეთილადმოსავადებული მახვილი დასცხო და დასცხო, ატრევსიანნი, ჰოჰ! — დიდად ამაყად იწოდებოდნენ.

რა ექნა, სკირონს... ამა ქაოსის მომწესრიგებლის, დიდი ჯანმგებლის მოლოდინში, იმედიანად დაჰყურებდა მიწას, რომელიც ატარებდა, და ვრცელ ზღვაზე უფრო ვრცელსა და უფრო ღრმა ცას რწმენით, იმედით ასცქეროდა. აღარა ტკენდა თვალებს, ეცრემლებოდა კი. და თუმც ვერაგი, დიდად მედროვე ხარბი ღმერთები ვითომცდა მყარად დაპატრონებოდნენ თვალით ხილულ ყველაფერს, სკირონმა იცოდა, სკირონი გრძნობდა, სკირონს სწამდა რომ მოვიდოდა ის, ერთადერთი განმგებელი, და სუყოველივეს — ხილულსაცა და უხილავსაც, სათნოდ დაეპატრონებოდა და სკირონისა თუ ატრევსისა და მისთანანის მოწესრიგებას ადამიანთათვის მიუწვდომელი გონებით შეუდგებოდა. მაგრამ ისე ძალიან შორეული ჩანდა, იმდენი გრძელი საუკუნით, მისი შესწრების იმედი აღარცა ჰქონდა ნაღვლიან სკირონს, მაგრამ იცოდა, რომ იმისათვის რაღაცა მაინც წინდაწინვე უნდა ეღონა, რაღაც ნაბიჯი მის შესახვედრად გადაედგა და, რაღაც ისეთი ჩაედინა და ჩაედინა, რომ ეს ფერადოვანი და უხვი ქვეყანა მთლად ვერა და,

თუნდაც ეხოლოდ თავისი წილი, იმ მღვიმისწინა მცირე ფართობი, რამენაირად უფრო ნაკლებად შეხილწულიყო, და პირქუში კლდის ტვინში ხშირად იჯდა ხოლმე ეჭვებად და ფიქრად ქცეული ხეღლი სკირონი, იმ წუწკ ღმერთებსა და იმათ ხელში მოსიტეპულ ადამიანებს ერთიმეორეთ უდარებდა, და ვერაგ მმართველთა გამო, ადამიანები ქვეყნის სიკეთეთ ვერცა ხედავდნენ, იმ სინათლეში, ბუებსავით იყვნენ, და იმათი საცოდაობით გულაჩვილებულ სკირონს ბლაგვსულიერნი ისე ძალიან ეცოდებოდა, რომ იმასაც კი გაიფიქრებდა ხოლმე, რომ არამცთუ წყალმისჯილი ტირო, არამედ აი ის არსახსენებელი, მისთვის უსახელო ქალიც კი, მერცსლისა და გველის ნაჯვარი, თითქოს ისე ძალიან აღარ იყო დამნაშავე — იმა ღმერთების სურვილებსა და ხელში.

...იმიერიდან, თუმც უსვეულო სიკეთე ჩაებუდა, თავის კლდესავით გაპირქუშდაც, ადამიანებთან თუ იცვლიდა ზნეს. რადგან კიდევ ერთი რამ აღმოაჩინა, მოწიდებადაც კი გადაექცა ახალი რაღაც, და მანამდე თუ გამველელ-გამომველელთ მსოლოდ ძარცვავდა, ამიერიდან ზოგიერთებს — ჰკლავდა კიდეც.

დამდაბლებულნი თუ იყვნენ სულით, ავისმოქმედ და წაბილწულ სხეულს განუშორებდა.

ერთ სტუმარსღა უთხრა ეს. წეროს არარა შეუტყობინებია, მეტად მზიანი დღე იყო, სტუმარი შუადღით მიუვიდა, ძალიან ცხელოდა და სკირონი შორიახლოდან დუნე გაკვირვებით ადევნებდა თვალს, რადგან იქით ეძებდა ის კაცი შავად სახელგავარდნილ ყაჩაღს — მიიარა, მოიარა, ჩრდილში წამოწოლილს, თავთ დაადგა ბოლოს და, უთხრა:

— შორითსაჩინარი, ფიცხელჭიანქველოვანი კუნძული ეგინაა საბრძანებელი ნემი, და ეაკოსი ვარ მე, ზევსთან მოუბარი.

— აჰ! — თქვა სკირონმა, ნელა წამოჯდა და აგდებულად ააცქერდა: — შორითსაჩინარი ეგინაა საბრძანებელი შენი, და ეაკე ხარ შენ, ზევსთან მოუბარი?

— დიახ, — ამაყად თქვა კაცმა.

გადასაგდები ჩანდა.

— ზევსთან, ახლოს ხარ? — ჰკითხა სკირონმა.

— ძალიან ახლოს.

— რას მეუბნები... ძალიან ასლოს, ჰერაც არა ჰყავს. გინა-ხავს კიდეც?

— აბა რა.

— თუ, შორიდან ებაასები.

— არა, რას ამბობ... როგორც ასლა შენ. იმან გამამეფა, მაღლითმგრგვინავმა.

— რატომ.

— როგორ და, უკაცრიელი კუნძული ეგინა ადამიანებით დამისასლა, გულმოწყალემ.

— რატომ გაგამეფა-მეთქი.

სტუმარმა კვლავაც ამაყად შემართა თავი:

— ეაკოსი ვარ მე, კეთილსინდისიერებითა და სამართლია-ნობით განთქმული, და ფერდებგანიერი ხომალდით ღირსეულად დავცურავ ზღვებზე.

რალაც ამდაგვარი ვინმე ეაკეზე მართლაც გაეგონა სკი-რონს. წინ ედგა ასლა, ღირსეულად ამეტყველებული:

— და მრავლადმოწყალე მეხთამტყორცნელმა უკაცრიელი ეკინა კარგი ადამიანებით დამისასლა.

მწარედ ჩაეღიმა სკირონს:

— კი მაგრამ, სად გამოგიძებნა მთელი სამეფო კარგი ადა-მიანები...

— ჭიანჭველები ადამიანებად გადამიქცია.

— და შენ... იმათზე გაგამეფა?

— კი.

— და მათზე მბრძანებლობ?

— ერთპიროვნულად.

— ჭიანჭველებად დარჩენილან...

— არა. რადგან სამართლიანად ვმბრძანებლობ.

— როგორ ახერხებ. ამ ღმერთებთანაც კარგად იყო და...

— ეაკე ვარ მე, — მერამდენედ გაუმეორა სტუმარმა, — კე-თილსინდისიერებითა და სამართლიანობით განთქმული.

დაკვირვებით შეათვალიერა სკირონმა. ეგებ, არ იყო სიკ-ვდილის ღირსი...

— მერედა, ჩემგან რალა გინდა... ისედაც მშვენივრად აგი-წყვია საქმე.

აქ სტუმარმა უთხრა:

— შენი ქალიშვილი ცოლად მინდა დავისვა, სკირონ.

— როგორო... — შეკრთა.

— მე შენი შვილის ცოლად შერთვა მსურს.

ეს რა ხდებოდა, ყაჩაღი იქით განძარცვულიყო უნდა, თუ-რმე. ერთხანს დაიბნა...

— იმას თუ სურსარ.

— კი.

- გაუმწყოვდა. ნეტავი რატომ...

— მერედა, ჩემგან რაღა გინდათ.

ძლიერ შემართა თავი სტუმარმა.

— ეაკოსი ვარ მე, კეთილსინდისიერებით განთქმული, და ყაჩაღის სიძე მე ვერ გავხდები.

რას უბედავდნენ... დაითმინა, მაინც.

— შენც, ნუ გახდები.

აქ კი სტუმარმა პირველად ჩაღუნა თავი.

— აბა რა ვქნა, — ძაან ხმადაბლა ალაპარაკდა, — შენი ქა-ლიშვილი ძალიან მიყვარს.

ამ ბოლო სიტყვამ დიდად განარისხა სკირონი. ზეზე წა-მოდგა, მთელი თავისი ახოვანებითა და ძალმოსილებით აეს-ვეტა:

— იმდენად გიყვარს თუ რაღაცაა, რომ, ყოველი შეეთხვე-ვისათვის, ჩემს შესამოწმებლად ამოხვედი, არა?

— კი, — უთხრა ეაკემ, თვალებში უყურებდა.

— და რომ დამაზუსტო, ძალიან გინდა, არა?

— ძალიან.

— ეგებ არა ვარ ისეთი, ხალხი რომ ამბობს, არა?

— ჰო, ეგებ არა ხარ.

— აქეთ წამოდი.

იქით მიჰყავდა!..

ნაპირისაკენ გამოსცურა მოშიებულმა, ვეებერთელა კუმ. ძლივს ააცოცა მაღალი კლდის კენწეროსაკენ ელამი მზერა — ორნი იდგნენ იქ. და იმათ თავზე ფრთების მომეტებული ფართქუნით წრიალებდა უცნაური ფრინველი — წერო...

მეტად მზიანი დღე იყო და, ძალიან ბრჭყვიალებდა ზღვა.

— ეს ყველაფერი, — ძლიერი ხელით ისეთი წრე შემოხაზა

სკირონმა, შიგ მოაქცია ცა, ზღვა და მიწა, — თუ მოგწონს, ეაკოს?

— კი.

— მე კი — ძალიან. და თუ იცი, რა მსურს?

— არა.

— ეს ყველაფერი, ძალიან მინდა, რომ შენარჩუნდეს.

მაღალი კლდის თავზე იდგნენ და, ეუბნებოდა:

— ეს ყველაფერი, ეაკოს, ჩვენთვისაა, და თუ ოდესმე დაიქცევა, ისევ ჩვენი, ადამიანების წყალობით. ამა ქვეყანას თუ როდესმე რამე დააქცევს და — მლიქვნელობა, პატივმოყვარეობა და, წარმოიდგინე, შიში. და ასეთები ჩემს მცირე ფართობზე თუ ჩაიელიან, აი აქედან ვაგდებ ხოლმე, და ასე განსაჯე, იმათსაც კი უკეთესია ეს — ნაკლები ცოდვის ჩადენას მოასწრებენ.

— მერედა, ვინ მოგცა ეს უფლება... — იოკრძალებით ჰკითხა სტუმარმა.

— არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ ყველაფერს, როცა იქნება, პატივმოყვარეობა, მლიქვნელობა და შიში წაბილწავს. და ისიც ვიცი, რომ ხე, რომელსაც ბოროტი ნაყოფი გამოაქვს, უნდა მოიჭრას და ცეცხლზე დაიდოს.

— და ვინც არაა მლიქვნელი და მშიშარა... იმათ?

— იმათ ვუშვებ ხოლმე.

გამომცდელად შესცქეროდა სუნთქვამეკრული ეაკე, იმდროინდელი საიქიოს ერთ-ერთი მსაჯული.

— და გამვლელ-გამომვლელთ შენი ფესვების დაბანვას სწორედ ამიტომ შესთავაზებ ხოლმე?

— სწორედ ამიტომ. გამოსაცდელად.

— და, გბანენ ხოლმე?

— უმეტესობა.

— და... ჭუჭყიანი გაქვს ხოლმე ფეხები?

— არა. არასდროს.

— და... არც გსიამოვნებს?

— რა.

— დაბანვა.

— არა. მათი შესება გორგონას ლორწო მგონია ხოლმე.

— და ზიზღს, რომელიც შეგეწინააღმდეგება, — უშვებ?

— ძღვენსაც ვთავაზობ, რაიმე თუ მომეძევება.

შუბლზე გადაისვა ხელი ეაკემ, გონი გაინათა, მაგრამ სკირონმა მკაცრად აჩვენა ხელისგული:

— ერთს მეცა გკითხავ — ახლა ვინაა თქვენში ყველაზე სახელოვანი გმირი.

— ვინ და — ომშიმყივანი თეზევსი.

— ამ ბოლო დროს რა ჩაიდინა.

— ამორძალების დედოფალი, თვით ანტიოპე მოიტაცა, და დედოფლის დასაბრუნებლად შეუპოვარი ამორძალები თავს დაესხნენ ატიკას, დიდად მრისხანე ომი ატყდა არეოპაგთან, და თუმც ატიკელებმა თეზევსის წინამძღოლობით თვით ამორძალები დაამარცხეს, ომში ვაჟკაცურად დაეცა მკერდსავსე ანტიოპე.

— თეზევსმა დასცა?

— არა, ატიკელთა მსარეზე იბრძოდა მძვინვარე და წვივებმშვენიერი ანტიოპე.

— თავის დამხსნელთა წინააღმდეგ?

ეაკე დაფიქრდა, დაიბნა, თქვა:

— კი.

— დიდად გასაგები ომი კი ყოფილა, რაც მართალია, მართალია, — ჩაეღიმა სკირონს, და უცებ მოეღრუბლა სახე, — იმ თქვენმა სახელოვანმა გმირთაგმირმა უკვე გააუპატიურა მცირეწლოვანი ელენე?

— ვინ ელენეა...

მომეტებულად აფართქუნებდა დიდ, თეთრ, ლამაზ ფრთებს მაცნაური არსება — წერო.

— დაიბადება. და თქვენი გმირთაგმირი რომ შეაცდენს, მთლად ბავშვობიდან დაეჩვევა მამაკაცებს და მერე ქმარსაც უღალატებს რაღა თქმა უნდა, და იმის გამო ტროელთა და აქაველთა სისხლი მძიმე მდინარედ ჩამოიღვრება. და თუმც თქვენს ღმერთებს დაბრალდებათ სუყველაფერი, ისიც იცოდე, ეაკოს, რომ თეზევსის ხელიც ერევა იმ უმაგალითო სისხლისღვრაში, რადგან უხილავი ქსელით ხართ გადაბმულნი ადამიანები, და ამიტომაც დიდად უღირსებს შეძლებისდაგვარად გაშორებთ ხოლმე, ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენ-ჩვენი სამოქმედო ფართობი, და აქ ვიბრძვი მე, სკირონი, კენტად მეომარი.

გაოცებული შეჰყურებდა ეაკე და, რაღაც სინათლეს უმჩნევდა თვალში.

— ღვთაებრივო სკიროს, ნუთუ ის კაცი, ადამიანთა გამრჩევი კაცი — ხარ?

— შენვე თქვი.

მუხლი მოიყარა ეაკემ, მკლავები გაუშვირა, შეევედრა:

— მე დიდადა გთხოვ, გამჭრიახო და ძალამოსილო, შენი პირმშო რომ მეუღლედ გამატანო.

მხარზე დაადო ხელი სკირონმა, უთხრა:

— გატან, ეაკოს. კეთილად გევლოთ.

და გადასვლაშიც მიეხმარა.

10.

ყოვლად ბავშვობის ქალბატონო, დიდო სენიორა ანნა, მანიანი...

თქვენ, ბავშვობაში, თურმე დიდად ანცი, მანცი და დაუდეგარი ყოფილხართ თურმე, დაბადებულხართ თქვენს ქალაქ რომში, კამპიდოგლიოს (არც ვიცით, რაა, მაგრამ კარგად ჟღერს) ახლოს, საიდანაც რომ თურმე მშვენივრად მოჩანდა პალატინი. ოჯახში რვანი ბრძანებულხართ: თქვენ, — ერთადერთი ბავშვი, ხუთი მამიდა, ერთი ბებია და ერთიც — ცალი მამაკაცი ოჯახში, ბიძათქვენი, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, რომანო ერქვა. დიდად საბრალო ბიძათქვენი — შვიდი სიტყვათმფრქვეველი ქალის ხელში... და თუმც იმასთან ქილიკი ყველას გჩვეოდათ, მაინც გამორჩეულად მიგაჩნდათ, და თქვენ, ოჯახის სასოებას, სადილობისას იმასა და ბებიას შორის გქონდათ მიკუთვნებული ყველაზე საპატიო ადგილი. ბავშვი, ნანეტტა... მხოლოდ ბებია გეძახდათ ანნას.

იტალიელები ხომ, ყველაზე მეტად მოლაპარაკენი ბრძანდებით, რომაელები — განსაკუთრებით, თქვენი ბებია კი, თურმე, აი იმ დარგში მთელ ნახევარ რომს ჯიბეში კოხტად ჩაისვამდა. როგორ გიყვარდათ ერთმანეთი... თქვენთვის ის იყო უპირველესი, თანავდროულად — „ანგელოსი, და ცეცხლი, სიკეთე", „ლამაზი, პატარა, მთლად პაწაწინა და უზარმაზარი",

მისი სიცილი ყველაფერს გიჯობდათ და, იმას კი თქვენი თმის ღერი ერჩია სუთივე ქალიშვილს ვაკ-რომანოიანა, თქვენთან მარტოკას სწყუროდა ყოფნა და, განერიდებოდით ხოლმე თურმე ოჯახს ყველაზე დიდი და ყველაზე პატარა, და დაიარებოდით, დაიარებოდით, დაიარებოდით რომში.

ქანდაკებები, და მერე ვისი, შადრევნები, კოლიზეუმი... სასახლეები და თაღები, პანთეონები, ფორუმი, თურმე... ეკლესიები, და ტაძრები, რამდენი სანტა მარია, და სან პიეტრო, მიქელანჯელოს სელით მოხატული, თურმე... კრამიტი, ქვა და მარმარილო... ერთი სანთელი... წარსულიანი მოედნები... ქუჩები — სავსე იტალიელებით, მაგრამ, ერთმანეთს შერჩენილნი, ვის მიაქცევდით ყურადღებას, ბებია გთხოვდით: „მიმღერე, ანნა...“ თქვენც, მისი ხათრით, მაშინვე პირს დააღებდით თურმე და ბებიას საყვარელი სიმღერის აღსრულებას შეუდგებოდით: „რეჯინელლა, რეჯინელლა, პიჩჩინა ადორატა...“ „ისევ მიმღერე, რა, ანნა...“ ისევ — მღეროდით, მერე — ბებიაც აგყვებოდათ, და მიაბიჯებდით თურმე ეს ახირებული ბებია-შვილიშვილი ქალაქ რომში და, მიიმღეროდით: „რეჯინელლა, რეჯინელლაა...“ მერე კი თქვენით ამაყი ბებია ნამცხვრეულობასთან შეჩერდებოდა, ჩანთაში იქექებოდა და პატარა ხასში შუქმოძალებული თვალებით შემოგცქეროდათ, თუ როგორ მიირთმევდით რბილ და ტკბილ ნეტარებას თვალდახუჭული და ნამცხვარში ცხვირჩარგული...

ანნა, ნანეტტა... მაგრამ ის დარდი, უჩვეულო სიმარტოვისა... ბნელ ღამეობით, მოკლე საწოლზე მოიწყენდით და, ვერა ხვდებოდით, რა დააშავეთ, რად არა გყავდათ გვერდით დედა... ის, ულამაზესი ეგვიპტელი, იტალიაში გემით მოვიდა, მანიანიზე დაქორწინდა და გშვათ თქვენ, როგორი ანნა, გაქვავებული პირამიდების იტალიურად ამამოძრავებელი, და ერთ ეგვიპტელს იტალიისთვის მეტი რა ექნა, მანიანისთან განქორწინდა, დიდ ფერად გემზე საღამოთი ავიდა ალბათ და ისევ სამშობლოში დაბრუნდა და ძალიან მდიდარს გაჰყვა, იქაც კი ჰყავდა ქალიშვილი, ოღონდ ძალიან არათქვენებრი... ისე კი, ხშირად გიგზავნიდათ ფუშფუშა კაბებს. უდედობით შეძრულო, ნანეტტა... ყველაფერზე მეტად, შორეული დედის სურათების თვალიერება გიყვარდათ, და ოცნებობდით, იმა-

სავით ლამაზი გამხდარიყავით, ჰეე, ალბათ მაშინ, ბავშვობიდანვე შეიძულეთ თქვენი ფეხები და თქვენივ ცხვირი, და რა იცოდით, პირველი ქალი თუ გახდებოდით, რა სწორი იყო — „ღე, გაუმარჯოს მთელ კაცობრიობას, და ანნა მანიანის" — ეკვიპტური პირამიდიდან სიკეთითა და რისხვით ამოსულო იტალიურო ვულკანო, რომის მფლობელო, ანნა, მანიანი...

ანნა, ნანეტტა... თურმე არასდროს გყვარებიათ სკოლა და, სახელმძღვანელოები არც გადაგიშლიათ, არანაირ დავალებებს არ ასრულებდით და, თავად გიკვირდათ, როგორ აიღეთ ატესტატი — კარგნიშნებიანი, თანაც... თქვენი მაესტრო, ბებიათქვენი, თურმე ერთხელაც არ დაინტერესებულა, სხვა ბავშვებივით გულმოდგინედ რად არ მეცადინეობდით, ოღონდ კი რაღაც წაგემღერათ... და ისიც დიღად მოსწონდა თურმე, ისე ძალიან რომ გიყვარდათ ცხოველები და, ძალიანაც შეგაქოთ თურმე, დასაკლავ ქათამს ყველას უჩუმრად საწოლში რომ გაათევინეთ ღამე, შეხიზნულისთვის როგორა თრთოდით, ქათამს კი, სულელს, გადაფარებული საბანი ძალიან ეხამუშებოდა... ანნა, ნანეტტა, როცა ცხრა წლისას შორეული დედა ჩამოგივიდათ, გეფერათ ერთხანს, მერე კი შეძრწუნებულმა აღმოაჩინა, კარგად რომ ვერც ანგარიშობდით და ვერცა სწერდით, აღშფოთებულმა, ბებიას ტუჩაბზუების მიუხედავად, ისეთ კოლეჯში გაგამწესათ, საიდანაც იშვიათადღა თუ გამოგიშვებდნენ შინ, და თავად კი — ისევ ეგვიპტეში წავიდა. გამოკეტილი დარჩით კოლეჯში... თქვენივე თქმით, შავი აზრები გიტრიალებდათ შავთმიან თავში, ბებიაც ძლიერ ნაწყენი და გაბუტული იყო ეგვიპტელ რძალზე, რადგან ღრმად სწამდა, თქვენისთანა ჩიტს გალია რომ არად არგებდა, და თქვენც, ნანეტტა, დროს უბრალოდ არა ჰკარგავდით — ერთხელ, მთელი კოლეჯი სასეირნოდ გასვლას რომ ეპირებოდა, საშხაპეში შეპარულხართ თურმე და ყველა ონკანი ბოლომდე მოგიშვიათ. ნასეირნალებს წყალუხვ აუზად დაგხვედრიათ მთელი კოლეჯი და, როგორც თქვენ თავად აღნიშნავდით, „პირველ ტურში" გამარჯვება მოგიპოვებიათ. მეორე ტურში — სავალდებულო, მაღალფარდოვანი სპექტაკლის რეპეტიციისას მეტად თამამი პანტომიმა წარმოგიდგენიათ და ახლო-

მხედველი მასწავლებელი თუმცა ვერაფერს ხედავდა და მხოლოდ ის უკვირდა, რატომ იგუდებოდნენ სიცილით ბავშვები, სამაგიეროდ, თურმე კოლეჯის მთავარი წინამძღვარი, რომელსაც რომ თვალნი ქორებულ მხედავნი ჰქონდა, კარის ღრიჭოდან გითვალთვალებდათ თურმე, და მეორე ტური იქით დამთავრდა, რომ გარკვეული დროით შინ-გაშვება საერთოდ აგეკრძალათ და თქვენი ულუფიდანაც ნამცხვარი ამოიღეს. მაგრამ ეს დამარცხება კი არ გამოდგა თქვენი, არა, პირიქით, სწორედ ამით მიახლოებულხართ საწადელს — მესამე ტური თვით ბებიას მონაწილეობით დაგვირგვინებულა, რომელიც კოლეჯში მოსულა და წინამძღვრისთვის უთქვამს: „დღეს ჩემი ერთ-ერთი ქალიშვილი ჯვარს იწერს და გთხოვთ მცირე სხით გამოუშვათ ანნა, ასეთ საზეიმო დღეს რომ დააკლდეს, ცოდოა ბავშვი...“ „არა, — მკაცრად მიუგია მკაცრ წინამძღვარს, — ანნა დასჯილია და ფეხს თუ გაადგამს აქედან, ნუღარც მობრუნდება“. „ძალიანაც კარგი, — წამოუძახნია ბებიას, — აბა, ახლავე მოკრიფე შენი საპაკი და, პირდაპირ სახლში, ანნა...“ ასე გამოსულან მკაცრი კოლეჯიდან ბებია-შვილიშვილი ღა, შინისაკენ მხნედ მიმავლებს, გზაში, გამარჯვების ნიშნად „რეჯინელლა, რეჯინელლა“-ც დაუმღერებიათ, და ამჯერად ბებიას უფრო კარგად გამოსდიოდა მღერა, რადგან ნანეტტა თან ნამცხვარსაც იღეჭებოდა.

მაგრამ იმ კოლეჯიდან რაღაც სარგებელი მაინც წამოგიღიათ: ორიოდ თვეში, ფრანგული... — ნიჭი.

ყოვლად ბავშვობის სენიორა, ნანეტტა, მანიანი... მაგრამ ყოველთვის ანცი, მანცი და დაუდეგარი კი არ ბრძანებულხართ, უდედობის გარდაც, ეჰ, ზოგიერთთათვის რა ღრმა სატანჯველი რამ გაწუხებდათ — იყო თუ არა ატლანტიდა... ხშირად და დიდხანს თურმე ფიქრობდით.

მერე დაგეწყოთ უთავბოლო ხეტიალები, მაგრამ იტალიაში. და თქვენი დასიდან ორ მსახიობს ყოვლად უღიმღამო როლები გქონდათ — თქვენა და ტოტოს. სად და სადღა აღარ წარმოგითქვამთ: „სადილი მზადაა, მადამ“, მაგრამ თქვენ, რკინიგზის მრავალ სადგურთა მნახველს, ერთ-ერთი მაინც განსაკუთრებით შთაგებეჭდათ — სადგური ტერმინნი. სწორედ

იქიდან გაგაცილათ ერთხელაც ბებიამ, ზამთარი მდგარა, სუსხიანი დრო, ბაქანზე შემცივნებული ხალხი ირეოდა, ორთქლმავლები გამჭოლად ხმიანებდნენ, ჩემოდნები გეჯახებოდათ, მერე კი, ვაგონში რომ აბრძანდით, პატარა, უზარმაზარ, მოკუნტულ ბებიას შუშის მიღმიდან დააცქერდით და, მიხვდით: ვეღარ ნახავდით მეტად. და, რამოდენიმე ხნის შემდეგ, სასწრაფოდ რომ დაბრუნდით რომში, და ძია რომანომ ხელი რომ დაგადოთ მხარზე, და გკითხათ: „დახედავ, ბებიას?" — უთხარით: „არა". ასე იმიტომ მიუგეთ რომ, კარგად იცოდით თუნდაც სხვა და უკეთეს სამყაროში გადასული ბებიას სურვილი — იმას არ ენდომებოდა, დაგმაცსოვრებოდათ ისეთი, ა"ლა რომ იყო; არამედ სურდა, მასზე თქვენი მოგონებები მუდამ რომ ყოფილიყო დაკავშირებული იმ სილაღესთან, რომელსაც ერქვა „რეჯინელლა, რეჯინელლა" — „პატარა დედოფალო..."

და თუმცა კიდევ კარგა ხანს უძახნია: „სადილი მზადაა, მაღლა", მაინც სწორედ იმ დღეს დაბაღებულა ნამდვილი ანნა მანიანი... ვულკანი, სიკეთე, რისხვა, და მარტოსული. „რა დასამალია, იყვნენ მამაკაცები ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ იმედის გაცრუების გარდა სხვა არაფერი მოუტანიათ..." მარტოსულობით, ვაუთანაც კი გაშორიშორდა... დიდო ქალბატონო — ერთ აღმოსავლელ მხატვარს უთქვამს, რომ ადვილია ქაჯებისა და ჭინკების ხატვა, რადგან არავის უნახავს ისინი, და რომ საოგნერიოდ ძალიან ძნელია ცხენისა და ძაღლის ქალაღლსა თუ ტილოზე გადმოტანა, რადგან ყველამ ვიცით... ხოლო თქვენი აღწერა, დიდო ქალბატონო, ვინც უშურველი უმეტესობა გადმოგვიბირეთ... უბრალოდ სჯობდა: დიდო, კეთილო, ნაზო, ლამაზო და რისხვავ, მოწყალეო, სამართლიანო, მოვლენილო, სხვებზე მეტად თავისუფალო, თან ვულკანო, თან მამაკაცთა ძიძად მფარველო, რომის ამღებო და, თანაც, ნანეტტავ... მაგრამ თქვენი ერთი ხატება, უკიდეგანო სან პიეტროში, სანთელით ხელში, ბებიას დაკრძალვის უმარილო დღეს... სან პიეტროში, რომელიც რომ მიქელანჯელოს ხელითაა მოხატული, ერთი სანთლისგან წყვილი სანთელი გენთოთ თვალებში, და, სამებისას, ჩამოგესმოდათ: „რეჯინელლა, რეჯინელლა" — „პატარა დედოფალო..."

11.

დიდი კლდის ტვინში იჯდა სკირონი.

დიდი კლდის ტვინში მოკუნტული იჯდა სკირონი და საკვირველება რამ ხდებოდა — იქ, საფიქრებელში, ჩაეძინა. აბობღებამდე, ეგონა რომ ყველაფერს შეეჩვია, მაგრამ უეცრად მზის გულზე პირქვე დაეცა და, მიწას ძალიან ფხოჭნიდა — რომ სიყვარული არ იყო, არა, — ვერ შეეგუა. უცებ მკვეთრად შემართა თავი — წერო დამდგარიყო იქვე, ცალ წვრილ ფეხზე ჩამომძიმებულიყო, მეორეს კი მღვიმისკენ უშვერდა: „შედი...“

„რატომ?“ — გაიოცა სკირონმა.

წერომ კი ღონივრად აასავსავა გაშვერილი ფესი და, ჯიუტად გაუმეორა:

„შედი-მეთქი, შედი!..“

მღვიმეში როგორც კი შეაბიჯა, წერო ღონივრად მიაფრინდა ზურგზე, ფრთები აასხმარტალა, ხვრელისაკენ ისე გამალებული უბიძგებდა, უნისკარტებდა კიდეც: „იქაც შედი, შედი...“

დაბნეული, მაცნაურის ნებას დაჰყვა, ხვრელში წვალებით აფორთხდა, დიდი კლდის ტვინში მთლად დაკაწრული შეიყუჟა და საფიქრალადაც მოემზადა, მაგრამ ლურჯად მოუბარმა ჰიპნოსმა დარია იდუმალი ხელი.

იქ, სიყვარული იყო თუ რა იყო, რაღაცა ამო კი დაესიზმრა: უცნობ შენობაში ტივტივებდა, ჩქრქალ ფერებში გამოხვეული, და ღრუბელი იყო თუ რა იყო, ბაცად წრიატებდნენ იმაში ციცქნა სინათლეები და რაღაც ტკივილნარევ მოწითალოსა და იისფერს მაინც შვებად გრძნობდა, ვრცელი სისუფთავე ჩამომდგარიყო, თავად კი ტალახშემხმარი და განსაბანი იყო. მცირედი წყალი ებოძა და ვერ მოარია ტალახს, მაინც განწმენდას ცდილობდა, მაგრამ შემხმარ მიწას კანის ნაფლეთებიც აჰყვა... ვიღაც — ზემოდან დასცქეროდა და მანვე შორიდან რომ დაადო ნედლი თიხა, ესიამოვნა, გაიტრუნა და იქვე ჩაესმა:

„არ გამოხვიდე!“

„რა...“ — შეკრთა სკირონი.

„არ გამოხვიდე-მეთქი!"

წერო ყოფილა, მაცნაური, გარედან აფრთხილებდა. მაცნაურის რჩევას მუდამ კი დაჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ აკრძალვას...

დუნედ გაფაციცებული, ხვრელს ჩაუყვა და ისევ იმ სიზმარში ფოფინებდა, არად აგდებდა განაკაწრებს, მღვიმე ფეხარეულმა გამოიარა და, შეკრთა: ზედ მღვიმის ზღურბლზე აღმართულიყო ფერმკრთალი თანატოსი, წვერ-ულვაშ ახლადშეღერილი მარადი ჭაბუკი, თავით ფეხებამდე შავი და განიერი შესამოსი მძიმედ ერწეოდა, ჩამქრალი ჩირაღდანი ეჭირა მაღლა აწეულ ხელში, და რკინის გული გარედან ეკიდა. ლამაზი იყო? — მტრისას...

თუმცა კი კრთომით, მაგრამ მოწიწებითაც შესცქეროდა სკირონი — ეს ერთადერთი ღმერთი იყო, ვისზედაც არ სჭრიდა არავითარი საჩუქარი და ქრთამი.

მშვიდად უმზერდა სკირონს; ჯერ დაკვირვებით შეათვალიერა და, მერე თვალებში მშვიდად, ღონივრად, უმუქაროდ, რაღაც ფარული თანაგრძნობითაც კი, შეაცქერდა — იმისკენ იყო... სკირონისაკენ იყო იგი, ვის ხელშიაც რომ უნდა გაევლოთ ხეებს, ყვავილებს, ფრინველებს, ბალახს, ადამიანებს, თევზებს, ქვეწარმავალთ და, კიდევ, სიცოცხლეს...

მერე, უგანა.

ათრთოლებული სხეული დაიოკა ყაჩაღმა სკირონმა, იქვე მიდებულ მახვილს დასწვდა, მხარიღლივ გადაიკიდა. მერე სანდლები მოირგო, ჩაიჩოქა, თასმები მჭიდროდ შემოიხვია წვივებზე, გაინასკვა, თეთრი ქიტონით შეიმოსა და, მღვიმიდან გავიდა.

გმირთაგმირი შემართულიყო იქ, სამკაულებით აბრჭყვიალებული, ტანადი, ბრგე, მომხიბვლელი და იმდროინდელი ღმერთების ნებიერი. ოლონდ ცოტათი სიფრიფანა, ფსკერიანი თვალები ჰქონდა.

მახვილი იმასაც მხარიღლივ ჩამოეკიდა, ხელთ კი მუხის უზარმაზარი კომბალი ეპყრა. ერთ დროს თავზარდამცემი პერიფეტეს ნაქონი.

სიგრძით, სიგანით, ასაკითაც — ტოლები იყვნენ.

სკირონმა ახედ-დახედა, ჰკითხა:

— ვინ ხარ.

გმირთაგმირმა ამაყად შემართა თავი, წარმოთქვა:

— შორითსაჩინარი, ფიცხელზლუდეებიანი ტროიძენეა საUშობლო ჩემი, და თეზევსი ვარ მე, ათენის მეფე და ატიკელი გმირთაგმირი, ეგეოსის ძე.

— მერედა, რა გინდა,

— სკირონს დავეძებ.

— რატომ.

— უნდა მოვკლა.

— მე ვარ.

თეზევსი ერთხანს გაკვირვებით მიაჩერდა თავზე ხელაღებულს, მერე კი ღონივრად ჩაბლუჯა კომბალი, და ისე მოუქნია, თვალსაწიერზე ფრინველი აღარ დარჩენილა მიწაზე, ერთი წეროს გარდა. ის შორეული თევზებიც კი, ფსკერისაკენ ჩაცურდნენ, მაგრამ სკირონმა ისე უეცრად ჩაიმუხლა და გაიმართა, სანამ მიწაზე დაეცემოდა თეზევსს გაუელვა რომ, სკირონს სხეულში უმტკივნეულოდ გაუარა დიდმა კომბალმა; იმ მძლავრი მოქნევით თავად დანარცხებული და იდაყვებგადაყელეფილი, შიშით წამოხტა და, შეაცქერდა:

— თვალთინათინა ათინა ხარ შენ?

— აკი გითხარი, სკირონი ვარ.

— თვალთინათინა თუ არა ხარ, წაქცეული, რად არ მომკალი...

ეჭვით უმზერდა.

— შენ აკი ყაჩაღებს იმათივე ხერხით ჰკლავ, თეზევს.

— კი.

— მერედა, ფეხები რატომ არ დამაბანინე.

— ველარ მოვიცმინე.

— წამოდი.

გადასავარდნისაკენ, ასე მიდიოდნენ — ჯერ სკირონი, მერე თეზევსი და, სულ ბოლოს, წერო.

იქაც, შვერილთან, ჯერ სკირონი გადაფოფხდა, მერე თეზევსი და, მერე წერომაც ორჯერ დაიქნია ფრთები.

ქვის სავარძელზე მიუთითა:

— დაჯექ.

დაჯდა თეზევსი.

სკირონი წყნარად უყურებდა, ჰკითხა:

— მაგდენ გმირობას რა გადენინებს...

— ქვეყნიერება ავაზაკებისაგან უნდა გავწმინდო, — თავი ამაყად შემართა გმირთაგმირმა,—ძლიერ მომრავლდით თქვენ.

— არა, — თქვა სკირონმა, — სხვა რამ დარდი გაქვს.

— მაინც...

— ჰერაკლეს ჰბაძავ. სასელი გინდა.

სისხლმა აასხა ტვინში თეზევსს, მაგრამ მაინც არ ზეწამოიწრილა — სკირონი იდგა დაჯერებული, მშვიდი, თვალებში წყვილი და მშვიდად მოციაგე სანთელი ედგა, სიყვარულამდე, იცოდა რომ ვერ მიაღწევდა და, სიბრალულითაც კი შესცქერიდა იმდროინდელ ღმერთთა ნებიერს — დაე, ჰყოლოდათ... ჰკითხა:

— ფეხი, დაგბანო?

ეს გიჟი იყო, ვიღაცა იყო, და ვაითუ, წიხლნაკრავს, გმირთაგმირის ფესიც ჩაებღუჯა და თან გადაეყოლებინა, თეზევსმა უთხრა:

— არა.

და თუმც სკირონს თვალებში ახლა დაცინვა ედგა, მაგრამ უცნაური — მართალი და მშვიდი. მაგრამ არ სურდა ეს სიმართლე და ეს სიმშვიდე, იმდროინდელი.

— გიცდი.

და, შეტრიალდა, გადასავარდნის ზედ წკიპზე შედგა, დაბლა ზღვა იყო, მრავლისმნახველი ჰელიოსით აბზინებული. იქვე, მის გვერდით მობუზულიყო ერთგული წერო, თეზევსისაკენ ნაღვლიანად იყურებოდა; და, შიშწეულად რომ შემართა პატარა თავი, სკირონს გმირთაგმირის ფრთხილი, აკრეფილი ნაბიჯების ხმაც მოესმა და, სანამ ზურგზე ეძგერებოდა მრისხანე ხელისგული, წყვილი ცრემლი მაინც წარმოსდინდა: ქვენასოფელი ცოტათი იმისიც იყო და, ეწანებოდა.

ცაში შხივილით აიჭრა წერო, სხვისკენ გაფრინდა, პირქვე-სკირონი კი, ხელებ და ფეხებ ღონივრად გაშლილი, თაეშემართული, გრძელი ვარდნისას არა ყვიროდა — იზმორებოდა.

• • •

პლუტარქე, ამბობს:

„მეგარის საზღვარზე თეზევსმა მოკლა სკირონი. მან იგი კლდიდან გადააგდო. სკირონი, საყოველთაოდ გავრცელებული გადმოცემის თანახმად, გამვლელ-გამომვლელთ ძარცვავდა; ზოგიერთის სიტყვით კი, უცხოელებს უტიფრად გაუშვერდა ხოლმე ფეხებს და, დამბანეთო, უბრძანებდა. იმ დროს, როცა უცხოელნი სკირონის ფეხების ბანას შეუდგებოდნენ, ქუსლს ჰკრავდა და შეუბრალებლად ზღვაში ჰყრიდა მათ. მეგარელი ისტორიკოსები არ ეთანხმებიან ამ გადმოცემას, სიმონიდეს სიტყვით რომ ვთქვათ, ომს უცხადებენ ძველ ამბებს და ამბობენ: სკირონი არც ავაზაკი და არც ასეთი ურცხვი ვინმე იყოო; პირიქით, იგი ყაჩაღთა დამსჯელი და კეთილშობილი ხალხის მოყვარე და მეგობარი გახლდათო. ეაკე ბერძენთა შორის უწმინდეს კაცად ითვლებოდა, სალამინელ კიქრევსს ღვთაებრივი პატივი აქვს ათენელებში; ხოლო პელევსისა და ტელამონის ვაჟკაცობა ყველასთვის ცნობილია. სკირონი კი იყო კიქრევსის სიძე, ეაკეს სიმამრი და პაპა პელევსისა და ტელამონისა, რომლებიც სკირონისა და ქარიკლოს ასულ ენდეიდისაგან წარმოიშვნენ. ყოვლად შეუძლებელია, წარჩინებული ვაჟკაცები გავარდნილ არამზადას დანათესავებოდნენ და მასთან გაეზიარებინათ ის, რაც ყველაფერზე წმინდა და ძვირფასია ადამიანისათვისო. თეზევსმა, როგორც მეგარელი ისტორიკოსები დაასკვნიან, სკირონი მაშინ კი არ მოკლა, როცა პირველად მიდიოდა ათენში, არამედ უფრო გვიან, მეგარელთა ხელში მყოფი ელევსინის აღების დროს, როცა არქონტი დიოკლე მოატყუა. აი, ასეთი წინააღმდეგობებია სკირონზე გადმოცემულ ამბებში".

სკირონი დიდ კუს არ უგემნია, პატარ-პატარა თევზებმა დაღრღნეს.

12.

ყოვლად სასარგებლო ქალბატონო, დიდო სენიორა ანნა, მანიანი... —

სიყვარული არის.

1985 წ.

ზღაპარი შედევრსა და იმის მასალაზე, ანუ

ჩვენი

(ყმაწვილთათვის მოსათხრობი)

ჭკუა უსმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების.

დავით გურამიშვილი

1

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ჭკვა. თავისთვის იდო და იდო. აუვლიდნენ, ჩაუვლიდნენ, ვერცა ხედავდნენ, მაშ. იმასაც, შეუმჩნევლობისა დიდი დარდი არა ჰქონდა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, ფიქრობდა. ნაბდად კი ერთი სქელი, დამრეცი, რეგვენისებრი შუბლი ჰქოწდა, თავისი კეფითა. იდო ძველი და დაფლეთილი ჭილოფისეეფ იმ თავის ტლანქ ციხე-სიმაგრეშია, აბა იმას ბროლის თლილ კოშკებს ვინ დაუხატავდა. უცაბედად თუ მიადგებოდნენ ჭკვას ხან აქედანა, ხან იქიდანა, აბაა გულის კარს ვის გაუღებდა, გულიცა ჰქონდა, დიდგულა იყო; თვალებიდან თუ გამოიხედებოდა, ისიც ძალიან ძვირად, თავის ნებაზედ ცქერა უყვარდა ჭკვასა, რასა ხედავდა და რას ვერა, ეგ სხვა ამბავია. სულ ეგონა რომ, მარტოკა იყო, არადა, თავისთანებში,

ყოველ ნაბიჯზე იდო. მოკლედ, ერთმანეთს სულ არა სცნობ-დნენ, რადგან ერთიმეორის მხოლოდ შუბლებსა ხედავდნენ ჭკვები, თავთავიანთთვის იყვნენ, ზოგი ასეთი, ზოგიც ისე-თი.

დროზე-დ იძახიან, ვერაფერი შეაჩერებსო, ალბათ მარ-თალია. იდინა, იდინა ამ დრომა და, ამასა კიდევ, გამოკეტილს, მარტო ჭკვობა რას ეყოფოდა, აიღო და, მოსწყინდა. ისე მო-სწყინდა, სუ დარდის ჭია ხრავს. გაიხედა ცოტათი გარეთა, თვალით მიიარ-მოიარა რაღაცები და რუღაცები, გახედა არე-სა, მარესა, ყურიც მიუგდო ვიღაცებსა, და აკი ზოგნი არ იძა-ხიან? — ესა და ესა, შედევრიაო... აიმ შედევრებსა, არც წესი ჰქონიათ იმ ჭკვის დასკვნითა და, არც რიგი, ხან რო შედევ-რად ქვისა კაცია, მერე შედევრად ბუზიკა ისმის, ხან რო შე-ღევრად ვარდქალები დაუხატნიათ, სხვები ყალამით გიშრის ტბაში იქექებიან, იმათგან ზოგნი ჩუმად არიან, ზოგნი კი ხმა-მაღლა იძახიან გულდაგულ ლექსებსა. იდინა კიდე დრომა, იდინა და, ის ჭია მინამ სულ არ დახრავდა, ეაიფიქრა ჭკვამ, მოდი, მეც ვიდენ და ეგებ შედევრის რამე მასალა მეც ვიშო-ვოო, უმასალოთო, როგორ შავქმნიო, ქალამანი რომ ქალამა-ნია, მასალა იმასაც უნდაო და, ამა სიტყვას, შედევრსა, როგო-რის წიწით ამბობენო, დროც ვერ წაშლისო, დროო, მოდი ერთი და, ეგებ იმის მასალას რასმე მეც გადავაწყდე, მოდი ერთი და, მეც ვიდინო და ვიდინოო. გამოძვრა გარეთ იმ თავისი შუბლ-სიმაგრიდანა, მზემ თვალი მოსჭრა, ვეღარაფერსა ხე-დავს, ისე კი გრძნობს რომ დაპატარავდა, ერთი ბეწოა, ცი-ცქნა, სინედლე მაინც შერჩენია, აცეცებს და აცეცებს რაღაც საცეცებსა, ერთი ნაჭუჭიც ადგას სახლადა, სახლ-კარი აბა რომელს არ გვინდა, გადაიქცა, მოკლედ, ლოკოკინადა. მიდის და მიდის, ადგილზევეა. რისი მასალა, რა მასალა, თვა-ლებში ვეღარ იხედება, რა დაინახოს, თუ მზე არის და, სულ თვალ-საცეცებსა სჭრის, თუ არ არის და, ბნე-ლა. ვარაუდითლა, მაინც მიდის და, ადგილზევეა ისევ ისევა. აბა, სადამდის უნდა ეარნა, ერთხელაც იყო, დააბიჯა ვიღაცამ ფეხი. ნატვრის ძალა კი მაინცა შერჩა, ერთი ისეთი ჯავშანი მომცაო, ერთი ისეთიო, რომა... იმდენი ინატრა, იმდენი, მო-კლედ, გადაიქცა კუდა.

პატარა სული ამოითქვა, ლოკოკინასთან შედარებით, ფეხმალიც კია, მაინც ძლივსლა დაბაჯბაჯებს, უჭირს. კიდევ კარგი რომ, თვალთა სინათლე მაინც შერჩენია, მაგრამ რად გინდა, რა მასალას ეგ უნდა წააწყდეს, სულ ყოველ ჩქამზე სულ რაღაცები ელანდება, ჯავშანში წამიწამ თავს იმალავს, ზემოთ ახედვისა ეშინია, ეგრე ხო უფრო უნდა გამოჰყოს თავი, დაბლითურა გზაზე კი არაფერი გამოეპარება, ნელინელ მავალია. მაგრამ დაბლითურა გზაზე რა უნდა ნახო, ჰა, დიდი-დიდი, კენჭი? იჭმეინებოდეს მაინცა.

მასალის დარდი აღარ ჰქონდა, ბალახ-ბულახში თუ შეძვრებოდა, ის იყო შვება.

აბა, დიდხანს რა დაიმალება? წაადგნენ იმასაც შემალულ თავზე, აიღეს ხელში გადასცემენ ერთმანეთსა, სუ ხელიხელ საგოგმანები გახდა, ურიამულით წაიღეს სადღაც, რა ეურიამულებოდა, ძველი სახლივით გატრუნულიყო, შეიყვანეს რაღაც კეთილმოწყობილობაშია, სითბოც არი და ყველაფერი, ჯერ ვერაფერსა ხედავს, ჯავშნებშუა ჰყუჩს, არის ერთი ჟივილი, ერთი ხივილი, არ ასვენებენ, აიღებენ, დაიღებენ, გადაატრიალებენ, ვაჰო, გადმოატრიალებენ, ვაჰო, გადააბრუნებენ ისევ ამობურცულ ზურგზედა, დააბზრიალებენ, თავს რეტი ესხმის, სულ აღარ იცის, საითკენა აქვს თავი, ვიღასკენა აქვს კუდი. ისევ, ღამე დაილოცოს ჭკვისთვინა — რო შეეშვნენ და არხეინად მიწვ-მოწვნენ, ერთი ფრთხილობა იფრთხილა და, გამოპყო მერე თავი, ხედავს რო კეთილმოწყობილობაშია, შემწვარ-მოსრაკულები უდევს, მაგრამ იმდენი გონი კი ეყო, ერთი ბაჯ, ორი ბაჯ, სამიც ბაჯ და, სულ ბაჯბაჯით გამოიპარა. მიდის თათაკრეფით ეს ბეჩავი ჭკვა უცხო გზაზედა, ძლიერ ბნელა და, გაგებაში ვერ არი, ერთი იმითღა იმშვიდებს თავსა, რო თავისუფალია. რა-აო, რაარ? თავის-უფალიო? თავისუფლებობანა კი არა, ბეჩავს, ბეჩავობაც აღარ აკმარეს, ბედშავი გასდა — დაეშვა ერთი წყევლისეეფ არწივი, დააცხრა არწივისებრ, ჩასჭიდა ნალეს-ნალესი ჭანგები, აიტაცა მაღლა და მაღლა, თურმე უნდა რომ, ციდან გადმოაგდოს და ქვებზე დალეწოს, ჯავშანშემომსხვრეული, გემოზედ მიირთვას მერე, იმსიდიდოზე აიტაცა, იმაზედ მაღლა ატაცება სულერთი იყო. ახლა ჩვენთან, მიწაზედ, აღარ იკითხავთ რა ხდებოდა? გამო-

სულა ამ დილაადრიან სწავლული ვინმე თავის კოსტად შეკრეჭილ ბაღშია, დაუსხამს ირგვლივ მონდომებული შეგირდები, თავად ზეზე დგას, შუაგულშია, ჭკვას ირიგება, ასეო, ისეო, უფრო ასეო, არამცდაარამც უფრო ისეო, აუწონავ ჭკვას ირიგება დიდის რიხითა, ენით ისე მზეობს რო, სუ ხელებსა შლის, დიდ ამბავშია. მაგრამ იმ არწივსაც რო არა ჰქონია გამოზომილი ჭკვა? ლამის მარიხ-ვარსკვლავამდე რომ აიტაცა, შეუშვა მერე ჭანგები ამ ჩვენს ბედის მაძიებელსა და, ქვებისა ნაცვლად ეს ჩვენი ხვითო, სუ სივილ-შხივილით წამოსული, ზედ იმ ფილოსოფ არ დაეცა თავზედა? იმას ნუღა იკითხავთ და, ამასაც აკი მართლა არ დაემსხვრა ის თავისი ნაქები საფარ-ჯავშანი? თანაც, ასხლტა და, შევარდა მერე თივის წოწოლა ზვინშია. იტრიალა, იტრიალა იმ ბეცმა არწივმაც შეშფოთებული შეგირდების თავზე და, ხედავს, მიწაზე დიდი ამბავია, მირბი-მორბის ხალხი, იტრიალა კიდე, ჩაიქნია მერე ფრთა, სხვაგან გაფრინდა, ჯავშნებიან ჭკვას რა გამოლევსო, გაიფიქრა.

ეხლაა, ცოტათი დავისვენოთ.

2.

ჰოდა, გატრუნულია ეს ჩვენი საბრალო ჭკვა თივის ზვინში, შედევრი და იმისი მასალა ვიღასღა ახსოვს, დარდიან დღეშია. ჯავშნებშუა ხო კარგა იყო და, ახლა, უჯავშნოდ, უსაფარვლოდა? — ეჰ... გავიდეს, სად წავიდეს, იმის შესანსვლ-შეხრამუნებას რა უნდა, ცარიელაღა ჭკვაა. გატრუნულა და, არც იცის, დღეა, ღამეა, წვიმს? ადრე ეგენი სუ იცოდა, ადრე ამეებს მაინც არჩევდა და, ძრიალ მოუნდა ადრეობა, იხვეწება, იხვეწება როო, მაგრა: მოდი ერთი და, ვინცა ბრძანდები, მაქციე რაა, ისევ შუბლ-კეფის შორისი, მოდი რა, ჩემსა წილ ფსრებზე მეც მატარეო, ჩამდე რა, ისევ, ადამიანში, ჩამდე რაა, რა იქნება ჰა, ერთი ეს შემისრულე და, შენი ჭირიმე, შენი სახელის კი ჭირიმეო. ისე იხვეწება რო, ისე ერძლად იხვეწეინება რომ, მოკლედ, სუ გაბმულ ღაღადისშია. აბაა, არაფერი. მერე ერთი კი შეუცადა, მიაყურადა, ჩქამი არ ისმის, ეედარც ღაღადებს და, ძლივი ლულლუღით გაუფიქრა, აბა, რომელი არ შევმცდარვართო, მაპატივეო. აბაა, ისევ არაფერი,

ტყუილ-უბრალოდ კი არ ვიძახით, არა, არ არიო. ჩაქინდრა ბედშავი თავი, მოიკუნტა, სდუმს, ველარცა წვალობს, აღსასრულს უცდის და შიგნი-შიგან ფინთად აზმორებს, ნელინელ ხმება. და სულ რომ გადაიწყვიტა ბედი, აკი მაშინ არ ჩამოესმა? — რა იყო, რა გინდაო. აკი ჰკვდებოდა? — ისე შეფრთხიალდა, ზვინის კინკრიხოზე შემომჯდარი ბელურა სუ გულისხეთქვით სხვაგან გადაფრინდა, გაკვირვებულობაში მოვიდა, ამან კი, ჩვენმა, აი იმ ხმასა, რაოდა, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ასე და ისეო, შამქმენ რა, ისევ, წუთისოფლის სტუმარ-ადამიანადაო, რააო. ისევ გაიტრუნა, და პასუხი ჯერ ვერ კი ესმის, მაგრამ ხვდება რომ, გრძნობს, რო დასცქერიან, ათვალიერებენ, მოლოდინშია, ვედრებითა ჰყურს. იმან კი ალბათ იფიქრა, იფიქრა და, ორშაბათ დღესლა უთხრა, კეთილი, კარგიო, ოღონდ გრძელი გზა უნდა გამოიარეო. ისე გაეხარდა რო, მახლას, კარგიო, წამოუძახა. შეუწყრნენ, შესწყრნენ, გაგამახლასებო, შენს ენაზედ ილაპარაკეო. იკბინა ჭკვამაც თავის ზედმეტ ენაზე, შეცბა, მოიკუნტა, გატრუნულობაშია. რაღაცა ბრძნული ჩამოესმა, თაფლად ეღვრება, მაგრამ რად გინდა, იელისაა — ისეთი გრძელი გზა უნდა გამოგატარო, შენ და შენისთანა ჭკვებსა რო გამოიგონეთო, არ გინდოდათ არა, პირდაპირ ადამიანობა, ახლა მიდი და, შენივე ნებით იწვალეო... თხლაშ! — გადააქცია, მოკლედ, ცალუჯრედიანადა.

...აი, რაღაცა კი არის, რაღაცას ვითომ კი წარმოადგენს, მაგრამ თავისი ნამცეცობით ვერა ხვდება თუ, ვინაა, რაა, სადღაცას კი არის და, არკი იცის, სადაა, რაში, აღარც ფიქრის თავი აქვს, აღარც განძრევის არაქათი, ძლივსლა იშმუშნება, მაგრამ იდინა, იდინა დრომა და, შეაწუხა ეს ჩვენი ცალფა უმოქმედობამ, უმოძრაობამ, ირგვლივ კი დიდი ამბებია, რა აღარა ხდება ამ დალოცვილს ქვეყანაზედ, ერთგან რო ხმელი ყინული რბილდება და ლხვება, სხვა არე-მარეში ისეთი სუსხი ჩამონაცრისფრდება, სუ ალესილ-დალესილ ჭანგებიანი, ეს დედამიწა კიდე, ჩვენი, ბებერი, მაშინ თქვენსეეფ ყმაწვილი იყო და, თანაც დიდი დაუდგრომელი — მთები ბოლავდნენ, მზე იკბეინებოდა რო, როგორც რო ცეცხლის ჭინჭარი, სუყველაფერი ცვალებადობდა, ჰაერი კიდე, ხან ლურჯი იყო, ხანაც

შავი, სხვაგან ბწყინე და ალაგ — წითელი, სანღისსანობით — თეთრი იყო და აღა სულაც ვეღარა ჩანდა, ცის ვარსკვლავები გამოესხა? — იმსიდიდონი, როგორც რო მუშტი, ზღვას კი სან გულის ძილით ეძინა ხოლმე, ხანაც ღმუოდა და თავის ჭურ-ჭელში ვერ ეტეოდა, მოუნდა ამასაც, ცალფად ბეჩავ ჩვენს წინაპარსა, ამოძრავება, ამოქმედება, გაიწელება, გამოიწელე-ბა, მიიკეცება, მოიკეცება, აბაა, ისევ ისაა, უმაქნისი და ციც-ქნი, უზინარი, ეული, კენტი, მაგრამ რაღაცა ჯადო-ძალა ამა-საც ამოძრავებს, ბეჩავი, ბეჩავურად იღვწის, მაგრამ ტყუილად აბა რას ჩაუვლია, დაჯილდოვდა ცოტათი ესეც, გადაიქცა წყვილუჯრედიანადა, ახლა ორჯერ მეტი გასაქანი აქვს, წაწ-ყდა რაღაც-რუღაცებსა, თავის მსგავსებსა, მაძებრებსა, შეი-თავისა, ხედავს რომ, უკვე ჰამეაა თუ რაღაცას ეძახიან, ისა, დიდ-დიდი ტანჯვა გამოიარა, ისეთი მიხვეულ-მოსვეული გზე-ბი, რომ უცაბედად ისევ უკანვე ბრუნდებოდა, ისევ ძველ ადგილას აღმოჩნდებოდა რაღაცის ნაჩლიქარში, თავის გუბე-ში, ისევ ის საცოდავი, ძველებური; ბუნების ძალნიც სულ დაჰბღაოდნენ, აბოლებული მთები სუ ცეცხლსა და ვაებას იტყორცნეინებოდნენ, ქარი უბერავდა ისეთი რო, გაუკვალავ-ში მთელი ქვეყანაც თან, გზად მიჰქონდა, ეს დედამიწაც, ყმა-წვილისებრი, დაულაგებელი, აბორგებული, შიგან-შიგნიდან ტორტმანებდა, და სალი კლდეები იბზარებოდნენ, ავი გრუხუ-ნით იშლებოდნენ, ტყე ზრიალებდა, ქვიშა იწვოდა, თოვლი თოვდა რო, რისი ფიფქი და რის ფანტელი — ცის კიდობნებ-ზე აკი იძახიან, უძიროაო, ალბათ მართალია, დიდთოვლობი-სას, სადღაც მაღლა, ძალიან ცაში, თეთრზე თეთრი ტყე ჭკნე-ბოდა და სულ ზორბა ფურცლებად ჩამოდიოდა, წვიმა წვიმდა რო, მიწაში ჩაგიტანდა, თანაც გრგვინავდა, ელავდა, ქუხდა, და მაინც, მაგრამ, ესა, ჩვენი მომავალი ორფეხი, დღენიადაგ გაქრობისა და აღგვის შიშში, წვალება-წვალებით მაინც იგ-როვებდა რაღაცებსა, სად და სად აღარ დაღოღავდა, და მი-წამ ადამიანად გახდებოდა, რაც იმას გადახდა?—მტერ-კეთილ-ისას, ადამიანისას, მოკლედ, მაგრამ იმასთან ერთად ჩვენ რად ვიწვალოთ, ჩვენ ხო უკვე დაბადებული ადამიანები ვაარ-თა, ზოგი ასეთი, ზოგნიც ისეთნი და, არა სჯობიან, ცოტათი დავისვენოთ?

ცოტათი დავისვენოთ.

3.

მაგრამ იმას რო დაესვენა არ ივარგებდა, რო დაშოშმინებულიყო, ჩვენამდე ვეღარ მოაღწევდა.

მოკლედ, ჯერ ვითომ ადამიანია, მაგრამ გაგებაში კარგად ვერ არი. მსრებზე თავი კი აღგას, მაგრამ კარგა ვერ შესდიგამოსდის ჰაზრი. იმისი თავი და თავი და ჰაზრი საჭმელია, შედევრი და იმისი მასალა ვიღასლა ახსოვს, ტყეში ნაყოფებს დაეძებს, მდინარეში თევზსა, ფესვებსა ღრღნიან, იჩიჩქნებიან, ნადირ-ფრინველს ქვებს უშენენ, მოკლედ, დაარბეინებს კუჭი. მაგრამ დიდი სიფრთხილე კი ჰმართებს, ამას თუ საჭმელი უნდა, სხვებს შესაჭმელად ესა ჰსურთ — დააბოტებენ რაღაცა დიდნი, დიდრონნი, ერთი ვაი-უშველებელნი, ხახებს უმიზრებენ, გარბი-გამორბიან ესენი, ჩვენები, კიდევ კარგი რომ, მღვიმეები აქვთ, თავისი ჩამონაჟურითა, რაიმე თუ დაედევნებათ, კლდის ხახებში შევარდებიან, შეიყუჟებიან იქა, კანკალებენ და შიათ, ცოტათი თუ დაიამებენ კუჭს, ერთიმეორე მოუნდებათ, თანაც მსგავსი და თან განსხვავებული, ძუძუს დაეძებენ, ჩხავიან ბავშვები, აბა თავისით როგორ დაკაც-დაქალდებოდნენ, ალბათ მისჯილი გრძნობით უყვარდათ, ზრდიდნენ. დროზე-დ რომ იძახიან, მიედინება და ყველაფერი მიაქვსო, ცოტათი ტყუილია, რაღაცებიც — მოაქვს, ისწავლეს ამათაც ცეცხლის დანთება, ნადირ-ფრინველის შეწვა, მეტის გემოთი ჭამენ, აღარ ეგლისებათ პირში ტახის ბალანი, ფრინველს პუტავენ და ისე სწვავენ, ამზადებენ ქვის დანებსა და საფხეკებსა, მახეებსა, შენიღბულ ორმოებსა, იგონებენ და იგონებენ ნადირისათვის ვაებებსა და თავიანთთვის — შვებებსა, ისეთი წვეტ-წვეტიანი რამეების გამოყვანა ისწავლეს, როგორც რო სიკვდილი, ახლა საჭმელი მეტი აქვთ და თავად კი შესაჭმელნი ნაკლებად არიან, იმ თავიანთი ყოჩაღ-ჭკვითა, სუ ერთნაირად გადააშენეს ის დიდნი, დიდრონნი, ერთი ვაიუშველებელნი, დღით წამოწოლის დროსაც კი შოულობენ და, აკი არ გაჰკრა მაშინ, პირველად, ჰაწუა შედევრმა? მიადგა მღვიმის კედელსა, ნახშირით ჰხატამს. ხარი არი თუ რა არი, უნდა რომ მუდამ ჰყვანდეს. ბეკეკოა თუ რა არი, ხანდახან ისე ნამდვილსა ჰგავს, ლამის კიკინებს, დედა-

კაცი თუ მოუკვდება და დაღვრემილობაშია, იმასა ძერწამს და იმას ჰხატამს, ვითომ აცოცხლებს, აკი იმ ძერწვამ არ ასწავლა თიხა? იმისი ფასი, თიხისა, აბა სხვა რა არი, გინდა, გრილია, თუგინდ — სითბოსაც შეგინახავს, რაც გინდა ჩაბარე და, მუდამ შენია. ამასობაში ხელკეტი და ქვა ალარა აწყობთ, გამოუგონიათ შუბი, მშვილდ-ისარი, იმათი შიშით ცაში ფრინველს ვერ გაუჭაჭანია და მიწაზე კიდევ — ცხოველსა, სთესავენ, იმკიან, მოიშინაურეს ფრთოსანნი და ოთხფეხნი, ართმევენ ცხვარ-ძროხას რძესა, ტყავსა, ხორცსა, ფუტკრებს — თაფლსა, ცხენს — სიჩქარესა, ფრინველებს — კვერცხსა, ბუმბულზედ სწვებიან, მოედინება დრო, ვითომ ემატება ნაოჭები ჭკვასა, მაგრამ რათ გინდა, რო მოიწყვეს კარგი ცხოვრება, უფრო არ დაერივნენ ერთმანეთსა? ჭკვაზედ ცოტათი აფრაკად არიან — განცხრომაში ხო იყვნენ და, მეტის განცხრომისათვის, ჩხუბს არა სტეხენ? აქეთ რო ერთნი არიან, იქით — მეორენი, ზოგს მეტი აქვს და ზოგსა ნაკლები, რატომ იმას ისა და მე ისა არაო, ერთმანეთისა შურთ, რაკი პატარა ჭკვა დაიგულეს თავში, თავისი თავი ყველას სხვისა თავზე მეტი ჰგონია, აკი ბრინჯაოც უკვე იციან, იქნევენ სმლებსა, სხვას თუ დასცხებენ, სიხარულით ალარ არიან, სუ ბედწიერების ყიჟინას სტეხენ, თავად თუ მოხვდებათ, სტკივათ და არა ჰსიამოვნებთ, მაშ, იგონებენ ჯავშან-აბჯრებსა, მუზარადებსა, სამკლავეებს, საბარკულებსა, თავიანთი ჯოგი მოუწყელავი რჩებათ, სხვისას კი ბლომად მოდენიან, ოთხფად სწველიან და ცხრაპირ ტყავს აძრობენ, დაძლიერებულა ეს ჩვენი ძველი ჭკვა, ოღონდ ტანზედა, ჭკვის პირობაზე კი მეტად თხელია, განძლიერებულა ტანზედა და, სიიადგება ვისიმე კარსა, აბრიალებს თვალსა, ჩამოჰგლეჯს სამკაულს სხვისა ქალსა, გამოივლის მოლსა, ჩამოჰკიდებს ცოლსა, მხლებლები ცისეთს მორჩილებაში ჰყავს რო, როგორც ჭიქაში წყალი, ამ ჩვენს ერთ-ერთ ჭკვას ვინ გაუბედავს რამესა, დღისით მზეს, ღამით მთვარესა, დიდრონ გულზეა, ამაყადა ჰქშენს და, გაიხედა და, აკი ტყვე არ არი? ვიღაცის მონა?

ცის კიდობნებისა არ იყოს, განცხრომაზედაც იძახიან, უძირაოო, აკი იმის პატრონს, გამარჯვებებით გაპირქვავებულს, გადიდგულებულს, სულ მეტისმეტები არ მოჰსურვებია?

წამოწოლილა ტახტრევანზე, დასტრიალებენ, შემწვარი გინდა, მოხრაკული, მარილი, რაზე, ამასა კიდე შიან, ეწვის და ეწვის კუჭი, ფეხზე ძლივასა დგას, ნერწყვებსა ყლაპავს, ამას რო გუბის წყალი ენატრება, ის შარბათსა სომს, იმა პატრონის გულის მოგებას რო ფერად-ფერადი ქალები სუ ცეკვიდა და სიმღერით ცდილობენ, ამას გინჯიც კი ზედ არ უყურებს, არადა, ეს უფრო შესანიერი და მოსულია, მაგრამ რათ გინდა. შეუჩეჩებიათ ფარშევანგის ფრთა, იმას ურიავებს, იმას აგრილებს, თავად კი სცხელა, ისე ძლიერ ალალიმალ უნდა უქნიოს, ჩამოწყვეტაზე აქვს მკლავი, მაგრამ ფარშევანგის ფრთას ვილამ დააჯერა, ებღლარძუნება რაღაც თლილ ლოდებს, კარგად გამომწვარ აგურს აწყობ-ალაგებს ერთმანეთზედა, ორი მდინარის შუა, მზის გულზეა და წურწურით დასდის ოფლი, ისე გაისდარა, ადამიანი კი არა და, ადამიანის ჩირია, და ვერაფერი შეღავათია, იმასავით ძრიალ სხვებიც რომ დაღონებულან, ძველი პატრონიც ამის გვერდითა წვალობს, გადმოუგდიათ ფაფუკი ტახტრევანიდან, თავა ენატრება წამოსაწოლადაც, შესაშმელადაცა, ახედ-დასედეს ერთმანეთსა, ესა, ჩვენი, უფრო გულზეა, მონობას უფრო შეჩვეული, და ამან, ჩვენმა, აიღო და ჩააფარა თავში. აის ქალები სხვებს უმღერენ და სხვისთვის ცეკვავენ, იგრეხენ წელსა, ნემსში ძერებიან, ვილაცებს ამაზე მეტი ქკვა დაუკოვებიათ ქოჩორა თუ მოტვლეპილ თავშია, თიხის ნედლ ფირფიტებზე რაღაც ჯადო-ნიშნები გამოჰყავთ, დიდის ამბით უჩვენებენ ერთმანეთსა, ამაყად ჰმარცვლიან და ისე კითხულობენ, კომენტარ აკეთებენ, მუზაზედ არიან. აი, ხო საცოლავი და გაუგებარია ეს ჩვენი ესა, ჯაჭვზე გამობმული, ვერაფრის უზერში ვერ არი, და მაინც, მაგრამ, გუმანით ხვდება რო, დიდ ქალაქშია, დასაფასებელში, შვიდ ბრძენს ჩაუყრია იმ ქალაქისთვის საფუძველი. ის ველურები, წყალს ჯოგთან ერთად რომ ეწაფებოდნენ, მოუთოკნიათ და ამუშავებენ, აწვალებენ, იყენებენ რაღა, ლარივით სწორი ზღუდეები ამოუყვანიათ, ზედ მოუხატნიათ ლომკაცები და არწივქალები, სიმდიდრე აქვთ რო, მეტი არ იქნება, მაგრამ სიმდიდრის კიდობნებსაც აბა რა ჩასწვდება, გაიხედა და, თხლაშ, სულ სხვა მიდამოში არ არი? იქაც მონაა, იქაც უბირი, მაგრამ ზოგზოგებს იმოდენა ოქრო და ვერცხლი დაუგ-

როვებიათ, სუ ოქროს ტასტრევანზედ ჯდებიან, ყვითლად უცივდებათ ერთი ალაგი, განა თივა არა სჯობიან? მაგრამ თივისა რა იციან, ანდა იმისი სურნელისა, სუ ძვირფას-ძვირფასი ნელსაცხებლებიო ჰყარან, შემოუხვევიათ დიბა-ატლასი, ფეხით სიარულს არა კადრულობენ, ამისეეფ მონები მოჩუქურთმებული საკაცეებით სუ ციმციმ დაატარებენ, ეტლებიცა აქვთ ისეთი რო, სუ გრიალ-გრიალი გააქვთ, აბა ისეთურის პატრონს თითს დააკარებ კი არა, შეხედვისაც კი ეშინიათ, მზის შვილები ვაართო, იძახიან, მზის შვილები არიაანო, ერთსმად გაიძახიან ესენიცა, ხოდა, აბა, მიდი აბა და თუ ბიჭი ხარ, თვალი გაუსწორე მიწაზე ჩამობრძანებულ მზისმიერებსა, იმათ კი, ცოტცოტებს, ისეთი ოქროები ჩამოუკიდნიათ, უფრო მეტად რო გაანათონ და, იჭიმებიან ნამდვილი მზის გულზედა. იმათი გულის საამებლად კი მიმსხდარ-მომსხდარან იმათ ქალაქში გრძნეულთითება ხელოსნები, მზე-განმგებლისთვის შედეგრების შექმნას ცდილობენ, მეტის მონდომებით, იჩეჩქვავენ თითსა, იდრეკ-იღუნავენ ქედსა, იღამებენ თვალსა, მონდომებულობაში არიან, დააცქერდა ერთ უცხო სამაჯურს ესეცა, ჩვენი, ცოტათი შეუტოკდა ბურანში ძიძინებული ჭკვა, ლამის იყო და, გაახსენდა და მოუნდა იმასაც რაღაც-რაღაცები, პაწუა მუზამ იდაყვი გაჰკრა, რაღაც გაღმურად აფორიაქდა, უჩვეულოდა, მაგრამ ვინ დააცადა, გადაუტყლაშუნეს კბენია მათრახი. ჩასჭიდეს ქეჩოში ხელი, უბიძგეს, მიდი-მიდი შენი საქმე ნახეო, იმისი საქმე კი დუხჭირებთან ერთად ლოდების თრევაა, წვალება, ვაება, ტანჯვა, აშენებენ და აშენებენ მზე-მბრძანებლისათვის სიკვდილის შემდეგაც განსაცხრომელსა, ისეთ ზორბა და ქვურსა რამესა, დაბლა, მიწაზე რომ ძლიერად და ფართოდ გაბჯენილა, ზემოთკენ, ცაში, წვეტად აჩრილა, ძლივას აუწვდენ მზერას. ჩამორიგებულან დიდ-დიდნი ქადაგნი, ჯერ ცას და იმის ჯილდო-ვარსკვლავთ აჰყურებენ, უჭვრიტინებენ ნამდვილ მზეს, ჭახჭახასა, მესხვადასხვიე ღრუბლებს, ეულ მთვარესა, მერე ამათ დასცქერიან მსუსხავის თვალითა, წინასწარმეტყველებენ ცვალებად ბედსა, აძრწოლებენ და ახარებენ დაბლითურებსა, პირშიმთქმელები არიან. მერე თავიანთ მდინარეს, ფართოს, ვეებას, ნოყიერს, შლამის უხვად ჩა-

მომტან ჰაპის მოწიწებით კი მიადგებიან, მაგრამ პირში აქებენ იმასაც, მაცოცხლებელს, ნაპირზე კრძალვით გამოსულან. ეგ კარგი ჰქონდათ, ბუნების ძალთა პატივისცემა, მაგრამ გავიხედოთ და ხალხისთვისაც კი ზრუნავენ, აზრებსა ჰქმნიან, თავიანთ ნამოღვაწარს ისლისებრ მცენარეზე ასურათხატებენ, სწერენ, ხალხზეც ზრუნავენ, მააშ — იგონებენ და იგონებენ სულ-სუ ვარდისფერ კანონებსა, მაგრამ რათ გინდა, მაგრამ იმდენი მოხელეები ჰყავთ, მინამ ის კანონი ხალხამდე ჩავა, იმოდენას ხელში გამოიკლის, ლამის შავდება. ამას კი, ჩვენსას, ვინ მოასვენებს, წამოიყვანეს ისევ აქეთა, ეგრე არ უნდა პირამიდებ შენებაო, ისეთი გოდოლის წამოჭიმვა დაუპირებიათ, ისეთისა, რო იმის მეშვეობით ღმერთსაც რო შესწვდნენ, არიან დიდ-დიდ ამბებშია, მასალის მომარაგებაშია, ტაბელ-უწყისის შედგენაშია, ხარჯთაღრიცხვაშია, გოდოლსაწევროების გადახდაშია, ანგარიშგებებში, თანამოხსენებებშია, მაგრამ რამდენიც გინდა იწვალე, მიდი, რაგინდ დიდრონი ამბები ასტეხო, ღმერთამდე, აბა რომელი ავმაღლებულვართ, ცოცხლებიდან მაინცა, ერთი იმანაც გადმოიხედა, რას ფუსფუსებენ, რას მიედ-მოედებიანო, და ესენი რო შენებ-შენებით სუ სიამაყის ყიჟინას სტეხენ, აიღო იმან და, ეგრე არ უნდაო და, განა თავს მესი დაატეხათ ან გინა ადრინდელი წარღვნა, ან განა საძოვრები გადაახმო ერთგულ მზის ხელითა, ან გინა ქარბორბალათი მიხვეტ-მოხვეტა ყველაფერი, არა, უბრალოდ, ენები აურ-დაურია. მინამდე ხო ერთნაირად ჰტიკტიკებდნენ, არა?, ეხლა ჯერ გაოგნებულობაში არიან, ანგარიშგებებს რო სულაც თავი გავანებოთ, ერთმანეთს ვეღარც კი ესალმებიან, ერთი რო ჰაუდუიდუ-ს გაიძახის, მეორე ბარევძე-ს აგებებს, მესამე რომ ჭ-ს ვერ ამბობს, მეოთხეს ჭიჭიკო ჰქვიან, ვერა ესმით რა, ბრიყვებივით შესცქერიან ერთმანეთსა. ერთიმეორე სუყველას გიჟი ჰგონია და, ლამის არი, თავადაც დაგიჟდნენ, ჰნერვიულობენ, აღარც თქვენი გოდოლი გვინდა და არც არაფერიო, ვიღუპებით და არიქა, ჰარიქაო, ერთი კი დაჰკრეს ფეხი და, დაშინებულები, ვინ საითა და ვინ საითა, ისე დაიქსაქსნენ, სულ კეფაზე ირტყამენ ქუსლსა.

ნუ შევისვენებთ, რაა? — შესვენებამდის, ცოტაც მაცალეთ,

რაკი აქამდე გისმენ-ვიიმენიათ, არ დაეკარგოთ და შესვენებამდის ძლიერ მოკლედ გიამბობთ ყველაფერსა — მოკლედ, სანამ თავის ალაგას აღმოჩნდებოდა, რაც იმან იწვალა, მტერს არ ვუსურვებ, მოკეთისათვის მინდა, ბევრმა არ ვიცით წვალების ყადრი, თუკი გავუძლებთ, უი ჰო, მართლა, მოკლედ — ახალ-ახალ ცივილიზაციებ დაეძებდა და პოულობდა კიდეც, მაგრამ, უმეცარი, სხვების ქალაქებს იღებდა ათასნაირის ხრიკით და ხერხითა, ხის ცხენშიაც კი მჯდარა, გატრუნული, მრავალნიჩბება ხომალდით დაცურავდა მოდიდო ზღვებზედ, და ჭრელი ცოდვებიც თუმცა ბლომად ჩამოჰკიდნოდა მაღალ კისერზედ, მაგრამ მარმარილოს შედევრებშუა დაიარებოდა, კიდეც მოუნდა რაღაც თავისის შექმნა, აექავა ჭკვა და, ერთი პირობა ქვისმთლელადაც დადგა, მაგრამ ვინ მოასვენებდა, ვინ ტიალი და ოხერი, ის გადაკიდებული ჩალმოსნები მაშინაც, იქაც კი ებრძოდნენ, ურჯულოები რომ ყოფილიყვნენ, კიდევ რა უშავდა, ავრჯულიანნი, მაინც რარიგ ბნელები იყვნენ, რა ღვთის წყევლა, და ესეც ებრძოდა, თავისუფლების მოყვარული, უშიშარი, კუნთებდასხმული გმირი, ბრძოლაში გმირი მერეც კი იყო, მარადიულ ქალაქში მოხვედრილი, მაგრამ იქ, იმოდენა ფუფუნების შემყურეს, წყვეტილ-წყვეტილი მშვიდობიანობისას მეტი მზაკვრობაც შეერია, უფრო ქვებუდანი გახდა, თავისი ჭკუით ამაღლება მოჰსურდა ყმაწვილს და, იქ რო ერთი მოატყუა, იქ მეორეს ფეხი დაუდო, იქ მესამეს ხაშხაში ჩაუყარა, იქ მეშვიდეს გული მოიგო, იქ მეათეს აამა, იქ მეთექვსმეტეს მეჩვიდმეტე მიუსია, იქ მერამდენიმეღაცეს საჩუქარი მიართვა, საჩუქარი არაა, ჯანდაბა და დოზანა, უფრო ნამდვილი სიტყვით — ქრთამი, და, გავიხედოთ და, სენატში არ გამოჯგიმულა? იძახის და იძახის წონიან სიტყვებსა, ჭკვაში დასაჯდომ აზრებსა, ხან ვის მხარეზეა, ხან კიდევ ვისზედა, გააჩნია თუ, საიდამ უბერავს ქარი, მოკლე შეხედვით, ყველაფერი აქვს, ქალი იმას არ აკლია და ჯიგრის ყაურმა, შეუძენია ცოდნა-განათლებაცა, სიტყვები აბჯრად ახვევია, მახვილადაც და სანდლებადაცა, არც ტანთ აკლია და არც ფეხზედა, მატერიალისტიცაა, ჰიდეალისტიცა, განცხრომაშია, რაღა, ერთსიტყვით, ბნელ ღამეშია, მაგრამ ყივილ-ყივილით ჩამოცვივდნენ, მაღალ მთებიდან აღგზნებული ველურები,

შენს სწავლა-განათლებას რას დაგიდევენ, დააცხრნენ იმათ ქონებას, დაეწაფნენ იმათ ქალებსა, იმათსას ჭამენ, იმათსას სვამენ, ძლივას აბრუნებენ თანხმოვნებიან ენასა, გაეცალა იქაურობას ესა, ჩვენი და, ᲨᲘᲘᲐᲠ-ᲨᲝᲘᲐᲠᲐ სხვა ქვეყნებიც, ხან შავი იყო, ხანაც ყვითელი და თეთრი, მერე კი შედგა, შეჩერდა, გაყუჩდა, ფიქრობს.

ესლაა, ცოტათი დავისვენოთ.

4.

აი, ბევრი რამ ხომ ადვილია, მაგრამ ნატვრისთანა ადვილი არაფერიც არ არი. იმედიც მოაქვს, წარმოდგენაცა, ნუგეშიცაა, და უფასოცა. აემას, ჩვენსას, შემდგარს, შეჩერებულს, გაყუჩებულს, რაღა დარჩენია, სდგასა და ჯერ ფიქრობს. რაგინდ გზები არ გამოეარნა, უთვალავი გზა მაინცა რჩება, უფრო კი ოთსი — ერთი პირდაპირ, მეორე უკან, მესამე და მეოთსე კი მარჯვნივ-მარცხნივა. მაგრამ აკი სუ წინ-წინ არა ვცდილობთ? დაადო ამანაც თავი, იარა, იარა, გაცვითა რკინის ქალამნები, აწვიმს და ათოვს, ხან ისე სცხელა, კანი ებზარება, ხან ისე სცივა, სუ გონება უჩამიჩდება, ᲰᲨᲘᲐ, სწყურიან, დაოსებულა, ნატვრის თავი კი მაინცა აქვს, აღაპყრო ერთსელაც მზერა, იხვეწება თუ, მოდი რა, ერთი გადმომხედე, კარგი ქვეყანა მიმასწავლე, ერთ ისეთ კარგ ქვეყანაში დამსვი რა, რო საჭმელიც მქონდეს, სასმელიცა, რომ არ მომწყინდეს, ზაფხულიც მინდა, ზამთარიცა, ოღონდ რო ძაან არცა მცხელოდეს და არც გავითოშოო, სახლ-კარი მომეც, ქვა შემომარტყი გალავნად, თიხა დამხურე თავზეო, ფიცრის იატაკზე მატარე, უი ᲰᲝ, ტყე ახლო მქონდეს, რო ზაფხულობით ჩრდილიანგრილიანში მოვისვენო, ზამთრობით კი ბუხარში ცეცხლი მიგუზგუზებდესო, ხარ-კამეჩები დამიდიოდნენ, ნახირი და არვე და ფრინველთა დასტა ულევად მყავდეს, რძესა და იმაზე უკეთესს ვსვამდეო, ᲭᲕᲐᲕᲘᲡ ᲞᲣᲠᲡᲐ და იმაზე უკეთესს ვᲭᲐᲛᲓᲔᲝ, მთაც კი მინდა და ბარიცაო, შენი ᲭᲘᲠᲘᲛᲔ, შენი სახელის კი ᲭᲘᲠᲘᲛᲔ, რა, ღმერთოო. მერედა, ეგეთი ქვეყნის შვილობა რომ ძნელი იქნებაო, ჩამოესმა. აიხედა და, მაგრამ ღამეა, ვერაფერს ხედავს. მაინც ასძახა, ძნელი აბა რად იქნებაო.

რადაო და, შენი ხვავისა და ბარაქის შორიახლოდან შემყურენი, დაგესევიან, დაგეხვევიან, შენც, შენი მიწით, იმისი პატრონი, ცოტაოდენი კუდაბზიკაც იქნები და, მოგერევიან, დაგეხვევიანო. დამეხვიონო, ხმალს თუ მომცემო: ხმალს როეო არ მოგცემ, მაგრამ ბევრნი იქნებიანო, იყვნენ რა, დიდი ამბავიო. აიი, უკვე თავი ქუდში გაქვსო, იცოდე, გაჭირვებისას შენსავით მუყაითი არავინ იქნება და უგაჭირვებოდ კი შენისთანა მცონარა არსად მიეცემა შენებრ განცხრომასაო, მთავარია რო, გაჭირვებისას არ გამცონარდეო. ესა კიდე, ყურს ველარც უგდებს, თავისას გაიძახის, წარმოდგენებშია, რად არ მექნება თავი ქუდშიაო, რაც მე სახნავი, სათესი, სათბობი, ფრინველი, ცხოველი, ხმალი, რამეო... ერთბაშად შეცბა, გაიტრუნა, აღარავინ ეხმიანება, არაფერიც სჩანს, ეს სად შევტოპეო, მოუნდა უცსო საუბრის გაგრძელება, გისმენ, გისმენო. აბაა, ჩქამიც არ ისმის. ეს ჯერ გულს არ იტეხს, რაკი ერთი დამხედა, ესე ბნელში როგორ დამაგდებსო, გისმენ, ბატონო, გისმეენ, გისმეენო, აბაა, ისევ და ისევ არაფერი. იმდენი იძახა, ლამის თავზე დაათენდა, სუ ცოტათი დაიბზარა ცა და, მაინც დაიძრა, მაინც იარა, ეგებ, ეგება, ეგების შემხვდესო.

ღმერთს კი ვერა და, გამთენიისას, ღვთისმშობელს შეხვდა. ანათებს, ანათებს. დილის რიჟრაჟში გამოსულა, სპეტაკია რო, როგორც რო თვითონ. შეგვიცბა, ჩვენი, ხმას ველარ იღებს. ეუბნებიან წყნარის ხმითა, შვილო, რააო. მიშველე, დედი, ერთი ისეთი ქვეყანა მომე, რო სუ... გააწყვეტინეს ამო ხმითა, ჩემი წილხვედრი ქვეყანა გინდაო? როგო არ მინდაო, ლამის შეჰყვირა, სად, ან საითკენ წავიდეო. მანდვე დგეხარო, უთხრეს.

და, დააყივლა კიდეც მამალმა.

საქართველომდე რახან მოვედით, ეხლა ხშირ-ხშირად დაგასვენებთ.

5.

ყივილ ეგრე არ უნდაო, გამოდინდა და გამოდინდა სახლეებიდან ხალხი. ჯერ კარგა ვერ ჩანან, მაგრამ როგორც რო ყველგან, აქაც ზოგი ჯეილია, ზოგიც ხნიერი და საშუალო.

იფშვნეტენ ნამძინარევ თვალებსა, პირზე წყალს ისხამენ, ფრუტუნებენ, ჯერაც ბინდ-ბუნდია, როგორც რო მიწიდან, ისე ნელინელ იჩეკებიან და მკაფიოვდებიან კოსტა სახლები, უბრალო ხელით მოჩუქურთმებული აივნებითა, ძროხებს ედესებიან, ჰაამო, ჰაამოო, მიბაჯბაჯებენ მწყობრი ბატები, მიმდგარა ერთი თვალდახუჭული კამეჩი და, ღობეს ძლიერ ეხახუნება. რაღაცა ერთი ტყრუშული ღობეა, მაგრამ როგორღაც მ'შობლიური, და ძაან გულდაგულ შესწყრა კამეჩსა, ჰაი მე კი შენი შობელი პატრონი კი ჰაიასე და ისეო, აკი გინებაც არა სცოდნია? — გადაუჭირა იფნი სახრეი, ხელთ საიდანა ჰქონდა, ნეტა. დაღლილია რო, ქუთუთოების დამაგრება უჭირს. რაც არი არიო, შევიდა იმღობიან ეზოში, მაგრამ რასა ხედავს, ნაგაზი წამომხტარა იმსიდიდო რო, უცებ მოზვერი გეგონება. გამოქანდა ამისკენა და, ამას რო გულმა ოფოფი უყო, არ მიელაქუცა რომელიღაც ფეხზედა? ჰაი მე კი შენიო, იმასაცა, ამაან, მიაზილა მეორე ფეხი, გაიძურწა ის ძაღლიც ძაღლისეეფ, აშანა კიდე, ისევ რაც არი არიო და, შევიდა სახლში.

შევიდა სახლში და, ისე იქცევა, ვითომც დიდი შინაურია — წაიძრო მთლად დაცვეთილი, ტყავად ქცეული რკინის ქალამნები, კუთხეში მიჰყარა. თვალები თუმცა კი ებლანტება, მაგრამ ხედავს რო, აქეთ დედაკაცი წევს, იქით კიდე ბალღები, რვანი თუ ცხრანი არიან. დაახილა თვალები ქალმა, ერთი კი შეხედა, გადაბრუნდა მერე ფიცრის კედლისკენ, მოიწყინა რო, როგორც ატმის ხემ ზამთარში, ნიკაპი მკერდზე დაიბჯინა, გულდათუთქულმა სადღაც თავისი უბისკენ იკითხა, კიდე იმასთან იყაო? აბა რას ამბობ, ქალოო, შემასა ვჭრიდი, ტყეში დამიღამდა, ხეზედ მეძინაო. ვიცი, ვიცი მე შენი ხეო, ტახტის ხეზედაო, არაო? აბა, რას ამბობ, რას ამბობო, ისე იმეორებს ესა, ვითომც დიდ-დიდ სიტყვებს მიაგნო, თანაც ტანთ ისდის, ფოთლებიან ხეზედ მეძინა, აბა მგლებ ხო არ დავეგლეიჯინებოდიო. ჰაი, ეგ სოფლის ჩამქრალი ნახშირ-მაშხალა ეგაო, ქალმა. ვინ მაშხალაო, რა მაშხალაო, აბა რას ამბობო. ვინა და, ის შენი ყვავ-ტურფა ფეფელოო. აბა რას ამბობ, გეაცვალეო, თბილა მიუწვა გვერდზედა, მაგრამ რიღასი მაქნისია, ფერფური სუ ძილისკენ მისდის. გადმოაფოფხდა ის თავისი ქალი, ჩაიცვა ძველმანები, და მინამ გავიდოდა, მაშ

აბა შეშა სად არიო. ამანაც, ლულლულითა, თავისი ჭკუით ვითომც იხუმრა, ხელი გაიშვირა და, მაშ აბა სუ შეშა არ არი იმოდენა ტყეო? და, ესა, ჩვენი, ქოქოლას ვიღამ დააჯერა, ხუმრობა ეგრე არ უნდაო, ქალმა და, ერთი ისეთი ჩააფარა, სუ ციმციმი ნაპერწკლები გააყრეინა, ამანა კიდე, მოქანცულმა, მუთაქაზე ხელის ზურგი დადო, სელისგულზე კიდე — ლოყა და ჯერ რო ჩვილივით მიიძინა, მერე და მერე, ეშხში შესულმა, ისეთი ლაღი ძილი გამოაცხო, სუ სიხარულით ჰქშენდა და ჰქშენდა, მაგრამ აკი სიხარულმაც ხო იცის დაღლა? — შვებით მიყუჩდა და ისეთ გულის ძილს მიეცა, ისეთსა რომა, ლამის აღარა სუნთქავდა და, გაღვიძებამდე, ერთი-ორჯერ კინაღამ გაიპარა.

არც ჩვენ გვაწყენს რო, ცოტათი მოვისვენოთ, ოღონდაც ნურსად გავიპარებით.

6.

როგორც იყო და რო გაელვიძა, ხედავს, მზის ჩასვლას ბევრი აღარაფერი აკლია. უქმად რომ იწვა, ამისი ცოტათი კი რცხვენიან, მაგრამ ბურანიან თავ-ტვინში ჯერ მაინც აზმორებს და, ესეც იზმორება. გაუჭირდება თუ რა, ქართველია, განცხრომაშია, რაღა. მაგრამ უცებ ეგრევე წამოხტა, ისეთი შერცხვა. თან ტანთ იცვამს და, თანაც სარკმელში იხედება, ნეტა მაინც სადა ვარ, ნეტავი სადაური ვაარო. ახლა, ქართველია, ენასაცა ჰფლობს და სუყველაფერი. ოღონდ ჯერ კარგა არ იცის ესა და, ერთი სული აქვს, გარეთ გავიდეს და მზის სინათლეზე მიიხედ-მოიხედოს. მაგრამ ჯერ შიან. ჩაიხედა ჯამში, პურის წვენი დგას იქა, კიდევ კარგი რო, კონწოლი მაინც დაუტოვებიათო, შესვა, ეამა, გამოვიდა გარეთ, მიეფერა ძაღლსა, წავიდა, წავიდა და სოფლის განაპირას ერთ ბუჩქში შეიმალა, იქიდან იჭყიტება.

კვამლადენილი სოფელია, მშვიდადა ბოლავს. ხეები ამოსულა ისეთი რო, ნაყოფიანი. სახლებია ისეთი მადლიანი რო, ხორბლით ნაკვები გეგონება. ღელე ჩამოდის რო, გულისას ჩუხჩუხებს, წისქვილი ხმიანებს რო, უთქმელის ენით ლაპის ზლაპარსა ჰყვება, მდელო მოჩანს რო, რამდენიც გინდა ზედ

სიყვარულით იკოტრიალე. სოფელია რო, სიცოცხლესავითა და, გასაფრთხილებელს, ალაგ-ალაგ აკი გუშაგებივით დასდგომიან წოწოლა ძნები. აღზევნის მხრიდან ჩოკინა მოდის, ძალიან მლაშედ დატვირთულია. ალაგ ქათმები იქექებიან, ალაგ — ცხენი სძოვს, ჭიხვინი ისმის. წყاროსკენ მიდის მსარკოკიანი გოგო-თებრონე, ზურგზე ნაწნავი აყრია, სიმსხო მოყმის მკლავისა, წარბებქვემოთ თვალები აქვს, საწერელი კალმისა, აქეთ-იქით ლოყები აქვს, საკბეჩები ვაშლისა, შაოსან დედას ფრთხილად ჩაუვლის, სამფეხა სკამზე დამჯდარა ქალი, თავისაზედ სდუმს.

სოფელია რო? — მზის გულზე კარგა გაფენილა, სოფელია რო, გული რეჩხს გიზამს, სოფელია რო, აჰ, ნეტავი ხატვა მამცაო, ინატრებ. ხატვა რად გინდა, ოხერ-ტიელო, ისედაც თვალწინ არა გაქვსო? არა, ეგების შეიცვალოსო; სოფელს რა შესცვლის, მარტო მტერი და დუშმანიო. დუშმანს რა უნდა ამ დალოცვილში, იმისი ადგილი დილეგშიაო. ჰოოო, ჰოო, ეგრე იძახე და, იმასაც ბლომად ნახავო. ეგ როდისაო. მემრეო. ჩქარა მემრეო? იჯექი, იჯექ, იყუჩე, იყურეო.

იყურება კი არა, წყვილ თვალად ქცეულა, არ:და, დაღამებას ბევრი აღარაფერი უკლია, ჰაერი მდოვრდება, ლურჯად ბუქდება, შემოღიან და შემოდიან სოფლად გარე-გარე დალილნი, მხნენი, მსარზე ზოგს ბარი გაუდია, ზოგსაც ცელი და ნიჩაბი, ჭიშკრებს შეჰბღავიან ძროსები, აკი თებრონეც არა ბრუნდება? ოღონდაც კოკა მხარზე აღარ აზის, ეტყობა სადღაც გასტეხია, აბა რა იმისი საქმეა თუ რა, კოკების ზიდვა, წესით სუ მზეზე უნდა იდგეს და ჩრდილიანიდან უნდა უყურო, ლოყებ შუა ტუჩები აქვს, საკოცნელი თაფლისა, ტუჩებ შიგნით კბილები აქვს, ბროლისა და ნათლისა, მაგრამ იმათ შიგნით ენა აქვს რო, ჯეილთ გულის დარდისა, ისეთებს გეტყვის რო, გულში შავად კორიანტელი, ისე ადვილად ბინდდება, კოსტად, მაგრამ ბუნებისათვის ესა, ამის გულში კი ნაღველი არი. სწველიან ცხვრებსა, ძროხებსა, თხებსა, ტყიდან სუ მგლები იმზირებიან, სოფლის კაცები ტაბლასთან მიმჯდარან, და სამი თითით ჯერ პირჯვარს იწერენ, მერე ისევ იმ სამი თითით ჯამიდან საჭმელს იღებენ და კუთვნილი ლუკმით ილუკმებიან, თაკარა მზეზე ოფლად დაღვრილ-

ნი და გამომშრალნი, ახალი დღისთვის ივსებიან და იტვირთებიან. ისეც გადაღლილნი, ტაბლის პირას დამძიმებულან, მაგრამ ჯერ მაინც არ ეძინებათ და, ყასიდად წვანან, და აკი ესეც არ წამოწოლილა, ჩვენი? ყველაზე ჩვილ ბალღს ითამაშებს გულზედა, უყვარს, უყვარს რო, ლამის შეყლაპოს, გალაღებულა, ძალიან კი ეალერსება, მაგრამ რას ატკენს, თითები ისე განაზებია, როგორც ფაფუკი. მალულად კმაყოფილია ცოლი, ეს თავის ქმარ რო შვილები უყვარს, ოღონდ იმისებიც რო არიან, აღარა ახსოვს ესა, მარტო თავისები ჰგონიან, დედურად, მაგრამ ბალღს უკვე თვალები ეპლიტება, მივა და გამოართმევს ნაბოლარას, აიღებს და დადებს ცხვრის ტყავებზედა, ხელებს ჯერ გააყოლებს პატარა კუბაზე ესა, ჩვენი და, მერე ხელისგულებზე გაკვირვებით დაიხედ-დაიცქირება, ნეტა საიდან ამოდენა კოურიო. მიყუჩებულა, წევსა და ჭერში იცქირება, რას დაინახავს, ერთი სუსტი კვარიღა წრიატებს, თავის თავსა სწვავს, ისიცა ჰქრება. დიბლა დაძირულ სხვა სახლებშიაც, ირგვლივ, ამასავით დამძიმებულნი, უგულოდ წვანან უკმურს ტახტზედ, სარკმლებიდან კი ღამე ჩამოჰყურებთ, ისეთი ბნელი, ისეთი დარდდამფენი, მყარი, რო იმისი გაბზარვა მოგინდება, ისე ძალიან მოგინდება, მეტი რომ ალარ შეიძლება და მერე კი ისე უფრო, მინამ სუყველას დიდი გულები არ ამოუჯდებათ და პირველი დიპლიპიტო ამოყვინთავს გარეთ, შესაბრძოლებელ ღამებნელში და, ისე გამეტებით დასცხებს და დასცხებს იმ თავის ნაქებ დოლსა, გეგონებათ თუ, აიმ კუნაპეტს ცემითა ტუქსავს, გამოდის და გამოდის გარეთ ელეხკაცობა, ხალხი, მოაქვთ მაშხალები, ჩირაღდნები, ტყისპირა მოლისკენ მიდიან, გრეხვით აწეწილ კოცონს ანთებენ შუაგულში, იქაურობა სუსტად მეღავნდება, თანაც იმათი დიდი ჩრდილები ისე როკავენ და ფეოქდებიან, სუ ხიდან ხეზე და მაღლა ხტიან, ესენი კი ერთ წრედ შეკრულან, კოცონს ირგვლივ სუ ფერხულს უვლიან, კაი ახლო-შინაურივით ჩამდგარა იმათში ესეცა, ჩვენი, ხალხსა და ჯამაათში გარეულა, მხრებ-წელზე კოსტად მოურგია ცისფერი მოვის პერანგი, შვიდგან შეკრული ღილითა, თანაც ძალიან ითვალთვალება, და უფრო და უფრო რო ჩასცხო და ჩასცხო თავის დოლს დიპლიპიტომა, ჯგუფებად ჩამოდგნენ, უფრო ჩაუქნი დარჩნენ

თვალწინა და, იმათ ცეკვა და თამაში სცოდნიათ რო? არა, ძმო, არა, ამათსავით ვერსად ცეკვავდნენ სხვაგან, ისე სცეკვავენ და ჰთამაშობენ, სუ ფეხის ფრჩხილებზედ დგებიან, ფესებზედ თამაშს ვიღა გაჯერებს, ტყუპ-ტყუპ მუხლებზე ბზრიალებენ რო, რომელია მაქო და რომელი ციბრუტი, სულ ვერ გაარჩევ, ცეცხლ იყრეინებიან, ესა — ვაჟები, ქალები კი ლამის არი ისე დანაზდნენ, ისე ინარნარებენ ტანსა, ისე ტურფად არხევენ მკლავებსა, ლამის მაჯებში გადასტყდნენ, მერე კი ორნი, ყველაზედ რჩეულნი, სხარტის გოგმანით ეცეკვებიან ერთმანეთსა ცანგალა და გოგონა, რანი ყოფილან, ეს რეები სცოდნიათ, კაცოუვ, და, ესა, ჩვენი, სულს ძლივსღა ითქვამს, თურმე ესეცა არ თამაშობდა? და, კიდევ უფრო გასაკვირველი — ახლა სიმღერებს აღარ იტყვი? დაულიათ პირები და ამოსდით და ამოსდით შიგანშიგნიდან ერთ, ორ, სამ და კიდევ მეტმეტ ხმიანი სიმღერები, ისე მღერიან, ტანში დაგბურძგლავს, მოუნდებათ და, შორეულ მთებს აზანზარებენ, ლილე, ლილეო, ისურვებენ და, მოლს ფიანდაზად ეფინებიან, წინწყარო გადმოვიარე, წინ შემხვდა ქალი ლამაზიო, ოო, ეეო, მოიწადინებენ და, ამ შუა ზაფხულში ისეთ ჭარბ ზამთარს მოგართმევენ სამხმიან მათლაფითა, ისე მღერიან — ზამთარია, ზაამთარიაამ, არ დაუჯერებ? — ისე დაუჯერებ რომ, კოხტად, ინებებენ და, სანადირდაც კი წაგიყვანენ, სამლულიანის თოფითა, ისე გჯერა რო, ესეცა, ჩვენი, შვიდ გურჯანელში მეხუთე კაცად ჩამდგარა, აიხირებენ ვინმესა და, იქ უნდა ნახო იმათი ენის სიმღერით ფხანა — ქუდი გვერდზე დაგიხურავს, ამპარტავანსა ჰგაიცხარო, მოკლედ, ისე დაგვიბნიეს აესა, ჩვენი, გაკვირვებისაგან სუ პირი დაულია, მაგრამ ტყუილ-უბრალოდ კი არა — თურმე ესეცა მღერის, მოგუდულ ბანს ამბობს, და ახლა მთავარს, აიმათ არიგებულ-ჩარიგებულ სიტყვებს აღარ იკითხავთ? ენის კიდობნებზედ რომ იძახიან, უძიროაო, ალბათ მართალია — ლაპარაკი იციან რო, რისი ჯავშანი და რისი მახვილი, რაღას არ იტყვის იმათი ენა. მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველიო, აქედანა და შენამდე, ვარდი მასხია ყელამდეო, ცალხელით დოლაბი მიაქვს, ცალხელით ნიავქარობდაო, იქა ზის ქალი ლამაზი, თავის თმისაგან ბნელიაო, ჭალას ჩიტი მამკვდარიყოო, დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა, პატარა-

ში კარგად იყოო, ნეტავი, გოგო, მე და შენ ერიმანეთს დავ-
ვატოლაო, პირიდან ცეცხლსა მეხად ჰყრი, კლდეს ადნობ ბასრი კლდისასაო, ლექსო, ამოგთქომ, ოხერო, თორე ეგება ჭკედებოდეო, არ მაიშალა მაიკომ შავი თვალების ბრიალიო, ჰეკ, ბეზავ გრატიაშვილიო, და ასე. ბალღს თუ ეფერებიან, მეტის სიყვარულით სუ ძაღლო, ძაღლო, შე მფერებელძაღლოო, ეუბნებიან, პირთ მარგალიტი ულაგიათ, თაფლად გადმოსდით, ისე მოჰყვებიან ფერად ამბავს იმ თავისი ავურკრამიტა სიტყვებითა, აი შენ თვალწინ იმათ სიტყვებით სუ სასლი შენდება და მერე როგორი, თვალით არა ნანს მაგრამ, დიდი ამბავი, საქმე საქმეზედ, ქვიტკირია.

მიმდგარან ასლაც კოცონთან და ისე გემრიელად მასლაათობენ, ერთი სული აქვს, დაცქვეტილ ყურებად იქცეს, მაგრამ ერთი ქალი წამიწამ თვალს უშვრება. თვალს უშვრება თუ, განზე გამოდიო. ვინა ბრძანდება და, ციბრუტაანთ ფეფელო. აესა, ჩვენი, ბატარათი ჭკვა, ჯერ ვითომ ვერაფერსაც იმჩნევს, ისე კი ერთი სული აქვს განზე თარეშისა, ჩვენსაზე სულ არა სჭრის მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო. მეზობლობაც იცის ამისმა სოფელმა, ბატიოსნად ერთგულებაი და სუყველაფერი, ერთი ესა ჰყავთ ვერანი. და კიდე ელპო. ელპო ამაზედ ოსერია და ქვეშქვეშა. მიდგება, მიდგება და ქალებს უკანიდამ ყურებში სუ მზაკვრობებს ჩასჩურჩულებს. აიი, ეხლაც, ამოსდგომია თავდახრილ ქალსა და, ყოველდავის თაფლი კი არ გადმოსდით მარგალიტიან პირიდანა, ახლა ეს ელპო ქალს კუპრს აწვეთებს, ქალაუ, შენ რო ქმარი გყავ, მე ხარსას გავთლი ისთასაო, ეუბნება. ბაყაყმანებს ქალი, მართლაც ვერა ჰყავს ისეთი კაცი, ფიცხელი რომ იყოს, ლუნეზედ დუნეა, ელპოზედ კი ჩუმი ხმა დადის, ცეცხლზე ცეცხლიაო, ცეცხლი კი აბა ვიღას არ ეწადილება, თანაც, ლამეში, კოცონი თვალწინ ღონივრად ახტუნავებია, ზურვიდან კი ისეთ-ისეთებს ჩასჩურჩულებენ, ყოყმანებს, ქალი, ელპო კიდე ცხელის სიტყვებით ლამის ტყავიდან ძვრება, ამას კი, ჩვენსას, ელპოს შემყურეს, ეამაყება, რო თავი ქუდში აქვს, და ერთ-ხელაც რომ უყო თვალი ციბრუტაანთ ქალმა, გან-გან ვაზოჩდა. მიიპარებიან წახრილნი, გულაძგერებულნი, ხელი ხელს ჩაუჭიდნიათ. მთელს ქვეყანაზედ ორნი არიან, მაგრამ ვითომ-

დაც ფასკუნჯს ემალებიან, ამ შუა ღამეზედ მაღლა-მზისკე რო არ აიტაცოს და სააშკარაოზე არ გამოაფინოს აი ესენი, ჩუმ-ჩუმელურად ცელქნი, ერთიმეორის ქურდები, კარგა შავბნელი ღამე კი ჩამოდგარა, მაგრამ მაინც ბუჩქებშუა უნდათ რომ ტუცონ გახურებული თავები, ფეფელო უკვე ბალახზეა, ყელსოღერებით გამზადებულა, ამან კი ერთიც გაიხედა თავის სოფლისკენ, თავისი წყნარი სახლისკენა და, რას ხედავს! სინათლე ბჟუტავს...

ისე შეკრთა რო, გულმა მამალი ხოხობი უყო, ემანდ ფათერაკი არა იყოს რაო, ეგრევ შინისკენ გაეშურა, აბა ფეფელოს რა გაცილება უნდოდა, მთელი სოფლის ძაღლები კარგადა სცნობდნენ, ერთი სული აქვს, მალე გაიგოს თავის თავს თუ რა ამბავია, ვაითუ ისევ გვესტუმრნენ ბატონები და ვაითუ ისევ რომელიმე ბალღი წაიყვანონო, უნდა, რომ ნაბიჯს აუჩქაროს, მაგრამ ფესები უკანა რჩება, ისერიც ღელავს, ბრაზობს კიდეც, აბა რა მემღერებოდა, რა მათამაშებდაო. როგორც იქნა და, მიდგა ქოხთან და, შესვლას ჯერ ვერა ბედავს, ყური მიადო, ესვენება თუ რა არი, ამ შიშნაჭამზე სწორედ ის არ შემოესმა? — თუმც ყველაფერზე ტკბილი, ყველაზე მშობ-ყლიური, მაგრამ ამ გვიანი ღამით საშიში, რომელიღაც შვილს აძინებს დედა, ნეტა ბატონებს ხომ არ შეუშფოთებიათო, აბა რამ გააღვიძათ ამ ბნელი ღამითაო, ლამის მუხლებში წაიკეცოს, ვაითუ იმ ავარვარებულ გოგო-ბიჭივით ახლაც რომელიმე წაიყვანონო, მაგრამ მაინც ისეთი ძირტკბილი ღიღინია, იმედიანი, იმედიანი რო, ყველა დედისასა ჰგავს, ფრთხილად შეეიდა შინა, მაინც დაირწა ჭრაქის შუქი, მოხველო, წამით გამოხედა ცოლმა, მშვიდი თვალები დაანახა, გულზე მალამო მოჰფინა და ისევ ჩაიცქერდა გრძნეულ ხელებში შეყუჟულ სასოებას, აის ნაბოლარა აკვნიდან ამოუსვამს, უფსკერო გულზე ცოცხალ ბრილად მიუხუტებია, ლამის არი თავზე დაადნეს და, იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო, დედურს აგრძელებს, ისევ მიხედა გატრუნულ ქმარსა, ნუ გეშინიანო, ერთი კი გაულიმა და მერე მაინც სუო, პირზე თითი ისე მიიდო, ნიკაპიდან ცხვირამდის ჯვარი დააჩნდა, მაგრამ ამ ჩვენსას რაღა გაფრთხილება ჰმართებს, ისედაც გატრუნული ისმენს და სდგასა, ისევ ჩამღერის იმისი ცოლი იმათ პატარას დაბა-

ლი ხმითა, შიგ უწევთ ბატონიშვილი, იავ ნანინაო, უსხიათ ოქროს ქოსორი, ვარდო ნანინაო, ატლასის საბანი ხურავს, იავ ნანინაო. მეტის სიამით ეკუმშება და ეკუმშება ამასა, ჩეენსას, ჩიტივით გული, შვიდგანვე დავცით კარავი, იავ ნანინაო, მღერის, მღერის და თასაც ისევ აკვანში აწვენს მილულულ სასოებას, იაგუნდის მარანშიაა, ციავ ნაანინაა, ო, არტახებს უჭერს, არწევს, ტოოტები აქვს ნაარგიზისა, ვაარდო ნაანინაა, ო, ზედ ბუულბული შემოომჯდარა, ციავ, ნაანინაა, ოო, არწევს. მიყუჩებულა ბალღი, ცხრაპირ ძილში წასულა, ამობურცვია ტუჩები, ლოყები აპფუებია, ძილ-ტკბილაა რო, ამო სიზმრებში თუ დაბაჯბაჯებს, ესა კი, ჩვენი, ისევ ისე დგას. გამოხედაა, ცოლმა. ემანდ არაფერი შემატყოსო, ჩვენმა, ჩააქრო ჭრაქი და, იმ სიბნელეში, ჩურჩულით იკითხა, რა იყო, რად გაიღვიძა, რამ შეაწუხაო. აბა რა ვიცი, ცოტა ხნის უკან გაეღვიძა და ისეთი ზარი მორთო, კინაღამ სხვებიც დამიღვიძაო. ხომ არა ჰხურსო. არა, გრილია, შემოვევლე, ნეტავი რა მოელანდაო. კიდევ კარგი რო სიბნელეა, იცის ამანა, ჩვენმა, ვინც დაამავა, ჰაი ფეფელო, ჰაი ის შენი ცალი თვალიო, ფიქრობს. ბნელა და ბნელა, მივიდა მერე გუმანით იმ თავის ცოლთანა და, მხარზე საგრძნობლად დაადო ხელი, თან კი ნაზადა, უდევს ხელი და გრძნობს, როგორა ლხვება იმისი ქალი. მერე თითები ისე ფაქიზად აამოძრავა, ისე ნელინელ ეფერება რო, მინამდე მსგავსიც არაფერი, საამოდ უკვირს გატრუნულ ქალსა, მერე გვერდით მიუჯდა აესა, ჩვენი, ნელის ალერსით მიიზიდა და, ფერებაში თავად რო გაღვივდა, ქალიც გააღვივა და ტახტზე რო გადაწინაურდნენ, პატარა ხანში ისე უმწარ-უტკბილა იმ თავის ქალსა, სუ გენაცვა-ები ცხარედ აჩურჩულებინა და უფრო მერე კი, დაღალულებმა, ზურგები აქციეს ერთმანეთსა და ისე არხეინად მიიძინ-მოიძინეს, ვითომც არაფერი.

7.

აბა ძილი ეგრე არ უნდაო, დასცხო და დასცხო ლურჯმა მამალმა, ბნელში ამფრად ჩანს. აბა ყივილი აგრე არ უნდაო, აპყვნენ და აპყვნენ სხვებიცა, იგრე ეჯიბრებიან ერთმანეთსა,

ლამის ჩაიბზარონ ყელი. ისთე ნამეტურ ყივიან რომა, ისეცა და ასთეცა, ზოგი ჯერ ნედლი ყვინნილაა, ზოგიც — ქვადა და რკინად ქცეული მამალი. აესა, ჩვენი, ჯერ თავს იტყუებს, ვითომდაც ძინამს, მაგრამ რიყრაკი თვალებში რო ჩაუდგა, ისე წამოსტა, მოწონებული. გაჰყო მუშტები სასელოებშია, კოხტად ჩაჯდა თავის კონკია შარვალშია, ტუცა ფეხები ქალამნებში, გამოვიდა გარეთ.

რიყრაკია რო, ბზინავს.

მზე ჯერ შორსაა, მაგრამ დაძრულა, იმისი სულისბერვა ისმის, მზესუმზირები სუ იქითკე იყურებიან, ნელინელ იხვეტება სოფლიდან ბინდი, და გლეხიკაცები ჩამოსადგომ დღესა და იმის სინათლეს რო ფხიზლად დაუხვდნენ, გამოსულან ეზოებში, ცივი კოკისთვის შეუშვერიათ ჩაორმოებული ხელისგულები და ისხამენ და ისხამენ წიწკნია წყალს პირისახეზე, კისერზედ, გულისპირზედა, საღად ფრუტუნებენ. გამართულა წელში ესეცა, პირდაბანილი, ჩვენი, სოფელს გაჰყურებს, აფუსფუსებულა მთელი იმისი მეზობლობა, ხალხი, მთელი ბუნება ნელ ყალყზე დგება, აი ქათმები რო ქათმებია, მთელი ღამე აკი მიმქრალ-მობუზულები იყვნენ, ახლა დიდ გულზედ არიან, ხო სუ იქექებიან და იქექებიან, ქექვაში არიან, რაღა, მაინც დროდადრო ისე შემართავენ თავსა და ისე იხედებიან, ვინდაც ხონთქარი. ლესენ და ლესენ ნამგლებსა, ნამგალო, ჩემო რკინაო, დაჰღიღინებენ ალაპლაპებულსა, მშობლიურს, ბზინვარესა, გამოსულან უკვე ორღობეებში, და ლუკმაპურის მოსასვეჭად ყანებისაკენ ეშურებიან, გამოსულან და გამოსულან ქოხმახებიდან დიპლიპიტო და ელპო, ცანგალა, ხალხი, და მინამ გულამდე თავთავში შეაბიჯებენ, სოფლის ყუჩ, პატარა საყდარში შეივლიან აუცილებლადა, სამ დიდ გლეხურ თითს დამზერით შეიდუღაბებენ და იწერენ ნუგეშინისცემის პირჯვარსა. აი, ხო მომცრო საყდარია, მაინც ისეთის დალოცვილის ხელითაა მოხატულ-მოპირკეთებული, ჰსიამოვნებთ არა, მეტი — შვების ბუნდია.

ჩამდგარან პირველ მარჩენალში, ყანა არი რო, როგორიც ჯილდო. მიწის ოქროა, ოქროსფრად ბრჭყვინავს. იქნევს და იქნევს ესა, ჩვენი, მოუღლელ მკლავსა, ბაჯაღლოს იმკის, ცოტათი იქით ცანგალა იღვწის, ცოტათი აქეთ დიპლიპიტო

კოსტად ტრიალებს, ცოტათი უკან ელპო ირჯება, გაბნეულები, ერთნი არიან, მისდევენ კვალდაკვალ თავიანთი ქალები, ბალღები, ულოებს გრეხენ, თავთავს არ ტოვებენ მიწაზედა, ორიოდ მარცვალი თუ გაებნევათ და, ალალი იყოს, პაწუა ჩიტები იქვე არ ჰრიან? ყველასია ე მიწა, ყველასა ჰკვებავს, ერთი იადონზე იძასიან, უსაჭმლოდ არიო, ეგებ მართალია.

მზესა აბა სხვა რა ძალი გააჩერებს, ამოდის და ამოდის, დასდგომიათ ზედ კინკრიხოებზე, ცხელა, ცხელა რო, მდნარი ხვატია, მდოვრე ჰაერი მძიმედ ლივლივებს, ჰაერსაც ცხელა, სულისთქმა უჭირთ, მაინც იქნევენ და იქნევენ ლაცვარულ მკლავებსა, შუბლზე სუ ხვიოქის წკურწკური გადასდით, მიწაცა და იმისი ჯილდოც კარგა ძნელია. მწარედ რო მოშუადღევდება, ჯალაბს შინისკე აგზავნიან, ცოდონი არიანო, კაცებიღა რჩებიან, გადაიღლებიან მერე ისენიცა, გადაისსამენ თავზე წყალსა, პატარა ხნით მისხდებიან წოწოლა ძნის ჩრდილში, დაღალულები ილუკმებიან, სველებია რო, გინდაც ღრუბელი, ცაზე კი ერთი ფთილაც არა ჩანს, ვერცხლისფრად ცხელა. მზეს აჰყურებენ ამრეზილადა, ისიც თვალს დიდსასს ვის გაასწორებინებს, დახრიან ქოჩრებიან თავებსა, ელპო დაუღგრომელი პყავს ღმერთისა, და იმ ბერიკაცს ზოუთნენლად გასძახებს, ძია, ძია, ძიო, ერთი საღი ნიავი როდისღა წამოუბერავსო. წამოიწევს ის ბერიკაცი, ძლივას აითრევს წელსა, მოტეხილა კია, მაგრამ ძველებურად ბუნების კარგა მცნობია, ლასლასით მივა ნალაფარში ჩაწოლილ ღორთან, დაიცქერდება ბებრული თვალებით გაჩხიკინებულ წრიულა კუდზედა, ალღოიანია, არაფერი შეეშლება და, მცნობიც არი და, პირშიმოქმელიცა — კიდევას უფრო დასცხებაო. ნამოიღრუბლებიან ესენი, ნამგლიანები, ჩვენნი, ის ელპო კიდე, თეთრ კბილებშუა გამოსცრის, აბა, დავმწვარვართო, რაღას არ იტყვის იმისი ენა. იმ დეევიით ძნის ჩრდილში ისე ჰყრიან რო, გეეონება არაქათი მთლად გამოსცლიათო, მაგრამ პატარა ხანში ისე იქნევენ გრძელსა თუ მოკლე მკლავებსა, ნიავი ჩნდება.

რაც გინდა იყოს, შრომის ხალსია.

ბოლომდე რო ჩაიღვრებიან დედამიწაში, საღამოსპირიც მოდგება კარსა, სოფლისკე გადაღლილები მიეშურებიან, ერთი სული აქვთ, ჩრდილიანში გაწვნენ, მაგრამ მთელი სხეუ-

ლით ისე სწყურიათ, გადაუხვევენ ბილიკიდან, საით მიდიან და, ჭალაში ერთი სდინარეა, მდინარეში კი ორი მორევი, ერთი ამათებრ კაცებისა, მეორე კიდე ქალებისა, რამ ამოჰყარა იმოდენა ბუჩქი, ქალებისაკენ თვალს ვერ გაუძვრენ, იმათ ტიტველებს უყვართ ბანავი, დიდად ხმიანებენ, აის ფეფელოც ისე კისკისებს, გინდაც უბიწო. ცხოვრება არი თუ რა არი, რა ქნას ფეფელომ, ცხოვრებაში ყველაფერი იზიდავს, ყველა ხვაშიადს უნდა რო ჩასწვდეს, მონდომებულია. ესენი კიდე, ჩუმნი, ოფლით კონკიებშეკერილნი, ტანსაცმლიანა შედიან წყალში, გრილდებიან რო, — პიტნა. ელპო ოხერი ჰყავ ღმერთსა, ერთი კარგა რო განიბანება, წაკუზული მიიპარება ბუჩქნარში, დიდ ხეზე ქურდულად ადის, მსხვილ ტოტზე გაცოც, გაცოც, გაცოცდება, და, თვალებისათვის იღვწის — ზემოდან დასცქერის თეთრ-თეთრ გამოფენასა, ქალებ ითვალიერებს.

ესენი კიდე, აქეთურა ტანსაცმლიანნი, შვების ნექტარში დგანან და დგანან, იჟღინთებიან, ნეტარებისგან ზეზეურ თვლემენ, მაგრამ წივილ-კივილი ესმით ისეთი, ნაპირზე ფიცსლად ამოსტებიან, ფოლადა ხმალს ჩასჭიდებენ რკინის თითებსა, მაგრამ თურმე რა: აკი ზედ ელპოს ტოტებქვეშ არ წამოწოლილა რომელიღაც ქალი, სველი ელპოსგან წვეთები დასცემია, გაზმორებულა, ძლივას არ მოწვიმაო და, მადლიერებით რო აუხედნია ზემოთკენა, აკი ეს თვალებდაჭყეტილი ელპო არ შერჩენია ნანატრი ღრუბლის სანაცვლოდ? — მოკლედ, ხელებაფარებულნი იკუნტებიან და ძლიერ წივიან. ეს ელპო კიდე, თვალებსა ხუჭავს, ვითომც ხის ტოტზე სძინამს, სუ მიფარებით და სხაპასხუპით იცვამენ ქალები ჩითებსა, მერდინებსა, ჩაცმულები კი, დიდ გულზე არიან, მაგარ-მაგარ ქვებს უშენენ ელპოსა, იმასაც, ვითომ ეღვიძება, თვალებს იფშვნეტს, რა იყო, რამ დაგაწიოკათ, ქალებოო. მაშ აბა ტოტზე რა გინდა, შე დასამიწებელო, შენაო, ერთმა. როგორ თუ რა მინდა, ნიძლავზედ მეძინაო. ისემც ისე გამავებულიყავ, მტკვარს ვერ გაერეცხოო, მაინც რაზე დანაძლევდიო, მეორემა, ქალებია და, ცნობისწადილიანები არიან. შენ სუყველასა ჯობნებიხარო, შენს კოცნაზედაო, კიდეც რო ოხუნჯობს ეს წ ᲬᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲰᲐ? აი, მეხი კი დაგ:ᲯᲐᲠᲔᲝ, მესამემა. ქვემოდა-ნ:Ნ?, გაიხარა ელპომა, ბ:რ: ქალა შენა, ქალო, შენც სუყველა-

სა ჯობნებიხარო, მიაჩუმა ისიცა. აბა თუ გეძინა და, მაინც რა იცი, რომელი რომელს ვჯობნებივართო, აუტეხეს ისევ დანარჩენებმა, შეუქებრებმა ბასრი კიეილი. თქვე კაი ქალებო, როგორ თუ რა ვიცი, მე დილიდანვე კი მეძინა ამ ტოტზე, მაგრამ თქვენ აბა ძალით რად აჯღურტულდით, განა არ ვიცი თქვენი ოინები, რათ გამაღვიძეთ და ძალით რად დამანახეთ თქვენი, ვენაცვალე, ტანიო. ჰაიი, ისევ უშენენ და უშენენ ამ ცულლუტს ქვებსა, ის კიდე, ზემოდან ვითომც ამხნევებს ქალებსა: ნეტაი რამ გაგაწიწმატათ, დიდი ამბავი თუ დაგინახეთ, მერე რა მოხდა, რამ აგაკივლათ, განა რამე შევეცვალათო. ერთ-ორს ცოტათი ეღიმება, გაბზარულები არიან, აიი, შენი ენა იყოს შენსავე მუცელში, კუჭი მაინც გიხმებაო და, მეოთხემა. ვაჰ, შენა ხარ ესა, ფეფელოო? კი ვერ დაგინახე, შენც სუყველასა ჯობნებიხარო. აიი, ჩამიწ-დამიწდიო, ისევ ერთხმად ასძახიან, ერთიღა არი უთქმელადა, მაგრამ იმის გულში რო ამბავია?, საკირეა და ეგ არი — იმას გული შეპვარდნია ელპოზედა, ხვავიანად სდუმს. გაიკრიფებიან ქალები, ელპო ერთ-ორ ჩამორჩენილს კიდე მიაძახებს, არა, შენ მართლა სუყველასა ჰჯობნებიხარო, ჩამოდის მერე ხიდან, გეგმებით დატვირთულა, ამოსულან იმისი სოფლის კაცები ნაპირზე, ტანსაცმლიანა შრებიან, კარგ გუნებაზე დამდგარან, ჩაჯდება ელპო სამთაშუა, ცანეალა და დიპლიპიტო ლხენით არიან, ამას კი, ჩვენსას, უცხო კოდალა უკირკიტებს, რაღაც შედევრი და იმისი რაღაც მასალა ბუნდოვნად ახსენდება, დაბნეულობის კიდობნებში წასულა და, ისეთ გუნება-განწყობაზეა, რუხი მგელი სჭამს, და უცებ განა რას იძახის: ჩვენა, ქართველებს, ნეტა რა და რა გვააქ კარგიო. ეგრეევე მხნედ არ უპასუხეს? — შვიდი რამაო, დიპლიპიტოა. აბა რა და რაო, ცანგალა არი. მორიგეობით ჩამოვყვეთო, ამას ეს ამბობს, ჩვენი, გაფაციცებულია. რაო და, პირველიო, კარგი მღერაო, დიპლიპიტომა. კი, ეგა ევაქო, და მეორეო? მეეორეო, ცანგალამა, რა და — ფიცხლად თამაში და კოხტა ცეკვაო. აგრეა, აგრეაო, და აბა მესამეო? ენა გვააქ კარგიო, ელპო იძახის ამასა, ქვეყნად რა გინდა, ჩვენ რო მარილიანად ვერ გამოეთქვათო, რაგინდარა ლექსს აღარ იტყვის ჩვენი სოველი ენაო. სწორიაარ, ამანა, ჩვენმა, ამისი რიგიც დამდგარა და, ერთი შედევრის

ერთი მასალა ამასაც უღვივდება, უელამდება თვალი, მეოთხე ისა გვააქ რო, აბა ჩვენი საყდარ-ტაძრები ნახე, თავისით ხო არ აშენდებოდა, სხვისი ხელით ხო არ მოიხატებოდაო. კიო, კიკიო, სწორიაო, დიპლიპიტომა, მაგრამ შვიდამდე ჩამოთვლა თანდათან უჭირთ. არა და, დიპლიპიტოს ჯერია და, პატარა ხანს დუმს, მერე ფრთხილად იძახის, ეე მეონია რო, კარგა ოხრებიც თუმცა კი ვართ, მაგრამ გულისგულში მაინც კეთილები და უხვნიც ვაართო. რავი, აბაო, შეფიქრიანებულან, ერიდებათ თავიანთი თავის ქება, მერე ხმადაბლა ამბობენ, აგრეა, აგრეაო. და აბა, ცანგალ, მეექვსეო? იმას კი უკვე მოუფიქრნია, გულადები და მებრძოლნი ვაართო, სამშობლო გვიყვარს, ქუდზე კაცი ვაართო, აბა და ვინმე მოვიდეს ჩვენზედაო, სუ ყოფას ვუტირებთო, ისე გაიძახის ამასა, თვალები უელავს, ზეზედ წამომხტარა, სუ ფეხის ფრჩხილებზედ სდგება. კარგი, დაჯექიო, და აბა, მეშვიდეო? ელპოს ჯერია, არადა უჭირს, თვალებს ატრიალებს, წვალობს, თანაც ქოქოლადაყრილ კეფას იქექავს, ძლივას წამოღერღავს, ალბათ, შრომაო. არ ეპიტნავათ, აბა შრომა რა სახსენებელიაო, დიპლიპიტომა, დიდ გულზე არი თავისი სათქმელი რახან მოულევია, ჯერ ეს ეგ ერთი, აბა შენ რომელი გამორჩეული მშრომელი ხაარ და, მეორეც, რო არ ვიშრომოთ, სხვა რა გზა დაგვრჩენია, პურს ვინ გვაჭმევსო. ახლა ცანგალამაც დაამატა, შრომა არა, ისაო, ეგ რა ჩასათვლელიაო, ბარე ისიცა თქვი, შეშის დაპობა გვემარჯვებაო. ელპოს უჭირს რო, კალმახი რო ხურჯინში ჩასვა, სიბნელეშიცაა, სცხელაც. აბა მე რავიო, ეგება ისა, რო იძახიან, კარგი ტანადი და კარგი თვალადნი არიანო. აბა ეგ რა თქვი, ეგ ხო თავისითა გვააქო. შენუხებულა ელპო, დაღონებულა, დაღონებულა რო, გინდაც დეკემბრის ვაზი, ჩაქინდრავს თავსა, დაიხედავს, და აკი რას იძახის, ოხერი? — რა და მეშვიდე ესა გვააქ კარგიო. რა ესაო, ჯერ ვერა ხვდებიან. ესაო, ესაო, თავდახრილი იძახის ელპო და ხელსაც იშველიებს. აიი, შენ კი ზედ მაგაზე კი დაგათხლიშე ქვა და მეხიო, ქალივით იძახის ეს ვაჟკაცი დიპლიპიტო, მაგამდე როგორ დახვედიო. როგორაო და, გათამამებულა ელპო, გორგალის წვერი უკვე ხელთა აქვს, თავი და თავი აი ეს არი, ტემპერამენტი რო არა გვქონ-

დეს, ვერც ვიმღერებდით, ვერც ვიცეკვებდით, ვეღარც ლექსს ავაწყობდით და ომშიც გულადნი ვერ ვიქნებოდითო. რა რო არა გვქონდესოო, ცანგალას უკვირს. ტემპერამენტი, ტემპერამენტიო, ისეთი რიხით გაიძახის ამ უცსო სიტყვას ეს ჩვენი ელპო, გინდაც იყალთოს აკადემიის გრილი დარბაზები სუ სწავლა-ცოდნით მივლილ-მოვლილი ჰქონდეს. აი, შენ კი რა გითხარი, შენ კი რა გითხრაო, ადე, წამოდი, წამო, წავიდეთ, სუ დალამებულაო. სოფლისაკენ მიდიან მაგრამ, ამასა, ჩვენსას, გულის რაღაცა ძარღვი უტოკავს, სხვებმა ორ-ორი კარგი რამა თქვეს, ამანა კიდე — მხოლოდღა ცალი. რამე მერვეც ძლიერ უნდა რომ გამოიგონოს, მაგრამ სადაა, ბილიკზე კი არა ჰყრია, ვინ მოგართმევს ვერცხლის ლანგრითა, თანაც ელპოს სიტყვებზედ ეჭვი ეპარება, თუკი აგრეა, მაშ აბა ქალებ რაღა აცეკვებთ და ამღერებთო, და ცანგალას უცებ ჩაქინდრული თავით ეჯახება. მაგრამ ის ვერცა გრძნობს, შეჩერებულან ელპოც, დიპლიპიტოცა, იქითკენ გაიხედება ჩვენიც. საბრალო დედაბრისას მიმდგარან, იმის ბოუმკალ, ჩაწოლამდე მისულ ყანას გაყუჩებულნი შესცქერიან, საბრალო დედაბერი კი ბნელში ქოხიდან გამოსულა, ერთხანს ოჯახმრავალი, ახლა უშვილძირად დარჩომილი, მოკუნტული, ძრიალ მდუმარედ ხაშავებულა და, ერთი ეგ არი, მთვარის ნათელი იმასაცა და იმის ყანასაც აბჟუტებულ სევდად გადასდის. რა თავში იხლის საბრალო დედაბერი ჭვავსა თუ ხორბალს, მაგრამ იმის ყანაში რო აღარავინ ტრიალებს, აი ესა ღრღნის. ჩამოუყრიათ ამათაც მხრები, მობუზულან რო, ლამის დედაბრის ყანასავით მიწას უწოონ, ერთიღა უკვირთ, სინდის-ნამუსის მოსამართლე და, ბნელში ასე უმძრახად მდგარი? მთელი ის ღამე, აღარც ცეკვა ახსოვთ და აღარც თამაში, უგემურად ვახშმობენ, ლასიებული გულით წვებიან, ღამე არი რო, დაბზარული ნამუსივით აწევთ შეჭირვებულ თავზედა, კრიჭაშეკრულებს, ცუდადა სძინავთ, მალიმალ ინაცვლებენ გვერდს, ეს ტიალი და ოხერი ნეტავი აღარ გათენდებაო? მამლის ყივილი ენატრებათ მაგრამ სად არი, ბნელა, ბნელა რო, თვალები უკაწკაწებთ, მაგრამ ღამე რისი ღამეა, რო არ ღაბუქდეს და არ შერიყრაქდეს და არ გათენდეს ძლიერ ნელინელ, ქვეყნის ზიზმიერ, თანდათანობითა და, ხო არც მოულაპარაკებიათ ერა?

ხო არც არაუერი უთქვამთ სათქმელი არა? ხო არც გაუფიქრიათ, რო მესუთე აკი ისა გვააქ კარგი, კეთილები და უსვნი ვაართო, მაგრამაც აი, უამეებოდ გამოფენილან დალიცვილ ფილით, გამოსულან და...

8.

გამოსულან და აი იმ ყანას შესევიან, საბრალო დედაბრისა, მკლავები ისე გასდიდებიათ, მოუნდებათ და მოიქნევენ, გინდაც გრიგალი, მაგრამ პურის ყანას სიფრთხილე არი თუ მოწიწება არი თუ რა არი, ისიცა ჰმართებს, მკერდამდე თავ-თავში ჩამდგარან და ისე იღვწიან, მოწონებული, აი ეგ არი იმათი თავი და თავი გლეხკაცური საქმე, ხვნა და თესვა და მკა. თან, თუ ფილის ირიბი მზეა და ცვარ-ნამს მშრალი ენით შორიდან ლოკავს, თან, თუ მოწეულ ყანას თვალგასახარად აბრჭყვიალებს მანათობელი, თან, თუ შენი მიწის მკვიდრი ხარ და იმის ზურგზე კუთვნილად დგახარ და, თუ ეს მიწა თავად ღვთისმშობლით ბოძებული საქართველოა ჩვენი, თანაც, თუ კეთილ საქმეს ჩადიხარ და თვალსათლივ ხედავ, მთელი სოფელიც რო დამდგარა ამ კეთილად მოსამკალ გზაზედა, და თუ მარილიან გულს სუ ჭრელ სიტყვებად ამოფრქვევის ლაღი წყურვილიც შეუჩნდება, აფორიაქებული, თავს დაადებ და ადიხარ იქვე, მომცრო გორაკზე, მბზინავ ყანასა და იმის მიწყივ მუშაკთ შემაღლებულიდან დასცქერი და, შეჟრჟოლებული გულ-ჯიგარი გრძნეულ სიტყვებად გადმოგეღვრება, თვალდასუჭული, მეტს რასმეს ჰხედავ, რა იდუმალი გორაკია ნეტავი ესე, ადრე არ ჩანდა, რაღაც სიმყარე კი მაინცა აქვს, რადგან დიპლიპიტო შემდგარა ზედა, აბა სიმყარე რო არა ჰქონდეს, დიპლიპიტოს ისე როგორღა დაიმაგრებდა, ის კი, კუთვნილი მიწით ამაღლებული, თავის მიწაში უჩინარფესვებ გადგმული, სიტყვის ნაყოფით ათრთოლებული, იძახის, მაგრამ რას იძახის — საბრალო დედაბრისასა, თავვნი ყანასა მკიანო, ვაჰ, ესენი არიან თაგვნი? — ცანგალა, ელპო, ჩვენი და სხვები კიდე, ხალხი? — ჰეჰ, დიპლიპიტოვ, თაგვიც ხაარო და, სუ სიყვარულით შეუძახებენ, კარგა იციან გადატანილი სიტყვა და

იმისი ფასი, ის კი განაგრძობს, რაღაც შედევრის რაღაც მასალით ძალიან მწარედ დატვირთულია, დაცლა უნდა და, რომელიღაც უჩინარი მარსკვლავისაკენ თავაპყრობილი, ემ თავის ხალხსაც ისე ძალიან ადიდებს რო? — ლომნი უგრესენ ულოსა, და ვეფხვნი შეუკვრიანო, აეს შენა ხარ ვეფხვი, ცანგალო? ის კი, ცანგალა, სიტყვის მადლით ატაცებული, ისე შრომობს რო, ისე ირჯება, აქაც კი, აქაც სუ ფეხის ფრჩხილებზე სდგება, ბიჭი არი რო, რისი ციბრუტი, დიპლიპიტო კი, ყანა გინდაც მომკილი ჰქონდეს, იძახის, მაგრამ რას იძახის — დევნი ურემსა აბიან, ირემნი ძნასა ჰყრიანო, რეებს ამბობს, ვე, შველნი კევრებში შებმულან, კალოს გარს დარბენიანო, ზედ ანგელოსნი უსხედან, წვრილ ხიაზედ დასძახიანო, რაღაც ფაქიზი, სათნო - სიმღერა მართლაცდა ისმის, თავზე ეღვრებათ, თვალდახუჭულია დიპლიპიტო, თავაპყრობილი, დადუმებულა და კარგად იცის, ეს სიტყვის საქმე შვებად რომ დაძრულა, ისიც იცის რო, იმ მომწიფებულ სიჩუმეში სხვებიც თავს რომ ვერ შეიკავებენ და, აბა რა დიდი მიხვედრა უნდა, პირველი ვინ აიტაცებს იმის ნართაულ სიტყვასა — ფეფელო არი, ანცი — ჭინკები მარდად უტევენ, ყანასა გაჰფოცხიანო, აკი თავად არ უჭირავს ფოცხი? ამ ჩვენის ქალი კი, გულზე ჩვილმიხუტებული, ცოტათი განზე კი გამდგარა, მაგრამ ჯერ თავის კაცს შეხედავს, მერე ფეფელოსა და, ორივეს ნიშნს უვებს, ამბობს: ტახნი მისწევენ კალოსა, მელები კუდით ჰგვიანო, გადაუჭირა თუ ვერა სიტყვა, ამ დაუდგრომელ ფეფელოსაც გულის კოვზი ისე აექავება, სუ თვალები უელავს, მაგრამ ქათმების კრიახი ამ გაბმულ შრომაში ბზარად აბა ვის უნდა და, ელპო სასწრაფოდ მიმოავლებს თვალსა, ერთ გაკნაჭულ და ერთსაც გავადაბალ ქალს რიგრიგობით შეათვალიერებს და, ამბობს — წერონნი უნიავებენ, და ბატნი დაჰკაზმიანო, იმათი ქმრები კი, ერთი დიდი და ზორბა, მეორე კიდე — თვალებსაშიშა, ელპოსკენ ფინთად იყურებიან და ის კიდე, ელპო, აბა რიღასი ოხერია, თუ გაჯავრებულნიც ვერ გააცინა — ჯერ ზორბას ახედავს, ამბობს: დათვებს ჰკიდიათ ტომრები, ორმოში პურსა ჰყრიანო, მერე თვალებსაშიშას მოულაშუნებს მზერასა: მგლები წისქვილში გაგზავნეს, პურს მალე დაუფქვიანო, იცინის ხალხი, მაღლი აშ-

რომებთ და თანაც იცინიან, კარგია ესა, რალა, ის ორნიც ლა-
მის სბორებად გადაქცეულან, უწყინარები გამხდარან ისე, და
ის წეროსეეფ ქალი კი დედაკაცთა საკრებულოს მოავლებს
თვალსა, საკბილოს ირჩევს, სიტყვით ცელქია ისიცა — შამვი
ფქვილს მტკიცავს, გნოლი ჰბელს, კაჭკაჭნი ამოჰქნიანო, გუ-
ლით უნდა რო, სხვებზედაც გაგრძელოს, მაგრამ ვინ აცლის,
რასმე შედევრის შეკოწიწებაში მარჯვედ ენაჭარტალაა ყვე-
ლა, და ცანგალას ფეხმძიმე ცოლი, ჭრელი თავსაფარი რო
შემოუხვევია ჭორიულის გასასულებლადა, დამორცხვებულა
კია, მაგრამ მაინც აიტაცებს: ვარიები ამზადებენ, იხვნი სუფ-
რასა შლიანო, ერთი პატარა გოგო ჰყავთ სოფელში, ხმა აქვს
ისეთი რო, როგორიც ბროლი და ნასლი, იმაზედ არ იძახი-
ან? — ზეცას ტიროლა გაგზავნეს, სტუმრები მოჰკრიბიანო, და
დედაკაცებს შედევრისაკენ თავი ძაან რო არ გაუვიდეთ, ეს
ელპო, ვერანი, ჯერ იმ ქალისკენ გააპარებს თვალს, აი იქ,
საბანაოზე, ძრიელ ხმამაღლა რო უგზავნიდა ქვემოდან ზე-
მოთ ქოქოლასა, მერე მზერას არიდებს და ვითომც დიპლიპი-
ტოსკენ იძახის: შენს მადლსა, ჩსიკვსი ნუ გვინდა, სუფრასა
აგვიშლიანო, მერე კი თეპრონეს გაუსწორებს თვალს: სილა-
მაზითა სოხობი შუაში ჩაისვიანო, ერთი ბიჭი ჰყავთ კიდე
სოფელში, გონას შვილია, ხმაალ ისეთი, ადამიანისას ვერა
ჰგავს, არა, რალაც სსვა არი იმისი ხმა, სუ მიროხისა და ნათ-
ლისა, სუ მადლის არტახებით ამოვიჭერს დანამულ სულსა
და, აბა იმისი დავიწყება როგო იქნება — ბულბული გალობის-
ათვის სუ თავსა დაისვიანო, ვიღაცა ერთი ჯეელი კი უკვე და-
ღლილა, ზრდილში მიწოლილა მაგრამ აბა ვინ გამოეპარებათ
და, ის დაწექილ-მოსვენებული თუმც კი ჯეილია, მწუხარის
სახით იძახის ელპო — საბრალო ბერი ქედანი ბოლოში მოიგ-
დიანო, და დიპლიპიტო ბოლოსას ამბობს, ყველაფერსა აქვს
თავისი რიგი — ერთად სმენ, სჭამენ, ლხინობენ, პარალეს და-
ასძახიანო, და, გაამოთ ბიჭებო, ლექსი გაამოთთ რო უნდა
გაიგონოს, ძალიან იცდის, მაგრამ ხალხი სდუმს და ეს დიპლი-
პიტო გაკვირვებული დაახელს თვალსა და, ეჰ, რასა ხედავს,
იმ მთაზე შემდგარი კომკისკენ იყურებიან სუყველანი, კოშკი
კი ბალავს...

დაძძიმებულან, აბჯარში ჩამსხდარან, ესარზე ეშვილდ-ისრები ჰკიდიათ, შუადღეა რო, როგორც წყალობა, მზეა, სიმწვანე, ბალახი გინდა, ფოთოლი გინდა, ნაყოფი გინდა, სუყველაფერი საღად ხასხასებს, მაგრამ რათ გინდა, ამათ აკი სმალ-ხანჯლიანი ქამარი შემოურტყამთ; გზად ღელე მოდის ისეთი რო, წამოწექი და მიუგდე ყური, მაგრამაც ამათ ლაღად მედინი ღელისათვის აბა სად სცხელათ, წვერწამახული შუბი უპყრიათ ცალი ხელით, მეორეთი კი სადავე ჩაუბღუჯავთ, ამხედრებულან. ჭრელ თავსაფარში გამოხვეული უბრალო საგზალი უნაგირზე ისე კონწიალობს, ვითომც არაფერი, ამათ კი, სულიერებმა, კარგა იციან, ვისკენაც მიდიან, რა სვავ-აფთრებთან ექნებათ საქმე. რა არი მაინც, რადარაგვარი ჯიშის მოდგმაა, მტერი ნიადაგ იმდენი ჰყავთ რო, გამოულევი, თანაც როგორი, უყმურები და დაბოღმილები, გაუცინარნი, ჩაობებული ძმარივით სულვერგაუსინჯავი და მჭახე, სხვისი ადგილ-მამულისაკენ ისე გულდაგულ მოედინებიან რო, გინდაც წართმეულის აღდგენას ცდილობდნენ, უზომო ლაშქრად იციან შეყრა, არამი ლუკმით გამრავლებულნი, იმდენი არიან რო, ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა, და თითეული ისეთია რო, სუ მიწას ჩასცქერს პირკუპრი, სახე აქვთ რკინის ფერიო, სულდამდაბლებულნი, ახოვნებითაც რომ ვერ უქნიათ იმ თავიანთ შემოქმედსა? — ტანად მცირეა, დაბალი, გაწყდომაზე აქვთ წელიო, მაგრამ ქოფაკებივით დაგროვებიათ რისხვადქცეული სიანჩხლე, ისე დასცქერიან შენს მიწას, როგორც წართმეულს, დაოგზად ისე და ისე აფთრდებიან, გინდაც მართლები იყვნენ, ჩხუბში ავნია რჯულძაღლნი, იარაღს უძევთ ხელიო, თუ შეებმები, ერიდე, ტყვია იციან ცხელიო, რამ გააცოფათ ეს სულძაღლები, რამ დაამწარათ, ისეთდაგვარად დაგეშილან რო, იარაღს ენით გაღლოკვენ, გახდება უფრო მჭრელიო, და საშვილიშვილო მტრად მიაჩნიათ ესენი, ჩვენნი, და თავიანთ ნაშიერებსაც იმთავითვე ამათზე, ჩვენებზე, გეშავენ, ბალღი რო დაებადებათ, უნდა შაუკრან წელიო, თოშიან წყალში გაღბანენ, ჯანი ექნება მრთელიო, და ყველაფერი იმისათვის რო, უყვარდეთ სხვისი ქონება, ჩხუბში — ხმალი და ცხე-

ნიო, ღონე და ჯანი იმისთვინ უნდათ, აი ესენი, ეს ჩვენები რო ამოხოცონ და დაარბიონ, მაგრამ, ამათაც, ჩვენებს, ძალუმი სიტყვა — ქუდზე კაცი ჰქვიათ და თუ მუზარადი დაუხურავთ, მაინც ქუდზე კაცი არიან და, თან, იციან რო, მართლა მართლები არიან და, რაა მართალთან გინდაც სამი იმდენი ცამდის მტყუანი, თანაც, ფიქრობენ, იცოცხლე კარქი იქნებოდა მთელი ქვეყანა რო საქართველო იყოს, მაგრამ მოღონიერებისასაც ხომ ვერ დაგეცალდა არავისათვის სამშობლოს წართმევაო და, ჩვენც ნურვინ შეგვეცილებაო და, ისეთ დამხედურ ბრძოლასა სტეხენ, ისეთსა, ვინ იფიქრებს რომ სხვა დროს ისეთი წყნარი ტაძრების შენება და იმათი ისე მოხატვა შეუძლიათ, ან — სუ იავნანათი გაზრდილები რო არიან, ომი არი რო, ცარიელიღა რისხვა, აესა, ჩვენი, სუ ტუჩთაკვნეტით იბრძვის, იქნევს და იქნევს მჭრელ, მბზინავ ხმალსა, გვერდით ცანგალა ისე ტრიალებს, მეხის კლაკვნა და ღამის ცეცხლია, ერთგულა შუბი მოუმარჯვნია დიპლიპიტოს, რაღაგინდნაირ აბჯროსანს არ შეუნგრევს იმ ბალღამიანი გულის ფიცარსა, ელპოსაც, საზრიანს, დიდი წვლილი შემოაქვს, მტრისთვის ზურგიდან ჩუმჩუმელურად შემოუვლია, დიდრონა ლოდს ამოფარებია და აიმ წყეულებს სუ ბეჭისთავზე ასობს და ასობს ცხელ-ცხელ ისარსა, იქვე იბრძვიან ამათებურნი, სხვა ჩვენებიცა, წყალობები და თევდორეები, ღვთისო, ხარება, არსენები და მიტუაები, ფლოქვებიდან სუ ნაპერწკლებმფრქვევა ცხენებით შორიშორიდან ჩამოჭრილან ხოგაის მინდი და თორღვა, მაღალი მთების კუშტმა პირმშომ, ლაღმა მარტიამ, გაფრინდაულმა, გზა ჩაამტვრია ღამითა, და ახლა ამათ მხარდამხარ იბრძვის, ავზნიანებს სხეპს, ლისით გადმოფრენილა ყოჩაღი ვაჟი ბაჩუკა, დიდად მარგია, ეს რა სალხია, კაცო, აი, ბრძოლაც კი თავთავის ჭკვაზედ არა სცოდნიათ? ის გადარეული სირჩლა ბაბურაული თუ სუ ყივილ-ყიჟინით აქცევს იქაურობას, აეს დინჯები — სოლომან ბუტულაშვილი და ივანე კოტორაანთი, მითომ ნელი-ნელ ირჯებიან, მაგრამ მომხვდურთა ორღობეებს სტოვებენ თავთავიანთ დარბაისელს გზაზედა, ქართველებია, რა ქნან, იბრძვიან.

და, ბინდმა რომ არ გაჰყაროს მებრძოლნი მტერნი, აეს

ჩვენები სუბოლო ძალსაც მოიკრებენ და ისე დასცხებენ, რისი საღამო და რაის მწუხარი, დღეს სუ კუპრისფრად უბნელებენ, სუ კუდით ქვას ასროლინებენ, სუ ბეჭებს აპანღურებინებენ ქუსლებითა, რადგანაც თავიანთ ვერან მიდამოში დარჩენია სულ ბოლო ძალა მტერსა, გარბის, მისდევენ, გაურბიაან, ედევნებიააან და, მოციქულობენ ისრები, შუბნი აქნევენ ენასა, და ხიდების ძებნის თავი აბა სადა აქვთ ახლა თავისი მწირი მიწის მონატრულებს, მდინარეში ჩაცვივდებიან და, ვისაც გვერდიგვერდ ძმა მოუკლეს, შვილი, მამა თუ მოკეთე, შეზობელი, ხმალდახმალ გადაპყვებიან და აბა მდინარემ რა დაამავა, კლდის სიღრმეებიდან სპეტაკად ნაჟურს, გზადაგზა რუ და ღელეებშემოერთებულს, აბა რად უნდა იმათი წითლად მოშავო სისხლი, მაგრამ ანკარა ფერი ეცვლება.

მერე კი მართლა მწუხრის ბინდია. ილაჯგამოცლილნი, პირქვე წვანან და, შეგრილებულზე, გადარჩენილი მიწის სუნი უფრო ეღწევათ. არ ეკადრებათ ჩვენვან მაგრამ, მართლაცდა გდიან, მიმოფანტულად დაყრილან, დადუმებულან, ვიღასა აქვს საგზლის არაქათი, პირს ვერ გაუხსნით დანა. რო გაიმარჯვეს, სრულად ვერ გრძნობენ, ისეთი დაღლილები არიან. ცოტას კი ჩათვლემს ესა, ჩვენი, მაგრამ ძილამდე ვეღარ ჩადის, სისხლის ლორწოც სცემს და ცუდ ბურანშია, რაღაც შმუშვნებში ჩაფლულა და უცებ ვიღაცის ტორსა გრძნობს მხარზე, დაბალის ხმით ეკითხებიან — აი ესა და ესა, ანაგურელი ბიჭი ხომ არ გინახავსო. არა, არაო, ნაღვლიანად მიუგებს ჩვენი, თვალს გააყოლებს დამწუხრებულს, და უცნაურ რასმეს ხედავს — ვიღაცეეი, უფრო მამები, მოღუნულები დაიარებიან მთვარის შუქზედა, მოჩვენებებსა ჰგვანან, მერე უფრო მოიხრებიან, ჩაიჩოქებენ, მოკუნტულები, ძლივას არჩევენ მტერ-მოყვარესა; გაგიგონიათ? — თუმც შვილს, მაგრამ მოკლულს, მაინც გულდაგულ დაეძებენ, გალასლასდებიან მერე, ერთიმეორეს სუ ჩურჩულით ეკითხებიან, ჩემი ხარება ხო არ შეგხვედრია, ჩემი ფიდოსთვის ხო არ მოგიკრავს თვალი, ჩემი წყალობა ხომ არ გინახავთო. არა, არაო, ისმის. და ერთიც კარგა ხნიერი გლეხი, მუქად მოთხვრილი, ძილად მივარდნილ ჯეილებს ფრთხილად აღვიძებს და თრთის და ეკითხება: ძმისავ, ჰა, ძმისავ, ჩემი ცანეალა ხო არ ცინა-

საეთო. ვაიმე ბიჭო, ცანგალას მამაა და ეგ არი! აესა, ჩვენი, ელდისაგან ისე ძარდად წამოხტება, მიწაზე რჩება დაღლილობა და ოფლი, ერთად მიიწევენ იმ დარდით დამყურე მთვარის შუქში, და დახოცილებს ჩაჩერებიან — ეს ხო არ არი ცანგალა და აი ეს ხო არაო. და განა მარტონი არიან, არაა, ბევრნი — ბეჩავებია, სუ შემცივნებულ ხმაზედ კითხულობს ვიღაც, ხო არ იცით, ჩემს თევდორეს საღა სძინამსო, ჩემი შავლეგო მდინარეში ხო არ სუფთავდებოდაო, და შორიდანაც ბუნდოვნად აღწევს, ბიჭო გოგია, ხმა გამე ბიჭო, ვერა სედავ რო, როგორ დაგეძებო, შენ კი აბა სად დაესეტები, ხმა გამე ბიჭო, გოგიაო. გათენებამდის ფათურობენ დახოცილებში, კვარი უჭირავს ზოგსა, მთვარის შუქი და კვარის წრიატი სუ ერთმანეთში ირევა. ამას კი, ჩვენსას, თვალები ისე ებლიტება, ერთხელაც არი და, ვიღაცას რო გადმოაბრუნებს, იქვე ჩაეშობა და ბალიშაღა აქვს იმისი გაციებული ბეჭი.

ჩაესმის მერე, შენ, ბიჭო, შენ ბიჭო, ბიჭოო, ჯერ ჰგონია თუ, კიდევ ვისმეზე ეკითხებიან, დაახელს თვალსა, მაგრამ მოშორებით დამდგარა ვიღაც, დასჩერებია თავის სოფლელსა და, ამბობს — შენ, ბიჭო, შენ ბიჭო ანაგურელოო. შეშფოთებული წამოჯდება, უკვე დღეა და ისეთს რასმე დაინახავს იმისი უბედური თვალი, ძლივას აითრევს წელსა — სუ უპოვიათ თეიანი მკვდარი, ერთად შეუქუსებიათ, და, მზეც არ ანათებს? მაგრამ აბა რაღა სითბო უშველით, ან ამეებს და ანდა ისათა, და ცანგალა-ბიჭიც თუმც მზის გულზე დაუსვენებიათ, ქართულა ცხვირი წაჰყინვია, აბა სადღაა იმისი ლაღი მოუსვენრობა, ცარიელადა დუმილია.

ამასა, ჩვენსას, ისეთ რეჩხს უყოფს დაღლილი გული, ისეთი ჭინჭრის გორგალი გაებჯინება ყელში, მიბრუნდება და, ცრემლებს შეებადა ყლაპავს. ერთი ცანგალას ჩია მამალა გაქვავებულა, თორემ ამათ სოფლელნი ცრემლით ილბობენ დაეკალულ სულსა, ცსარე დღეშია დიპლიპიტო, ტირის ელპოცა, მაგრამ ტირილი იქ უნდა ნახო...

10.

ი კრამ ტარილი იქ უნდა ნახოთ, ცანგალა-ნაკლულ სოფელშია, ერთი პაჭია გორაკიდან რო დაინახავენ უმხედრო

ლურჯას, შორიდანვე იშმუვლეს სალსი, ცანგალას ქალს კი, ჯერ რა ქალია, გოგო, ყოფილი ცანგალას დანახვაზე სალი გული შეულონდება და ქალები იმას მიეხვევიან. წყალს დაასხამენ შეჭორფლილ სახეზე, კაკალქვეშ, ჩრდილში მოასულიერებენ და, ქმრისკე გაოგნებული იცქირება ისა, აბა სად ცანგალა და აბა სად იმისი აგრე ყოფნაო, და რო თავ-პირში უნდა წაიშინოს ხელი, ერთი საზრიანი დედაკაცი ასე ეუბნება: შენი ძლიერ ტირილი არ შეიძლება, ეცადე ნელინელ იტირო, ქმარი რომ მტერმა მოგიკლა, განა შენც უნდა მოუკლა შენ ქმაარს შვილიო. თანაც, ხო ხედავ, ბიჭის მუცელი გააქო. გაიტრუნება ისა.

ცანგალა კი სუ ციმციმ შემოაქვთ, ცაცხვის გაუსხიპავ ტოტებზე დაუსვენებიათ და ამ ნედლ საკაცეზე მწვანე ფოთლები ისე შარიშურობენ, ვინდაც ბლომად ნაცეკვი ცანგალას ხშირი სუნთქვა ხვდებოდეთ, მაგრამ სადღაა იმისი სუნთქვა. მთელი სოფელი იმას დაეყურებს, ბინდწაფენილ და ამაყად შორ სასეზე ისე გულდაგულ დასცქერიან, თითქოს უნდათ რო, აუმოძრაონ, მაგრამ ვის ეზერას ღაიტყობს ბიჭი, ძალიან, მეტად, თავის თავშია. რაღაცა უნდათ რო იღონონ სოფლის კაცებმა და ვერა ხვდებიან, ქალის თვალი კი მაინც სხვა არი, და აკი ერთი არ დაინასაეს? — უიმე, ცალი ქალამანი დაჰკარგვიაო. დასედავენ და, მართლაც. მერე ისე შეიძვრებიან, თითქოს დიდი რამ უნდა გამოასწორონო, არიქა, არიქათ, ჩქარა მაიტათ ახალთასალი ქალამნებიო, და ჯერ რო მოთხვრილ პაჭიჭებს გამოუცვლიან, ახალ ქალამნებს ძალიან ფრთხილად მოარგებენ ფეხების ნაჯაფ წვერებზედა, ცანგალას პატარა დაი კი იმ ძველ ქალამანს სუ გულში იხუტებს.

წყაროს წყლით ჰბანენ ცანგალასა, ოღონდ ჯერ მზეზე შეუთბობენ, არ ეგრილოსო, კოხტად უვარცხნიან სველ, დამყოლ ქოჩორს, ამას კი, ჩვენსას, სული ეგრიხება, მაგრამ სხვასავით ფეხმოუცველელად დგას, სამშობლოსავით გაუერთიანებია სიკვდილს ზოგნიც უმძრახი მეზობლები, ყველაფერსა აქვს თავისი კარგი.

და ერთიც ზორბა ბერიკაცი დაჩიავებულ, გაქვავებულ კაცს მხარზე დაადებს დიდრონ ხელს და, ანუგეშებს: აბა, აქ რაა, აქ ერთი მოკლე წუთისოფელია და, ვინც აქ დიდხანს და-

ვრჩებით, ჩაჩანაკებად ჩავალთ სამუდამოში, იქაო, შენი ცანგალა კი იქაც სუ ცქვიტი, სუ ლაღი და მარდი იქნებაო. არაფერს ამბობს მოკლულის მამა, სდუმს. იმის გულში რა ჩაიხედება.

ცანგალას ცალი ქალამანი კი მდინარის პირას კენტადა ძევს.

იდება ასე, დიდხანს იდება, რადგანაც წყალი ვერა სწვდება, დააწვიმს, დაისეტყვება, დაათოვს, შემოადნება მერე თოვლი, მდინარეც ისე ადიდდება რომ, წამოუსვამს ცალ ტალღას და აატივტივებს, გზად წაიყოლებს. მიაქვს და მიაქვს მდინარესა ის ბეჩავი ცალი ქალამანი, სოფლები ხვდებათ, ზოგს შუადღისით ჩაუვლიან, ზოგსაც — უმთვარო ღამითა, დაბლითკე მიდის ცანგალას კენტი ქალამანი, მერე იკლებს მდინარე, მაღლითურა მზით იხაპება, უწყლობით ლამის სულსა ღაფავს, ეს ქალამანიც ძლივძლიობით მიღოღიალებს, მერე ქვებშუა გაეჭედება, უმძრახად არი, ახლა იქ აწვიმს, ახლა იქ ათოვს, მერე კი ისევ ადიდდება მესხვადასხვაიე მდინარე, შეუსნდება, შეუსნდება ქალამანს, არ მოეშვება და ისევ ციმციმ აატივტივებს, ისევ წაიყოლებს დაბლითკე და იქამდისინ ატარებს, ზინამ ძალიან მლაშე წყალში არ შეაცურებს და იქ კი ჩაძირავს, ძალიან უცხოდ გაყუჩებულა ქვიშიან ფსკერზე ერთ დროს ჭრელ ყვავილებში ნათამაშევი ქალამანი და, მარილი ძლიერ ნელინელ ლოღნის, ალხობს, ცეკვა-თამაში და გულდაგული მხიარულება აიქა, ზევით, სულ არ უკვირდა ქალამანსა, მიჩვევას იყო, ახლა კი, დიდი-დიდი, ბლანტმა თევზმა თუ ჩაუცუროს.

სუ უცაბედად წარმოუდგენია ამასა, ჩვენსას, აეს მასალა არი თუ მასალის მსგავსი რაღაცა არი და გული ეკუმშება, ცანგალას კენტი ქალამანი რო ცალი და კენტი ქალამანია, იმასაც კი დარდობს და, თავად ქალამნის ლაღი პატრონი? — მკვდარია, წევსა. აბა რითიღა შესძლებს ჩვენი, გული ოდნავ მაინც რო მოიოხოს და, აკი თვითონვე არ მიპყავთ გადაღლილ ფეხებს? — აუყვება, აუყვება სოფელს, წყნარ ორღობეებს აივლის, სუცოტას გაივაკებს და, სოფლის განაპირას ერთი ჩამჭკნარი მიწური როა, იმას მიაშურებს, იქაა სოფლის თავიც და ბოლოც, გააჩნია თუ, საიდამ მოდიხარ. იქ კი ქალი დგას შა-

ოსანი, ბლომად შვილები ომში დაეცა, და ახლა ერთი ესა
და დარჩენია ნუგეშად, ესა კი, ჩვენი, ისე დარცხვენით უახ-
ლოვდება, თუგინდ სხეისი ბალღი იყოს, ჯერ ასედავს და,
მოხველ, შვილოო, იმ ერთადერთი, იავნანური სმით რომ პკითხავს ისა, დახრის ეს ჩვენი უნებური ცოდვით სავსე თავსა, მიწას დააბჯენს მზერას, მიწისკე ითხოვს, დედი, პური მაჭამეო. ახლავე, შვილოო, დინჯად მიუგებენ, მაგრამ ეს მხოლოდ ყურისთვინ — დინჯად, თორე სუ გული უფრთხიალებს, ისე ძალიან უფრთხიალებს რო, აიმავ ღამით სახეზე კიდევ მეტად დაჭკნება, შვილებისკანა აქვს ნაოჭებიც და დიდრონ-დიდრონი თალხისფერი ლაქები ხელზე. პურის საჭმელად დაბალ ტაბლასთან დასვამს შვილსა, პურიჭმევა — ეს უბრალოდ ჰქვია, თორე, შოთებთან ერთად მარილიც გამოაქვს, მწნილიცა, გუდის ყველი და პრასი, ბოლოკი, ლობიოცა და, ერთიც პატარა ხელადა ღვინო, ვაშლის ქვეშა ზის აესა, ჩვენი, დაფიქრებული ილუკმება, დედა კი სუ თვალებითა სჭამს, ოღონდ ისე უჩუმრად, რო არ შეაწუხოს; დგას. გაუშეშდება ერთხელაც ამას პირისკე წაღებული, მარილში ჩაწობილი დახვეულპრასიანი ხელი, ერთბაშად იმისი აუარება რამ ახსენდება, და ისე ჩაესმის, როგორც რო ლოცვა — დედას ვუყვარვართ შვილები... შემკრთალი, მაშინვე გახედავს, მაგრამ გულთამხილავია ისა, მანამდე მოარიდებს თვალს, ვითომც ჭილოფზე გაფენილი ხორბლისა და იმას დასეული ჩიტების დარდი აქვს, აქში, აქპშიო... ამასა, ჩვენსას, ყელში პური ებჯინება, ისე ჯიუტად და ისე ცხადად ჩაესმის დედას ვუყვარვართ, დედას ვუყვარვართ შვილებიო, და, ყელში ლუკმაგაჩხერილი, ეჭვობს: დედა თუ ვვიყვარს შვილებსაო?... აესა, ჩვენი, თუ კენჭია, სუ მაღლი-მაღალ, პიტალო კლდედ ქცეულაც, იყოც ეს დალეული, ნატანჯი ქალი, შვილი სად უნდა წაუვიდეს რო, ანკარა ლოცვა არ მიუწვდინოს, ჩვენი ოვითონვე კი გააჩინა, მაგრამ თავადაც ამ ჩვენით უდგას ჯავრით დაღრღნილი სული, ამითი ცოცხლობს, ამის პურიჭამითვინა აქვს შერჩენილი ჯაფით დარღვეული და ჯაფითვე დაკემსილი სხეული, აესა კიდე, ზამთრობით მაინც, თვე ისე გავა, არც დახედავს და არც მოიკითხავს, არც ასსოვს იმისი ძალიან ზუმი, დედური ღვაწლი, რაღას არ ასწრებს აიმ დროში, ხეების მოჭრას, შეშის დაპობას, თივის

ეიზიდვას, ცოლ-შვილს, ბუზიკას, ფეფელოსა, ელპოს, ძმაბიჭებს, ჭიდაობას და ლახტის თამაშს, ოღონდ ეგ არი, დედის ამაგი აღარ ასსოვს და, უცებ თავის თავს გაშტერებული ჩაეკითხება, დედა თუ გვიყვარს შვილებსაო. ისეთი სევდის კაეშანი მოაწვება რო, ლამის იქავე ჩაიკეცოს და, მხარუკულმა იტყვის, წავალ, გავივლი, გამოვივლი და ისევ მოვალო. ჩურჩულით ესმის, აკი გითხარი, წადი, მიიარ-მოიარე და ისევ მოდიო. კიღევ კარგი რო, კორომი მაინც ეფარება, და სუ არავინ რომ არ დაინასოს, გადახნულ მიწაზე პირქვე წვება და, ორ დიდ ბელტშუა თავჩარგული, სუ დანანებით იმეორებს: დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვიყვარს შვილებსაო... მერედა, რათა, რათაო, გამწარებული ეკითხება საკუთარ გონსა, და პასუხის მოსაძებნად თავს რო წამოსწევს, დაისედავს და, რასა ხედავს, დასჩერებია დედას, მიწას, მიწაა ზორბა, ნოყიერი, მუქად ხასხასებს, აი ეგ არი თუ რაც არი, მარცვალს ჩაუგდებ და, ოც იმოტოლა თავთავს ისე ამოგაშველებს, როგორც რო ვითომც არაფერი, ერთ გაჩხიკინებულ ნერგს მიაბარებ და, პატარა ხანში ისეთი ხეა, სუ ბროწეული და ლეღვი სცვივა, სუ შენთვისაა, და რომ ისა გშობს, აი ესეც კი აღარ გახსოვს და მაინც ისაა სუბოლოს შენი წყნარად შემკედლებელი, აიქამდე კი, ვრცელი გადია, დაუყვედრებლივ მიგიშვებსა და დაეატარებს თავის უხვ გულზე, ერთი ეგ არი, ცოტათი უნდა მიეხმარო წვიმა თუ ძაან მოენატრება, და აი ის წყალი უნდა მიაშველო, ისევ იმისი იდუმალი სილრმეებიდან ამომდინარე და იმის გულმკერდზე გადავლილი, და აი ეს შვებაც ისევ შენთვის, ადამიანისათვის, უნდა, მაგრამ უფრო ერთიმეორის სისხლითა გაქვთ მორწყული და, აიმ ჯანდაბა და ოხრობა ხმალსა და ენას რომ უღერებთ ერთმანეთს, რა, სხვისი გინდა?, შენი არ გყოფნის?, და, ვითომც ქართველი ამა საქმეში გინდაც დიდი დამნაშავე იყოს, ცანგალას ასლად გაჭრილ სამარესთან დგას და, შიგ ჩამხედვარეს, მასალა არი თუ რა არი, ის აბუტბუტებს — დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვიყვარს შვილებსა, და მიტომ წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა, ამოყრილ მიწას დაჩერებია, არც მოუცვლია ომში ასლასან ნამყოფი ფეხი, ბიჭი-ცანგალა კი ჯერ სამ ფიცარში სხვის ნებაზედ წევს, განსაკუთრებით ძვირფასია, და

იმისი უბელო ცხენიც, დამწუხრებული ლიპლიპიტოს ხმამაღალი თქმით, ისიც ძალიან ძვირფასია — ცანგალავ, გიორგას შვილო, შენი ცხენი ხეიოდაო, ლაგამსა და უნაკირსა მარკალიტი სცვიოდაო, და ამ სიტყვებზე ცოტათი მოუმჯობინდებათ დაჯიჯგნილი გული, და, მეოთხე ფიცარიც რო უნდა ლაჩხურონ, ველარ შეიკავებს კენტ თავს იმისი საპრალო ცოლი, გავეშებული დასძახებს: შენი კოკორი ულვაში მიწამან შაინასოსაო?!! ბიჭით ფესმძიმე, გადაემსობა, საგრამ ძალიძალ გააშორებენ, მობრუნდებიან, დაიხრებიან, ესეცა, ჩვენი, მკვიდრი დედისას ერთ პეშვს მიაყრის, ხმა ამოდის რო — კუბოზე მიწის გრუხუნია, ეპ, სად სმარობენ ფართე ნიჩაბსა, სოფელს მდუღარე ცრემლი ჩამოსდის, მიელი სოფელი ზარითა და ვიშით ოიხებს ჩამოფხაჭნილ გულს, მაგრამ ის ზორბა, ხნიერი გლეხი ახლად ამოზრდილ გორაკს დაადებს დიდ, ფარითო სულმთლად დაკოჟრილ ხელისგულს და ხოგიერთთათვის დიდად გაუგებარს რასმე, ამბობს:

— ცანგალა საყდარს შეკიდა, ყურძენი შეიტანაო.

11.

ყურძენი, ვაზი... ყურძენია და ვაზი ამათი თავი და თავი.

ვაზი უყვართ რო, სად და სად აღარ ეჩვენებათ, ხან რო მამა და მარჩენალია, ხანაც ქალწულად ეცხადებათ, და უფრო ხშირად კი ვაზო, შვილივით ნაზარდო, ეფერებიან. ღვინო ისე არ შეისმევა, არ დააყოლონ, ვაზს გაუმარჯოს, ბრუნდეძირიანსაო.

უყვართ.

და რაღაც კიდე უფრო მეტი — ოღონდ ვენახში დააძინე, არც ბატკანი უსდათ ქვეშაგებად და არც ბუმბული, თივა ურჩევნიათ, მუშტზე დადებენ გაუპარსავ ლოყას და, ბნელშიც კი ფრთხილად შესცქერიან. ხელართები აქვს რო, რომელს საითკენ გაუწევია, სულ ვერ გაიგებ, სუ დაყვავებით უნდა შეხება და, ამას თითები უნაზდება? — რისი აბრეშუმი და კერტი.

სუყველგან ვაზი ელანდებათ, იმათ საყდრებსაც ქვის ბტევნები გამოუსხამთ, ისეთი რა უნდა იყოს რო, ავად თუ კარგად, ვაზს არ შეუდარონ — ჩამოდგება, ვთქვათ, ვინმე ბაქია,

ასტეხს და ასტეხს უჭკვო ტრაბახსა, გააყრენს, გამოაფრენს და რო წავა, გააყოლებენ აესენი დაღვრეული თვალსა, არა, იმისი ოფოფები კი არ ედარდებათ, ნეტა ზემს ვენახს მაგისეეფ ესხასო, ჰფიქრობენ.

როგო უკლიაან... მოწონებული. ვაზს რო რაც უნდა, ცხვარს არა აქვს იმდენი ბეწვი, სუმუდამ უსდა დასტრიალებდე, ხო ალერსით ზრდი, როგორ არწყულებ, მაგრამ წყალზე არანაკლებ სჭირდება თფლი. იმაზე ყველაფერი ალალია.

აი, ქალწული მაშინაა, მტევნები რო დაუმშკენდება, მაგრამ შვილივით ნაზარდია, ხელს ვერ შეახებ და, უხვი რთვლობისას განზე გამდგარი, ქალებს და ბალღებს მიუშვებ და, იმათ აკრეფინებ. აღარც კი იცი, მტევნის მოწყვეტა გიხარიან თუ ეწყინს. მაგრამ მერე კი, ტანჯვითა და ალერსით ნაზარდს, კარგად გახეხილ-დაბანილი, მაგრამ დიდი გლეხური ფეხისგულებით უნდა შედგე, ასეა წესი. ქალური ზვევით, დაგიმახსოვრებს, როცა იქნება, ისიც ფეხს დაგიდებს და შეგიბარბაცებს, რაგინდ მოჭიდავე იყო, ერთხელაც იქნება და ბეჭებზე დაგცემს ძაან ნამეტანს თუ შეუჩნდები, ქალი არი და, ფეხით გაქელვას არ გაპატიებს, თუმც, რალა ქალი, ქვევრებში დგა და, ჭაბუკია რო, ღულს. ჯეილია და ცის კიდობნების წვდომა უნდა, მიდი აბა და, დაჰხურე თავი, ქვევრს გაგიხეთქავს, მაგრამ მერე, რო დაშოშმინდება, ხელი შუშით ამოიღებთ და მზეზე რო გახედავთ, სუ სიხარულის ძვრას გიზამთ გული, მაგრამ ღინჯები ხაართა, არა უშავრა მასალაარ, დინჯადვე იტყვით.

ზამთრობით, როგო გატრუნულა... რა ხდება, კაცო, თოვლიც კი ადევს. მაგრამ იმის ნაყოფის წვენი მშობელ მიწაში ცოცხლად გიდგას და შენი ძმაცაა და მეგობარიც — ლხინი არი და, შენთანაა, თუ ჭირია და, ისევ შენთან არი. მაგრამ სიფრთხილით ძმობა ჰმართებს, ძალიან თუ გაუშინაურდები, იმან აფრაკი ხერხები იცის? — კისერსაც მოგტეხს. ცოტ-ცოტაობით მეგობრობა უნდა.

უყვართ.

და, როგორია, მტერი თუ ძაან შემოგესევა და ძლიერ ბევრია, მთაზე ადულებულ სიმაგრეში სოფელთან ერთად უნდა შეიყუეო და, თუ ვერ აგიღებს, ზემოდან დასცქერ, როგორ გიწვავენ უბრალო სახლ-კარს და ეგ კიდე მაინც არაფერი,

ძვევრებს გიბილწავენ, იმ ვენახებს გადაქელავენ და, ბევრ-ჯერ მომხდარა, აუჩეხიათც. შენს გულში მაშინ რაცა ხდება...

თუ აგიღო და... ვიცით.

მაგრამ მაინც ვაზის კაცი ხაარ და, მაინც ისევა ზრდი, ისევ ახარებ, სუ რიგებშუა მიდი-მოდიხარ, წელში მოსწორილი დაიარები, და განა მარტო მოვლას აკმარებ, მეტისმეტობით, ხანდახან სულიც შეგიბერია.

როგო გადის დროო...

დრო როგო გადიის...

აი, წელან რო ჯეილი იყო აესა, ჩვენი, მერე ვაკკაცია, მერე, გავიხედოთ და, შელახული ქოჩორი ეჭირხლება. მაგრამ ელპო რისი ბიჭია, დროს რას დაიმჩნევს, ჯერჯერობით დანებებისა არაფერი ეტყობა, აი, ზამთარი რო ზამთარია, მაშინაც კი გამოაცოცხლებს ხოლმე თვლემაში ჩათბუნებულ სოფელს — ვიღაცის ძალუმი ღრიალი გაისმის, დაიჭით, დაიჭითო... გაიხედავენ და, რასა ხედავენ, გაუკვალავ თოვლში მიფართხუნებს ეს ჩვენი ელპო პერანგისა და იმისი ამხანაგის ამარა, ცალ ლოყაზე ფერუმარილი გადმოსდებია, უკან კი რომელიმე კაბოსანის ხელკეტიანი ძმა თუ გარე-ბიძაშვილი მისდევს და „დაიჭით, დაიჭით"-ს ისა ღრიალებს, ეს ელპო კიდე, რო იცის რო სოფელი შესცქერის, ისიც არა ჰყვირის? — „დაიჭით, დაიჭით"-ო, მითომც ეს ორნი ვიღაც მესამეს გაუკვალავ თოელში მისდევენ.

დაუჯერებენ, როგორ არა, მიართმევენ, კი.

რა იქნებოდა ამათი ცხოვრება, შეღავათები რომ არა ჰქონდეთ, რა იქნებოდა და — ცარიელაღა მუშაობა, ბრძოლა, დაგვა, ტანჯვა და წვა. მაგრამ ზოგმა რო კოხტა ცეკვა-თამაში იცის, სხვებს ისეთი სიმღერა ამოსდით პირიდამ, შენც დააღე პირი და ისე უსმინე, ზოგი რო ისეთ საყდარს აშენებს, იქიდან რო აღარ გამოისვლება, სხვა ისეთ ლექსს ამოთქომს რო, რაგინდ სქელკანიანი იყო, ტანში დაგბურძგლავს, იქით კი ვიღაცას კარგად დათხვრილი ხელი მოუმარჯვებია და, თითებით ჰხატამს ისეთებსა, ბრმას და მუნჯს დააყვირებს, მოკლედ, ხალხია რო, რაღაც სიტყვაა... უნიჭოები არ არიან, ჰო.

ახალგაზრდობის კიდობნებზე იძახიან, ნელინელ, მაგრამ იცლებაო, ალბათ მართალია, აბა სადღაა იმისი ძველი ჯანი,

ყანიდან ისეთი წელმოწყვეტილი ბრუნდება, აღარც ბუზიკა ეწადილება და აღარც სოფელგარეთ ცეკვა-თამაში. ერთი სული აქვს, შინ მიბრუნდეს და, ცოტა ივახშმოს, მერე კი დამზრალი ფეხები დაიბანოს და, დაწვეს, დაიძინოსა, ბოლო დროს მაინც, ხშირად სცივა, ძველებურად ველარ უბრუნავს სისხლი. ერთსელაც — აბა ეს უნდოდა? — გავისედოთ და, მოდის ბილიკზე ყოფილი ფეფელო, ერთს კი შეავლებს თვალს ჯერ შორიდან ესა, ჩვენი, და ზაცმულსაც კი ატყობს, როგო დამჭკნარა, აბა საღლაა იმისი ნედლი საფერებლები, არადა, ისე თამამად უახლოვდება ისა, ვითომდაც ძველი ფეფელოა, რისი ფეფელო, უფრო თავის დიდედასა ჰგავს, გამარჯობაო, გაიმარჯოსო, ღვანან. თვალებში მაინც ცეღლუტია, ვითომც გაკვირვებით ეკითხება, უიმე, ეს რა დაემართნია, ბიჭო, როგო მოხრილხარ, მოკუზულხარ, ეგ მხრები როგორ ჩამოგყრია, რა იქნა შენი ნათლის კბილები, ანდა ის შენი სარეველასეეფ უხვი ქოჩორი რაღა იქნაო? ერთს კი ახედ-დახედავს ესა, ჩვენი, და პირზე მოადგება, შენ რაღა დავმართნია, ქალო, გაკრეფილ ვენახს რო დამსგავსებიხარო, მაგრამ კაცია დ., თავის დაჭერა ჰმართეს, სდუმს. ისა კიდე, ცბიერად რატრატებს, სხვა, ოჯახში როგორა მყევხარო, ის შენი პირშიმთქმელი ცოლი როგორ ბრძანდება, როგორა მყაავსო. არა უშავ-რა, თქვენის ლოცვა-კურთხეითაო, ცბიერადვე მიუგებს ესა, მაგრამ მერე აღარ იციან რა თქვან, ყოფილ ფეფელოს თვალებში ცეცხლი უნავლდება, დაღერღმილები დგანან, სხვა დროა. კარქა იყავო, განზე ამბობს ფეფელო, კარგა იყავო, განზე ამბობს ესეცა, ჩვენი, გვერდს ფრთხილად აუვლიან ერთმანეთს, თავ-თავისკე მიდიან.

ეჰ.

მაგრამ იმ საღამოთი მაინც ვერ იძინებს, შორეულ ბუზიკას თვალდახუჭული უსმენს, უსმენს და, წამოდგება. იმ თავისი ცოლის რუხ თავშალს მოისხამს ბეჭებზე, დაცინვის დარდი სულ არა აქვს, ოღონდ არ შესცივდეს. წავა, წავა და, სოფელგარეთ თავის ჯეილობას მიადგება — ისე უკრავენ და ისე მღერიან, სუ ცასა სწვდება ტაში, ერთი კი, მაინც, ისე ჰთამაშობს, სუ ფეხის ფრჩხილებზედ სდგება, მეორე კიდე ლექსებს იძახის ისეთსა რო, თუ გაგაგონა, საიქიოდან მოგაბრუნებს.

აიი, ეგ ორნიო, ვილაცას ეკითხება, ვისი და ვისი შვილიშვილები, ვინა და ვინ არიაანო. ეგაო, ლექსებს რო იძახის, ცანგალაანთ ბიჭი არი და, ისა კიდე, კარგა რო თამაშობს, დიპლიპიტუანთიაო. დაფიქრდება ესა, ჩვენი, რამე ხო არ მეშლება, აკი პირიქით არ უნდა იყოსო? ამბობს, ამისი პაპა, ბიჭიცანგალა, კარგა თამაშობდა და ჩვენი დიპლიპიტო კი განა ჭრელ ლექსებ არ იძახდაო? ეუბნებიან, აბა მე რავი და, აგრეაო. არა, პირიქით უნდა იყოსო, ამბობს. ეუბნებიან, ჰოდა, სწორედაც პირიქით არიო.

ვაჰ.

ამასა, ჩვენსას, თავის შვილიშვილთაკან ერთის დარდი უფრო აქვს. იქამდე კარგა დალაგებული ყმაწვილი იყო და, უცებ ისე გადასხვაფერდა, მთელი ახლობლები სწუხან — სუ უმიზეზოდ გარბი-გამორბის მინდორ-ტყეშია, შორიდან ცეტი გეგონება, ახლო თუ მიხვალ და თუ შეგიჩერდა და თვალებში ჩახედავ, ლამის გიჟია და ეგ არი. თურმე ნუ იტყვით ადა, რისი გიჟი და რისი ცეტი — ისე-უბრალოდ, შეყვარებულია. გადაჯვარედინებულ ხმლებსა და მწვანე რტოებქვეშ რო გაატარებენ იმას და იმისი გულის ტკარცალა რჩეულსა, ყმაწვილია რო, სუ პირმცინარი. ამაყიც არი — უკვე ქუდზე კაცი ყოველმხრივ ჰქვია. ორი თვის თავზე ბრძოლაში ჰყლავენ.

ომში ყმაწვილის მოკვლა უფრო ცოდია, ლხინიც ნაკლები გაუვლია, ჭირიცა, ჯერ წუთისოფელი რა არი რო და, მოწადინებულ გულიანებს, ისიც კი სანახევროდ ვერ უგემნიათ, დასდგომიან თავთ-სანთლებდანთებულთ, გვლმოკლულები, ეკითხებიან: ეგ შენი მჯიღა თვალები ველარას დაინახავსო? ახლა სხვას დაჰყურებენ, ცრემლმორეულები: ეგ შენი ბროლის კბილები ველარცვის გაუცინებსო? ერთ ჭიქას ამასაც მიაწვდიან, ჩვენსას, აკანკალებული ხელით გამოსცლის, დასჩერებია ახლად მოკლულსა და, ეშლება თუ თავისას ამბობს, ვილა გაიგებს: ეეე, ცანგალ, რა ბიჭი იყაო?..

სხედან ესა და ელპო მომჩვარულები, სხედან, ელპო უფრო დაუღლია ცხოვრებას, ზამთრობით ბუხარს ეფიცხებიან, გაზაფხულობით — მზესა, წინასწარ სცივათ. ძველ ამბებს ველარ იხსენებენ, და წუთისოფლით გადაქანცულ გონებაში ხანდახან თუ შეეჭყიტებათ ნრიატა შუქი: შენა, კაცო, — ძმაბიჭას სა-

სელი აღარ ასსოვს ჩვენსას, ოღონდ იცის რომ, ისაა, — გახსოვს, კაცო, ჯეილობაში ცოგოებ რო დავდევდითო? ელპოსაც შუქი შეჰყლენთია, უხალისდება დაგვალვული სახე, — როგო არ მახსოვს, მახსოვს, მახსოვსო, — და უცებ შეფიქრიანდება, — მაგრამ რიითვინ დავდევდით, ეგ აღარ მახსომსო. არც ამას ასსოვს და, ტყეილ-უბრალოდ ნეტაი რათ ვაწუხებდითო. უკვირთ და, სხედან. ერთი გამორჩეული შვილიშვილი თუ ბადიში ჰყავს, ფიდო, ბალღი არი რო, ცეცხლი, და სუ ფიდოს დუნე ძებნაშია. ოღონდ ამ მაინც ჩვენსას მარტო იმისი მამის, გოგიას სახელი ახსოვს და, რამდენი ბალღიც ჩაურბენს, სუყველას მიაძახებს, ბიჭო, ვისი ხარ მალხაზიო. მარტოკაღა ზის თავის ჭიშკართან, და მზე რაგინდ მაღლა იდგეს, ამისთვის მაინც ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება, მოჭუტავს, მოჭუტავს ეს ჩვენიც თვალსა, სუ ბინდბუნდშია რამდენიც გინდა იფხიზლოს და, რაღად იფხიზლოს, წავა წავა წავა და, ერთხელაც არი ძალიან მიიძინებს. კიდევ კარგი რომ, თავთით მაინც არა სცივა, სანთელი უნთია ერთი. ძლივასლა აღარ მოისკენა? მაგრამ, რა ხდება, გავიხედოთ და, ისევ ბალღია, თავისი ფიდო, ერთი სული აქვს ყურეზე აძვრეს, ტყისაკენ დასხლტეს, ორღობეები მოირბინოს, სოფლის ღელეში იჭყუმპალაოს, ლასტის თამაშს უცქიროს, ჩიტის ბუდეები იპოვოს, მაგრამ აკვამლებულა ის საშიში მთა, ჩითის კაბაზე, დედის მუხლთან ჩაუჭიდია პაწია ხელი, დედამისს კი ამაზე უფრო პატარეები ორი ბალღი აუტაცნია და მაღლა მიდიან, გავიხედოთ და, ყმაწვილი ფიდოა, მინამდე რო დალაგებული ეგონათ ყველას, ახლა კი სუ მინდორ-ტყედ დარბის, ჰქშენს, შორიდან რო შეხედო, ცეტი გეგონება, თუ შეგიჩერდა და თვალებში ახლოდან ჩახედავ, ლამის გიყია და, ძლიერ დაღლილი სულს ძლივსღა ითქვამს, დაეგდება და, პატარა ხანში ისეთი სცხელა, მთელ ჭას დაისხამს ავარვარებულ თავზე, მაგრამ სადაა აბა წყალი, არადა, სწყურია, სწყურია რო, მარტო შეყვარებულობისას რო იცის, ბატის ბუმბულიც საიდამღაც გასჩრია თმააბურდულ თავში, და შეყვარებულობისავე ბრალია თუ რა, ისეთი განათებული ბურანი ჩამოადგება, აღარც კი იცის იმის ბეჩავ თავს წისქვილის რა ქვა ტრიალებს — რაც უნდა მოხდეს, ის ელანდება თუ, წარსულს ისე-

ნებს, რა ღვთის რისხვაა — რაც უნდა მოხდეს აის წარმოუდგენია აალებულ თავში თუ, რაც უკვე მოხდა, რეებს აღარ შვრება აეს ოხერი სიყვარული, ერთი მარტო ის იცის რო, პირაღმა გდია და ძლიერ სწყურია, სუ ემშრალება ხახა, აჰ, ერთი ახლა კაი ციკ-ციკი კომპოტიო.

12.

მაგრამ წამოდგომა და მაცივართან მისვლა ეზარება. მიბლანტებულა, იუგოსლავიურ ტახტზე წამოწოლილა, უნგრულ საღეჭს სუ ტყუილად ღეჭს. ვინ დაიჯერებს, მაინც ჩვენია. ადექ, ადექო. დანმაცადე რა ნკიდეე ცონტა ნხანიო, დაამთქნარა. გამოიღე ეგ სისულელე პირიდანაო. მაინც რატომო, ჩემი ჟუვაჩკაა და მინდა დავღეჭავ და მინდ არაო. გამოიღე-მეთქიო. აღარ აძინებენ, აჰა, კარგიო, საფერფლეზე გუმანით დადო. ახლა, ადექიო. მოიცადე რა ლოთიანად კიღევ ცოტა ხანიო, გაიზმორა. არა, ადექიო. ეხლაა, გაბრაზდა, რა გინდა, რას გამიჩმახე საქმე, ერთი ხოში ხო შეგისრულე, თანაც ვინა ხარ რომ ჩემზე დირექტივებს იძლევიო. ვარო. საიდანა ხარ, რომელ სისტემაში მუშაობო. გრძნობს რომ ღიმილით ეუბნებიან, მზისაშიო. მზიურშიო? არა, უბრალოდ, ასტრონომიც ვარო. მაშინ შემეშვი, მე კიდე გასტრ... უფრო ჩაეძინა; მოკლედ, ჰაი გიდი.

მაგრამ ზღაპარში კი არა, უარესშია, სუ ძილ-ღვიძილის სიზმრებში არი. ის მაინც აღარ გახსოვს, ერთხელ მკაფიოდ რაც გითხარიო. რა მითხარიო. რა და, გაჭირვებისას არ გამცონარდე-მეთქი. თვალებდახუჭულს, გულიანად გაეღიმა, ჯიბესავით დაებერა ლოყები, ჯერ ეს ეგ ერთი, რამ გამიჭირვა და, მეორეც, ათასი ექსპერტ-კონტროლიორი, რამ გამამცონარაო, ფეხები უფრო გაჭიმა. ბოლომდე მაინც ვერაა გუნებაზე, იცის დასცქერიან. ერთ დროს უკეთესი ბიჭი იყავიო. შეფიქრიანდა, მაინც როდისაო, ლამის დაახილოს ცალი თვალი. როდის და, აი, შედევრი და იმისი მასალა როცა გენატრებოდაო. ფჰიიო, შედევრი არა ტოროლაო, რაღადროს შედევრია, ქვეყანა გაკეთდაო. კედლისკენ არხეინად გადაბრუნდა, მაგრამ აღსდეექ, აღსდეგ, შე ოხერო და შე ტიელოო, დაუღრიალეს.

ისე წამოხტა, მოწონებული. თურმე ჩაცმულია, ვენურ სარ-

კეში მოსასს, ისე აცვია, სულო და გულო, — თეთრი პიჯაკი და იმისი ამსანაგი, ნარისჯისფერი ფესსაცმელები, რამე, გაჭირვებაშია, როგორ არა, კი, გაჭირვებაში კი არა და, დატენილობით, სუ კარადები უკრიალებს. მაისც ჩვენია. ასლა დაჯექო.

ზის. ტელევიზორს უყურებს, კარგა-კარვი სუ თეთრი გოგუები სუ პაერობიკულ ტანცებს ჰთამაშობენ იქა. ჯერ ჰგონია თუ, ეს ყველაფერი მომეჩვენაო, ხასიათზედაც — მოდის, არა, ეგ გამორთე და რადიო ჩართეო. რადიოში რას დავინახავო. მიდი, ჩართეო. მივიდა, ჩართო, მეე, რეეგვენმა ბატარძალმაოო, ესმის, რაღაცა მოხედა იმის შემძიმებულ გულს. რაღა რაღაცა — მშობლიურია. მერე, ჩაღუნა თავი. ვინდა, რო გითხრა შენ ვინა ხარო, ოღონდაც ესოლოდ ცუდ-ცუდებს აღგინიშნავო. მიდი, ვისმენო, თვალებიც დახარა. მიდგა და მიდგა, ჩამოუთვალა, რაც და რაც არის, ოღონდ მარტოკინ ცუდებს გაუსვა წითელი ხაზი. მეტად სადღა ჩაღუნოს თავი, არადა, უნდა, მაგრამ მიესმა, სულელელ, სულელ, მაინც მიყვარხარო. რათაო, ასედა. რათაო და, მაინც ალერსით დასცქერიან, შენისთანებიც კი უფრო მიყვარან და, თანაც, შენი თოხისა წკრიალი ზეციოთკე ამოვდიოდაო. ეგ როვორღაო, თოხი ხელში არა მჭერიაო. ადრე, ადრეო. ჰოოო, ჰოოო, ეშმოელი ხალხი ვიყაეთო, ცოტათიც გაიჯგიმა იმ თავის ნაქებ პიჯაკშია. ეცებ, რა ესმის, თქვენა, ქართველებს, აბა რა და რა ვააქვთ კარგიო. რაო, რაო და, თამამად არი, რაო და ცეკვა-თამაშიო. ასლაცა გაქვთო? აბა!-ო. სადა, სცენაზეო? ეაშ აბა ეუბაში ბოშ არ ვითამაშებთო. კარვი, მეორეო? მეეორეო, რაო და, რაო და, ერთი რადიოს ჩავუწევო, ეი ჰო მართლა, კარგად მღერაო, და შეფრთხიალებულს, ახსენდება, გუშინ არ იყო? — მდინარის პირას რომ ისსდნენ ოთხნი, რაო და, პირველიო, კარვი ელერაო, დიპლიპიტომა, კი, ეგა გვაქო, და მეორეო? მეეორეო, ცანგალა-ბიჭმა, რა და ფიცხლად თამაში და კოხტად ცეკვაო. აგრეა, აგრეაო, და აბა, გიჟმაჟ, მესამეო? ენა გვააქ კარგიო, ელპო იძახის ამასა, ქვეყნად რა გინდა, ჩვენ რო მარილიანად ვერ გამოვთქვათ, რაღას არ იტყვის ჩვენი სოველი ენაო. ხწორიაო, ამანა, ჩვენმა, ამისი რიგიც დამდგარა და, ერთი შედევრის ერთი მასალა ამასაც ულვივდება, ულამდება თვალი, მეოთხე ისა გვააქ რო, აბა ჩვენი საყდარ-ტაძრები ნახე, თავი-

სით ხო არ აშენდებოდა, სხვისი სელით ხო არ მოიხატებოდაო, კიო, კიკიო, სწორიაო, დიპლიპიტომა, მაგრამ ჩამოთავლა თანდათან უჭირთ, არადა, დიპლიპიტოს ჯერია და, პატარა ხანს სდუმს, ბერე ფრთხილად იძახის, ბე მგონია რო, კარგა ოხრებიც თუმცა კი ვართ, მაგრამ გულისგულში მაინც კეთილები და უხვნიც ვაართო, რავი, აბაო, შეფიქრიანებულან, ერიდებათ თავიანთი თავის ქება, მერე ხმადაბლა ამბობენ, აგრე, აგრეაო და აბა, ცანგალ, მეექვსეო, იმას კი უკვე მოუფიქრნია, გულადები და მებრძოლნი ვაართო, სამშობლო გვიყვარს, გულადები და მებრძოლნი ვაართო, აბ და ვინმე მოვიდეს ჩვენზედაო, სუ ყოფას ვუტირებთო, ისე გაიძახის ამასა, თვალები უელავს, ზეზედ წამომსტარა, სუ ფეხის ფრჩხილებზედ სდგება. კარგი, დაჯექეო, და აბა, მეშვიდეო? ელპოს ჯერია, არადა, უჭირს, თვალებს ატრიალებს, წვალობს, თანაც ქოქოლადაყრილ კეფას იქექავს, ძლივს წამოღერღავს, ალპაო, შრომაო, არ ეპიტნავათ, აბა შრომა რა სახსენებელიაო, დიპლიპიტომა, დიდ გულზე არი თავისი სათქმელი რახან მოულევია, ჯერ ეს ეგ ერთი, აბა შენ რომელი გამორჩეული მშრომელი ხაარ და, მეორეც, ბარე ისიცა თქვი, შეშის დაპობა გვემარჯვებაო. ელპოს უჭირს რო, კალმახი რო ხურჯინში ჩასვა, სიბნელეშიცაა, სცხელაც. აბა მე რავიო, ეგება ისა, რო იძახიან კარგი ტანადნი და კარგი თვალადნი არიაანო. აბა ეგ რა თქვი, ეგ ხო თავისითა გვააქო; შეწუხებულა ელპო, დაღონებულა, დაღონებულა რო, გინდაც დეკემბრის ვაში, ჩაქინდრავს თავსა, დაიხედავს და, აკი რას იძახის, ოხერი? — რა და მეშვიდე ესა გვააქ კარგიო. რა ესაო, ჯერ ვერა ხვდებიან, ესაო, ესაო, თავდახრილი იძახის ელპო და ხელსაც იშველიებს. აიი, შენ კი ზედ მაგაზე კი დაგათხლიშე ქვა და მეხიო, ქალიეით იძახის ეს ვაჟკაცი დიპლიპიტო, მაგამდე როეორ დახველო, რიგორაო და, გათამამებულა ელპო, გორგალის წვერი უკვე ხელთა აქვს, თავი და თავი აი ეს არი, ტემპერმამენტი რომ არა გვქონდეს, ვერც ვიმღერებდით, ვერც ვიცეკვებდით, ველარც ლექსს ავაწყობდით და ომშიც გულადნი ვერ ვიქნებოდითო; რა რო არა გვქონდესორ, ცანგალას უკვირს, ტემპერმამენტო, ტემპერმამენტიო, ისეთის რიხით გაიძახის ამ უცხო

სიტყვას ეს ჩვენი ელპო, გინდაც იყალთოს აკადემიის გრილი დარბაზები სუ სწავლა-ცოდნით მივლილ-მოვლილი ჰქონდეს, აი, შენ კი რა გითხარი, შენ კი რა გითხრაო, ადე, წამოდი, წავიდეთ, სუ დაღამებულაო, მიდიან მაგრამ, ამასა, ჩვენსას, გულის რაღაცა ძარღვი უტოკავს, სხვებმა ორ-ორი კარგი რამა თქვეს, ამანა კიდე — მხოლოდღა ცალი, რამე მერვეც ძლიერ უნდა რომ მოიგონოს, მაგრამ სადაა, ქუჩაში კი არა ყრია, რომელი ოფიციანტი მიართმევს ვერცხლის ლანგრითა, თანაც ტემპერამენტზე ცოტათი ეჭვი ეპარება, თუკი აგრეა, მაშ ტელევიზორის თეორონ ქალებს ისე გამეტებით რაღა აცეკვებდათო, და აბა, აბა, მერვეცაო, თან აქეზებენ, სულ აღარ უნდა რადიოს მღერა, აიამას, ჩვენსას, უფრო ენა ექავება, რადგანაც ბევრი სიტყვის კაცია, ამას შედეგრი და იმისი მასალა უნდა, ისე უნდა რო, გულთავი ეწვის, მაგრამ რაღა ქნას, რა იღონოს, რომელ ერთს მიადგეს, აიმ შედეგრებს არც წესი ჰქონიათ და არც რიგი, ხან რო შედეგრად ქვისა კაცია, მერე შედეგრად ბუზიკა ისმის, ხან რო შედეგრად ვარდ-ქალები დაუხატნიათ, სხვები ყალამით სუ გიშრის ტბაში იქექებიან, იმათგან ზოგნი ჩუმად არიან, ზოგნი კი ხმამაღლა იძახიან გულდაგულ ლექსებსა და, ამას კი უფრო ენა ექავება, რადგანაც ბევრი სიტყვის კაცია და, ისევ ის ენა არ ათქმევინებს? — მერვე ისა გვაქ ქართველებს კარგი, ჩვენგან ყველაფერი მოსალოდნელია — მოულოდნელები ვაართო. კიო, სწორიაო, დაყვავებით ესმის და, მართლა, მართლაო? — სიხარულით სუ კალთებზე ებღაუჭება, კიო, მართლაო, ჩამოესმის, აი ეგ ისე ძალიან მართალია, როგორც რო ზოგი ზღაპარი ვერა სხვა ენაზე ვერაფრით ვერ ითარგმნებაო, სუ დაყვავებით ჩაესმის და, თან, გახსენებია ძველიც, ახალიც, აჩუყებია ჩიტის გული და, რა ქნას, ჯერ დედას ამოეფაროს?—თასაც ბალღია, და დედისაგან ადრე გაგონილ იმ ოიოხმეტ სიტყვას ისე იძახის, ცრემლები სცვივა.

რა სიტყვებია?... აი, ხანდასან ზღაპარიც კი ამით მთავრდება. მაგრამ იცის რომ, სიდინჯე მართებს, რომ სხვანაირად არ გამოვა არაფერი და, დინჯად იხსენებს ახალსაც, ძველსაც, და მაინც, როგორ ფორიაქდება! — ისე უხდება ძველსაც, ახალსაც, ეს ნაღვლიანი —

მაშ. ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭადას ჩიტი მამკვდარიყო, დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა, პატარაში კარგა იყო,

სარჩევი

პირველი კონცერტი	3
თანამგზავრი	12
მუსიკოსი	20
ბაქანი	25
ჩვენს ეზოში წვიმა მოდის	26
მიხეიდი და აღექსანდრე	41
ნაბიჯი	78
ყველაზე კარგი პაპა	107
ცაღ-ცაღკე და ერთად	113
ბახვას გულმა ბეჩხი უყო	174
მხიარულ ერთი კაცი	193
ზღაპარი შეხვევრსა და იმის მსაღაზე ანუ ჩვენი	270

ДОЧАНАШВИЛИ ГУРАМ ПЕТРОВИЧ

ПЛАТФОРМА

(На грузинском языке)

Издательство «Мерани», пр. Руставели, 42, Тбилиси, 1988

რედაქტორი ნინო ახალკაცი
ხსატვარი ზ. პოლიაკოვი
მხატვრული რედაქტორი ნ. ნარიმანიძე
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორები: რ. გოცირიძე, ნ. ლომაძე
გამომშვები ნ. ხავთასი

ს. ბ. 3911.

ჩაბარდა წარმოებას 2.02.88 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 20.05.88 წ. უე 06776 ფორმატი 84×108 1/32. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა იუერია, ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 15,09. პირობითი ს.-ღ.ბეჭდვა 17,22.
ტირაჟი 40.000 შეკვეთა № 530

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მერანი", ნუსინაველის ბ. 42, თბილისი 1988.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.